»ნკკკდᲣᲦᲘ«
19 • თებერვალი • 66

С (Арм) 1
891.54—31
п 281

სომხურიდან თარგმნა

ლეო ასტვაცატუროვმა

7-3-3

XIX საუკუნის სომხური ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები—რომანი „ხენთი" ეკუთვნის გამოჩენილი სომეხი მწერალ-რომანისტის, პედაგოგისა და პუბლიცისტის რაფის (აკოფ მელიქ-აკოფიანის) მადლიან კალამს.

პატრიოტულ რომანში, რომელიც მიძღვნილია რუსეთ-თურქეთის ომის (1877 — 1878 წწ.) ამბებისადმი, რომანისტი სოფლის მამასახლისის ხაჩოს ოჯახის თავგადასავლის ფონზე დიდი მხატვრული ოსტატობითა და უშუალობით აგვიწერს სულთანის ულმობელი რეჟიმის უღელქვეშ მგმინავი სომეხი გლეხობის დუხჭირ ცხოვრებას, ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლების თავგანწირულ ბრძოლას ხალხის განთავისუფლებისათვის.

რაფიმ მხოლოდ 53 წელი იცოცხლა (1835 — 1888 წწ.) და ლიტერატურული მოღვაწეობის სამი ათეული წლის მანძილზე სომხური ლიტერატურის საგანძურს „ხენთის" გარდა შესძინა მხატვრული სიტყვის ისეთი შესანიშნავი ნიმუშები, როგორიცაა რომანები და მოთხრობები: „ჯალალედინი", „ნაპერწკლები", „დავით-ბეგი", „სამველი", „ოქროს მამალი", „პარუირ ჰაიკაზი", „ხამსის მელიქები", „ხაზ-ფუში", „ჰარამხანა" და სხვ.

რაფი მრავალ წელს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში, გაზეთ „ივერიის" სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი „აქ

იღვწოდა თავისი საყვარელი ერისათვის, აქვე აიგო თავისი სახსოვარი მშვენიერის ნაწერებითა და აქვე აღსრულდა და დასაფლავდა".

რაფის შემოქმედებას ქართველი მკითხველი ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასასრულს გაეცნო. 1891 წელს გამოვიდა რაფის „რამდენიმე მოთხრობა" (თარგმანი დავით ტერ-დავთიანცისა), 1894 წელს ცალკე წიგნად გამოიცა მისი მოთხრობა „უმანკო მსხვერპლი" (თარგმანი ტერ-ელიშე ტერ-ასტვაწატურიანისა), ხოლო ამ საუკუნის დასაწყისში, 1903 წელს, გამოვიდა რომანი „ხენთი" (თარგმანი ბ. ევანგულოვისა). 1964 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა რაფის ნაწარმოებთა კრებული, რომელშიც შეტანილია რომანი „ოქროს მამალი" და მწერლის ათი საუკეთესო მოთხრობა (თარგმანი არჩ. დავითიანისა).

ხენთმა[1] ორმოში ქვა ჩააგდო, ასი ჭკვიანი დაესია, მაგრამ ამოღება ვერ მოახერხა.

ვიდრე ჭკვიანი მოისაზრებს, ხენთი უკვე ფონს გავა.

ხენთის პასუხი მართალია.

ხალხური თქმულებანი.

## თავი პირველი

ბაიაზეთი ალყაში იყო მოქცეული.

ნახევრადდანგრეულ ქალაქს თურქების რეგულარულ ჯარებთან შერეული ბაშიბუზუკების, ქურთების, ბოშებისა და სხვათა ოცი-ათასიანი ბრბო შემორტყმოდა. ცეცხლში გახვეული ქალაქი უზარმა-ზარი კოცონივით გიზგიზებდა. ქრისტიან სომეხთა სახლებში კაცის ქაჭანება აღარ იყო, ზოგი ბარბაროსთა მახვილმა შეიწირა, ზოგიც ტყვედ წაიყვანეს. უბედურებას გადაურჩა სომეხთა მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელმაც წინასწარ სპარსეთის მიწა-წყალზე მდებარე მო-საზღვრე ქალაქ მაგუს შეაფარა თავი.

---

[1] ხენთი სომხურად ნიშნავს უგუნურს, გიჟს, გადარეულს, ახირებულს.

ბაიაზეთის ციხე-სიმაგრე ჯერ ისევ მიუვალი იყო. იქ რუს ჯარისკაცთა მცირე რაზმი და სომხებისა და თურქების ნებაყოფლობითი მილიცია გამაგრებულიყო. ისინი სასოწარკვეთილნი მოელოდნენ საშინელ აღსასრულს. ციხე-სიმაგრე ოთხივე მხრიდან თითქოს რკინის რკალში მოქცეულიყო, რომელიც თანდათან ვიწროვდებოდა და იმედდაკარგულ ალყაშემორტყმულთა ერთი ხელის მოსმით შემუსვრას ლამობდა. გარე სამყაროსთან ურთიერთობა სავსებით შეწყვეტილი იყო.

ციხე-სიმაგრის ალყა 1877 წლის ექვს ივნისს დაიწყო და 23 დღეს გაგრძელდა. ეს მოხდა მაშინ, როცა რუსთა ძლევამოსილ მახვილს სომხეთში ბედმა უმტყუნა. ადგილობრივი მაჰმადიანობა, რომელიც პირველად ერთობ სიხარულით შეეგება რუსებს, მოულოდნელად აჯანყდა და ისმაილ-ფაშას ჯარებს შეუერთდა.

ერევნის რაზმის სარდალი გენერალი ტერ-ღუკასოვი იმ დროს ზეითაგანსა და დალი-ბაბაში იმყოფებოდა და თავისი მცირერიცხოვანი ჯარის ნაწილებით მუხთარ-ფაშას ხუთჯერ უფრო მრავალრიცხოვან ურდოებს თავგანწირვით ებრძოდა. ეტყობოდა, გენერალმა არ იცოდა, რა ბედი ეწია საბრალო ბაიაზეთს, რომელიც მან კომენდანტ შტოკვიჩს ჩააბარა დასაცავად.

ღამე იყო.

მთვარე ის-ის იყო ჰორიზონტს გასცდა და არემარე სიბნელემ მოიცვა. ალყაშემორტყმულთ სიბნელე თითქოს ახარებდა კიდეც, დედამიწის თვალისჩინს, ვერცხლისფერ სხივებს რომ აფრქვევდა ციხე-სიმაგრეს, შეეძლო გაეცა იქ გამაგრებული მამაცი ადამიანები. მაგრამ ღამის წყვდიადმა მაინც ვერ შეაკავა მტარვალთა გააფთრებული თავდასხმა.

ბაიაზეთის ციხე-სიმაგრე შავი წერტილივით მოჩანდა გორაკის მაღლობზე და მტერი ყოველი მხრიდან უშენდა ამ შავ წერტილს. ყუმბარები და ტყვიები სეტყვასავით მოდიოდა. ციხე-სიმაგრე ვეება დევნილი მხეციკვით ღმუოდა. იგი ჯერ კიდევ შეუპოვრად უმკლავდებოდა მოახლოებულ აღსასრულს. გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ თავს ვერ გადაირჩენდა, სახელოვნად მაინც დაღუპულიყო. ათასამდე რუსი ჯარისკაცი, ამდენივე სომეხი და თურქი მოხალისე უმკლავდებოდა

ისმაილ-ფაშას ოციათასიანი არმიის შეტევას. ციხე-სიმაგრეში დაბანაკებულთ ტყვია-წამალი ელეოდათ და მტრის ცეცხლს იშვიათად უპასუხებდნენ. ხანდახან თუ გასტყორცნიდნენ თითო-ოროლა ყუმბარას, ისიც იქითკენ, სადაც მტრის ზარბაზანი დაიქუხებდა.

ამ ღამეს ციხე-სიმაგრის ნანგრევებადქცეულ ერთ-ერთ შენობაში თავი შეეფარებინათ განაწამებ ადამიანებს და ღონემიხდილნი მიწაზე ეყარნენ. ეს შენობა ერთ დროს ყაზარმად იყო გამოყენებული, იგი რუსების შეტევამდე დაენგრიათ ოსმალოებს.

— ერთი წვეთი წყალი!.. წყალი! წყურვილით ვიხრჩობი... — გაისმოდა აქეთ-იქიდან საშინელი ოხვრა-გმინვა.

— ერთი ლუკმა პური!.. შიმშილით ვკვდები... — მოსთქვამდნენ მეორენი.

ამ საბრალოებს მთელი კვირა თითქმის არც ეჭამათ და არც არაფერი დაელიათ. ციხე-სიმაგრეს ისე სწრაფად და მოულოდნელად შემოარტყეს ალყა, რომ სურსათის მომარაგება ვეღარ მოასწრეს. ახლა ალყაშემორტყმულნი იძულებული იყვნენ სამ ულმობელ მტერს გამკლავებოდნენ: შიგნით — შიმშილსა და წყურვილს, გარეთ კი — ნტრის დაუნდობელ ცეცხლს.

რვა ივნისიდან ჯარისკაცებს თბილი საჭმელი აღარ ეძლეოდათ. კომენდანტისა და არტილერიის ცხენები დაკლეს და შეჭამეს. ცხენებისათვის განკუთვნილი ქერი ჯარისკაცებს დარჩათ, მაგრამ ისიც ილეოდა. ბოლოს სურსათი ისე მიილია, რომ თვითეულ ჯარისკაცს 1/8 გირვანქა ხმიადს და თითო კოვზ წყალს აძლევდნენ. ივნისის სიცხეები თანდათან აუტანელი ხდებოდა. ჰოსპიტლებში მოთავსებული ავადმყოფებიც საშინელ მდგომარეობაში იყვნენ.

ციხე-სიმაგრეში წყალი არ იყო. გარეთ, სამასი ნაბიჯის დაშორებით ერთადერთი წყაროც თურქებს დაეხშოთ. ციხე-სიმაგრიდან ყოველ ღამეს ცდილობდნენ წყლის მოსატანად ჩასვლას, მაგრამ ოციოცდაათი კაციდან ხშირად უკან ერთი ვეღარ ბრუნდებოდა.

— პური!.. წყალი!.. — კვლავ გაისმა გულშემზარავი კვნესა. მაგრამ ამ დროს ზარბაზნებმა დაიგრიალეს და ბედკრულთ ხმა ჩააწყვეტინეს.

ეს ის წუთები იყო, როცა ადამიანს დახმარების საშუალება აღარ

აქვს და მეგობრის შებრალების გრძნობას ჰკარგავს. მშიერ-მწყურვალთა გოდებას ყურადღებას აღარავინ აქცევდა. ყველანი ელოდნენ იმ გადამწყვეტ წუთებს, როცა მტერი ნიაღვარივით თავს დაატყდებოდა. თვითეული მზად იყო იარაღით ხელში დახვედროდა მომბდურს და სახელოვნად მომკვდარიყო.

გუშაგები ციხე-სიმაგრის სათოფურებიდან მტერს უთვალთვალებდნენ. ჯარისკაცებს თავის წამოწევა უჭირდათ, რადგან მტერს ყველა მაღლობი დაეკავებინა და განუწყვეტლივ ისროდა, ტყვიები საზარელი ზუზუნით ეხეთქებოდა ციხის კედლებს.

ციხე-სიმაგრიდან კარგად ჩანდა ქალაქი, რომელიც საზარელი სანახავი იყო. ქალაქი ისე გაენათებინა ცეცხლს, რომ გეგონებოდათ, დიდ დღესასწაულს იხდისო. მისი შემოგარენიც ცეცხლში იყო გახვეული. გამხეცებული მაჰმადიანები კი მტარვალთა გამარჯვებას ზარ-ზეიმით ეგებებოდნენ. ასეთი ბარბაროსობისათვის თავისი ბოროტი სულებით, ცეცხლითა და საშინელებით მხოლოდ ჯოჯოხეთს შეეძლო მეტოქეობა გაეწია.

ცეცხლი ნთქავდა სომეხთა სახლებს. კარ-ფანჯრებიდან აზვირთებული ნიაღვარივით მოჰქროდა შავი კვამლნარევი ცეცხლის ალი, ბაღლა-მაღლა მიიწევდა და ცაში ნაპერწკლების შადრევნებს აფრქვევდა. ხანძარი ძლიერდებოდა და ცეცხლში ახვევდა სომეხთა მთელ უბანს. სახლებს ცეცხლი ედებოდა, დამწვარი კოჭები იშლებოდა. სახურავები ილეწებოდა და მცხოვრებლები, რომლებიც თავს ვერ აღწევდნენ უბედურებას, ცეცხლში ინთქებოდნენ. საბრალო მსხვერპლთა ყვირილი და ხვეწნა-მუდარა უერთდებოდა ცაში გაავზნებული ვეშაპივით დაკლაკნილი ცეცხლის გუგუნს, რომელიც ირგვლივ შემზარავ სინათლეს აფრქვევდა. ამ სინათლეზე, ვით ფართო პანორამაში, ერთი მეორეს ცვლიდა საშინელი სურათები. მუსულმანები მუსრს ავლებდნენ სომხებს... ხოცავდნენ ყველას, ვინც ცეცხლს გადაურჩებოდა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა... გოგონებს ნაწნავებით მიათრევდნენ სახლებიდან გარეთ... ყოველი მხრიდან საზარელი კივილი ისმოდა. მაგრამ უბედურთა გოდება და ცრემლი ველურთა გულს ახლოს არ ეკარებოდა.

ამ ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობდნენ არა მარტო ქურთები,

არამედ თურქთა რეგულარული ჯარი და, რაც ყველაზე საზარელი იყო, ქურთების ცოლებიც!.. ისინი, რომელთაც დავიწყებოდათ დედობრივი სიბრალული და სიყვარული, გააფთრებული ავი სულებივით ეცემოდნენ დედებს, ართმევდნენ მათ ბავშვებს და ცეცხლში უყრიდნენ. სულ უბრალო წინააღმდეგობაც კი სიკვდილით ისჯებოდა. სისხლისღვრა სამ დღე-ღამეს გაგრძელდა.

რამდენიმე სომეხი მოხალისე ჯარისკაცი ამ ჯოჯოხეთურ სანახაობას ციხე-სიმაგრიდან ადევნებდა თვალს და იცრემლებოდა...

— ღმერთო ჩემო, როგორ ჟლეტენ! — ოხვრით გაიძახოდნენ ისინი.

იქვე იდგა ერთი ახალგაზრდა სომეხი, სხვებივით ისიც აოხრებულ ქალაქს გასცქეროდა, მაგრამ მის თვალებს ცრემლი არ ეკარებოდა, მის ალეწილ სახეს მწუხარების ნატამალი არ ეტყობოდა. მისი გული აღსავსე იყო ღრმა სიძულვილით არა იმ გამხეცებულთა მიმართ, ვინც ყველაფერს სწვავდა და ყველას ჟლეტდა, არამედ იმ ლაჩრებისადმი, რომლებიც ბატკნებივით ნებდებოდნენ მტერს ყელის გამოსაჭრელად!..

— ერთი შეხედეთ, შეხედეთ! — წამოიძახა მან. — იმდენ ხალხში კაცს ვერ ნახავთ, რომ თავის მკვლელს ხელი შეუბრუნოს, ამაზე ბეტი განა კიდევ სხვა რა არის საჭირო, რომ ადამიანი აფთრად აქციოს და შურისძიების გრძნობა გაუღვივოს?! სახლ-კარს თვალწინ უწვავენ, ბავშვებს ცეცხლში უყრიან, ცოლსა და ქალიშვილს სტაცებენ!.. ვაჟკაცი ამას ხედავს და მორჩილად ქედს იხრის მტრის მახვილის წინაშე! შე წყეულო, შენც ხომ ადამიანი ხარ! შენც მოკალი და შემდეგ მოკვდი!

— ულმობელი კაცი ხარ, ვარდან, — შენიშნა ერთ-ერთმა ამხანაგმა.

ვარდანმა პასუხი არ გასცა და ამხანაგები მიატოვა. უმძიმდა, სომეხთა სიძაბუნეს ასე თვალნათლივ რომ ხედავდა. „სომხებს სახელოვანი სიკვდილი არ შეუძლიათ“ — გაიფიქრა მან.

მისგან ცოტა მოშორებით, ციხე-სიმაგრის ერთ მიყრუებულ კუთხეში მოხალისე სომეხ ჯარისკაცთა სხვა ჯგუფს საუბარი გაება:

— თუ პეტროსიც არ დაბრუნდა, ამაღამ ეგ მეხუთე მსხვერპლი იქნება.

— ძალიან დაიგვიანა. ალბათ, საწყალი ბიჭი...

— არა, აბა ყური დაუგდეთ, გესმით ყვავის ჩხავილი? ის უნდა იყოს!

— ჰო, ის არის, თოკის კიბე ჩავუშვათ.

კიბე ჩაუშვეს, რამდენიმე წუთის შემდეგ ციხე-სიმაგრის გალავანზე ჭაბუკი გამოჩნდა, მას ზურგზე ჰქონდა მოკიდებული წყლით სავსე რუმბი.

ამხანაგები მიეშველნენ, ძირს ჩამოიყვანეს, გულში ჩაიკრეს და გადაკოცნეს. უცებ ერთი მათგანი შეკრთა, უკან დაიხია და ჰკითხა:

— სახე სველი რატომ გაქვს, პეტროს?

ამ დროს ცეცხლის ალი უფრო მაღლა ავარდა და პეტროსს სახე გაუნათა.

— სისხლი სდის! — ერთხმად წამოიძახა ყველამ.

— არაფერია, — სიცილით მიუგო პეტროსმა, — რამდენიმე დღეა პირი არ დამიბანია, ამაღამ კი, გაგიხარია, დავიბანე...

პეტროსმა მოკლედ უამბო, რომ წყაროსთან წააწყდა რამდენიმე ქურთ გუშაგს და ვიდრე ყველას „ხმას ჩააწყვეტინებდა“, თავში დაჭრეს.

— რა დაემართა ჰანეს, თომასს, ადამს და ნერსოს? — იკითხეს აქეთ-იქიდან.

— ეშმაკმა იცის მათი თავი და ტანი, — მიუგო მისთვის ჩვეული ხუმრობის კილოთი პეტროსმა: — ეს წყეულები თითქოს შეთანხმებულან, რომ სწორედ ამაღამ წასულიყვნენ თავიანთი განსვენებული მამა-პაპების სანახავად. ერთი ციხე-სიმაგრის გალავანთან ეგდო, ეტყობა, ჩასვლისთანავე დაახალეს ტყვია... მეორე შუაგზაზე გორავდა და სიკვდილს ებრძოდა... მესამე უძრავი კუნძივით ეგდო წყაროსთან... საბრალო თომასი კი, მათგან ცოტა მოშორებით, მკერდის ჭრილობაზე ხელმიდებული, ქურთებს წყევლიდა... მე მათი სისხლი ავიღე.

ოთხი ახალგაზრდა სომეხი, რომელთა შესახებაც პეტროსი ლაპარაკობდა, ერთი მეორის მიყოლებით გაეგზავნათ წყალზე, მაგრამ

უკან ერთიც აღარ დაბრუნებულა. ასეთი შემთხვევები ახლა ხშირი იყო, ამიტომაც პეტროსის ნაამბობს განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია მსმენელებზე. ამხანაგებმა ისიც კი ვერ მოისაზრეს, პეტროსისათვის ჭრილობა შეეხვიათ, თუმცა სისხლი განუწყვეტლივ სდიოდა. თვითონ პეტროსიც ნაკლებად ფიქრობდა ამაზე.

— ეშმაკმა დალახვროს ეგ ქურთები! — განაგრძო მან, — ეგ წყეულები სიბნელეში ისე ხედავენ, თითქოს მგლის თვალი ჰქონდეთ. ოდნავ რომ გაფაჩუნდეს რამე, იმ ადგილს მაშინვე ტყვიას დაახლიან და თავიანთ მსხვერპლს იქვე გააგორებენ.

ასე საუბრობდნენ სიბნელეში. ბოლოს, როგორც იქნა, მოისაზრეს და პეტროსს ჭრილობა შეუხვიეს, წყლით სავსე რუმბი აიღეს და ციხე-სიმაგრის ეზოსაკენ გასწიეს.

— ბიჭებო! — წამოიძახა ერთმა, — თურქებს ერთ წვეთსაც ნუ მივცემთ. ხუმრობა საქმეა, ამ ერთ რუმბ წყალს ოთხი კაცი შევწირეთ. მაგათგან კი არც ერთმა არ ინება ციხე-სიმაგრიდან გასვლა.

— არა, ასე არ ივარგებს, — უთხრა პეტროსმა, — იმათაც უნდა დავალევინოთ.

— რატომაც არ ივარგებს? — შეესიტყვა პირველი, — რამდენიმე დღის წინათ მათაც იშოვეს წყალი და მალულად დალიეს.

— ისინი ცუდად მოიქცნენ, ჩვენ კი უნდა დავუმტკიცოთ, რას ნიშნავს ჯარისკაცთა მეგობრობა.

ჭაბუკები ყაზარმის ეზოში შევიდნენ.

— წყალი!.. წყალი!.. — ყოველი მხრიდან გაისმა სიხარულის ყიჟინა და აუარებელი ხალხი გარს შემოეხვია ჭაბუკებს.

შეუძლებელია იმის აღწერა, რა აღტაცებითა და უზომო სიხარულით შემოეხვია მწყურვალე ხალხი წყლიან რუმბს. ატყდა ჩოჩქოლი, შეხლა-შემოხლა. ყველა ცდილობდა უწინ თვითონ დაელია წყალი.

— ჩირაღდანი აანთეთ და ხელს ნუ შეგვიშლით, ყველა თავის წილს მიიღებს! — თქვა წყლის მომტანმა ჭაბუკმა და რუმბი ძირს დაუშვა.

ანთებულმა ჩირაღდანმა მოლურჯო შუქი მოჰფინა სიხარულისაგან თავდავიწყებულსა და აღტაცებულ ხალხს.

სომეხმა ახალგაზრდამ აიღო ერთი პატარა არყის ჭიქა და წყლის ჩამორიგება დაიწყო. წყალს საშინელი სუნი და გემო ჰქონდა. რამდენიმემ დალია, მაგრამ ვერაფერი შეატყო, ერთმა კი წამოიძახა:

— ეს რა ფერი აქვს ამ წყალს?

— დალიე, — მიუგო იქვე მდგომმა პეტროსმა, — ქურთები ახლა ასე შეღებილ წყალს გვაძლევენ!..

— როგორ თუ შეღებილს? — წამოიძახეს ყოველი მხრიდან.

— ჩვენი სისხლით ღებავენ... თქვენ უნდა გენახათ, რამდენი გვამი ეგდო წყაროსთან, საიდანაც ეს წყალი მოვიპარე.

ყველა შეძრწუნდა, თუმცა უკან არავის დაუხევია. სვამდნენ რაღაც სითბეს, რომელშიც ვინ უწყის, რამდენი ადამიანის სისხლი იყო შერეული, რამდენი ადამიანის გვამი იყო გახრწნილი!.. ერთმა ასეთი უბაძი ენამახვილობაც კი იკადრა:

— ძალიან კარგია, წყალი განოყიერებულია და უფრო მეტ ძალას შეგვმატებს.

მაგრამ გამხიარულებულ ჯარისკაცთა ხუმრობა მალე შეწყდა. კვლავ მოისმა შორიდან ზარბაზნების გრიალი და ციხე-სიმაგრის კედლებს შხუილით გადაუარა ყუმბარებმა. ერთი ყუმბარა ჯარისკაცთა მახლობლად გასკდა და ბევრი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმა.

ამ დროს ციხის ერთ ოთახში, რომელიც ოდესღაც თურქთა კომენდანტს ეკუთვნოდა, რუს კომენდანტ შტოკვიჩს ოფიცრები მოეწვია და სამხედრო საბჭოს სხდომა ჰქონდა. აქვე იყვნენ სომხებისა და თურქების მილიციის მეთაურებიც. პატარა მაგიდაზე ანთებული ლამპა მკრთალ შუქს ჰფენდა დამსწრეთა დაღვრემილ და ჩაფიქრებულ სახეებს.

უკანასკნელ დღეებში მტრის ბანაკიდან განუწყვეტლივ მოდიოდა წერილები, დაგვნებდითო. წერილებს გზავნიდა რუსეთის დაუძინებელი მტრის, გამოჩენილი შამილის შვილი გენერალ-ლეიტენანტი შამილი, შისი ალმატებულების სულთანის ადიუტანტი. მის უკანასკნელ წერილში მუქარაც ბევრი იყო და დაპირებაც. სამხედრო საბ-

ჭოს საზრუნავიც სწორედ ეს წერილი გახლდათ, უნდა გადაეწყვიტა რა პასუხი გაეცათ.

— სანამ პირში სული გვიდგას, არ დავნებდებით, — თქვა შტოკვიჩმა.

— ალყა კიდევ რამდენიმე დღეს რომ გაგრძელდეს, წინააღმდეგობას ვეღარ შევძლებთ, — დაიწყო ერთმა ოფიცერმა.

— გამოუვალ მდგომარეობაში ვართ, — თქვა მეორემ. — არც პური გვაქვს, არც ტყვია-წამალი, — ვერ გამიგია, ეს სულელი ქურთები რაღას უცდიან, რატომ აყოვნებენ შემოტევას? საკითხავია, რით გავუმკლავდებით? — დაუმატა მან ცოტა არ იყოს გაბრაზებული კილოთი.

— დიახ, ძალიან წინდაუხედავად მოვიქეცით, — თქვა ერთ-ერთმა ოფიცერმა.

— წარსულს აღარაფერი ეშველება, სჯობს ვიფიქროთ მომავალში როგორ მოვიქცეთ, — თქვა შტოკვიჩმა, რომელიც საპჭოს თავმჯდომარეობდა და ალყის პირობებში მთავარსარდლის უფლებებით იყო აღჭურვილი. — სანამ პირში სული გვიდგას, არ დავნებდებით! — გაიმეორა მან ადრე ნათქვამი სიტყვები.

— თუ გარედან დახმარებამ არ მოგვაწვრო, დავიღუპებით, — თქვა ერთ-ერთმა ხანმა, თურქ მოხალისეთა მეთაურმა.

— ჩვენ ვეღარ დავუცდით დახმარებას, — თქვა ერთმა ბეგმა. — ჩემის აზრით, უნდა გავაღოთ ციხის კარები და ვცადოთ გარშემორტყმული მტრის რკალის გარღვევა: მაშინ ან თავს ვიხსნით, ან ბტერს ხელში ჩავუვარდებით.

— ეგ უკანასკნელი უფრო მოსალოდნელია, — შენიშნა სომეხ მოხალისეთა მეთაურმა, — და შედეგიც საზარელი მოჰყვება. ეს ციხე-სიმაგრე ამჯერად თურქების ჯარის წინსვლას აფერხებს, და თუ მას დავკარგავთ, მაშინ ისმაილ-ფაშას ბაშიბუზუკებს გზა გაეხსნებათ, რამდენიმე დღეში სულ ადვილად დაიპყრობენ ერევანს, ნახჭევანს და შესაძლოა უფრო შორსაც წავიდნენ... ადგილობრივი მაჰმადიანობა, რამდენადაც ვიცი, მოუთმენლად ელის არამკითხე სტუმრებს, სომეხ ქრისტიანებს კი იარაღი არა აქვთ, ჩვენი ქვეყნის დასაცავად სულ მცირე ჯარია დატოვებული, ჩვენი მთავარი ძალები

ყარსის მიდამოებშია თავმოყრილი. ვიდრე იქიდან დახმარებას მივიღებდეთ. თურქები ყველას გაგვწყვეტენ.

სომეხი ოფიცრის სიტყვებმა აღაშფოთა ხანი და ნაწყენი კილოთი წამოიძახა:

— თქვენ ეჭვის თვალით უყურებთ ყველა მაჰმადიანს.

— ჩემი ეჭვები უსაფუძვლო არ არის. მე მომეპოვება ამის დამადასტურებელი ფაქტები. ახლა იმ ქურთთა შორის, რომლებიც გარს არტყია ციხე-სიმაგრეს, ბევრია ზილანელი[1]. ისინი ომამდე რუსეთის ქვეშევრდომები იყვნენ, ნახჩევნის მხარეში კი ვიღაც დამთხვეული მოლა ყოველღამ სიზმარს ხედავს, მალე მთელ ქვეყანას ისლამი დაეპატრონებაო.

კომენდანტმა მოკამათენი შეაჩერა:

— უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა ვებრძოლოთ მტერს. მჯერა დახმარება მალე მოგვისწრებს. გენერალი ტერ-ლუკასოვი შორს არ არის. როგორც კი შეიტყობს ჩვენს გასაჭირს, მაშინვე გამოეშურება ბაიაზეთის გასათავისუფლებლად. საჭიროა მხოლოდ სასწრაფოდ შევატყობინოთ.

— როგორ შევატყობინოთ? — შეეკითხნენ მას.

— წერილი გავუგზავნოთ.

— ვინ მიუტანს?

— იმედია, ციხე-სიმაგრეში აღმოჩნდება გულადი ვაჟკაცი.

— ვთქვათ აღმოჩნდა კიდევაც, როგორ გააღწევს, როცა მტერი ყოველი მხრიდან გარს გვერტყმის.

— უნდა ვეცადოთ.

საბჭომ გადაწყვიტა წერილი გაეგზავნათ გენერალ ტერ-ლუკასოვისათვის.

თხუთმეტი წუთის შემდეგ კომენდანტი წერილით ხელში ოფიცრების თანხლებით ოთახიდან გავიდა.

საყვირის ხმაზე ციხე-სიმაგრის დამცველები მოედანზე შეიკრიბნენ, შტოკვიჩმა ხმამაღლა მიმართა ჯარისკაცებს:

— ამბო, ჩვენი მდგომარეობა თქვენთვის ცნობილია, ამაზე

---

[1] ზილანელები — ქურთების ერთ-ერთი ტომი.

ახლა ლაპარაკიც ზედმეტია. მთელი ჩვენი იმედები ახლა ღმერთსა და მისი შემწეობით გარედან დახმარებაზეა დამყარებული. თუ დახმარებამ დაიგვიანა, დავილუპებით. მაშასადამე, ჩვენი გაჭირვება სასწრაფოდ უნდა ვაცნობოთ, ვისაც ჯერ არს. აი, ეს წერილი უნდა ჩაბარდეს გენერალ ტერ-ღუკასოვს, რომელიც უმალ ჩვენს გადასარჩენად გამოეშურება. იმედია, თქვენს შორის აღმოჩნდება გმირი, რომელიც ითავებს ამ დავალების შესრულებას. ის ჩემგან მიიღებს ისეთ საჩუქარს, რისი ღირსიც არის ადამიანი, რომელიც თავს სწირავს სხვების გადასარჩენად. მაშ, თქვით, ვის სურს წერილის წაღება.

სიჩუმე ჩამოვარდა, ხმას არავინ იღებდა.

— ვიმეორებ, — აღელვებული ხმით განაგრძო კომენდანტმა. — ჩვენი ხსნა ამ წერილზეა დამოკიდებული, ვის სურს მოიხვეჭოს სახელი და გახდეს ჩვენი მხსნელი?

კვლავ არავინ ამოიღო ხმა.

— ნუთუ თქვენ შორის არ არის გულადი ადამიანი? — წამოიძახა აკანკალებული ხმით კომენდანტმა. — ვინ კისრულობს წერილის წაღებას?

— მე! — გაისმა ხალხში.

კომენდანტს მიუახლოვდა ახალგაზრდა სომეხი და წერილი ჩამოართვა.

ამ ახალგაზრდა კაცს ვარდანი[1] ერქვა.

## თავი მეორე

მეორე დილით, როცა მზემ დედამიწას პირველი სხივები მოჰფინა, ბაიაზეთსა და მის მიდამოებში მნახველთ თვალწინ საზარელი სანახაობა გადაეშალათ. ახლა კი ცხადად გამოჩნდა იმ ხოცვა-ჟლეტის შედეგი, რაც მტარვალებმა სამი დღე-ღამის განმავლობაში

---

[1] ახალგაზრდა კაცს სამსონი ერქვა, მაგრამ ჩემი რომანის გმირისაგან სულ სხვა ტიპი შევქმენი, რითაც ისტორიულ სინამდვილეს ცოტათი ეუღალატე. მაგრამ ვიმედოვნებ მეპატიება, თუ სინამდვილე შემოქმედებითს თავისუფლებას შევწირე (ავტორის შენიშვნა).

ჩაიდინეს... ქალაქში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, რასაც დროდადრო არღვევდა ყვავ-ყორანთა ჩხავილი. ყვავები გუნდ-გუნდად დაფარფატებდნენ ადამიანის ლეშის საკორტნად. გავერანებული ქალაქის ქუჩები საზარელი სანახავი იყო. სახლები მთლად დაფერფლილიყო, ალაგ-ალაგ კვლავ ბოლი სდიოდა ნახანძრალს. თითქმის ყველა სახლის წინ ეყარა მოხუცების, ჭაბუკების, ქალებისა და ბავშვების გვამები. მშიერი ძაღლები გვამებს აქეთ-იქით დაათრევდნენ და ღრენით ყვავებს აფრთხობდნენ. ყოველი სახლიდან, ქუჩიდან თუ ბაზრიდან გაბრწნილი გვამების საშინელი სუნი მოდიოდა.

აოხრებულ ქალაქში სულს ღაფავდა და თავის აღსასრულს ელოდა ბაიაზეთის ციხე-სიმაგრე.

ალყა თანდათან ძლიერდებოდა. მთა, ხეობა, გორაკი თუ ველ-მინდორი ბაშიბუზუკთა ჯარებით იყო დაფარული. ჯარის ნაწილები ჯგუფებად იყო დანაწილებული. ირგვლივ ერთი წუთითაც არ წყდებოდა ხმაური და ფუსფუსი.

როცა მტერმა სისხლის წყურვილი მოიკლა, ვერცხლისმოყვარეობის მადა გაეღვიძა. ქალაქში მდიდრებად ცნობილი სომხები ქურთებს ერთ ადგილას მიწაზე გაერთხათ და უმოწყალოდ აწამებდნენ, რათა გამოეტეხათ სად ჰქონდათ გადამალული განძეული. საბრალონი ტირილითა და ვედრებით ეფიცებოდნენ, აღარაფერი დაგვრჩენიაო, მაგრამ გამგონი არავინ იყო. მამებს თვალწინ უკლავდნენ ბავშვებს. სხვა ადგილას ქურთები ნადავლს იყოფდნენ, მათი გახარებული ცოლები კი ცხენებს ტვირთავდნენ და შინ წასასვლელად ემზადებოდნენ. ცოტა მოშორებით სომეხ ტყვეებს ინაწილებდნენ, მაგრამ ხშირად ლამაზი ქალის ან ქალიშვილის თაობაზე ჩხუბს ატეხდნენ და ერთმანეთს ხმლებით ეკვეთებოდნენ. ცოტა უფრო მოშორებით მგლები, გარეული კატები და მტაცებელი ფრინველები მოკლულთა ლეშს ჯიჯგნიდნენ. იმ ადგილიდან მოშორებით ღვთისმოყვარე მაჰმადიანი ჯარისკაცი სასოებით ასრულებდა დილის ნამაზს, ადამიანის სისხლით შეღებილი ხელები მაღლა აღეპყრო და ალაჰს ადიდებდა.

ტყვია-წამლისა და კოცონების ცად ატყორცნილი ბოლი და მჭვარტლი ნისლივით ფარავდა ჰორიზონტს და ცზას უღობავდა

ზზის სხივებს. განუწყვეტლივ გრიალებდა ზარბაზნები, ყუმბარები ვეება ციხე-სიმაგრის კედლებს აზანზარებდა, მაგრამ ციხე-სიმაგრე შეუპოვრად იდგა მაღლობზე და არაფრად აგდებდა მტრის განუწყვეტელ შეტევას.

ერთ ადგილას მტრის ბანაკის მთელი. ყურადღება ვიღაც უცნობ კაცს მიეპყრო. იგი ხან ცეკვა-თამაშით, ხან ტაშის ცემით მიდიოდა, თან რაღაც უაზრო ქურთულ სიმღერას მღეროდა:

დედაბერი გადაიქცა
ბაყაყად და ზღვაში ჩახტა,
ამოიღო ზღვიდან ქვიშა
და ის ქვიშა ოქრო გახდა.
თხა იყიდა, ოქრო მისცა,
მაგრამ ის თხა კოჭლი გახლდათ.
თხაო, თხაო, ჰეი, თხაო,
გენაცვალე, ჩემო თხაო,
კოჭლიცა ხარ ქეციანიც,
ასე რატომ შეგემთხვაო![1]

— ხენთია! — ყოველი მხრიდან გაიძახოდნენ ქურთები. იგი წრეში მოექციათ და აძალებდნენ, კიდევ იმღერეო.

ეს კაცი ან მართლა ხენთი იყო, ან განგებ ხენთად ასაღებდა თავს. ისე ეცვა, როგორც ჩვენში ჯამბაზების თანაშემწეები იცვამენ ხოლმე. მათ ხალხი „ტაკი-მაკხარეს“ უწოდებს, რადგან თავიანთი ლაზღანდარობით გაჭიმულ თოკქვეშ თავმოყრილ მაყურებლებს ამხიარულებენ. ასევე იქცეოდა ხენთიც. ამ ტანმაღალ ახალგაზრდას ველურის შეხედაობა ჰქონდა. თავზე ქეჩის ნაჭრისაგან უშნოდ შეკერილი ოთხკუთხა მაღალი ქუდი ეხურა. ქუდის ოთხივე კუთხეში მიმაგრებული ზანზალაკები ყოველ მოძრაობაზე უსიამოვნოდ წკრიალებდნენ, ფეხსაცმლის საღებავით გამურულ სახეზე წითელი, ყვითელი, ლურჯი და სხვა ფერის ზოლები ჰქონდა გავლებული. მთელს მის სამოსს ჯარიკაცის დაცრეცილი ფარაჯა შეადგენდა, ზედ შიშველ ტანზე ჰქონდა წამოხურული და წელზე თოკით შემოეჭირა. მთლად ფეხშიშველი იყო.

---

[1] ლექსების თარგმანი სტ. მხარგრძელისა.

— აბა, ერთი ვირივით დაიყროყინე, — ეხვეწებოდნენ შეკრებილნი.

ხენთიც ყურებში თითებს დაიცობდა, დაიხრებოდა, პირს დააღებდა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ღრიალებდა. შეკრებილნი ხარხარებდნენ და აქეთ-იქიდან სპილენძის ფულებს ესროდნენ. ის ფულს აკრეფდა, განცვიფრებული დააშტერდებოდა, მერე გადაყრიდა და იტყოდა: „პური მომეცით". როცა პურს მისცემდნენ, უშველებელ ნაჭრებს პირში ჩაიგდებდა და დაუღეჭავად ყლაპავდა.

— შენ ალბათ დათვივით ძუნძულიც იცი, აბა, ერთი გვაჩვენე! — ეტყოდნენ ხოლმე მას. ხენთიც უშნოდ ბუქნაობდა, ოთხ ფეხზე დაბაჯბაჯებდა, ყირაზე დგებოდა და ხელებზე დადიოდა. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ სისულელეს ჩადიოდა.

ხენთმა ქურთების ბანაკში მთელი დღე გაატარა. ყველას ართობდა, ქურთულად ლაპარაკობდა და, როგორც ნამდვილი ქურთი, წყევლა-კრულვით იხსენიებდა რუსებს, თან ღრიალებდა, ყველა „გიაური" გავქლიტოთო. შუაღამემდე ენა არ გაუჩერებია, მაგრამ მეორე დილით ხენთი თვალით აღარავის უნახავს ბანაკში.

## თავი მესამე

შუადღე იყო. აუტანელი, სულისშემხუთავი სიცხე იდგა. ასეთ დროს გზებზე მგზავრებს ვერ შეხვდებით, ყოველი სულიერი იმას ცდილობს, გრილ ადგილს შეაფაროს თავი და ცოტა თავისუფლად ამოისუნთქოს. ბაიაზეთიდან ალაშკერტისკენ მიმავალ გზას მხოლოდ ერთი კაცი მიჰყვებოდა. მიხვეულ-მოხვეული გზა მთებს შორის მიიკლაკნებოდა, საშინელი აღმართ-დაღმართი სიარულს აძნელებდა, მაგრამ მგზავრი, როგორც ჩანდა, დაღლილობას სულაც არ გრძნობდა. მართალია, ფეხთ არაფერი ეცვა, მაგრამ მარდად, შეუჩერებლად მიაბიჯებდა, აქეთ-იქითაც არ იხედებოდა. ეტყობოდა, უაღრესად საჭირო საქმე მიაჩქარებდა და თვითეული დაკარგული წუთი ძვირად უღირდა.

მგზავრი ახალგაზრდა კაცი იყო, მას სწორედ ისეთი ტანისამოსი ეცვა, როგორიც წინა ღამით ხენთს. შიშველ ტანს ჯარისკაცის ისეთი-

ვე დაძენძილი ფარაჯა უფარავდა და ქამრის ნაცვლად ისეთივე თოკი ჰქონდა შემოჭერილი. აღარ ეხურა მხოლოდ ის ზანზალაკებიანი ქუჩის ქუდი, აღარც გამურული იყო და ფერად-ფერად ზოლებსაც ვეღარ შეამჩნევდით სახეზე. მზის სხივებისაგან დასაცავად თავზე ეხურა ფოთლის ყლორტებისაგან დაწნული ქუდი, გლეხები თიბვის დროს რომ იხურავენ. ეს მამაპაპური ქუდი ჰფარავდა მის ვაქკაცურ, მაგრამ ამავე დროს ნაღვლიან სახეს, რომელზეც აღშფოთებასთან ერთად მწარე უიმედობა იყო აღბეჭდილი.

უცებ რაღაც ხმაური შემოესმა, ცხენის ხვიხვინსა ჰგავდა. შეჩერდა და მიმოიხედა. ხმაური განმეორდა, მიაყურა და მიხვდა, რომ მახლობელი ხევიდან მოისმოდა. გზას გადაუხვია, ცოტა გაიარა, ერთ ბექობზე შეჩერდა და ქვევით გადაიხედა. ბალახით დაფარულ ხევში შეკაზმული ცხენი ძოვდა, შორიახლო ბუჩქებსაც მოჰკრა თვალი. მგზავრი უფრო ყურადღებით დააკვირდა და ბუჩქებთან ჩასობილი გრძელი შუბი დაინახა. შუბის წვერი მზის სხივებზე ელვარებდა. — „ჩანს, აქ ვიღაც არის, —გაიფიქრა მან, —თანაც ალბათ მარტოა, ცხენი ერთის მეტი არა ჩანს. ქურთი უნდა იყოს, შუბი და ცხენის მოკაზმულობა ქურთულია, უთუოდ სძინავს, ცხენი შეუბორკავს. შორს რომ არ წავიდეს“.

უცებ რაღაც აზრმა გაუელვა თავში და ბექობიდან სწრაფად ჩაეშვა ხევში.

ხევს პატარა მდინარე ჩაუდიოდა. მდინარის ნაპირები ლერწმით იყო დაფარული. ლერწმებს ამოეფარა და ცოცვით გაემართა ბუჩქებისაკენ, სადაც შუბი იყო ჩასობილი. გველივით მიცოცავდა. ნელი ნიავი ოდნავ არხევდა ლერწმებს, მათ შრიალში ცოცვის ხმაური აღარ ისმოდა. ყველაფერი გამარჯვებას ჰპირდებოდა... როგორც იქნა, მიაღწია ბუჩქამდე, სადაც შუბი იყო ჩასობილი. რამდენიმე ნაბიჯის დაცილებით შეჩერდა და ლერწმებიდან დაუწყო თვალყურის დევნება. მართლაც, ბუჩქების ძირში კაცი იწვა, ნახევრად მოჩანდა მხოლოდ. ტანისამოსზე ეტყობოდა, ქურთი უნდა ყოფილიყო. ჩანს, შუადღის პაპანაქება სიცხეს ჩაეყვანა იმ ხევში დასასვენებლად. ძნელი გამოსაცნობი იყო, ეძინა თუ ფხიზლობდა: პირშექცეული იწვა.

მგზავრი თავის თავშესაფრიდან უთვალთვალებდა. უზომოდ აინ-

ტერეფებდა. ფხიზლობდა ქურთი თუ ეძინა? ქურთს პირისახე მისკენ რომ ჰქონოდა, ადვილად დაინახავდა, გახელილი ჰქონდა თვალები თუ დახუჭული. მღელვარებამ შეიპყრო, სიბრაზისაგან თვალები წამოენთო. საგონებელში ჩავარდა, არ იცოდა, რა გადაწყვეტილება მიეღო. უიარაღო და შიშველ-ტიტველი, თავით ფეხამდე შეიარაღებულ მებეცს უნდა შერკინებოდა. მაგრამ საქმე უნდა მოეთავებინა... დრო გარბოდა... თვითეული წუთი ძვირად უღირდა... მაგრამ რით და როგორ უნდა მოეთავებინა საქმე?..

ამ ფიქრებში იყო წასული, რომ ქურთმა წამოიწია, იქაურობას თვალი მოავლო, თავის ცხენს გახედა და როცა დარწმუნდა, შორს არ წასულაო, თავი ისევ ხურჯინზე მიდო, რომელიც სასთუმალის მაგივრობას უწევდა. მაშასადამე, არ სძინებია, ხოლო თუ ეძინა. ახლა გამოიღვიძა. მგზავრს სახეზე კვლავ სიბრაზის ალმა გადაურბინა, ცხვირის ნესტოები დაებერა და ტუჩები აუცახცახდა. მაგრამ როცა დაინახა, რომ შუბი ქურთიდან კარგა მოშორებით იყო მიწაში ჩასობილი, სწორედ იქით, საიდაც თვითონ იყო მიმალული, ცოტა არ იყოს, დამშვიდდა; თვალებში სიხარულის ნაპერწკალი აუთამაშდა. იარაღი! —აი რა სჭირდებოდა ჩანაფიქრის განსახორციელებლად. უცებ ლერწმებიდან გააფთრებული ვეფხვივით ისკუპა, შუბს დასტაცა ხელი და თვალის დახამხამებაში მწოლარე ქურთს თავს წაადგა.

— იარაღი დაჰყარე! —შესძახა მაშინვე.

ქურთმა ჯარისკაცის დაძენძილ ფარაჯაში გახვეული უცნაური ქუდიანი ადამიანი დაინახა, ზიზღით აათვალიერ-ჩაათვალიერა, არც განძრეულა, ხელი დამბაჩისკენ წაიღო, დაუმიზნა და მიაძახა:

— აჰა, წაიღე!..

დამბაჩამ იგრიალა, მაგრამ ტყვია მგზავრს ასცდა.

— უსინდისო! მიძალიანდები კიდეც?! — მიაძახა მგზავრმა და შუბის წვერი პირდაპირ ყელში ჩასცა. ქურთს ჭრილობიდან თბილი სისხლი გადმოსკდა, თავი აუცახცახდა და მიწაზე დაუვარდა.

ქურთმა კვლავ წამოიწია, ხელმეორედ სცადა გაძალიანება, დაშნას ხელი სტაცა, ქარქაშიდან ნახევრად ამოსწია, მაგრამ ღონე გამოელია და დაშნა ქარქაშშივე ჩარჩა.

— რატომ მკლავ, ძაღლო?.. — შეეკითხა სულთმობრძავი ქურთი.

— შენ ბევრი სომეხი მოგიკლავს... ბევრი გაგიძარცვავს, კაცის კვლა თქვენგან ვისწავლე... ძარცვა-გლეჯაც თქვენგან შევითვისე... მე შორი გზა მაქვს გასავლელი... ხომ ხედავ, არც ტანსაცმელი მაქვს და არც იარაღი, არც ცხენი მყავს. შენი ტანსაცმელი, იარაღი და, აგერ, ის კოხტა ცხენი, ბალახს რომ ძოვს, მე მჭირდება... ვიცოდი, ცოცხალი თავით არაფერს დამანებებდი, სწორედ ამიტომ ჩაგაძალე. ვინ იცის, ბაიაზეთში ძარცვა-გლეჯას მოგაცდინე... მაგრამ ნუ ჯავრობ, შენი ძმა-ბიჭები უქმად არ არიან იქ...

ქურთს აღარაფერი ესმოდა. უსულოდ ეგდო მიწაზე.

ყველაფერი ეს სულ რამდენიმე წუთში მოხდა. მგზავრმა თავის მსხვერპლს ტანისამოსი გააძრო, გვამი ლერწმიანში დამალა და ზედ თავისი დაძენძილი სამოსი დააფარა. თვითონ მის ტანსაცმელში გამოეწყო, იარაღი აისხა, მშვენიერ ლურჯას მოახტა და მოქუსლა.

## თავი მეოთხე

ამ შემთხვევიდან ერთი დღის შემდეგ ქურთის ტანსაცმელში გამოწყობილი მხედარი ფრინველივით შეიჭრა ტერ-ღუკასოვის ბანაკში და განაცხადა, გენერლის სახელზე ერთობ მნიშვნელოვანი წერილი მაქვსო. გენერლის კარვისაკენ წაიყვანეს. მხედარმა წერილი ერთი ოფიცრის ხელით გენერალს შეუგზავნა, თვითონ კი გაოფლიანებულ ცხენს მიხედა. რამდენიმე წუთის შემდეგ გენერალთან გამოუძახეს.

კარავში მაგიდას უჯდა შუატანის ჩაფსკვნილი სამხედრო პირი, რომლის სახეზე ლომის გამბედაობა ისახებოდა. ეს თვით გენერალი ტერ-ღუკასოვი იყო. გაჭაღარავებული თავი დაეხარა და ახლად გახსნილ წერილებს მისჩერებოდა, მერე ხელში აიღო ერთი წერილი და კითხვას შეუდგა, თან გამუდმებით პაპიროსს ეწეოდა. მისი მოუსვენარი სახე სულის მღელვარებასა და ღრმა მწუხარებას გამოხატავდა. წერილის მომტანს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— სომეხი ხარ?

— დიახ, სომეხი ვარ, მღვდლის შვილი, —მიუგო ჭაბუკმა.

გენერალმა გამჭრიახი თვალი შეავლო ჭაბუკის გაბედულ სახეს და გამოკითხვა განაგრძო:

— ციხე-სიმაგრეში პური აქვთ?

— რამდენიმე დღეში ერთმანეთს დასჭამენ ან შიმშილით დაიხოცებიან.

— წყლის მხრივ როგორ არის საქმე?

— წყალი არა აქვთ. გარედან თუ მოიტანენ. დღისით გარეთ გასვლა შეუძლებელია, საღამოს კი, როგორც დაბნელდება, ათიოცი კაცი რიგრიგობით ჩადის ციხე-სიმაგრიდან წყლის მოსატანად. ქურთებმა ეს კარგად იციან, შორიდან თოფებს უშენენ და ხშირად წყალზე წასულთაგან ერთი კაციც ვეღარ ბრუნდება უკან.

— ტყვია-წამლის მარაგის საქმე როგორ არის?

— გაუთავდათ, მაგრამ ერთმა სომეხმა, ღმერთმა ააშენოს, თურქთა მიერ ციხე-სიმაგრეში დამალული საკმაო რაოდენობის იარაღი და ტყვია-წამალი იპოვა, ჯერჯერობით იმით მიდიან იოლად.

— შენ როგორღა მოახერხე ციხე-სიმაგრიდან გამოსვლა?

— გათენებისას, მზის ამოსვლამდე, ციხე-სიმაგრის გალავნიდან ჩამოვცოცდი და პირდაპირ ქურთების ბანაკისაკენ გავწიე. მთელი დღე სიმღერებით და ცეკვა-თამაშით ვართობდი, ვაცინებდი, ვამხიარულებდი და ათასგვარ ოინებს ვიგონებდი. ყველგან ვიყავი, ყველაფერი შევიტყვე, შემდეგ ყველას დავემშვიდობე და წამოვედი.

გენერალმა გაოცებით შეხედა და ჰკითხა:

— სულელი ხომ არა ხარ, რას ლაპარაკობ?

— დიახ, ბატონო, — წყნარად მიუგო ჭაბუკმა: — ბედმა წილად მარგუნა მთელი სიცოცხლე სულელის როლს ვასრულებდე... ეს ცუდი როდია, ამან ბევრ ხიფათს გადამარჩინა. აი, ამ შემთხვევაშიც თავი მოვისულელე და ისე შევაღწიე ქურთების ბანაკში.

ჭაბუკმა აუწერა თავისი სამოსელი და უამბო ყველა იმ ჯამბაზურ ხერხებზე, რომელთა საშუალებითაც ქურთების ბანაკში მოხვდა.

გენერლის გამშრალ სახეს თითქოს ღიმილმა გადაჰკრა. მან მეგობრულად ჰკითხა:

— ქურთების ეგ სამოსი სადღა იშოვე?

— ღმერთმა მიბოძა. გზაში ერთი ქურთი შემხვდა და იმას წავართვი ეს სამოსი, იარაღი და ის ლამაზი ცხენი, გარეთ რომ მყავს დაბმული, — მიუგო ჭაბუკმა და დაწვრილებით მოახსენა ქურთის მოკვლის ამბავი.

— გულადი ყმაწვილი ყოფილხარ, — უთხრა გენერალმა. შემდეგ ისევ შეწუხება აღებეჭდა სახეზე და იკითხა:

— ქურთები ბევრნი არიან?

— ამბობენ, ოცი ათასზე მეტიო, მაგრამ ყველა როდია ქურთი, მაჰმადიანთა სხვადასხვა ტომებიც ურევია. ვისაც კი ცოტა იარაღი ჰქონია და ცხენი ჰყოლია, ყველა ბაიაზეთის დასალაშქრად წამოსულა და, ამრიგად, ურიცხვი ჯარი შემდგარა. გზად მომავალს სულ ახალ-ახალი რაზმები მხვდებოდა.

— ზარბაზნები აქვთ?

— აქვთ.

— რას აპირებენ?

— ბაიაზეთის ციხე-სიმაგრის აღებას ჩქარობენ, შემდეგ სურთ ერევანს დაეცნენ, ერთი კვირის შემდეგ კი თბილისში ამოჰყონ თავი, რადგან ძალიან მოსწონთ მშვენიერი ქართველი და სომეხი ქალიშვილები.

გენერალმა ოდნავ გაიღიმა და აგდებულად ჰკითხა:

— მერედა ოციათასიანი ჯარით აპირებენ თბილისზე გალაშქრებას? ეგ ხომ წარმოუდგენელია...

— ოცი ათასი კაცი ცოტა როდია, თქვენო აღმატებულებავ, როცა მოწინააღმდეგეს ათასი ჯარისკაციც არა ჰყავს... გარდა ამისა, მალე მათ შეუერთდებიან ისმაილ-ფაშას დანარჩენი ჯარებიც. ადგილობრივი მაჰმადიანები კი სულმოუთქმელად, სიხარულით ელიან თავიანთ თანამორწმუნეებს.

გენერლის სახეს მწარე ნაღველი შავი ღრუბლებივით გადაეკრა, იგი მღელვარებამ შეიპყრო. შუბლზე ხელი მიიდო და უნებლიეთ სრესა დაუწყო, თითქოს ცდილობდა მოწოლილი მძიმე ფიქრები გაეფანტა. ერთ წუთს ჩაფიქრდა, შემდეგ ჭაღარა თავი მაღლა ასწია და ჰკითხა:

— თვით ბაიაზეთში იყავი?

— დიახ, მაგრამ ქალაქში ვერც ერთ ქრისტიან სომეხს ვეღარ ნახავთ. მოხუცები და ბავშვები სულ დახოცეს, ლამაზ-ლამაზი ქალები. ქალიშვილები და ჰაბუკები ტყვედ წაიყვანეს, სახლები გაძარცვეს და გადაბუგეს. მხოლოდ ასიოდე ოჯახმა, რომლებმაც ადრევე იცოდნენ, რა საშიშროება მოელოდა ბაიაზეთს, ქურთების შემოსევამდე მოასწრო გაქცევა და თავი ქალაქ მაგუს შეაფარა. ახლა საშიშროება აღარ მოელით, მაგრამ მთელი მათი ქონება მტერს დარჩა. ეჰ, რომ იცოდეთ, რა უსულგულოდ, უპატიოსნოდ მოექცნენ ადგილობრივი მაჰმადიანები სომხებს!

— როგორ?

—ომი რომ დაიწყო და რუსები ბაიაზეთს მიადგნენ, ადგილობრივი მაჰმადიანები შიშმა აიტანა, საგონებელში ჩავარდნენ, ვაითუ თურქებივით რუსებმაც წაგვართვან ყველაფერი და დაგვარბიონო. ამიტომ მთელი თავიანთი ქონება მეზობელ სომეხთა სახლებში დამალეს. თქვენ ქრისტიანები ხართ, — ეუბნებოდნენ მათ, — რუსები ხელს არ გახლებენ და ჩვენი ქონება უვნებელი დარჩებაო. რუსები მართლაც ასე მოიქცნენ, მათ არც ქრიატიანებისა და არც მაჰმადიანებისათვის არაფერი დაუშავებიათ. მაჰმადიანები დამშვიდდნენ და თავიანთი ქონება სომხებისაგან უკან დაიბრუნეს. ახლა კი, როცა ხმა დაირხა, ქურთები მოდიანო, მაჰმადიანებმა თავიანთ მეზობელ სომხებს უთხრეს, სიკეთე სიკეთით გვსურს გადაგიხადოთო: ქურთები თქვენს ასაკლებად მოდიან, თქვენი ქონება მოგვაბარეთ, შეგინახავთო. სომხებმა დაუჯერეს და რაც გააჩნდათ, ყველაფერი მიაბარეს, ზოგიერთმა კი ცოლ-შვილით შეაფარა თავი იმათ სახლებს. მაგრამ როცა ქურთები ქალაქში შევიდნენ, მაჰმადიანებმა სომხებს გამოუცხადეს: დატოვეთ ჩვენი სახლები, ქურთები რომ შეიტყობენ, სომხები ჩვენს სახლებში იმალებიან, თქვენთან ერთად გაგვჟლეტენო. ამრიგად, უბედური სომხები მტერს ჩაუგდეს ხელში, მათ ქონებას კი თვითონ დაეპატრონენ.

გენერალი მდუმარედ უსმენდა. ჰაბუკმა განაგრძო:

— ეჰ, თქვენ რომ იცოდეთ, ბატონო, რამდენი მშვენიერი ვაჟკაცი დაილუპა ბაიაზეთისათვის ქურთებთან გაჩაღებულ ბრძოლებში! როგორც მოგეხსენებათ, ციხე-სიმაგრის დასაცავად დატოვებული იყო რუს ჯარისკაცთა პატარა გარნიზონი სომეხთა და თურქთა

მილიციასთან ერთად, ბაიაზეთის გმირი შტოკვიჩი რუსი ჯარისკაცებით ციხე-სიმაგრეს იცავდა, ხოლო მილიცია — ქალაქს. ჩვენამდე ადრევე მოაღწია ცნობამ, რომ ქურთების უთვალავი რაზმები შეიხების ჯალალედინისა და იბადულაჰის მეთაურობით ბაიაზეთისკენ მოეშურებოდნენ. ამის შესახებ ვანის სომხები გვატყობინებდნენ. ჩვენ მოვითხოვეთ, რათა ციხე-სიმაგრე სასწრაფოდ გაემაგრებინათ და მთელი ძალები მტრის შემოსევის მოსაგერიებლად დაეჯაზმათ, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც გვარწმუნებდნენ, ეს ცნობები ყალბია და არავითარი მზადება საჭირო არ არისო. თუ რატომ ცდილობდნენ მოღალატენი, მტრის შემოსევას მოუმზადებელი შევხვედროდით, ამის თქმა მიჭირს. ცხადია, თქვენ, ბატონო გენერალო, ბოლოს ყველაფერს შეიტყობთ, ახლა კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ სომხები ყოველთვის რუსების ერთგულნი იყვნენ.

ეტყობოდა, ჭაბუკს უჭირდა ყველაფრის თქმა.

— შენ ის მიამბე, როგორ იცავდით ბაიაზეთს?

— როცა ქურთები დაგვეცნენ, შტოკვიჩმა რამდენიმე წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ იჩქარა ციხე-სიმაგრეში დაბანაკება, რათა ის მაინც გადაერჩინა. მილიციის ერთი ნაწილი ქალაქში დარჩა, რადგან ციხე-სიმაგრეში არც საკმაო ადგილი იყო და არც სურსათი. ზოგიერთი თურქი მილიციელი იგდირსა და სპარსეთში გაიქცა. ჩვენ, სომხებმა კი გადავწყვიტეთ, არ დაგვეთმო ქალაქი მტრისათვის, თუნდაც ყველანი დავხოცილიყავით. მართალია, ცოტანი ვიყავით, მაგრამ ქალაქში მცხოვრებ სომეხთაგან ბევრნი მზად იყვნენ მხარში ამოგვდგომოდნენ; საბრალოებს კარგად ესმოდათ, რა უბედურებაც მოელოდათ, თუ ქალაქს კვლავ თურქები ჩაიგდებდნენ ხელში. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, გენერალო, რა სიხარულით შეხვდნენ სომხები რუსეთის ძლევამოსილ ჯარებს, როცა ისინი პირველად შემოვიდნენ ბაიაზეთში. ოსმალები ამას არ დაივიწყებენ და არც გვაპატიებენ. შურს იძიებენ ხალხზე, რომელმაც თურქეთის ნახევარმთვარეს რუსეთის არწივი ამჯობინა...

—ჩემს კითხვას გვერდს ნუ უვლი, — შეაწყვეტინა გენერალმა, — ის მითხარ, საქმე რით დამთავრდა?

ჭაბუკმა დაიოკა გულშემზარავი მოგონებებით გამოწვეული მღელვარება და განაგრძო:

— შესაძლოა ქალაქი და იქ მცხოვრები სომხები კიდევაც გადაგვერჩინა, ხალხს იარაღი რომ ჰქონოდა, თუმცა ბევრი მათგანი მაინც შემოგვიერთდა. პირველ ხანებში, მართალი რომ გითხრათ, დიდებულად ვიბრძოდით. ჩვენი ერთი პატარა რაზმი მტრის უთვალავ ჯარს უმკლავდებოდა. ჩვენს მხარდამხარ იბრძოდნენ თურქი მოხალისეებიც. მაგრამ, უცებ შევნიშნეთ, რომ ჩვენმა მაჰმადიანმა მეგობრებმა ბძოლის ველი მიატოვეს და გაიქცნენ. როგორც ჩანს, მათ მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებოდათ თანამორწმუნეთათვის ტყვიის დაშენა... ჩვენ, სომხები, მარტონი დავრჩით და კარგა ხანს გმირულად ვიცავდით თავს. სროლა რამდენიმე საათს გაგრძელდა, ტყვიაწამალი რომ შემოგველია, ხელჩართული ბრძოლა გავაჩაღეთ. ბევრი დაეცა ბრძოლის ველზე, ბევრიც მტერს ტყვედ ჩაუვარდა. დანარჩენებმა კი, როცა ნახეს, ამაო იყო წინააღმდეგობა, ბრძოლის ველი მიატოვეს და გაიქცნენ. მხოლოდ ამის შემდეგ დაიპყრო მტერმა ქალაქი.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა გენერალმა.

გენერალი ფეხზე წამოდგა, ყუთიდან ერთი ჯვარი ამოიღო და ჭაბუკს თავისი ხელით მკერდზე ჩამოჰკიდა.

— შენ ეს დაიმსახურე, — უთხრა მან, — ვიშუამდგომლებ სარდლობის წინაშე წოდება მოგანიჭონ და დაგაჯილდოვონ. დღეიდან კი ჩემთან დარჩები, შენისთანა გმირები მჭირდება.

ჭაბუკმა მადლობის ნიშნად თავი დახარა და უპასუხა:

— ეს ჯვარიც კმარა ჩემთვის. თქვენი დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ახლავე ნებას დამრთავთ წავიდე სადაც მსურს.

ჭაბუკის თავმდაბლობამ გენერალი განაცვიფრა.

— სად მიიჩქარი? — ჰკითხა მან.

— უნდა გადავარჩინო ერთი ადამიანი, რომელიც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია ამქვეყნად.

— შენ, ალბათ, რაიმე საიდუმლოება გაქვს, მეგობარო, — გულკეთილად უთხრა გენერალმა.

— დიახ, ეს ჩემი გულის საიდუმლოებაა...

— მაშინ ეს მცირე საჩუქარი მაინც გამომართვი, შესაძლოა დაგჭირდეს, — უთხრა გენერალმა და ოქროს ფულით სავსე პატარა ქისა უბოძა.

— ჩემთვის დიდი საჩუქარი იქნება, თუ მალე გამათავისუფლებთ, — უპასუხა ჭაბუკმა და საჩუქარზე უარი მოახსენა.

— მაშ, წადი, ღმერთი იყოს შენი შემწე! — უთხრა გენერალმა და ხელი ჩამოართვა.

ჭაბუკმა თავი დაუკრა და წავიდა.

## თავი მეხუთე

ახლა კი დავუბრუნდეთ ომამდე რამდენიმე წლით ადრე მომხდარ ამბებს.

ბაგრევანდის მაზრაში, წმიდა იოანეს (უჩ-ქილისას) მონასტრის მახლობლად, ეფრატის ერთ-ერთი ზემო ტოტის ნაპირას მდებარეობდა სომხებით დასახლებული ერთი სოფელი ო... ეს სოფელი გაშენებული იყო ვრცელ ხეობაში, რომელიც ბუნებას უხვად დაეჯილდოებინა სილამაზით. ორ მთაგრეხილს შორის გადაჭიმული ხეობა გულში ჩაეკრა დათოვლილ მწვერვალებს. ხეობის შუაგულში მიიკლაკნებოდა მდინარე ეფრატის პატარა ტოტი. ამ ტოტს ადგილობრივი მცხოვრებნი „აღ-სუს“, ესე იგი „თეთრ წყალს“ უწოდებდნენ. მდინარე ისეთი ანკარა იყო, რომ ასეთი სახელწოდება ნამდვილად შეეფერებოდა. მთებზე ვრცელი საძოვრები იყო შეფენილი, სოფლელთა ურიცხვი საქონელი აქ ბალახობდა, ხეობის ველმინდვრები კი დაფარული იყო ხორბლისა და ქერის ყანებით. გამრჯე კაცის მარჯვენას დაუმუშავებელი არ დაეტოვებინა არც ერთი მტკავული მიწა. ხეობაში ერთი მეორის დაშორებით იყო სომხებით დასახლებული რამდენიმე სოფელი. ვენახებსა და ხეხილის ბაღებში ჩაფლული სოფლები შორიდან ამწვანებულ კუნძულებს წააგავდნენ.

სოფელი ო... გაშენებული იყო ხეობის განაპირას, ზედ ხევთან. მამასახლის ხაჩოს (მისი ნამდვილი სახელი ხაჩატური იყო) სახლი სოფელში ყველაზე დიდი და ყველაზე მდიდარი იყო. ყოველ დილას მის ეზოდან საძოვრად ას სულზე მეტი საქონელი გადიოდა. მთელ სოფელში თითით საჩვენებელი ძროხები, ხარ-კამეჩი და ცხენები ჰყავდა. მის ცხვრის ფარებს დაქირავებული მწყემსები აძოვებდნენ მახ-

ლობელ მთებზე. ხაჩოს ოჯახს ეკუთვნოდა ზეთსახდელი ქარხანა და სოფლის განაპირას აგებული მშვენიერი წისქვილი, რომლის ბორბლები მთელი წლის მანძილზე გამუდმებით ბრუნავდნენ.

მაგრამ ხაჩოს მთავარი სიმდიდრე, ოჯახის დასაყრდენი მისი შვიდი ვაჟიშვილი იყო. ხაჩოს ვაჟიშვილები დაოჯახებული იყვნენ. ცოლ-შვილი ჰყავდა ხაჩოს რამდენიმე შვილიშვილსაც, ამიტომ სახლი სავსე იყო ბავშვებით. მოხუცი ხაჩოს თვალწინ წამოიზარდა რამდენიმე თაობა, რომლებიც ცხოვრობდნენ ერთად და ერთ პატარა სამყაროს შეადგენდნენ. სოფელში ანდაზასავით ამბობდნენ: ხაჩოს იმდენი ბავშვი ჰყავს, რამდენიც პირუტყვიო.

ხაჩოს შვიდი ვაჟიშვილიდან უცოლო მხოლოდ ყველაზე უმცროსი, სტეფანიკი იყო, რომელსაც ეს-ესაა თექვსმეტი წელი შესრულებოდა. მაგრამ თუ დააკვირდებოდით, შეამჩნევდით, რომ მას ჯერ კიდევ არ მიეღწია იმ მოწიფულობისათვის, რაც მის ასაკს შეეფერებოდა. სამხრეთში ყმაწვილები ადრე ჭაბუკდებიან, სტეფანიკი კი ბავშვივით ნაზი და ეშხიანი იყო, გოგოს უფრო ჰგავდა.

ხაჩოს ყველა ვაჟიშვილს ოჯახში თავისი მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული, ერთნი მიწას ამუშავებდნენ, მეორენი პირუტყვს უვლიდნენ და შინ იშვიათად იყვნენ. მხოლოდ სტეფანიკს არ ამუშავებდნენ, მოხუცი მამა მშვენიერი იოსებივით არ იშორებდა თვალიდან.

სტეფანიკი მართლა ჰგავდა მშვენიერ იოსებს, არა მარტო იმიტომ, რომ ისრაელის ძესავით ლამაზი, ნაზი და ჭკვიანი იყო, არამედ იმიტომაც, რომ იოსების მსგავსად ძმებისგან ჩაცმა-მორთულობითაც გამოირჩეოდა. მუდამ მხიარული ფერის ალეპოს ატლასისაგან შეკერილი ზოლებიანი ფერადი ახალუხი ეცვა, ახალუხს უმშვენებდა ატმისფერი მაუდის წამოსასხამი, რომელიც ოქრომკედით იყო მოქარგული. წელზე ქირმანის შალის ქამარი ჰქონდა შემორტყმული. მისი განიერი შარვალი ვანის რბილი შალისაგან იყო შეკერილი.

ფეხთ არზრუმის წითელი ფეხსაცმელი ეცვა. თავზე შავი აბრეშუმის ფუნჯიანი წითელი ფესი ეხურა, ფესს ფარჩის ბალდადი ჰქონდა შემოხვეული. ფესის ქვევიდან მოუჩანდა მშვენიერი წაბლისფერი თმა. მშვენიერი იოსებისაგან სტეფანიკი მხოლოდ იმით განსხ-

ვავდებოდა, რომ იოსების ძმები მამის საყვარელ შვილს შურის თვალით უყურებდნენ, სტეფანიკი კი ძმების სათაყვანებელი იყო.

მოხუცი ხაჩოს სახლი შორიდან ნამდვილ ძველებურ ციხედარბაზს მოგაგონებდათ. სახლი მაღლობ ადგილზე იდგა და ისე იყო აგებული, რომ იქ მცხოვრებთ გარეშე მტრის შიში არ ჰქონდათ. სახლს ოთხივე მხრიდან მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. შორიდან გალავნის ოთხივე კუთხეში დატანებული ოთხი მაღალი ბურჯის მეტს ვერაფერს დაინახავდით. ეზოში იყო სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობა: ფარეხი, თავლა, ბოსელი, გომური, სამეურნეო იარაღის შესანახი ფარდული, აგრეთვე მარანი, ბეღელი, საბძელი. იქვე იყო შენობები, რომლებშიც ცხოვრობდნენ მოხუცი ხაჩოს მწყემსები და მოჯამაგირეები თავიანთი ოჯახებით. ისინი ყველანი ქურთები იყვნენ: მწყემსებისა და მოჯამაგირეების ცოლები ხაჩოსთან მოახლეებად მუშაობდნენ. ერთი სიტყვით, გალავანს შიგნით ცხოვრობდა მთელი სოფელი, რომლის ბატონ-პატრონი მოხუცი ხაჩო იყო. მამასახლისის სახლი ნაკლებად ჰგავდა თანამედროვე შენობებს. მას ძველებური ჩარდახის ელფერი შემორჩენოდა, უწინ ასეთ ჩარდახებში გაუყოფლად ცხოვრობდა ერთი დიდი ოჯახი. ახლა ხაჩოს ძველებური ჩარდახის ნაცვლად ქვით ნაგები შენობა ედგა.

ხაჩოს ვაჟიშვილები თავიანთი ცოლ-შვილით ერთ ჭერქვეშ, ოთხი კედლით შემოფარგლულ და უშველებელი კოჭებით დახურულ ერთ დიდ ოთახში ცხოვრობდნენ. ისინი აქ ანთებდნენ ცეცხლს, აცხობდნენ პურს, ამზადებდნენ საჭმელს, პურს სჭამდნენ და აქვე იძინებდნენ. ბავშვებთან ერთად, რომლებიც იქაურობას იკლებდნენ, ოთახში დაბორიალებდნენ ხბოები, ციკნები და ქათმები. ერთი სიტყვით, ხაჩოს სახლი ნოეს კიდობანს ჰგავდა.

ამ ოთახის გვერდით ერთი სხვა ოთახიც იყო. იგი პირველისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ წინა მხარე მთლად ღია ჰქონდა და ეზოში გადიოდა. ეს იყო დერეფანი, სადაც ზაფხულობით ცხოვრობდნენ. დერეფანს მთავარ ოთახში შესასვლელი კარი ჰქონდა. მის გვერდით იყო ერთი პატარა ოთახი, რომელსაც ოდას უწოდებდნენ: მისი კარები მხოლოდ მაშინ იღებოდა, როცა სტუმარი მოუვიდოდათ.

# თავი მეექვსე

მიუხედავად უბრალო და სადა ყოფა-ცხოვრებისა, ამ პატრიარქალურ ოჯახში ბედნიერება სუფევდა და ბარაქა დუღდა. აქ დაუღალავად შრომობდნენ და ღმერთიც თავის მოწყალებას არ აკლებდა გამრჯე ხალხს. მოხუცი ხაჩოს ბეღლები მუდამ სავსე იყო ხორბლით, ერბო-კარაქით და ღვინით. წელიწადის ყოველ დროს, სიცხეში თუ სიცივეში მას საქმე არ ელეოდა.

აი, მთებზე უკვე იწყო თოვლმა ლხობა, მწვანედ ახასხასდა და აბიბინდა ველ-მინდორი. გაზაფხული დადგა.

საამური სურნელებით გაჟღენთილი თბილი ჰაერი ირგვლივ ყველაფერს სიცოცხლეს ანიჭებს. მთებიდან მოჩუხჩუხე, გველივით დაკლაკნილი ნაკადულები ხეობას ეფინებიან. პირველი მერცხალი ტკბილი ჭიკჭიკით მშრომელებს საქმისაკენ მოუწოდებს. ხაჩოს ვაჟიშვილებსაც მოუმზადებიათ გუთანი და სახნისი.

მზე ამოვიდა და მისი ვარდისფერი სხივები მთების თოვლიან მწვერვალებს მოეფინა. დილის წირვიდან დაბრუნებული მოხუცი ხაჩო გზაში ვისაც კი შეხვდებოდა, ყველას ლოცავდა „ღმერთი გწყალობდეთო“.

მისმა ვაჟიშვილებმა დღეს პირველად უნდა გამორეკონ ხარკამეჩი, რომლებიც მთელი ზამთარი ბნელ სადგომებში იყვნენ, დაისვენეს და დასუქდნენ. ამის დანახვა გლეხს მუდამ დიდ სიხარულს ჰგვრის. ამიტომაც ხაჩოს სახლის წინ მრავალ სოფლელს მოეყარა თავი, რათა ენახათ, როგორ გამოიზამთრა მისმა პირუტყვმა.

— შენს თვალს სინათლე, მამასახლისო, — მიმართა ხაჩოს ერთმა გლეხმა, — შენი შვილები დღეს აპირებენ საქონლის გამორეკვას?

— ჰო, დრო არის, როდემდე უნდა იყვნენ დამწყვდეული? მღვდელმა მითხრა, „კეთილი დღეაო“, მეც გადავწყვიტე დღეს გამოვარეკინო, — მიუგო მამასახლისმა, თან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მღვდლის სიტყვებს. ამ დროს ეზოდან ზარის ხმა მოისმა. ხალხმა უკან დაიხია, რათა საქონლისთვის გზა მიეცა.

— ეს ჩორაა! — გაისმა ყოველი მხრიდან.

ჩორა ერქვა მამასახლისის ერთ-ერთ შესანიშნავ კამეჩს, რომელსაც შუბლზე მთვარისებრი თეთრი ნიშანი ჰქონდა და არაჩვეულებრივი ღონით გამოირჩეოდა.

ეს გოლიათი პირუტყვი ბოსლიდან ფშვინვითა და ღმუილით გამოვარდა. მის ფეხთ ქვეშ მიწას ზანზარი გაჰქონდა. უცებ სახლის წინ მოედანზე შეჩერდა, თავი მაღლა ასწია და აქეთ-იქით მიმოიხედა. მაშინვე მოხუცმა მამასახლისმა შუბლზე უმი კვერცხი მიახალა. კვერცხი გატყდა და ჩორას თეთრ შუბლზე ყვითლად ჩამოედინა. ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ კამეჩს ავი სული არ მიჰკარებოდა და „თვალი არავის ეკრა“.

ჩორა გახელდა, თავი გააქნია და ერთი ნახტომით შეკრებილთა წინ გაჩნდა. მაგრამ მიუსწრეს ხაჩოს ვაჟიშვილებმა და მსხვილი კეტები დაუშინეს.

ბნელი ბოსლიდან გამოსულ ჩორას სინათლე ეხამუშა, ყველაფერი ბუნდად ეჩვენებოდა. ის ველარ ცნობდა თავის პატრონებს, იმ ადამიანებს, ვინც მთელ ზამთარს ჰკვებავდა, ვისაც თვითონვე ულოკავდა ხელებს.

გაავზნებული ჩორა აქეთ-იქით ეხეთქებოდა. გაუჭირდათ მისი დამორჩილება. ხაჩოს ვაჟიშვილები ყოველი მხრიდან კეტს ურტყამდნენ, მაგრამ ჩორას კეტები წკეპლად ეჩვენებოდა. მოხუცი ხაჩო შორიდან სიამოვნებით ადევნებდა თვალს ამ მძაფრ ბრძოლას, რომელიც თვით გამოჩენილ რომაელ გლადიატორსაც კი მოუხვეჭდა სახელს. მის თვალწინ ერთმანეთს შეერკინა ორი დიდი ძალა — მისი შვილების ვაჟკაცობა და გაავზნებული პირუტყვის გაშმაგება. ხაჩოს შვილებიც და პირუტყვიც ძვირად უღირდა. ამ ორ ძალას ემყარებოდა მამასახლისის მეურნეობის მთელი კეთილდღეობა.

ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა, რადგან ჩორას ყელზე შებმული მსხვილი ჯაჭვი ჩამოწყდა და ჯაჭვზე გამობმული. ჯირკი კამეჩს აღარ ბორკავდა. გლეხები თოკებით მისცვივდნენ ჩორას. მაგრამ გაავებულმა პირუტყვმა თოკები ოოლად დაწყვიტა. შეშინებული ხალხი აქეთ-იქით გაიფანტა. ამ დროს იქ მყოფნი ერთი საოცარი გმირობის მოწმენი გახდნენ. მოხუცი მამასახლისის შუათანა შვილმა აპომ ლომის გამბედაობით ისკუპა და ჩორას კუდზე დაეჭიდა.

გაავზნებული პირუტყვი პირველად თითქოს შეცბუნდა. მერე შემოტრიალება სცადა, რომ მოწინააღმდეგე რქებზე წამოეგო. ჩორამ და აპომ რამდენიმეჯერ წრე შემოხაზეს. ჩორა შებრუნებას ცდილობდა, მაგრამ აპოს მაგრა ეჭირა კუდი და ჩორასთან ერთად წრეს უვლიდა. ორთაბრძოლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ყოველი მხრიდან გაისმოდა შეშფოთებული შეძახილები, გააფთრებული პირუტყვი საშინლად ღმუოდა და ფეხებით მიწას თხრიდა. ისეთი კორიანტელი დადგა, რომ მტვერმა მოწინააღმდეგენი მთლად დაფარა. ბოლოს, როგორც იქნა, აპოს ძმებმა პირუტყვი ჯაჭვებით შებოჭეს. ყველამ შვებით ამოისუნთქა.

მოხუცი მამასახლისი აპოსთან მივიდა, შუბლზე აკოცა და უთხრა: — ღმერთმა გიშველოს, შვილო, დღეს დიდ სირცხვილს გადამარჩინე.

შემდეგ ჩორასთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— აი, შე ყაჩაღანა, რამ გაგაგიჟა?

ჩორა უკვე დაწყნარებულიყო, თვალებიდანაც ბინდი გადაჰყროდა. ახლა უკვე სცნობდა პატრონებს და თითქოს ნანობდა, რომ ასე გაავდა. კამეჩს ისევ შეაბეს ჯირკი და მდინარისაკენ გადენეს, რომ დაებანათ და ცივი წყლით გაეგრილებინათ.

გლეხები ხაჩოს ეზოს არ სცილდებოდნენ, ახლა სხვა კამეჩები უნდა გამოერეკათ. ამჯერად ხაჩოს ვაჟიშვილები უფრო წინდახედულად მოიქცნენ და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ეზოში რიგრიგობით გამოყავდათ ლამაზი, ჯანსაღი და ჩასუქებული პირუტყვი, თვითეულ მათგანს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე პირველი ჯილდო შეეძლო დაემსახურებინა. მამასახლისი სიამოვნებით შეჰყურებდა მათ და შუბლზე კვერცხს ახლიდა ხოლმე. გარდა ამისა, პირუტყვს გულზე ჰკიდებდა მღვდლის ხელით დაწერილ და მწვანე ტყავში გამოკრულ ლოცვას.

გლეხები აქებდნენ ხაჩოს ვაჟიშვილებს, რა ჩინებულად უვლიან საქონელსო. შვილების ქება მამასახლისს გულს უხარებდა.

იმ დღიდან მოყოლებული საქონელი ყოველ დილას გამოჰყავდათ ბოსლიდან, აჩვევდნენ სუფთა ჰაერსა და დღის სინათლეს, მალე ხვნა-თესვა უნდა დაწყებულიყო.

# თავი მეშვიდე

აპრილს თან თბილი და ნათელი დღეები მოჰყვა. მთის კალთებზე კარგა ხანია აყვავებულიყო წითელი, ყვითელი და თეთრი შროშანები. ქურთის გოგონები ამ ყვავილების თაიგულებს ჰკონავდნენ, სომხურ სოფლებში დაატარებდნენ და თითო ნატეხ პურზე სცვლიდნენ. ამ წელს მთებში ისე უხვად იხარა სოკომ, სატაცურმა, არჯაკელმა და სხვადასხვა ფხალეულმა, რომ ქურთის ქალებს ვირებით ჩამოჰქონდათ და ერთ საპალნეს რამდენიმე გირვანქა ფქვილზე სცვლიდნენ.

ხაჩოს ვაჟიშვილებს უკვე ხვნა დაეწყოთ. მინდვრად ყველგან გაჩაღებული იყო მუშაობა, სოფელში ვერც ერთ კაცს უქმად ვერ ნახავდით, ყველა თავის საქმეს შესდგომოდა.

დილა იყო. მოხუცის სახლში ქურები გაეხურებინათ. ზოგ მათგანზე დიდ ქვაბებსა და ქოთნებში საჭმელს ამზადებდნენ, ზოგზე პურს აცხობდნენ. ქურებთან რძლები და მოახლე ქალები ფუსფუსებდნენ. სახლში საჭამადის სასიამოვნო სუნი იდგა, მნახველს ეგონებოდა, საჭმელს ჯარს უმზადებენო. მართლაც, მოხუცი ხაჩოს მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად თავიანთი ცოლ-შვილით სადილობდნენ მწყემსებიცა და მოჯამაგირეებიც. ქურებს ყოველდღიურად ახურებდნენ, საჭმელიც მუდამ დიდი რაოდენობით იხარშებოდა. მოხუცის გამრჯე რძლებს ერთი წუთით მოსვენება არა ჰქონდათ, ყველაფერზე დროულად უნდა ეზრუნათ, ყველას გული მოეგოთ.

გარდა ამისა, ოჯახში ბევრი სხვა საქმეც იყო გასაკეთებელი. აგერ, ეზოში ერთი რძალი ძროხებსა და ცხვრებს წველის, მეორე მაწვნის ჩასადედებლად რძეს ადუღებს, მესამეს ყველი ამოჰყავს, მეოთხე კარაქს დღეებავს. მათ გარშემო ბავშვები დარბიან, ხბოებსა და ბატკნებს ეთამაშებიან. რა სასიამოვნოა ასეთი სოფლური იდილია: ერთად დახტიან, ერთად იზრდებიან ბავშვიც და ბატკანიც — ორი სიმდიდრე, გლეხკაცის სიხარული და სიამაყე.

ეზოს აღმოსავლეთ მხარეს, კედლის ძირას, ერთი მეორის მიყოლებით ჩამწკრივებულია ფუტკრის რამდენიმე ასეული სკა. აპრილის მზის თბილი სხივები უხვად ეფინება საფუტკრეს. ვიღრე რძლები საქმით არიან გართული, მოხუცი ხაჩო ჩაუვლის სკებს და

ფუტკარს კარს უღებს. ფუტკრები სიხარულით ტოვებენ სკებს და ბზუილით გარს უვლიან მოხუცის გაჭაღარავებულ თავს. აუარებელ ფუტკარში ისეთებიც ურევია, რომლებიც მოხუცს დანაოჭებულ სახეზე კბენენ. ის კი არ გრძნობს ტკივილს, ხელით იგერიებს ამ აბეზარებს და ღიმილით ამბობს: „აი, თქვე ეშმაკებო, რა დაგიშავათ ხაჩომ?!“

შორიახლო მდგომი სტეფანიკი მამას უყურებს.

— წადი, შვილო, თორემ ფუტკრები დაგკბენენ, — გააფრთხილა მამამ.

— რატომ შენ არ გკბენენ?

— მეც მკბენენ, მაგრამ არა მტკივა.

— რატომ არა გტკივა?

— ჩემი სხეული დიდი ხანია შეეჩვია მათ ნესტარს.

— ჩემიც შეეჩვიოს, — ღიმილით უთხრა ყმაწვილმა.

მოხუცმა გაიცინა და შვილი გადაკოცნა.

ამ დროს სოფლის გზირი გამოჩნდა, მოხუცს აცნობა, ქურთ ფათაჰ-ბეგს კაცი გამოუგზავნია, მამასახლისს უნდა ვესტუმროო.

— შეიძლება მალე აქ გაჩნდეს, — დაუმატა გზირმა, — შორს არ არის, აქვე მთებში ნადირობს.

მოხუცი მოიღუშა, მის ნათელ შუბლს თითქოს შავი ღრუბელი ჩამოეფარაო. გზირს დაავალა მინდორში წადი, შვილებს დამიძახე, სტუმრის დასახვედრად მოვიდნენ, შენ კი ცხენებისათვის თივა მოამზადეო.

მოხუც ხაჩოსთან ფათაჰ-ბეგის სტუმრობა უცხო ხილი არ იყო და ოჯახის წევრებმა კარგად იცოდნენ, რა თადარიგი უნდა დაეჭირათ მის დასახვედრად. ამიტომ როგორც კი რძლებმა ეს ამბავი შეიტყვეს, მაშინვე რამდენიმე ბატკანი დააკვლევინეს და დიდ ქვაბებში ფლავის ხარშვას შეუდგნენ, კარგად იცოდნენ, ბეგს სულ ცოტა ოცი-ოცდაათი მხლებელი მაინც ეყოლებოდა.

ფათაჰ-ბეგი ქურთების იმ მეზობელი ტომის თავკაცი იყო, თავიანთ ცხვარს სოფელ ო...ს მოსაზღვრე მთებზე რომ აძოვებდა. სომეხ და ქურთ მწყემსებს შორის იშვიათი არ იყო ჩხუბი და უსიამოვნება; ქურთები ხან ცხვარს ჰპარავდნენ, ხან კიდევ საზღვარს გადმოდიოდნენ და თავიანთ ფარებს სომხების იალაღებზე აძოვებდნენ.

მაგრამ მათ შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნება ყოველთვის მშვიდობიანად თავდებოდა, რადგან ფათაჰ-ბეგი და ხაჩო არა მარტო კეთილი მეგობრები იყვნენ, ერთმანეთში ნათელ-მირონობაც ჰქონდათ. სომეხ მამასახლისსა და ქურთების ბეგს დიდი ხანია მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა.

მაშ რატომ დააღონა ხაჩო ბეგის მოსვლის ამბავმა? პურძვირი კაცი არ იყო, რომ ბეგისა და მისი ამალის გამასპინძლებისა შეშინებოდა. მისი სახლის კარი, მამა აბრამის სახლის კარივით ყველასათვის ღია იყო. ყოველდღე მის სახლში პურს ჭამდა მრავალი მგზავრი თუ უცხოელი. ხაჩო ხშირად იტყოდა ხოლმე, პური უსტუმროდ არასდროს მიჭამიაო. პური, — ამბობდა ის, — ღმერთმა გვიბოძა და მანვე გვიბრძანა გლახებს ვაჭამოთო, ისინიც ხომ ღვთის შვილები არიანო. მაშ რატომ ეწყინა ბეგის მოსვლის ამბავი?

ჩაფიქრებული ხაჩო სახლიდან გამოვიდა, ჭიშკართან გაჩერდა და სტუმარს დაუწყო ლოდინი. ხაჩოსთან რამდენიმე გლეხი მივიდა.

— ამბობენ, ბეგი მოდისო, — უთხრა ერთმა მათგანმა, — ვინ იცის, რა მუცლის გვრემა აწუხებს.

— სომხის სახლში ქურთი ტყუილუბრალოდ არ შევა, — მიუგო ხაჩომ გულისტკივილით.

გორაკებს იქით შუბის წვერებმა გაიელვა, რამდენიმე წუთის შემდეგ მხედართა რაზმიც გამოჩნდა.

— მოდიან! — წამოიძახა ერთმა გლეხმა.

ხაჩომაც გაიხედა იქით, მაგრამ შორს ხეირიანად ვერ ხედავდა და ვერავინ შენიშნა.

— ისინი არიან, — დაადასტურა მეორე გლეხმა.

— აბა, ბიჭებო, — უთხრა ხაჩომ გლეხებს, — სანამ ჩემი შვილები მინდვრიდან დაბრუნდებოდნენ, აქ იყავით, ცხენებს ქერი და თივა დაუყარეთ.

ბეგს ახლდა ოცზე მეტი ცხენოსანი. თან სხვადასხვა ჯიშის სანადირო ძაღლები ჰყავდათ. ცხენოსნები მისი ნათესავები იყვნენ და მცველებივით გვერდიდან არ შორდებოდნენ. ბეგი მშვენიერ არაბულ ცხენზე იჯდა. უნაგირი ვერცხლითა და ბრჭყვიალა თვლებით ჰქონდა მოკაზმული. ბეგი ორმოც წელს გადაცილებული კაცი იყო, მაგრამ, ერთი შეხედვით, ოცდაათზე მეტს არ მისცემდით. ამ

ვაჟკაცური გამომეტყველების ახოვან ვაჟკაცს ტანთ ეცვა ოქროჭკედით ნაკერი ძვირფასი აბრეშუმისა და თავთის სამოსი. ოქროვერცხლით იყო მოჭედილი მისი იარაღიც.

ხაჩომ ბეგი რომ დაინახა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და თხრილთან გაჩერდა. თხრილზე ხიდი იყო გადებული. ბეგს წესით ამ ხიდზე უნდა გამოეცლო, მაგრამ ცხენს მათრახი გადაუჭირა და ფრინველივით გადმოეცლო ვეება თხრილს. მან მოხდენილად გაანავარდა ცხენი და თავმომწონედ შეაჩერა ხაჩოს წინ.

— როგორ მოგწონს ჩემი ცხენი, ნათლია ხაჩო? — ჰკითხა ბეგმა და ცხენის ლამაზ ფაფარს ხელი გადაუსვა. —ცხენის კარგი მცოდნე ხარ, რას იტყვი, ხომ კარგია!

— ღმერთმა აე თვალს აშოროს, მშვენიერია, თვით ქოროღლისაც არ ჰყოლია მაგისთანა. ჭეშმარიტად შენი შესაფერია, — მიუგო ხაჩომ, მიუახლოვდა ცხენს და კისერზე ხელი მოუთათუნა. — სად იშოვე, ასეთი ცხენი რომ არ გყავდა?

— არზრუმის ვალისაგან[1] მივიღე ახლახან საჩუქრად, — მიუგო გახარებულმა ბეგმა. — თვალისჩინივით უვლიდა, მაგრამ არ დაიშურა და როგორც კარგ მეგობარს, მე გამომიგზავნა. მისთვის ჰალეპოს შეიხს უჩუქნია.

— მშვენიერი ცხენია, — გაიმეორა ხაჩომ.

ამ ქებით გახარებულმა ბეგმა ცხენს კვლავ გადაჰკრა მათრახი, მოედანზე გააჭენ-გამოაჭენა და კართან შეაჩერა. ცხენი მართლაც რომ საუცხოო იყო, ბეგი კი — გაწაფული მხედარი.

ბეგი ცხენიდან გადმოხტა, აღვირი ერთ-ერთ მსახურს გადასცა და უბრძანა, გაოფლილ ცხენს მიხედეო.

მამასახლისმა საპატიო სტუმარს მკლავში ხელი გაუყარა და ლამაზად მორთულ, დასუფთავებულ ოდაში (სასტუმრო ოთახში) შეიყვანა. იატაკზე ძვირფასი სპარსული ხალიჩები დაეფინათ, კედლის გასწვრივ კი რბილი მუთაქები და ბალიშები იყო დაწყობილი.

ხაჩომ მიღებული წესისამებრ თქვა:

— ჩემი სახლი თქვენი სახლია, მეც თქვენი მონა-მორჩილი ვარ, ჩემი ვაჟები თქვენი ყმები არიან, მანდილოსნები კი თქვენი მოახ-

---

[1] ვალი — გუბერნატორი

ლეები. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ათასგზის კეთილი იყოს! რაც მაბადია, თქვენთვის მიჩუქებია, გთხოვთ დაბრძანდეთ.

ბეგმა მადლობა მოახსენა. ხაჩოს ერთ-ერთმა შვილმა წითელი წუღები გააძრო. ბეგი ყველაზე საპატიო ადგილას ბალიშზე დაჯდა. მის გვერდით დასხდნენ მისი ორი ბიძაშვილი და რამდენიმე ახლო ნათესავი. მსახურთაგან ზოგი ოდაში დარჩა და დამბაჩებზე ხელებდაწყობილი ბატონს თვალს არ აცილებდა, სხვები კი გარეთ გავიდნენ, რომ ცხენებისა და მონადირე ძაღლებისათვის მიეხედათ. ბეგიც და მისი მსახურნიც ხმლებით, ფარებით, დამბაჩებით, თოფებითა და შუბებით იყვნენ შეიარაღებული. მართალია, მეგობრის ოჯახში შევიდნენ, მაგრამ იარაღი მაინც არც ერთს არ აუხსნია. ქურთი შინ თუ გარეთ, ბრძოლაში თუ ლხინში, იარაღს არასოდეს იშორებს.

არც ხაჩოს, არც მის ვაჟიშვილებს, რომლებიც მასპინძლობაში ეხმარებოდნენ მამას, იარაღი არ ესხათ.

უწინარეს ყოვლისა სტუმრებს პატარა ფინჯნებით დაუშაქრავი ყავა მიართვეს.

— სტეფანიკი სად არის, რომ არ ჩანს? — იკითხა ბეგმა.— დაჩვეული ვარ მის მორთმეულ ყავას.

მამასახლისმა უკმაყოფილება არ შეიმჩნია და ბრძანა, სტეფანიკს დაუძახეთო.

სტეფანიკი უმალ იქ გაჩნდა. მის უმანკო სახეს სიხარულის ღიმი დასთამაშებდა. იგი ბეგთან მივიდა და ხელზე ემთხვია (ეს წესი ქურთთა ბეგებს შემოუღიათ). ბეგმა აბრეშუმის მსგავს თმაზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— ნახე, რა კარგი საჩუქარი მოგიტანე?

— ვნახე, — უპასუხა აწითლებულმა სტეფანიკმა, — ლამაზი ქურციკია. ბალახი დავუყარე, მაგრამ არ ჭამა!

— ხედავთ, უკვე დაპატრონებია საჩუქარს, — მიმართა ბეგმა მამასახლისს.

— ვიცოდი, რომ მე მომიყვანეთ... — მიუგო სტეფანიკმა.

— აბა, ახლა წადი და შენს ქურციკს ეთამაშე, — უთხრა ბეგმა.

ყმაწვილმა თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

— ძალიან ჭკვიანი ბიჭია, — თქვა ბეგმა, როცა სტეფანიკი გავიდა. — ალბათ სწყინს, როცა მისთვის საჩუქარი არ მომაქვს.

— მისი ბრალი არ არის, ბეგო, თქვენ დააჩვიეთ, — უპასუხა ხაჩომ ნაძალადევი ღიმილით.

— ოჰ, რა მშვენიერია თქვენი მთები, ნათლია ხაჩო! — ბანზე ააგდო სიტყვა ბეგმა. — ყოველ ნაბიჯზე ნადირს წააწყდები, შვლები, ირმები და ჯეირნები ჯოგებად დადიან. ხოხბებსა და გარეულ მტრედებს ხომ თვლა არა აქვს! სტეფანიკს რომ ქურციკი მოვუყვანე, ჩემმა მწევრებმა დაიჭირეს. რომ იცოდეთ, რა მწევრები მყავს! ახლახან ერთი წყვილი ზილანელების ბეგმა მაჩუქა. სანაცვლოდ ორი ჯორი გავუგზავნე. თუმცა, ჩვენში დარჩეს, ის ჯორები ჭექაში სალოცავად მიმავალ სპარსელებს წავართვით. მაგრამ ჩემი მწევრები საუცხოონი არიან, ისე გარბიან, რომ თვალს ვერ მოავლებ.

ბეგი მუდამ ძაღლებზე, ნადირობაზე, ცხენებზე, ყაჩაღობასა და სხვადასხვა საგმირო საქმეებზე ლაპარაკობდა, თანაც დიდის აღტაცებით. მსგავსი „სისულელეები", მართალია, ხაჩოს თავს აბეზრებდა, მაგრამ სტუმარს მოთმინებით უსმენდა და ზრდილობისათვის ხანდახან ერთ-ორ სიტყვას თვითონაც იტყოდა ხოლმე.

სადილობის დროც დადგა. ხალიჩაზე სუფრა გაშალეს და ზედ დიდრონი სინებით ფლავი და შემწვარი ბატკნები დაუჭრელად დააწყვეს. დოქებითა და ხელადებით მოიტანეს ტკბილი შარბათები და მაწვნისაგან მომზადებული სასმელები, რომლებსაც დიდრონი კულებით სვამენ. სუფრაზე მაგარი სასმელები არ იყო. გაჩაღდა ჭამა-სმა.

— ჯერ ცხვარი არ გაგირეკია საძოვარზე? — ჰკითხა ბეგმა მამასახლისს.

— ჯერ არა, — მიუგო მოხუცმა, — ჯერჯერობით ამინდს ვერ ენდობა კაცი. აპრილმა ბოლოს მოგიჟიანება იცის.

— სიცხე თუ სიცივე, ნათლია ხაჩო, ღვთის ხელშია, რაც მოსაღლდნელია, მოვა, — უპასუხა ბეგმა. — ჩვენ ერთ კვირაზე მეტია ცხვარი უკვე იალაღებზე გვყავს, მაგრამ წელს საგზალი ადრე გამოგველია, აი, უკვე რამდენიმე დღეა, მწყემსებს პური არა აქვთ.

მამასახლისი მიუხვდა, რის თქმაც უნდოდა ბეგსა და მიუგო:

— განა ჩვენი პური თქვენი არ არის? გვიბრძანეთ და რამდენიც გნებავთ, იმდენ ფქვილს გამოგიგზავნით.

— ღმერთმა ააშენოს თქვენი ოჯახი, — უთხრა ბეგმა, — რა თქმა უნდა, მართალი ხარ, ჩვენი ქონება ვის გაუყვია? რაც მე მაბადია შენია, რაც შენ — ჩემია. ასე არ არის, ნათლია ხაჩო?

— ღმერთია მოწამე, რომ ეგრეა... ფქვილი რამდენი გამოგიგზავნოთ?

— ჯერჯერობით ათი ტომარა გვეყოფა, როცა გამოგველევა, კიდევ წავიღებთ. თქვენი ბეღლები ხომ არ დაცარიელდება?

მოხუცმა ძალდატანებით გაიღიმა.

საღილი რომ დამთავრდა, სტეფანიკმა წყალი შეიტანა და ყველას ხელი დააბანინა, მერე ყავა მიართვა სტუმრებსა და მამას. ბეგმა იქ მდგომ მსახურებს უბრძანა, გადით, ეზოში ისადილეთო. ეზოში დაფენილ ფარდაგებზე მათთვის სუფრა გაეწყოთ.

სასტუმრო ოთახში დარჩნენ ბეგი, მისი რამდენიმე ნათესავი და მამასახლისი ხაჩო. ლაპარაკი კვლავ არზრუმის ვალის ნაჩუქარ ცხენზე ჩამოვარდა. ბეგი აქებდა და ადიდებდა ჯიშიან ცხენს და ირწმუნებოდა, მისი შთამომავლობა გამოჩენილ ანთარის დროიდან მომდინარეობსო, რჩეული არაბული ცხენების ჯიშისა არისო.

— მაგრამ ეს საუცხოო საჩუქარი ძალიან ძვირად დამიჯდება! — სიტყვა დააბოლოვა ბეგმა.

— რატომ? — გაიკვირვა მამასახლისმა.

— ნუთუ არ გესმის, რომ ვალის მსახურს, რომელმაც ცხენი მომგვარა, სულ ცოტა ერთი ასი ოქრო მაინც უნდა ვაჩუქო.

ახლა კი მიუხვდა მამასახლისი ბეგს „მუცლის ტკივილს", მიხვდა, რისთვისაც იყო მოსული, მაგრამ, როგორც იტყვიან, სიტყვა ბანზე აუგდო:

— მერე რა, მაგისთანა ცხენი კი ღირს ასი ოქრო!

— ქურთს ფული ვინ მიაშავა? — გაბრაზდა ბეგი. — ეს წყეული ოქრო მხოლოდ თქვენ, სომხებსა გაქვთ მუდამ.

ბეგის ნათესავები, მანამდე ხმას რომ არ იღებდნენ, ახლა საუბარში ჩაერივნენ.

— ნუ იდარდებთ, განა ყოფილა შემთხვევა, რომ ნათლია ხაჩოს გასაჭირიდან არ გამოეყვანეთ, — უთხრა ერთმა მათგანმა ბეგს.

— ღმერთია მოწამე, რომ მართალს ამბობს, — დაუდასტურა მეორემ.

— ნათლია ხაჩო ძალიან კარგი კაცია, — თქვა მესამემ. — მისი ბადალი სომხებში სხვა არავინ გვეგულება.

მოხუცი ხაჩო მიხვდა, რომ ასი ოქრო უნდა დაეყაჭა და თქვა:

— ბეგისათვის ათას ოქროსაც კი არ დავიშურებ.

— ააშენა თქვენი ოჯახი! — ერთხმად წამოიძახეს ქურთებმა.

მამასახლისი წამოდგა და გარეთ გავიდა, თავის უფროს ვაჟს დაუძახა და უთხრა, შეუმჩნეველად წადი საბძელში, იქ შენახული ფულიდან ასი ოქრო მოიტანეო.

— რად გინდა? — გაიკვირვა შვილმა.

— განა არ იცი, რომ ამ ურჯულოებს მარტო ჭამა-სმა არ ეყოფათ, „დიშქირასიც" უნდა მივაშავოთ. — ნაღვლიანად უთხრა მამამ.

— ღმერთმა ამოაგდოს მაგათი ჯილაგი! — თქვა გაბრაზებულმ. შვილმა, საცალოს ხელი დაავლო და ვითომ ბზის მოსატანად საბძლისაკენ გასწია.

„დიშქირასი" კბილების ხარკს ნიშნავს. ეს ხარკი ოდესღაც ქურთებმა შეაწერეს სომხებს. როცა ქურთი პატივს დასდებდა სომეხი, შინ ესტუმრებოდა და პურ-მარილს მიიღებდა, მასპინძელი ვალდებული იყო ხარკი გადაეხადა. ამ წესს ვინმე თუ დაარღვევდა, ოჯახს დაურბევდნენ. მართალია, მერე და მერე ეს ჩვეულება თითქმის მოისპო, ქურთები თავაზიანად იქცეოდნენ, მაგრამ ოქროს გამოძალვას მაინც ახერხებდნენ.

მოხუცი ოდიდან რომ გავიდა, ბეგმა ბოროტად თქვა:

— თუ მოხუცი ოქროებს არ მოიტანს, ვუბრძანებ ახლავე ცეცხლი წაუკიდონ მის სახლს!

— მაგას ნუ იზამ, — გამოესარჩლა მოხუცს ერთ-ერთი ნათესავი,—ხაჩო კეთილი სომეხია, ნუ ვაწყენინებთ. მისი სახლის კარი ჩვენთვის მუდამ ღია ყოფილა და რაც მოგვსურვებია, ყველაფერი წაგვიღია. ხაჩო კარგი კაცია, როგორ შეიძლება მისი პურ-მარილის დავიწყება?

ამ დროს მოხუცი შევიდა, ოქროებით სავსე ქისა ბეგს წინ დაუდო და უთხრა:

— ღმერთია მოწამე, ამ ფულს ჩემი სულის საცხონებლად ვინა-

ხავდი: იერუსალიმში ვაპირებდი სალოცავად წასვლას, მინდოდა მუღდუსი[1] გავმხდარიყავი, მაგრამ ხათრი ვეღარ გაგიტეხეთ.

— თავს ნუ ისაწყლებ, ნათლია ხაჩო, კარგად ვიცი, ბევრი, ძალიან ბევრი ოქრო გაქვს! — მიუგო ბეგმა და ქისა ჯიბეში ჩაიდო.

გრილი საღამო იყო. ბეგმა მსახურებს ცხენების შეკაზმვა უბრძანა, ეზოში გავიდა და მასპინძელთან ერთად გაისეირნა. ქურციკთან მოთამაშე სტეფანიკს რომ მოჰკრა თვალი, მიუახლოვდა.

— მოგწონს? — ჰკითხა მან ჭაბუკს.

— ძალიან, ფეხი აქვს დაშავებული, მაგრამ არა უშავს, მე მოვარჩენ, საბრალოს ალბათ სტკივა, რომ არაფერს ჭამს, — უპასუხა ჭაბუკმა და ქურციკს ჭრილობის შეხვევა დაუწყო.

— როგორც გატყობ, სტეფანიკ, ცხოველები ძალიან გიყვარს. ვე ერთ კვიცს გამოგიგზავნი.

— ცხენი არ მიყვარს.

— აბა, რა გიყვარს?

— აი, ასეთი ქურციკები, ჯეირნები, მწყერები...

— ძალიან კარგი, ამის შემდეგ რასაც ნადირობის დროს ცოცხლად დაიჭერ, სულ შენ გამოგიგზავნი.

მსახურებმა მოახსენეს, ცხენები მზად არისო.

ბეგმა მასპინძელს მადლობა გადაუხადა და ეზოს ჭიშკრისაკენ გასწია, სადაც მშვენიერი ლურჯა ელოდებოდა. დიდი პატივისცემის ნიშნად მოხუცმა ხაჩომ აღვირი დაუჭირა და საპატიო სტუმარს ცხენზე შეჯდომისას ხელი შეაშველა. შეჯდა თუ არა ცხენზე, ბეგმა გრძელი შუბი ხელში შეატრიალა, ცხენი შეათამაშა, მამასახლისს გამოემშვიდობა და გზას გაუდგა.

მოხუცი დიდხანს იდგა გაუნძრევლად და ბეგს გაჰყურებდა. მან დაინახა, რომ ბეგმა კვლავ ფრინველივით გადაუქროლა თხრილს, ალბათ ფიქრობდა, ჩემისთანა მხედარს ხიდზე გავლა არ ეკადრებაო. ვერე ხაჩომ დაინახა, რომ ბუჩქებიდან კურდღელი გამოხტა, ბეგი არწივივით დაედევნა და შიგ ფერდში ჩასცა შუბი. მოხუცი გაჰყურებდა მიმავალ ბეგს და ფიქრობდა: „რატომ არის ასეთი უსამართლობა ამ-

---

[1] ძველად სომხეთში ყველას, ვინც კი იერუსალიმში სალოცავად ყოფილა, მუღდუსს უწოდებდნენ.

ქვეყნად? ქურთს ლუკმა პური არ აბადია... სომეხი ხნავს, თესავს, იმკის და თავის მონაგარს მას აძლევს... ქურთი ნაჩუქარ მშვენიერ ცხენს სიამოვნებით დააჭენებს, მის საფასურს სომეხი იხდის... თვითონ კი ვირით დადის".

## თავი მერვე

მამასახლისი და მისი შვილები სუფრას შემოსხდომოდნენ და ვახშმობდნენ. ოთახის ერთ კუთხეში ჭრაქი ბჟუტავდა და იქაურობას მკრთალად აშუქებდა. ყველა დუმდა, დროდადრო მოხუცი თუ იტყოდა რამეს.

გაზაფხულის ნელი ნიავი ჰქროდა, ოთახში საამოდ გრილოდა. შორიდან ისმოდა საძოვრიდან დაბრუნებული ცხვრის ბღავილი. რძლები მწყემსებსა და მოჯამაგირეებს ვახშამს უმზადებდნენ. თვითონ ჯერ არაფერი ეჭამათ, როცა ყველას დააპურებდნენ, შემდეგ ქალიშვილებთან ერთად თვითონაც ივახშმებდნენ. ცელქობით დაქანცულ ბავშვებს უკვე კარგა ხანია ეძინათ.

ვახშმის შემდეგ მოხუცის შვილებმა საქმეს მიხედეს. საქონელი უნდა დაებინავებინათ, მინდვრები მოერწყათ (ამ საღამოს სარწყავი არხით სარგებლობის მათი ჯერი იყო), წისქვილში წასულიყვნენ და ხორბალი დაეფქვათ. ერთი სიტყვით, გასაკეთებელი კიდევ ბევრი ჰქონდათ.

სუფრა აალაგეს, ხაჩო ჩაფიქრებული იჯდა, მისი უფროსი შვილი ჰაირაპეტიც იქვე იყო, მამასახლისს თამბაქოთი უტენიდა ჩიბუხს. მამა-შვილი ხმას არ იღებდა. ამ მუდამ წყნარ ოჯახს თითქოს მწუხარების შავი ღრუბელი ჩამოსწოლოდა.

მამამ ჩიბუხი გააბოლა და ჰკითხა:

— რამდენი ტომარა ფქვილი წაიღეს ქურთებმა?

— ზუსტად თორმეტი, — ნაღვლიანად მიუგო შვილმა.

— ბეგმა ხომ ათი გვთხოვა?

—იმ წყეულებმა დიდი ტომრები მოიტანეს და ისე გატენეს, ვითომც ნაღდ ფულს გვაძლევდნენ.

— ვისი ხარებით წაიღეს?

— ჩვენი ხარებით. ღმერთს შადლობა უნდა ვუთხრათ ხარები თუ დაგვიბრუნეს. ვაითუ, ისინიც შეგვიჭამონ.

— ბეგი მაგას არ იზამს.

— ქურთს რა პატიოსნება მოეკითხება? რამდენჯერ ყოფილა ტვირთთან ერთად ხარებიც დაგვიკარგავს. მართალი გითხრა, დღევანდელ ას ოქროსა და თორმეტ ტომარა ფქვილზე ისე არ ვჯავრობ, როგორც იმაზე, რომ ამ მუქთა პურს ჩვენი ხელით, ჩვენი ხარებით ვუზიდავთ შინ. ეს რა ღვთის რისხვაა ჩვენს თავს! არ მესმის, როდემდე უნდა გვძარცვონ მაგ წყეულებმა? მოდიან, მიაქვთ რაც უნდათ, წაღებულს კი აღარ გვიბრუნებენ... აღარ გაძღა იმათი მუცელი! არც სირცხვილი აქვთ, არც სინდისი! თითქო ღმერთს იმისათვის გავუჩენივართ, რომ ქურთები ვარჩინოთ!

— განა არ ვიცი, რომ ეგ ასეა? — მიუგო მოხუცმა და ჩიბუხი უფრო მაგრა გააბოლა, თითქოს გულზე მოწოლილი დარდი ბოლს უნდა გააყოლოსო. — რას იზამ, შვილო! თუ ნებით არ მივცემთ, ძალით წაგვართმევენ, კიდევ კარგი, რომ გვთხოვენ, მეგობრობას გვეფიცებიან და ისე გვძარცვავენ...

— ავაზაკობას ჩვენ თვითონ ვაჩვევთ, — მიუგო შვილმა, — ხომ შეგვიძლია არ მივცეთ, მაშინ ქურთი იძულებული იქნება თვითონ მოხნას, დათესოს, თავისი ოფლით მოიყვანოს პური. მაგრამ ჩვენ თვითონ ვაჩვევთ უქნარობას და ჩვენს ხარჯზე ცხოვრებას.

— მართალი ხარ, შვილო, — ნაღვლიანად უპასუხა მამამ. — მაგრამ ძნელია, ძალიან ძნელია ყოველივე იმის ხელაღებით მოსპობა, რაც ჩვენს მამა-პაპას დაუკანონებია. ჩვენ მათი სისულელის მწარე ნაყოფს ვიმკით. ყური მიგდე, შვილო, მე კარგად მესმის, რა ბოღმა გიტრიალებს გულში. ვიცი, რომ მონობა გძულს, მაგრამ გეკითხება: რა გზა გვაქვს, რა შეგვიძლია ვქნათ? რასაც გვთხოვენ, რომ არ მივცეთ, მტრად გადაგვეკიდებიან. ერთიც ვნახოთ, ცხვრის მთელი ფარა წაგვართვეს და წაიყვანეს? ვისთან ვიჩივლოთ? ვინ დაგვეხმარება? ისინი, ვინც ბოროტებას უნდა ებრძოდნენ და სიმართლეს იცავდნენ, ყველანი — გუბერნატორიდან და ფაშადან დაწყებული მაზრის უფროსამდე — სულ ავაზაკები არიან. ერთი ავაზაკი მეორე ავაზაკის ძმა და მეგობარია, ტყუილად არ ამბობენ, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო. შენ ხომ შენი თვალით ნახე, რომ არზრუმის ვალიმ, იმის ნაცვ-

ლად, რომ ბორკილები დაედო თავზეხელაღებულ ავაზაკ ფათაჰ-ბეგისათვის და ჩამოეხრჩო, მშვენიერი ცხენი გამოუგზავნა და დაასაჩუქრა ეს ბოროტმოქმედი, რომელმაც სისხლითა და ცრემლით მორწყო მთელი ჩვენი მაზრა. როცა ვალი, ჩვენი ქვეყნის გუბერნატორი ასე იქცევა, სხვა ვიღას უნდა შევჩივლოთ ჩვენი გულისტკივილი? ერთი ღმერთიღა დარჩა, მაგრამ მასაც არ უნდა ჩვენი ხმის გაგონება, ალბათ, ბევრი ცოდვა გვაქვს ჩადენილი...

შვილი მდუმარედ უსმენდა, მამამ განაგრძო:

— ღმერთმა ხელი აიღო ჩვენზე. ჩვენ ჩვენივე ხელით ვინგრევთ ოჯახებს; გათიშულობას, შინაბრძოლას, ღვარძლს, მტრობას და სხვა ათას ასეთ ბოროტებას ძველთაგანვე დაუბუდნია ჩვენს სულსა და გულში. და აი, ღმერთიც გვსჯიდა და გვრისხავს ამისათვის. ჩვენ შორის რომ ერთიანობა, შეთანხმებულობა, სიყვარული ყოფილიყო, სულელი და ზარმაცი ქურთები ვერაფერს დაგვაკლებდნენ...

მოხუცმა სთხოვა, ჩიბუხი გამიწყვეო. როცა შვილმა სურვილი შეუსრულა, უთხრა:

— ჩვენ ექვსი ძმა ვართ, მამა, შენ რომ დღეს ჩვენთვის გენიშნებია, ადვილად გავაძევებდით ჩვენი სახლიდან ფათაჰ-ბეგს თავისი ოცდაათი ცხენოსნით და მომავალში ის უსინდისოები ვეღარ გაბედავდნენ ჩვენს სახლში ფეხის შემოდგმას.

— ეგ მეც კარგად ვიცი, შვილო, მაგრამ მერე რა? დავუშვათ ბრძოლის დროს თქვენ მოგეკლათ ერთი, ორი ან, თუგინდა, რამდენიმე კაციც, ხვალ კი ქურთების მთელი ტომი თავს დაგვესხმოდა და ჩვენს სახლს მიწასთან გაასწორებდა. თანასოფლელთაგან ვინ გამოვიდოდა ჩვენს დასახმარებლად? არავინ. პირიქით, ბევრს შესაძლოა გახარებოდა კიდეც. ასეთები არიან სომხები! ქურთები კი სხვაგვარად იქცევიან: ერთი ქურთის სისხლისათვის შურს იძიებს მთელი ტომი, რადგან ისინი ერთმანეთს მხარში უდგანან, თითქოს ყველანი ერთი ოჯახის შვილები იყვნენ. ჩვენს შორის კი არ არის ერთიანობა. ყველა თავის თავზე ზრუნავს, სხვას რაც უნდა ის დაემართოსო. სულელებს არ ესმით, რომ „ერთი ყველასათვისაა და ყველა ერთისათვის“...

მოხუცი ხაჩო ნასწავლი კაცი არ იყო, მაგრამ ცხოვრებამ მას არა თუ ბევრი რამ შეაგნებინა, არამედ ბუნებრივი ჭკუაც განუვითარა.

ამიტომ მსჯელობისას ხშირად ისეთ აზრებს გამოთქვამდა, როგორიც მხოლოდ ისეთ კაცს შეუძლია გამოთქვას, რომელსაც ცხოვრება ღრმად და ყოველმხრივ აქვს შესწავლილი.

— გარემოებამ ისეთ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, რომ სხვაგვარად თავის რჩენა არ შეგვიძლია. იძულებული ვართ ვიშრომოთ, მოვინაგროთ და ჩვენი შრომით ჩვენივე მტერი გამოვკვებოთ. სხვა გზა არა გვაქვს, ჩვენს მძარცველებს უნდა ვემეგობროთ. მართალია, ფათაჰ-ბეგი გვძარცვავს, მაგრამ როგორი თაღლითიც არ უნდა იყოს, მასთან მეგობრობაზე ხელი არ უნდა ავიღოთ.

— რატომ? — ჰკითხა შვილმა.

—იმიტომ, რომ დიდი ავაზაკის მეგობრობა წვრილფეხა ავაზაკებისაგან გვიცავს. ისინი ყველანი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. როცა სხვა ტომის ქურთები ხედავენ, რომ ფათაჰ-ბეგი ჩვენთან კარგ დამოკიდებულებაშია, ხელს ვეღარ აკაკებენ ჩვენს ცხვარს, საქონელს თუ მოსავალს. ხოლო თუ მაინც რაიმეს მოგვპარავენ, ბეგი აიძულებს უკან დაგვიბრუნონ.

— მერე ეგ რას გვშველის? განა სულ ერთი არ არის? — მიუგო შვილმა: — ფათაჰ-ბეგი „ერთ კვერცხს გვაძლევს, სამაგიეროდ ერთი ცხენი მიჰყავს". ის ნებას არ აძლევს ქურთებს, რომ ცხვარი მოგვპარონ, თვითონ კი, როცა დასჭირდება, ასობით ოქრო მიაქვს. ჩვენ მისთვის საწველი ფურები ვართ და მხოლოდ იმიტომ გვმფარველობს, რომ ჩვენს რძეს თვითონ დაიპატრონოს.

— მე კარგად მესმის, შვილო, რომ ყოველივე ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ რას ვიზამთ, როცა მამა-პაპას ასე უსწავლებია ჩვენთვის თავის დაცვა. მე, რასაკვირველია, არ ვიცი, რა წერია წიგნებში, მაგრამ ერთხელ უჩ-ქილისის მონასტერში მცხოვრებმა ერთმა ბერმა მითხრა: ყოველთვის, როცა კი ჩვენს ქვეყანას მტერი დასცემია, სომხები, იმის ნაცვლად, რომ მტარვალს ცეცხლითა და მახვილით დახვედროდნენ, ძვირფასი საჩუქრებით — ოქროთი სავსე სინებით შეჰგებებიანო. დასჯის ნაცვლად მამა-პაპას ჩვენთვის მტრის მოკრთამვა უსწავლებია, თავის გადასარჩენად მთელი ჩვენი ავლა-დიდების მტრისათვის მიცემა უსწავლებია.

— სულაც არ არის საჭირო მამა-პაპათა შეცდომების გამეორება, — სიტყვა შეაწყვეტინა შვილმა.

— წარსულის შეცდომების ერთბაშად გამოსწორება ძალიან ძნელია, შვილო, მათ აღმოფხვრას ასობით წელი დასჭირდება. აბა, სცადე და ხალხი დაარწმუნე, რომ მტერს სხვაგვარად უნდა მოექცე, რომ ისიც ჩვენნაირი ადამიანია, რომ მისი ტანი რკინისა არ არის, და როცა თავით ფეხამდე შეიარაღებული ჩვენს დასარბევად მოდის, იარაღითვე უნდა დავხვდეთ. ერთი სიტყვით, ათასჯერ რომ უქადაგოთ ასე, სულ ერთია, არავინ დაგვიჯერებს, სულელად ჩაგვთვლიან და სასაცილოდ აგვიგდებენ.

შვილმა პასუხი არ გასცა. გრძნობდა, რომ მამა ბევრ რამეში მართალი იყო, მაგრამ თან ფიქრობდა, ნუთუ არ შეიძლება ხალხის ცრურწმენის შეცვლაო. ამიტომ იყო, რომ მამას ჰკითხა:

— კარგი, ვთქვათ ჩვენს მამა-პაპას ამ გზით უვლია და ჩვენ მათს მაგალითს უნდა მივბაძოთ. მაგრამ ნუთუ არ უნდა გადავუხვიოთ ამ გზას, როცა ვხედავთ, რომ დაღუპვისკენ მივყავართ? განა საჭირო არ არის დავარწმუნოთ ხალხი, რომ მცდარ გზაზე დგას?

— საჭიროა, მაგრამ ვინ ითავებს ამას? მაგ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ ადამიანებმა, რომლებსაც ევალებათ დაარიგონ, ჭკუა ასწავლონ, სწორ გზაზე დააყენონ და რამე შეაგნებინონ ხალხს. ამას ჩვენი მღვდლები, ჩვენი ვარდაპეტები უნდა აკეთებდნენ, მაგრამ ისინი ქადაგებენ: მარჯვენა ლოყაში სილა რომ გაგარტყან, მარცხენაც მიუშვირეთო!.. ამასვე უნდა აკეთებდნენ ჩვენი მასწავლებლებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელ მაზრაში ერთ ხეირიან მასწავლებელს ვერ ნახავ.

— მაგაში კი ვერ დაგეთანხმები, მამიჩემო, — უთხრა ჰაირაპეტმა. — ქურთს არც მღვდელი ჰყავს, არც ეპისკოპოსი, არც მასწავლებელი, მაგრამ ის კი კარგად იცის, ვის როგორ უნდა მოექცეს. გამაგებინე, ვინ ასწავლა მას, რომ უიარაღო ადამიანი ბრმა ქათამსა ჰგავს და, ვისაც არ ეზარება, ყველა თავში უტყაპუნებს?

— სწორი ხარ, ქურთს მღვდელი, ეპისკოპოსი და მასწავლებელი ორა ჰყავს, სამაგიეროდ ჰყავს შეიხი. თუმცა მისი შეიხი სასულიერო პირია, მაგრამ მუდამ იარაღს ატარებს და თავის ხალხთან ერთად მონაწილეობს უიარაღო ხალხის ძარცვა-გლეჯაში. ის არასოდეს არ ქადაგებს, ძარცვა-გლეჯა ცოდვაა. ჩვენი მღვდლები კი რას ქადაგებენ?..

შვილი ხმას არ იღებდა, მამამ განაგრძო:

— ყველა ამ უბედურებათა მიუხედავად, სანუგეშო ისა გვაქვს, რომ რამდენიც არ უნდა მოგვპარონ და დაგვარბიონ, ჩვენი ბეღლები მაინც სავსეა, ქურთებს კი საჭმელი პურიც არა აქვთ.

— მამა, გაგიგონია ანდაზა: ქურდი სახლს ვერ აიშენებს, სხვას კი დაუქცევსო. მართალია, ქურთი არ ხნავს, არ თესავს, არ იმკის, სახლში პური არა აქვს და მუდამ მშიერია, მაგრამ გამრჯე სომეხს ართმევს პურს და მასაც მშიერს ტოვებს. მაგალითისათვის ჩვენს ოჯახს რატომ იღებ, მამაჩემო. აბა დაფიქრდი, რამდენი სომეხია ქურთების მიზეზით გაღატაკებული და საჭმელ პურს ნატრობს.

— ეგ მართალია, შვილო, მაგრამ არის ერთი გარემოებაც, რომელიც უნდა ვიცოდეთ. ცხვრებს ხედავ? ვინ მოსთვლის, რამდენი იკვლება, რამდენი იღუპება, მაგრამ ცხვარი მაინც ადვილად მრავლდება და უთვალავ ფარას წარმოქმნის. მგელი კი, თუმცა იტაცებს და ჭამს ცხვარს, მუდამ მშიერია და ცუდადაც მრავლდება. მგელი მტაცებელია: დღეს რომ ერთი ცხვარი დაითრია, შეჭამა და გაძღა, ხვალ უკვე აღარ იცის მუცელი რით ამოივსოს. ყოველდღე ნადირობით უნდა ირჩინოს თავი, მაგრამ ბედი ყოველთვის ხომ არ გაუღიმებს? ასეა ადამიანიც, რომელიც ნადირობით ცხოვრობს, ერთ დღეს რომ მაძღარია, მეორე დღეს შიმშილით კუჭი ეწვის. ქურთი მგელია, ჩვენ კი, შვილო, ცხვრები ვართ...

ასე აუხსნა მოხუცმა შვილს თავისი სიტყვებით ის, რასაც მეცნიერებაში „არსებობისათვის ბრძოლას“ უწოდებენ.

— მე მგონია, მამაჩემო, — უპასუხა შვილმა, — ცხვარს რომ მწყემსები არ პატრონობდნენ, მგლები ერთსაც არ დატოვებდნენ ცოცხალს. ჩვენ მართლაც ცხვრები ვართ, მაგრამ მწყემსი არა გვყავს. ერთიღა დაგვრჩენია — მგლებისაგან თავის დასაცავად მგლებივით ბასრი კბილები და კლანჭები ვიქონიოთ...

## თავი მეცხრე

არზრუმ-ბაიაზეთის გზის იქით — სპარსეთისაკენ ეს ერთადერთი საქარავნო გზა გადიოდა — ხეობაში ქურთების ერთი ტომის კარვები იდგა. ხასხასა მწვანე მინდორზე გაბნეული უამრავი კარავი იმას მე-

ტყველებდა, რომ აქ ქურთები მრავლად იყვნენ. მახლობელ მთის კალთებზე შეფენილი ცხენების რემა, ცხვრის ფარები და ნახირი ადასტურებდა, რომ ეს მრავალრიცხოვანი მომთაბარე ტომი უზრუნველად ცხოვრობდა.

უკვე ბნელოდა, როცა ხაჩოს სახლიდან დაბრუნებული ამ ტომის თავკაცი ფათაჰ-ბეგი თავისი რაზმით ხეობას მიადგა. ღამის წყვდიადში აქა-იქ ცეცხლი გიზგიზებდა: ზოგან რძეს ადუღებდნენ, ზოგან საჭმელს ხარშავდნენ. ცხენების თქარათქური რომ მოესმათ, ძაღლებმა ყეფა ატეხეს. ყოველი მხრიდან გაისმა ღამის გუშაგების — მწყემსების გადაძახილი, ერთმანეთს ცხენოსნების მოახლოებას ატყობინებდნენ.

ბეგის რაზმის მხრიდანაც შეეხმიანენ, მწყემსებმა ხმაზე იცნეს ცხენოსნები და დამშვიდდნენ. ბეგი იმ კარვისაკენ გაემართა, სადაც მისი სტუმარი, არზრუმის ვალის კაცი დააბინავეს. სტუმარმა საჩუქარი ჩამოუტანა. იგი მრავალი აუკაცობის ქარცეცხლში გამოვლილი ხნიერი თურქი მოხელე იყო. ერთ დროს ვანის მიდამოებში მუდირის[1] თანამდებობას ასრულებდა, მაგრამ მოურიდებელი შექრთამეობისათვის გაეძევებინათ.

— ძალიან დიდხანს მაცდევინებთ, ბეგო, — მიმართა მუდირმა კარავში შესულ ბეგს და ფეხზე წამოდგა. — მე ამ საღამოს ვაპირებდი წასვლას.

— შეიხს ვფიცავ, დიდი მოუთმენელი კაცი ყოფილხართ, — სიცილით უთხრა ბეგმა: — მიკვირს დედის მუცელში ცხრა თვე რამ გაგაძლებინათ? ერთმანეთის ცქერით ჯერ არც დავმტკბარვართ, რა მიგაჩქარებთ? ნუთუ ასე მოგწყინდათ ჩემს კარავში?

— სრულიადაც არა. მე დიდად მსიამოვნებს თქვენი სტუმართმოყვარეობა. თუ ოდესმე სამოთხეს ვეღირსებოდი — რის იმედიც არა მაქვს — ვისურვებდი, რომ ის სამოთხე აქ ყოფილიყო.

— კარგი, კარგი! ვიცი ოსმალების ხასიათი: დაჩვეულან აყროლებულ ქალაქებში ცხოვრებას, დილიდან საღამომდე რბილ ბალიშებზე გათხლარშულნი ნარგილეს აბოლებენ და ყავას შეექცევიან. ჩვენი უდაბნო კი არაფრით არ გიზიდავთ. თუმცა, მართალი გითხრათ, მე

---

[1] მუდირი — პოლიციის მოხელე.

ვარ დამნაშავე, ისე ვერ გაგართეთ, როგორც საჭიროა, მაგრამ რა შექნა? ნადირობა თქვენ არ გიყვართ და ცხენით სეირნობა, ჩვენს მთებში კი სხვა გასართობი არაფერია.

მუდირმა თურქებისათვის ჩვეული თავაზიანობით მიუგო:

— თქვენი თვალის სინათლე ჩემთვის ყველა სიამოვნებაზე ძვირფასია. მუდამ ბედნიერად ჩავთვლი თავს, რომ თქვენი ხილვის ღირსი გავხდი. მაგრამ თქვენ თვითონ განსაჯეთ, ბეგო, თქვენი მონა-მორჩილი დამოუკიდებელი კაცი არ არის, ის თავის თავს არ ეკუთვნის. ვალიმ ვადა დამინიშნა, ათ დღეზე მეტი არ დაიგვიანოო.

— ვალის მივწერ, რომ ჩემი მიზეზით დაგაგვიანდათ, თქვენ ხომ იცით, ჩემს სიტყვას ანგარიშს უწევს.

— როგორ არ ვიცი, ვალის ორთავ თვალს ურჩევნიხართ, თქვენს სიტყვას მისთვის მარგალიტის ფასი აქვს. ყოველთვის ამბობს, ქურთების წინამძღოლთა შორის ფათაჰ-ბეგისთანა მამაცი და ერთგული სულთანს არავინ ეგულებაო. ამიტომაც არის, რომ პირველი ხარისხის მეჯიდიეს ორდენზე წარგადგინათ.

ბეგის ვაქკაცურ სახეს დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა.

— არ მიყვარს ეგ რაღაც ორდენები, ქალების სამკაულად გამოდგება და სხვა არაფრად.

— მაშ, რა გიყვართ?

— ოქროს მეჯიდიები მიყვარს.[1]

— მაგასაც მიიღებთ, ბეგო, ვალი ძალიან კარგი თვალით გიყურებთ. ხომ ხედავთ, ჯამაგირი დაგინიშნათ. ამ ჯამაგირს ხაზინა გიხდით, როგორც საზღვარზე მშვიდობიანობის დამცველს. ვალიმ შეგასრულათ თხოვნა, ამ მხარეში არც ერთი მუდირი და მაზრის უფროსი აღარ არის, მთელი ძალაუფლება თქვენ მოგანიჭათ. ერთი სიტყვით, რაც კი გითხოვიათ, ყველაფერი შეუსრულებია და არც ერთი თქვენი რჩევა უყურადღებოდ არ დაუტოვებია.

— მეც მუდამ მისი მადლობელი ვარ.

სანამ ბეგი და მისი სტუმარი ბაასობდნენ, ბეგის მსახურები კარვის გარშემო მიწაზე ისხდნენ და სულ სხვაგვარი ლაპარაკით ირ-

---

[1] მეჯიდიებს უწოდებენ როგორც ორდენს, რომელიც თურქეთში დაწესებული იყო სულთან აბდულ-მეჯიდიეს პატივსაცემად, ისე ოქროს ფულსაც.

თობდნენ თავს. თვითეული მათგანი თავის საგმირო საქმეებს იკვეხ-ნიდა, იგონებდა, რამდენი კაცი მოუკლავს და გაუძარცვავს, რამდენი ქალი მოუტაცია...

— ოსმანას იმდენი ცხვარი მოუპარავს, რამდენიც თავზე თმა აქვს, — თქვა ომარმა.

— არც შენა ხარ კეთილი სული! — უთხრა ოსმანმა. — რამდენიც მე ცხვარი მომიპარავს, შენ იმდენი სომხის ქალი მოგიტაცია.

— შაბანს სომხის ქალები არ უყვარს, ამბობს ძალიან მტირალები არიანო, — ლაპარაკში ჩაერია ვიღაცა.

— მართალია, — დაუდასტურა შაბანმა. — ის გოგოები, გეგონება, შუშისა არიანო, როგორც კი ხელს ახლებ, მაშინვე დაიმსხვრევიან. სულ სხვაა ჩვენი გოგოები, ღმერთს გეფიცებით. კაჟს გვანან. მხეცს რომ ჩაუვარდნენ კლანჭებში, მაინც არ იტირებენ. ვერ ვიტანენ. როცა ქალები ტირიან.

— ეგ კიდევ არაფერი, — სიტყვა გააწყვეტინა ერთმა ხნიერმა ქურთმა. — ეგ ურწმუნონი არასოდეს თავიანთ რჯულს არ ღალატობენ! როგორც იცით, სახლში სამი სომხის ქალი მყავს, ცემით კი ვცემ, მართალი გითხრათ, იშვიათად, მაგრამ ვატყობ, მალულად მაინც ლოცულობენ. ისე კი ხარებივით მუშაობენ და არც ჩვენი ქალებისთანა ძძინარები არიან.

— ჰაი, დედასა, რა კარგი რძლები ჰყავს მოხუც ხაჩოს! — აღტაცებით წამოიძახა ერთმა ახალგაზრდა ქურთმა. — ის სომეხი ჩვენი ბეგის ნათლია რომ არ იყოს, ერთ-ერთ მათგანს აუცილებლად მოვიტაცებდი.

ძაღლებმა უცებ ყეფა ატეხეს. კვლავ მოისმა შორიდან ღამის გუშაგთა გადაძახილები. ზოგიერთმა მსახურმა იარაღს დასტაცა ხელი და იქითკენ გაიქცა, საიდანაც ხმაურობა ისმოდა.

წყვდიადში გაისმა ვიღაცეების ვედრება:

თუ ღმერთი გწამთ, ბეგთან მიგვიყვანეთ, სათხოვარი გვაქვს...

მსახურებს დროზე რომ არ მიესწროთ, საბრალოებს ძაღლები დაგლეჯდნენ. ღამე ქურთების ბინას რომ მიუახლოვდები, ხიფათს გადააწყდები, ‘ეიძლება გუშაგის შუბმაც გიმსხვერპლოს.

როცა მსახურებმა უცნობები იმ კარავთან მიიყვანეს, რომელშიც ბეგი და მისი სტუმარი იყვნენ, ფარნის სინათლეზე ვაჭრები და

საქონლის მზიდავი ჩალვადრები შეიცვნეს. ზოგი თავში იყო დაჭრილი, ზოგი მხარში, ზოგი მკერდში. ჭრილობები შეხვეული ჰქონდათ, მაგრამ სისხლი მაინც სდიოდათ.

ბეგმა ყური მოჰკრა გარეთ ატეხილ ხმაურს, მსახურს დაუძახა და ჰკითხა:

— რა ამბავია?

— რამდენიმე ვაჭარს თქვენთან სათხოვარი აქვს, ამბობენ ქარავანი გაგვიძარცვესო.

ბეგს მხიარული სახე მოეღრუბლა, მაგრამ თითქოს არაფერი მომხდარაო, უბრძანა ვაჭრები შემოეყვანათ.

— გასაკვირი ამბავია! — მიუბრუნდა მუდირს, — „ჩემს მიწა-წყალზე" არასდროს ასეთი უმსგავსობა არ მახსოვს, ახლა როგორ მოხდა, რომ ქარავანი გაძარცვეს?

ბეგი ჩვეულებრივად მთელ იმ ადგილებს, სადაც მისი ტომის ქურთები ცხოვრობდნენ, „ჩემ მიწა-წყალს" უწოდებდა, თუმცა ქურთებს ამ მიწის ერთი მტკაველიც არ ეკუთვნოდათ, ისინი მოხეტიალე ბოშებივით ჩვეულებრივ ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ.

— ავაზაკობა ყველგან ხდება, — მშვიდად მიუგო მუდირმა. — ვერ ნახავთ ქვეყანას, სადაც ყაჩაღი არ იყოს. ცაშიც კი გაჩნდნენ ეშმაკები. არზრუმში დღე არ გავა, ვალისთან მომჩივანი არ მოვიდეს.

ცბიერი მუდირის სიტყვებით გამხნევებულმა ბეგმა უპასუხა:

— მერწმუნეთ, მუდირო, შეიხის თავს გეფიცებით, აქაურობას ისე ვიცავ, რომ „ჩემ მიწა-წყალს" ფრინველიც ვერ გადაუფრენს შეუმჩნევლად. მიკვირს, რომელმა ეშმაკმა გაძარცვა ეგ საბრალონი!

დაჭრილი და სისხლში ამოსვრილი ვაჭრები კარავში შეივიდნენ. ერთი, უფრო მსუბუქად რომ იყო დაჭრილი, წინ წარსდგა და ბეგს მოახსენა:

— თქვენ ფერხთა სათაყვანებლად მოვსულვართ, ბეგო! მაღლა ღმერთს ვიცნობთ, დაბლა კი თქვენ. ღვთის გულისათვის გვიშველე! ჩვენ ერთი საწყალი ვაჭრები ვართ, ქარავანი გაგვიძარცვეს, ჩვენი ამხანაგებიდან ბევრი მოგვიკლეს, დანარჩენები, თქვენი მადლიანი თვალით შხედავთ, დაჭრილები არიან და დიდხანს ველარ იცოცხლებენ. ყველაფერი, რაც კი გვებადა, წაგვართვეს, აღარაფერი დაგვიტოვეს.

დაჭრილებმა ფეხზე დგომა ვეღარ შეძლეს, კარვიდან გავიდნენ და იქვე ჩამოსხდნენ.

— სად გაგძარცვეს? — ჰკითხა ბეგმა.

— აქედან არც ისე შორს, მთებში. ქარავანი გზიდან ერთ მიყრუებულ ხევში ჩარეკეს, ხელ-ფეხი გაგვიკრეს და ორმოში ჩაგვყარეს. რაც კი ძვირფასი რამ გვქონდა, წაიღეს, აღარაფერი არ დაგვიტოვეს.

— ეგ რა დროს მოხდა?

— ასე შუადღე იქნებოდა. იმ ორმოში საღამომდე ხელფეხშეკრულნი ვეყარეთ. ბოლოს ღმერთმა გადმოგვხედა, ერთმა ჩვენგანმა, როგორც იქნა, თოკები შეიხსნა და ჩვენც გაგვათავისუფლა. იმ ორმოში რომ დავრჩენილიყავით, ყველანი შიმშილით დავიხოცებოდით, ან მხეცები შეგვჭამდნენ.

— სადაურები ხართ? საიდან მოდიოდა ქარავანი, ან საით მიემართებოდა? — განაგრძო ბეგმა გამოკითხვა.

— თქვენი მონა-მორჩილნი სპარსელი ვაჭრები გახლავართ, ქარავანი ტრაპიზონში დავტვირთეთ საქონლით, რომელიც გემით იყო კონსტანტინოპოლიდან ჩამოტანილი. არზრუმიდან ამ ადგილამდე მშვიდობიანად მოვაღწიეთ, გზა უნდა განგვეგრძო და ბაიაზეთიდან სპარსეთში უნდა წავსულიყავით, მაგრამ აქ ეს უბედურება შეგვემთხვა. ჩვენი ქარავანი სულ ძვირფასი საქონლით იყო დატვირთული, მაგრამ ავაზაკებმა აღარაფერი დაგვიტოვეს, რაც მოეწონათ, წაიღეს, დანარჩენს ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს.

— შეიხს ვფიცავ, მსგავს მტარვალობას პირველად ვხედავ, — მიუბრუნდა ბეგი მუდირს, რომელიც დიდი ყურადღებით უსმენდა ვაჭარს.

— ყაჩაღები ვერ იცანით? — საუბარში ჩაერია მუდირი.

— როგორ ვიცნობდით? — მიუგო ვაჭარმა, — პირისახე ახვეული ჰქონდათ, მარტო თვალებიღა უჩანდათ. ჩვენ თვალები აგვიხვიეს და დაიწყეს საქონლის ცალების დახსნა, ეს კი შევნიშნეთ, რომ ქურთები იყვნენ.

— რამდენი კაცი იქნებოდა? — განაგრძო გამოკითხვა მუდირმა.

— დაახლოებით ორმოცამდე.

— რომელ მხარეს წავიდნენ?

— ვერ დავინახეთ, ხომ მოგახსენეთ, თვალები აგვიხვიეს და ხელფეხშეკრულები ორმოში ჩაგვყარეს.

— კმარა! — წამოიძახა გაბრაზებულმა ბეგმა და მუდირს დაკითხვა შეაწყვეტინა. — ჩემთვის ყველაფერი ცხადია.

შემდეგ ვაჭრებს მიმართა:

— ახლა წადით და დაისვენეთ. თუ ყაჩაღები ჩვენი მხრის ქურთები არიან, ვეცდები უეჭველად აღმოვაჩინო და მაშინ ყველაფერს უკლებლივ უკან მიიღებთ. სხვა მხრიდანაც რომ იყვნენ მოსული, მაინც მივაგნებ. თქვენ არხეინად იყავით, არავის ვაპატიებ „ჩემს მიწაწყალზე" ასეთ უკანონობას.

ვაჭრებმა თავი დაუკრეს და დალოცეს.

— კრპო! — მიმართა ბეგმა თავის ერთ მსახურს. — შენს კარავში წაიყვანე ეს ხალხი და ისეთი პატივი ეცი, როგორის ღირსნიც ღვთის სტუმრები არიან. სასწრაფოდ დაუძახე ექიმს, ჭრილობები დაუყუჩოს. შენ გაბარებ ჩვენს სტუმრებს, თუ გიჩივლეს, იცოდე, ცოცხალი არ გადამირჩები.

ვაჭრებმა კვლავ დალოცეს ბეგი, კვლავ მადლობა გადაუხადეს და გავიდნენ.

ვაჭრები რომ გაისტუმრა, ბეგი სტუმარს მიუბრუნდა:

— ხედავთ, პატივცემულო მუდირო, რა ამბები ხდება, მოდი და გაიგე, რომელმა ეშმაკმა გაძარცვა? დარწმუნებული ვარ, ის ყაჩაღები ჩვენი მხარის ქურთები არ იქნებიან. ყაჩაღებს უმოწყალოდ ვსჯი, ჩემი შიშით ავკაცობას ვერავინ გაბედავს. მაგრამ აქ სხვადასხვა მხრიდან, მეტწილად სპარსეთიდან მოსულნი ყაჩაღობენ. ვინ იცნობს ქურთის ტანისამოსში გამოწყობილ სპარსელს? ასეთი შემთხვევები ხშირია და მუდამ ჩვენი თავსატეხია. მაგრამ მაინც ვეცდები ყაჩაღების დაჭერას.

— აჰმე! — მიმართა მან თავის ბიძაშვილს, რომელიც კარგა ხანია ჩუმად იჯდა კარავში. — ამ წუთშივე წაიყვანე ჩვენი ოცი ყველაზე მამაცი მხედარი და წადი, სადაც ქარავანი გაუძარცვავთ, დაზვერე, ავაზაკთა ცხენების კვალი საით მიდის, გამოკითხე ახლომახლო მყოფ მწყემსებს, ყაჩაღები ხომ არ უნახავთ! ერთი სიტყვით, ყოველგვარი საშუალება იხმარეთ ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად! დარიგება არ გჭირდება, შენ თვითონ ყველაფერი კარგად იცი. არავის ვაპატიებ

„ჩემ მიწა-წყალზე“ ძარცვა-გლეჯას, ეს ხომ ჩემი სახელის გატეხაა...

აჰმე მაშინვე გზას გაუდგა ბეგის ბრძანების შესასრულებლად.

— აჰმეს ძაღლის ყნოსვა აქვს, თუ ყაჩაღები ძალიან შორს არ არიან წასული, უეჭველად მიაგნებს, — დასძინა ბეგმა.

— ზედ ეტყობა, — მრავლისმეტყველი კილოთი მიუგო მუდირმა.

შუაღამე გადასული იყო. ბეგმა ბრძანა ვახშამი მიეტანათ. ჭამეს, დალიეს, შემდეგ ბეგმა სტუმარს ძილი ნებისა უსურვა, დაპირდა, ხვალ გზას დაგილოცავო, და თავისი კარვისაკენ წავიდა დასაძინებლად.

მუდირს დ-დხანს არ დაეძინა, ფიქრები არ ასვენებდა.

## თავი მეათე

ბეგის კარავი ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ერთი ქალებისათვის იყო განკუთვნილი, მეორე კი თვითონ მას ეკუთვნოდა. ეს კარავი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ქურთი მწყემსების ჩვეულებრივი კარვებისაგან. იგი ბეგის ცოლისა და მოახლეების მიერ ნაქსოვი შავი ფარდაგისაგან იყო შეკერილი.

ბეგი კარავში შევიდა, მსახურს უბრძანა ფარდები ჩამოეშვა და გარეთ გასულიყო. მარტოდ დარჩენილი თითქოს ვიღაცას უცდიდა. ჭერში ჩამოკიდებული ლამპა ბუუტავდა და მკრთალად ანათებდა კარავს. ქალების მხრიდან ხმა არ ისმოდა, ეტყობოდა, ყველას ეძინა.

უცებ კარავში კრპო გაჩნდა, ის კრპო, ვისაც ბეგმა გაძარცული ვაჭრები ჩააბარა, მიხედე და გაუმასპინძლდიო.

— შენმა სტუმრებმა დაიძინეს? — ეშმაკური ღიმილით ჰკითხა ბეგმა.

— ჩემი კეთილი ბატონის მოწყალებით დაიძინეს, — მიუგო მელაძუა ქურთმა, — ჭამეს, დალიეს, დაგლოცეს და დაიძინეს, იქნებ ესიზმროთ კიდევაც, რომ საქონელს იპოვნიან.

— „მიცვალებული ჯოჯოხეთიდან აღარ ბრუნდება“ — დაცინვით თქვა ბეგმა. — საქონელი სად შეინახეთ?

— ჩვენს სოფელში, კოჭლი ალოს სახლში.

— კარგი რამეებია?

— ასეთი ნადავლი, ბეგო, ღმერთს ჩვენთვის არასდროს არ უბო-ძებია, ოქრო, ვერცხლი, აბრეშუმის და შალის ქსოვილი, ერთი სიტყ-ვით, რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არ იყოს.

— სოფელში ხომ არავის დაუნახიხართ?

— ვინ დაგვინახავდა? სოფელში კაცი არ დარჩენილა, ყველა თა-ვისი საქონლით იალაღებზეა წასული. მხოლოდ რამდენიმე სომხის ოჯახიღა შემორჩა, ისინიც ბრმა ქათმებივით, როგორც კი დაღამდება, შიშით გარეთ ვეღარ გამოდიან, ჩაიკეტებიან და სძინავთ.

— მაინც სად არის საქონელი?

— ხომ მოგახსენეთ, ალოს სახლშია. იმ ბებერი მგლის სახლს ათასი კუნჭული აქვს, ისე საიმედოდ დავმალეთ, ეშმაკიც ვერ მიაგ-ნებს. აი, გასაღებიც თან წამოვიღე, — უთხრა ბეგს და ორი გასაღები გადასცა.

— ალო ჩვენი ერთგულია, არაფერი უჭირს, — შენიშნა ბეგმა.— ამგვარ სამსახურს პირველად როდი გვიწევს.

კრპომ ნადავლის დაბინავების ამბავი რომ მოათავა, დაწვრილე-ბით უამბო, როგორ დაეცნენ ქარავანს, როგორ გაძარცვეს და ვინ რა გმირობა გამოიჩინა.

— იცოცხლე, კრპო, იცოცხლე! შენს მამაცობას მუდამ ვაფასებ-დი, — უთხრა ბეგმა. — როდესაც იმ უქნარას თავიდან მოვიშორებთ (სიტყვა მუდირს შეეხებოდა), ნადავლს გავყოფ და თვითეული თქვენ-განი თავის ღირსეულ წილს მიიღებს.

კრპომ მდუმარედ დაუქნია თავი.

— ერთი რამ მაწუხებს, — განაგრძო ბეგმა, — ნეტა ეს ამბავი მისი აქ ყოფნის დროს არ მომხდარიყო.

— მუდირზე ამბობ?

— ჰო, მუდირზე.

— არა უშავს რა! — გაიცინა კრპომ. — მუდირ-ეფენდის უხვად დავასაჩუქრებთ და ისეთი პატივით გავისტუმრებთ, რომ დიდად კმა-ყოფილი დარჩება. თან ორ მხედარს დავადევნებთ, ისინი არზრუმში ჩასვლამდე თავს წააჭრიან და ჩვენს საჩუქრებს უკანვე მოიტანენ. ასე რომ მუდირ-ეფენდი ვერც აქ ნანახს და ვერც გაგონილს ვერ უამბობს კალის. ხომ კარგი აზრი მოქმივიდა?

ბეგმა მაშინვე არ უპასუხა. მდუმარედ რაღაცას ფიქრობდა.

— მკვლელობა, ცხადია, ჩვენი საზღვრების იქით, არზრუმის მახლობლად მოხდება. — განაგრძო კრპომ. — ეჭვსაც ვერავინ მიიტანს ჩვენზე.

— საჭირო არ არის, — მცირე დუმილის შემდეგ უთხრა ბეგმა, — თუ ვალი რაიმეს შეიტყობს, მე მას სხვა გზით დავამშვიდებ და ხმას არ ამოიღებს.

თითქოს რაღაც გაახსენდაო, კრპომ განიერ უბეში ჩაიყო ხელი და ცხვირსახოცში გახვეული ვერცხლის ლამაზი ყუთი ამოიღო, ბეგს გადასცა და უთხრა:

— ეს კი ვერ დავტოვე ალოს სახლში, ძალიან პატარაა, ვაითუ დაიკარგოს-მეთქი.

ბეგმა ყუთი გახსნა, შიგ ქალების სხვადასხვა სამკაული ეწყო — ძვირფასი ქვებით მოოქვილი ოქროს ბეჭდები, სამაჯურები და ყელსაბამები.

— ამ ყუთის პატრონმა თქვა, ეს სამკაულები კონსტანტინოპოლში გავაკეთებინე ერთი სპარსელი თავადისათვის, რომელიც ამ ზამთარს აპირებდა ქორწილის გადახდასო, — დაცინვით თქვა კრპომ. — საბრალო პატარძალი ვერ ეღირსა თავის სამკაულს! ვაჭარმა ბევრი იყვირა, გვთხოვა, უკან დამიბრუნეთ ნივთებიო, მაგრამ დავამშვიდე და ხმა ჩაიწყვიტა.

კრპოს ლექსიკონში „დამშვიდება“ სიცოცხლის გამოსალმებას ნიშნავდა.

— ახლა შეგიძლია წახვიდე, კრპო, — უბრძანა ბეგმა. — სტუმრებს პატივისცემა არ მოაკლო. დილით მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ.

კრპომ თავი დაუკრა და გავიდა.

მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ კრპო მეთაურობდა ყაჩაღებს, რომლებმაც ვაჭრების ქარავანი გაძარცვეს. ახლა კი ამ ვაჭრებს თავის კარავში დიდის ამბით უმასპინძლდებოდა. ყაჩაღთა ის ბრბო ეკუთვნოდა ფათაჰ-ბეგს, რომელსაც, როგორც ამ ადგილებში წესრიგის მეთვალყურეს და საზღვრების დამცველს, მფარველობისა და დახმარებისათვის მიმართეს გაძარცულმა ვაჭრებმა.

კრპოს წასვლის შემდეგ ბეგი კიდევ დიდხანს იჯდა და მის წინ გაშლილ ძვირფას ნივთებს ათვალიერებდა. თვითონაც ვერ გაეგო,

რატომ იზიდავდა ესოდენ ეს ძვირფასი სამკაულები. „ამ ყუთს არზრუმის ვალის გავუგზავნი, მისთვის ამაზე შესაფერ საჩუქარს სხვას ვერაფერს გამოვნახავ“, — გაიფიქრა ბეგმა. მაგრამ უცებ აზრი შეეცვალა, თითქოს გაახსენდა ერთი არსება, რომელიც ამქვეყნად ყველაფერს ერჩივნა. „არა, არა! ეს ყელსაბამი სწორედ მის ლამაზ ყელს უნდა ამშვენებდეს. ეს ძვირფასი სამაჯურები მხოლოდ მისი მშვენიერი მაჯების ღირსია, ეს ბეჭდები კი მისი საოცარი თითებისათვის არის შექმნილი“, — გატაცებით იმეორებდა ბეგი. გაღვიძებული სიყვარულის ჯადოსნურმა ძალამ ეს ველური ადამიანი თითქოს სავსებით შეცვალა და გული მოულბო.

— ეს სამკაულები მას, მხოლოდ მას უნდა შევუნახო!..

გრძნობათა ღელვით თავდავიწყებულმა ბეგმა ეს სიტყვები ხმამაღლა წამოიძახა და ვერ შეამჩნია, რომ კარვის მეორე ნაწილის მხრიდან ფარდა გადაიწია, ვიღაცა მიუახლოვდა და ქანდაკებასავით გაშეშებული თვალყურს აღევნებდა. ეს მისი ახალგაზრდა ცოლი, მთელს ტომში სილამაზით განთქმული ხურშიდი იყო. მაგრამ ახლა ამ მშვენიერი არსების გაფითრებული სახე უსაზღვრო აღშფოთებას გამოხატავდა. სულთამხუთავივით იდგა ქმრის ზურგს უკან, გეგონებოდათ საცაა სულს ამოართმევსო.

ბეგმა უკან მიიხედა, ცოლი რომ დაინახა, ელდა ეცა.

ერთ ხანს ცოლ-ქმარი მდუმარედ შესცქეროდა ერთმანეთს, როგორც მოწინააღმდეგენი, რომლებიც გადამწყვეტი დარტყმისათვის შესაფერ მომენტს ეძებენ.

ბრჭყვიალა სამკაულებით სავსე ვერცხლის ყუთი ისევ ბეგის წინ იდო. ცოლმა ოდნავ თვალი შეავლო მათ, გაიარა და კარვის მეორე მხარეს მუთაქაზე ჩამოჯდა. ეს ძვირფასი სამკაულები ჭკუაზე შეშლიდა ყოველ ქალს, განსაკუთრებით ქურთის ქალს, რომელიც ბავშვივით ხარობს თვითეული ბრჭყვიალა საგნის დანახვაზე. მაგრამ ხურშიდს ისინი ახლა უბრალო შუშის ნამსხვრევებად ეჩვენებოდა და გულს უდაღავდა.

ბეგმა შეამჩნია, რომ ხურშიდი ღელავდა:

— რამ გაგაჯავრა? აქედან შენც მოგცემ წილს.

— ერთი სუდარის მეტი არაფერი მინდა, — აკანკალებული ხმით უპასუხა ცოლმა.

ლამპის მკრთალი შუქი მის გაფითრებულ სახეს ეფინებოდა და საოცრად ალამაზებდა. განრისხებულ ანგელოზსა ჰგავდა.

— რა მოხდა, ხურშიდ? — ჰკითხა ბეგმა ნაზად, — ცუდი სიზმარი ხომ არ ნახე?

— მე სიზმარი არ მინახავს, კარგად ვხედავ, რაც ჩემ თვალწინ ცხადად ხდება...

ბეგი ეჭვსაც კი ვერ მიიტანდა, რომ მის ავაზაკურ საქმეებს შეეძლო ხურშიდის აღშფოთება, მან კარგად იცოდა, რომ ხურშიდს ისევე, როგორც თვითეულ ქურთის ქალს, უაჩაღობა და სისხლისღვრა მამაკაცის გმირობად მიაჩნდა. მაშასადამე, მისი განრისხების მიზეზი სხვა რამ უნდა ყოფილიყო.

ხურშიდი ბეგის ერთადერთი ცოლი იყო. როგორც მაჰმადიანს, მას შეეძლო რამდენიმე ცოლის შერთვა, მაგრამ ქურთებს ეს ჩვეულებად არ ჰქონდათ; გარდა ამისა, სხვა მიზეზიც იყო, რომ ერთ ცოლზე მეტი არ ჰყავდა. ხურშიდი ქურთების ყოვლისმძლე შეიხის ერთადერთი შვილი იყო, რომლის სასულიერო ძალაუფლება ქურთების ყველა ტომზე ვრცელდებოდა. საკმარისი იყო მისი ერთი სიტყვაც კი, რომ რომელიც გნებავთ ტომის ყველაზე სახელოვანი წინამძღოლი თანამდებობიდან გადაეყენებინათ. ბეგიც თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით შეიხს უმადლოდა, მისი ერთადერთი სიძეც იყო. ამიტომ მეორე ცოლის შერთვა ნიშნავდა ხურშიდის კეთილშობილი ჩამომავლობისადმი უპატივცემულობას. აი, რა გაიფიქრა ბეგმა, როცა ცოლის დაღონებულ სახეს შეხედა. შექმნილ ვითარებას ბეგი უკვე საღი თვალით აფასებდა. არ შეეძლო გზა მიეცა თავისი აშლილი გრძნობებისათვის. შეუძლებლად მიაჩნდა მეორე ცოლის შერთვა, რაკი ხურშიდი შეიხის შვილი იყო. მაგრამ როცა ისევ მოჰკრა თვალი ძვირფას სამკაულებს, თვალწინ კვლავ ის უნაზესი არსება დაუდგა, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ იმ ნივთებს უმზადებდა.

ბეგი მიხვდა ცოლის აღშფოთების მიზეზს. მის გულს დაეუფლა სიყვარულით გახელებული მხეცის სიშმაგე.

— რა გინდა ჩემგან, ხურშიდ? — უთხრა მან აღშფოთებით.

— განქორწინებას მოვითხოვ, — მტკიცედ მიუგო მან. — დღეიდან შენი ცოლობა აღარ მსურს. ხვალ დილითვე მამაჩემთან წავალ.

— რატომ?

— მე შეიხის შვილი ვარ და ვერ მოვითმენ, რომ შენს ცოლობაში ვიღაც ბილწი სომხის ქალი მყავდეს მოზიარედ.

— ის შენი მოახლე იქნება.

— მოახლეები ისედაც ბევრი მყავს.

— მე ის მიყვარს.

— გიყვარდეს რამდენიც გინდა, მაგრამ ეგ სიყვარული ძვირად დაგიჯდება.

— რას იზამ?

— ეგ მე ვიცი!

— რაო, მემუქრები კიდევაც, შე უნამუსო? იცოდე, თიხის ჭინჭილასავით დაგამსხვრევ!

— ადგილიდან არ დაიძრა! ამას ხედავ? — შესძახა ფეხზე წამომდგარმა ხურშიდმა და პატარა დამბაჩა დაუმიზნა.

ბეგს თავზარი დაეცა: არ მოელოდა, რომ ცოლი ამას გაუბედავდა. შეცბუნებული ერთ ხანს გაუნძრევლად იდგა, თუმცა ხელი უნებლიეთ ხანჯალს მოჰკიდა.

ამ დროს კარვის მეორე ნაწილიდან ბავშვის ტირილი მოისმა, გაავზნებული ცოლ-ქმარი ერთბაშად დამშვიდდა. დედობრივმა სიყვარულმა სძლია ქალურ ეჭვიანობას, ხურშიდი ატირებული ბავშვისაკენ გაემართა და ბეგს მიაძახა:

— სულ ერთია, სამაგიეროს მაინც გადაგიხდი!

## თავი მეთერთმეტე

მამასახლის ხაჩოს ცოლი სტეფანიკის დაბადების შემდეგ გარდაიცვალა. ხაჩომ ცოლი აღარ შეირთო, თუმცა გლეხები მის ასაკში ჩვეულებრივ ქვრივად არ რჩებიან. ოჯახის მოვლა-პატრონობაში განსვენებულის ადგილი მისმა უფროსმა რძალმა სარამ დაიკავა. სარა მთელ სოფელში ჭკვიან და კარგ მეოჯახე ქალად იყო ცნობილი. ხაჩოც კი ხშირად ეკითხებოდა რჩევას, რძლები ხომ უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.

ერთ დილას, როცა ყველა თავისი საქმით იყო გართული, წყლიდან დაბრუნებულმა მოახლემ სარას ყურში ჩასჩურჩულა:

— ვიღაც ქურთის ქალი გარეთ გიხმობთ.

— აქ დაუძახე, — უთხრა სარამ, — ვერ ხედავ, არ მცალიან.

— შინ არ შემოდის, ამბობს, მეტად საჭირო საქმე მაქვსო.

სარა გარეთ გავიდა, კართან მაღალი ტანის, გამხდარი, მაგრამ საგანდომიანი შესახედაობის ქალიშვილი იდგა.

— აქეთ წამოდი, აგერ იმ ხეებთან მივიდეთ, იქ არავინ ჩანს, — უთხრა უცნობმა ქალიშვილმა და ხელი ხეებისაკენ გაიშვირა.

უცნობი ქალიშვილის ანთებულ თვალებს რომ შეხედა, სარა უნებურად დაეჭვდა: რატომ იხმობდა ეს ველური ქალი იმ ხეებისაკენ, სადაც კაცი არ ჭაჭანებდა, რა საქმე ჰქონდა მასთან?

— შინ შემოდი, — ხელი მოჰკიდა სარამ, — ეზოში შევიდეთ. თუ გინდა, შენი ნათქვამი არავინ გაიგოს, მიყრუებული ადგილები ჩვენს ეზოშიც ბევრია.

უცნობი დათანხმდა. სარამ ის ეზოს ერთ მიყრუებულ კუთხეში, ტირიფებში შეიყვანა.

— აი, აქ დავჯდეთ, — უთხრა მან. ისინი ერთიმეორის გვერდით ბალახზე დასხდნენ.

— ახლა, ჩემო მშვენიერო, — მეგობრულად მიმართა სარამ, — მითხარი, რა გაქვს სათქმელი.

— ჯავო შენთან ხანუმ ხურშიდმა გამოგზავნა. ხურშიდს ხომ იცნობ? ის ჯავოს ქალბატონია. ჯავო დღემუდამ ღმერთს მადლობას სწირავს, რომ ისეთი კარგი ქალბატონი ჰყავს. ის ჯავოს არა სცემს, ხშირად თავის ძველ ტანსაცმელს აჩუქებს ხოლმე და ეუბნება, ჩაიცვი. შენ კარგი გოგო ხარო. მაგრამ ვინ იტყვის, ძველიაო? აბა შეხედე ჩემ კაბას, სულ ახალია, ქალბატონის ნაჩუქარია. ერთხელ რომ ჩაიცვამს, მერე გადააგდებს, ამბობს ძველიაო.

ქურთი ქალიშვილი მართლაც საკმაოდ სუფთად და, შეიძლება ითქვას, მდიდრულად იყო ჩაცმული. მაგრამ სარამ მის მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს ვერაფერი გაუგო. ქალიშვილი მესამე პირში ლაპარაკობდა. სარა მხოლოდ იმას მიხვდა, რომ სახელად ჯავო ერქვა, რომ იგი ქალბატონ ხურშიდის მოახლე იყო, რომელსაც ადრევე იცნობდა, რადგან ქალბატონი მათი ოჯახის მეგობრის ფათაჰ-ბეგის ცოლი იყო. მაგრამ რისთვის გამოეგზავნა ეს სულელი მოახლე, მისთვის მაინც გაუგებარი იყო.

— შენ ჯავო გქვია, არა? რა ლამაზი სახელი გაქვს!

— დედაჩემი ჯავაირს მეძახდა, მაგრამ ქალბატონმა ჯავო შემარქვა, ჯავაირი ძალიან გრძელიაო.

— მეც შენი ქალბატონივით ჯავოს დაგიძახებ. ჩემო გოგო, რა ღაგაბარა ჩემთან ქალბატონმა?

მაგრამ ქალიშვილი თავს არიდებდა პირდაპირ პასუხს. ალბათ იმდენი ფიქრი უტრიალებდა, რომ უჭირდა აზრის დალაგება, არ იცოდა, რით დაეწყო და რით დაემთავრებინა. ბოლოს უთხრა:

— ჯავოს ქალბატონი წუხელ აღას ეჩხუბა. მასე ნუ მიყურებ, ჯავო ბავშვი აღარ არის, ჯავო ძალიან ეშმაკია. როცა აღა ქალბატონს ეჩხუბებოდა, ჯავო ფარდის უკან დამალული უსმენდა. ოჰ, როგორ გაანჩხლდა ქალბატონი! სულ თმას იგლეჯდა, კაბა მთლად შემოიფხრიწა. აფსუს, რა კაბა იყო, ჯავო მას ვეღარ ჩაიცვამს...

სარამ შეატყო, რომ ამ თავქარიან ქალიშვილს ჩაცმა-დახურვა უყვარდა და უთხრა:

— ჯავომ ხომ იცის კერვა? დააკერებს და ისე ჩაიცვამს.

— კერვა? იცის, როგორ არ იცის, ხედავ ამ თითებს? — მან უჩვენა მარჯვენა ხელის თითები. — ვინ მოთვლის, ჯავოს დედას რამდენჯერ დაუჩხვლეტია ნემსით ეს თითები და უთქვამს, შე დასამიწებელო, კერვა ისწავლეო.

— გატყობ, ყოჩაღი გოგო ხარ, ახლა შენ ის მითხარი რატომ ეჩხუბა აღა ქალბატონს?

— აღამ უთხრა, მეორე ცოლი უნდა მოვიყვანოო, ქალბატონი ეუბნებოდა — არა, ვერ მოიყვანო. თუ მოიყვან, თავს მოვიკლავო. შესაბრალი არ არის? ხურშიდისთანა ქალს სად ნახავს. მეორე ცოლი რაღად უნდა?

სარასთვის თანდათან ნათელი ხდებოდა საქმის ვითარება.

— ხურშიდის მსგავსს, ცხადია, ვერ იპოვის, — უპასუხა სარამ.— მაგრამ შენ ეს მითხარ, ჯავო, ვის მოყვანას აპირებს მეორე ცოლად?

— აღამ რომ მეორე ცოლი მოიყვანოს, ჯავოს ქალბატონი მოკვდება და ჯავოც თან გადაჰყვება... — თქვა მოახლემ და თვალები ცრემლებით აევსო.

— მაინც ვისი მოყვანა უნდა? — ხელმეორედ ჰკითხა მოთმინებიდან გამოსულმა სარამ.

— შენ ჯერ ის მკითხე, ქალბატონმა რატომ გამოგზავნა ჯავო შენთან და ჯავოც მაშინ ყველაფერს გეტყვის.

— კარგი, მითხარი, რისთვის გამოგგზავნა?

— როცა მათ იჩხუბეს, ქალბატონმა მეორე დილით მითხრა: „წადი ჩვენი ნათლიის ხაჩოს სახლში, სარას დიდი მოკითხვა გადაეცი, ჰკითხე როგორა ბრძანდება და უთხარი...“ ოჰ, სულ გადამავიწყდა, მეკითხა როგორ ბრძანდებით!

— არა მიჭირს რა. კიდევ რა გითხრა ქალბატონმა?

— ქალბატონმა მითხრა: „სარა ერთ მყუდრო ადგილს გაიხმე და უთხარიო...“ აი, რატომ მიგიწვიე იმ ხეებისაკენ.

— აქაც კარგი ადგილია, ვერავინ მოგვისმენს. ჰო, რა გითხრა ქალბატონმა?

— ქალბატონმა თქვა, სტეფანიკი სასწრაფოდ მოაცილონ იქაურობას და სხვა ქვეყანაში წაიყვანონო. თუ კაცები არა ჰყავთ, მე მივცემო, სადაც ეტყვიან, იქ წაიყვანენო. ეს ყველაფერი გათენებისას მითხრა ქალბატონმა. თან პირობა ჩამომართვა, დაიფიცე ჯავო, რომ არავის არაფერს ეტყვიო. ჯავომაც შეჰფიცა.

შემდეგ ჯავომ უამბო, ქალბატონი დაეშუქრა, მოგკლავ თუ ვისმესთან სიტყვა წამოგცდენიაო, და დაუმატა, ქალბატონისა ძალიან მეშინია, იმას მართლა შეუძლია კაცის მოკვლა, საკუთარი თვალით მინახავს, როგორ მოკლა ქალბატონმა თავისი ერთი მსახური, ხოლო რატომ მოკლა — ჯავო ამას არ გეტყვისო.

მაგრამ საბრალო სარას მეტი აღარაფერი ესმოდა. სტეფანიკის სახელის გაგონებაზე თითქოს თავს მეხი დაეცაო, თვალთ დაუბნელდა და ის იყო, დაეცემოდა კიდევაც, ქურთის ქალის ღონიერ მკლავებს რომ არ შეეკავებინა. მართალია, მიამიტი ქალიშვილი ვერ მიხვდა, რა მიზეზით შეუღონდა სარას გული, მაგრამ იგრძნო, რომ მეტად საშწუხარო ამბავი მოუტანა და დამშვიდება დაუწყო:

— სარა, ნუ დარდობ. ვიდრე ჯავოს ქალბატონი ცოცხალია, ის ნებას არ მისცემს, რომ აღამ ამ სახლიდან ქალიშვილი წაიყვანოს.

— რომელი ქალიშვილი? — ჰკითხა ცოტა გონს მოსულმა სარამ, — ჩვენს სახლში მოწიფული ქალიშვილი არა გვყავს.

— აღამ იცის, რომ სტეფანიკი ქალიშვილია.

სტეფანიკი ამ დროს ეზოში საჭმელს აძლევდა ქურციკს, რო-

მელიც რამდენიმე დღის წინათ ბეგმა აჩუქა ტანადი ჭაბუკის მშვენიერ სახეს მზის სხივები დასთამაშებდა. სარამ ჯავო სტეფანიკისკენ მიახედა და უთხრა:

— შეხედე, ეგ არის სტეფანიკი, კარგად დააკვირდი, ქალს რა უგავს? ასეთი ტყვილი ვინ უთხრა ალას?

— ალასათვის ეგ ამბავი თქვენს ერთ-ერთ ქურთ მოახლეს, მწყემს ჰილოს ცოლს უთქვამს. ქალბატონმა თქვა, მოვაკვლევინებ იმ უმსგავსოსო.

— ჰილოს ცოლს მოუტყუებია. ჩვენ ის ქურდობისათვის სახლიდან გავაგდეთ, ამიტომაც ტყუილებს როშავს.

სარა მიხვდა, ჯავო მიამიტი გოგო ჩანდა, მაგრამ არც ისეთი სულელი იყო, როგორც მას ეგონა. გარდა ამისა, როცა დარწმუნდა ქალბატონისადმი მის გულწრფელ ერთგულებაში, რაც საერთოდ დამახასიათებელია ნახევრად ველური მოახლეებისათვის, ქალბატონთან რამდენიმე სიტყვა დააბარა: სთხოვა, ჩემი დიდი მოკითხვა გადაეცი შენს ქალბატონს და ჯანმრთელობა უსურვეო, მადლობა მოახსენე, აგრეთვე უთხარი, სცდები, როცა სტეფანიკი ქალიშვილი გგონიაო. თან დასძინა, თუ ქალბატონი სთვლის, რომ საჭიროა სტეფანიკის სხვაგან გაგზავნა, მის თხოვნას შევასრულებთო. ბოლოს დაავალა, ქალბატონს უთხარი, გულით მსურს მისი ნახვა და ამაზე საიდუმლოდ მოთათბირება, მხოლოდ მაცნობე, სად და როდის შეგვიძლია ფარულად ერთმანეთს შევხვდეთო.

— ჩემო ჭკვიანო, ჯავო, — უთხრა ბოლოს სარამ, — შეგიძლია თუ არა, რაც დაგაბარე, უნაკლოდ გადასცე ქალბატონს?

— ჯავოს კარგი მეხსიერება აქვს, ჯავოს არაფერი დაავიწყდება, — მიუგო მან და მოსწავლესავით გაიმეორა სარას ნათქვამი, თუმცა ალაგ-ალაგ შეცდომები დაუშვა და წინადადებებიც თავისებურად გადააადგილა.

სარამ შეცდომები გაუსწორა და ჯავომ თავისი „გაკვეთილი" კიდევ რამდენიმეჯერ გაიმეორა.

— ახლა ჯავომ დაიხსომა, — მტკიცედ განაცხადა ქურთის ქალიშვილმა, — ჯავო გზაში გაიმეორებს სარას სიტყვებს, რომ არ დააავიწყდეს.

— ვინმემ რომ გაიგონოს? — დაეჭვდა სარა.

— ჯავო არც ისეთი სულელია, რომ ხმამაღლა გაიმეოროს.

ჯავომ ცას შეხედა, მზე დასავლეთისაკენ იხრებოდა. ფეხზე წამოდგა და თქვა, ვეღარ დავიგვიანებ, დიდი გზა მაქვს გასავლელიო.

— მოიცადე, ჯავო, რაღაც უნდა მოგცე, შენ კარგი ქალიშვილი ხარ.

სარა სახლისკენ წავიდა. სტეფანიკი ქურციკს ეთამაშებოდა, მარტოდ დარჩენილი ჯავო რომ შენიშნა, მიუახლოვდა და ჰკითხა:

— უკვე მიდიხარ?

— ხედავ მზეს? — ცისკენ მიუთითა ქალიშვილმა, — მალე დაღამდება.

— ჩვენს ოჯახში იყავი და უჭმელ-უსმელი მიდიხარ? — უთხრა სტეფანიკმა.

— ვაი, ჯავოს დაავიწყდა, რომ მშიერია, ჯავოს დღეს არაფერი უჭამია.

— მომიცადე, საჭმელს მოგიტან.

სტეფანიკის გულკეთილობით მოხიბლული ქურთი ქალიშვილი გადაეხვია მას და აკოცა. სტეფანიკი სახლისკენ გაქანდა და ლავაშებში გახვეული თაფლი და კარაქი მოურბენინა.

— დაჯექი და ჭამე.

— ჯავო თან წაიღებს, გზაში შეჭამს.

ამასობაში სარაც გამოჩნდა. ხელში მშვენიერი წითელი აბრეშუმის თავშალი — ქურთი ქალების საუკეთესო სამკაული ეჭირა.

ჯავომ დაინახა თუ არა, სიხარულით ზრდილობა გადაავიწყდა. ბავშვივით მივარდა და თავშალი სარას ხელიდან გამოგლიჯა. იმწამსვე თავზე მოიხვია და, თითქოს სარკეში იხედებაო, სარას და სტეფანიკს მიუბრუნდა:

— ახლა ჯავო ლამაზია, არა?

— ლამაზია, — დაუდასტურეს სარამ და სტეფანიკმა.

— მაშ, აკოცეთ ჯავოს.

სარა გადაეხვია და აკოცა.

— შენც, სტეფანიკ.

სტეფანიკმაც სარას მაგალითს მიბაძა.

— ახლა კი ჯავო გაკოცებთ.

გულუბრყვილო ქურთმა ქალიშვილმა ორივე ვულწრფელად გადაკოცნა და გზას გაუდგა.

## თავი მეთოთრმეტე

მხოლოდ ჯავოს წასვლის შემდეგ იგრძნო სარამ, რა საშინელი ამბავი ამცნო ქურთმა ქალიშვილმა. სტეფანიკი მის გვერდით იდგა და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ უბედურება ელოდა. მან ბავშვივით მხარზე ხელი დაადო სარას და ჰკითხა:

— რატომ არიან ქურთი ქალიშვილები ასეთი უჭკუოები?

— არა, შვილო, ისინი უჭკუოები არ არიან, — მიუგო სარამ დედაშვილურად, — მაგრამ მათს აღზრდაზე არავინ ზრუნავს, ისინი ნადირივით იზრდებიან.

— ისე, როგორც ჩემი ქურციკი, — დაუმატა სტეფანიკმა. — აი, უკვე რამდენი დღეა, რაც ვაჭმევ, ვასმევ, გულში ვიხუტებ და ვკოცნი, მაგრამ მაინც არ ვუყვარვარ, მივუახლოვდები თუ არა, გარბის.

სარა გულკეთილ სტეფანიკს დააცქერდა და თვალები ცრემლით აევსო. მანამდე არასოდეს არ შეეხედა გამომცდელი თვალით ამ ნაზი, ლერწამივით ტანაყრილი ყმაწვილისათვის. სარა შებრუნდა და ცრემლი მოიწმინდა, რომ სტეფანიკს არ დაენახა.

ყმაწვილი კი ისევ ქურთ ქალიშვილზე ფიქრობდა.

— იცი, სარა, იმას ძალიან შიოდა, მითხრა, დღეს არაფერი მიჭამიაო. ერთი ნატეხი პური, კარაქი და თაფლი მივეცი, შევეხვეწე აქვე დაჯექი და ჭამე-მეთქი, მაგრამ თან წაიღო, ჭამა-ჭამით მიდიოდა, ალბათ ეჩქარებოდა, არა, სარა?

— ეჩქარებოდა, ძალიან შორი გზა აქვს გასავლელი.

— სადამდე?

— ლურჯ მთებამდე.

— ხომ დაუღამდება? იმდენი მთები როგორ უნდა გადაიაროს, ისიც ფეხით, მარტოდმარტო, ოამხანაგოდ!.. სარა, ნუთუ არ ეშინია?

— არ ეშინია, ეგენი მიჩვეული არიან. მგლის ლეკვს რისი უნდა ეშინოდეს?

ამ დროს სარას დაუძახეს და მათი საუბარიც შეწყდა.

საბრალო ქალმა მთელი დღე მწარე ფიქრებში გაატარა. მთვრალი ან გონებაარეული ადამიანივით არ იცოდა, რას აკეთებდა საქმეს გულს ვერ უდებდა, ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა, საითაც უნდოდა წასვლა, იქით არ მიდიოდა,ერთთავად ოხრავდა. მთელი დღე მოუსვენრად იყო.

სტეფანიკი რომ დაობლდა, დედის მაგივრობა სარამ იკისრა. ბავშვი მის ხელში გაიზარდა. ახლა სტეფანიკს თავს უბედურება დასტრიალებდა. ვისთვის გაენდო ის, რაც ჯავომ აცნობა? მან კარგად იცოდა და დარწმუნებულიც იყო, თუ მოხუცი ხაჩო ბეგის განზრახვას შეიტყობდა, ამ ამბავს ვერ გადაიტანდა. მოხუცს ისედაც უკურნებელი სენი უღრღნიდა გულს... მეორე მხრივ, სარა იმასაც ფიქრობდა, რომ დამალვა შეუძლებელი და სარისკო იყო. რამე უნდა ეღონა, რომ მოსალოდნელი ხიფათი თავიდან აეცილებინათ. მაგრამ ვისთვის გაენდო ეს ამბავი?

მთელი დღე ამ ფიქრებში გაატარა, მაგრამ ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიიღო. როცა ღამით ქმართან მარტოდ დარჩა, ჰაირაპეტმა ჰკითხა:

— სარა, დღეს რაღაც სხვანაირი მეჩვენები, რა დაგემართა, ავად ხომ არა ხარ?

— ცოტა თავი მტკივა, მაგრამ არაფერია, გამივლის, — მიუვო ცოლმა. არ უნდოდა ამ მოულოდნელი ამბით თავზარი დაეცა ქმრისათვის.

— შუბლზე ცოტა ძმარი წაისვი.

— ეცადე, მაგრამ არ მიშველა...

სარა შეუმჩნეველად ამზადებდა ნიადაგს, რომ როგორმე ქმრისათვის ეთქვა ყოველივე ის, რაც დღეს შეიტყო, არ იცოდა მხოლოდ, რით დაეწყო. ბოლოს საბაბი თვით ჰაირაპეტმა მისცა:

— დღეს ვიღაც ქურთის ქალი ყოფილა ჩვენთან, ვინ იყო?

— ფათაჰ-ბეგის ცოლის — ხურშიდის მოახლე.

— ყოველთვის, როგორც ის შეჩვენებული ან მისი კაცები ჩვენთან მოდიან, რაღაც საშინელებას მოველი, — მწუხარებით წარმოთქვა ჰაირაპეტმა. — ნეტავი რიდის იქნება, რომ ეგ ურჯულონი ფეხს აღარ დადგამენ ჩვენს სახლში!..

— რაც დღემდე გვავნეს, ყველაფერი ღვთის წყალობად უნდა ჩავთვალოთ... — უპასუხა ცოლმა უცნაურად.

ჰაირაპეტს ფერი ეცვალა. სარამ ეს რომ შეამჩნია, უთხრა:

— რაც უბედურებაა, ყველაფერი ადამიანისათვის არის გაჩენილი... რა განსაცდელსაც არ გვიგზავნის ღმერთი, მოთმინებით უნდა გადავიტანოთ.

საბრალონი! თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ ყოველგვარ ტანჯვა-ვაებას ღმერთს და მხოლოდ ღმერთს მიაწერდნენ, თითქოს ამქვეყნად უბედურებათა შემქმნელი ღმერთი ყოფილიყოს...

— რა მოხდა? — ჰკითხა შეშინებულმა ქმარმა, — მითხარი პირდაპირ.

სარამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო. საბრალო ჰაირაპეტს ფერი ეცვალა, სახეზე ხან სასოწარკვეთილება აღებეჭდებოდა, ხან ზიზღი, ხან გახელება, ხან კი მწუხარება...

— ამას დიდი ხანია მოველოდი... — თქვა ჰაირაპეტმა, როცა სული მოითქვა. — საბრალო მამა! რომ გაიგოს, ველარ გადაიტანს...

— მეც მთელი დღე სულ მაგას ვფიქრობდი, — თქვა სარამ. — ვერ გადაიტანს, უეჭველად თან გადაჰყვება.

ცოლ-ქმარი ერთ ხანს დუმდა. ორივე იმას ფიქრობდა, რა ეღონათ.

— ეს ამბავი მამას უნდა დაუმალოთ, — სიჩუმე დაარღვია ჰაირაპეტმა.

— ძმებს კი უნდა გავაგებინოთ, — მიუგო სარამ.

— ძმებს მე ვეტყვი.

— მაშ, დროს ნუ დაკარგავ, ამაღამვე შეატყობინე, — აჩქარებდა სარა, — ყოველი წუთი ძვირფასია, ვინ იცის, ხვალ რა მოხდება?

ჰაირაპეტის ძმებიდან ზოგი შინ იყო, ზოგი კი ჯერ მინდვრიდან არ დაბრუნებულიყო. ჰაირაპეტმა ცოლი გააფრთხილა, რძლებისათვის არაფერი ეთქვა, სანამ ძმებთან არ მოილაპარაკებდა. გარეთ გავიდა და შინ მყოფი ძმები თან გაიყოლა. გზაში უთხრა, საგანგებო საქმე მაქვს, საჭიროა ყველამ ერთად მოვიყაროთ თავი. მოსალაპარაკებლად ერთი მყუდრო ადგილი შეარჩია თავიანთი წისქვილის მახლობლად, ტყეში, სახლში შეიძლებოდა ვინმეს ხელი შეეშალა და შემთხვევით მოხუც ხაჩოსაც გაეგო.

როცა ყველა შეიკრიბა, ჰაირაპეტმა უამბო, რაც ცოლისაგან მოისმინა, ცხადია, რა შთაბეჭდილებასაც მოახდენდა ძმებზე გაგონილი. ყველა გაქვავებულივით ერთ ადგილზე გაშეშდა. ვერც ერთმა სიტყვა ვერ დასძრა. ასე ხდება ხოლმე ზაფხულის გრილ საღამოს, როცა ხის ტოტებს მოდებული ათასობით ბეღურა ჟივილ-ხივილით მთელ ტყეს აცოცხლებს, მაგრამ როგორც კი ქორს დაინახავს, უცებ ხმა ჩაუწყდება.

— აი ესეც, ქურთის მეგობრობა! — თქვა ბოლოს ერთმა მათგანმა. — თუმცა ბეგი ჩვენი შვილების ნათლიაა, მაგრამ დავიწყებია ჩვენი პურ-მარილი!..

— განა შეუძლიათ იმეგობრონ მგელმა და ცხვარმა, მელიამ და ქათამმა? — თქვა ბრაზმორეულმა ჰაირაპეტმა. — მაგრამ ჩვენ უფრო საბრალონი ვართ, ვიდრე ცხვარი და ქათამი. ცხვარს რქები მაინც აქვს, შეუძლია ურქინოს, ქათამსაც ბასრი ბრჭყალები ასხია და ხანდახან მტერს დაკაწრავს... ჩვენ კი თავის დასაცავი არაფერი გაგვაჩნია!.. ჩვენ სოფლის ჭუჭყი ვართ, ხორცმეტი, უნდა მოვისპოთ, რომ ქვეყანა არ წავახდინოთ.

ეს სიტყვები ისეთი აღშფოთებით წარმოსთქვა, რომ ძმები შიშის ზარმა აიტანა.

— რა ვართ ჩვენ? — განაგრძო მან იმავე კილოთი. — ბეჯითი და მშრომელი მუშები!.. და ამით ვამაყობთ! მაგრამ ვირი, ცხენი, ხარი და კამეჩი ჩვენზე უფრო ღონივრები არიან და ჩვენზე მეტს შრომობენ... ჩვენ მშრომელი პირუტყვები ვართ და მეტი არაფერი... ქურთის შუბი უფრო დიდ საქმეს აკეთებს, ვიდრე ჩვენი შრომისმოყვარე სახნისი და გუთანი. ჩვენ ვშოულობთ, ისინი კი ჭამენ... ჩვენ ლამაზ ქალებს ვზრდით, ისინი კი მათი სიყვარულით ტკბებიან. რაც კარგი და ლამაზია, ჩვენთვის არ არის... რაც უშნო და ულაზათოა, მხოლოდ ის გვეკუთვნის, რადგან კარგის ღირსნი არა ვართ. ამ რამდენიმე დღის წინათ მამას ველაპარაკე, — განაგრძო მან. — გინდა თუ არა ჩვენი მდგომარეობა არც ისე საკვალალოა, როგორც გვგონიაო, მეუბნებოდა, თან მიმტკიცებდა ქურთებთან მეგობრულად უნდა ვიცხოვროთ, თორემ მთელი სიმდიდრე ხელიდან გამოგვეცლებაო. მოდი და ახლა უთხარი, შენს საყვარელ არსებას მოტაცებას უპირებენ, შენ კი თვალებდაჭყეტილი შორიდან უნდა უცქი-

რო და სიტყვის შებრუნებაც კი ვერ უნდა გაუბედო... კარგადაა საქმე, რაღა გვიჭირს! ასეთ ამბავს შეუძლია შეურიგდეს მხოლოდ სომეხი, რომელსაც ნამუსიც დაუკარგავს და პატივიც!.. თუ კარგი ბიჭი ხარ, სცადე და ვეფხვს თავისი ლეკვი წაართვი. იქვე სულს გაგაფრთხობინებს. ასეთები არიან ქურთებიც. ჩვენ კი? ჩვენ არარაობა ვართ.

ჰაირაპეტის სიტყვებმა ისე აღაშფოთა ძმები, რომ ზოგიერთებმა შეჰფიცეს, ცოცხალი თავით არ დავანებოთ სტეფანიკი ქურთსო.

— ეგრე მიზანს ვერ მივაღწევთ, — უთხრა გამოცდილმა ჰაირაპეტმა. — თავს შევაკლავთ, სტეფანიკს კი მაინც გაიტაცებენ.

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენი დის შეურაცხყოფის მოწმენი ხომ აღარ გავხდებით, — წამოიძახა აპომ.

მაგრამ აპოს ყველა როდი დაეთანხმა.

— ჩვენ თავს შევწირავთ დის პატიოსნებას, ბავშვები კი უპატრონოდ დაგვრჩებიან, — თქვა ოჰანმა, — ეს სისულელეა. ამ საქმეში მე ვერ ჩავერევი. ერთი და გვყავს, დაე, ეგეც ნუ გვეყოლება, დიდი უბედურება არ იქნება. რატომ უნდა დავიხოცოთ მისი გულისათვის?

უფრო საღად და ანგარიშიანად მიუდგა ამ საქმეს ჰაკო:

— მე აქ არავითარ უბედურებას არ ვხედავ, ერთი მხრივ უკეთესიც იქნება თუ ფათაჰ-ბეგისთანა სიძე გვეყოლება, უფრო მეტი პატივისცემით ვისარგებლებთ. აბა, ერთი მითხარით, რის მაქნისია, მაგალითად, ჩვენი მეზობელი მკო? არაფერი აბადია, მაგრამ მისი ქალიშვილი ქურთის ცოლია და ამიტომ ყველას გვეშინია მისი, ვერაფერს ვუბედავთ. საკმარისია ერთი სიტყვა ვკადროთ, სიძეს შემოგვისევს, მისი სიძე დაგვეცემა ერთ მშვენიერ ღამეს და ყველას ადგილზევე ყელს გამოგვჭრის. ღმერთმა ყველას მისცეს ასეთი სიძე.

ძმის სიტყვებმა მოთმინებიდან გამოიყვანა და გააცეცხლა აპო.

— იესო ქრისტეს ვფიცავ, ჰაკო, ჭკუა გამოგლეგია, — შესძახა აპომ, — დაუკვირდი რას ლაპარაკობ: სარწმუნოებას ვუღალატოთ და ჩვენი და ურჯულო ქურთს ჩავუგდოთ ხელში მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენი შიში ჰქონდეთ მეზობლებს და პატივს გვცემდნენ? სულაც არ გვინდა ასეთი პატივი და დიდება!.. მითხარი ერთი, ვინ

სცემს პატივს მკოს იმისათვის, რომ ქალიშვილი ქურთს მიათხოვა? სულ სხვა ამბავია, რომ მისი ეშინიათ, მერე რა, მგლისაც ეშინიათ.

ერთმა ძმამ, რომელიც მანამდე ხმას არ იღებდა, დამრიგებლური კილოთი თქვა:

— ღვთის განგებას წინ ვერავინ აღუდგება, რაც მოსასვლელია, არ აგვცდება. განგებას ერთი ქურთად გაუჩენია, მეორე — სომხად; ერთისთვის იარაღი მიუცია, მეორისთვის კი — ბარი. ისეც იქნება, ყველაფერი ღვთის ნებაზეა. — და თავისი სიტყვების დასადასტურებლად ასეთი მაგალითი მოიყვანა: — ყვავს ძალიანაც სურს ფარშავანგის ფრთები ჰქონდეს, მაგრამ ვინ მისცემს? ღმერთს ერთი ასე შეუქმნია, მეორე კი — ისე.

აპომ უპასუხა:

— შენ გავიწყდება, ჩემო ძმაო, რომ ყვავი და ფარშავანგი სხვადასხვა ჯიშის ფრინველებია, ქურთი და სომეხი კი ადამიანები არიან. ქურთს დედის შუცლიდან კი არ დაყვება ხოლმე იარაღი. ისიც შიშველ და სუსტ არსებად იბადება, როგორც სომეხი. ღმერთი რა შუაშია? განა ღმერთმა ჩააბარა ქურთს იარაღი? განა მან გვაქცია უსუსურებად და მხდალებად? ღმერთი ასეთ საქმეებში არ ერევა. მან გონება მოგვანიჭა და ჩვენც თვითონ უნდა შეგვეძლოს ავისა და კარგის გარჩევა. ახლა რომ ადგე და წყალში გადავარდე, ღმერთი ხელს არ შეგიშლის. შენი დაღუპვის მიზეზი შენვე იქნები.

უფროსი ძმა ჰაირაპეტი მდუმარედ უსმენდა ძმების კამათს. მას სურდა აპოსათვის ეკოცნა, მაგრამ ეშინოდა დანარჩენ ძმებს არ აწყენოდათ.

— თქვენ ხედავთ, — მიმართა მან მკაცრად, — ექვსმა ძმამ მოვიყარეთ თავი, მაგრამ ერთმანეთს ვერაფერი გაუგეთ და ვერც ვერაფერში შევთანხმდით. უფრო ძნელია მთელი ხალხის, მთელი ერის შეკავშირება! ვიდრე ჩვენ შორის შეთანხმებულობა არ იქნება, ჩვენს მდგომარეობას არაფერი ეშველება... სახეში მოგვაფურთხებენ, ცოლებსა და დებს მოგვტაცებენ, ქონებას, მიწას წაგვართმევენ... ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვითმინოთ ყოველგვარი უპატიოსნება და საბრალო პირუტყვივით ვიშრომოთ ჩვენივე მტრის სასიკეთოდ, რათა მან ბედნიერად იცხოვროს! თან ღმერთს მადლობაც უნდა შევწიროთ ასეთი ცხოვრებისათვის...

ჰაირაპეტმა ძმებს ურჩია, სტეფანიკი დროებით წმინდა იოანეს მონასტერში დაემალათ, ვიდრე რუსეთის საზღვარზე მისი გადაყვანის შესაძლებლობა მიეცემოდათ, იქ უვნებელი იქნებაო. ოჰანი და ჰაკო არც ამაზე დათანხმდნენ, ამით ბეგს განვარისხებთო.

—დის გადამალვას ბეგი არ გვაპატიებს და ჯავრს ჩვენზე ამოიყრის, — თქვეს მათ. ისინი სტეფანიკის სახლში დატოვებას მოითხოვდნენ და დაბეჯითებით იმეორებდნენ: როგორც ღმერთს ნებავს, ისე იქნება, ღვთის დადგენილს ადამიანი ვერ შეცვლისო.

დანარჩენი ძმები იმ აზრისა იყვნენ, რომ ყოველივე მამისათვის ეამბნათ და ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ოჯახის უფროსი გადაწყვეტდა.

ძმების კამათი დიდხანს გაგრძელდა, შეთანხმებით კი მაინც ვერ შეთანხმდნენ. უცებ ბუს შემზარავმა კივილმა გააწყვეტინა კამათი. ყველა შიშმა აიტანა.

—ვესმით, ჩვენ მართალი ვიყავით! — წამოიძახეს ოჰანმა და ჰაკომ, — ბუც კი გვაფრთხილებს! სტეფანიკს თუ სახლს მოვაცილებთ, უბედურება არ აგვცდება.

ჰაირაპეტს და აპოს აზრი მაინც ვერ შეაცვლევინეს. თათბირი ისე დამთავრდა, რომ ვერაფერი გადაწყვიტეს.

## თავი მეცამეტე

ეს რა უცნაურობაა? რამ აქცია სტეფანიკი ქალიშვილად? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ერთი პატარა, მაგრამ სამწუხარო ამბავი.

მოხუცი ხაჩოს ეზოს ერთ მყუდრო კუთხეში საფლავი იყო, რომლის გარშემო ოთხი ალვის ხე აშოლტილიყო. საფლავს არც ჯვარი ჰქონდა, არც ქვა, არც რაიმე წარწერა. ერთი პატარა, გაჯით შელესილი ბორცვი იყო და სხვა არაფერი. ხშირად ნახავდით ღამღამობით საფლავზე დამხობილ და მწარედ აქვითინებულ მოხუც ხაჩოს.

მისი ოჯახის წევრებიც განსაკუთრებული მწუხარებით ჩაუვლიდნენ ხოლმე ამ საფლავს. ჩანს, მათთვის ძვირფასი არსება განისვენებდა იქ. მაინც ვინ იყო იქ დასაფლავებული?

ხაჩოს ყავდა ერთი ქალიშვილი — სონა, ძალიან ჰგავდა სონა სტეფანიკს. როცა სონას თექვსმეტი წელი შეუსრულდა, ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა, მარტო იმიტომ კი არა, რომ მდიდარი ოჯახის შვილი იყო, უფრო არაჩვეულებრივი სილამაზის გამო. მამა სასიძოების დიდ არჩევანში იყო, ვერ გადაეწყვიტა რომლისთვის მიეთხოვებინა ქალიშვილი. მაგრამ სონას ბედნიერებას ერთმა სამწუხარო შემთხვევამ მოუღო ბოლო. ერთხელ მინდორში ჭინჭრის მოსაკრეფად წავიდა სონა და უკან აღარ დაბრუნებულა. ქალის დაკარგვის თაობაზე ათასგვარი ხმები დადიოდა: ზოგი ამბობდა, წყალში დაიხრჩოო, ზოგი კი იძახდა, ნადირმა დაგლიჯაო. ცრუმორწმუნენი ფიქრობდნენ, ავმა სულებმა გაიტაცესო, უფრო წინდახედულნი კი პირდაპირ აცხადებდნენ, ქურთებმა მოიტაცესო. ბევრი ეძებეს, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ამაოდ, დაკარგული ქალიშვილის ამბავი ვერ იქნა და ვერ გაიგეს, თუმცა მამა დიდ საჩუქარს პირდებოდა იმას, ვინც სიმართლეს გააგებინებდა.

გაიარა რამდენიმე კვირამ.

ერთ დღეს ხაჩოს სახლის წინ ერთი ქურთი შეჩერდა, თან მოიყვანა კუბოაკიდებული ჯორი. კუბოში სონას გვამი ესვენა.

ქურთის ნაამბობიდან გამოირკვა, უბედური ქალიშვილი მინდვრად გაეტაცნა ერთ ქურთ ბეგს, რომელიც თუმცა შთამომავლობით ვერ დაიკვეხნიდა, სამაგიეროდ მთელ ტომში ყოფილა ცნობილი თავისი ბოროტი საქმეებით.

რაკი სონას ამ საზიზღარი კაცისაგან თავის დაღწევის იმედი დაუკარგავს, ერთი ბებერი ქურთი დედაკაცისათვის რამდენიმე ოქრო უჩუქებია და საწამლავი უთხოვია. ოქროთი მოსყიდულ დედაბერს თხოვნა შეუსრულებია და სონას თავი მოუწამლავს. ქურთებს თავიანთ სასაფლაოზე სონას დამარხვაზე უარი უთქვამთ, — საბრალო თურმე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გაიძახოდა: მე ქრისტიანი ვარ, ჩემს სარწმუნოებას ვერ ვუღალატებო. სონას გვამი დაუმარხავი დარჩენილა. ამით უსარგებლია ერთ ქურთს, რომელსაც ქალიშვილის ვინაობა გაუგია, და მისი გვამი ხაჩოს ჩამოუტანა იმ იმედით, რომ ჯილდოს მიიღებდა. არანაკლები ფანატიზმი გამოიჩინა უბედური ქალიშვილის მიმართ სომეხმა სამღვდელოებამაც. იმის მომიზეზე-

ბით, რომ მან უზიარებლად მოიკლა თავი, ძღვდლებმა სონა სოძხეების სასაფლაოზე არ დაასაფლავებინეს.[1]

აი, რატომ იყო სონა ეზოში დაკრძალული. იმან, ვინც ეკლესიამ გასწირა, უკანასკნელი თავშესაფარი თავისი ოჯახის მახლობლად ჰპოვა.

სონას სიკვდილმა დიდი მწუხარება არგუნა ხაჩოს ოჯახს. მალე მეორე უბედურება დაატყდა თავს. უკანასკნელი მშობიარობით დასუსტებულმა მისმა მეუღლემ რეჰანმა საყვარელი ქალიშვილის ტრაგიკულად დაღუპვა ვერ გადაიტანა, დაავადმყოფდა და მალე გარდაიცვალა.

სონას უბედურებამ აიძულა ყველა განსაკუთრებით ეზრუნათ უმცროსი დის ბედზე, რომელსაც დაბადებისთანავე ლალა დაარქვეს, მაგრამ ვაჟის სახელს სტეფანიკს ეძახდნენ და ვაჟურად აცმევდნენ. რამ აიძულა მისი მშობლები ამ გზას დასდგომოდნენ?

სონას სიკვდილმა მოხუც ხაჩოზე ისე მძიმედ იმოქმედა, რომ. სტეფანიკის დაბადების შემდეგ ცრურწმენამ შეიპყრო, ეშინოდა, ვაითუ ამასაც ისეთი ბედი ეწიოსო. მისი შიში უსაფუძვლო როდი იყო: ბევრი შემთხვევა იცოდა, როცა მაჰმადიანები გოგოებს იტაცებდნენ. მათ მხარეში ეს უჩვეულო ამბავი არ იყო. ამიტომ მამამ გადაწყვიტა, ლალა ვაჟად მოეჩვენებინა ყველასთვის და სანამ სრულწლოვანი გახდებოდა ვაჟის სახელით აღეზარდა. ხაჩოს გადაწყვეტილების მომხრე იყო საბრალო დედაც, რომელიც ადრე გარდაიცვალა და შვილის გაზრდას ვერ მოესწრო.

ხაჩოს ოჯახში ამ გადაწყვეტილებას დიდი საიდუმლოებით იცავდნენ. გარეშეთაგან ეს საიდუმლოება იცოდა მხოლოდ სამმა ადამიანმა: სოფლის მღვდელმა, ლალას ნათლიამ და ბებია ქალმა, რომელიც დიდი ხანია უკვე ცოცხალი აღარ იყო.

ლალას — ამის შემდეგ მას ზოგჯერ ნამდვილი სახელით მოვიხსენიებთ, — ის იყო თექვსმეტი წელი შეუსრულდა. სოფლის გოგოს ამ ასაკში სახლში დიდხანს აღარ აჩერებენ. ხაჩოც ფიქრობდა ლალას გათხოვებაზე. მაგრამ ლალას გათხოვება იოლი საქმე როდი

---

[1] მსგავს ფანატიკოსებს ბევრგან შევხვედრივარ. განსაკუთრი ის არის, რომ ასეთი სასულიერო ფანატიზმი არავის პროტესტს არ იწვევს (ავტორის შენიშვნა).

იყო. ლალა ყველას ვაჟად მიაჩნდა და ცხადია, მთხოვნელიც არავინ ჰყავდა. გარდა ამისა, ხაჩოს სურდა სიძე უცხო ქვეყნიდან ყოფილიყო და შორს წაეყვანა ლალა, რათა ნაცნობებს არ შეეტყოთ, რა ეშმაკობას მიმართა ხაჩომ ლალას ქალობის დასამალავად, თუმცა იმ მხარეში მსგავსი რამ ხშირად ხდებოდა. მაგრამ სად უნდა ეშოვნა ასეთი სიძე?

ხაჩოს თვალი ეჭირა ერთ ჩამრგვალებულ, ყბედ და მატყუარა ბატონზე, რომელიც საკუთარ თავს თომას-ეფენდის უწოდებდა. სადაური იყო ის, არავინ იცოდა, თვითონ კონსტანტინოპოლელ სომხად ასაღებდა თავს და იკვეხნიდა, იქ დიდგვაროვანი ნათესავები მყავსო.

ლალას ძმებს ჭირივით ეზარებოდათ თომას-ეფენდი, ხარბი და გულქვა ადამიანი. ის სომხებს გაურბოდა, სულ თურქულად ლაპარაკობდა და გამუდმებით თურქ მოხელეებთან და ქურთ ბეგებთან ეგდო. ბუდამ მათი სახელი ეკერა პირზე და სომეხ გლეხებსაც მათივე სახელით აშინებდა.

თომას-ეფენდი სახელმწიფო მულთეზიმი, ესე იგი სახელმწიფო გადასახადების ამკრეფი იყო.

მულთეზიმი გლეხისათვის იგივეა, რაც ავი სული, დევი ან ეშმაკი ცრუმორწმუნე ადამიანისათვის. მაგრამ გლეხი, ვისაც ყველაზე მეტად ეშინია, სწორედ იმას უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობა. თვით ეშმაკიც რომ გამოჩენილიყო გლეხებს შორის, მასაც პირფერობას დაუწყებდნენ. ადამიანები თავიანთი განვითარების უმდაბლეს საფეხურზე ერთნაირი პატივისცემით ეპყრობოდნენ როგორც კეთილ, ისე ბოროტ სულებს. მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ უფრო მეტად ბოროტ სულს სცემდნენ პატივს. კეთილი ჩვეულია, — ფიქრობდნენ ადამიანები, — ბოროტს კი უნდა მოვეფეროთ, რომ არაფერი დაგვიშავოსო.

თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, ადვილად წარმოვიდგენთ, რატომ სარგებლობდა თომას-ეფენდი ხაჩოს ოჯახის დიდი პატივისცემით.

მოხუც ხაჩოს, როგორც სოფლის მამასახლისსა და თანამდებობის პირს, მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა გადასახადების ამკრეფთან. ეფენდი ხშირად დადიოდა სოფელში, მთელი კვირაობითაც კი

რჩებოდა მამასახლისთან და სახელმწიფო გადასახადებს აგროვებდა. მამასახლისის ოდა, რომელიც სტუმრების მისაღები ოთახი იყო, მსგავს შემთხვევაში თავისებურ სოფლის სამიკიტნოდ გადაიქცეოდა ხოლმე, ვისაც კი არ ეზარებოდა ყველას იქ შეხვდებოდით — მაზრის უფროსს, პოლიციის მოხელეებს, მოხეტიალე ბერებს და თვით უცანაბაკნელ მათხოვარსაც კი.

ძმების ფუჭი თათბირის მეორე დილას სოფელ ო...ში გამოჩნდა თომას-ეფენდი თავისი მუდმივად განუყრელი ორი პოლიციელის თანხლებით. ის ცხვარსა და ხბვა პირუტყვზე გადასახადის შესაწერად იყო მოსული, რადგან გლეხებს საქონელი მალე საზაფხულო იალაღებზე უნდა გაერეკათ.

თომას-ეფენდის საქმეები მოეთავებინა და მამასახლის ხაჩოსთან ერთად სახლში მიდიოდა. თვით სულთანი ისე ამაყად არ დადიოდა კონსტანტინოპოლის ქუჩებში, როცა პარასკეობით აია-სოფიის მეჩეთისაკენ მიემართებოდა, როგორც ეს პატარა კაცუნა მიაბიჯებდა სოფელ ო...ს ქუჩებში. ღიპი გადმოეგდო, ცხვირი აებზუებინა და გლეხებს ალმაცრად ათვალიერებდა, იმახსოვრებდა, ვინც თავს არ დაუკრავდა. ყვითელი ღილებით აჭრელებული მუნდირი ეცვა. ეს მუნდირი მისი თქმით, თვით ვეზირის ნაბოძები იყო.

როგორც კი შინ შევიდნენ, თომას-ეფენდიმ უმალ ბრძანა, ყავა მომართვითო, და იქვე განკარგულება გასცა, რა უნდა მოემზადებინათ სადილად. გადასახადების ამკრეფს ყველას ბატონ-პატრონად მიაჩნია თავი და როგორც კი გლეხის ოჯახში ფეხს შედგამს, მოითხოვს, პატივისცემა არ მომაკლოთო.

როცა ეფენდი დაჯდა, მოხუცმა ხაჩომ უთხრა:

— ეფენდი, სულ ტყუილუბრალოდ აცემინეთ დღეს ის საბრალო გლეხი!

— ისცდებით მამასახლისო, — უპასუხა მიკნავებული ხმით ეფენდიმ, — გლეხს უნდა სცემო, თანაც მაგრად. „ვირს სანამ არ სცემენ, საპალნე არ მიაქვს“.

— გლეხი დამნაშავე არ იყო.

— დამნაშავე იყო თუ არა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, დღეს თუ არაფერი დააშავა, ხვალ შეიძლება დააშავოს. ხოჯა ნასრედინის იგავი ხომ გაგიგონია? მისმა ერთმა ვირმა აიწყვიტა და გაიქ-

ცა. იმის ნაცვლად, რომ გაქცეული ვირი დაეჭირა და დაესაჯა, ხოჯამ ცემა დაუწყო მეორე ვირს, რომელიც დაბმული წყნარად იდგა. როცა ხოჯას ჰკითხეს, რატომ სცემ მაგ საბრალოს, ხომ არაფერი დაგიშავაო, მან უპასუხა: ყოველ შემთხვევისათვის, გაქცევა რომ არ დააპიროსო.

— მე მაინც მჯერა, რომ გლეხმა სიმართლე გითხრათ. ცხვრები მართლა მოსტაცეს ქურთებმა, — უთხრა მოხუცმა, რომელიც ვერ შეგუებოდა იმ აზრს, რომ საჭირო იყო დამნაშავის მაგიერ უდანაშაულო ვირის დასჯა.

— მეც ვიცი, რომ მისი ცხვრები ქურთებმა გაიტაცეს, — უპასუხა ეფენდიმ, — მაგრამ თუ მსგავს მიზეზებს ყოველთვის ანგარიშს გავუწევ, როგორც ამბობენ, „წყალი მოვარდება, წისქვილს წალეკავს", მაშინ სახელმწიფო გადასახადიც ჩემი ჯიბიდან უნდა დავფარო! შარშანდელი სიით იმ გლეხზე ასი სული ცხვარი ირიცხებოდა, მეც ასის გადასახადს ვთხოვ. რა მენაღვლება, თუ ორმოცდაათი ან სამოცი ცხვარი ქურთებმა გაიტაცეს? ქურთები ყოველ ცისმარე დღეს იპარავენ, თუ ვაჟკაცები არიან, ნუ მოაპარინებენ.

— მართალი რომ გითხრათ, ეფენდი, — კვლავ შეუბრუნა სიტყვა მამასახლისმა, — თქვენ უფლება არა გაქვთ გლეხს გადასახადი მოთხოვოთ დახოცილ ან დაკარგულ ცხვარში. ის ვალდებული არ არის გადასახადი მოგცეთ.

— როგორ შევამოწმო, მართლა მოპარეს თუ არა? — გაბრაზდა ეფენდი, — გლეხს შეუძლია ცხვრები გადამალოს, მე კი მითხრას, დაკარგე, მომპარეს ან დაიხოცაო. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ ასეთ მიზეზს არ მოიგონებს.

მამასახლისმა ხმა აღარ გასცა.

— თქვენ ჯერ არ გინახავთ ახალი ფირმანი, რომელიც სულთანმა გამომიგზავნა, — განაგრძო ეფენდიმ, — თქვენ რომ იცოდეთ, იქ რა სწერია, მამასახლისო, ასე არ ილაპარაკებდით.

ეფენდიმ უბიდან ამოიღო ქაღალდების დასტა და ფრთხილად ამოაძრო დიდი წითელი ფურცელი, რომელზეც მსხვილი, უცნაური ასოებით რაღაც იყო დაბეჭდილი.

— აჰა, წაიკითხე, — გაუწოდა მან ფურცელი მამასახლისს.

მამასახლისი გაკვირვებული დასცქეროდა მსხვილ ასოებს, მას

თურქულად კითხვა რომ სცოდნოდა, მიხვდებოდა, რომ ეფენდიმ ხელში მიაჩეჩა ჩვეულებრივი თეატრალური აფიშა, რომელიც ერთი მსახიობი ქალის ბენეფისისათვის იყო დაბეჭდილი.

— მამასახლისო, სულთანის ფირმანს ასე უზრდელად არ ეპყრობიან, — გააფრთხილა თომას-ეფენდიმ. — ფირმანს რომ ხელს მოჰკიდებ, ჯერ უნდა ემთხვიო, შემდეგ კი წაიკითხო.

მოხუცმა აკოცა ქაღალდს და მოკრძალებით უკან დაუბრუნა.

— ათასჯერ უნდა გაუმეორო გლეხებს, რომ ახალი ბრძანებულებაა გამოცემული გადასახადების მომატების თაობაზე, მაგრამ მათ გაგონებაც კი არ უნდათ, ისევ თავისას გაიძახიან, — განაგრძო აღშფოთებულმა ეფენდიმ. — მეც ადამიანი ვარ, მოთმინებას რომ დავკარგავ, ვცემ. ვირი რომ ვირია, თუ ერთხელ ტალახში ჩაეფლო, კისერიც რომ მოტეხო, მეორედ იქით აღარ გაიელის, მაგრამ გლეხებს ვირის ჭკუაც კი არა აქვთ.

თომას-ეფენდის ჩვეულებად ჰქონდა საუბარში ვირების შესახებ ანდაზებისა და მოსწრებული სიტყვების ხმარება.

— ყური დამიგდე, მამასახლისო, ერთი ამბავი უნდა გითხრა. შენ ხომ იცი, რომ ალაშკერტის მაზრის ბევრ სოფელს მე განვმგებლობ. ერთხელ ერთმა გლეხმა პურეული აიღო, გალეწა, ხორბალი კალოზე შეაგროვა და დამიძახა, აზომე და მეათედი ნაწილი, რომელიც გერგება წაიღეო. მეათედის ნაცვლად ნაღდი ფული მოვთხოვე. მან მითხრა, ფული არა მაქვსო, თან დაუმატა: თქვენ ხორბლის წაღების უფლება გაქვთ და რამდენიც გერგებათ, იმდენი წაიღეთო (ვერ ამიტანია, როცა ბრიყვი და უგუნური გლეხი უფლებებზე მსჯელობს). — გავიფიქრე, დედას გიტირებ, მე შენ გიჩვენებ, რას ნიშნავს უფლება-მეთქი! ხორბალი არ გადავწონე და კალოზე დავტოვეწვიმები მოვიდა, ხორბალს ნესტი შეეპარა და დალპა. ცოტა ვაცალე და შემდეგ მივადექი იმ გლეხს და ვუთხარი: „რაკი ხორბალი მერგება, მომეცი, რამდენიც მეკუთვნის“. მაგრამ რაღას მომცემდა, როცა მთელი ხორბალი დაულპა? მაშინ ფული მოვთხოვე, არც ფული აღმოაჩნდა. ჯერ მაგრა ვაცემინე, შემდეგ ხარები გავაყიდინე და ფული წავართვი. ერთი შეგახედა ახლა იმ გლეხისათვის — აბრეშუმივით გახდა, როგორც კი დამინახავს, ერთი ვერსის მანძილიდან მოკრ-

ძალებით ქუდს მიხდის. მაგათ ასე უნდა მოექცეს კაცი, სხვა გზა არ-არის.

— მერე ეგ რა სინდისია? — ისე ხმადაბლა თქვა მოხუცმა ხაჩომ, თითქოს ეშინოდა, არ გაიგონ, რა ვთქვეო.

— რა არის სინდისი? — აგდებულად უპასუხა გადასახადების ამკრეფმა. — სინდისი სხვა საქმეა, ძალაუფლება კი სულ სხვა. უკვე ორმოცი წელია სოფლის მამასახლისი ხარ და დღემდე ვერ შეგიგნია, რა არის ძალაუფლება. წეღან ხომ გითხარი ხოჯა ნასრედინის იგავი ვირებზე, ახლა ყური დამიგდე, სხვა მაგალითს მოგიყვან. ერთმა ფაშამ, როგორც კი მაზრის უფროსად დანიშნეს, მაშინვე რამდენიმე კაცი, ვინც კი ხელში მოხვდა, დააჭერინა და ციხეში ჩააყრევინა, შემდეგ კი, როგორც ბოროტმოქმედნი სიკვდილით დასაჯა. შესაძლოა, იმათ არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ ფაშას სიკვდილით უნდა დაესაჯა რამდენიმე კაცი, რომ ხალხი დაეშინებინა. აი, რას ნიშნავს ძალაუფლება! ხალხი მუდამ დაშინებული უნდა გყავდეს. იმ გლეხს რომ სხვანაირად მოექცეოდი, მისი ხორბალი არ დამელპო და არ გამეოხრებინა, დანარჩენი გლეხები ძაღლადაც არ ჩამაგდებდნენ და ვერც ვეღარაფერს მოვთხოვდი.

თომას-ეფენდი ისე უდარდელად ლაპარაკობდა თავის სიავკაცეზე, როგორც ქურთი ჩვეულებრივ ამაყობს ხოლმე თავისი ავაზაკული საქმეებით. რითიღა განსხვავდებოდნენ თომას-ეფენდი და ფათაჰ-ბეგი? მარტო იმით, რომ ერთი სულმდაბალი და თაღლითი მყვლეფელი იყო, მეორე კი — თავგასული ყაჩაღი.

ამ ორ ადამიანზე იყო დამოკიდებული საბრალო ლალას ბედი.

## თავი მეთოთხმეტე

თომას-ეფენდი კიდევ რამდენიმე დღეს აპირებდა სოფელში დარჩენას, რადგან საქმეები ჯერ კიდევ მოსათავებელი ჰქონდა.

ხაჩოს ოჯახს ყოველ წელიწადს რამდენჯერმე ეწვეოდა ხოლმე ერთი სხვა სტუმარიც — ახალგაზრდა ვაჭარი.

ეს ჭაბუკი არარატის მაზრიდან იყო. მოხუცისაგან ყიდულობ-

და ცხვარს, ხარებს, მატყლს, ყველს, ერბოს და ალექსანდროპოლსა და ერევანში მიჰქონდა გასასყიდად. თავად კი მოჰქონდა და სოფელში ყიდდა ჩითს, ტილოს და მაუდის ქსოვილს, ჩაის, შაქარს, ყავასა და სხვა მრავალ წვრილმანს. ქალაქებს დაშორებული ისეთი სოფლებისათვის, როგორიც ო..იყო, ასეთი ვაჭრები მეტად საჭირონი იყვნენ. მათ გლეხებისათვის ჩამოჰქონდათ ყველაფერი, რაც კი ესაჭიროებოდათ და მათგან ყიდულობდნენ პროდუქტებს. რის გასასყიდად შორს წასვლა გლეხებს უძნელდებოდათ ყაჩაღების შიშით და უხეირო საქარავნო გზების გამო.

ამ ჭაბუკის გამოჩენა ყოველთვის დიდ სიხარულს ჰგვრიდა მოხუცი ხაჩოს ოჯახს. მათთან ისე იყო დაახლოებული, რომ ყველა თავისი ოჯახის წევრად თვლიდა.

შეეიდოდა თუ არა სოფელ ო..ში თავისი პატარა ქარავნით, რომელიც რამდენიმე დატვირთული ცხენისაგან შედგებოდა, პირდაპირ მოხუცის სახლისაკენ გასწევდა, თავის საქონელს გადმოტვირთავდა და მთელი კვირაობით იქ რჩებოდა. როგორც კი საქმეებს მოათავებდა, თავის გზას გაუდგებოდა ხოლმე. თომას-ეფენდის ჩამოსვლიდ მეორე დღეს ამ ახალგაზრდა ვაჭრის ქარავანი მამასახლისის ხაჩოს სახლის წინ გაჩერდა. სწორედ ამ დროს ეფენდი ეზოში გავიდა და ვაჭარი დაინახა.

— ოჰო! შენა ხარ? — მივიდა ჭაბუკი ეფენდისთან და პირჯვარი გადაიწერა. — მე კი ეშმაკი მომეჩვენა, ცუდად წავა ამჯერად ჩემი საქმეები... სახელითა მამისათა და ძისა...

ეფენდიმ გულიანად გადაიხარხარა. მკლავში ხელი ჩაავლო. თვალებში შეხედა და უთხრა:

— ხენთი ხარ, ხენთი! ათასჯერ მითქვამს შენთვის კარგი, ამაა თავი გავანებოთ, შენ ის მითხარ, რომი ჩამომიტანე?

— საწამლავი ჩამოგიტანე, დალევ თუ არა ფეხებს გაფშიკავ და საბრალო გლეხებიც მოისვენებენ, — სიცილით მიუგო ჭაბუკმა.

მათ საუბარს ესწრებოდნენ გლეხები, ისინი ახალგაზრდა ვაჭარს ბარდანების გადმოტვირთვასა და დაბინავებაში ეხმარებოდნენ. ეფენდის არ ეჭაშნიკა, ჭაბუკის ხუმრობას რომ იქ მყოფმა გლეხებმა მოჰკრეს ყური, აჩქარდა, უნდა წავიდე, სოფელში ბევრი საქმე მაქვსო. თან დასძინა. დღეს პური ერთად ვჭამოთო.

— შენთან პურის ჭამა ნამდვილად ცოდვის ჩადენაა, — მიუგო ჭაბუკმა.

— „ვირის კუდს ვერც დაამოკლებ, ვერც დააგრძელებ“, ასე ითქმის შენს ენაზე, — უთხრა ეფენდიმ. — „ვირი თუგინდ იერუსალიმში წაიყვანო, ვირობას მაინც არ მოიშლის“.

— რაკი ვირების იგავებს მოხსენი პირი, ალბათ ბოლოს ვეღარ ვამოაბამ, — დაცინვით უთხრა ჭაბუკმა და ზურგი შეაქცია.

ეფენდი წავიდა.

ხაჩოს ოჯახში, დიდს თუ პატარას, ყველას გაეგო ვარდანის (ასე ერქვა ჭაბუკს) ჩამოსვლა და მოუთმენლად უცდიდნენ როდის დახსნიდა ბარდანებს, ყველას რაღაცა ჰქონდა დაბარებული.

როგორც კი ვარდანმა ბარდანები დერეფანში შეიტანა, ყველა გარს შემოეხვია. „ჩემი დაბარებული ფეხსაცმელი მომიტანე?“ — ეკითხებოდა ერთი. „ქუდი თუ მომიტანე?“ — ეუბნებოდა მეორე. ერთი სიტყვით, ყოველი მხრიდან ერთი და იგივე გაისმოდა, ყველა რაღაცას სთხოვდა. ბავშვებიც კი მოსვენებას არ აძლევდნენ, კალთებზე ებღაუჭებოდნენ და ხან რას სთხოვდნენ და ხან რას.

— მოგიტანეთ, მოგიტანეთ! — ეუბნებოდა ვარდანი, — ვინც რა დამბარეთ, ყველაფერი მოგიტანეთ.

— მაშ, მოგვეცი, მაშ, მოგვეცი, — მოუთმენლად გაიძახოდნენ ყოველი მხრიდან ბავშვები.

— ოჰ, თქვე ჭინკებო! — ეუბნებოდა ვარდანი, — მაცალეთ დავისვენო, მერე ბარდანებს დავხსნი და მოგცემთ, ვისაც რა გსურთ.

— არა, ახლა! ახლა! — არ ისვენებდნენ ისინი.

ყველა ისე შეეჩვია ვარდანს, რომ ყურადღება აღარ მიაქციეს, დაესივნენ ბარდანებს და შეუდგნენ დახსნას. თოკები და ჭილობები შემოხსნეს და საქონლის ამოლაგება დაიწყეს.

ვარდანი შორიახლო იდგა, გულკეთილი ღიმილით შესცქეროდა მათს მხიარულებას და სიცილით ამბობდა:

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, მაგრე ქურთებიც კი არ იტაცებენ ვაჭრების საქონელს.

ბარდანებს მხოლოდ ლალა არ გაჰკარებია, შორიდან შეჰყურებდა და დროდადრო იღიმებოდა.

ვარდანი მივიდა მასთან და ჰკითხა:

— შენ რატომ არაფერს იღებ?

— რა ავიღო? — მიუგო წამოწითლებულმა ლალამ.

მართლაცდა, რა უნდა აეღო? მას დიდი ხანია მობეზრებული ჰქონდა თავისი ფარული მდგომარეობა: ქალიშვილის შესაფერისი რაიმე ნივთის აღება არ შეეძლო, სხვა კი არ უნდოდა.

ვარდანი მიუხვდა, რასაც ფიქრობდა და ჩუმად უთხრა:

— მე შენ ერთი კარგი რამ ჩამოგიტანე.

— რა? — ჩუმადვე ჰკითხა ლალამ.

— მერე მოგცემ, მხოლოდ არავის უჩვენო.

ლალამ გაიღიმა და წავიდა.

ვარდანი ოცდახუთი წლის ტანმაღალი, კარგი მოყვანილობის ახალგაზრდა იყო, სახის მსხვილი ნაკვთები ჰქონდა, ვერ იტყოდით, ლამაზიაო. მისი დიდი შავი თვალები უტიფრად და ავაზაკურად იცქირებოდნენ, მომსხო ტუჩებზე კი მუდამ ირონიული ღიმი დასთამაშებდა. მთელი მისი გარეგნობა, თავისუფალი მიხვრა-მოხვრა იმაზე მეტყველებდა, რომ უაღრესად დიდი ღონის პატრონი უნდა ყოფილიყო. დანამდვილებით არავინ იცოდა, სადაური იყო ან რა წარსული ჰქონდა. მასზე ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ მის სასარგებლოს არაფერს. ხმები დადიოდა, ათასი ბნელი საქმე აქვს ჩადენილი და მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა სახრჩობელისაგანო. ერთ დროს ერთ მონასტერში ყოფილა ბერად, შემდეგ კი მასწავლებლობდა თურმე. მაგრამ რატომ მიატოვა მონასტერი და სკოლა, არავინ იცოდა. მონასტერსა და სკოლაში მისი ყოფნის ხანაზე ბევრი ანეკდოტი დადიოდა და მის დაუდგრომელ ხასიათზე მეტყველებდა.

დანამდვილებით მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ვარდანი მთელ იმ მხარეში განთქმული უშიშარი კონტრაბანდისტი იყო. საამისოდ მას ჰქონდა ყველა მონაცემი: ვაჟკაცობა, მოხერხებულობა და ეშმაკივით მახვილი გონება. თავის პროფესიასთან დაკავშირებულ ყოველივარ განსაცდელსა და საშიშროებასთან მუდმივმა ბრძოლამ რკინისებური ხასიათი გამოუმუშავა და იშვიათი მამაცობა და გამბედაობა შესძინა. იყო ერთი გარემოებაც: მარტო თომას-ეფენდი კი არ უწოდებდა მას ხენთს, მთელ სოფელ ო...ში და მის მიდამოებში ამ მეტსახელით იყო ცნობილი.

მაინც რატომ თვლიდნენ ხენთად? ვარდანს ჰკუა და გონება არ

აკლდა. საკმაოდ ნაკითხი და ყოველმხრივ განვითარებული ახალგაზრდა იყო, კარგად იცნობდა ცხოვრებასაც და ადამიანებსაც. მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, ბევრი ტანჯვა-ვაებაც გამოეცალა და დიდი გამოცდილებაც შეეძინა. ხენთად იმიტომ თვლიდნენ, რომ ჭირივით სძულდა სიცრუე, პირფერობა და ცრურწმენათა, მცდარ შეხედულებათა დაუძინებელი მტერი იყო. ვარდანი ძალიან გულახდილი კაცი იყო, თუკი ადამიანს რაიმე ცუდს შეატყობდა, მოურიდებლად პირში ეტყოდა, მაგრამ თავის შეცდომებსაც არ მალავდა და აშკარად აღიარებდა. ასეთებს კი ხალხი ყოველთვის ხენთად თვლის.

ბევრი ძველი ბრძენი და ფილოსოფოსი, თვით ცნობილი პაჰლული და ხოჯა ნასრედინი ხენთებად ითვლებოდნენ. ვარდანი არც ბრძენი იყო და არც ფილოსოფოსი, მაგრამ მსჯელობა და ყოფაქცევა ისეთი ჰქონდა, რომ მდაბიო ხალხს უცნაურად მიაჩნდა.

როცა ლალას უთხრა, ერთი კარგი რამ მოგიტანე და მხოლოდ საიდუმლოდ შემიძლია გადმოგცეო, ვარდანმა თავის გულახდილობას უღალატა. თითქოს რაღაც ფარული გრძნობა აიძულებდა ასე მოქცეულიყო. შემთხვევას ეძებდა, რომ პირისპირ შეხვედროდა ლალას. მალე ამის საბაბიც მიეცა.

აქ უადგილო არ იქნება, თუ თვალს გადავავლებთ მოხუცი ბაჩოს ეზოს. მისი უმეტესი ნაწილი ბაღს ეჭირა. ბაღში ხშირფოთლოვანი ხეები და სხვადასხვა ჯიშის ბუჩქნარი იყო გაშენებული. ხეები ისე დაზრდილიყო, რომ რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე კაცს ვერ შეამჩნევდით.

როცა გაპყიდად მოტანილ საქონელს თავ-თავისი ადგილი მიუჩინა, ვარდანი ბაღისაკენ გაეშურა. დასვენება უნდოდა და ხეების ჩრდილში წამოწოლა გადაწყვიტა. გულზე მძიმედ აწვა რაღაც, მისი ბული რაღაც ტკბილ, ნეტარ გრძნობებს დაეპყრო. ასეთ დროს ხეები, ყვავილები, ფოთოლთა შრიალი უფრო მეტად ანუგეშებენ შეყვარებულს, ვიდრე ადამიანის ენა.

დაბურული ხეების ჩრდილში რბილ ბალახზე წამოწოლილი დიდხანს და უაზროდ შეჰყურებდა მოლურჯო ცის კამარას. აკვირდებოდა ბოლქ-ბოლქვად შექუჩებულ მოთეთრო ღრუბლებს, რომლებიც ცის სივრცეში გამალებით მოცურავდნენ, ჰორიზონტზე

თავს იყრიდნენ და ქარიშხლის მომასწავებელ ერთ მთლიან მასას ჰქმნიდნენ.

ვარდანის გულშიც ქარიშხალი ტრიალებდა: იზრდებოდა და ამოზეთქვას ლამობდა დიდი და ძლიერი გრძნობა, რომელსაც სიყვარული ეწოდება...

ვარდანმა დიდი ხანია იცოდა, რომ სტეფანიკი ქალიშვილი იყო. ისიც იცოდა, რამ აიძულა მშობლები ერთადერთი ქალიშვილი ვაჟის ტანსაცმელში, ვაჟის სახელით აღეზარდათ. ამ გარემოებამ მგრძნობიარე ახალგაზრდის ყურადღება მიიქცია, უბედური ქალიშვილისადმი სიბრალულის გრძნობამ თანდათან გზა დაუთმო სიყვარულის გრძნობას.

მაგრამ უკანასკნელ დღემდე ვარდანი გულში ინახავდა ამ სიყვარულს. ჭაბუკი არათუ არაფერს ეუბნებოდა ლალას, არც არაფერით ამჟღავნებდა. რომ იცოდა მისი ქალიშვილობის ამბავი.

მართალია, სტეფანიკი ძალიან ემეგობრებოდა, მაგრამ თავის საიდუმლეობას მტკიცედ იცავდა და ცდილობდა, არაფრით გამოეშკარავებინა იგი, თუმცა ბუნებას თავისი გაჰქონდა და გოგონა უნებლიეთ ამჟღავნებდა იმ განსაკუთრებულ თვისებებს, რაც დამახასიათებელია ქალისათვის, რაც არ შეუძლია დაფაროს ასკში შესულმა ქალიშვილმა.

ვარდანი დიდხანს იყო ბაღში წამოწოლილი, ვერ ისვენებდა. ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა, ხან მეორეზე. უცებ შრიალი შემოესმა. გაიხედა, მისკენ სტეფანიკი მოდიოდა. საბრალო ჭაბუკი გული აუთრთოლდა, მისი რკინის გული არასოდეს ასე არ აძგერებულა.

სტეფანიკი მიუახლოვდა, რამდენიმე ნაბიჯზე გაუბედავად შეჩერდა და უთხრა:

— საღილი მზად არის, მამა გეძახის.

— ეფენდიც იქ არის? — ჰკითხა ვარდანმა, წამოდგა და იქვე პატარა ბორცვზე ჩამოჯდა. ბორცვს მწვანე ქოლგასავით ფარავდა ხის ხშირი ტოტები.

— ეშმაკსაც წაუღია მისი თავი და ტანი, იქ არის, — ზიზღით უპასუხა სტეფანიკმა.

— არც შენ გიყვარს ეფენდი?

— სხვას ვის უყვარს, მე რომ მიყვარდეს?

ვარდანმა გადაწყვიტა ამ შემთხვევით ესარგებლა და საჩუქარი გადაეცა. სტეფანიკს სთხოვა, ცოტა ხნით მოიცადეო, თვითონ ფარდულისაკენ გაეშურა. და რამდენიმე წუთის შემდეგ პატარა ბოხჩით უკან დაბრუნდა.

— მაშა გელოდება, — გაუმეორა სტეფანიკმა.

— მოვასწრებთ, ჯერ სადილის დრო არ არის. ჩემთან დაჯექი, სტეფანიკ, რაღაც უნდა მოგცე.

გახარებული სტეფანიკი გვერდით მიუჯდა. ვარდანმა ბოხჩა გახსნა. შიგ ლამაზად მოხატული პატარა შავი ყუთი აღმოჩნდა. ჯიბიდან პატარა გასაღები ამოიღო და გააღო. ყუთში ეწყო ქალის ხელსაქმის სხვადასხვა საგნები: ვერცხლის მაკრატელი, სათითე, სანემსე და სხვა. ყუთის ერთ მხარეს პატარა სარკე იყო მიმაგრებული, ფსკერზე კი — მუსიკალური მექანიზმი. ვარდანმა მომართა და ყუთი ლამაზად აჟღერდა.

სტეფანიკი გაოცებული შეჰყურებდა ყუთს, არასოდეს ენახა ასეთი მშვენიერი ნივთი.

— მოგწონს? — ჰკითხა ვარდანმა და თვალი თვალში გაუყარა, — აიღე, შენთვის მისახსოვრია.

სტეფანიკს პირველად ძალიან ესიამოვნა საჩუქარი, მაგრამ უცებ დაღონდა, თითქოს რაღაც გაახსენდაო; გაუჭირდა საჩუქრის მიღება. წუთიერი ღელვის შემდეგ თქვა:

— რად მინდა მაკრატელი, სათითე ან ნემსები... ეგ ქალების საქმეა... ჩემთვის სხვა რამე უნდა მოგეტანა... ისეთი, რაც ბიჭებს შეეფერება... მე ქალიშვილი კი არა ვარ.

ისეთი აკანკალებული ხმით წარმოთქვა ეს სიტყვები, გეგონებოდათ, ნაზი ალისფერი ტუჩები ეწვისო.

ვარდანი არ მოელოდა მისგან ამგვარ გულჩათხრობილობას, ერთბაშად გაშეშდა, სულიერ ღელვას ვეღარ სძლია და უთხრა:

— შენც ხომ ქალიშვილი ხარ, ლალა!

— როგორ? შენ ჩემი სახელიც კი იცი? — შეცბუნდა საბრალო ქალიშვილი და უნებლიეთ ვარდანს მკერდზე მიეყრდნო.

ჭაბუკმა ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა. უზომოდ აღელვე-

ბულმა ლალამ ათრთოლებული ხმით რამდენიმეჯერ წაიჩურჩულა: „ქალიშვილი ვარ, დიახ, ქალიშვილი“.

ქალიშვილის მრავალი წლის მანძილზე მდუმარე ბაგეს პირველად მოსწყდა ეს აღსარება და უცხო ახალგაზრდას გაანდო, გამოუტყდა იმას, ვინც უყვარდა, მაგრამ დღემდე თავის გრძნობებს უმალავდა.

თავდავიწყებულმა შეყვარებულებმა ვერ შენიშნეს, რომ მათ ხეებს მიფარებული ერთი წყვილი თვალი უთვალთვალებდა. ეს სარა იყო, რომელიც საკრავის ხმაზე გასულიყო ბაღში. „ახლა კი გადარჩენილია ლალა!“ — სიხარულით გაივლო მან გულში და სწრაფად შინისაკენ გაბრუნდა.

## თავი მეთხუთმეტე

მოხუცი ხაჩოს ოდაში სუფრა გაეშალათ. მამასახლისი და თომას-ეფენდი ვარდანს ელოდებოდნენ. იქვე იჯდა თომას-ეფენდის ყველა სისაძაგლის მონაწილე და ხელშემწყობი ორი პოლიციელი.

მათ გარდა ოდაში არავინ იყო, ხაჩოს შვილები ვერ ბედავდნენ მაგიდასთან დაჯდომას, როცა მამასახლისს ოჯახში საპატიო სტუმრები ჰყავდა.

— ახლა მოვა და იმდენს იყბედებს, რომ სადილს ჩაგვიშხამებს, — თქვა ეფენდიმ ვარდანის შესახებ.

— მართალია, გესლიანი ენა აქვს, მაგრამ არაჩვეულებრივად კეთილი გულის პატრონია, — შენიშნა მამასახლისმა.

— ეგ მეც ვიცი, მამასახლისო, რომ ბოროტი გული არა აქვს. მაგრამ ენა კი გველივით შხამიანი აქვს. ყველასთან ხუმრობა ვის გაუგონია! მე რომ დავახველებ, ხალხი ჩემი შიშით ცახცახს იწყებს. ნუ გავიწყდებათ, ვინ არის თომას-ეფენდი. სულთანის ფირმანი ხომ ნახე? მეტს გეტყვი: არზერუმის ვალი მუდამ თავის გვერდით დამსვამს ხოლმე. თუ არ გჯერა, აი ამათ ჰკითხე, — პოლიციელებზე მიუთითა გადასახადების ამკრეფმა. „მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო“. ეს ორი გაიძვერა ნაციოი მოწმესავით მუდამ მზად იყო დაედასტურებინა ეფენდის ტყუილები.

— უმაგათოდაც ჭკვერა, — უპასუხა მამასახლისმა.

თომას-ეფენდი მარტო იმისათვის კი არა ბრაზობდა ვარდანაზე, რომ დილით მისმა ნათქვამმა შეურაცხყო, უფრო იმიტომ, რომ ყოველთვის, როცა კი ვარდანი გადასახადების ამკრეფს შეხვდებოდა, მის გაბიაბრუებას ცდილობდა.

— რომ მოვინდომო, — ცხარობდა გადასახადების ამკრეფი, — ქვეყანას გადავაბრუნებ და მაგ არამზადას კი ვაჩვენებ ვინც არის თომას-ეფენდი!

— ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, — უთხრა გულკეთილმა მოხუცმა. — ახალგაზრდის სიტყვას კი ანგარიშს არ უწევენ, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ ისეთი ცუდი ყმაწვილი არ არის, როგორც თქვენ ფიქრობთ.

ამ დროს ოდაში მთლად გაფითრებული და ფიქრებში წასული ვარდანი შევიდა. თომას-ეფენდიმ, რომელიც ერთი წუთის წინ მის შესახებ ბრაზით ლაპარაკობდა, როგორც იტყვიან, ენა ჩაიგდო და პირფერულად მიმართა ვარდანს:

— შე დალოცვილო, რამდენ ხანს მაცდევინებ? ხომ იცი, რომ უშენოდ ლუკმას არ გაუტეხ?

— ვიცი, — უპასუხა ვარდანმა და არც კი შეხედა, ისე დაჯდა თავის ადგილზე.

სადილზე ვარდანს ხმა არ ამოუღია. მოწყენილი იყო, თითქოს რაღაც აწუხებსო. მუდამ მხიარული ახალგაზრდა ისე იყო ახლა დაღვრემილი, როგორც ღრუბლებით დაძენძილი ცა. ვარდანი უიმედოდ დაემწუხრებინა სიყვარულს — იმას, რაც ერთს ნეტარებასა და სიხარულს ანიჭებს, მეორეს გონებას აკარგვინებს, ხოლო მესამეს წმინდა გრძნობებით აღავსებს და დუხჭირი ცხოვრების ჭრილობებს უშუშებს. საქმელს თითქმის არ გაკარებია, სამაგიეროდ ბევრი დალია. თითქოს გულში დანთებულ ცეცხლს ღვინით ჩახშობას უპირებსო.

სამაგიეროდ თომას-ეფენდი, როგორც ყოველთვის, ენაგაუჩერებლივ ლაქლაქებდა. ვინ მოთვლის რას არ ყვებოდა თავის ცხოვრებაზე, თავის წარსულზე. მის ნათქვამს თუ დაუჯერებდით, იმდენად სახელგანთქმული კაცი იყო, რომ თვით პატრიარქი ნერსესი მას

„შვილო, ჩემოს“ უწოდებდა. ხრიმიანი[1] არ მოსწონდა, მეტად თავმდაბალი კაცია და თავს იმდენად იმცირებს, რომ ვიღაც მუშელ და ვანელ მდაბიოებს „ემასლაათებაო“. ეფენდი იფიცებოდა ნუბარფაშა თავის წერილებში მუდამ „კეთილშობილ მეგობარს“ მიწოდებსო; იკვეხნიდა, ბოსფორის ნაპირზე საკუთარი სასახლე მაქვს, ინგლისელებს მივაქირავეო; ირწმუნებოდა, ჩემმა წინაპრებმა იერუსალიმის ტაძარს დიდი თანხა შესწირეს, რისთვისაც მათ წმინდა იაკობის მონასტერში ყოველდღე პარაკლისს უხდიანო; მე და ოტიანი[2] ერთმანეთს იმიტომ დავემდურეთ, რომ სიძედ უნდოდი, თავისი ქალიშვილი შემომაძღლია. მაგრამ უარი ვტკიცეო... და ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი ზღაპარი უამბო. ვარდანი კი მის ლაქლაქს ყურს თითქმის არ უგდებდა. გულუბრყვილო მოხუცს კი ყველაფერი სჯეროდა და გაოცებული უსმენდა. „რა ბედნიერი იქნება ჩემი ლალა. — ფიქრობდა მოხუცი, — როცა ცოლად გაყვება კაცს, რომელმაც ოტიანს სიძეობაზე უარი უთხრა, ბოსფორის ნაპირზე კი სასახლე აქვსო“.

შემდეგ ეფენდიმ პოლიტიკაზე ჩამოაგდო საუბარი. ეს ის დრო იყო, როცა ბალკანეთში სამოქალაქო ომი მძინვარებდა, ბალკანელი ხალხები თავიანთი თავისუფლებისათვის სისხლს ღვრიდნენ. მათი ბედ-იღბლის გადასაწყვეტად კონსტანტინოპოლში კონფერენცია მოიწვიეს და გაქნილმა დიპლომატმა მითჰადმა თურქეთის კონსტიტუცია გამოაქვეყნა.

ოდაში მოკალათებული თომას-ეფენდიც სომეხი ერის მომავლის საკითხებს წყვეტდა. ჯერ იყო და სლავებს მისწვდა, „უგნურები“ არიან, როგორ „გაბედეს“ და თავიანთ „კეთილმოსურნე“ თურქებს აუჯანყდნენო. შემდეგ მოსდგა და სომხები ლანძღა, მათ შორისაც არიან ისეთი „გადარეულები“, რომლებიც თურქების უღელს ვერ იტანენ და რაღაც მოქალაქეობრივ თავისუფლებასა და თვითმმართველობაზე ოცნებობენო ამტკიცებდა: თურქები რომ არ იყვნენ, სომხები მთლიანად ამოწყდებოდნენ, რადგან თავიანთი ქვეყნის მართვის შნო არა აქვთო.

---

1 ჰაირიე ხრიმიანი — ცნობილი სომეხი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე.

2 პოღოს ოტიანი — სულთანის კარის ხუროთმოძღვარი.

ეს კი ვეღარ მოითმინა ვარდანმა.

— თქვენისთანა სისხლისმწოველებისათვის, ვიღაც მოიჯარადრეებსა და გადასახადების ამკრეფთათვის, რასაკვირველია, ხელსაყრელია თურქ ხელისუფალთა უკანონობა და უსამართლობა: თქვენ მღვრიე წყალში თევზს იჭერთ და წყვდიადს ეტრფით, რადგან დღის სინათლე ქურდებს შიშსა ჰგვრის.

— ბატონო ვარდან, — სიტყვა გააწყვეტინა ეფენდიმ, — ნუ გავიწყდება, რომ გვერდით ორი პოლიციელი გიზის!

— მაგ პოლიციელებით საბრალო გლეხები შეაშინე, მაგათ გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ ბოსფორზე სასახლე გაქვს, ოტიანის ქალიშვილი დაიწუნე და კიდევ ის, რომ შენს წინაპრებს წმინდა იაკობის მონასტერში ყოველდღე პარაკლისებს უხდიან... თქვენისთანები მხოლოდ წყევლა-კრულვის ღირსნი არიან!.. თქვენ ხართ სომხების ოჯახის დამქცევნი, თქვენ ყველანი — მულთეზიმიდან მოყოლებული უმაღლესი პორტას[1] დიდგვაროვან მოხელეებამდე — პირადი გამორჩენისათვის საკუთარ ერს ღალატობთ.

თომას-ეფენდიმ გაჯავრება არ იცოდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ის მხოლოდ მაშინ ჯავრობდა, როცა ხედავდა, რომ მოწინააღმდეგე მისი საკბილო იყო და რასაც მოისურვებდა, იმას უზამდა. ვარდანს კი დიდი ხანია იცნობდა და იცოდა, ვერაფერს დააკლებდა, ამიტომაც თავისი შეცდომა რომ როგორმე გამოესწორებინა, სცადა საუბრისათვის ხუმრობის კილო მიეცა:

— გეტყობა, ღვინო თავში აგივარდა. შე დალოცვილო, როცა სმის თავი არა გაქვს, რას ეძალები!

ვარდანმა ცერად შეხედა და აღარაფერი უპასუხა. მისი გამოხედვა ამ მლიქვნელისადმი ზიზღის მეტს არაფერს გამოხატავდა.

მოხუცი ხაჩო ხმას არ იღებდა. მართალია, გრძნობდა, რომ ვარდანი მართალი იყო, მაგრამ თანამდებობის პირთან მისი მოურიდებელი ლაპარაკი უმართებულოდ მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ სადილის დამთავრება გაუხარდა, თუმცა რას იფიქრებდა, რომ კვლავ ჩხუბი ატყდებოდა.

ნასადილევს, ადგილობრივი ჩვეულების მიხედვით, სტუმრებს

---

1 უმაღლესი პორტა — თურქეთის იმპერია.

უშაქრო ყავა შემოუტანეს. ეფენდის ნაბრძანები ჰქონდა, როცა კი ხაჩოს სახლში ყავას მიირთმევდა, მისთვის ჩიბუხი აუცილებლად სტეფანიკს გაეწყო, სტეფანიკის ხელით გატენილი ჩიბუხი უფრო გემრიელიაო. საბრალო ჭაბუკის ბედი რაღაც საოცარი საიდუმლოებით იყო მოცული. როცა ფათაჰ-ბეგი მობრძანდებოდა, ითხოვდა, ყავა სტეფანიკმა მომართვასო, სტეფანიკის ხელით მოტანილი ყავა ძალიან გემრიელიაო.

ბეგმა იცოდა, რომ სტეფანიკი ქალიშვილი იყო, და უყვარდა იგი, მაგრამ ნუთუ ეფენდიმაც იცოდა ეს. ნუთუ მასაც უყვარდა სტეფანიკი და ამიტომაც იყო გემრიელი მის მიერ გაწყობილი ჩიბუხი?

როცა სტეფანიკი გრძელი თურქული ჩიბუხით შევიდა ოდაში და ეფენდის გაუწოდა, ვარდანი მთლად გადაირია. მან იცოდა ამ თურქული ჩვეულების საზიზღარი მნიშვნელობა, ამიტომ სტეფანიკს მივარდა, ჩიბუხი ხელიდან გამოსტაცა, ფანჯრიდან გადაისროლა და შეუტია:

— სტეფანიკ, გარეთ გადი!

ეფენდი ისე გაცეცხლდა, გეგონებოდათ, ის ჩიბუხი თავში ჩათხლიშესო.

— ასეთ ხუმრობას მე ვერ ვიტან, — წამოიყვირა ეფენდიმ, — ამით ჩემს პატიოსნებას აყენებ ჩრდილს.

— შენისთანებს პატიოსნებაზე ლაპარაკის უფლება არა აქვთ.

— ვის, მე? მთელი ამ მაზრის მულთეზიმს? — გაცხარდა ეფენდი.

— დიახ, შენ, მთელი მაზრის ყაჩაღსა და ავაზაკს!

გადასახადების ამკრეფმა გაიწ-გამოიწია, ვითომ წამოხტომას აპირებდა.

— ადგილიდან არ დაიძრა, თორემ ახლავე ჩაგაძაღლებ! — უთხრა ვარდანმა და ხმალზე ხელი გაიკრა.

— ტყუილად ბრაზობთ, ბატონო, — საუბარში ჩაერია ერთ-ერთი პოლიციელი, — ეფენდის თქვენთვის ცუდი არაფერი უთქვამს.

ვარდანმა პოლიციელს ყურიც არ ათხოვა და ისევ ეფენდის დაუყვირა:

— გარყვნილო და უსირცხვილო! სომხის ოჯახში თურქივით ბიდიბარ, გასკდები, გატყვრები, მერე მზაკვრული ზრახვებით მის რძლებს, ქალიშვილებსა თუ ჭაბუკებს აიძულებ გემსახურონ, შე გათახსირებულო.

მოხუცი ხაჩო გაქვავებულივით იდგა, ენა დაბმოდა, მხოლოდ დროდადრო პირჯვარს იწერდა და ღმერთს ევედრებოდა, უბედურებისა გვაშორეო.

რამდენადაც ეფენდის ტრაბახი და ბაქიბუქი უყვარდა, იმდენად მელანსავით მშიშარა იყო. როცა გახელებული ვარდანი დაინახა, მოხვდა მას ალაშკერტელი გლეხებივით ვერ მოექცეოდა: ჭაბუკი „მოსკოვის ხელმწიფის“ ქვეშევრდომი იყო და წელზე ხმალი ერტყა ამიტომ თავი შეიკავა და მისთვის ჩვეული ფარისევლობით ტკბილად უთხრა.

— ღმერთია მოწამე, რომ მე თურქეთის ჩვეულებებს არ ვიცავ. ტყვილად მწამებ ცილს, ვარდან.

ბრაზმორეულმა ჭაბუკმა უყვირა:

— მე გწამებ ცილს? შენ არა ხარ, რომ თურქებთან ერთად ნაშაზს ასრულებ, შემდეგ კი სოფლის ტეტიების თვალის ასახვევად სომხების ეკლესიაში წირვას ახდევინებ? შენ არა ხარ, რომ თურქებთან გაიძახი სომხები გიუარები არიანო, სომხებთან კი თურქებს თავლაფს ასხამ? შენ არა ხარ, რომ თავისი ერის კეთილდღეობაზე მზრუნველ ყოველ პატიოსან სომეხს თურქ ხელისუფლებთან აბეზღებ? შენ არა ხარ, რომ ყაჩაღებს უმეგობრდები და სასამართლოში ავაზაკებს თავდებად უდგები? შენ არა ხარ, ათი ცოლი რომ გამოიცვალე და ახლა აქ ამირებ ახალი ცოლის შერთვას? გაინა შენ თურქების ჩვეულებას არ მისდევ? მეტს გეტყვი, შენისთანა სომეხთან შედარებით თურქი ათასწილად პატიოსანია, რადგან შენ არც თურქი ხარ და არც სომეხი.

ვარდანის სიტყვები, ეფენდის ათი ცოლი გამოუცვლია და ახლა კვლავ ფიქრობს დაქორწინებასო, საწყალ მოხუცს მეხივით დაეცა მას ხომ თავისი ლალა უნდოდა მიეთხოვებინა ამ კაცისათვის, რომელსაც კონსტანტინოპოლში საბელგანთქმული ნათესავები ჰყავდა, ბოსფორის ნაპირზე მშვენიერი სასახლე ედგა და ოტიანის ქალიშვილის ქმრობაზე უარი ჰქონდა ნათქვამი. „არა, არა — ფიქრობდა

მოხუცი, — ვარდანი ცილს სწამებს! თომას-ეფენდი შატყუარა არ არის!“

რაკი ვარდანმა მთელი თავისი რისხვა გულიდან ამოანთხია, ადგა და ოდიდან გავიდა. ეფენდიმ მაშინვე ენა ამოიდგა.

— მე აუცილებლად მივწერ სულთანს, — თქვა მან მუქარის კილოთი, — თვით რუსეთის მეფესაც მივწერ და მაგ არამზადა ციმბირში ამოვაყოფინებ თავს. თომას-ეფენდისთან ამისთანა ლაზღანდარობა არ გამოადგება! „ვირს სანამ არა სცემ, თავის ფასს ვერ გაიგებსო“.

თომას-ეფენდი ხალხის დასაშინებლად ჩვეულებრივ წარჩინებულ პირთა სახელებს იშველიებდა, თითქოს ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა მათთან და რასაც მოისურვებდა, შეასრულებდა კიდევაც. მართალია, ხაჩო სულელი არ იყო, მაგრამ ეფენდისთან წვრილი მოხელეების ხელში იმდენი წამება გამოევლო, რომ სხვა გლეხების მსგავსად მასაც სჯეროდა მათი უძლეველობა. ეფენდის მუქარამ ისე დააშინა, რომ გადასახადების ამკრეფს მუხლებზე მოეხვია და აცრემლებულმა ვედრება დაუწყო:

— ღვთის გულისათვის, აპატიეთ ვარდანს, ნუ გადაასახლებინებთ ციმბირში, ჩემს ჭაღარას ეცით პატივი! ხომ იცით, რომ ხეენთია!

ეფენდიმ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მოხუცის ვედრება შეიამინა და ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა:

— კარგი, ვაპატიებ, მხოლოდ შენი ხათრით, მოხუცო, რადგან შენს ოჯახში მრავალჯერ მიჭამია პური.

## თავი მეთექვსმეტე

როცა ღმერთი რომელიმე მშვიდობიანი ოჯახის კეთილდღეობისა და მყუდროების დარღვევას მოინდომებს, უბედურება უბედურებას მოჰყვება. მოხუცი ხაჩოს ოჯახსაც ყოველი მხრიდან განსაცდელი უტევდა, ყოველი მხრიდან საშიშროება და ხიფათი მოელოდა.

ვარდანის წალაპარაკებამ თომას-ეფენდისთან მოხუცის მთელ ოჯახზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ოჯახის წევრთაგან ზოგი მშიშარა ეფენდის დასცინოდა და ვარდანს აქებდა, ზოგი კი ვარდანს

ამტყუნებდა, ნამდვილი ხენთია, არ დაუკვირდება, რას ლაპარაკობსო. ყველაზე მეტად ოჰანი და ჰაკო იყვნენ აღშფოთებულები, როგორ შეიძლება თანამდებობის პირის შეურაცხყოფაო, — ამბობდნენ ისინი. თანამდებობის პირს, სადაც არ უნდა იყოს, საშსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას იქნება თუ სახლში, — სიტყვის შებრუნება არ უნდა გაუბედოო.

მათზე არანაკლებ იყო შეშფოთებული მოხუცი მამასახლისი. მართალია, არ ამტყუნებდა ვარდანს, მაგრამ რაგინდ მართალიც არ უნდა ყოფილიყო ვარდანი, მოხუცს მაინც დაუშვებლად მიაჩნდა მისი საქციელი. ხაჩო კარგად იცნობდა ეფენდის და დარწმუნებული იყო, რომ ეს გამოუსწორებელი ავაზაკი ეცდებოდა რაიმე დაეშავებინა ვარდანისათვის, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებდა, მთელ თავის ჯავრს საბრალო მოხუცის ოჯახზე ამოიყრიდა. ეფენდის ყოველგვარი საფუძველი ჰქონდა მთავრობასთან დაესმინა მამასახლისი, რომელიც თავის სახლში თავშესაფარს აძლევდა ისეთ ცნობილ კონტრაბანდისტს, როგორიც ვარდანი იყო.

მოხუც ხაჩოს სხვა ამბავიც აღელვებდა. მას შემდეგ, რაც შეიტყო, თომას-ეფენდი არა ერთხელ ყოფილა დაქორწინებულიო, მთლად დაკარგა მოსვენება. მას ხომ ამ კაცისათვის უნდოდა თავისი ლალას მითხოვება. ახლა კი ყოველგვარი იმედი გაუცრუვდა.

როგორ შეემოწმებინა, მართალს ამბობდა თუ არა ვარდანი? მართალია, მოხუცს მატყუარად არ მიაჩნდა ის, მაგრამ ვინ იცის, რას არ იტყვის ხოლმე კაცი ჩხუბის დროს.

რამ მოაწონა მოხუც ხაჩოს ეს საზიზღარი, ნამუსგარეცხილი გადასახადების ამკრეფი? რატომ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი საყვარელი ქალიშვილის ბედი ასეთი თაღლითისათვის ჩაეგდო ხელში? მოხუცმა კარგად იცოდა, რომ თომას-ეფენდი ნამუსგარეცხილი, გაქნილი მძარცველი იყო, რომ მისთვის ამქვეყნად არა იყო რა წმინდა და მზად იყო თავისი გამორჩენისათვის მთელი ქვეყანა მიწასთან გაესწორებინა. მაგრამ ხაჩოს ყველაფერი ავიწყდებოდა, როცა სახელმწიფო მოხელის მუნდირში გამოწყობილ ეფენდის დაინახავდა. მის თვალში თომას-ეფენდი ძალაუფლების განსახიერება იყო, ხოლო მუნდირი, რომელშიც მულეთეზიმი იყო გამოწყობილი, მისთვის სათაყვანებელი ხელისუფლების სიმბოლოს წარ-

მოადგენდა. მისი აზრით, სახელმწიფო მოხელის მუნდირი ყოველ-გვარ ბიწიერებას აქარწყლებდა.

ამიტომ იყო, რომ მოხუც ხაჩოს გულით უნდოდა სიძედ ყოლოდა თომას-ეფენდისთანა ყოვლისმძლე კაცი, რომლის წინაშეც ყველა ქედს იხრიდა. თუმცა ხაჩო უბრალო, გულმართალი კაცი იყო, მაგრამ როგორც მამასახლისი, მთელი სოფლის თავკაცი, მაინც ერთ-გვარად პატივმოყვარე იყო. თავის ქალიშვილს უბრალო გლეხს არ მისცემდა, მით უმეტეს, რომ ასეთ არაჩვეულებრივ პირობებში ზრდიდა. თომას-ეფენდის სიძეობას რომ ნატრობდა, მოხუც ხაჩოს სხვა მიზანიც ამოქმედებდა. მას, როგორც მამასახლისს, ხშირად ჰქონდა საქმე ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ვარაუდობდა, თუ ეფენდი მისი სიძე გახდებოდა, გაჭირვების დროს მუდამ დაეხმარებოდა.

ახლა კი ყველა იმედები გაუცრუვდა!

ყოველივე ამასთან ერთად ხაჩოს ისიც რომ შეეტყო, თუ რა საშიშროება მოელოდა მის საყვარელ ქალიშვილს ფათაჰ-ბეგისაგან, ნამდვილად ვეღარ გაუძლებდა ამ ახალ უბედურებას! მაგრამ შვილები ბრაფერს უმხელდნენ, ეს საიდუმლოება გულს უღრღნიდა ძმებს, განსაკუთრებით ჰაირაპეტსა და აპოს. მას შემდეგ, რაც ძმებთან საერთო ენა ვერ გამონახეს, აღარ იცოდნენ, რა გზით ეხსნათ უბედურებისაგან საყვარელი ლალა.

რა ბედი ელოდა საბრალო ლალას, ბეგს რომ გაეტაცა მამის სახლიდან? აიტანდა მაჰმადიანის ცოლობას? თუ სონასავით ბედკრულ სიცოცხლეს თვითმკვლელობას ამჯობინებდა?

მაშინ, როცა ყველა ლალას ბედზე წუხდა და იტანჯებოდა, ის თვითონ უზრუნველად და ბედნიერად გრძნობდა თავს. საყვარელი არსებისაგან საჩუქარი რომ მიიღო, იმ წუთიდან ვეღარ იტანდა ვაჟის ტანსაცმელს. ქალიშვილი იყო და ქალიშვილივით ჩაცმა-დახურვის სურვილი კლავდა. მის ტუჩებს ჯერ კიდევ არ წაშლოდა ვარდანის ამბორის კვალი, ჯერ კიდევ ესმოდა მისი ტკბილი ხმა. ხოლო მას შემდეგ, რაც ვარდანმა მის თვალწინ მიწასთან გაასწორა ეფენდი, რომლის შიშით მთელი მაზრა ცახცახებდა, ვარდანი მის თვალში ერთი ასად ამაღლდა.

ქალებს ძალიან მოსწონთ მამაკაცების ძალა, სიდიადე და სხვე-

ბის წინაშე მათი უპირატესობა. ისინი აღტაცებაში მოდიან, როცა ჰაპაკაცში ქალებისათვის მიუწვდომელ თვისებებს ხედავენ. და აი, ახლაც ლალასათვისაც ვარდანი სათაყვანებელ არსებად გადაიქცა მას შემდეგ, რაც მან ფარხმალი დააყრევინა თავგასულ ეფენდის, რომელიც ჭირივით ეზარებოდა გადასახადის აკრეფის უხამსობას ხშირად შეუწუხებია. აბიტომ როგორც კი ეფენდი მათ სახლში ფეხი შედგამდა, ლალა დამალვას ლამობდა, მაგრამ ამაოდ, მამა დაიბარებდა და ეფენდისათვის ჩიბუხის გაწყობას დაავალებდა ხოლმე. ყველაფერი, რაც ლალამ ოდაში ნახა და გაიგონა, თავის უფროს ძმას ჰაირაპეტს უამბო.

— ყოჩაღ, ვარდან, ძალიან კარგად მოქცეულა, — თქვა ჰაირაპეტმა, — ძაღლივით უნდა დაეხრჩო ის არამზადა! დაჩვეულია საბრალო გლეხების ტანჯვა-წამებასა და ჰგონია, რომ ყველა ქედს მოუხრის.

ლალა მზად იყო ყელზე შემოხვეოდა ძმას, გაეშმილა მისთვის, რომ უყვარდა. დიდი ხანია უყვარდა ვარდანი და ეთხოვა, ამის თაობაზე მამას მოელაპარაკეო, მაგრამ ვერ მოასწრო, ჰაირაპეტი სადღაც მიიჩქაროდა. მისი მეუღლე სარა ამ დღეს ფათაპ-ბეგის ცოლს, ხურშიდს უნდა შეხვედროდა. დილაადრიანად ჯავო გამოცხადდა და სარას ამბავი მოუტანა, ქალბატონი სოფელ ო...ს ძველ სამლოცველოში მოდის სამლოცველოს დასაკლავად და გთხოვა, შენც იქ მოდიო. ამ სამლოცველოს ერთნაირად სცემდნენ თაყვანს როგორც სომხები, ისე ქურთები.

სარას ძალიან გაუხარდა, რომ ხურშიდმა არ დაიზარა და თხოვნა შეუსრულა.

სახლიდან გასული ჰაირაპეტი სარას შესახვედრად გაეშურა, უნდოდა გაეგო, რით დამთავრდა ხურშიდთან მისი შეხვედრა. სოფელს რომ გასცდა, ერთი დიდი კლდის ძირას ჩრდილში დაჯდა და მოუთმენლად დაუწყო ლოდინი.

ის ადგილი, სადაც ჰაირაპეტი იჯდა, თვალწარმტაცი სანახავი იყო. იქაურობა ქამთა ვითარებისაგან დანგრეული კლდის ნამსხვრევებს მოეფინა. შიწას ჯაგნარი და ბალახი მოსდებოდა, ალაგ-ალაგ ხეებიც მოჩანდა. ჰაირაპეტის ყურადღება მიიპყრო რომელიღაც მხვიარა მცენარით დაფარულმა გარეული ვაშლის ხემ. მხვიარას

გველივით დაკლაკნილი ღეროები ხეს კენწეროამდე სწვდებოდა, თითქოს მის მოსპობას, მის დახრჩობას ლამობსო. მართლაც საბრალო ხის ზედა ტოტებს ფოთოლი გასცვენოდა და კიდევაც გამხმარიყო.

არის ისეთი წუთები, როდესაც ჩვეულებრივი მოკვდავიც კი ფილოსოფოსობას იწყებს. „აი, ჩინებული მაგალითი, — გაიფიქრა ჰაირაპეტმა, — ეს ველური მცენარე პარაზიტივით ცხოვრობს, არც შრომობს, არც ფესვები აქვს გადგმული მშობელ მიწაში, შემოხვეულია ნაყოფისმომცემ ხეს, მისით საზრდოობს, შეუბრალებლად სწოვს მაცოცხლებელ წვენს, ახმობს და ანადგურებს. განა ქურთიც ასე არ გვეპყრობა, განა ისიც, სომხის ხარჯზე რომ ცხოვრობს, ასეთი პარაზიტი არ არის?"

ჰაირაპეტი მგრძნობიარე გულის და საღი შეხედულებების კაცი იყო. მაგრამ სად შეითვისა მან ასეთი შეხედულებები? მთელი თავისი სიცოცხლე სოფელში რომ გაეტარებინა, ალბათ ჰაირაპეტიც ისეთივე შეზღუდული გონების პატრონი იქნებოდა, როგორიც მისი თანასოფლელები იყვნენ. მაგრამ ბედმა მისი ცხოვრების ჩარხი სხვაგვარად დაატრიალა. მთელი ახალგაზრდობა უცხო ქვეყნებში გაატარა, სიჭაბუკეში რაღაც მიზეზით მამასთან უსიამოვნება მოუვიდა და, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, მამისეული სახლი მიატოვა და სხვა ქვეყნებში გადაიხვეწა. ბევრი ხეტიალის შემდეგ ბოლოს მოხვდა კონსტანტინოპოლში, რომელიც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ კვანძს წარმოადგენდა. დიდ ქალაქში ცხოვრებამ ბევრ რამეზე აუბილა თვალი, ბევრი რამ გამოაცდევინა და თუმცა საფუძვლიანად ვერც ერთ მეცნიერებას ვერ დაეუფლა, მაინც ბევრი ისეთი მოწინავე აზრი შეითვისა, რომლებზეც რიგით გლეხს წარმოდგენაც არა აქვს.

ჰაირაპეტი დიდხანს იჯდა კლდის ძირას ჩრდილში და ცოლს ელოდებოდა. მზე უკვე ჩასვლას აპირებდა, მისმა უკანასკნელმა სხივებმა მთის მწვერვალებს დიდებული შუქი მოჰფინეს.

ბოლოს სარაც გამოჩნდა. ჰაირაპეტმა შორიდანვე დაინახა მისი მოლიმარი სახე და მიხვდა, რომ სასიხარულო ამბავი მოჰქონდა.

— ბიჭია თუ გოგო! — გასძახა ჰაირაპეტმა.

— ბიჭია, —ღიმილით უპასუხა ცოლმა, ქმართან მივიდა და

ქვაზე ჩამოჯდა. ცოლის პასუხმა დაამშვიდა ჰაირაპეტი. სიტყვა „ბიჭი“ სასიხარულო ცნობას ნიშნავდა. ხალხური თქმულების მიხედვით ბიჭის დაბადება სიხარულის მომასწავებელია, გოგოსი კი — მწუხარებისა. სარამ შუბლზე ოფლი მოიწმინდა, თავისუფლად ამოისუნთქა და ცოტა რომ დაისვენა, ქმარს ყველაფერი უამბო, რაც ფათაჰ-ბეგის ცოლისაგან გაიგო.

აი, რა უამბო მან: ამჟამად ბეგი სტეფანიკზე ბევრს აღარ ფიქრობს. რადგან საქმეებით ისეა გართული, რომ სულ გადააავიწყდაო. არზრუმის ვალისაგან მითითება მიუღია და ახლა რაღაცის სამზადისშია: თავისი ტომის მამაკაცთა აღრიცხვა დაუწყია, იარაღს ურიგებს მათ და ფულს აძლევს, რომ ცხენები შეიძინონ და ტანსაცმელი მოიმზადონო; მაგრამ ხურშიდმა არ იცის, რას ნიშნავს ეს მზადება. მაინც კვლავინდებურად ურჩევს, სადმე შორს გაგზავნონ სტეფანიკი ან სასწრაფოდ საქმრო გამოუძებნონ და გაათხოვონ, რადგან მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ბეგი სტეფანიკის სიყვარულს გულიდან არ ამოიგდებს და ადრე თუ გვიან, თავის გულისწადილს აისრულებს. თუმცა, — დაუმატა თურმე ხურშიდმა, — ამის თაობაზე მამაჩემს მოვეთათბირე და დამპირდა ბეგს ჭკუას ვასწავლიო, მაგრამ მაინცდამაინც ბეგს ვერ ვენდობი და იქნებ საქმე იქამდე მივიდეს, რომ იძულებული გავხდე მივატოვო მისი კერა და მამას დავუბრუნდეო.

ჰაირაპეტმა ყურადღებით მოისმინა სარას ნაამბობი და უთხრა:

— უბედურება ჯერ არ აგვცდენია, მაგრამ ისიც კარგია, რომ ცოტა სულს მოვითქვამთ და ამასობაში რამეს მოვიფიქრებთ.

— მეც ასე ვფიქრობ, — მიუგო სარამ.

— ახლა კი, მოდი გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ.

— მეტი გზა არა გვაქვს, ლალა უნდა გავათხოვოთ.

— ეგ ვერ იხსნის ლალას. ბეგი მის გათხოვებას არაფრად ჩააგდებს, გათხოვილი ქალის გატაცებაც შეუძლია.

— ჩვენც ისეთს მივათხოვოთ, რომ აქ არ გააჩეროს და უცხო ქვეყანაში წაიყვანოს, — უთხრა სარამ.

— ჩინებული აზრია, — მოუწონა ჰაირაპეტმა, — მაგრამ სად ვნახავთ მაგისთანა კაცს? ჩვენს სოფელში მსურველს ვერ ნახავ. ყველას ბეგის შურისძიებისა შეეშინდება. ლალა რომ უცხო მხარეს

წავიყვანო, ბეგი სახლს გადამიბუგავს და ნათესაობასაც ამომიე ლეტსო.

— მე ვიცი ასეთი კაცი, ის არ შეუშინდება ბეგის შურისძიებას.

— ვინ არის ასეთი კაცი?

— ვარდანი.

ჰაირაპეტს სახე გაუბრწყინდა, როცა გაიგო, რომ სარა უნებლიეთ შესწრებია ვარდანისა და ლალას შეხვედრას და მოუსმენია, როგორ ეფიცებოდნენ ერთმანეთს საუკუნო სიყვარულს.

— ეგ კარგი ამბავია, — თქვა ჰაირაპეტმა, — ვარდანს, მხოლოდ ვარდანს შეუძლია იხსნას ლალა.

შებინდდა. ჰაირაპეტი და სარა შინისაკენ წავიდნენ. გზაში ჰაირაპეტი იმის ფიქრში იყო, თუ რას ნიშნავდა ბეგის მზადება, რატომ ურიგებდა თავისი ტომის ხალხს იარაღს. ახალი ბოროტებისათვის ხომ არ ემზადებოდა?

## თავი მეჩვიდმეტე

უკვე ბნელოდა, როცა ჰაირაპეტი და სარა შინ დაბრუნდნენ. შეიტყვეს, რომ თომას-ეფენდის ვარდანთან წალაპარაკების შემდეგ შეურაცხყოფილად ეგრძნო თავი და წასულიყო. ხაჩო ამ ამბით ძალიან შეშფოთებული, ეშინოდა, გაბრაზებულმა გადასახადების ამკრეფმა რაიმე ხიფათს არ შეგვყაროსო.

მართალია, ვარდანი ფიცხი ხასიათისა იყო და უცბად იცოდა აპილპილება, მაგრამ ტყუილუბრალოდ შეურაცხყოფას არავის მიაყენებდა. მას საზიზღარ კაცად მიაჩნდა ეფენდი, ის ხომ თურქეთის მთავრობას ემსახურებოდა და თავის თანამემამულეებს სისხლს სწოვდა, არბევდა და აჩანაგებდა. გარდა ამისა, ვარდანმა კარგად იცოდა მისი წარსულიც: ეს მაწანწალა თაღლითი გადასახადების ამკრეფის მოვალეობას ასრულებდა სომხეთის სხვადასხვა მაზრაში, ბევრგან დაქორწინებულა და ცოლები მიუტოვებია, ბევრგანაც ახალგაზრდა ქალიშვილები შეუცდენია. როგორც ჩანს, ახლაც ასეთი მიზნით ეჭირა თვალი ლალაზე. უნდოდა ხაჩოს გულუბრყვილობით ესარგებლა და შეეცდინა მისი გამოუცდელი ქალიშვილი.

ცხადია, ვარდანი ამას ვერ აიტანდა, მით უმეტეს, როცა საქმე მის სათაყვანებელ ქალიშვილს შეეხებოდა.

მაკრამ ხაჩოს სახლიდან ეფენდის სასწრაფოდ წასვლის მიზეზი მარტო ის როდი იყო, რომ ვარდანთან ჩხუბი მოუვიდა და ში-ში დანახვა ეზარებოდა. მსგავს შემთხვევებში, თუ საჭირო იყო, ეფენდიმ იცოდა მოთმენა, შეჩვეული იყო ასეთ ამბებს და უფრო უარესი შეურაცხყოფაც აუტანია ზოგჯერ. საქმე ის იყო, რომ მან საგანგებო შიკრიკის ხელით წერილი მიიღო, რომლითაც ნაბრძანები ჰქონდა, შეგროვილი ხორბალი და ქერი ცალ-ცალკე ბეღლებში შეენახა და არც ერთი მარცვლის გაყიდვა არ გაებედა, რადგან პურეული თვით მთავრობას სჭირდებოდა. როგორც ჩანს, რაღაც საიდუმლო ამბავი მზადდებოდა: აქ სურსათს იმარაგებდნენ, ფათაჰ-ბეგის ბანაკში კი იარაღს...

თომას-ეფენდის წასვლის შემდეგ ხაჩოს ახალი სტუმარი ეწვია. გამხდარი და გაყვითლებული, სუსტი აგებულების ახალგაზრდა კაცი იყო. მისი გარეგნობა მეტყველებდა, რომ სასწავლებელში დიდხანს ყოფნას მთლად ჩამოეჭკნო და დაესუსტებინა.

არავინ იცოდა, ვინ იყო ან რას აკეთებდა. იცოდნენ მხოლოდ, რომ კონსტანტინოპოლელი სომეხი იყო და მოხუცი ხაჩოც თავს მოვალედ თვლიდა დედაქალაქიდან ჩამოსულ სტუმარს ღირსეულად დახვედროდა.

სტუმარს ერთი ხურჯინის მეტი არაფერი გააჩნდა. ნახევრად გაცვეთილი, გახუნებული ევროპული ტანისამოსი ეცვა, რაც მის სიღარიბეზე მეტყველებდა. სოფელ ო...ში ერთ ჩალვადარს მოეყვანა და მიეტოვებინა. თურმე სოფელში დადიოდა და ღამის გასათევს ეძებდა, როცა შემთხვევით ვარდანს შეეჩეხა.

ამბობენ, გული გულს იცნობსო. მართალია, ისინი მანამდე ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ გამოლაპარაკებისთანავე ახალგაზრდები ისე დამეგობრდნენ, თითქოს ერთი ფარული სექტის წევრები ყოფილიყვნენ.

ვარდანმა ახალი ნაცნობი მოხუცი ხაჩოს სახლში მიიყვანა. სტუმარი თავის თავს მიქაელ დუდუკჩიანს უწოდებდა.

რამდენადაც თურქეთში მცხოვრები ყოველი სომხის გვარი

მისი მამის ან პაპის ხელობისაგან წარმოსდგებოდა, მისი გვარიც მაპის ხელობის, დუდუკების ოსტატის მიხედვით იყო წარმოქმნილი.

მართალი გითხრათ, ხაჩოს ჭკუაში არ დაუჯდა არც მისი ძნელად გამოსათქმელი გვარი, არც მისი გაყვითლებული სახე, არც მისი ჭოელვარე, მოუსვენარი თვალები. ეჭვს ბადებდა კონსტანტინოპოლელი სტუმრის გულდახშულობა. მაგრამ ვარდანმა მოხუცს ყურში ჩასჩურჩულა: „კარგი ყმაწვილია, რომ გაიცნობ, შეგიყვარდება.“

ხაჩოს სახლში რომ შედიოდნენ, დუდუკჩიანმა ვარდანს მხოლოდ ერთი რამ ჰკითხა:

— შეიძლება ამათ ენდოს კაცი?

— შეიძლება, — უპასუხა ვარდანმა.

როგორც კი სანთლები აანთეს, ჩვეულებისამებრ სუფრაც გაშალეს. იმ ღამეს ხაჩოსთან ერთად ვახშმად მაგიდას მიუჯდა მისი ექვსი ვაჟიშვილი, რადგან მათთან აღარც თომას-ეფენდი იყო და არც „მაღალი“ წოდების სხვა პიროვნება, რომ მორიდებოდათ. ვარდანი შინაურ კაცად მიაჩნდათ, ხოლო ახალი სტუმარი, მათი აზრით, იმითაც კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, რომ მაძღარი დაიძინებდა.

ვახშამმა ძალიან უგემურად ჩაიარა. ვარდანსა და ახალ სტუმარს თითქმის ხმა არ ამოუღიათ. მოხუცი ხაჩოც იშვიათად გამოელაპარაკებოდა ხოლმე შვილებს. ყველას რაღაც აფიქრებდა და აწუხებდა. მოხუცი იმას დარდობდა, რომ გადასახადების ამკრეფი ამჯერად მისი სახლიდან უკმაყოფილო წავიდა. ჰაირაპეტი ფათაჰბეგსა და ლალაზე ფიქრობდა, სარას ნაამბობი მოსვენებას არ აძლევდა, არ იცოდა, როგორ მოევვარებინა საქმე. მოხუცის დანარჩენი ვაჟები თავიანთ ხვალინდელ სამუშაოზე ფიქრობდნენ. ვარდანს გონებიდან არ შორდებოდა ლალა და სულ მისი მშვენიერი სახე ედგა თვალწინ, ხოლო რას ფიქრობდა ახალი სტუმარი, ეს მხოლოდ ღმერთმა იცოდა.

როცა ვახშამი დამთავრდა, სტეფანიკმა ადგილობრივი წესის მიხედვით, სურით წყალი და ტაშტი შეიტანა და ყველას ხელი დააბანინა. შემდეგ ყველამ პირჯვარი გადაიწერა და ღმერთს მადლობა შესწირა. მოხუცმა ხაჩომ თავისი გრძელი ჩიბუხი ვააბოლა. დუდუკჩიანმა უბიდან ამოიღო ძვირფასი სათუთუნე, რომელიც სრულიად არ შეეფერებოდა მის გახუნებულ ტანსაცმელს, და პირში სიგარა

ვაირჯო. პატარა ოთახი მალე ჰავანის თუთუნის სურნელებით აივსო. ეტყობოდა, დუდუკჩიანი თავის დროზე კარგად ცხოვრობდა, ახლა კი რაღაც ვითარების გამო უცნაურ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი.

ვახშმის შემდეგ სიტყვა თომას-ეფენდიზე ჩამოაგდეს. ვარდანმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო დუდუკჩიანს.

მოხუცმა ხაჩომ ვარდანს ზრდილობიანად უსაყვედურა, დღეს მეტად უგუნურად მოიქეციო.

— შენ კარგად იცი, რომ ჩემ შვიდ შვილში არ გარჩევ, — უთხრა მოხუცმა და იქ მჯდომ ექვს ვაჟსა და ფეხზე მდგომ სტეფანიკს გადახედა. მოხუცი ჩვეულებრივად შვიდ ვაჟიშვილს ახსენებდა და შვიდივეს სახელს ფიცულობდა: სტეფანიკსაც ვაჟიშვილებში თვლიდა, რას იფიქრებდა, რომ ვარდანმა დიდი ხანია იცოდა სტეფანიკის ქალიშვილობის ამბავი.

— ამ შვიდ ვაჟს ვფიცავ, მართალს გეუბნები, — განაგრძო მოხუცმა — შენც ჩემი შვილი ხარ, ჩემი ოჯახი შენი ოჯახია. ჩემი სახლის კარი შენთვის მუდამ ღიაა. მაგრამ ნუ გავიწყდება, რომ ჩვენი ქვეყანა სხვა ქვეყნებისაგან განსხვავდება. ჩვენში თომას-ეფენდისთანები დიდი კაცები არიან, რასაც მოისურვებენ, იმას სჩადიან. ამიტომ ძალაუნებურად პატივი უნდა ვცეთ და მათი ნათქვამი ან ნამოქმედარი უსიტყვოდ ავიტანოთ... რას ვიზამთ? ნათქვამია. ბოროტმოქმედს ხელს თუ ვერ მოჭრი, ეამბორე და თავზე დაისვიო. შესაძლოა ეფენდიმ შენ ვერაფერი დაგაკლოს, რადგან ჩვენებური არა ხარ, სამაგიეროდ, ჩვენ გვიმტრობს და გვიავკაცებს. თურქული ანდაზა ხომ გაგიგონია, „ვირისაგან შეშინებული, ფალანს ურტყამ დაო“.

მოხუცის სიტყვაზე ვარდანს გული მოუვიდა და უპასუხა:

— მე უფრო უკეთეს ანდაზას გეტყვი: „სანამ თურქს ხეირიანად არ მიბეგვავ, მანამდე არ დაგიმეგობრდებაო“. თომას-ეფენდი ჩემთვის იგივე თურქია და ძალიან ვნანობ, რომ ლაზათიანად არ მივეჭეჭე.

მოხუცს ისედაც დანაოჭებული სახე შეეჭმუხნა, ეტყობა, ვარდანის პასუხი არ ეჭაშნიკა. სამაგიეროდ სტეფანიკს სახე გაუბრწყინდა, რაც, ცხადია, ვარდანს არ გამოპარვია. ვარდანმა აღტაცებით გადახედა და გაიფიქრა: „აი, ერთადერთი არსება ამ ოჯახში, რო-

მელიც თანამიგრძნობს... მხოლოდ ეს გრძნობს საზიზღარი ეფენდის ავკაცობას".

— ეფენდისთანა უზნეო და საზიზღარ ქვემძრომებს თქვენ თვითონ აძლევთ ნებას, რომ თავზე დაგასხდნენ, რადგან ყოველ მათ ბოროტებაზე თვალს ხუჭავთ და ეთაყვანებით, — აღელვებით განაგრძო ვარდანმა. — მესმის, როცა სომეხს თურქი ან ქურთი სძარცვავს, აწამებს და ჰკლავს კიდევაც... დიახ, ეს ყველაფერი ჩემთვის გასაგებია და თითქმის ჩვეულებრივ მოვლენადაც მიმაჩნია, რადგან საუკუნეების მანძილზე ასე იყო და ასევეა... მაგრამ როცა სომეხი თავის თანამემამულეებს თურქსა და ქურთზე უფრო უარესად ეპყრობა, ეს უკვე აშკარა საძაგლობაა. ეს მე თვითონ ეფენდისაც ვუთხარი, მაგრამ ვერაფერი მიპასუხა.

— მე უფრო მეტს ვიტყოდი, — საუბარში ჩაერია ჰაირაპეტი. — მაგრამ მამა სულ იმას გვარიგებს, ხმა არ ამოიღოთ, გაჩუმდით, ერთხელაც იქნება თავისუფლებას ვეღირსებითო... უნდა მოვითმინოთო... ნეტა როდემდე უნდა ვითმინოთ!

— სანამ იესო ქრისტე მოვა! —დაცინვით მიუგო ვარდანმა. — მაგრამ, ვაი ჩვენი ბრალი, მაშინ ამქვეყნად ერთი სომეხიც აღარ იქნება, რომ თავისუფლება იგემოს!

—მოთმინება' სიცოცხლეს ნიშნავს, —მქადაგებელივით წარმოთქვა მოხუცმა. — ჩვენი მღვდლები, ჩვენი ეპისკოპოსები სულ იმას გვიქადაგებენ, ერთხელაც იქნება ღმერთი გაიხსენებს თავის „დაბნეულ ცხვრებსო". უნდა მოვითმინოთ, შვილებო, ნათქვამია, „მოთმინება სიცოცხლეაო".

— არა! მოთმინება სიკვდილს ნიშნავს! — უცებ წამოიძახა დუდუკჩიანმა, რომელიც მანამდე მდუმარედ უსმენდა. მის გაცრეცილ სახეს ყვითელი ფერი დაედო, ტუჩები აუთრთოლდა. — მოთმინება სიკვდილს ნიშნავს! — ბრაზით გაიმეორა მან. — მოთმინებას ადამიანი მხოლოდ სამარეში შეეჩვევა... ჩვენც ებრაელებივით მომთმენი ხალხი ვართ და ეს მოთმინება დაგვღუპავს. ებრაელებმა ბევრი ითმინეს, ბევრ ტანჯვა-წამებას გაუძლეს იმის იმედით, რომ მესია გამოცხადდება, წმინდა იერუსალიმს ააღორძინებს და ისრაელთა ძველ დიდებას აღადგენსო... და აი, დღესაც ელიან! ჩვენ კი ასეთი იმედიც აღარ გვაქვს და არც ვიცი, რის მოლოდინიღა უნდა

გვქონდეს? გაიძახიან, ჩვენი მღვდლები, ჩვენი ეპისკოპოსები მოთმინებას გვიქადაგებენო, — განაგრძო დუდუკჩიანმა — სწორედ მათ ჩაგვაგდეს მონურ მდგომარეობაში. თუკი არსებობს ჩვენი მონობისა და დაბეჩავებისაგან ხსნის რაიმე საშუალება, ეს არის პროტესტი, აღშფოთება. მხოლოდ ამ გზით დავაღწევთ თავს მონობას. მოთმინება იგივე სიკვდილია, იგი ბღალავს ყოველგვარ დიდ გულისწადილს.

მოხუცმა არაფერი უპასუხა. ვარდანმა და ჰაირაპეტმა კი თანაგრძნობის ნიშნად დუდუკჩიანს ხელი ჩამოართვეს. მოხუცის დანარჩენმა ვაჟიშვილებმა კი ვერაფერი გაიგეს და გაიფიქრეს, ეს გადარეულიღა გვაკლდაო.

მოხუცმა ბრძანა სტუმრებისათვის ლოგინი მოემზადებინათ, შემდეგ ძილინებისა უსურვა და ვაჟიშვილებთან ერთად ოთახიდან გავიდა.

მალე ოთახში შევიდა ხაჩოს ერთ-ერთი რძალი, რომელსაც სახე ახვეული ჰქონდა, და ლოგინები გაშალა.

ოთახში კვლავ ენთო სანთელი. სტუმრებს დიდხანს არ დაეძინათ. დუდუკჩიანი კვლავ სიგარას ეწეოდა.

— ჩემო მეგობარო, — მიმართა ვარდანმა, — თქვენ გაუგებარი ენით ლაპარაკობთ და ძნელად თუ რაიმეს მიაღწევთ. ხალხს რომ ესაუბროთ, ამისათვის ასობით იგავი და ანდაზა უნდა იცოდეთ. მაცხოვარმა იგავებით უფრო მეტს მიაღწია, ვიდრე დიდი განყენებული აზრების ქადაგებით...

## თავი მეთვრამეტე

ოდაში ოდნავ ბჟუტავდა ჭრაქი და ირგვლივ მკრთალ შუქს ჰფენდა. ვარდანს დიდხანს არ დაეძინა, ვახშმის დროს გამართულმა საუბარმა დააღონა და ძილი დაუფრთხო. ახსენდებოდა მოხუცის ვაჟიშვილების გულგრილობა მისი და ახალი სტუმრის სიტყვებისადმი და უკვირდა, რომ ამ პატიოსანსა და მგზნებარე ახალგაზრდას ეჰვის თვალით უყურებდნენ. გარდა ამისა, მის გულს დაუფლებოდა ორი დიდი გრძნობა: სიყვარული დაჩაგრული და გაძვალტყავებული

გლეხკაცისადმი და სიყვარული ლალასადმი, რომელიც ასევე დაეჩაგრა ბედს.

ვარდანმა დუდუკჩიანს გადახედა. სტუმარს უკვე ჩასძინებოდა. ჭრაქის მკრთალ სინათლეზე ოდნავ მოჩანდა მისი ფერწასული, გაცრეცილი სახე, მისი ვაჟკაცური ნაკვთები მტკიცე ხასიათზე მეტყველებდნენ. დუდუკჩიანს მოუსვენრად ეძინა, ძილში ბორგავდა, დროდადრო გამშრალ ტუჩებს ამოძრავებდა და ვარდანს ესმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები ხან ფრანგულ, ხან სომხურ ენებზე:

— გლეხებო... დადგა ჟამი... თქვენი თავისუფლება... თქვენივე სისხლის ფასად უნდა მოიპოვოთ... აწმყო... მომავალი... ჩვენ გვეკუთვნის... ვაჟკაცნო... დაუმტკიცეთ ყველას, რომ... თურქის რკინის კეტს... სავსებით არ ჩაუკლავს თქვენში სიცოცხლე... და თავისუფლების გრძნობა... წინ, მხოლოდ წინ, ვაჟკაცნო!

„საბრალო, — გაიფიქრა ვარდანმა, — ეტყობა, ბევრი წიგნი წაუკითხავს. სომეხი გლეხის უბრალო ოთახში თავისი თავი პარიზის ბარიკადებზე წარმოუდგენია და სიტყვით მიმართავს შეკრებილთ... საბრალო“.

უცებ ვარდანს სიმღერა მოესმა, იცნო ტკბილი ხმა, ტანთ ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

მოხუცი ხაჩოს სახლში ყველა ღრმა ძილს მისცემოდა, მაგრამ იყო ერთი არსება, რომელსაც ვარდანივით ძილი არ ეკარებოდა, ლოგინში ვერ ისვენებდა. ეს ლალა გახლდათ. ლალამ ტანთ ჩაიცვა და ფეხაკრეფით, კატასავით ჩუმად ეზოში გავიდა. ფეხის ხმაზე ძაღლი აყეფდა.

— გაჩუმდი! — ძლივს გასაგონად შეუძახა ლალამ. ძაღლმა იცნო და ყეფა შეწყვიტა.

ვაზაფხულის მშვიდი ღამე იყო. გრილმა ჰაერმა ალანძული საბე დაუმშვიდა და გული გაუხალისა. ფეხაკრეფით შევიდა ბაღში და ხეებს მიეფარა. ბაღში ბნელოდა, ვერავინ შეამჩნევდა. ლალა ხაველდოვან ბალახზე დაჯდა, თავი ნიდაყვებს დააყრდნო და ცას მიაშტერდა. მთვარე არ ჩანდა. „სად არის, ნეტა? — ფიქრობდა ქალიშვილი. — ალბათ, სძინავს“. ირგვლივ მყუდროება სუფევდა, ფოთლებიც კი არ შრიალებდნენ. განისვენებდა ირგვლივ ყველაფერი. ეძინებოდა თითქოს ნიავსაც, დროდადრო თუ შეარხევდა ტო-

ტებს, ჩასძინებოდა მდინარესაც, რომლის გიჟმაჟი ხმაური მუდამ ისმოდა ღამის წყვდიადში.

ლალას მოხუცი ბებიისაგან გაგონილი სიმღერა გაახსენდა და მის მოკუმულ ბაგეს უნებლიეთ საყვარელი სიმღერის ჰანგები მოსწყდა:

ცის სიღრმეში სძინავს მთვარეს,
სძინავს ფრინველს რბილ ბუდეში,
და ფოთოლიც არ შრიალებს,
თვლემს მდინარეც ტკბილ ნეგეშით.

დედავ, ძილი რად გამიფრთხა,
მსურს და თვალებს ვეღარ ვხუჭავ,
ეს რა მტანჯავს, დედი, მითხარ,
რა ცეცხლია, გულს რომ ბუგავს.

სიმღერა რომ მოათავა, თავი მუხლებში ჩარგო, სახეზე ხელები აიფარა და მწარედ აქვითინდა. მის ლამაზ თვალთაგან ღვარივით მოედინებოდა ცრემლები. რა ატირებდა, თვითონაც არ იცოდა. იქნებ საყვარელ დედას დასტიროდა, რომელიც თვალითაც არასოდეს ენახა, ის ხომ ისე გაიზარდა, რომ დედის ბაგეთაგან ერთი ტკბილი სიტყვაც არ გაუგონია? რა იყო ის გაურკვეველი გრძნობა, რომელსაც ასე დაეტყვევებინა მისი უმანკო გული?

ცრემლებმა ცოტა დააშვიდა ლალა. თავი ასწია, იერგვლივ მიმოიხედა, თვალი მოჰკრა საფლავს, მის გარშემო დარაჯებივით აღმართულიყო ოთხი ალვის ხე. ეს მისი დის—სონას საფლავი იყო. ლალა სონას არ მოსწრებია, მაგრამ მისი ტრაგიკული ამბავი მრავალჯერ სმენია. მდაბიო ხალხს მიცვალებული წამებულად მიაჩნდა. და ხშირად სონას საფლავზე ავადმყოფები მოჰყავდათ. მოხუცი ხაჩოს ბრძანებით შაბათობით აქ სანთელს ანთებდნენ. აი, ახლაც, აი ღამეში ბჟუტავდა სანთელი და გაჯით შელესილ საფლავს მკრთალ შუქს ჰფენდა.

ლალა თავზარდაცემული დასცქეროდა საფლავს. აღშფოთებულ ქალიშვილს თვალწინ წარმოესახა სონას მწარე ხვედრი. საფლავი ღრმა ხეობაში ჩადგმულ ქურთის კარვად მოეჩვენა. კარავში

ონა იჯდა, სახეზე საშინელი უიმედობა აღბეჭდოდა. ხელში საწამ-ლავით სავსე ფიალა ეჭირა, ფიალას ხან ტუჩებთან მიიტანდა, ხან შიშით უკანვე წაიღებდა. დიდხანს ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, რა ერჩია, სიკვდილი თუ სიცოცხლე. მაგრამ აი, კარავს მიადგა ქურ-თი, რომელმაც იგი მშობლიურ ოჯახს მოსწყვიტა და გაიტაცა. სო-ნამ საწამლავი ტუჩებთან მიიტანა, პირჯვარი გადაიწერა და დალია...

მოჩვენება გაუჩინარდა. ლალას წინ ისევ თეთრად გადალესილი საფლავი მოჩანდა.

ახლა ლალას ორი ადამიანი მოეჩვენა. მახინჯი თომას-ეფენდი და ვერაგი ფათაჰ-ბეგი. ქალიშვილი აკანკალდა, არ იცოდა, რა სამარესაც უთხრიდა მას ეს ორი ვაჟბატონი, მაგრამ გული რაღაც საზარელს უკარნახებდა.

— არა! — წამოიყვირა შემზარავი ხმით, — მე არ წავალ სო-ნასთან, მე სამარის მეშინია!

ამ დროს ვიღაცამ წყნარად დაადო ხელი მხარზე და მისი სახე-ლი ახსენა:

— ლალა!..

ქალიშვილმა ვერაფერი გაიგო.

— ლალა! — გაიმეორა ვიღაცამ, — მე არ გაგიშვებ სონას-თან, მე შენ გადაგარჩენ...

ქალიშვილი შებრუნდა და ვარდანი დაინახა.

— გადამარჩინე! — შეეკედრა აღელვებული ლალა. — გადა-მარჩინე! სხვა ქვეყანაში წამიყვანე! აქ არ ვარგა, აქ ჯოჯოხეთია.

ჭაბუკი გვერდით მიუჯდა. ორივე დუმდა. ლალას ჯერ კიდევ აწ-ვალებდა საშინელი მოჩვენებანი. ვარდანი კი ფიქრობდა და ვერ გა-ეგო, რატომ ეკედრებოდა ეს უმანკო, გამოუცდელი ქალიშვილი ხვაგან წამიყვანეო, აქ იგი ყველას უყვარდა, მას კი გაქცევაზე ეჭი-რა თვალი? ნუთუ სიყვარულმა მიიყვანა ასეთ სასოწარკვეთილე-ბამდე?

— რით არის ცუდი ეს ქვეყანა? — შეეკითხა ვარდანი.

— ცუდია, ძალიან ცუდი! — უპასუხა ლალამ ნაღელიანად. — ვედავ ამ საშარეს? იცი, აქ ვინ მარხია?

— ვიცი...

— იცი, რატომ მოკვდა?

— ვიცი.

— არ მინდა, რომ სონასავით მოვკვდე! ვარდან, საწამლავისა მეშინია... სამარისა მეშინია!

საბრალო ქალიშვილს თვალები კვლავ ცრემლით აევსო.

— რატომ გგონია, ლალა, რომ შენც სონას ბედი მოგელის?— ჰკითხა ვარდანმა და ხელი დაუჭირა. —ეს საბედისწერო შემთხვევა იყო, ასეთი რამ ყველა ქალიშვილს როდი ემართება, რატომ გგონია, რომ შენც იგივე მოგელის?

— სულ მაგას ვფიქრობდი... სულ მაგას მოველოდი... იმ დღიდან, როცა ბიბვდი, თუ რატომ მაცმევდნენ ვაჟურად... ჩვენში ქალიშვილი ოჯახისათვის ნამდვილად ღვთის რისხვაა... დანაშაულია... განსაკუთრებით, თუ ქალიშვილი ლამაზია... ყური მიგდე, ვარდან! ერთი ნაცნობი მყავდა, ჩვენი მეზობელი, ძალიან კარგი გოგო იყო, ძალიანაც მიყვარდა. დედა დღემუდამ სცემდა, რადგან ლამაზი დაბადებულიყო და დღითიდღე უფრო მშვენდებოდა. შენ, უეჭველად, რაიმე უბედურებას გადაგვკიდებო, — ეუბნებოდა დედა. ნარგიზიც, ასე ერქვა ქალიშვილს, ყოველდღე ტიროდა. დედა უკრძალავდა პირის დაბანას, თმის დავარცხნას. სულ დაძენძილი ტანისამოსით დადიოდა. მაგრამ არაფერმა უშველა, ბოლოს ქურთებმა მაინც მოიტაცეს. ამ დღეებში შემხვდა, ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ ყამოცვლილა და დამახინჯებულა! „ეჰ, სტეფანიკ, ძალიან ცუდი ყოფილა ქურთის ცოლობა“, მითხრა და ტირილი დაიწყო.

ესა თქვა და თვითონაც აქვითინდა. შემდეგ, როცა ცოტა დამშვიდდა, ისევ ჰკითხა:

— წამიყვან, არა ვარდან, აქედან?

— წაგიყვან, ნუ დარდობ.

— ჩქარა წამიყვანე, თუ გინდა, ახლავე წამოგყვები, სადაც კი მეტყვი.

— რამდენიმე დღე მოითმინე, ლალა, სანამ მამაშენს მოველაპარაკები.

შეყვარებულები დიდხანს ისხდნენ ჩაბნელებულ ბაღში და საუბრობდნენ, ვიდრე მწუხარებამ ადგილი არ დაუთმო სიყვარულის ტკბილ გრძნობას.

## თავი მეცხრამეტე

უძილო ღამის შემდეგ ვარდანს გვიან გაეღვიძა. ფერმკრთალ სახეზე სიხარულის ღიმი დასთამაშებდა.

დუდუკჩიანი არსად ჩანდა, მისი ხურჯინი ოთახის კუთხეში იდო.

„ნეტა სად წავიდა?“ — გაიფიქრა შეშფოთებულმა ვარდანმა. გაცნობისთანავე შეატყო, რომ დუდუკჩიანი გამოუცდელი ახალგაზრდა იყო და ყურადღება და მფარველობა ესაჭიროებოდა.

ხაჩოს ვაჟიშვილები მინდვრად გასულიყვნენ. მალე მოხუციც მათ მიჰყვა. რძლები ოჯახის საქმეებით იყვნენ გართული. მოკლედ, უსაქმოდ არავინ იყო დარჩენილი გარდა ჰაირაპეტისა, რომელსაც ვარდანის ნახვა უნდოდა. იმედი ჰქონდა, იქნებ სიტყვამ მოიტანოს და ლალაზე რაიმე მოვილაპარაკოთო. სხვა ძმები, აპოს გარდა, თითქმის აღარ ფიქრობდნენ ლალაზე და დაივიწყეს საშიშროება, რომელიც მას ემუქრებოდა. მისი ბედი ღვთის ანაბრად მიეტოვებინათ და ჩვეულებრივად ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: როგორც ღმერთს ნებავს, ისეც იქნებაო.

მამამ კვლავ არაფერი იცოდა, თომას-ეფენდის ისევ თავის სასიძოდ თვლიდა და სურდა მისი წარსულის დაწვრილებით გაგება.

როცა ჰაირაპეტი ოდაში შევიდა, ვარდანმა ჰკითხა:

— ხომ არ იცი, სად წავიდა ჩემი მეგობარი?

ჰაირაპეტი მიხვდა, რომ დუდუკჩიანზე ეკითხებოდა:

— რაღაც უცნაური კაცია შენი ახალი მეგობარი! მზის ამოსვლამდე ადგა, თავისი მაღალყელიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა, არც პირი დაიბანა, არც თმა დაივარცხნა, საუზმეც კი არ გახსენებია, თავისი დიდი ხელჯოხი აიღო და წავიდა. ვკითხე სად მიდიხარ-მეთქი, მაგრამ არ მიპასუხა, მხოლოდ თავი გააქნია.

— მაინც სად წავიდა? — შეშფოთდა ვარდანი.

— მართალი გითხრა, არ ვიცი. თუმცა მერე სოფელში ვნახე, წყალზე მიმავალი ერთი დაძონძილი, ფეხშიშველი გოგონა გააჩერა და ჰკითხა: რატომ ხარ ასე ცუდად ჩაცმული, ქალიშვილს ასე სიარული არ შეშვენისო. მან უპასუხა, მშობლები ძალიან ღარიბები მყავსო. მაშინ დუდუკჩიანმა ქისიდან ერთი ოქრო ამოიღო და ქა-

ლიშვილს მისცა. მე მგონია, იმ ერთი ოქროს მეტი არც არაფერი გააჩნდა.

— შესაძლოა, — თქვა ვარდანმა. — მერე სად წავიდა?

— შემდეგ მივიდა გლეხებთან, რომლებიც ის იყო ეკლესიიდან გამოსულიყვნენ და ეზოს ჭიშკართან გადასახადის ახალ გაწერაზე ბჭობდნენ. დუდუკჩიანი მათს საუბარში ჩაერია და დაუწყო ახსნა-განმარტება. თქვენო, უთხრა, მთავრობას იმაზე მეტს უხდით, ვიდრე საჭიროა, ხოლო საზოგადოებრივ საქმეებზე სულაც არ ფიქრობთო. ელაპარაკებოდა სკოლებზე, რომლებიც გლეხებს ესაჭიროებათ, ურთიერთდახმარების საზოგადოებაზე, რომელიც გლეხების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იზრუნებდა, შემნახველ სალაროებზე, საიდანაც ყოველი გაჭირვებული შეძლებდა მცირე სარგებლით სესხი მიეღო, და ვინ მოსთვლის, კიდევ რას არ ეუბნებოდა...

— მერე რა უპასუხეს? — დაინტერესდა ვარდანი.

— გლეხებმა სიცილი დააყარეს, ხმაც არ გაუციათ. ერთმა მეორეს უთხრა: ეს კაცი ნამდვილად ხენთიაო.

— მადლობა ღმერთს, მარტო მე არ ვყოფილვარ ხენთი! — გაიცინა ვარდანმა. — მე მეგონა, მარტო მე მეძახდნენ ხენთს. მერე?

— მერე ერთმა გლეხმა არაყის დასალევად სამიკიტნოში შეიპატიჟა. დუდუკჩიანი დათანხმდა. სამიკიტნო სავსე იყო გალეშილი ხალხით. დალევით თითქმის არაფერი დაულევია, მაგრამ ფული ყველას მაგივრად თვითონ გადაიხადა. იქაც გლეხების მდგომარეობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, უხსნიდა მათი სიღარიბისა და უბედურების მიზეზებს. დიდი გატაცებით და აღტაცებით ლაპარაკობდა. მე პირველად ვიგრძენი, რა ძალა ჰქონია სიტყვას, გლეხებს კი სიცილადაც არ ეყოთ მისი ნათქვამი. ერთმა მათგანმა გამოკითხვა დაუწყო, რა მოხელე, რა თანამდებობის კაცი ხარო, და როცა გაიგო, არსად მსახურობდა, უკმეხად მიუგო, მაშ რაღას ლაქლაქებო?..

— მართალია, მაგისთანა ხალხზე გავლენა რომ მოახდინო, უეჭველად მაზრის უფროსი, ბოქაული ან თომას-ეფენდისთანა მულთეზიმი უნდა იყო. აბა რა გაეგებათ მაგათ განსწავლული კაცისა? — წარმოთქვა ნაღვლიანად ვარდანმა. — განაგრძე, ჰაირაპეტ, განაგრძე. გეთაყვა, ძალიან საინტერესოა.

— მე ხელი მოვკიდე და სამიკიტნოდან თითქმის ძალით გამოვიყვანე, — განაგრძო ჰაირაპეტმა. — მეშინოდა, დავიდარაბა არ ატეხილიყო. ქუჩაში რომ გამოვედით, მითხრა: „ასეთ ადგილებში უფრო ადვილად გაიცნობ ხალხს. მთვრალი კაცი გულგახსნილია და არაფერს მალავს“... ჩვენ გზას გავყევით. მხარზე გადაკიდებული ჰქონდა სხვადასხვა წიგნაკებით სავსე ტყავის ჩანთა. წიგნაკებს გამვლელ-გამომვლელს ურიგებდა. ზოგი არ ართმევდა, კითხვა არ ვიცი, ზოგი კი ართმევდა, თუმცა არც მათ იცოდნენ წერა-კითხვა. ერთ მათგანს ვკითხე: რატომ გამოართვი, თუ კითხვა არ იცი-მეთქი? მან მიპასუხა? — ქაღალდია, წავიღებ, სახლში გამოგვადგება, დედაჩემი ბურნუთს მაინც შეახვევსო.

ვარდანი უფრო დაღონდა.

— შენ ხომ არა გაქვს ერთი ასეთი წიგნაკი? — ჰკითხა ვარდანმა.

— მაქვს, როგორ არა, ორი ცალი მეც გამოვართვი.

ვარდანმა გამოართვა ერთი წიგნაკი, გადაფურცლა, ცოტა წაიკითხა და აღშფოთებით წამოიძახა:

— ნამდვილად სისულელეა უცოდინარ ხალხში ასეთი წიგნაკების გავრცელება! მერე რა იქნა, სად წავიდა?

— სოფლიდან ერთად გავედით, მაგრამ მთხოვა, მარტო დამტოვეო. რას ვიზამდი, უკან გამოვბრუნდი. გზას დაადგა და მახლობელი სოფლისაკენ გაეშურა. დიდხანს ვუყურე. ისე მიიჩქაროდა, თითქოს ელოდებოდნენ იქ. შემიძლია დავიფიცო, თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა, გზა ებნეოდა, ხან აქეთ გადაუხვევდა ხან იქით, — ცოტა არ იყოს, დამცინავად თქვა ჰაირაპეტმა.

— ჩემო ჰაირაპეტ, — უთხრა ვარდანმა, — მან შეიძლება თქვენი მთების ბილიკები არ იცოდეს, სამაგიეროდ, გარწმუნებ საზოგადოებრივი საქმის გამოცდილი მეთაურია.

— მეც რაღაც მაგის მსგავსს ვამჩნევ, — უთხრა ჰაირაპეტმა და ინანა, რომ დუდუკჩიანს უადგილოდ დასცინა. — ეტყობა, ძალიან ნაკითხი, ნასწავლი კაცია.

— გარდა მაგისა, ძალიან კეთილი და პატიოსანია.

მაგრამ ახლა ჰაირაპეტს მაინცდამაინც არ აინტერესებდა უცნობი ახალგაზრდა. მიზეზს ეძებდა, რომ ლაპარაკი ლალაზე ჩამოეგდო. მას შემდეგ, რაც სარამ უთხრა, ლალასა და ვარდანს ერთმანეთი

უყვართო, ჰაირაპეტი სულ იმის მოლოდინში იყო, რომ ვარდანი გამომიტყდება. ჩემზე ახლობელი კაცი ამ ოჯახში ვინა ჰყავსო. მაგრამ ვარდანს ახლა თითქმის არც ახსოვდა ლალა, დუდუკჩიანის ამბავმა საგონებელში ჩააგდო. წამოდგა და ოთახიდან გასვლა დააპირა.

— საით მიიჩქარი? — შეაჩერა ჰაირაპეტმა.

— დუდუკჩიანის საძებნელად, — მიუგო მან. — რატომ მიატოვე, ის ხომ ძალიან გამოუცდელი ყმაწვილია.

ოთახიდან ორივენი ერთად გავიდნენ.

— ჯერ თავლაში შევიაროთ, — უთხრა ვარდანმა, — რამდენიმე დღეა ჩემი ცხენები არ მინახავს.

ეზოში ვარდანმა ლალას მოჰკრა თვალი, პატარა რუსთან პირს იბანდა ის. ეტყობოდა, საწოლიდან ახალი ამდგარი იყო.

— დილა მშვიდობისა, სტეფანიკ, — გასძახა ვარდანმა შორიდან.

ლალამ პასუხი არ გასცა, მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა და თავი დაუქნია.

თავლაში ება ვარდანის სამი ღონიერი ცხენი. ერთზე თვითონ ჯდებოდა, ორზე კი მისი მსახურები საქო და ეღო — ზორბა ბიჭები, რომლებიც განუყრელად ახლდნენ.

— საქო, — მიმართა ვარდანმა მსახურს, — ცხენები დღესვე დააჭედინე და ყველაფერი მოამზადე წასასვლელად.

ვარდანმა ცხენებს ფაფარზე ხელი გადაუსვა და ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა, თითქოს ანგარიშობდა, ერთ ღამეში სამი დღის სავალს თუ გაივლიანო. შემდეგ თავისი ცხენის შეკაზმვა ბრძანა. ცხენი სწრაფად შეკაზმეს. ზედ რომ შეჯდა, ჰაირაპეტს ჰკითხა:

— საით წავიდა დუდუკჩიანი?

ჰაირაპეტმა ხელით ანიშნა და ვარდანმაც ცხენი იქით გააჭენა.

ვარდანი რომ თავლს მიეფარა, ჰაირაპეტი მწარე ფიქრებმა შეიპყრო: რატომ აჭედვინებს ცხენებს, ნუთუ წასვლას აპირებს? ნუთუ ისე წავა, რომ სიტყვასაც არ დასძრავს ლალაზე, არ იზრუნებს მის ბედნიერებაზე? ანდა რატომ ააღელვა ასე დუდუკჩიანის ბალღურმა საქციელმა?

ვარდანის მოქმედებამ ისე ჩააფიქრა ჰაირაპეტი, რომ რამდენიმე წუთს გაოგნებული იდგა, შემდეგ კი აუჩქარებლად გასწია შინისა-

კენ. ეზოში ფარეხიდან მომავალ სარას შეხვდა. სარას ხელში რძით სავსე მოზრდილი დოქი ეჭირა.

— რა გითხრა ვარდანმა? — ჰკითხა სარამ და დოქი მიწაზე დადგა.

— არაფერი არ მითხრა, — ნაღვლიანად უპასუხა ჰაირაპეტმა, — ამ ბოლო დროს რაღაც გულჩათხრობილია.

— მე კი ყველაფერი ვიცი, — ღიმილით უთხრა სარამ. — დაჯექი, გიამბო.

ცოლ-ქმარი იქვე ურმის კოფოზე ჩამოსხდნენ. სარამ ქმარს უამბო, ლალა ყველაფერში გამომიტყდაო. თურმე წუხელ, როცა ყველას ეძინა, ის და ვარდანი ბაღში ერთმანეთს ფარულად შეხვედრიან. ლალამ არაფერი დამიმალა, ყველაფერი დაწვრილებით მიამბოო. ბოლოს ვარდანს უთქვამს, მამაშენს მოველაპარაკები, ხოლო თუ თანხმობა არ მომცა, მოგიტაცებო.

— აი, თურმე რატომ უბრძანა მსახურებს, ცხენები მოამზადეთო, — თითზე იკბინა ჰაირაპეტმა.

— მერე რა უქირს? დაე გაიტაცოს, დაე წაიყვანოს, მით უკეთესი! — მიუგო სახეგაბრწყინებულმა სარამ. — ეგ არ წაიყვანს, სულ ერთია, ის წყეული ფათაჰ-ბეგი გაიტაცებს.

— მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, — უთხრა ჰაირაპეტმა, — მაგრამ...

საბრალონი! სხვა დროს რომ გაეგოთ, ლალა ფარულად ხვდებოდა ახალგაზრდას, რომელიც ჯერ მის საქმროდ არ ითვლებოდა, ჯვარს აცვამდნენ და სიცოცხლეს გამოასალმებდნენ.

ახლა კი ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ იძულებული იყვნენ შერიგებოდნენ ამ ამბავს.

## თავი მეოცე

ვარდანი მთელ დღეს არ ჩამოქვეითებულა, ცხენით სოფელ-სოფელ დადიოდა და დუდუკჩიანს დაეძებდა. ყველგან ეუბნებოდნენ, როგორ არა, ვნახეთ ევროპულად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი, შავი განიერფარფლებიანი ქუდი ეხურა, ხელში უშველებელი ჯოხი ეჭირა

და მხარზე წიგნაკებით გატენილი ჩანთა ეკიდაო. ვისაც კი ენახა, ყველა გაიძახოდა, რაღაც წაისულელებდაო.

ბევრი ეძება ვარდანმა, მაგრამ დუდუკჩიანს ვერსად მიაგნო და საღამოს ისევ ხაჩოს სახლში დაბრუნდა. ხაჩოს ერთ-ერთმა მწყემსმა უამბო, მეზობელ სოფელში ვნახე, თურქ გლეხებს ერთი უცხო კაცი ჩაეგდოთ ხელში და შეუბრალებლად სცემდნენო. მწყემსს უცვნია თავისი ბატონის სტუმარი, მიშველებია და ძლივს გამოუგლეჯია გამხეცებული თურქი გლეხების ხელიდან.

— ამას მოველოდი, — ჩაილაპარაკა ვარდანმა და მწყემსს შეეკითხა: — რატომ სცემდნენ?

— მიზეზი ვერ გავიგე, — უპასუხა მწყემსმა. — მინდოდა ჯორზე შემესვა და წამომეყვანა, მაგრამ არ მოინდომა, ფეხითაც კარგად წამოვალო. არ ვიცი, როგორ წამოვა, სულ დაბეგვილია.

მწყემსის ნაამბობმა ძალიან დააღონა ვარდანი. მან კარგად იცოდა თურქი გლეხის მუშტის ძალა, მეტადრე მაშინ, როცა საბრალო სომხის გვერდებს უბაგუნებს.

— სად დატოვე? — ჰკითხა ვარდანმა მწყემსს.

— შუა გზაზე, ფეხებს ძლივს მოათრევდა.

ის იყო ოდაში ჭრაქი აანთეს, რომ საიდანღაც გაჩნდა დაღლილ-დაქანცული და ტალახში ამოსვრილი დუდუკჩიანი. ვარდანს ეგონა დუდუკჩიანი მაშინვე გლეხების ბრიყვულსა და გაუთლელ საქციელზე დაიწყებდა ჩივილს, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს, თუმცა მისი სახე საშინელ უიმედობასა და ზიზღს გამოხატავდა.

დუდუკჩიანი მდუმარედ გაემართა ოთახის კუთხისაკენ და ტახტზე წამოწვა.

— ცოტა თუთუნი ხომ არ გექნებათ? — მიმართა მან ვარდანს. — მთლად გამომელია.

— ინებეთ, — მიუგო ვარდანმა და სათუთუნე გაუწოდა.

დუდუკჩიანმა აკანკალებული ხელებით პაპიროსი გაახვია.

— ჩვენი ხალხი მართლაც რომ გამოცანაა, ნამდვილი სფინქსია. — ჩაილაპარაკა მან თავისთვის. — რამდენიც გინდა დააკვირდი, შეისწავლე იგი, სულ ერთია, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ. ამ ხალხს ან ისტორია არ გააჩნია, ან ისტორიის უვიცი და მახინჯი ნაშიერია.

დუდუკჩიანი დადუმდა. პაპიროსს მოუკიდა და ისე გააბოლა, თითქოს გულზე მოწოლილი ბოღმა თან უნდა გაატანოსო.

დუმდა ვარდანიც. სინანულით შეჰყურებდა ამ ენერგიით აღსავსე ახალგაზრდას და იმ გამოუცდელ პაწაწინა ფარვანას ადარებდა, რომელიც სინათლეს დასტრიალებს და თავისი სუსტი ფრთებით მის ჩაქრობას ლამობს.

ამ დროს ოდაში მოხუცი ხაჩო შევიდა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი, ჩვეულებისამებრ, თავი მოიყარეს მისმა ვაჟიშვილებმა.

მალე ვახშამიც მოიტანეს. ვახშამზე დუდუკჩიანმა ბლომად დალია ღვინო, გამხიარულდა და დაღიადიანცის ცნობილი სიმღერა „ღმერთო, დაიფარე სომხები“ წამოიწყო.

როცა სუფრა აალაგეს, სტუმარი მოხუც ხაჩოს მიუბრუნდა:

— უბრძანეთ, ოდის კარი ჩაკეტონ, ხელი რომ არავინ შეგვიშალოს: საჭირო რამ მაქვს სათქმელი.

მოხუცი გაოცდა, ნეტა ისეთი რა უნდა გვითხრასო, მაგრამ მაინც უბრძანა ერთ-ერთ ვაჟიშვილს, კარი ჩაკეტეო.

ყველა სულგანაბული უცდიდა, რას იტყოდა დუდუკჩიანი.

— მალე რუსეთს და თურქეთს შორის ომი დაიწყება, იცით თუ არა ეს? — იკითხა მან.

— არა, ჩვენ არაფერი გაგვიგია, — ერთხმად მიუგეს ხაჩომ და მისმა ვაჟიშვილებმა.

— მე ვიცი, — თქვა ვარდანმა, — რუსები გამალებით ემზადებიან.

ომის გაგონებამ მოხუცს თავზარი დასცა.

მოხუცი რამდენჯერმე მოსწრებია რუსებსა და თურქებს შორის ატეხილ ომს და ახსოვდა, რა საშინელებაც მოუტანია მას სომხებისათვის. ჰაირაპეტი კი მხოლოდ ახლა მიხვდა, რამდენიმე დღის წინათ რა უთხრა სარას ხურშიდმა, მიხვდა, რისთვისაც ამზადებდა ფაათაჰ-ბეგი თავისი ტომის რაზმებს.

— დიახ, ომი გარდუვალია, — განაგრძო ვარდანმა, — ტყუილად როდია ნათქვამი, თუ ცხენი და ჯორი წაიკიდნენ, ვირი ფეხებს გაფშიკავსო.

— მართალია. — დაეთანხმა ჰაირაპეტი, — ჩვენ გაგვთელავენ, ომის ქარცეცხლი ყველა სომეხს გაჟლიტავს.

— ეგ მეც ვიცი... — დაიწყო მოხუცმა, მაგრამ მწუხარებისაგან ხმა ჩაუწყდა.

— ყური დამიგდეთ, — განაგრძო დუდუკჩიანმა, ცდილობდა რაც შეიძლება მდაბიურად, ყველასათვის გასაგებად ელაპარაკა. — მომავალი ომი არაფრით არა ჰგავს რუსებსა და თურქებს შორის დღემდე ატეხილ ომებს. ეს ომი სულ სხვა მიზანს ისახავს. თქვენ გაზეთებს არ კითხულობთ და, რა თქმა უნდა, არც გეცოდინებათ, რა ხდება დედამიწის მეორე ნაწილში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. იქაც ცხოვრობენ ქრისტიანები, ისინი ჩვენსავით საუკუნეების მანძილზე თურქეთის უღელქვეშ გმინავდნენ, მაგრამ ახლა თურქეთის უღლის გადაგდება მოინდომეს, აჯანყდნენ და, აი. უკვე ერთ წელზე მეტია იბრძვიან თავისუფლებისათვის. ჯერ გაიმარჯვეს, შემდეგ დამარცხდნენ და ამ დიდებულ საქმეს აუარებელი მსხვერპლი შესწირეს. ბოლოს რუსები ჩაერევნენ და ქრისტიანებს ხელი გაუწოდეს. კონსტანტინოპოლში თავი მოიყარეს ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რათა დაეცვათ სლავი ხალხების ზოგიერთი უფლება, მაგრამ საერთო ენა ვერ გამონახეს და ახლა რუსებს იარაღის ძალით სურთ აიძულონ თურქები, ცნონ ქრისტიან ხალხთა თავისუფლება.

მართალია, ბალკანეთში გაჩაღებული ომის ამბავი მთელ დედამიწას მოედო, მაგრამ სოფელ ო...ში ეს ახალი ამბავი იყო, ამიტომ ყველანი დიდი ყურადღებით უსმენდნენ დუდუკჩიანს.

სომეხი გლეხი ისე ცხოვრობს, რომ არც კი იცის, რა ხდება მისი მაზრის იქით. გლეხებს ყური მოეკრათ, თურქეთი ვიღაცას ეომება, მაგრამ ვის ან რისთვის, ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ომის ამბავიც იქიდან იცოდნენ, რომ ბოლო დროს გადასახადების ამკრეფნი ძალზე სასტიკად ეპყრობოდნენ, მეტ გადასახადს კრეფდნენ, გაძახოდნენ: ახლა ომია და სახელმწიფოს უნდა დავეხმაროთო.

— რუსეთი თურქეთს ქრისტიანთა გასათავისუფლებლად ეომება, — განაგრძო დუდუკჩიანმა. — მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ თურქეთის ქვეშევრდომ ქრისტიანთა შორის ყველაზე დაჩაგრული სომხები არიან. თუმცა ეს თქვენ ჩემზე უკეთ იცით, თვითონ ამ უღ-

ლის მსხვერპლნი ხართ. მაშასადამე. დადგა დრო, როცა სომხებმაც უნდა იფიქრონ თავისუფლებაზე.

— ჩვენ რა უნდა ვიფიქროთ? — უპასუხა მოხუცმა ხაჩომ. — თქვენ თვითონ ამბობთ, რუსები ქრისტიანთა გასათავისუფლებლად იბრძვიანო... ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მოვლენ და ჩვენც გაგვათავისუფლებენ.

— ეგ მართალია, — საუბარში ჩაერია ვარდანი. — მაგრამ ერთი რამ არ უნდა დაივიწყოთ. ამბობენ: ვიდრე ბავშვი არ ატირდება, დედა ძუძუს არ მისცემსო. სომხები თავიანთი დუმილით, მორჩილებითა და მოთმინებით ვერაფერს მიაღწევენ, მათაც უნდა აღიმაღლონ ხმა.

— დიახ, ხმა უნდა აღიმაღლონ, — გაიმეორა დუდუკჩიანმა. — და ეს მათი პროტესტიც იმით უნდა გამოიხატოს, რითაც გამოხატავენ სხვა ქრისტიანი ხალხები.

— თქვენ იმის თქმა გინდათ. რომ სომხებმაც აისხან იარაღი? — სიტყვა შეაწყვეტინა მოხუცმა.

— დიახ, სწორედ მაგის თქმა მინდოდა. ქვეყნად მუდამ ასე ყოფილა და ახლაც ასეა: ვისაც არ შეუძლია იარაღით ხელში თავისი თავისუფლების დაცვა და სისხლის დაღვრა, ის მონობისათვის არის განწირული. თუ სომხებს სურთ რაიმეს მიაღწიონ და დამოუკიდებლობა მოიპოვონ, ყველას უნდა დაუმტკიცონ. რომ ისინიც ვაჟკაცები არიან და ბრძოლის უნარი შესწევთ. ახლა სწორედ ამის დროა.

მოხუცს მწარედ გაეღიმა:

— დალოცვილო, რით უნდა დაამტკიცონ სომხებმა თავიანთი ვაჟკაცობა და ბრძოლის უნარი, როცა თურქებმა ერთი უბრალო დანაც კი არ დაგვიტოვეს, რომ ქათამი დავკლათ.

დუდუკჩიანს პასუხის გაცემა გაუძნელდა, მაგრამ ვარდანი მიეშველა:

— მებრძოლები იყვნენ, თორემ იარაღს. რამდენიც გინდათ იმდენს გიშოვით, თქვენ ხომ კარგად იცით, რომ კონტრაბანდისტი ვარ, იარაღის შემოსაპარებლად ყველა ფარული ბილიკი თუ გზა ხელისგულივით ვიცი.

— მარტო იარაღი არ კმარა, — თქვა გონიერმა მოხუცმა. — ვის

შეუძლია აქაურ სომხებს ის სული და გმირობა შთაბეროს, რაც თავისუფლებისათვის მებრძოლ იმ ქრისტიანებს აქვთ? ჩვენისთანა დაბეჩავებული და დამონებული ხალხისათვის იარაღს რა ფასი აქვს?

— ხალხის აგრე დამცირება არ ვარგა, მამასახლისო, — უთხრა დუდუკჩიანმა. — ნუთუ ჩვენმა სომხებმა მთლად დაკარგეს პატიოსნება, სიმამაცე და თავისუფლებისადმი ლტოლვა? საჭიროა მხოლოდ ბიძგი და ეს გრძნობებიც თავს იჩენს. ახლა ყველაზე ხელსაყრელი დროა. რუსები შეებრძოლებიან თურქებს, მაგრამ არც სომხები უნდა ისხდნენ გულხელდაკრეფილნი. დარწმუნებული ვარ, რუსები სიამოვნებით დაგვეხმარებიან.

ხაჩოს შვილები ხმას არ იღებდნენ. ჰაკომ კი, რომელიც ამ ერთი კვირის წინათ ძმების თათბირზე გაიძახოდა, უმჯობესია ჩვენი ლალა ფათაჰ-ბეგს შივათხოვოთ და ამით ოჯახს ერთი ძლიერი ქომაგი გავუჩინოთო, სწორედ ამ ჰაკომ, თავისი მამისა და ახალგაზრდა სტუმრების საუბარს უნდობლად რომ უსმენდა, დუდუკჩიანს უთხრა:

— ძმობილო, შენს სიტყვებს რაღაც სიცხლის სუნი უდის, შენი არც ავი გვინდა, არც კარგი. ხვალ დილიდანვე აკრიფე შენი გუდანაბადი და მოგვცილდი, თორემ რამე უბედურებას გადაგვკიდებ.

მოხუცმა ჰაკოს ხმა ჩააკმედინა და დუდუკჩიანს მიმართა:

— ამის სიტყვებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, თვითონაც არ გაეგება, რას ლაპარაკობს. ყური დამიგდეთ. მე გაზეთებს არ ვკითხულობ და არც ვიცი, რა ხდება ამქვეყნად, მაგრამ ერთს კი გეტყვით: მე, როგორც მიწის მუშამ, კარგად ვიცი, რომ სანამ მიწას არ მოვხნავთ, არ დავფარცხავთ, ერთი სიტყვით, სანამ სათესად არ მოვამზადებთ, არაფერს ვთესავთ, რადგან უამისოდ თესლი არ გაღვივდება და არც აღმოცენდება. ამას თვით მაცხოვარი ამბობს წმინდა სახარებაში და ეკლესიაშიც ბევრჯერ მომისმენია. ამჟამად, შვილო, ნიადაგი მზად არ არის... ამით იმის თქმა მინდა, რომ ხალხი ჯერ კიდევ მოუმზადებელია. ნიადაგი უნდა მომზადებულიყო ამ ოცი, ოცდაათი ან, ვინ იცის, იქნებ ორმოცდაათი წლის წინათაც კი. ეს რომ გაეკეთებინათ, ახლა შენი გაბნეული თესლი ნოყიერ ნიადაგში მოხვდებოდა, გაღვივდებოდა, აღმოცენდებოდა, აყვავდებოდა და უხვ მოსავალსაც მოვიმკიდით. მაგრამ ამას დრო სჭირდება. ხომ ცნობილია, ვიდრე

მოსავალს მოიმკი, ამინდი არა ერთხელ შეიცვლება, ხან დაცხება, ხან აცივდება, ხან ქარიშხალი ამოვარდება, ხან სეტყვა დაჰკრავს ნათესებს, ხან დაათოვს, ერთი სიტყვით, ვიდრე მზვნელ-მთესველის შრომა დაგვირგვინდება. ნათესმა ათას ქარცეცხლს უნდა გაუძლოს... ხალხის გულში ჩაბნეულმა თესლმაც ასეთივე ქარცეცხლი უნდა გაიაროს, ვიდრე ნაყოფი მომწიფდებოდეს.

— თქვენ ჩინებული მაგალითი მოიყვანეთ, მამასახლისო, — უთხრა დუდუკჩიანმა. — მე საესებით გეთანხმებით, მაგრამ საჭიროა გაითვალისწინოთ ერთი რამ კიდევ. ვეცდები ისე აგიხსნათ, რომ თქვენთვის გასაგები იყოს. ავიღოთ თქვენი მაგალითი, თქვენ თუ ნათესს არ გამარგლავთ, არ გათოხნით, მას სარეველა მოედება, დაჯაბნის და მის ადგილს დაიპყრს, თქვენი შრომაც უქმად ჩაივლის. განა ეს იგივე ბრძოლა არ არის, როცა უფრო ძლიერი ამარცხებს სუსტს? ეს თავისებური ომია მცენარეთა სამყაროში, როდესაც ერთი იცავს თავს და ცდილობს მეორე გაანადგუროს. ამას თავდაცვა ეწოდება, და ამას თვით ბუნება გვასწავლის. ბუნებაში ყოველ არსებას, რომელსაც კი ზრდა და გამრავლება შეუძლია, არსებობისათვის ბრძოლის უნარიც აქვს. ბუნებას ეს თვისება ერთისათვის მეტი მიუცია, მეორისათვის — ნაკლები. ეს თვისება ყველასა აქვს — მცენარესაც, ცხოველსაც, ადამიანსაც. მხოლოდ ქვებს და სხვა უსულო საგნებს არ შეუძლიათ თავის დაცვა, ხოლო სადაც სიცოცხლეა, იქ არსებობისათვის ბრძოლაც არის და ამ ბრძოლაში თვითეული არსება ცდილობს არა მარტო თავი დაიცვას, არამედ თავისი მტრებიც გაანადგუროს.

— ვფიქრობ, ახლა გასაგებია თქვენთვის ჩემი ნათქვამი, — განაგრძო დუდუკჩიანმა. ყოველივე, რაც მცენარეთა და ცხოველთა სამყაროში ხდება, ადამიანთა საზოგადოებასაც ახასიათებს. აქაც მიმდინარეობს ბრძოლა არსებობისათვის, მაგრამ უფრო მწვავე ფორმით და სხვადასხვანაირად ვლინდება. ხალხის კულტურისა და განვითარების დონის მიხედვით იცვლება მისი თავდაცვის იარაღიც (იარაღს რომ ვამბობ, მარტო მახვილსა და თოფს კი არ ვგულისხმობ, არამედ ხელოსნობასა და მეცნიერებასაც, რომელთა დახმარებით ერთი ერი მეორეს ჯაბნის). უფრო გაუნათლებელი და ველური ხალხი შედარებით უბრალო იარაღს — მახვილს ხმარობს. და აი, ქურთები და თურქები სწორედ ამ იარაღით გვებრძვიან. თავდაცვის კანონი მოითხოვს,

რომ მტერს მისივე იარაღით გავცეთ პასუხი. ჩემის მხრივ დიდი სისულელე იქნებოდა მომეთხოვა ის, რისი უნარი და შეძლებაც არ გააჩნია ჩვენს ხალხს. მე არ მოვითხოვ იარაღს იმიტომ მოვკიდოთ ხელი, რომ მუსრი გავავლოთ ქურთებს, თურქებს და მამაპაპათაგან ნაანდერძევ მიწაზე მხოლოდ ჩვენ ვიცხოვროთ. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ თავდაცვა ჩვენც უნდა ვისწავლოთ, რათა ქურთებმა და თურქებმა არ გაგვანადგურონ. ვიმეორებ: ამ ორ აზრს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

მოხუცმა ხაჩომ სიტყვა გააწყვეტინა დუდუკჩიანს.

— მესმის, ყველაფერი მესმის, რასაც ბრძანებთ, — უთხრა ძან, — მაგრამ ვიმეორებ: ერთბაშად, ერთ დღეში ასეთი დიდი ცვლილებები შეუძლებელია. ჩვენი ხალხი მეტისმეტად დაბეჩავებულია, ძას არ შეუძლია ერთბაშად დააღწიოს თავი მონურ ჩვევებს და შეიგნოს, რომ საჭიროა იარაღის საშუალებით თავდაცვა. თქვენ, კონსტანტინოპოლელებს, ეს საქმე რამდენიმე წლის წინათ უნდა დაგეწყოთ და ჩვენთვის თავდაცვა გესწავლებინათ. ეს რომ მომხდარიყო, ახლა თქვენი ჩაგდებული თესლი სასურველ ნაყოფს გამოიღებდა. თქვენ კი არ მოგვამზადეთ, კონსტანტინოპოლში იყავით მოკალათებული, ხმას არ იღებდით, ახლა კი მოდიხართ და გვეუბნებით: მახვილს მოჰკიდეთ ხელი და თავი დაიცავითო. ვინ დაგიჯერებთ, რომ ყოველივე ეს შესაძლებელია?

— მართალს ამბობთ, — მიუგო დუდუკჩიანმა გულცივად, — ჩვენ, კონსტანტინოპოლელი სომხები ზარმაცნი და უზრუნველნი გამოვდექით და წინასწარ არ მოვამზადეთ ხალხი. მაგრამ ახლა იმას კი არ ვამბობ, რომ სომხებმა დაკარგეს თავიანთი პატიოსნება, ღირსება და კეთილშობილური მისწრაფებანი. ამ თვისებების დასანერგად საჭირო იყო ხალხის გათვითცნობიერება, ეს კი ჩვენ, კონსტანტინოპოლელ სომხებს უნდა გაგვეკეთებინა. მე მხოლოდ თავდაცვაზე ვლაპარაკობ, ამისათვის კი არც დიდი კულტურაა საჭირო და არც დიდი განათლება. თავდაცვის გრძნობა, როგორც წელან აგიხსენით, იმდენად ბუნებრივი გრძნობაა, რომ თვით მცენარეს, ცხოველს და ველურ ადამიანსაც კი გააჩნია. ნუთუ სომეხი ცხოველზე უფრო დაბალი არსებაა? ნუთუ მისი სული ისე დაკნინდა, რომ ქვასავით ველარაფერს გრძნობს?

## თავი ოცდამეერთე

როცა მოხუცი ხაჩო და მისი ვაჟიშვილები წავიდნენ, ოდაში მარტო ვარდანი და დუდუკჩიანი დარჩნენ.

— მოხუცი მართალს ამბობს, ნიადაგი მართლაც მზად არ არის, — უთხრა ვარდანმა კონსტანტინოპოლელს და მის ფერმკრთალ დაღვრემილ სახეს შეხედა.

— მერე ვისი ბრალია? — ჰკითხა აღელვებულმა დუდუკჩიანმა. — მოხუცი ძალიან ჭკვიანი კაცია, გაცილებით უფრო ჭკვიანი, ვიდრე ჩვენ, ფუქსავატი მჯღაბნელები. მან სამართლიანად მითხრა, ხალხის წინასწარი მომზადება თქვენი, კონსტანტინოპოლელების მოვალეობა იყოო. რა გავაკეთეთ ჩვენ? — ბევრი არაფერი! ხალხის მოსამზადებლად სულაც არ გვიზრუნია, რადგან არ გვაინტერესებდა თანამედროვე სომხეთი თავისი საშინელი წყლულებით. ჩვენ მისმა დიდებულმა წარსულმა დაგვაბრმავა. თანამედროვე სომხეთს მხოლოდ ძველი მწერლების ნაწარმოებებით ვიცნობდით და წარმოდგენილი გვქონდა, რომ ამ გმირთა სავანეში კვლავ ტიგრანები, არამები, ვაჰანები, ვარდანები და დიდი ნერსესები[1] ცხოვრობდნენ!.. წარმოდგენილი გვქონდა ხალხმრავალი ქალაქები ფართოდ განვითარებული ხელოსნობითა და ვაჭრობით, სადაც სომეხი თავისი შრომითვე მოპოვებულ ბუნების ყველა სიმდიდრეს ფლობს. ჩვენ გვეგონა, რომ სომხეთში იყო სომეხი მხვნელ-მთესველის შრომით აყვავებული მდიდარი სოფლები და რომ მხვნელ-მთესველთა ბეღლებიც სავსე იყო სარჩო-საბადებლით. წარმოგვედგინა, რომ ჩვენი მიწა-წყლის მოსახლეთა უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ და მშობლიურ მიწაზე თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობდნენ. მაგრამ თურმე არ ვიცოდით, რომ სომხები, რომლებითაც ოდესღაც მთელი პროვინციები იყო დასახლებული, ან სიღარიბემ და ტანჯვა-წამებამ მოსპო ან ძალდატანებით გაამაჰმადიანეს. რას წარმოვიდგენდით, რომ ცოცხალი სომხის ნაცვლად მისი ლეში ან თვალუწვდენელი სასაფლაოები დაგვხვდებოდა. არ ვიცოდით, რომ სარწმუნოება — ჩვენი ფიქრით, ერის ერთიანობის ეს ბურჯი — დაირღვა და მხოლოდ გრანდიოზული ტაძრე-

---

1 სომხეთის მეფეები და ისტორიული პიროვნებები.

ბის ნანგრევებიდა დაგვრჩა! არ ვიცოდით, რომ წინაპრების წმიხ-დათაწმიდა საუნჯე — ჩვენი ენა სომხებს დაუკარგავთ და ახლა ქურთულად ან თურქულად ლაპარაკობენ. ისიც არ ვიცოდით, რომ მაჰაკი ქურთების უმრავლესობა, რომლებიც ახლა სომხებს ღვთის რისხვად მოვლენიან, ამ ორმოცდაათი-ასი წლის წინათ ჩვენი ღვიძ-ლი ძმები ყოფილან, ისინი თურმე ჩვენს ენაზე ლაპარაკობდნენ და ჩვენს ეკლესიაში ლოცულობდნენ... ერთი სიტყვით, არაფერი არ ვი-ცოდით ან მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა თანამედროვე სომხეთზე. ჩვენთვის უცნობი იყო ისიც, რომ სომეხთა დაქსაქსული ჯგუფები, ცხოვრების აუტანელი პირობების წყალობით, მოხობის მძიმე უღელქვეშ დაკნინდა და დაქუცმაცდა. მათ მთლად დაკარგეს თავიანთი საუკეთესო ეროვნული ღირსებები და ახლა ყველგან, სა-დაც არ გინდა, სულმდაბლობას, სიმხდალეს და ვერაგობას წააწყ-დები.

ვარდანი ყურადღებით უსმენდა. დუდუკჩიანი განაგრძობდა:

— მაგრამ ჩვენს ხელთ იყო დიდი ძალა, ჩვენ დიდი საქმეების გაკეთება შეგვეძლო. გვყავდა პატრიარქი — ხალხის სულიერი მამა, ის მხოლოდ სულის გადარჩენაზე ფიქრობდა. ჩვენში იმართებოდა ეროვნული კრების წარმომადგენელთა თათბირები, ამ კრებას ინ-ტრიგებისა და წვრილმანი საქმეების მეტი არაფერი აინტერესებდა. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა ეროვნული კრების წლისთავზე სიმ-ღერებით აყრუებდა ბოსფორის ნაპირებს, იმას კი არ ფიქრობდა, რომ სწორედ იმ დროს მათს სამშობლოში სისხლი და ცრემლი იღვ-რებოდა... ჩვენს ხელთ იყო ბეჭდვითი სიტყვა, მას არ აინტერესებდა ჩვენი თანამემამულეების ბედ-იღბალი და უცხოელთა ცხოვრების ქე-ბა-დიდებით ყურებს გვიჭედდა. ჩვენ გვქონდა საკუთარი სასწავლებ-ლები, მაგრამ მათ ერთი ხეირიანი მასწავლებელიც კი ვერ მოუმზა-დეს სომხეთს. ჩვენ გვქონდა თეატრი, რომლის სცენაზეც ერთხელაც არ უჩვენებიათ სომხების ბედკრული ცხოვრების სურათები, სამაგი-ეროდ საზოგადოებას ფრანგული ნაწარმოებების ნასუფრალით კვე-ბავდნენ. ჩვენი ერის ვითომდა მეთაურები უმაღლესი პორტას ბობო-ლებს ფეხქვეშ ეგებოდნენ, ელაქუცებოდნენ და საკუთარ დიდებას

---

[1] აქ ლაპარაკია თურქეთის პარლამენტზე.

იხვეჭდნენ. ჩვენ ხელთ იყო ნივთიერი ძალა — ოქრო, რომელიც მხოლოდ ემირის სასახლეებს ამშვენებდა, სომხების საკეთილდღეოდ კი ერთი გროშიც არ იხარჯებოდა. ერთი სიტყვით, წინსვლის დროშა ხელთ გვეპყრა თითქოს იმ ბოროტი მიზნით, რომ სომხეთისათვის უფრო აგვებნია გზა და დაგვეღუპა... ჩემი და რამდენიმე ჩემი თანამოაზრის მიზნები ნამდვილ დონკიხოტობად მიმაჩნია. რისი მოლოდინი უნდა გვქონდეს? ამდენ ხანს სულ უქმად იჯდე კაცი კონსტანტინოპოლში, არ ეცნობოდე სომხეთის ცხოვრებას, არ სწავლობდე ხალხის საჭიროებას და მოთხოვნებს, არ ამზადებდე მას უკეთესი მომავლისათვის, მერე კი უცებ ადგე, გამოეცხადო და ხელში იარაღი შეაჩეჩო, თავი დაიცავითო!.. არა, ამ გზით ხალხის თანაგრძნობას ვერ მოვიპოვებთ, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ. შესაძლოა მეც და ჩემი თანამოაზრენიც მძიმე ბრძოლებში დავიღუპოთ, მაგრამ ჩვენი დამარცხება გზას გაუკაფავს ჩვენს მიმდევრებს... ისინი ჩვენი გვაშებით მოფენილი და ჩვენი სისხლით მორწყული გზით ივლიან...

დუდუკჩიანის უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე აღელვებულმა ვარდანმა თავი ვეღარ შეიკავა, მივარდა მას, გადაეხვია, გადაკოცნა და უთხრა:

— ასეთი წმინდა საქმე ჭეშმარიტად მსხვერპლს მოითხოვს... სახელი და დიდება მას, ვინც ამ საქმეს პირველი შეეწირება!

შუაღამე გადასული იყო. ოდაში ლოგინები კარგა ხანია გაეშალათ, ორ ახალგაზრდას კი ძილი მაინც არ ეკარებოდა. დუდუკჩიანი უმოწყალოდ კიცხავდა კონსტანტინოპოლის გზაკვალაბნეულ ახალგაზრდობას, კილავდა სამღვდელოებას.

— ტაძრებისა და ეკლესიების აგებაზე გაწეული უნაყოფო ხარჯების ერთი მეათედიც კი სკოლების ასაგებად რომ გაეღოთ, სომხეთი გადარჩენილი იქნებოდა, — თქვა მან.

უცებ ვიღაცამ კარზე ფრთხილად დააკაკუნა. ვარდანი წამოდგა და კარი გააღო. ოთახში ჰაირაპეტი და აპო შევიდნენ, ეს ორი ძმა თავიანთი ხასიათით სულ არ ჰგავდა ხაჩოსა და დანარჩენ ძმებს.

— ასე გვიან იმიტომ გეახელით, რომ არავის შევენიშნეთ, — თქვა ჰაირაპეტმა და ძმასთან ერთად ტახტზე ჩამოჯდა. — ვინ იცის, ხელი შეგიშალეთ?

— სრულიადაც არა, — უპასუხა ვარდანმა, — ძილი გაგვიფრთხა და ლაპარაკით გავერთეთ, ალბათ სახლში ყველას სძინავს.

— ყველას, მამის გარდა, — მიუგო აპომ. — მამა უქეიფოდაა, ახველებს და ლოგინში ბორგავს. ხველება რომ აუტყდება, ეს იმას ნიშნავს, რაღაც აღელვებს.

ვარდანი და დუდუკჩიანი მიხვდნენ, რომ ძმები ასე უდროო დროს ტყუილად არ მოვიდოდნენ და მოუთმენლად უცდიდნენ, რას იტყოდნენ.

— წეღან მამასთან და ძმებთან ვერაფერი გითხარით, — დაიწყო ჰაირაპეტმა სერიოზულად. — ამიტომ ახლა მოგაშურეთ, რომ გამოგიტყდეთ: ჩვენ ყველაფერში გეთანხმებით და თანაგიგრძნობთ. მზად ვართ გემსახუროთ, რითაც კი შევძლებთ და რაშიც კი გამოგადგებით.

დუდუკჩიანის მიმქრალ სახეს სიხარულის სხივმა გადაურბინა. მისი სიხარული იმ მისიონერის სიხარულს ჰგავდა, რომელმაც ორად ორი მორწმუნე ჩაიგდო ხელში და ეგონა, სამწყსო უკვე შეკრიბა, მალე ათასებად გადაიქცევაო.

— სავსებით შემცდარი აზრია, — განაგრძო ჰაირაპეტმა, — თითქოს აქაურ სომხებს არც გული ჰქონდეთ, არც სული და არც რაიმე მაღალი მისწრაფებები გააჩნდეთ.

მაგრამ არის ერთი თვისება, ერთი სისუსტე, თვითეულ სომეხს რომ აქვს. ცალკე თვითეული სომეხი ფრთხილი, ანგარიშიანი, გაუბედავი და უნებისყოფოა. სულ იმის ცდაშია, რომ სხვამ უჩვენოს მაგალითი, მერე კი ამ მაგალითს თვითონაც მიბაძოს. მასზე დიდ გავლენას ახდენს კარგი მაგალითი, განსაკუთრებით კეთილად დაბოლოებული საქმის მაგალითი. მაგრამ მას სულ არ აინტერესებს სხვა ქვეყნების ხალხთა ცხოვრება და საქმიანობა. ამით იმის თქმა მინდა, რომ სომეხი უცხოელებს არ ბაძავს, არამედ ელის, რომ მაგალითი ისევ სომეხმა უჩვენოს. მაშასადამე, თუ ჩვენ პირველნი ვუჩვენებთ მაგალითს, მჯერა, ბევრი მიმბაძველიც გამოგვიჩნდება. ჩვენს ხალხს კარგად ვიცნობ, მას იმდენი ტანჯვა, იმდენი წამება გამოუვლია, რომ მზად არის, თუკი შესაძლებლობა მიეცემა, თუგინდ ახლავე სწვდეს ყელში მტერს. მისი გული აღსავსეა მტრისადმი ფარული ზიზღითა და სიძულვილით.

ვარდანი და დუდუკჩიანი აღტაცებით უსმენდნენ ჰაირაპეტს,

რომლის სიტყვებში ისმოდა ხალხის ხმა, ისახებოდა ხალხის დაგუბებული ვარამი.

— ბედნიერია ის ერი, რომელსაც სიძულვილის უნარი აქვს, — აღტყინებით წამოიძახა კონსტანტინოპოლელმა ახალგაზრდამ. — ვისაც სიძულვილი არ შეუძლია, ის სიყვარულის გრძნობასაც მოკლებულია...

— მამაჩემი ამბობს, ნიადაგი მზად არ არისო, — განაგრძო ჰაირაპეტმა, — ის ჭკვიანი და გულკეთილი კაცია. მაგრამ მამაჩემის კეთილი რჩევა-დარიგება, მისი სიფრთხილე უკიდურესობამდე მიდის. თავისი მოთმინებით მთლად მოვვადუნა, დაგვაძაბუნა და ცოტაღა დარჩა, უძრავ ქვას დაგვამსგავსოს, ჩვენს მდგომარეობაში, ჩემი აზრით, გამბედაობა, მამაცობა და თავზეხელაღებულობაც კი უფრო მეტ სარგებლობას მოგვიტანს, ვიდრე მორჩილება და მოთმინება.

— დიახ, „ვიდრე ჭკვიანი მოისაზრებს, ხენთი უკვე ფონს გავა“... მიუგო ვარდანმა სიცილით.

— ეგ მართალია, — დაემოწმა დუდუკჩიანი. — ხშირად ჭკვიანებს ჭკუა ატყუებს და თავიანთ შეცდომებს მხოლოდ მაშინ ამჩნევენ, როცა ხედავენ, რომ სულელებს საქმეები უკვე მოუგვარებიათ... ერთ დროს ჩვენი კონსტანტინოპოლელი ჭკუის კოლოფები ამტკიცებდნენ სომხებისათვის უვიცი და უხეში თურქების გამგებლობა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სხვა რომელიმე განათლებული და კეთილმოსურნე მთავრობაო. ისინი ფიქრობდნენ, განათლებული სახელმწიფოს მაღალი კულტურა სომხებს მთლად შთანთქავს და გადააგვარებსო, ახლა კი სომხებს შეუძლიათ თურქების გაუნათლებლობით ისარგებლონ, არსებობისათვის ბრძოლაში შეეცილონ და გამარჯვებულებიც გამოვიდნენო. ასეთი შეხედულება თეორიულად სწორია, მაგრამ ცხოვრების ქარცეცხლში ხშირად უტყუარი ფილოსოფიური თეორიებიც კი უმტყუნებს კაცს. ისტორიამ ბევრი მსგავსი მაგალითი იცის. თუ რომელიმე დიდ, განათლებულ ერს შეუძლია გაანადგუროს პატარა ერები, ნუთუ ასევე არ შეუძლია მოექცეს გაუნათლებელი ერი თავის ქვეშევრდომებს? განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ ერთი კულტურული საშუალებებით მოსპობს, მეორე კი — ბარბაროსულად.

— უფრო გასაგებად მოგახსენებთ, — განაგრძო დუდუკჩიანმა.

— ჩვენ დღემდე არაფერი გაგვეგებოდა თურქეთის ფარული პოლიტიკისა, რომელიც მიმართული იყო სომხებისადმი. ყოველი ჩვენგანი ბავშვური გულუბრყვილობით გაიძახოდა: ჩვენი მომავალი თურქეთთან არის დაკავშირებულიო. არსებულ უწესობას, უსამართლობას და ბარბაროსობას ჩვენ შემთხვევით მოვლენებად ვთვლიდით, იმას კი ვერ ვხედავდით, რა ჯოჯოხეთური ქსელი იყო გაბმული მის უკან! ჩვენ ვხედავდით მხოლოდ დარბევებს, ხოცვა-ჟლეტას, ძალით გაძაჯმადიანებას და სხვა ბოროტებას, რასაც ჩვენი მეზობელი ველური ტომები ჩადიოდნენ. ყველაფერი ეს შემთხვევითი, წარმავალი გვეგონა. ის კი არ ვიცოდით, რომ ყველაფერი ფარული წაქეზებით ხდებოდა, რომ ყველაფერი უმაღლეს ხელისუფლებთან იყო შეთანხმებული. მთავრობას მხოლოდ იმაში ვამტყუნებდით, რომ ის სუსტი იყო და უზრუნველად იქცეოდა, თავის ველურ ქვეშევრდომთა ალაგმვას ვერ ახერხებდა. მაგრამ იმას ვერ ვხვდებოდით, რომ მთავრობის მოხელეები ქურთებს სომხების წინააღმდეგ რაზმავდნენ, რათა ქრისტიანობა მოესპოთ. შეიძლება იკითხოთ, რა მიზანი ამოქმედებდათო? თურქეთმა მშვენივრად იცის, რომ თუ ერთ მშვენიერ დღეს ევროპაში ან აზიაში თავისი რომელიმე პროვინცია ჩამოსცილდება, ამის მიზეზი ადგილობრივი ქრისტიანები იქნებიან. იგი მიხვდა, რომ თუ მის სამფლობელოში ქრისტიანები იცხოვრებენ, ეს მუდამ მისცემს საბაბს სხვა სახელმწიფოებს მის საქმეებში ჩაერიონ და კვლავ წამოჭრან აღმოსავლეთის საკითხი. თავისი პროვინციების დაკარგვისა და მის საქმეებში სხვა სახელმწიფოების ჩარევის თავიდან ასაცილებლად თურქეთი იძულებულია მოსპოს ქრისტიანები, ვისი მიზეზითაც უკვე დაკარგა ევროპაში ზოგიერთი პროვინცია და მალე დანარჩენებსაც წაართმევენ. რაც შეეხება აზიის სამფლობელოებს, მათგან შეინარჩუნა მხოლოდ მცირე აზია, სადაც ერთადერთი ქრისტიანები, რომლებიც თურქების მშვიდობიანობას ემუქრებიან, სომხები არიან. მაშასადამე, ევროპის სახელმწიფოებს რომ ხმა ჩააკმენდინოს, თურქეთმა მათ უნდა დაუმტკიცოს, რომ სომხეთში სომხები აღარ არიან. სომხების გასაჟლეტად თურქეთმა შესაფერი ჯალათები — ქურთები და ჩერქეზები შეარჩია.

— ამ ოცი-ორმოცდაათი წლის შანძილზე აქ მომხდარ ამბებს თავი რომ მოვუყაროთ, — განაგრძო მან, — დავრწმუნდებით, რომ სომ-

ხების აწიოკება-დარბევა, მათი ტანჯვა-ვაება, ერთი სიტყვით, ყოველგვარი მტარვალობა, შემთხვევითი არ არის. ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ყველა ამ მოვლენით შენიღბული იყო წინასწარ მოფიქრებული პოლიტიკა, რომლის საბოლოო მიზანია სომეხი ერის საბოლოო განადგურება. ამის დასამტკიცებლად მხოლოდ რამდენიმე ფაქტს დაგისახელებთ. სომხებისათვის თავდაცვის საშუალება რომ მოესპო, თურქეთმა მათ ხელ-ფეხი შეუკრა, იარაღი აყარა და მის მტრებს დაურიგა. მაგრამ როცა გამოირკვა, რომ ამით ვერ გასტეხდა ამ შრომისმოყვარე, მომჭირნე ხალხს, მთავრობამ გადაწყვიტა ძირი გამოეთხარა მისი ეკონომიური კეთილდღეობისათვის. საბოლოოდ რომ გაეპარტახებინათ სომხობა, გაადიდეს გადასახადები, წინასწარ გაუფრთხილებლად გააუქმეს ადგილობრივი ფასიანი ქაღალდები, ერთი სიტყვით მიმართეს ათასგვარ ფინანსურ ხრიკებს, რომ ფულს ფასი დაკარგვოდა და ხალხს გადასახადები ვეღარ დაეფარა. რაკი ხალხს ნაღდი ფული გამოეცლებოდა ხელიდან, იძულებული იქნებოდა სამეურნეო ინვენტარი გაეყიდა. რაც მას მიწის დამუშავების საშუალებას მოუსპობდა. მაგრამ თურქებმა ვერც ამ გზით მიაღწიეს მიზანს. სომხები მტკიცე, შეუპოვარი, ყველაფრის ამტანი აღმოჩნდნენ. თუ მშობლიურ მიწა-წყალზე ვეღარაფერს ახერხებდნენ, უცხო ქვეყნებში მიდიოდნენ სამუშაოდ, ფულს შოულობდნენ და შინ მატერიალურად უზრუნველყოფილი ბრუნდებოდნენ. რაღა დარჩენოდა მთავრობას? თურქეთმა გადაწყვიტა სამუდამოდ დაეშრო სომხებისათვის ცხოვრების წყარო, მიწის თაობაზე ისეთი წყეული და ეშმაკური კანონი გამოსცა, რომ სომხებს მიწათმფლობელობის უფლება ჩამოერთვათ. ამრიგად, სომეხთა მიწები სულ ქურთთა ბეგების, ჩერქეზების, მუფთიების, ყადებისა და სხვათა ხელში გადავიდა. ეს ვაჟბატონები გაბატონდნენ, შრომისმოყვარე და გამრჯე სომეხი კი ამ მტარვალთა ყმად და მონად იქცა. მიწის თაობაზე სომხებსა და მაჰმადიანებს შორის ატეხილ გაუთავებელ დავას ხელისუფალნი ან სულ უყურადღებოდ ტოვებდნენ, ან საქმეს აუცილებლად მუსულმანთა სასარგებლოდ წყვეტდნენ. ამას ადასტურებს ათასობით მაგალითი. საკმარისია შეისწავლოთ თუგინდ ერთი სასამართლო პროცესი და დარწმუნდებით, რომ მთავრობას არ სურს სომეხს მიწა დაუტოვოს, სულ იმის ცდაშია, რომ მამა-პაპათა სისხლით მორწყულ მიწა-წყალს

მოწყვეტილმა სომხებმა სამშობლო მიატოვონ და უცხო ქვეყნებში გაიხიზნონ, ხოლო სომხეთის დაცარიელებულ მიდამოებში ქურთები და ჩერქეზები დაასახლოს.

— ახლა თქვენ ხედავთ, — განაგრძო დუდუკჩიანმა, — რომ ყველა ეს ბოროტება დაკავშირებულია ერთმანეთთან და მათ მიღმა რაღაც ჯოჯოხეთური მიზანი იფარება. აღარაფერს ვამბობ იმ კერძო შემთხვევებზე, როცა მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენლები სომხებით დასახლებულ მაზრებში ხელოვნურად ჩამოაგდებდნენ შიმშილობას, რათა ქურთისა და ჩერქეზის მახვილს გადარჩენილი სომხები შიმშილით გაეწყვიტათ!.. ასეთი უსაზარლესი მკვლელობა მხოლოდ გულქვა და ნამუსგარეცხილ თურქებს შეუძლიათ. თურქმა კარგად იცის, რომ არცთუ ისე ადვილია შრომისმოყვარე და მედგარი სომეხი ერის განადგურება.

ზეითუნის[1] სომხებს სახნავ-სათესი მიწები არა აქვთ. მათი არსებობისა და შემოსავლის ძთავარი წყარო რკინის მადანია, ამუშავებენ მადანს, სხვადასხვა ნაკეთობას ამზადებენ და მეზობელ პროვინციებში ყიდიან, მოგებული ფულით იძენენ ყველაფერს, რაც კი ჭირდებათ. თურქეთმა მრავალჯერ სცადა ამ მადნების როგორმე ხელში ჩაგდება და მიზანს მიაღწევდა კიდეც, რომ გმირ ზეითუნელებს მედგარი წინააღმდეგობა არ გაეწიათ.

ვანის გადაბუგვაც თურქ ხელისუფალთა პროვაკაციული პოლიტიკის აშკარა მაგალითია. ამ ქალაქში მოსახლე სომხობა საკმაოდ შეძლებული იყო. მაგრამ ერთ მშვენიერ ღამეს მთელი მათი სიმდიდრე ცეცხლმა შთანთქა. მიუხედავად იმისა, რომ სომხებმა პროტესტი გაუცხადეს, რამდენჯერმე თხოვეს ხელისუფალთ საქმის გამოძიება და ბოროტმოქმედთა აღმოჩენა, მათი თხოვნა მაინც ყურად არავინ იღო. აბა, მთავრობა სამართალში საკუთარ თავს ხომ არ მისცემდა!

ჩვენ მუდამ გვიკვირდა, თუ რატომ ეფერება თურქეთი ქურთებისა და ჩერქეზების ბეგებს და მათ სულიერ მამებს — შეიხებს. ისინი ხომ ხშირად უჩენენ მთავრობას საზრუნავს: გადასახადებს არ იხდიან, შეერთებული რაზმებით თავს ესხმიან მაზრებს და იქაურობას

---

[1] ზეითუნი — აღმოსავლეთ თურქეთის პროვინცია, რომელიც უპირატესად სომხებით არის დასახლებული.

იკლებენ. ჩვენ მუდამ ვფიქრობდით, ნუთუ მთავრობა, თუკი მოინურვებს, ლაგამს ვერ ამოსდებს ამ ავაზაკებს? მხოლოდ ახლა მივხვდით, რომ თურქეთისათვის საჭირო ყოფილა ასეთი მოკავშირეები. მიზანი ცხადია...

დუდუკჩიანი შეუსვენებლივ ლაპარაკობდა, თითქოს გულზე მოწოლილი სევდა ამ ღამეს ერთბაშად უნდა ამოანთხიოსო. გაწამებული ერის ტანჯვა-ვაება, მისი ბედკრული აწმყო და უნუგეშო მომავალი მეტად შავ ფერებში ესახებოდა და გულს სამართლიანი წყრომით ევსებდა.

— ვითარება გვაიძულებს, — განაგრძო მან, — ბოროტებას ბოროტებითვე ვუპასუხოთ, სხვა გზა არა გვაქვს. ცოცხალ არსებათა შორის ერთადერთია ადამიანი, რომელიც თავის მსგავს არსებას მხეცზე უფრო გულქვად და უსინდისოდ ეპყრობა. მხეცი თავის საკბილოს, სხვა არა იყოს რა, ერთბაშად მაინც კლავს და აღარ აწვალებს! ადამიანი კი არ ჩქარობს, მსხვერპლს თანდათანობით აძაბუნებს, სიცოცხლეს უწამლავს, ზნეობრივად და ფიზიკურად აწამებს და როცა ძალ-ღონეს გამოაცლის, მხოლოდ მაშინ მოუღებს ბოლოს... ასეთი მკვლელობა საზარელია, იგი მხოლოდ ადამიანს შეუძლია ჩაიდინოს. ასე უსპობენ სიცოცხლეს არა მარტო ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მთელ ერსაც. ჩვენს ხალხსაც ასეთი სიკვდილი მოელის. განა ეს არ არის ქურთებისა და ჩერქეზების მიზანი? განა ეს არ არის ომის მიზეზი, რომ სომხეთში სომხებს ვეღარ ნახავთ?

ვარდანი შეუნელებელი ყურადღებით უსმენდა დუდუკჩიანს. ბოლოს ირონიული ღიმილით უთხრა:

— მართლაც საოცარია ჩვენი ერი! მისი მოსპობა, შეუძლებელიაო რომ არა ვთქვათ, ძალიან ძნელია, ჩვენი ხალხი ზღაპრულ ჰრავალთავა ურჩხულს მაგონებს, ყოველი მოკვეთილი თავის ნაცვლად უფრო ღონიერი, უფრო ძლიერი თავი რომ ეზრდება. საუკუნეთა მანძილზე სამყაროს სამჭედლოს ურომ ისე გამოჭედა და გამოაწრთო, რომ ფოლადივით განმტკიცდა. მისი გატეხა არცთუ იოლი საქმეა... იგი უზომოდ გამძლეა. სომეხმა გაუძლო თვით უძლეველი ძონღოლების შემოსევას, რომლებთანაც შედარებით თურქეთის ძონღოლთა ახლანდელი თაობა ბუზის ოდენაც არა ჩანს... სომეხთა მიწა-წყალი გადათელეს მანგულ-ხანმა, თეპურ-ლენგმა, ჩინგის-ყაენ-

მა, ჰულაუნმა და მრავალმა მათმა მსგავსმა. ისინი ადამიანის სისხლით ტკბებოდნენ, ჩვენს ბიწა-წყალს გრიგალივით, წარღვნასავით დაატყდნენ თავს და ყველაფერი ააოხრეს, მიწასთან გაასწორეს, მერე კი თვითონაც განადგურდნენ და აღიგავენ პირისაგან მიწისა. სომეხი კი კვლავ ცოცხლობს! მონღოლთა მემკვიდრე — თანამედროვე თურქეთი ცდილობს მოსპოს თავისი ქვეშევრდომი გამრჯე სომხები და ამით უნიშლიეთ თავის სამარეს ითხრის, ავიწყდება, რომ სომხები უმდიდრებენ ხაზინას. სწორედ ამ პოლიტიკის შედეგია მისი ახლანდელი ფინანსური კრახი. წინანდელ თურქეთს უფრო უკეთ ესმოდა. სომხები რა ძალასა და სიმტკიცეს მატებდნენ სახელმწიფოს. ამიტომ არა მარტო ცდილობდა შრომისმოყვარე სომეხ გლეხს თავისუფლად ეცხოვრა, არამედ სახელმწიფოს საფინანსო საქმეების მართვა-გამგეობასაც ანდობდა სომეხ ვაჭრებს, მათ კი არა ერთხელ უხსნიათ სახელმწიფო ფინანსური გაჭირვებისაგან.

უკვე თენდებოდა, ჩვენი მოსაუბრენი კი მაინც განაგრძობდნენ ბაასს. ისინი ლაპარაკობდნენ აჯანყების სამზადისზე. როცა საუბარი მოათავეს, დუდუკჩიანმა უბიდან სამი ცალი სადარბაზო ბარათი ამოიღო, თავის მეგობრებს დაურიგა და უთხრა:

— მე თქვენ სავსებით გენდობით, ახლა უკვე შეგიძლიათ იცოდეთ ჩემი ნამდვილი გვარი და ვინაობა...

ბარათზე წვრილი ფრანგული ასოებით დაბეჭდილი იყო: „ლ. სალმანი".

ლევონ სალმანის მამა თოროს-ჩელები[1] გამაჰმადიანებული სომეხი-კათოლიკე იყო. რამ შეაცვლევინა თოროსს სარწმუნოება. ამის გარკვევა ძალიან შორის წაგვიყვანს, ეიტყვი მხოლოდ, რომ მას ბრალად დასდეს ერთ თურქ ქალიშვილთან ასლო ურთიერთობა და სიკვდილის შიშით იძულებული გახდა მაჰმადიანობა მიეღო და ცოლად შეერთო მშვენიერი ფათიმა (ასე ერქვა იმ ქალიშვილს). ლევონის დაბადების შემდეგ ფათიმა გარდაიცვალა და ბავშვი მამის ანაბარად დარჩა.

---

[1] „ჩელებს" თურქები სომეხ და ბერძენ ვაჭრებს უწოდებენ (ავტორის შენიშვნა).

თოროსმა ვეღარ მოისვენა, იცოდა, რომ მისი შვილი საძულველი რელიგიის გავლენას ვერ აცდებოდა, ამიტომ სამშობლო ქალაქი ანგორა დატოვა და კონსტანტინოპოლში გადასახლდა, სადაც მას არავინ იცნობდა. შვილი „ფრერების“ ძმობას ჩააბარა, თვითონ კი სადღაც გადაიხვეწა.

პატარა ლევონი ჯერ კათოლიკების მონასტერში იზრდებოდა, სოლო 12 წლისა რომ გახდა, იტალიაში გაგზავნეს. პირველდაწყებითი განათლება ბერებთან მიიღო. რამდენიმე წელი ვენეციის წმინდა ლაზარეს მონასტერში დაჰყო, შემდეგ მხითარისტების[1] მონასტერში შევიდა. ასე გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეში. საფუძვლიანი განათლება კი არსად არ მიუღია.

ბოლოს ერთი ქალის სიყვარულმა მონასტრის დამყაყებულ ატმოსფეროს მოაცილა და პარიზის ცხოვრების ორომტრიალში შეაცურა. პარიზში გართობის მეტს არაფერს აკეთებდა, ფუჭ ცხოვრებას ეწეოდა. ერთი პარტიიდან მეორეში გადადიოდა, სხვადასხვა საზოგადოების წევრიც იყო, მაგრამ სინამდვილეში არაფერს აკეთებდა. საყვარლის ფულები რომ შემოელია, იძულებული გახდა მუშაობა დაეწყო: წერდა საგაზეთო წერილებს აღმოსავლეთის საკითხებზე და თავს იმით ირჩენდა. მაგრამ როგორც კი ამ საკითხმა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში პირველი ადგილი დაიკავა, მიატოვა პარიზიც, საყვარელიც და კონსტანტინოპოლში წავიდა.

## თავი ოცდამეორე

ბაგრევანდის მაზრაში სალმანის გამოჩენამდე ერთი თვით ადრე არზრუმელმა მექარავნე ჰაჯი მისაქმა ჯორები დატვირთა და არზრუმის გზას გაუდგა. ჰაჯის[2] იმიტომ უწოდებდნენ, რომ წმინდა იერუსალიმში ორჯერ იყო სალოცავად ნამყოფი და, თუ ღმერთი ინებებდა, დათქმული რიცხვის მისაღწევად, მესამედაც აპირებდა წასვლას. სა-

[1] მხითარისტები — რელიგიური სექტა, რომლის დამაარსებელი იყო მხითარ სებასტაცი. სექტას თავისი ფილიალები ჰქონდა ვენეციაში, ვენაში და სხვა ქალაქებში.

[2] ჰაჯი — მლოცველი.

ერთოდ მისაქი კეთილი ქრისტიანი იყო და მისი ღვთისმოსავობა ფანატიკოსობამდე მიდიოდა. გზად თვითეულ ქალაქში, თვითეულ სოფელსა და ყველა სასტუმრო-ბაკებში ჰაჯი მისაქს საკმაოდ კარგად იცნობდნენ, უკვე ოც წელზე მეტი იყო, რაც ის თავისი ჯორებით მცირე აზიასა და სომხეთს შორის გზებს ქსელავდა და მძიმე ტვირთი გადაჰქონდ-გადმოჰქონდა.

ჰაჯი მისაქი ჩაფსკვნილი, მკვრივი, პატარა ტანის მოუსვენარი კაცი იყო. მისი სახის ნაკვთებს ვერც კი გაარჩევდით, რადგან სახე სულ გაბანჯგლული ჰქონდა, თვალში გეცემოდათ მხოლოდ ვეება სომხური ცხვირი. მოელვარე თვალები ნათლად გამოხატავდნენ მის დიდ გულკეთილობას.

სადაც არ უნდა გაევლო ჰაჯი მისაქის ქარავანს, ყველგან სიხარულს იწვევდა. ვინ გიხდა, რომ ჰას არ უცდიდა. ვაჭრები შეკვეთილ საქონელს ელოდებოდნენ, ქალები—ზორს გადახვეწილი ქმრების წერილებს, მიყრუებულ ადგილებში მომუშავე დიდი და პატარა მოხელეები — სხვადასხვა სურსათ-სანოვაგესა და ტანსაცმელს. ჰაჯი მისაქის ქარავანს უცდიდა აგრეთვე ავადმყოფობით დასუსტებული. გზად დავარდნილი ბევრი ბედისმაძიებელი სომეხი, რათა ჰაჯი მისაქს სამადლოდ სამშობლოში წაეყვანა.

ჰაჯი მისაქი საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, რადგან ის მუდამ მზად იყო გაჭირვებულს დახმარებოდა. „ჰაჯი მისაქ, უკან რომ დაბრუნდები, რამდენიმე გირვანქა თუთუნი წამომიღე". — „ჰაჯი მისაქ, ყავა გაგვითავდა, მოგვიტანე". — „ჰაჯი, ეს ზეითუნის ზეთი ჩვენებს გადაეცი", — ამგვარ და სხვა დავალებებს ის ყოველთვის დაუზარებლად, უსასყიდლოდ ასრულებდა და თუ საჭირო იქნებოდა, თავის ფულსაც დაამატებდა ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ გზის მცველები სასტიკად არ ეპყრობოდნენ, მისი ქარავანი საბაჟოებს უვნებლად გადიოდა და იქაური მოხელეებიც მაინცადამაინც არ აწუხებდნენ.

აღმოსავლეთში მექარავნე, განსაკუთრებით კი სახელგანთქმული მექარავნე, დიდი ნდობით სარგებლობს. ისე მიაბარებენ ხოლმე ძვირფასი საქონლით სავსე ბარდანებს. ოქროსა და ვერცხლს, რომ ხელწერილსაც კი არ სთხოვენ, მექარავნესაც, რასაც კი გაატანენ, ყველაფერი დანიშნულ ადგილამდე ხელუხლებლად მიაქვს.

თვითეულ ქალაქში წინასწარ იცოდნენ ჰაჯი მისაქის ჩასვლის დრო. მისი ქარავანი არსად არ ფერხდებოდა, თუ რაიმე არ შეემთხვევოდა, დანიშნულ დროს ერთ საათსაც კი არ გადააცილებდა.

მაგრამ ამჯერად ჰაჯი მისაქის ქარავანი ძალიან ნელა მიდიოდა, რადგან შესახედავად პატარა ბარდანები საკმაოდ მძიმე იყო. ტვირთის დიდი ნაწილი რკინის სალტეებშემოვლებული ოთხკუთხა მოგრძო ყუთებისაგან შედგებოდა. ყუთებს ინგლისურად ეწერა: „სპარსეთი", „თეირანი".

ქარავანი მეტწილად ღამით მიდიოდა. ჰაჯი მისაქი ამბობდა: დღისით, საშინელ სიცხეში, ჯორებს ვერ დავტანჯავო.

ქარავანს თან ახლდა ერთი კაცი, რომელიც თავს მელიქ-მანსურს უწოდებდა. იგი ვაჭარი და, როგორც თვითონ ამბობდა, სპარსელი სომეხი იყო.

უკანასკნელი ოცი-ოცდაათი წლის მანძილზე სპარსეთის მთავრობამ ბევრი რამ გააკეთა, რომ არმია ევროპულ ყაიდაზე შეეიარაღებინა. ამან სომეხ ვაჭრებს ახალი ასპარეზი გადაუშალა და მათ მთავრობისათვის საჭირო იარაღის გადაზიდვა დაიწყეს.

მელიქ-მანსურიც სწორედ ასეთი ვაჭარი გახლდათ და ჯორებზე აკიდებული მძიმე ყუთებიც მისი იყო. საბაჟოებში ამ ყუთებს განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდნენ, სპარსეთში ტრანზიტით გასატან საქონელს თავისუფლად უშვებდნენ. ტრაპიზონიდან არზრუმისა და ბაიაზეთის გავლით საქონელს დიდი ხანია ამგვარად ეზიდებოდნენ.

მელიქ-მანსური დაახლოებით ოცდათექვსმეტი წლის სანდომიანი სახის კაცი იყო. მელიქ-მანსურის მხიარული ხასიათი, საამო სიცილი და კვიმატი ენა რაღაც თავისებურ სიხალისეს ანიჭებდნენ მის და ჰაჯი მისაქის საუბარს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის იმ სათავგადასავლო ამბებს უყვებოდა, უცხო ქვეყნებში მოგზაურობის დროს რომ შემთხვეოდა.

ქარავანთან მოსაწყენი მგზავრობის დროს ასეთი ამბების თხრობა პირდაპირ მისწრებაა. ყველაზე საინტერესო ამ მოხეტიალე სომეხი ვაჭრის ნაამბობიდან ის იყო, თუ როგორ დაკარგა მარცხენა ხელის სამი თითი ინდოეთში ველურებთან შეტაკების დროს.

მელიქ-მანსური ბევრ აღმოსავლურ და ევროპულ ენაზე ლაპა-

რაკობდა. ცხოვრებაში რა ჯურის ხალხს არ გადაჰყრია, ამიტომ ვერავითარი ეშმაკობა-გაიძვერობა ვერ შეაცდენდა და ისიც კარგად იცოდა, სად როგორ მოქცეულიყო, თუმცა გარეგნულად ეს სულაც არ ემჩნეოდა. მექარავანე ვალდებული იყო პატივისცემით მოპყრობოდა ტვირთის პატრონს, მაგრამ ჰაჯი მისაქი გაბსაკუთრებული მორიდებით ექცეოდა მელიქ-მანსურს, იგი ამ კაცში ნამდვილად პატივსაცემ თვისებებს ხედავდა.

რომელ ქარვასლაში ან სასტუმროშიც არ უნდა შეჩერებულიყო მელიქ-მანსური, მათი პატრონები ძალიან ემადლიერებოდნენ. რადგან ხელგაშლილად იქცეოდა და ოქროს ბზესავით აბნევდა.

— თქვენ ხალხს რაკვნით, — ეტყოდა ხოლმე ჰაჯი მისაქი, — მეორეჯერ მაგ ავაზაკებს ერთ ჭიქა წყალსაც ვერ გამოვტყუებთ.

— არა უშავს რა, — სიცილით უპასუხებდა ის, — ოქროს ბზინვა ადამიანს აბრმავებს...

ქარავანმა არზრუმი უვნებლად გაიარა და ერთი კვირის შემდეგ ბაიაზეთის შაზრაში შევიდა. აქ მელიქ-მანსურის საქონელს რაღაც ცვლილებები დაეტყო: ღამღამობით ყუთები სადღაც ქრებოდა და მათ ნაცვლად სხვა სახის ბარდანები ჩნდებოდა. ასეთი ცვლილებები სწორედ მაშინ ხდებოდა, როცა ქარავანი სომხებით დასახლებულ რომელიმე სოფელში შედიოდა. ზოგჯერ მელიქ-მანსურთან უცნობი პირები მიდიოდნენ, რომელიღაც გაუგებარ ენაზე გამოესაუბრებოდნენ და ისევ გაუჩინარდებოდნენ ხოლმე.

ბოლოს ქარავანი სპარსეთის საზღვარს გასცდა, მაგრამ ამასობაში იმ ყუთებიდან, ინგლისურად „სპარსეთი" და „თეირანი" რომ ეწერა, აღარცერთი აღარ დარჩა და თვითონ ცრუ ვაჭარი — მელიქ-მანსურიც სადღაც გაუჩინარდა.

## თავი ოცდამესამე

უკანასკნელ ხანს ხაჩოს ოჯახში ცხოვრების ჩვეულებრივი წესი ერთგვარად შეიცვალა. სალმანი, რომელსაც აქ ჯერ ისევ დუდუკჩიანს უწოდებდნენ, უეცრად გაქრებოდა ხოლმე. დროდადრო ის და ვარდანი სოფელ ო...დან რამდენიმე დღით სადღაც მიდიოდნენ. ჰაირა-

პეტი და აპო ძალიან შეწუხებულები იყვნენ და ფიქრს თავს ვეღარ ართმევდნენ, დანარჩენი ძმები კი შინ ორი უცაბ სტუმრის ყოფნას ვეღარ იტანდნენ და მათი „სისულელეებით“ აღშფოთებულები იყვნენ.

მამასახლისი ხაჩო სოფლის საქმეებით იყო გართული. სოფელში მდგომარეობა დღითიდღე რთულდებოდა და მოხუცს ბევრი თავსატეხი ჰქონდა მისი ოდა დაცარიელდა და იქ უწინდელი გაცხოველებული სჯა-ბაასი აღარ ისმოდა.

ხაჩოს ოჯახში მხოლოდ ქალების ცხოვრება მიმდინარეობდა ძველებურად და მის საუკუნოებრივ ერთფეროვნებას არაფერი არღვევდა.

სომხურ ოჯახში ქალები სრულიად მოწყვეტილი არიან მამაკაცთა წრეს. მონაწილეობას არ იღებენ მათს საუბრებში, არ აინტერესებთ რას ფიქრობენ, რა აღელვებთ კაცებს. ქალს დიასახლისობისა და ოჯახის შინაური საქმეების გარდა, არაფერი იტაცებს. ამიტომაც ქალებმა არაფერი იცოდნენ იმ საუბრების შესახებ, მოხუცს ოდაში რომ იმართებოდა. მოხუცის ოდა — ეს თავისებური სასოფლო კლუბი — ქალებისათვის კარჩაკეტილი იყო.

— საჭიროა ოთხ კედელშუა მომწყვდეული ქალებიც ჩავაბათ საქმეში, — ხშირად იტყოდა ხოლმე სალმანი, — მაშინ, ცხადია, გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება.

— ჯერ ადრეა, — უპასუხებდა ხოლმე ვარდანი, — ჯერ მათი მომზადებაა საჭირო.

— შეუძლებელია ხალხის ყოფა-ცხოვრებაში რაიმე ცვლილების შეტანა ქალთა მონაწილეობის გარეშე. — არწმუნებდა მას სალმანი, — ჩვენი ერის ასეთი დახავსებულობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ქალი არავითარ მონაწილეობას არ იღებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს მძლავრი ძალა ოთხკედელშუა იფიტება და უქმად იკარგება. თუ ჩვენი ერის განათლებას მოვკიდებთ ხელს, ქალებიდან უნდა დავიწყოთ. ამჯერად მთელი სომხეთი მოვიარე და ყველგან ყურადღებით ვაკვირდებოდი, ვსწავლობდი სომეხ ქალებს. ამ დაკვირვების შედეგები სანუგეშოა: რამდენადაც მამაკაცი თურქების გავლენას ვერ ასცდენია, გაუპიროვნებულა და ეროვნული თვისებები დაუკარგავს, იმდენად ქალს, უმწეოელო ზნეობასთან ერთად, ჩვენი ერის თავისე-

ბურება შეუნარჩუნებია. ზოგი ჭირი მარგებელიაო: ოთხ კედელშუა გამოკეტილი ქალი საუკუნეების მანძილზე იტანჯებოდა და ჩლუნგდებოდა, მაგრამ ეროვნული თვისებები არ დაუკარგავს, სომხობა შეუნარჩუნებია. ეს კი დიდი საქმეა. რამდენადაც მამაკაცი მაჰმადიანთა ზეგავლენით ეროვნულ თვისებებს კარგავს, ამ გავლენას აცდენილი ქალი თავის ეროვნულ თვითმყოფადობას ინარჩუნებს. ამრიგად, ეროვნული განძი უნებლიეთ ინახებოდა: რასაც მამაკაცი კარგავდა, ქალი იბრუნებდა. ეს უბრალო წვრილმანიდანაც კი ჩანს. ქალის ზიზღი მაჰმადიანობისადმი ფანატიკოსობამდე მიდის; ყველაფერი, რაც კი მაჰმადიანის ხელიდან გამოდის, ქალს უწმინდურად მიაჩნია, არც მის დაკლულ ხორცს ეკარება, არც მის გამომცხვარ პურს, არც მის დამზადებულ ყველს. მამაკაცები კი ამას არ დაგიდევენ. ასობით არის იმის მაგალითი, რომ მაჰმადიანის მიერ მოტაცებული ქალიშვილი და ქალი ან გაქცეულა, ან, თუ გაქცევა ვერ მოუხერხებია, თავი მოუკლავს.

მაგრამ არის ერთი უფრო საყურადღებო გარემოება. ბევრგან, განსაკუთრებით ქალაქებში, სომეხი მამაკაცები თურქულად ლაპარაკობენ, მაგრამ არ მინახავს არც ერთი სომეხი ქალი, რომელმაც იცის ან ლაპარაკობს ამ ენაზე. სომხურ ოჯახში მშობლიური ენის დამცველი ქალია. იგი ამ ენას შვილებს ასწავლის. ამას არც მაშინ ივიწყებს, როცა საქმე უცხოებთან აქვს, სომხების მოსამსახურე ქურთები — ქალი იქნება თუ მამაკაცი — ყველა სომხურად ლაპარაკობს.

ქალმა შეგვინარჩუნა ენა, ეროვნება და ოჯახის ზნეობრივი საფუძველი. იგი ის მდიდარი მასალაა, რისგანაც საოცრებათა შექმნა შეიძლება...

უკანასკნელ დღეებში სალმანი ხშირად ესაუბრებოდა ვარდანს ამ თემაზე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სომეხ ქალებს აქებდა, ხაჩოს რძლებს თვითონ ის მაინცდამაინც არ მოსწონდათ. ცხადია, მათ არ ჰქონდათ მისი შინაგანი, ზნეობრივი და გონებრივი ღირსებების შეფასების უნარი, თუმცა სალმანს ისეთი არაჩვეულებრივი გარეგნობა ჰქონდა, რომ შეეძლო ყოველი ქალის ყურადღება მიეპყრო. მაგრამ გემოვნება სხვადასხვანაირია და ქალებიც სხვადასხვაგვარად აფასებენ მამაკაცის ღირსებას. მეტწილად ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ წოდებას ეკუთვნის ქალი. ამიტომ არ უნდა გაგ-

ვიკვირდეს, რომ მოხუცის რძლები ვარდანს უფრო მეტად აფასებდნენ, ვიდრე სალმანს.

ერთხელ, საღამო ხანს, ხაჩოს სახლის ერთ-ერთ ოთახში თავი მოეყარათ მის რძლებს და ხელსაქმით ირთობდნენ თავს. ერთი მატყლს ჩეჩავდა, მეორე დაჩეჩილ მატყლს რთავდა, მესამე დაზგაზე ქსოვდა მშვენიერ ფერად ხალიჩას, მეოთხე ბავშვის ტანსაცმელს კერავდა. ერთი სიტყვით, ყველა საქმით იყო გართული.

სიტყვა სალმანზე ჩამოვარდა.

— სარა, რას აკეთებს ეს კაცი ჩვენ სოფელში? — ჰკითხა უფროს რძალს ახალგაზრდა ფარიშანმა.

— ამბობენ, სკოლა უნდა გახსნასო, — უპასუხა სარამ.

— მერე ეგ დიაკვანი ხომ არ არის? — გაიკვირა ფარიშანმა. რომელიც თვლიდა, რომ მასწავლებლობა მხოლოდ ღვთის მსახურებს შეეძლოთ.

— დიაკვანია, მაშ! სტამბოლელი დიაკვანია, — მიუგო სარამ.

— თუ დიაკვანია, ეკლესიაში რატომ არ დადის და შარაკანს[1] არ ამბობს.

სარამ სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, დაუფიქრებლად უპასუხა:

— ეგ სულ სხვანაირი დიაკვანია.

ხაუბარში აპოს მეუღლე, ლამაზი მარო ჩაერია:

— ქმარმა მითხრა, წერა-კითხვა გოგოებსაც უნდა ასწავლოსო

მაროს სიტყვებზე ყველას გაეცინა.

— ქალს სწავლა რად უნდა? მღვდლად ან ბერად ხომ არ უნდა ეკურთხოს, — უპასუხეს მაროს.

ერთი რძალი პატარა ნაზლუს მიუბრუნდა:

— გესმის, ნაზლუ, მალე სკოლაში ივლი და ანბანს ისწავლი.

ნაზლუ ჰაირაპეტის შვილი იყო, გოგონამ ძალოს თამამად უპასუხა:

— მერე რა, ვისწავლი. შემდეგ წირვაზე წავალ, სტიქარს ჩავიცვამ და ბიჭივით ვიგალობებ.

— მეხი კი დაგაყარეთ მაგ თავზე! ეგლა გაკლია! — მიაძახეს საბრალო გოგონას.

---

[1] საეკლესიო საგალობელი.

ფარიშანმა ახლა სხვა კითხვა მისცა სარას:

— ჩვენ შვილებს ხომ სიმონა დიაკვანი ასწავლის, სხვა მასწავლებელი რაღად გვინდა? მაგას სიმონზე მეტი ხომ არ ეცოდინება?

— რასაკვირველია, არა, — მიუგო სარამ, — სიმონი ძალიან ნასწავლია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს, საშინლად თვრება და ბავშვებსაც სცემს. ხომ გახსოვს, გასპარას ბიჭს როგორ სცემა? საბრალო ბავშვი დაბალ-ბალ-ბალ-

ღდებოდა; ბავშვებს დაითხოვდა ხოლმე. რადგან ზაფხულსა და შემოღგომაზე ბავშვები წიგნს თვალითაც ვეღარ ხედავდნენ, ცხადია, ყველაფერი ავიწყდებოდათ.

ამ სოფლის მღვდლის ტერ-მარუქის სიძე სიმონა დიაკვანი, ერთი გამოუსწორებელი ლოთი და მოჩხუბარი იყო. რაკი ახალი სკოლების გახსნა მას ზიანს მიაყენებდა, სიმონა დიაკვანმა სალმანის წინააღმდეგ აამხედრა მღვდელი და ტერ-მარუქის ერთი სიტყვაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ გლეხების ფანატიკოსობა გაღვივებულიყო და საქმე ჩაშლილიყო. თავის ქადაგებაში მღვდელმა სალმანს „ფარმასონი" უწოდა, მას ღმერთი არ სწამს და ბავშვებსაც სწორ გზას ააცდენსო. მღვდელი თავგამოდებით ამტკიცებდა, ქალების სწავლება დიდი ცოდვაა, ტყუილა როდი დაწყევლა სოლომონ ბრძენმა ყველა ქალი იმისათვის, რომ იოანე ნათლისმცემელს ქალის მიზეზით მოკვეთეს თავიო. შემდეგ საღვთო წერილიდან მოიყვანა მაგალითები: სამსონ წინასწარმეტყველის სიკვდილის მიზეზიც ქალი იყო, ადამიც ევამ შეაცდინა და სამოთხიდან იმიტომ განდევნესო. ერთი სიტყვით, ქადაგება მრავალი ასეთი მაგალითით შეამკო და ბოლოს განაცხადა, ქალების სწავლება მეტად საშიშია, რადგან განათლებას რომ მიიღებენ, ეშმაკებად ვადაქცევიანო.

სოფლის ქალები სიმონა დიაკვანს დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ. სიმონა უწერდა მათ სხვადასხვა ავგაროზს, თილისმის ქაღალდებს, მკითხაობდა. ამიტომ იყო, რომ ქალებმა თავიანთი ქმრები უფრო ააღელვეს, შეუჩნდნენ, დიაკვანს დაეხმარეთ, ლუკმა არ დაეკარგოსო.

ხალხის ამხედრებაში მღვდელსა და დიაკვანს დიდი დახმარება გაუწია თომას-ეფენდიმაც, რომელსაც სკოლა და საერთოდ სწავლა-განათლება ჭირივით სძულდა. გარდა ამისა, დიაკვანი მისი უფასო მწერალი იყო, ანგარიშებს უწერდა, მოსავლის აღების დროს სოფელ-სოფელ ჩაფრებთან ერთად თან დასდევდა და გლეხებისაგან მოსავლის ერთი მეათედის აკრეფაში ეხმარებოდა.

ამ ამბებმა ძალიან იმოქმედა გულკეთილ ხაჩოზე. სცადა სალმანისათვის განზრახვაზე ხელი აეღებინებინა, მაგრამ მის მტკიცე

ხასიათზე და რწმენაზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა. სალამოს შინ რომ დაბრუნდა, სალმანმა ვარდანს უთხრა:

— ამ საძაგლებს კაცი მისიონერივით უნდა მოექცე. ყოველ ქვეყანაში მისიონერების მოწინააღმდეგეები ყოველთვის განათლებული ადამიანები ან სასულიერო პირები იყვნენ, მაგრამ დროთა ვითარებაში სწორედ ისინი ხდებოდნენ მათი მიმდევრები. მისიონერი თვალის ასახვევად მათ სხვადასხვა საქმეს ავალებდა, უფრო სწორად ჯამაგირს აძლევდა, საქმის გაკეთებას კი არ სთხოვდა. ამგვარად, ახალი სარწმუნოებისა თუ აზრის მოწინააღმდეგენი მისი თავდადებული თაყვანისმცემლები ხდებოდნენ.

— მართალი ხარ, — მიუგო ვარდანმა, — მაგრამ შენ რას აპირებ?

— უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გონივრულად მოვიქცე, — თავდაჯერებულად უპასუხა სალმანმა. — უნდა მივაგნო საიდუმლოებას, რითაც ხალხს იმხრობენ. საინტერესოა ვიცოდეთ, ეგ სულელი დიაკვანი რამდენს იღებს მოწაფეებისაგან. მე ორჯერ მეტს შევთავაზებ და სკოლაში რაიმე თანამდებობას გამოვუძებნი. დამერწმუნე, ისე მოეწონება ჩემი წინადადება, რომ მეორე დღეს დილაადრიანვე ბარსა და ნიჩაბს მოიტანს და ჩემს მუშებთან ერთად სკოლების შენობის აგებას დაიწყებს.

— მეც მაგ აზრისა ვარ, — უპასუხა ვარდანმა, — მაგრამ საჭიროა მღვდელიც მოვთაფლოთ.

— ეგეც ადვილია...

ამ დღის უსიამოვნო შემთხვევის მიუხედავად, სალმანი მაინც არაჩვეულებრივ მხიარულ გუნებაზე იყო. დაბრკოლებებმა, საქმის დასაწყისშივე რომ წააწყდა, კი არ შეაკრთო, პირიქით ახალი ენერგია შემატა, ხოლო მომავლის ბრწყინვალე იმედებმა გული უზომო სიხარულით აღუვსო.

— რომ იცოდე, ვარდან, რა ბედნიერსა და წარმტაც მომავალს გვიქადის სკოლა. ის შეგვისრულებს ნატვრას, ჩვენს საუკუნო წყლულებსაც ის მოგვიშუშებს და აღგვიზრდის ახალ, ჯანსაღ თაობას, რომელიც ჩვენზე ბედნიერად იცხოვრებს. ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეთა მანძილზე თავიანთი უმოქმედობით ჭეშმარიტად დიდი სამოქმედო ასპარეზი დაგვიტოვეს. თავის დროზე არ იზრუნეს

ჩვენს მომავალზე, მაგრამ არა უშავს, მომავალი მაინც ჩვენ გვეკუთვნის. ამისათვის მოთმინებით და თავდადებით უნდა ვიშრომოთ. მე რომ მკითხო, მარტო ის როდი კმარა, რომ ბავშვს გონება გაუნათლო და სული გაუკეთილშობილო, საჭიროა ვ ზრუნოთ მისი ფიზიკური განვითარებისთვისაც. ნუთუ არ შეგიმჩნეკია, ვარდან, როგორი მოუქნელი და ზანტები არიან სოფლის ბავშვები? ახალგაზრდობა მკვირცხლი, ძლიერი და მამაცი უნდა იყოს. სწორედ ამ მიზანს დაისახავს ტანვარჯიში ჩვენს სკოლებში — ჯანსაღი თაობა უნდა აღვზარდოთ.

— მართლა, ერთი სასიხარულო ამბავი უნდა გითხრა, ვარდან, — განაგრძო დუდუკჩიანმა. — დღეს შემთხვევით რამდენიმე ქურთს გამოველაპარაკე სკოლის თაობაზე. წარმოიდგინე ჩემი განცვიფრება, მითხრეს სიამოვნებით მივაბარებთ ბავშვებს სომხურ სკოლებშიო. მათი ნათქვამიდან ჩანს, თვითონაც არ მოსწონთ, რომ შვილები ავაზაკებად ეზრდებათ. მართლაც, რა დააშავა ამ ხალხმა, რომ ველურად დარჩა და ძარცვა-გლეჯით ირჩენს თავს. დამნაშავენი პირველ რიგში ჩვენა ვართ, ჩვენ არ გვიზრუნია დღემდე მათი აღზრდა-განათლებისათვის. ისინი მშვიდობიან ცხოვრებას უნდა შევაჩვიოთ და ცივილიზაციას ვაზიაროთ. თურქეთი ამისათვის არ ზრუნავს, მისთვის უფრო ხელსაყრელია, რომ ქურთები ველურებად დარჩნენ. ეს კი, პირველ რიგში, ჩვენთვისაა საზარალო. ამიტომ ჩვენვე უნდა ვიფიქროთ ამაზე. დაე, თავიანთი სარწმუნოება იწამონ, ჩვენ კი ამასობაში განათლება მივცეთ და როცა ამას მივაღწევთ, მაშინ „წყალი თავის კალაპოტში ჩადგება“.

## თავი ოცდამეოთხე

ყველაფერზე ეტყობოდა, რომ თურქეთის მთავრობა საომრად ემზადებოდა. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ეს რუსეთის მოსაზღვრე ბაგრევანდის მაზრაში. გლეხებისაგან გადასახადებს დიდი სისასტიკით ჰკრეფდნენ, მიმდინარე წლისას აღარ ჯერდებოდნენ, ძველ ჯარიმებსა და შომავალი წლის გადასახადსაც ახდევინებდნენ. ხალხის ოხვრა-გმინვასა და უკმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა.

ვისაც ფული არ გააჩნდა, ქონებასა და პირუტყვს ართმევდნენ. კამეჩებსა და ხარებსაც კი მიერეკებოდნენ, გლეხებს მიწის დამუშავების შესაძლებლობას უპირობდნენ. ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ, ხალხს ფეტვის, ერბოს, ყველისა და სხვა სურსათ-სანოვაგის უკანსკნელ მარაგს ართმევდნენ და ჯარისათვის ორცხობილის დამზადებას ავალებდნენ. გლეხების გოდებისა და ხვეწნა-მუდარის პასუხად გაიძახოდნენ: „სახელმწიფო ომობსო“.

ხელისუფალთა აღვირახსნილმა თვითნებობამ მოღვაწეობის ახალი ფართო ასპარეზი გადაუშალა თომას-ეფენდის. იგი მულთეზიმის მოვალეობას ასრულებდა, გადასახადებს კრეფდა და ჯარს სურსათს უმზადებდა. მისი მჭრელი ცელი დაუღალავად თიბავდა და უხვ მოსავალს იმკიდა. მთავრობისაგან მოქმედების თავისუფლება მიეღო და ნება ეძლეოდა ორი პოლიციელის ნაცვლად, რამდენიც სურდა, იმდენი ჰყოლოდა.

ომის უბედურება უმთავრესად სომეხ გლეხებს დაატყდათ თავს. მუსულმანები ომისათვის ემზადებოდნენ და მათ სხვას აღარაფერს თხოვდნენ. სომეხი გლეხები მთლად გაძარცვეს, მრავალი წლის მანძილზე მძიმე შრომით შეძენილი ქონება წაართვეს, მაგრამ უფრო შემზარავი უბედურება მომავალში მოელოდათ: დღითი დღე ძლიერდებოდა მაჰმადიანთა ზიზღი გიაურ-ქრისტიანების მიმართ. ყველას პირზე ეკერა თავზარდამცემი სიტყვა „ჯიჰადი[1]. მოლები, მუფთიები, ყადები და შეიხები უფრო აღვივებდნენ ისედაც გაზაბნეული ბრბოს ფანატიზმს, სწამლავდნენ იმის ქადაგებით, რომ მუსულმანები სარწმუნოებრივ ომს ეწევიან, სტამბოლში მალე „სანჯაკ შერიფს[2] აღმართავენ და მთელი საისლამო ქრისტიანთა წინააღმდეგ აღსდგებაო.

ამ ამბებმა სალმანი საგონებელში ჩააგდო, კარგად ესმოდა მოახლეარი ამბების მნიშვნელობა და ისიც იცოდა, ყოველივე ეს რა საშინელ შედეგს მოუტანდა სომხებს.

— აქაც ისეთივე ხოცვა-ჟლეტა გაიმართება, როგორიც ბულ-

---

1 ჯიჰადი — სარწმუნოებრივი ომი.

2 დროშა, რომელსაც მაჰმადიანები სარწმუნოებრივი ომის დროს აღმართავენ ხოლმე.

გარეთში იყო, — უთხრა მან ერთ დილას ვარდანს. — უნდა დავაჩქაროთ და ხალხი თავის დასაცავად მოვამზადოთ.

— მეც ვგრძნობ რომ, ხოცვა-ყლეტის ხუნი ტრიალებს, — უპასუხა ვარდანმა.

სალმანი და ვარდანი ოდიდან გავიდნენ და ტერ-მარექის სახლისაკენ გასწიეს. რამდენიმე დღის წინათ გადაწყვიტეს სკოლის საკითხი მოეგვარებინათ, ანუ როგორც ვარდანმა ხუმრობით თქვა, მღვდელი „ბოეთაფლათ“, რომ გაჩუმებულიყო. ხოლო მისი სიძე სიმონა დიკვანი მუშების ზედამხედველად დაეყენებინათ და ახალ სკოლაში რაიმე თანამდებობაზე დანიშვნის პირობა მიეცათ.

გზად ერთ უცნობ ჩარჩს შეხვდნენ, იგი მუშტარს უხმობდა:

— ლამაზო ქალებო, წითურა რძლებო! გამოიტანეთ ფული, იყიდეთ ნემსები. ჭრელ-ჭრელი ძაფები, ოქროს სათითეები...

ჩარჩი თავით ფეხამდე ძონძებში გახვეული ერთი ტანმაღალი, პრეე ვაქკაცი იყო. ზურგით დიდი ყუთი მოეკიდნა და ეს ვეება კაცი საცერაკიდებულ აქლემსა ჰგავდა. მარცხენა ფეხით სამინლად კოჭლობდა, როცა მარცხნივ გადაიხრებოდა, გეგონებოდათ, წაიქცევაო, მაგრამ ხელში უშველებელი კეტი ეჭირა და წონასწორობას იცავდა.

ჩარჩის ხმა რომ გაიგონა, სალმანს ტანში სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარა.

რა საერთო უნდა ჰქონოდათ სალმანსა და ამ ჩარჩს?

როცა სალმანმა ჩარჩს გვერდით ჩაუარა, მათ ერთმანეთს თვალი შეავლეს და თუმცა ხმა არ ამოუღიათ, ერთი შებედვითაც ბევრი რამ აუწყეს ერთმანეთს. ვარდანმა ვერაფერი შეამჩნია.

— ამასაც დრო უნახავს თავისი ნემსებისა და ძაფის გასაყიდად, — დაცინვით თქვა ვარდანმა, როცა ჩარჩს გაცილდნენ. — საბრალო გლეხებს გრეშიც აღარ შერჩენიათ, ნეტავი რიღათი უნდა იყიდონ.

— მის ყუთს, ჩემო მეგობარო, ოინბაზის ყუთივით ორმაგი ფსკერი აქვს. — უპასუხა სალმანმა. — ეეედა ვანყოფილებაში ისეთი საქონელი უწყვია, რომელსაც ახლა დიდი გასავალი აქვს.

ამ მრავალიმეტყველ შენიშვნას ვარდანმა ყურადღება არ მიაქცია. მისი გონება სულ სხვა აზრს შეეპყრო, ლალაზე ფიქრობდა. მოსვენებას არ აძლევდა მოსალოდნელი სახიფათო ამბები და არ იცოდა. რა გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. სად წაეყვანა ლალა.

— კარგი ნემსები, ჭრელ-ჭრელი ძაფები, ლამაზი მძივები, — შორიდან კვლავ მოისმა კოპლი ჩარჩის გაბმული ბოხი ხმა.

ამ დროს სალმანმა და ვარდანმა თომას-ეფენდი დაინახეს, შეკაზმულ ცხენთან იდგა და თავმოყრილ გლეხებს რაღაც განკარგულებებს აძლევდა. სალმანი და ვარდანი რომ დაინახა, გლეხები მიატოვა. ჩვეული ფარისევლური ღიმილით ჭაბუკებს მიაშურა და სალმანს შორიდანვე დაუძახა:

— დიდი ხანია გულით მინდოდა თქვენი ნახვა, ბატონო დუდუკჩიან (სალმანის ნამდვილი გვარი ჯერ არ იცოდა). ოჰ, ჩემო საყვარელო, რა ბედნიერი ვარ, რომ თქვენ ხილვას ველირსე. იქნებ არც კი იცით, რომ მეც კონსტანტინოპოლელი ვარ.

სალმანი გაოცდა. ამ კაცს არ იცნობდა და მისმა პირფერობამ ზიზღი მოგვარა. ხმა არ ამოუღია, მაგრამ ეფენდიმ ხელი მოჰკიდა და განაგრძო:

— იმედი მაქვს, როგორც კონსტანტინოპოლელს ნებას მომცემთ გადაგკოცნოთ და სამშობლოს ნახვის წყურვილი თქვენი ხილვით მოვიკლა.

ვარდანი შორიახლოს იდგა და მდუმარედ უყურებდა ამ კომედიას. სალმანმა არ იცოდა, როგორ დაეღწია თავი ამ უხერხული მდგომარეობისაგან. ეფენდი ახლა ვარდანს მიუბრუნდა:

— აბა, ერთი ახლოს მოდი, ჩემო შლეგო მეგობარო! შენ ხომ იცი, ბავშვის გული მაქვს, ერთ წუთს რომ გავბრაზდები, მეორე წუთში ყველაფერი მავიწყდება. „ქურთი არასდროს არ იტყვის, ჩემი ხარჩო მეავეაო“. ავი ხარ თუ კარგი, მაინც ჩემი მეგობარი ხარ, დავივიწყოთ ყველაფერი, მოდი, ხელი გამომიწოდე.

ვარდანმა თავი ძლივს შეიკავა, მაგრამ რაკი იცოდა ეფენდი ჭრელ-ჭრელ სიტყვებს უმიზეზოდ არ დახარჯავდა, მივიდა და ხელი ჩამოართვა. ეფენდი კვლავ სალმანს მიუბრუნდა.

— თქვენით ძალიან უკმაყოფილო ვარ, ბატონო დუდუკჩიან, — უთხრა მან უფრო სერიოზულად, — ხომ გაგიგონიათ თურქული ანდაზა: „ჯერ მამასახლისი ნახე, მერე სოფელი გაძარცვეო“. ამქვეყნად თომას-ეფენდიც კაცად იხსენიება. თავიდანვე რომ ჩემთან მოგელაპარაკნათ, თქვენს საქმეს ისე მოვაგვარებდი, რომ არავითარი უსიამოვნება არ შეგხვდებოდათ. ეჰ, ახალგაზრდებო.

ახალგაზრდებო, ოქროს გული გაქვთ, მაგრამ ის კი არ იცით, საქმეს როგორ მოჰკიდოთ ხელი. რაო, განა მართალი არა ვარ?

— მართალი გითხრათ, ვერ გამიგია რაზე მელაპარაკებით,— უპასუხა სალმანმა.

თითქოს სალმანის სიტყვები არ გაუგონიათ, ეფენდი მიბრუნდა, თავმოყრილი გლეხებისაკენ ხელი გაიშვირა და გასძახა:

— ეი, თქვე ვირებო, თქვენა! ჭკუაზე როდის მობრახუნდებით? — შემდეგ ისევ სალმანს მიუბრუნდა და განაგრძო:—გაგონილა, რომ ადამიანმა თავისი ხელით თვალი დაითხაროს? ჩვენი გლეხები კი ასე იქცევიან. დღეს შევიტყვე ეს ამბავი და, მართალი გითხრათ, თმები ყალყზე დამიდგა. ჩვენ ვცდილობთ სკოლა გავუხსნათ, სწავლა-განათლება მივცეთ, თვალები ავუხილოთ, რომ ქვეყნის ავი და კარგი გაიგონ, მაგათ კი არაფერი ესმით, სულ თავისას გაიძახიან: გამიშვით, ცხვარი მთაში მიდისო.

— ჩვენ ვცდილობთ! — თავისთვის გაიმეორა სალმანმა.— საინტერესოა, ვის გულისხმობს, როცა ასე მრავალმნიშვნელოვნად ამბობს, ჩვენ ვცდილობთო.

თომას-ეფენდიმ განაგრძო;

— სულითა და გულით გავიხარე, ბატონო დუდუკჩიან, როცა თქვენი განზრახვა შევიტყვე. და ამიტომაც გაგაჩერეთ, მინდოდა უღრმესი მადლობა მომეხსენებინა. ჩვენი ხალხი წყვდიადშია, მას განათლება სჭირდება, მას მხოლოდ სკოლა იხსნის. დაბრკოლებამ, რაც რამდენიმე დღის წინათ შეგხვდათ, გული არ უნდა გაგიტეხოთ. ყოველ კეთილ საქმეს პირველად მუდამ დაბრკოლება ეღობება, როგორც თქვენი თანამემამულე, მე თანაგრძნობასა და დახმარებას არ მოგაკლებთ და თქვენც ჩემს მცირე დახმარებას ნუ იუკადრისებთ. დღეს დრო არა მაქვს, მეზობელ სოფელში მივდივარ, ხვალ კი, დავბრუნდები თუ არა. გლეხებს დავუძახებ, თავზე დავადგები და საძირკველს ხელახლა გავათხრევინებ. აქ ისეთი არავინ არის, რომ თომას-ეფენდის არ გაუგონოს და წინააღმდეგობა გაუწიოს.

— მადლობა მომიხსენებია, ეფენდი, — უპასუხა სალმანმა. — მაგრამ თქვენ იმდენი საქმეები გაქვთ, რომ არ მინდა ძვირფასი დრო დაგაკარგვინოთ.

— ეგ არაფერია, — უთხრა გადასახადების ამკრეფმა და სიამოვნებით დაუბატა: — კეთილი საქმისათვის დროს მუდამ ვიშოვი.

ორივე ახალგაზრდას ხელი ჩაჰო

ხნევინებდნენ ყუთს, შემოეხვეოდნენ სოფლის დედაკაცები და ატყდებოდა გაუთავებელი ყაყანი.

კოჭლი ჩარჩი საღამოამდე ვაჭრობდა. უკვე კარგა შებინდებული იყო, როცა სოფლიდან გავიდა. მეზობელი სოფლისაკენ მიმავალ გზას გვერდი აუქცია და ღრმა ხევისაკენ გასწია. ხევი გაზაფხულის ნიაღვრებს ძაღლზე დაეხრამა, მაგრამ ახლა უკვე დამშრალიყო. მეწვრილმანე მძიმედ მიაბიჯებდა, ეტყობოდა ზურგზე წამოკიდებული ყუთი მსუბუქი არ იყო, მაგრამ უკვე აღარ კოჭლობდა. ხევში რომ ჩავიდა, ჩარჩმა ყუთი მიწაზე დადო, მარცხენა ხელის ორი თითი პირში ჩაიდო (დანარჩენი თითები მოჭრილი ჰქონდა) და დაუსტვინა. რამდენიმე ხნის შემდეგ ხრამში ვარდანი და სალმანიც გაჩნდნენ. სალმანი და ჩარჩი ერთმანეთს ვულმაურვალედ გადაეხვივნენ.

— ახლა კი დავსხდეთ, — თქვა სალმანმა. — აბა, მიამბე. კარგად ივაჭრე?

— ძალიან კარგად, — მხიარულად მიუგო ჩარჩმა. — მთელი ვასპურაკანი ჩემი საქონლით ავავსე.

— ცხადია, მუქთად, არა?

— რაღა თქმა უნდა. ამ საქონელში მე ფულს არავის ვართმევ.

ვარდანი გაოცებული უსმენდა მეგობრების საუბარს და ვერაფერი გაეგო.

— ახლა ხომ გკერა, რომ ჩემი მეგობრის ყუთს ოინბაზის ყუთივით ორი ძირი ჰქონია? — უთხრა მას სალმანმა.

— საინტერესოა, რა არის შიგ დამალული? — ჰკითხა ვარდანმა.

— იარაღი...

მხოლოდ ახლა მიხვდა ვარდანი, ვინ იყო ეს ჩარჩი: მას ბევრი რამ სმენოდა მელიქ-მანსურის შესახებ, და აღელვებული ვარდანიც გადაეხვია ვაჭარს.

## თავი ოცდამეხუთე

თვით დიდბუნებოვან ადამიანსაც კი აქვს ხოლმე პატარა ნაკლი. მართალია, თომას-ეფენდი დიდბუნებოვანი კაცი არ იყო,

მაგრამ ალაშკერტის მაზრაში ყოველისშემძლის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ნათქვამია, სადაც ლომი არ არის, იქ მელიაც დიდ მხეცად მიაჩნიათო. მიუხედავად იმისა, რომ ბეჯითი და მოხერხებული კაცი იყო, თომას-ეფენდის მაინც ჰქონდა პატარა ნაკლი.

მთელი დღე სამსახურის საქმეებს იყო გადაგებული, ღამღამობით კი უზნეო ცხოვრებას ეწეოდა. გარყვნილ თურქ მოხელეებს ჰბაძავდა, არყით ილეშებოდა, მუსიკითა და გოგო-ბიჭების ცეკვით ტკბებოდა.

რომელ სოფელშიც არ უნდა მისულიყო, ყოველი სახლის კარი მისთვის ღია იყო. აბა ვინ არ გაუმასპინძლდებოდა ასეთი მაღალი წოდების სტუმარს! ყოველ გლეხს დიდ პატივისცემად მიაჩნდა, თუკი თომას-ეფენდი იკადრებდა და მისი სახლის კარს შეაღებდა. მართალია, გლეხი ამით არაფერს იგებდა, პირიქით, უფასოდ აჭმევდა და ასმევდა, მაგრამ იმითაც კმაყოფილი იყო, რომ მომავალში თომას-ეფენდი მას „კარგი თვალით“ შეხედავდა.

ერთხელ, საღამო ხანს, ერთი ღარიბი გლეხის ოჯახში სოფლის გზირი მივიდა და შეატყობინა, ამაღამ ეფენდი გეწვევათო. ამ ოჯახის უფროსი პეტროსი ხელოსანი იყო, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღს — გუთნებს, სახნისებს, ურიკებს არემონტებდა და შინ იშვიათად ნახავდით, სამუშაოს საშოვნელად სოფელ-სოფელ დადიოდა.

ამ საღამოსაც პეტროსი შინ არ აღმოჩნდა. ხელოსნის ცოლმა გზირს უთხრა ქმარი შინ არა მყავს და არ ვიცი, უიმისოდ ეფენდი როგორ მივიღოო.

— ქმარი თუ შინ არ არის, სახლი ხომ არსად გარბის? — უკმეხად შეაწყვეტინა სიტყვა გზირმა.

ეს სოფლის გზირები პირდაპირ გლეხების რისხვად იყვნეს მოვლენილი. თანამდებობის პირებს ემსახურებოდნენ და მწევარ-მაძებრებივით საუცხოო ყნოსვა ჰქონდათ, მშვენივრად იცოდნენ, მსხვერპლისთვის როგორ მიეგნოთ.

ხელოსნის ცოლი სახტად დარჩა, პასუხის გაცემა ვეღარ მოახერხა. გზირმა თავისი მოვალეობა შესრულებულად ჩათვალა, წასასვლელად პირი იბრუნა და ქალი გააფრთხილა:

— იცოდე, რორგორც კი სანთლები აინთება, ეფენდი გეწვევათ.

საბრალო ქალი კარგა ხანს გაქვავებული იდგა ქოხის კართან და არ იცოდა რა ექნა, ქმარი შინ არ იყო და ვიღაც უცხო, უცნობი სტუმარი როგორ მიეღო. ბოლოს მეზობელთან მივიდა და შეეხვეწა:

— ძმაო ოჰო, გზირმა შემატყობინა, ამაღამ ეფენდი გეწვევათო. ქმარი შინ არა მყავს, თუ ღმერთი გწამთ, მობრძანდით და გაუმასპინძლდით.

— ეს რას გავს? — გაჯავრდა ოჰო, — ამ სოფელში სხვა სახლი ვეღარ ნახა?

— აბა, რა ვიცი, — ნაღვლიანად უპასუხა დედაკაცმა. — გზირმა კი გამაფრთხილა და...

მეზობელი დაპირდა, მარტო არ დაგტოვებ, სტუმარს მე დავეხვდებიო.

თომას-ეფენდის მთელი მაზრის სოფლები თავისი ხუთი თითივით ჰქონდა შესწავლილი. რომელ სოფელშიც კი შევიდოდა, კარგად იცოდა, ვის სახლში უნდა გაჩერებულიყო, სად უფრო მხიარულად გაატარებდა ღამეს. ამ მხრივ ეფენდის ჩინებული გემოვნება ჰქონდა: ამჯობინებდა, რომ მპასპინძელი ღარიბი და ცოტა მოსულელო ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, მოსულელო თუ არა, ღვინის სმა მაინც ჰყვარებოდა (თუმცა ეს ორი თვისება ერთმანეთისაგან ბევრად არ განსხვავდება). მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ სახლში უეჭველად ლამაზი ქალი უნდა ყოფილიყო, რათა მისი ხილვით დამტკბარიყო. მაგრამ ამ ღამისათვის შერჩეული სახლი ეფენდის მოთხოვნებს მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა: ოჯახის უფროსი ოსტატი პეტროსი პატიოსანი და შრომისმოყვარე ხელოსანი, არც მოსულელო იყო და არც ღვინის მოყვარული. სხვა მხრივ კი ეფენდი არ მოტყუებულა: კარგად იცოდა, რომ პეტროსი შინ არ იყო, რომ მას ლამაზი ცოლი ყავდა, ხოლო პეტროსის დას ხომ სილამაზით სოფელში ბადალი არ მოეძებნებოდა.

სოფლის ქოხებში ჭრაქები აინთო.

ხელოსნის ცოლი შუშანი ქურასთან ფუსფუსებდა, მისი მუ-

ლი აბალგაზრდა ბარბარე კი ვარიებს წვავდა. იქვე ტრიალებდა ბებერი ოჰო, ქალებს სხვადასხვა დავალებას აძლევდა, რომ ღირსეული სტუმრის დასასვენებლად არაფერი დავიწყებოდათ.

ის იყო ყველაფერი მოამზადეს, რომ თომას-ეფენდი გზირის თანხლებით ქობში შებრძანდა. ამჯერად ჩაფრები თან არ ახლდნენ, ისინი სხვა გლეხთან გაეშვა სტუმრად.

ოჰო მოწიწებით შეეგება ეფენდის. ეფენდი მძიმე ნაბიჯებით გაემართა მისთვის მომზადებული ადგილისაკენ და მუთაქაზე დაჯდა.

— ოსტატი პეტროსი სად არის, რომ არ ჩანს? მისი ნახვა მსურდა, საქმე მქონდა, — იკითხა ეფენდიმ და იქაურობას თვალი მოავლო.

ოჰომ უპასუხა, პეტროსი მეზობელ სოფელშია სამუშაოდ წასულიო.

— აფსუს, ძალიან საეწუხაროა! საქმე მქონდა, — გაიმეორა ეფენდიმ. — სახელმწიფო ჯარების სურსათის გადასაზიდად ბევრი ურემი მჭირდება და მუდმივი ოსტატი მინდოდა დამექირავებინა, თუ ვინიცობაა ურემი დამემტვრეოდა, გზაშივე შემიკეთებდა. პეტროსზე უკეთეს ოსტატს ვერსად ვიშოვი, მისთვის სიკეთე მინდა, ისარგებლებს, რამდენიმე თვე საქმე გამოულეველი ექნება.

ეფენდი ტყუოდა. სურსათის გადასაზიდად უსასყიდლოდ მიჰყავდა გლეხების ურმები, თუ ურემი გატყდებოდა, პატრონს უნდა შეეკეთებინა, მაგრამ ეს საუბარი სულ სხვა მიზნით წამოიწყო.

ხელოსნის ცოლს თავდაპირველად სულაც არ სიამოვნებდა დაუპატიჟებელი სტუმარი, მაგრამ ეფენდის ნათქვამი რომ მოისმინა, ძალიან გაუხარდა, იმედი მიეცა, ეფენდი ოჯახს მართლა ხელს გაუმართავსო.

ეფენდისაც სწორედ გულუბრყვილო დიასახლისის გულის მოგება უნდოდა.

მაგიდას მარტო ეფენდი უჯდა. ოჰო ფეხზე იდგა და მის ნებართვას უცდიდა, რომ დამჯდარიყო. როგორც იქნა, ეს წყალობაც მიიღო. სტუმარს გზირი ემსახურებოდა, რადგან ხელოსნის ოჯახში არც მოსამსახურე ჰყავდათ და არც მოსწრებული ეაჟი-

შვილი, დიასახლისი და ბარბარე არ ჩანდნენ, მეორე პატარა ოთახში იყვნენ. ეს ოთახი მთავარი ოთახისაგან თხელი დაბალი ტიხარით იყო გამოყოფილი. ტიხარი შირმის მაგიერობას ეწეოდა.

პატივისცემის ნიშნად დიასახლისები თავიანთი ოთახიდან გამოვიდნენ. საპატრო სტუმარს ეახლნენ, ყულზე ხელები დაიწყვეს და მდუმარედ დაუკრეს თავი, რაც ნიშნავდა: კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო.

— დიდხანს იცოცხლეთ! — უთხრა ეფენდიმ და თან აეხორცულად ახედა ქალებს.

დიასახლისს სახეზე ჩადრი ჩამოეფარებინა, ქალიშვილი კი უჩადროდ იყო. ქალები უკან გაბრუნდნენ და ვახშმის თადარიგს შეუდგნენ.

ქოხში ღრმა სიჩუმე სუფევდა. არავინ ხმას არ იღებდა. უცდიდნენ, როდის დაილაპარაკებდა ეფენდი.

— ახლა რას აკეთებ? — ჰკითხა ეფენდიმ ოჰოს.

— უსაქმოდ გახლავარ, აღა, — უპასუხა ოჰომ და კისერი მოიფხანა. — ღმერთმა დამსაჯა. ამ უკანასკნელი წლის მანძილზე რამდენიმე უბედურება ერთად დამატყდა თავს: უფროსმა შვილმა თქვენი ჭირი წაიღო. საქონელი დამეხოცა. ახლა გუთანიც ვეღარ შემიბამს. ვარ ასე უსაქმოდ!

— აფსუს, ძალიან საწყენია, — თანაუგრძნო, ეფენდიმ. — კარგი კაცი ხარ, ოჰო, დიდი ხანია გიცნობ. ნუ გეშინია, უსაქმოდ არ დაგტოვებ, ახლა მე ხალხი მჭირდება. რამე საქმეს გამოგიჩენ.

ოჰო სიხარულით ცას ეწია.

— აღა, თქვენ ოღონდ დამავალეთ რამე და ნახავთ, როგორი მუშაობა ვიცი.

— ვირი რაც მეტს იმუშავებს, ქერსაც იმდენჯერ მეტს მიიღებს.

— მართლაც, რომ აგრეა.

თომას-ეფენდი ისეთი ჯიშისა იყო, რომ როცა გაიბერებოდა გაამაყდებოდა, განიერ კარშიც ვერ გაეტეოდა, სამაგიეროდ ზოგჯერ ისე მოიკუნტებოდა, ნემსის ყუნწშიც კი გაძვრებოდა. გლეხის ქოხში ეფენდი ისე თავაშვებულად იქცეოდა, როგორც

ვამაკაცები ერთობ ცნობილ სახლებში, რომელთა მობინადრეთა-თვის ქუჩაში სალმის მიცემა სასირცხვოდ მიაჩნიათ.

ეფენდის როგორმე ოჰოს გულიც უნდა მოეგო, რადგან იმ ღამეს მასპინძლის მოვალეობას ოჰო ასრულებდა. გულუბრყვილო გლეხმა ეფენდის სიტყვები ხალას ოქროდ მიიღო და მადლობის ნიშნად უთხრა:

— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, აღა, უფალმა თქვენი მადლი არ მოგვაკლოს.

ვახშმის დროც მოვიდა. ბარბარემ პატარა ტაშტი და დოქი შეიტანა ოთახში და ეფენდის ხელი დააბანინა. შემდეგ სუფრა გაშალა, მაგიდაზე საჭმელ-სასმელი დააწყო. ქალიშვილი გაუბედავად მიდი-მოდიოდა, მორცხვობდა, კარჩაკეტილ ცხოვრებას იყო მიჩვეული და მამაკაცთა საზოგადოება ეუცხოვებოდა.

— რა გქვია, შვილო? — ჰკითხა ეფენდიმ.

ქალიშვილი გაწითლდა, დაიბნა და დამფრთხალი ირემივით აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, იქნებ ჩემს მაგიერ ვინმე სხვამ უპასუხოსო. ოჰომ უთხრა, ბარბარე ჰქვიაო.

— რა ლამაზი სახელია! ჭეშმარიტად მშვენიერი სახელია! — აღტაცებით გაიმეორა ეფენდიმ. — მე ერთი და მყავს, მასაც ბარბარე ჰქვია.

ბარბარეს გამშრალ სახეს ლიმილმა გადაურბინა: ალბათ გაუხარდა, რომ ესოდენ პატივსაცემი კაცის დის სეხნია გამოდგა. ეფენდიმ უსირცხვილოდ იცრუა, მას და არ ყავდა, მაგრამ ბარბარეც ხომ უნდა მოეთაფლა!

სუფრას მხოლოდ ეფენდი და ოჰო უსხდნენ. წესი არ იყო. ქალებს მამაკაცებთან ერთად ეჭამათ პური.

— „უწყლოდ წისქვილი არ ფქვავს“, — შენიშნა ეფენდიმ, რაც იმას ნიშნავდა, ულვინოდ პური არ იჭმებაო, და გზირს უბრძანა არაყის მოსატანად წასულიყო.

ოჰომ ბოდიში მოუხადა, დროზე ვერ ვიზრუნეო, დიასახლისმა კი მდუმარედ დაუქნია თავი, რითაც ანიშნა, სასმელს მე თვითონ მოვატანინებო.

— არა, — უთხრა ეფენდიმ, — მე ასეთი ჩვეულება მაქვს:

სადაც და ვისთანაც არ უნდა ვიყო, არაყი და ღვინო ჩემს ხარჯზეა.

ეფენდი არ ტყუოდა: ამისთანა ღარიბ ოჯახში ყოფნისას სასმელს თვითონ მოატანინებდა ხოლმე, მის ღირებულებას კი სახაზინო ხარჯებს მიაწერდა. ეფენდი აქაც ეშმაკობდა, რაკი სასმელს თვითონ ყიდულობდა, რამდენსაც მოისურვებდა, იმდენს სვამდა.

გზირი მალე დაბრუნდა და ვეება ბოთლით არაყი მოიტანა.

— ახლა კი შენც შეგიძლია დაჯდე და მერიქიფეობა გაგვიწიო, — უბრძანა გზირს ეფენდიმ.

გზირი სუფრის ბოლოში დაჯდა და ბოთლი გვერდით მიიდგა. მას კარგად ახსოვდა ეფენდის დარიგება: როცა სტუმრად ხარ და გინდა კარგი დრო გაატარო, მასპინძელს ტვინი უნდა შეუხუროო, ესე იგი დაათრო. რაკი ამ საღამოს მასპინძლის მოვალეობას ოჰო ასრულებდა, გზირიც სავსე ჭიქებს მას უმარჯვებდა.

ოჰოს ადრევეც უყვარდა გადაკვრა, უკანასკნელ უბედურებათა შემდეგ კი მისი სალოცავი არაყი გახდა, არაყში ცდილობდა დარდის ჩახშობას. ამიტომ ყოველ ჭიქას ძირამდე ცლიდა. ცალკე არაყმა, ცალკე ეფენდის დაპირებამ, საქმეს გიშოვი და გამუშავებო, ისე შეახურა და გამღათრო, რომ ბოლოს თურქული სიმღერებიც კი წამოიწყო.

— არა, ასე არ ივარგებს, — თქვა ეფენდიმ და გზირს უბრძანა, დამკვრელებს დაუძახეო.

ეს დამკვრელები ადგილობრივი სომხები იყვნენ, სხვადასხვა აღმოსავლურ საკრავებზე უკრავდნენ და თან მღეროდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ეფენდი ქეიფის მოყვარული იყო, ამიტომ სოფლიდან სოფელში დასდევდნენ, ალხენდნენ, ართობდნენ და ფულსაც ბლომად იჯიბავდნენ.

დამკვრელები მალე მოვიდნენ, ეფენდის მოწიწებით მიესალმნენ და სუფრას მიუსხდნენ. დიასახლისიც რაღას იზამდა, კიდევ მოიტანა საჭმელი.

— სხვა რასა იქთ, როგორა ხართ? — ჰკითხა ეფენდიმ დამკვრელებს.

— თქვენის წყალობით ყველანი კარგად გასლავართ, — უპასუხეს მათ.

როცა სტუმრები კარგად გამოძღნენ, ბარბარე მეორე ოთახიდან გამოვიდა და სუფრის ალაგება დაიწყო, მაგრამ არაყის ბოთლს ხელი არ ახლო.

ეფენდიმ რამდენჯერმე გააქცია გზირი სამიკიტნოში არაყის მოსატანად. ჭიქები გახუწყვეტლივ ხელიდან ხელში გადადიოდა. ამასობაში დამკვრელებიც შეზარხოშდნენ.

— ახლა კი დაიწყეთ! — უბრძანა ეფენდიმ.

დამკვრელებმაც დაიწყეს და აღმოსავლური საკრავების გამაყრუებელმა ჟღარუნმა ერთბაშად გაამხიარულა პატარა ქოხი.

ეფენდი საუცხოო გუნებაზე იყო.

ცოტა ხნის შემდეგ პეტროსის ქოხის გარშემო და ბანზე თავი მოიყარეს მეზობლის ქალებმა და ქალიშვილებმა. ფანჯრებიდან და საკვამლე მილიდან ოთახში იჭყიტებოდნენ და მოულოდნელი მხიარულებით თავს იქცევდნენ. სოფლის ქალებს სხვა არაფერი ართობთ ისე, როგორც მუსიკა და სიმღერა. მაგრამ ძალიან ხშირად მოკლებული არიან ამ სიამოვნებას. ამ ბედნიერებას მხოლოდ ზამთრობით, ქორწილების დროს თუ ეღირსებიან.

ღრეობა თანდათან გაჩაღდა. არყით გალეშილთა ხმაურს საერთო ღრიანცელიც დაემატა, მოკლედ ისეთი ამბავი ატყდა, რომ იტყვიან, ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობდა. მამაკაცებს აღარაფერი გაეგებოდათ, მხოლოდ ერთი ეფენდი იყო ფხიზლად და თავის შეკავებაც მხოლოდ მას შეეძლო.

ეზოში შეკრებილი ქალები თანდათან გათამამდნენ და ერთიმეორის მიყოლებით ოთახში შევიდნენ, შუშანთან და ბარბარესთან ჩამოსხდნენ, რომ მუსიკა და სიმღერა უფრო კარგად მოესმინათ.

— აბა, ცეკვა, ცეკვა! — წამოიძახა ეფენდიმ და ტაში შემოჰკრა,— ცეკვა მინდა!

დამკვრელებმა საცეკვაო დაუკრეს. გამომთვრალი ოჰო ფეხზე ვეღარ დგებოდა, იგი სეირის მაყურებელ ქალებთან მიბარბაცდა, ორ პატარა გოგოს ხელი ჩაჰკიდა და ოთახის შუაგულში

თითქმის ძალით გამოათრია. გოგოებს ჯერ ცოტა შერცხვათ, წამოწითლდნენ, გაინაზნენ კიდეც „ცეკვა არ ვიცითო“, მაგრამ ბოლოს მაინც ჩამოუარეს.

— შაბაში, შაბაში! — ღრიალებდნენ აზარტში შესული დამკვრელები.

ეფენდიმ მოცეკვავე გოგონებს მუჭაში თითო ვერცხლის ფული ჩაუდო. მათ კი ფული დამკვრელებს მისცეს.

ჩვეულებრისამებრ ცეკვა პატარებმა დაიწყეს, შემდეგ თანდათან დიდებიც აჰყვნენ. მოცეკვავეთა პირველი წყვილი რომ დაიღალა, სხვა ... ქალიშვილს გადაუგდეს, ახლა თქვენ იცეკვეთო. ამრიგად, წყვილი წყვილს ცვლიდა. ეფენდიც უხვად იხარჯებოდა და მოცეკვავეებს მუჭებს „შაბაშით“ უესებდა. ამით წაქეზებული დამკვრელებიც რაც ძალა და ღონე ჰქონდათ თავიანთ საკრავებს აწრიპინებდნენ.

ბოლოს ჯერი ბარბარეზე მიდგა. ლამაზმა ქალიშვილმა საუცხოო ცეკვა-თამაშით ყველას აჯობა. მის მიხვრა-მოხვრაში თვალწარმტაცი სიკეკლუცე და მომაჯადოებელი მიმზიდველობა იხატებოდა.

ბარბარეს მშვენიერი ცეკვით აღტაცებულმა ეფენდიმ განაცხადა:

— ჩვენ, სომხებს, ერთი ჩინებული ჩვეულება გვაქვს: ქალი ცეკვას რომ დაამთავრებს, ოჯახის საპატიო სტუმარს მიუახლოვდება, მის წინ დაიჩოქებს, თავს მუხლებზე დაადებს და მანამდე არ ადგება, სანამ სტუმრისაგან კარგ საჩუქარს არ მიიღებს.[1]

— საუცხოო ჩვეულებაა! — ბანი მისცეს დამკვრელებმა.— მოდით, ჩვენც ვცადოთ!

— ბარბარე, პირველი მაგალითი შენ უნდა უჩვენო ხალხს, — უთხრა ეფენდიმ, — მოდი ჩემთან, შვილო.

ბარბარე სირცხვილისაგან მთლად დაიბნა და გაქვავდა. ერჩივნა მიწა გამსკდარიყო და თან ჩაეტანა, ვიდრე თავი უცხო კა-

---

1 სომხეთში არსად არ არის ასეთი ჩვეულება. მაყურებლისათვის შეტი ფული რომ დაეცინცლათ, აზიის ბოშა ქალიშვილები და ჭაბუკები იქცეოდნენ ასე (ავტორის შენიშვნა).

ცის მუხლებზე დაედო, მაგრამ აქეთ-იქიდან წააქეზეს: მიდი, ქალო, ნუ გრცხვენია, საჩუქარს მოგცემსო. ბოლოს ხელი მოჰკიდეს, ეფენდისთან მიიყვანეს და თავი მის მუხლებზე დაადებინეს. ეფენდიმ მშვენიერ წაბლისფერ თმაზე ალერსიანად გადაუსვა ხელი და მუჭაში ორი ოქრო ჩაუდო.

ეფენდი რომ ამ დღეში იყო, ოთახში ერთი მისი ჩაფარი შევიდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— თქვენ რომ გვიბრძანეთ, იმ კაცს მივაგენით.

— დააპატიმრეთ და თვალყური კარგად ადევნეთ, დილით გიბრძანებთ, როგორ მოიქცეთ, — ჩუმადვე უპასუხა ეფენდიმ.

ჩაფარი წავიდა. ვერავინ გაიგო, რას ნიშნავდა ეს ჩურჩული.

შუაღამე გადავიდა, პეტროსის ქოხი თანდათან დაცარიელდა. დამკვრელებიც წავიდნენ, სიმთვრალისაგან გრძნობადაკარგული ოჰო შინ ძლივს მიიყვანეს. ქოხში მარტო ეფენდი და გზირიღა დარჩნენ. გზირს იმდენი დაელია, რომ ერთადერთი საღი თვალითაც ვეღარაფერს არჩევდა.

შუშანმა ეფენდის ლოგინი გაუშალა და ჭრაქი ჩაუქრო. ყველამ დაიძინა.

რა მოხდა იმ ღამეს, ეს მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის. მხოლოდ ის კი არის, რომ მეორე დილით ბარბარე ძალიან დაღონებული იყო და რამდენიმე დღეს თვალზე ცრემლი არ შეშრობია...

გამთენიას სოფელში ერთი სხვა სამწუხარო ამბავიც მოხდა: ფეხებში ბორკილგაყრილი ერთი ჭაბუკი ახლახან ამ მხარეში განსაკუთრებული რწმუნებებით ჩამოსულ პროკურორთან გაგზავნეს.

ეს სურათი მხოლოდ თომას-ეფენდიმ იხილა, იგი დაპატიმრებულს შორიახლოს მისდევდა და სიამოვნებით ბუტბუტებდა:

— წადი ახლა და იმდენი შეუბერე მაგ შენ დუდუკს, ვიდრე არ მოგწყინდება!

ეს ჭაბუკი დუდუკჩიანი იყო, რომელსაც ჩვენ სალმანის გვარით ვიცნობთ.

# თავი ოცდამეექვსე

ხაჩოს ოჯახში ჯერ არაფერი იცოდნენ, მაგრამ როცა სალმანი ღამით შინ არ დაბრუნდა, ძალიან შეწუხდნენ.

განსაკუთრებით შეწუხდნენ ვარდანი, ჰაირაპეტი და აპო, შიშობდნენ ცუდი ხომ არაფერი შეემთხვაო.

დილაადრიან სამივენი სახლიდან გავიდნენ იმის იმედით. რომ სოფელში რაიმეს გაიგებდნენ.

შუადღისას სრულიად მოულოდნელად მამასახლისთან თომას-ეფენდი მობრძანდა. მოხუცს ძალიან ეუცხოვა, რომ ეფენდის ამჯერად პოლიციელები თან არ ახლდნენ. თომას-ეფენდიმ მოხუცს ხელი მოჰკიდა და განზე გაიყვანა, რითაც აგრძნობინა, რომ საიდუმლო რამ ჰქონდა სათქმელი.

— იცი, რომ „მედუდეკე“ დააპატიმრეს და წიაღსა შინა აბრაამისა წააბრძანეს? — უთხრა მან დამცინავი კილოთი.

მოხუცი ისე შეაშფოთა ამ ამბავმა, რომ კანკალმა აიტანა. ცოტაღა დარჩა არ წაიქცა.

— გამხნევდი, მამასახლისო, კანკალის დრო არ არის, — განაგრძო ეფენდიმ, — ჯერ სადა ხარ, სხვა მაგისთანა ამბებს კიდევ გაიგებ.

ეფენდიმ მოხუცს უამბო, რომ როგორც შეიტყო, სალმანს მეზობელ სოფელში ერთი გლეხის ოჯახში ახალგაზრდები შეუყრია და „ადამიანის უფლებებზე“, „მშრომელ ხალხზე“, „ძალმომრეობაზე“ ულაპარაკია, ისიც უთქვამს, „როგორ უნდა მოიპოვოს ადამიანმა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება“, და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი „სისულელე“ მოუროშავს. დილით პოლიცია თავს დასხმია და დაუპატიმრებია.

— მთავრობა დიდი ხანია დაეძებდა მაგ ხენთსაც, —დაუმატა ეფენდიმ. — მისი რამდენიმე ამხანაგი უკვე დაჭერილია, ახლა ეს თაგუნაც გაება ხაფანგში.

თომას-ეფენდიმ მოხუცს ეს კი უამბო, მაგრამ, ცხადია, არ უთხრა რომ სალმანი თვითონ დააბეზღა.

— ახლა კი ყური დამიგდე, — განაგრძო ეფენდიმ დამცინავი ღიმილით; იცოდა, რომ მისი სიტყვები მოხუცს ისედაც დაკოდილ

გულს მთლად მოუკლავდა. — მალე პოლიციელები თავზე დაგადგებიან და სახლს გავიჩხრეკენ. შენი მეგობარი ვარ და გასაფრთხილებლად მოველი.

მართალია, ეფენდიმ სიტყვა „მეგობარი“ მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა, მაგრამ პოლიციელებისა და ჩხრეკის გაგონებაზე მოხუცს თავზარი დაეცა.

— ჯერ კიდევ შემიძლია გიშველო, — განაგრძო ეფენდიმ უფრო ცივად, — ოღონდ მითხარი, დუდუკჩიანს აქ ხომ არაფერი დარჩა?

მოხუცი ცოტა დამშვიდდა, დარწმუნდა ეფენდი გასაჭირში არ მიმატოვებსო.

— მარტო ერთი ხურჯინი დარჩა, — უთხრა მოხუცმა და შეშინებულმა მიმოიხედა, არავინ გაიგონოსო.

— მოდი ახლა და ვირი ტალახიდან ამოათრიე, — წაიბუტბუტა ეფენდიმ. — მარტო ხურჯინი დარჩაო! განა ეს ცოტაა? — ეშმაკურად შეხედა მოხუცს და უთხრა: — ახლა თვითეული წუთიც ძვირად გვიღირს, ჩქარა წავიდეთ და სანამ პოლიციელები არ მოსულან, ის ხურჯინი სადმე გადავმალოთ.

საბრალო მოხუცს ეფენდის გულწრფელობაში ეჭვი არ შეეპარვია, ოდაში შეიყვანა და სალმანის ხურჯინი უჩვენა.

— კარი ჩაკეტე, — ურჩია ეფენდიმ, მერე ხურჯინი გახსნა და ქექვა დაუწყო.

ხურჯინში აღმოჩნდა სარეკომენდაციო წერილები და ბარათები, გაჭირვების დროს სალმანი ამ ბარათებს ადრესატებს გადასცემდა და ფულს მიიღებდა. აქვე იდო ინსტრუქციები, პროგრამები და რამდენიმე ბროშურა. ახალგაზრდა პროპაგანდისტი ამ ბროშურებს გლეხებს ურიგებდა. ერთი სიტყვით, ხურჯინში ქაღალდების მეტი არაფერი იკო. ეფენდი დიდი ყურადღებით ათვალიერებდა ქაღალდებს და თან მრავალმნიშვნელოვნად აქნევდა თავს.

— ამ ქაღალდებიდან მთავრობას ერთიც რომ ჩაუვარდეს ხელში, — უთხრა ეფენდიმ, — შენ და შენ ვაჟებს სახრჩობელა არ აცდებათ, შენს ქონებას კი სახელმწიფო დაეპატრონება.

მოხუცი მთლად გაქვავდა, შიშმა ენა დაუბა.

— ეს ყველაფერი უნდა დავწვათ, — განაგრძო ეფენდიმ და ქალალდები ისევ ხურჯინში ჩააწყო.

— აღარაფერი მესმის, პირდაპირ გონება დავკარგე, — წაილუღლუღა აცახცახებულმა მოხუცმა და ჩამქრალი თვალები ცრემლებით აევსო.

მოულოდნელად ეფენდი შეიცვალა. „რატომ უნდა დავწვათ. კარგად გავსინჯავ, იქნებ გამომადგეს... უნდა შევინახო“, — გაიფიქრა მან და მოხუცს მიუბრუნდა:

— სახლში რამე საიდუმლო ადგილი არა გაქვს, რომ ეს ხურჯინი დროებით დავმალოთ?

— მაქვს, — უპასუხა მოხუცმა.

მოხუცის სახლში რამდენიმე საიდუმლო ორმო ჰქონდათ, საშიშროების დროს იქ ძვირფას ნივთებს მალავდნენ, ამ მიდამოებში კი ხიფათს რა გამოლევდა. ახლა ცარიელი მხოლოდ ერთი ორმო ჰქონდათ, რომელიც შეიძლებოდა ეფენდისათვის ეჩვენებინა.

საბედისწერო ხურჯინი აიღეს და სარდაფში ჩავიდნენ, სადაც ერბოს, ზეთს, ღვინოს და სხვა სურსათ-სანოვაგეს ინახავდნენ. სარდაფის იატაკზე ბრტყელი ქვები იყო დაგებული. მოხუცმა ორი ქვა ახადა. მათ ქვეშ აღმოჩნდა ორი ჰატარა რკინის კარი, რომლითაც საიდუმლო ორმო იყო დაფარული. მოხუცმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო, საკეტს მოარგო და რამდენჯერმე გადაატრიალა. უცებ კარი თავისით აიხადა და ღრმა ორმო გამოჩნდა. ორივენი ვიწრო კიბით ძირს ჩავიდნენ და ხურჯინიც თან ჩაიტანეს. ორმოში ისე ბნელოდა, რომ ვერაფერს გაარჩევდით, ხოლო ნოტიო ჰაერი ადამიანს სულს უხუთავდა. ხურჯინი დააგდეს და მაშინვე ორმოდან ამოვიდნენ. მოხუცმა კარი დაკეტა და ზედ ისევ ბრტყელი ქვები დააწყო, ვერავინ მიხვდებოდა, რომ იქ რამე სამალავი იყო.

— გასაღები მომეცი, — უთხრა ეფენდიმ. — მე შევინახავ. ამის შემდეგ ჩემზე სანდო კაცს ვეღარავის ნახავ.

მოხუცმა გასაღები დაუფიქრებლად გადასცა. შიშს ისე აეტანა, რომ მზად იყო, რასაც კი ეფენდი მოსთხოვდა, ყველაფერი შეესრულებინა.

— შენთან ბევრი სალაპარაკო მაქვს, მამასახლისო, მაგრამ დრო არ ითმენს, ვაითუ გასაჩხრეკად წამოსულმა პოლიციელებმა

მოგვისწრონ. ჯერჯერობით კი რამდენიმე რჩევას მოგცემ. დაიხსომე: არავინ არ უნდა იცოდეს, რომ აქ ვიყავი და ხურჯინი დავმალეთ, ყველაფერი ეს საიდუმლოდ უნდა შეინახო, შენს ვაჟებსაც კი არაფერი გააგებინო. როცა სახლის გასაჩხრეკად მოვლენ, თავი გულმშვიდ და მიამიტ კაცად მოაჩვენე, ნურაფერს შეუშინდები. ეძებონ სადაც უნდათ, ხურჯინი ისეთ ადგილასა გვაქვს დამალული, ეშმაკიც ვერ მიაგნებს. ნუ დაფიცავ, რომ ის „მედუდუკე" შენთან ცხოვრობდა, თქვი, რომ არც იცნობდი და არც შენ, არც შენმა ვაჟებმა არ იცოდით, რა მიზნით იყო ჩამოსული.

როცა რჩევა-დარიგება მოათავა, ეფენდი ხაჩოსთან ერთად ეზოში გავიდა, გაიხედ-გამოიხედა და მოხუცს უთხრა:

— ახლა ერთი შენი სახლიდან გასასვლელი სხვა გზა მიჩვენე, რომ აქ არავინ დამინახოს.

მოხუცი გაუძღვა ეზოს იმ კარისაკენ, საიდანაც საქონელს მიერეკებოდნენ ხოლმე.

— ახლა კი მშვიდობით იყავი, როცა მჩხრეკავები საქმეს მოითავებენ, მაშინ კიდევ გნახავ. ნუ გეშინია, როგორმე იმ „მაძებრებს" პირში ბურთს ჩავჩრი.

ეფენდი წავიდა. გზაში სიამოვნებით იმეორებდა: „ახლა კი, მამასახლისო ხაჩო, შენი სული ჩემ ხელთ არისl რასაც მოვისურვებ, იმას გიზამ!".

ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა, ვარდანი, ჰაირაპეტი და აპო ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ. მოხუცის დანარჩენი ვაჟიშვილები მინდვრად იყვნენ. რძლები სადილს უმზადებდნენ: გლეხები შინ ჩვეულებრივ მხოლოდ ვახშმობისას ბრუნდებოდნენ, ამიტომ ჯერ არავინ არაფერი იცოდა.

მოხუცი ხაჩო მჩხრეკავებს ისე მოელოდა, როგორც სასიკვდილოდ გამზადებული კაცი — სასჯელს. რძლებთან კრინტი არ დაუძრავს, მათი შეშინება არ უნდოდა.

ბოლოს მოვიდა თურქი ოფიცერი ჯარისკაცთა და პოლიციელთა რაზმით.

ქალებს არ გაკვირვებიათ მათი მობრძანება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ იცოდნენ მათი მოსვლის მიზეზი და მეორეც, ასეთი დაუპატიჟებელი სტუმრები ხშირად ჰყოლიათ: მოვიდოდნენ, რამდენი-

მე დღეს დარჩებოდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ და უკანვე მიდიოდნენ. სოფლურ სოფლებში, მით უმეტეს მამასახლისის სახლში, თურქი ჯარისკაცების ჩამოხდომა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

— ნაბრძანები მაქვს თქვენი სახლი გაჩხრიკო, — უთხრა ოფიცერმა მოხუც ხაჩოს.

— ჩემი სახლის კარი თქვენთვის ყოველთვის ღიაა, გაჩხრიკეთ რაც გენებოთ, — უპასუხა მოხუცმა, რომელიც ცდილობდა მშვიდად დაეჭირა თავი.

ოფიცერმა ყველა კარი ჩააკეტინა, ყოველ მხარეს მცველები დააყენა და ჩხრეკა დაიწყო. ჯერ ოდაში შევიდა. შემდეგ სხვა ოთახებიც დაიარა, ყოველი კუნჭული გაჩხრიკა, ყოველ საგანს თვალი გადაავლო, მაგრამ საეჭვო ვერაფერი ნახა. ქალებმა შეატყვეს, რომ რაღაც უჩვეულო ამბავი უნდა მომხდარიყო და ტირილი მორთეს, მაგრამ მოხუცმა შეუყვირა და ხმა გააკმენდინა.

ჩხრეკა რომ დაამთავრა, ოფიცერი დაკითხვას შეუდგა:

— აქ ცხოვრობდა ყმაწვილი კაცი. გვარად დუდუკჩიანი?

— მხოლოდ რამდენიმე ღამე გაათია, — უპასუხა მოხუცმა.

— ადრე იცნობდით?

— პირველად ვნახე.

— მაშ, რატომ შემოუშვით სახლში?

— მე ამ სოფლის მამასახლისი ვარ. აქაური ჩვეულება თქვენ კარგად მოგეხსენებათ: მამასახლისის სახლი თავისებური ქარვასლაა, სასტუმრო, სადაც ყველა უცხო მგზავრს, უცნობ კაცს შეუძლია თავი შეაფაროს, რას გაიგებ კაცი, ვინ მოდის ან ვინ მიდის?

— აქ არაფერი დაუტოვებია?

— არაფერი.

— ხომ არ იცით, რა მიზნით იყო ჩამოსული?

— არაფერი უთქვამს, ის ვიცი მხოლოდ, რომ მასწავლებელი იყო.

— ხომ არ იცით, ვის მეგობრობდა ან სოფელში ვისთან დადიოდა?

— როგორც მასწავლებელი ყველასთან დადიოდა, რომ მოწაფეები შეეგროვებინა.

— იცით, ახლა სად არის?

— არ ვიცი.

— დაპატიმრებულია.

— ძალიან კარგი, თუკი ასეთი ცუდი კაცი იყო.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

— არავინ არ შემოუშვათ! — ბრძანა ოფიცერმა. ჩაფარმა მოახსენა, თომას-ეფენდი მობრძანდაო.

— შეშოვიდეს.

ოთახში რომ შევიდა და დაინახა ოფიცერი თავისი ამალით, ეფენდიმ ისეთი გაოცებული სახე მიიღო, თითქოს არაფერი იცოდა.

— აქა მშვიდობა! ეს რა ამბავია? — იკითხა ეფენდიმ სერიოზულად.

ოფიცერმა აუხსნა, რისთვისაც იყო მოსული. ეფენდიმ ყალბი ღიმილით ოფიცერს ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— თავს მოვიჭრი, თუ მამასახლისის სახლში რამეს საეჭვოს იპოვით. თქვენ არ იცით, რა კეთილი და კარგი კაცია!

ეფენდიმ ოფიცერი ოდაში შეიყვანა. ჯარისკაცთა და პოლიციელთა რაზმი კი ეზოში დარჩა საყარაულოდ.

— მამასახლისო! — მიუბრუნდა ეფენდი მოხუცს, — ეს ხალხი მშიერი იქნება, უბრძანე სადილი მიართვან, არაყი რაც შეიძლება ბევრი იყოს, გესმის? — დაუმატა მან სიმხურვალე.

მოხუცს გაუხარდა, ეგონა საშიშროებამ უკვე გადაიარაო და სწრაფად გარეთ გავიდა.

მაგრამ ქარიშხალს ჯერ არ გადაევლო. საფრთხე მამასახლისის ოჯახს კვლავ თავს დასტრიალებდა. თურქები მოხუცს ასე ადვილად არ გაუშვებდნენ ხელიდან, ჯერ აწვალებდნენ, დატანჯავდნენ, თვეობით ციხეში აყურყუტებდნენ და შემდეგ ისე მოექცეოდნენ, როგორც სინდისი გაუჩრიდათ. მართალია, მოხუცის სახლში ვერაფერი ნახეს და მისი პასუხისგებაში მისაცემად არც სხვა რაიმე საბუთი ჰქონდათ. მაგრამ ისიც ყოფნიდა, რომ სომეხი იყო. თანაც მდიდარი. ასეთი მსუქანი ლუკმა კი თურქ მოხელეს დიდ ბედნიერებას გვრის.

თვითონ ეფენდიმ „მოხარშა ეს ბოზბაში“, სალმანიც თვითონ

დაბეზლა ბაგრევანდის მაზრაში ჩამოსულ სამხედრო მოხელესთან; მოხუცის სახლის გაჩხრეკაც მანვე ურჩია. ამიტომ მოხუცის გადარჩენაც ადვილადვე შეეძლო. მაგრამ არა! თავისი ჯოჯოხეთური მიზნის მისაღწევად ცდილობდა, რაც შეიძლება უფრო დაეხლართა და გაერთულებინა საქმე.

როცა მოხუცი ხაჩო ოდიდან გავიდა, ოფიცერმა ეფენდის ჰკითხა:

— თქვენ რას იტყვით, ეფენდი? მე მგონია, მოხუცს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის.

— თქვენ ხომ იცით, ბეგო, — უთხრა მელაძუა ეფენდიმ,— თომას-ეფენდი ისეთი კაცი როდია, რომელსაც ადვილად შეუძლია საქმე გადაწყვიტოს. ჩემთვის ეს საქმე ჯერ ისევ ბნელით არის მოცული, დარწმუნებული ვიყავი, გაჩხრეკა დაადასტურებდა, რომ ეს ხალხი დაპატიმრებულის თანამგრძნობნი იქნებოდნენ. მიკვირს, რომ მათი ბრალდების დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ აღმოჩნდა. მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ, არსებობს კიდევ ერთი საშუალება — „აღიარება". მე ვაიძულებ მათ, რომ ყველაფერი აღიარონ... ეჭვი მაქვს მოხუცის ორ ვაჟსა და უცხოელზე, რომელიც მათთან სტუმრად არის.

— ვინ არის ის უცხოელი?— დაინტერესდა ოფიცერი.

— რუსეთიდან ჩამოსული ერთი ჭაბუკია, მეტად საშიში პიროვნება და ჩვენი მთავრობის დაუძინებელი მტერი. აქ ვაჭრის ნიღბით დახეტიალობს, ნამდვილად კი რუსეთის ჯაშუშია.

— თუ მართლა რუსეთის ქვეშევრდომია, მისი დაპატიმრება მაინცდამაინც ადვილი არ არის, — უპასუხა ოფიცერმა.

— ომიანობის დროს ჯაშუშის დაპატიმრება ადვილია. თქვენ ალბათ, იცით, რომ მალე ომი დაიწყება.

— დიახ... ვიცი...

— ამ ყმაწვილზე მე უკვე ველაპარაკე მის აღმატებულებას ფაშა-ეფენდის. ნუთუ მას თქვენთვის არაფერი დაუვალებია?

— ფაშა-ეფენდიმ მხოლოდ ის მიბრძანა, რომ ყველა თქვენი განკარგულება შევასრულო.

— ძალიან კარგი, — გაუხარდა ეფენდის. — რაც საჭირო

იქნება, გეტყვით. მაგრამ ერთი სხვა ამბავიც არის, რასაც შემდეგ მოგახსენებთ.

— არა, ეფენდი. მე ძალიან მოუთმენელი კაცი ვარ, „შინ-დე-გამდე" ნუ მალოდინებთ, — შეეხვეწა ოფიცერი.

— კარგი მაშინ ყურში გეტყვით.

თუმცა ოდაში მათ გარდა არავინ იყო, ოფიცერი ეფენდისაკენ ვადაიხარა. ეფენდიმ ყურში ჩასჩურჩულა:

— მოხუცი მდიდარია, ურიგო არ იქნებოდა „მოგვეწველა".

თომას-ეფენდი კარგად იცნობდა თურქი მოხელეების სისუსტეებს და ესმოდა, რომ მათ საქმის ვითარება და მისი მიუდგომლად გამოძიება იმდენად არ აინტერესებთ, რამდენადაც ბრალდებულის გატყავება. ამიტომ თომას-ეფენდი ცდილობდა მათი სისუსტე თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ეფენდის ძალიან გაუხარდა, როცა შეატყო, რომ ოფიცერს მისი ნათქვამი ჯკუაში დაუჯდა.

— მიბრძანეთ, ეფენდი, როგორი მსვლელობა მივცე საქმეს,— უთხრა ოფიცერმა.

— თქვენ აქ მთელი რაზმი გყავთ, დაავალეთ სასტიკი მეთვალყურეობა გაუწიონ მოხუცსა და მის ვაჟებს ჰაირაპეტსა და აპოს. გარდა ამისა, უბრძანეთ, დააპატიმრონ რუსეთის ჯაშუში — ვარდანი.

ოფიცერმა ჩაიწერა ჰაირაპეტის, აპოს და ვარდანის სახელები.

— დღეს მხოლოდ უბრალო გაჩხრეკა გევალებოდათ, — გააგრძო ეფენდიმ. — გამოძიება კი ჯერ არ დამთავრებულა. ამიტომ ხსენებული პირები თქვენი ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოლიოთ, ვიდრე ამ საქმეს პირადად მისი აღმატებულება ფაშა-ეფენდი არ გამოიძიებს.

— გასაგებია, — უპასუხა ოფიცერმა.

— მე კი ჯერჯერობით შუამავლის როლს შევასრულებ და ბრალდებულებს ყველაფერი რომ დავაფქვევინოთ თავს ისე დავიჭერ, ვითომც მათ ვმფარველობ. გასაგებია?

— გასაგებია, — უპასუხა ოფიცერმა.

# თავი ოცდამეშვიდე

ვიდრე თომას-ეფენდი და ოფიცერი ოდაში მზაკვრულ გეგმებს აწყობდნენ, ჯარისკაცები ეზოში საუბრობდნენ.

— მაჰმუდ, ამაღამ აქ რომ მოგვიხდეს დარჩენა, ამ სომხის რძლებიდან რომელს ამოირჩევდი? — ჰკითხა ერთმა ჯარისკაცმა თავის ამხანაგს.

— მე ძალიან მომწონს აი, ის წითელლოყება პატარა დედაკაცი. — განსაკუთრებული აღტაცებით უპასუხა მაჰმუდმა.

— მე კი ჭკუა და გონება იმ შავთვალა ლამაზმა წამართვა, — არანაკლები აღფრთოვანებით თქვა პირველმა ჯარისკაცმა.

ჯარისკაცები, როგორც ჩანს, ჩხრეკის დროს დავალებულ საქმეს უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, ვიდრე მოხუცი ხაჩოს რძლებს. მაჰმადიანს, როგორც კი ქალს დაინახავს, ყველაფერი ავიწყდება. მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთა ყურადღებაც ყველაზე მეტად მოხუცი ხაჩოს სახლის ძვირფასმა მოწყობილობამ მიიპყრო.

— ჩემი ცოლი პირდაპირ მოსვენებას არ მაძლევს, — თქვა ერთმა მოხუცმა ჯარისკაცმა, — ყოველდღე ჩამჩიჩინებს, რძის ასადუღებელი ერთი დიდი სპილენძის ქვაბი მიყიდეო. სწორედ აქ ვნახე ისეთი ქვაბი: როცა წავალ თან წავიღებ.

ერთმა ახალგაზრდა ჯარისკაცმა კი თქვა:

— ერთი ლამაზი ხალიჩა ვნახე, იცით რა კარგია მაძღარი სადილის შემდეგ ასეთ ხალიჩაზე წამოგორება და ლამაზი ქალის ხელით გაწყობილი ყალიონის გაბოლება.

მოხუცმა ჯარისკაცმა, რომელიც. ეტყობა, უფრო მორწმუნე იყო, ახალგაზრდას სიტყვა შეუბრუნა:

— მაგისთანა ხალიჩები უფრო ნამაზისათვის საჯადად[1] გამოდგება.

ერთმა შურიანმა და ცრუმორწმუნე ჯარისკაცმა თქვა:

---

[1] „საჯადს" იმ საფენს უწოდებენ, რომელსაც მაჰმადიანები ლოცვის დროს ქვეშ იფენენ. ამიტომ, როცა სახლში ლოცულობენ, ყველაზე ლამაზ ხალიჩას ამოირჩევენ ხოლმე (ავტორის შენიშვნა).

— საკვირველია, გიაურებს რატომ უნდა ჰყავდეთ ასეთი ლამაზი ცოლები... რატომ უნდა ჰქონდეთ ასეთი მდიდარი ოჯახი... სახლში დაგლეჯილი ფალასიც არ გამაჩნია, რომ ღამე ბავშვები დავაწვინო... გიაურს წელზე დაძონძილი ქამარი უნდა ერტყას, რომ როგორც კი დაახველებს, ათ ადგილას გაუწყდეს...

ეს სიტყვები თვითეულ მაჰმადიანს ანდაზასავით აქვს გაზეპირებული. აღმოსავლეთში ქამრის სისქითა და მოხატულობით მიხვდები, რა წოდებისაა მისი პატრონი და რა ქონება გააჩნია. სომეხი, როგორც ყველა „გიაური“, მაჰმადიანის აზრით, ღატაკი უნდა იყოს, მთლად დაძენძილი და გაცვეთილი ქამარი უნდა ერტყას, სომეხს უფლება არა აქვს ლამაზი ცოლი ჰყავდეს, რადგან ყოველივე, რაც მშვენიერია და კარგი, მაჰმადიანს უნდა ეკუთვნოდეს.

რამდენიმე ჯარისკაცი მოხუცის მშვენიერ ბაღში შესულიყო და ბოსტანში შეპარული ღორივით მოეჯეგა იქაურობა. ჯარისკაცები უმოწყალოდ ამტვრევდნენ ხეხილის ტოტებს და მიწაზე ყრიდნენ, ფეხქვეშ თელავდნენ მკვახე ნაყოფს. ხაჩო ყოველივე ამას შორიდან უყურებდა და გული ეთუთქებოდა. თვითეული ხე საკუთარი შვილივით უყვარდა. მოხუცმა სინანულით გააქნია თავი და იმწუთას სპარსული ანდაზა გაიხსენა: თუ სარდალი მებაღეს ერთ ვაშლს წაართმევს, მაშინ მისი ჯარები მთელ ბაღს ამოაგდებენო. ვისაც მცენარე არ ებრალება, მას არც ცოცხალი არსების შებრალება შეუძლია.

მოხუცი ხაჩო სამზარეულოში შევიდა. ქალები სადილს ამზადებდნენ. საბრალო კაცი! თითქმის დატყვევებული იყო საკუთარ სახლში, მაგრამ თავისი მცველების წინაშე სტუმართმოყვარეობის წმინდა ვალი მაინც უნდა მოეხადა.

— ეს რა ხალხია, რას დაეძებენ, სახლს რატომ გვიჩხრეკავენ, — ჰკითხა ცრემლმორეულმა სარამ.

— ღმერთმა უწყის!.. — ნაღვლიანად უპასუხა მოხუცმა და უბრძანა. სადილი დააჩქარეთო.

შეშინებული ქალები სახლში შეყუჟულიყვნენ, ჯარისკაცებს არიდებდნენ თავს. გრძნობდნენ, რომ რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა. ადრეც ხშირად ჰყოლიათ ასეთი სტუმრები, მაგრამ ასე უღირსად მათ ოჯახს არავინ მოპყრობია.

ჰაირაპეტი და აპო, დილით ვარდანს რომ გაჰყვნენ სალმანის სა-

ქებნელად, ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ, მოხუცის დანარჩენმა ვაჟ-შვილებმა ყანაში შეიტყვეს, თურქები უწესოდ ირჯებიანო და მაშინვე შინ მოირბინეს. საშინლად იყვნენ გაბრაზებული მამაზე. მონებს ულონოებთან აქვთ დიდი გული, ბატონის ავკაცობას ერთმანეთს აბრალებენ, აღა რატომ გააჯავრეო... შვილები მამას ამტყუნებდნენ, ვარდანისა და სალმანისთანა საშიში ადამიანები სახლში რატომ შემოუშვაო. მზად იყვნენ ოფიცრისათვის ეთქვათ ყველაფერი, ეგონათ, ამით დანაშაულს გამოვისყიდითო.

— შენი ოჯახი შენივე ხელით დააქციე, — ეუბნებოდნენ მამას ისინი.

— დაე, დაიქცეს. — აღშფოთებით უპასუხა მოხუცმა მამამ, — როცა მის პერქვეშ თქვენისთანა უღირსი შვილები ცხოვრობენ... ნეჩვენების ღირსი ხართ. არც თავმოყვარეობა და პატიოსნება გაგაჩნიათ, არც თავისუფალი აზროვნების უნარი გაქვთ... ვინც ამოიძულეთ. სწორედ ისინი არიან ჩემი ნამდვილი შვილები და ძალიან არ ვიდარდებ, თუ მათი მიზეზით დავკარგავ მთელ ჩემს ავლადიდებას.

მოხუცის უკანასკნელი სიტყვები სალმანსა და ვარდანს შეეხებოდა. შვილები უფრო გაცეცხლდნენ. გონიერმა მამამ გაიფიქრა, რაიმე სისულელე არ ჩაიდინონ, დაუფიქრებლად რამე არ წამოროშონო. ამიტომ შვილები დააშოშმინა: არაფერია საშიში, ბოლოს და ბოლოს თურქ მოხელეებს მუდამ შეიძლება რამდენიმე ოქროთი პირში ბურთი ჩავჩაროთო. ისიც უთხრა, თომას-ეფენდი დამპირდა, ყველა ღონეს ვიხმარ, რომ მოსალოდნელი საშიშროება თავიდან აგაცილოთო. შვილები ცოტა დამშვიდდნენ. ასეთ ადამიანებზე დიდი კაცის სახელი ყოველთვის დიდ გავლენას ახდენს. რაკი თომას-ეფენდი დაგვპირებია, მაშასადამე ყველაფერი მოგვარდებაო.

ამ დროს ოდის კარებში თომას-ეფენდი გამოჩნდა და დაიძახა:

— მამასახლისო, იჩქარე, ამ მტაცებლებს პური ვაჭამოთ.

— სადილი მზად გახლავთ, ეფენდი, — უპასუხა მამასახლისმა, — ახლავე მოგართმევთ.

მოხუცის ვაჟიშვილებმა სუფრა გაშალეს. ოფიცერი და ეფენდი ოდაში შეიწვიეს, ჯარისკაცები კი გარეთ ხეების ჩრდილში დასხეს. რაც დრო გადიოდა, ჯარისკაცები მით უფრო თავშეუკავებლად იქცეოდნენ.

ასეთ შემთხვევებში თურქი ჯარისკაცი მომთხოვნი ხდება. სომხის ოჯახში მადაც გაეხსნება და ისეთ საჭმელ-სასმელსაც მოინატრებს, თვალით რომ არასოდეს უნახავს, მხოლოდ სახელისათვის მოუკრავს ყური, მასპინძელმა სურვილი თუ ვერ შეუსრულა, ლანძღვა-გინებით აიკლებს. მართალია, ამჯერად სასმელ-საჭმელი არ აკლდათ, მაგრამ მოხუცის შვილები დაიტანჯნენ, ვიდრე თავიანთი უსირცხვილო სტუმრების ბრძანებებს შეასრულებდნენ.

ოდაში მხოლოდ თომას-ეფენდი და ოფიცერი სადილობდნენ. მოხუცი მამასახლისი არ დამჯდარა, განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად მსახურივით ფეხზე ტრიალებდა.

მოხუცის ვაჟიშვილები ჯარისკაცების სუფრას ემსახურებდნენ. არაყმა და გემრიელმა საჭმელმა დროებით მოათვინიერა ჯარისკაცები. ამით ისარგებლა მოხუცმა, სარასთან მივიდა და ჩუმად უთხრა:

— აჰა, შვილო, გასაღები, წადი და სახლში რაც რამ ძვირფასი გვაქვს, ყველაფერი გადამალე. ხომ იცი, სად უნდა დამალო.

— ვიცი... — მიუგო საბრალო ქალმა და თვალები ცრემლით აევსო.

მოხუცის ეს გაფრთხილება იმას ნიშნავდა, რომ დიდი უბედურება იყო მოსალოდნელი.

— მისმინე და გული გაიმაგრე, — განაგრძო მოხუცმა, — ამგვარ განსაცდელში ბევრჯერ ჩავარდნილა ჩვენი ოჯახი. ღვთის წყალობით, ყველაფერი მოგვარდება. საჭიროა მხოლოდ მოთმინება ვიქონიოთ. როგორც კი ნიეთებს გადამალავ, რძლები ბავშვებიანად თავიანთ მშობლებთან გაგზავნე, შენ და ლალა კი ჩვენს ნათლია ზაქოსთან გადადით, ჯერჯერობით იქ იყავით, სანამ გაიგებდეთ, რით დამთავრდება ეს ამბავი.

ხაჩოს რძლები ზოგი სოფელ ო...დან იყვნენ, ზოგი კი მეზობელი სოფლებიდან, ამიტომ მათი დამალვა არ გაძნელდებოდა. მხოლოდ სარა იყო შორიდან მოყვანილი, მისი მშობლები ბაიაზეთში ცხოვრობდნენ. ამიტომ ურჩია მოხუცმა ნათლია ზაქოსთან შეაფარე თავიო.

— კიდევ უნდა გითხრა ერთი რამ, სარა, — განაგრძო მოხუცმა, — ჰაირაპეტი, აპო და ვარდანი დილით ბატონ დუდუკჩიანის საძებნელად წავიდნენ. ალბათ არ იციან, რა დღეში ვართ. შინ დაბ-

რუნდებიან და თვითონაც განსაცდელში ჩავარდებიან. სასწრაფოდ კაცი აფრინე, როგორმე მონახოს და გააფრთხილოს, ვიდრე ამბავს არ შევატყობინებთ დროებით სადმე თავი შეაფარონ.

მოხუცის უკანასკნელმა სიტყვებმა მთლად მოუკლეს გული საბრალო სარას, მაშ, მის საყვარელ მეუღლესაც მოელოდა განსაცდელი! რა დააშავა, რა ჩაიდინა ისეთი? — ...მაგრამ სარა ჭკვიანი ქალი იყო, არასოდეს გამოეპარებოდა ხოლმე ქმრის საიდუმლო განზრახვა. უკანასკნელ ხანს რაღაც ცუდს უგრძნობდა გული.

— ვინ გავგზავნო? — იკითხა შეშფოთებულმა სარამ და გონიერი თვალები კვლავ ცრემლით აევსო.

სარას შეკითხვა უადგილო არ იყო. განსაცდელის დროს სხვისი იმედი როგორ უნდა გქონდეს, როცა ძმა ძმას ივიწყებს და მტრობს კიდევაც... სარამ რამდენიმე წუთის წინ თავისი ყურით გაიგონა, როგორ წყევლიდნენ ჰაირაპეტს მისი ძმები. რა გაცეცხლებულები იყვნენ.

მოხუცი მიუხვდა და ნაღვლიანად უპასუხა:

— ვიცი. არავინ წავა... ვიცი, რომ ყველანი გვერდზე გაგვიდგებიან... მაგრამ ვარდანის ორივე მსახური საქო და ეღო სახლშია, გამბედავი და ერთგული ბიჭები არიან. აუხსენი საქმის ვითარება, უმალ წავლენ. ჰაირაპეტს, აპოს და ვარდანს იპოვიან და ყველაფერს გააგებინებენ. მარტო ის უთხრან, დუდუკჩიანი დაპატიმრებულია და ჩვენ სახლს ჩხრეკენ-თქო, დანარჩენს თვითონ მიხვდებიან.

მოხუცმა აათქმელი თქვა და ქალების ოთახიდან იმ რწმენით გავიდა, რომ ჭკვიანი და მოხერხებული სარა ყველაფერს მოაგვარებდა.

ეზოში მოხუცმა შენიშნა, რომ „წესრიგია და კანონიერების დამცველები". გულუხვი სადილით უზომოდ გამძღარიყვნენ, ღვინითა და არყით გამობრუჟულიყვნენ, მაგრამ სუფრას მაინც არ სცილდებოდნენ. ხაჩომ თვალები დახუჭა და ისე გაიარა, არ უნდოდა ამ უგვანო სანახაობის დანახვა.

თურქი მოხელეები მაინცდამაინც არ იცავენ სარწმუნოებრივ წესებს, ამიტომაც არყის სმა მათთვის ჩვეულებრივი ამბავია, აკრძალული ხილი ტკბილია. მაჰმადიანი რომ დათვრება, გამხეცდება ხოლმე. მაჰმადი ყველაზე დიდ წინასწარმეტყველად რომ ჩავთვა-

ლოთ, საამისოდ ისიც კმარა, რომ მან მუსულმანებს მაგარი სასმელები აუკრძალა.

ამასობაში ოდაში საინტერესო საუბარი გაიმართა. ოფიცერმა ბევრი დალია და თუ სადილობამდე ეფენდის ოფიციალურად ელაპარაკებოდა. ახლა უკვე შინაურულად, უფრო ამხანაგურად ეპყრობოდა.

— რამდენი ცოლი გყავს? — ჰკითხა ოფიცერმა.

ეფენდის რაღაც უჩვეულოდ გაეღიმა და უპასუხა:

— „ვირს ჰკითხეს, რამდენი ცოლი გყავსო. მანაც მთელ ნახირზე მიუთითაო".

როცა ეფენდი ანდაზებით და იგავებით დაიწყებდა ლაპარაკს, ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ჩინებულ გუნებაზე ბრძანდებოდა.

— მაგრამ, მგონი, ქრისტიანებს მრავალცოლიანობა აკრძალული გაქვთ, — შენიშნა ოფიცერმა.

— მაჰმადიანებსაც აკრძალული გაქვთ ღვინისა და არყის სმა, შენ კი ჩემზე მეტი დალიე, — უპასუხა გახარებულმა ეფენდიმ, რომ შესაფერი პასუხი გასცა.

ამ დროს ოთახში მოხუცი ხაჩო შევიდა. მან რაჰათლუხუმითა და ლეღვით სავსე ორი ყუთი შეიტანა, მაგიდაზე დადო და თქვა:

— სადილის შემდეგ კარგია პირის ჩატკბარუნება, — და სწრაფად უკან გაბრუნდა.

— კეთილი კაცი ჩანს მოხუცი, — თქვა ოფიცერმა, — მიკვირს როგორ შემოუშვა სახლში რუსების ჯაშუში და კონსტანტინოპოლელი მეამბოხე.

— „ვირს ყურები გრძელი აქვს, ბკუა კი — მოკლე", — როგორც ყოველთვის, ანდაზით უპასუხა ეფენდიმ. ქვეყანა სწორედ „კეთილად" წოდებული სულელებით არის სავსე, ეს მოხუციც მათ რიცხვს ეკუთვნის.

თურქი ოფიცერი სომეხ ეფენდისთან შედარებით პატიოსანი გამოდგა, მან ეფენდის სინანულით უთხრა:

— ვფიქრობ, ახალი სამხედრო პროკურორი ფაშა-ეფენდი აჭ საბრალოს კარგად მოწველის.

— არაფერი უშავს... სულელი იქნება ის, ვინც ასეთი მეწველი ფურით არ ისარგებლებს.

— ფაშას იცნობ? როგორი კაცია? მე მხოლოდ ერთხელ ვიხილავ.

— ძალიან კარგად ვიცნობ, — უპასუხა ეფენდიმ საქმიანი კაცივით. — ჯერ კიდევ იმ დღიდან ვიცნობ, როცა ტიგრანაკერტის მაზრის უფროსი იყო. ათ წელიწადზე მეტ ხანს ძარცვავდა მაზრას, გამდიდრდა, შემდეგ კონსტანტინოპოლში წავიდა და ფაშა გახდა.

— როგორი კაცია?

— „მკვდარ ვირს ეძებს, რომ ნალები აყაროს".

ვიდრე ეფენდი და ოფიცერი საუბრობდნენ, ხოლო მთვრალი ჯარისკაცები მღეროდნენ, ხარხარებდნენ და ცეკვავდნენ, მოხუცი რძლებმა ბავშვებს ხელი მოჰკიდეს, სახლის უკანა მხრიდან გავიდნენ და მშობლების ოჯახებს მიაშურეს. საბრალოებს ღვარივით სდიოდათ ცრემლები, ისე ეჩვენებოდათ, თითქოს ტყვეობაში მიდიოდნენ, თითქოს ველარ იხილავდნენ იმ სახლს, სადაც ძალიან ბედნიერი იყვნენ, სადაც ისინი უზომოდ უყვარდათ!..

იარაღაბმული ელო და საქოც იმავე კარით გავიდნენ გარეთ, ცხენებზე შესხდნენ და მოქუსლეს.

ეშმაკობითა და ვერაგობით აღსავსე ეფენდის აზრადაც არ მოსვლია ამ ორი „ავაზაკის" დაპატიმრება, რა იცოდა, რომ ვარდანის მსახურებს შეეძლოთ მისი ბოროტი ზრახვების ჩაფუშვა.

## თავი ოცდამერვე

თომას-ეფენდი თვლიდა, რომ განზრახვა მხოლოდ ნაწილობრივ შეისრულა, მთავარი მიზანი კი ჯერ განუხორციელებელი დარჩა. მან დიდი ხანია იცოდა, რომ სტეფანიკი ქალიშვილი იყო, — ეს საიდუმლო ტერ-მარუქს დასცდა, სტეფანიკი ხომ იმის მონათლული იყო. ერთხელ მღვდელი ეფენდისთან ყოფილა სტუმრად და სიმთვრალეში საიდუმლო წამოუროშავს, თუმცა ხაჩოსთან დაფიცებული იყო, არავის ეგავუმხელო.

იმ დღიდან თომას-ეფენდის ლალას სიყვარული გულში ჩაუვარდა.

მაგრამ რა იყო სიყვარული ამ ზნედაცემული ადამიანისათვის? ისეთივე ბუნებრივი გრძნობა, როგორიცაა შიმშილი ან წყურვილი:

ჭამდა. დალევდა, გაძღებოდა და, აი, მეტი აღარაფერი უნდოდა! ამაღლებული, იდეური სიყვარული თომას-ეფენდისათვის მიუწვდომელი იყო. პირუტყვულ სურვილს არ სცილდებოდა.

მთელი სიცოცხლე თურქებთან გაეტარებინა და მათი ყველა ხასიათობრივი თვისებებიც შეესისხლხორცებინა. ლამაზი ქალი, კოპწია ქალიშვილი მაჰმადიანს ისე იზიდავს, როგორც ბავშვს სათამაშო. ბავშვი სათამაშოთი ერთობა, ხარობს მანამდე, ვიდრე არ მოსწყინდება, როცა მოსწყინდება, დაამტვრევს. გადააგდებს და სხვას მოისურვებს.

ქალი თომას-ეფენდისათვის გასართობი ნივთი იყო. ერთს რომ ჩაეგდებდა ხელში და სურვილს დაიკმაყოფილებდა, მერე იმაზე ლამაზს ნახავდა, პირველს მიატოვებდა და მეორეს დაეპატრონებოდა. ახლა ეს მეორე ლალა იყო. ეფენდის შეეძლო გულახდილად ეთქვა მოხუცისათვის, შენი ქალი მომათხოვეო, მაგრამ ამ პირდაპირობას უპატიოსნო და ეშმაკური გზა ამჯობინა. გაიძვერა კაცი იყო. აშკარად არასოდეს არაფერი გაუკეთებია, სულ მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით დადიოდა. მონადირესავით ისროდა ბადეს, აგებდა მახეს, ხაფანგს. ახლა ისეთ გამოუვალ მდგომარეობას უქმნიდა ხაჩოს, რომ მოხუცი იძულებული გახდებოდა ლალა მიეთხოვებინა.

თომას-ეფენდი ლალას მშობელი მამის საკუთრებად, ქონებად თვლიდა. გადასახადების ამკრეფმა კარგად იცოდა, როგორ უნდა ჩაეგდო ხელში გლეხის ნაამაგარი. იცოდა, რომ სანამ გლეხს არ დატანჯავ, არ აწამებ და წინააღმდეგობის ყველა საშუალებას არ მოუსპობ, არაფრით არ დაგნებდება და თავისი ოფლით მონაგარს არ დაგითმობს. ამიტომ საბრალო მოხუცი ისე შებოჭა, რომ მხოლოდ თვითონ თუ შეძლებდა მის განთავისუფლებას.

როცა მოხუცი და მისი ვაჟიშვილები დააბეზღა, პოლიტიკურ დამნაშავეთა და მეამბოხეთა თანამოაზრენი არიან, რუსეთის ჯაშუშს საკუთარ სახლში მალავენო, თომას-ეფენდიმ ორ კურდღელს დაუმიზნა: თურქეთის მთავრობას ერთგულება და სიყვარული დაუმტკიცა, თან საშუალება მიეცა ხაჩოსათვის ეთქვა: თუ ლალას არ მომათხოვებ შენ და შენს ვაჟიშვილებს ჩამოხრჩობა არ აგცდებათ, სახლს გადაგიბუგავენ და ქონებას წაგართმევენ... მხოლოდ მე შემიძლია გადაგარჩინო. ჯილდოდ კი მშვენიერი ლალა უნდა მომცეო.

ავაზაკს ყველაფერი ხელს უწყობდა, ხაჩოს სახლის საიდუმლო სარდაფში დამალული ხურჯინი სალმანის ქაღალდებით იყო სავსე, ხოლო სარდაფის გასაღები ეფენდის ედო ჯიბეში.

მაგრამ ეფენდის ჯერ არ სურდა ბოროტი განზრახვა ბოლომდე მიეყვანა. დარწმუნებული იყო, რომ ადვილად დაითანხმებდა ხაჩოს. თუმცა ხედავდა, რომ ვარდანის სახით ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდა. იმ დღიდან რაც ვარდანმა სტეფანიკს ხელიდან გამოგლიჯა და ფანჯრიდან ისროლა ეფენდისათვის გაწყობილი ჩიბუხი, გადასახადების ამკრეფი დარწმუნდა, რომ ვარდანსა და სტეფანიკს ერთმანეთი უყვარდათ. გარდა ამისა, მან იცოდა, რომ ვარდანი მოხუცის ოჯახში დიდი პატივისცემით სარგებლობდა და მას სიამოვნებით მიათხოვებდნენ ქალიშვილს. ხოლო თუ ჭაბუკს უარს ეტყოდნენ, კონტრაბანდისტი ერთ მშვენიერ ღამეს სტეფანიკს გაიტაცებდა. ვარდანს საამისოდ არც მამაცობა აკლდა. არც გამბედაობა.

ყოველივე ეს ეფენდიმ მშვენივრად იცოდა. მაშ, როგორ მოქცეულიყო, რომ ჭაბუკის განზრახვა ჩაეფუშა? ვარდანი ალაშკერტიდან უნდა მოეშორებინა, მხოლოდ ისე, რომ ლალა თან ვერ წაეყვანა. საამისოდ სამხედრო ხელისუფალთა განკარგულება იყო საჭირო და ეფენდიმაც სწორედ ამიტომ დააბრალა ვარდანს რუსეთის ჯაშუშობა.

მაგრამ ხაჩოს ვაჟებიდან მხოლოდ ორი — ჰაირაპეტი და აპოლატომ დააპატიმრებინა? ნუთუ იცოდა, რომ ისინი სალმანს თანაუგრძნობდნენ? ეფენდი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სომეხი გლეხი თავისუფლებაზე იფიქრებდა. მან იცოდა, რომ მოხუცის დანარჩენი შვილები გაუთლელი ვირები იყვნენ, ჰაირაპეტისა და აპოს გარდა ლალას მითხოვებაზე ვერავინ ეტყოდა უარს, დიდი ხანია ატყობდა, რომ ეს ორი ძმა მას ცუდი თვალით უყურებდა, ამიტომაც ბრძანა მათი დაპატიმრება.

აი, ასე დაიხლართა ლალას ბედი, იგი ერთდროულად სამ კაცს უყვარდა. სამივე თავისებურად ცდილობდა ქალიშვილის ხელში ჩაგდებას. უშიშარსა და ცნობილ ავაზაკს ფათაჰ-ბეგს უნდოდა არწივივით დასცემოდა მსხვერპლს და მოეტაცა. გადასახადების ამკრეფი თომას-ეფენდი შხამიანი გველივით ევლებოდა გარს, რომ დაეხრჩო და ჯადაეყლაპა. მამაცი და მოურიდებელი კონტრაბანდისტი ვარდა-

ნიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლალას მოტაცებას ფიქრობდა, თე ნებით არ დაანებებდნენ. ხოლო მათგან რომელი უყვარდა ლალას. ეს მკითხველმა უკვე იცის.

ფათაჰ-ბეგი ამჟამად ომისათვის ემზადებოდა, ამიტომ ლალა აღარც კი აგონდებოდა. ვარდანი სალმანის განთავისუფლებაზე ფიქრობდა. თომას-ეფენდის კი ისე მოეშახრაკებინა საქმეები, რომ მისა ფიქრით საწადელს აისრულებდა.

ღვინით გალეშილმა ოფიცერმა ნასადილევს დაიძინა. ჯარისკაცები ფხიზლად იდგნენ სადარაჯოზე. ჰაირაპეტი და აპო ისევ არ ჩანდნენ. თომას-ეფენდიმ გადაწყვიტა, ამაზე შესაფერ დროს ვერ ვიპოვი, ლალას თაობაზე ხაჩოს მოველაპარაკებიო. მძინარე ოფიცერი მიატოვა და გარეთ გავიდა. „რაკი დავიწყე, უნდა დავამთავრო კიდეც, — გაიფიქრა მან, — ვირზე ჯდომა სირცხვილია, ხოლო ჩამოვარდნა თავის მოჭრაა“.

მოხუცი დაღვრემილი დახვდა, მარტოდმარტო იჯდა ეზოს გალავანთან და გაყინულ ძვლებს მზეზე ითბობდა. მის თვალწინ ჯარისკაცები უტიფრად ხარხარებდნენ, მოსამსახურე ქალებს დასდევდნენ. კალთებში ხელს სტაცებდნენ და ელაზღანდარებოდნენ.

მოხუცი საკუთარი თვალით ხედავდა ამ უსირცხვილო ამბებს ამ სახლში, სადაც მუდამ იყო დაცული ოჯახის სისპეტაკე, სადაც უცხო მამაკაცის ურიგო ღიმილიც კი დაუსჯელი არ რჩებოდა. ახლა კი მის სახლში გარყვნილთა და გათახსირებულთა ხროვა პარპაშებდა. „ეს რა ამბავია ჩვენს თავს? — ფიქრობდა მოხუცი, — რისთვის ვცოცხლობთ?.. რატომ მიწა არ გასკდება და თან არ ჩაგვიტანს? რატომ ცა არ ჩამოწვება და ქვეშ არ მოგვიყოლებს? ეს რა სიცოცხლეა? შენივე თვალით უყურებდე როგორ გხდიან პატივს და ხმას ვერ იღებდე?.. ვიღას მოუმზადა ღმერთმა ჯოჯოხეთი? რატომ არ ისჯებიან მოძალადენი?.. რატომ მენი არ ატყდებათ თავს?“ — ოხრავდა მოხუცი და ცრემლმორეული თვალებით ცას შეჰყურებდა. მაგრამ იქიდან არავითარი პასუხი არ ისმოდა.

ამ დროს მოხუცმა დაინახა, რომ რამდენიმე ჯარისკაცს მისი სახლიდან ნივთები გამოჰქონდა. სარა კი, რომელიც ჯერ კიდევ შინ იყო, ცდილობდა ჯარისკაცისათვის სპილენძის ქვაბი გამოეგლიჯა ხელიდან, ჯარისკაცმა სახბრალო ქალს გულში მუშტი ჩაჰკრა და მიწაზე გაგო-

რა, „ჩემს ქონებას ჩემს თვალწინ ინაწილებენ და არც მეკითხებიან. — მერე რისთვის, რა დავაშავე? იმისათვის, რომ გავბედე და თავშესაფარი მივეცი ადამიანს, რომელიც ქადაგებდა, გლეხის შრომა და საკუთრება ხელშეუხებელიაო. მსჯიან იმისათვის, რომ გავბედე და თავშესაფარი მივეცი კაცს, რომელიც ძალმომრეობის, ძარცვა-გლეჯისა და მხეცური საქციელის წინააღმდეგ ლაპარაკობდა, მოგვიწოდებდა, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი მიწა თქვენია, თქვენს საქმეებს თქვენვე უნდა განაგებდეთ და ცდილობდეთ თურქთა უღელს თავი დააღწიოთო... რა იწვევს ჩვენში ასეთ აზრებს, თუ არა ძალმომრეობა? ჩვენი მყუდროება რომ არ დაერღვიათ, ჩვენი ოჯახისათვის პატივი რომ არ აეყარათ, ჩვენი მონაგარი რომ არ წაერთვათ, ადამიანურად რომ მოგვპყრობოდნენ და პირუტყვივით არ დაგეტახჯეთ, — ჩვენც კმაყოფილნი ვიქნებოდით. „თავისუფლებისმოყვარეობის მამა ძალმომრეობა არისო, ამბობდა დუდუკჩიანი, დედა კი— უსამართლობაო". მხოლოდ ახლა ვხვდები ამ სიტყვების აზრს. მოძალადე თვითონ იჩენს მტერს... თურქი რომ ასე არ მოგვპყრობოდა, შეიძლება შეგვყვარებოდა კიდევაც, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩვენი სისხლი და ხორცი არ არის".

ამ ფიქრებში იყო წასული მოხუცი, გული ზღვასავით უღელავდა, მაგრამ რას დააკლებდა ღონემიხდილი ლომი ამდენ მგელს. გრძნობდა თავის გამოუვალ მდგომარეობას და ხელის გამოღებაზე ფიქრსაც ვერ ბედავდა. „ერთი ხელი ტაშს ვერ დაუკრავსო, — იმეორებდა ცნობილ ანდაზას. — გლეხებს ერთსულოვნად რომ გვემოქმედა, საშველიც მაშინ დაგვადგებოდაო".

ამ სულიერ ტანჯვაში იყო მოხუცი, როცა ეზოში თომას-ეფენდი გამოჩნდა და შორიდანვე მიაძახა:

— ძალიან ცუდად არის საქმეები, მამასახლისო ხაჩო, — „ვირი ისე ღრმად ჩაფლულა ტალახში, რომ ველარაფერი ამოათრევს".

მოხუცმა მისი სიტყვები ვერ გაიგონა, მაგრამ როგორც კი თვალი მოჰკრა. ფეხზე წამოდგა.

— დაჯექი, — უთხრა ეფენდიმ და მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი, — მეც შენთან დავჯდები. ამაზე უკეთეს ადგილს სალაპარაკოდ ვერ ვნახავთ.

ისინი ერთმანეთის გვერდით დასხდნენ.

— როდის წავლენ. — მოხუცმა თავგასულ ჯარისკაცებზე მიუთითა.

— „გიჟი ქორწილში შევიდა, ჩემს სახლს აქა სჯობიაო“. — საინ ან რატომ უნდა წავიდნენ? საჭმელი აკლიათ თუ სასმელი? — უპასუხა ეფენდიმ და უდარდელად გადიხარხარა.

ამ სიცილმა მოხუცს ისედაც დაკოდილი გული სულ მოუკლა. ეფენდიმ ეს შეატყო და სულ სხვაგვარად ალაპარაკდა:

— ნუ დარდობ, მამასახლისო, სანამ თომას-ეფენდი ცოცხალია, თავზე ერთი ღერი თმაც არ დაგაკლდება.

— არ დამაკლდება? — ცოტა არ იყოს გაბრაზებით უპასუხა მოხუცმა. — ვერა ხედავ, სახლს თვალწინ მიპარტახებენ, მე კი ხელიც ვერ გამინძრევია...

— რას იზამ, ასეთი ჩვეულება აქვთ. ძაღლი საყასბოში რომ შევა, ძვალს მაინც დაითრევს. შენც კარგად იცი, მამასახლისო, თურქი რომ სომხის ოჯახში შევა, ხელცარიელი არ გაბრუნდება... მაგრამ ეგ კიდევ არაფერი. ღმერთს მადლობა შესწირე, რომ მარტო ქონებაა ეზიდებიან და თავად არაფერს გერჩიან.

მოხუცი აკანკალდა. მომხდარი ამბებით ისე იყო თავზარდაცემული, რომ ეფენდის ყოველი სიტყვა გულში ისარივით ესობოდა.

— რა მოხდა, რა ამბავია? — წამოიძახა სასოწარკვეთილმა ხაჩომ, — თუ კიდევ იცი, რამ, მითხარი, რაღას მაწვალებ. თუ სასიკვდილო ვარ, უმჯობესია მალე მოვკვდე!

— გეტყვი, ყველაფერს გეტყვი, მამასახლისო, მოთმინება იქონიე, — უპასუხა ეფენდიმ უფრო სერიოზულად და ისევ ვირების ანდაზა მოიშველია: „ვირს თუ ფეხის მოტეხა არ უნდა, რკინას წიხლი არ უნდა ჰკრასო“... ამას იმიტომ გეუბნები, მამასახლისო, რომ სომხებს არ გამოადგებათ თურქებთან ჩხუბი, განსაკუთრებით ამ ომიანობის დღეებში.

მაგალითისათვის ვანის გადაბუგვა გაიხსენა და დაუწყო მტკიცება, ვინც თურქებს ერთგულებას არ ეფიცება დიდ სისულელეს ჩადისო, თურქებმა ვანში იმიტომ გადაბუგეს რამდენიმე ათასი სომხის დუქანი და დაიტაცეს მათი საქონელი, რომ სომხები იქ რუსების სასარგებლოდ ჯაშუშობდნენო. ამის შემდეგ, დაუმატა ეფენდიმ, ცხადია სომხებმა ომში რუსებს მხარი არ უნდა დაუჭირონო. შემდეგ

კვლავ ერთგულების საკითხს დაუბრუნდა და უთხრა, თურქები იმ-დენად ცუდები არ არიან, რამდენადაც ჩვენ გვგონია, სომხების ბედი თურქებზეა დამოკიდებული და აჯანყება მათ წინააღმდეგ სისულ-ელედ უნდა ჩავთვალოთო. ამიტომ არის, რომ სისულელედ მიაჩნია სალმანის საქციელი და სულაც არ იდარდებს, თუ მას სასტიკად დასჯიან. იმას წუხს მხოლოდ, რომ სალმანის გამო რამდენიმე კაცი უნდა დაისაჯოს.

— ვინ უნდა დაისაჯოს? — სიტყვა შეაწყვეტინა მოხუცმა და ფერი ეცვალა.

— შენ და შენი ვაჟები ჰაირაპეტი და აპო, აგრეთვე შენი სტუ-მარი ვარდანი. — უპასუხა ეფენდიმ.

საბრალო მოხუცს კინაღამ დამბლა დაეცა, მაგრამ ტანჯვა-წამებ-ით აღსავსე ცხოვრებას და მუდმივ საშიშროებას ისე გაეკაჟებინა მისი გული, რომ მოხუცმა ეფენდის სიტყვებსაც გაუძლო, აღშფო-თებაც დაიოკა და მშვიდად უპასუხა:

— ჩვენ რაღა დავაშავეთ?

— მამაცხონებულო, ისე გულუბრყვილოდ მეკითხები, თითქოა ბავშვი იყო. ვითომ არ იცი, რა დააშავეთ, — დაცინვით უპასუხა ეფენდიმ. — რა დაშავა სრულიად ჯანსაღმა ადამიანმა, რომელსაც ავადმყოფად თვლიან მხოლოდ იმიტომ, რომ ხოლერით დასნეულ-ებულთა შორის იყო? ასეთმა კაცმა გაქცევაც რომ მოინდომოს, გა-დამდებ სნეულებას გავერიდებიო, დაიჭერენ, სოროში ჩააგდებენ და იმდენს უბოლებენ და უხრჩოლებენ, სანამ მთლად არ გაგუდავენ.

— მაშ, ჩვენც სოროში ჩაგვყრიან? — წამოიძახა მოხუცმა და დანაოჭებული სახე აუთრთოლდა.

— დიახ, ჩემო ბატონო. — ცივად უპასუხა ეფენდიმ.

განა ეფენდი იმიტომ არ მოვიდა მოხუცთან, რომ ლალას ხელი ეთხოვა და ეთქვა, შენი ქალიშვილი მიყვარსო? მაშ რატომ ტანჯავდა ასე საბრალო მოხუცს?

როგორც უკვე ვთქვით, თომას-ეფენდი ცდილობდა მამასახლისი გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეყენებინა, დაერწმუნებინა, რომ თქვე-ნი ბანა მხოლოდ მე შემიძლიაო, და იძულებული გაეხადა ლალა მსხვერპლად გაეღო. ეფენდიმ კარგად იცოდა, რომ მოხუცი ქალი-შვილს ადვილად არ გაატანდა ცოლად, განსაკუთრებით იმის შემდეგ,

რაც ვარდანმა ყველას თანდასწრებით ბრალი დასდო, რამდენიმე ცოლი გყავდა და ყველა მიატოვეო. ეფენდიმ კი ეს ბრალდება ვერ უარყო.

ეფენდი როცა მიხვდა, გადავაჭარბე, მოხუცი მეტისმეტად შევაშინეო, დამშვიდება დაუწყო.

— შესაძლებელია, რამდენიმე დღით დაგაპატიმრონ, მაგრამ არ იდარდო, ეგ მხოლოდ ფორმალობისათვის არის საჭირო. თომას-ეფენდიმ საქმე ისე მოაჭიანჭაკა, რომ თქვენ არაფერი დაგიშავდეთ.

მოხუცმა არაფერი უპასუხა. დილით ეფენდი სულ სხვახაირად ლაპარაკობდა. ხაჩოს ეჭვი დაებადა...

## თავი ოცდამეცხრე

დილით სახლიდან გასულმა ვარდანმა, ჰაირაპეტმა და აპომ არ იცოდნენ, რა მოხდა მათი შინ არ ყოფნის დროს. მათ არ იცოდნეხ არც თომას-ეფენდის მზაკვრული განკარგულებების, არც სახლის გაჩხრეკისა და არც ჯარისკაცთა უგვანო საქციელის ამბავი.

სალმანის ძებნაში რამდენიმე სოფელი შემოიარეს, ყველგან მის ამბავს კითხულობდნენ. ბოლოს მიაგნეს იმ სახლს, სადაც უკანასკნელად გაეთია ღამე. სახლის პატრონი გულკეთილი კაცი ჩანდა, მოჭკვა, არ ვიცი, რა შეეშინეა საწყალ ჭაბუკს, მხოლოდ ის კია, რომ შუაღამემდე სოფლის ახალგაზრდებს ესაუბრებოდა, ახალგაზრდები რომ დაიშალნენ, მარტო დარჩა. ფანჯარა მიეართვით, ოდაში ლოგინი გაეშალეთ და მოვასვენეთ. დილით ადრე ვნახეთ, რომ ოდაში აღარ იყო. სად გაქრა ვერ გავიგეთო.

ვარდანი თავისი ამხანაგებით იმ ოთახში შევიდა, სადაც სალმახს ღამე გაეტარებინა. იქ იატაკზე დაგდებული ქაღალდის ნაგლეჯი იპოვეს. გაკრული ხელით ფანქრით ეწერა „დამაპატიმრეს". „ლ. ს." ვარდანმა ბარათი წაიკითხა, ჰაირაპეტს გადასცა და თქვა:

— ამას მოველოდი.

ამ ამბავმა ისე იმოქმედა, თითქოს მეხი დაეცათო. დარტყმა ორმაგი იყო: დაკარგეს ამხანაგი, კეთილ სურვილებს აყოლილი ჭაბუკი, რომელიც თავისმა გამოუცდელობამ იმსხვერპლა, გარდა ამისა სალ-

მანის დაპატიმრებას შეიძლებოდა დაეღუპა ის საქმეც, რომლისთვისაც თავის შეწირვა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

სახლის პატრონი გაოცებული შესცქეროდა სამივეს: ვერ მიმხვდარიყო ქალალდის ამ პატარა ნაგლეჯმა სტუმრები ასე რატომ დაამწუხრა.

ვარდანი და მისი ამხანაგები უსიტყვოდ გამობრუნდნენ უკან.

საღამო იყო. ნახირი ბღავილით ბრუნდებოდა საძოვრებიდან და მტვრის კორიანტელს აყენებდა. გლეხებმაც ყანებიდან სიცილ-ხარხარით და ხუმრობით შინ გამოსწიეს, არც ერთს აზრადაც არ მოსვლია, რომ მათ სოფელში წინა ღამით ორი ბოროტმოქმედება მოხდა: დააპატიმრეს ჭაბუკი და პატივი ახადეს ქალიშვილს, ხოლო ორივე ბოროტმოქმედება იმ კაცმა ჩაიდინა, რომელიც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა.

— გლეხი, იგივე ბავშვია, — უთხრა ვარდანმა ამხანაგებს. — ჭკოლოდ მოზრდილი. ბავშვი რომ რამეს იტკენს, იმდენ ხანს ტირის, სანამ ტკივილს გრძნობს, როცა ტკივილი გაუელის, ყველაფერი ავიწყდება. თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. კვლავ თამაშსა და სიცილს განაგრძობს. ასეთ მოზრდილ ბავშვებთან საქმის დაჭერა ძალიან ძნელია. საუკუნეთა მანძილზე იჩაგრებოდნენ, საუკუნეთა მანძილზე უჭირდათ, ჭუჭყსა და სიბინძურეში ცხოვრობდნენ, მაგრამ ყოველივე ამას თითქოს ვერ გრძნობდნენ და თავიანთ სიდუხჭირესა და გასაჭირს ადვილად ივიწყებდნენ, შრომობდნენ, მაგრამ იმას არ ფიქრობდნენ, ვისთვის და რატომ შრომობდნენ და ან რა ჰქონდათ გასახარელი.

— თომას-ეფენდი გლეხებს ტყუილად როდი უწოდებს ვირებს, ხოლო მათ დამცველებს — ხენთებს. — განაგრძო ვარდანმა, — მოდი ახლა და იმ გლეხებს უთხარი, ჭაბუკი, წუხელ ასე გატაცებით რომ გიხსნიდათ რა არის ადამიანის უფლებები, რას ნიშნავს შრომა და როგორ უნდა დაიცვათ თქვენი ღირსება, დაპატიმრებულია და, ვინ იცის, იქნებ ხვალ ჩამოახრჩონ კიდევაც. ყველა ერთხმად გეტყვის — ხენთი იყო! — მაგრამ მე ახლა სულ სხვა რამ მაფიქრებს. მე მგონია, სალმანის დაპატიმრებაში თომას-ეფენდის ხელი ურევია.

— მეც ასე ვფიქრობ, — უპასუხა ჰაირაპეტმა.

— უნდა შევამოწმოთ. — თქვა ვარდანმა.

ღამდებოდა. საღამოს წირვა დამთავრებულიყო და სოფლის მოხუცი ქალები და კაცები ეკლესიიდან ბრუნდებოდნენ. ვარდანი და მისი მეგობრები სოფლიდან გასვლას ჩქარობდნენ.

— კარგი ნემსები, ჭრელ-ჭრელი ძაფები, ლამაზი მძივები... — ვინაცვალ კოჭლი ჩარჩის ნაცნობი ხმა. იგი მათკენ მოდიოდა, ისევე კოჭლობდა როგორც ამ რამდენიმე დღის წინათ. ზურგზე ისევ ის ვეება ყუთი ეკიდა და ხელშიც იგივე უშველებელი კეტი ეჭირა. ვარდანი და მისი ამხანაგები რომ დაინახა, უთხრა:

— კეთილო ბატონებო, იყიდეთ რამე. უკვე საღამოა, იაფად მოვცემთ.

— აბა, გვიჩვენე, რა გაქვს? — ჰკითხა ვარდანმა.

— ყველაფერი, რაც სულსა და გულს უნდა, — უპასუხა ჩარჩმა და ყუთი მიწაზე დადო.

ვარდანი დაიხარა, ვითომ საწვრილმანო საქონელს ათვალიერებდა და ჩარჩს შეუმჩნეველად ხელში სალმანის ბარათი ჩაუდო. ჩარჩმა თვალი გადააკლო ნაწერს და წაიჩურჩულა:

— ეგ ვიცი...

— რა ვქნათ?

— შეგხვდებით, მოვილაპარაკოთ.

— სად?

— გზა განაგრძეთ, გიპოვით.

ჰაირაპეტსა და აპოს არაფერი გაუგიათ. ჩარჩმა კვლავ ზურგზე მოიკიდა ყუთი, გზას გაუყვა და წაიბუტბუტა:

— მეყოფა. დღეს გვარიანად ვივაჭრე, დროა დავისვენო.

ვარდანმა და მისმა ამხანაგებმა გზა განაგრძეს. ქოხებში უკვე ჭრაქებს ანთებდნენ. ოსტატ პეტროსის სახლს რომ ჩაუარეს, შენიშნეს მეზობელი ოჰო თავის სახლის წინ იდგა.

სომეხი გლეხი შებინდებისას უცხო კაცს რომ მოჰკრავს თვალს, ნაცნობი იქნება თუ უცნობი. როგორც წესი, მიიპატიჟებს, გვესტუმრეთო. ვარდანმა და მისმა ამხანაგებმა ასეთი მიპატიჟება ბევრისაგან მიიღეს, მაგრამ მადლობა მოახსენეს და გზა განაგრძეს. ოსტატ პეტროსის სახლის წინ კი შეჩერდნენ. ისინი არავის მიუპატიჟია, მაგრამ ხელოსნის სახლიდან რაღაც უჩვეულო ძახილი შემოესმათ, თითქოს

ვიღაც შველას ითხოვდა. სახლში შეირბინეს, მაგრამ იქ არავინ იყო.

ძახილი გომურიდან მოისმოდა, აპომ ანთებულ ჭრაქს დასტაცა ხელი და სამივენი გომურში შეცვივდნენ. თვალწინ ასეთი სურათი წარმოუდგათ: ქალიშვილს თოკის ყულფში გაეყო თავი და ჭერზე იყო ჩამოკიდებული; ქალს კი მუხლებში ხელი მოეხვია და მის ჩამოხსნას ცდილობდა.

— გამიშვი, გამიშვი! — ჩახლეჩილი ხმით გაიძახოდა ქალიშვილი.

— ბარბარე, ბარბარე, — შეწუხებული ხმით შეჰღაღადებდა ქალი.

მეგობრებმა უმალვე გადაჭრეს თოკი და ცოცხალ-მკვდარი ქალიშვილი ჩამოხსნეს. ერთი წუთითაც რომ დაეგვიანებინათ, ყველაფერი გათავებული იქნებოდა, ქალს ძალა ისე გამოლეოდა, რომ ბარბარეს გადარჩენას ვეღარ შეძლებდა.

ქალიშვილი ხელში აიყვანეს, ქოხში შეიტანეს და ლოგინზე დაანვინეს. ჯერ გონს ვერ მოსულიყო. დროდადრო გალურჯებული სახის ნაკვთები უთრთოდა და მოკუმულ ტუჩებიდან ერთი და იგივე სიტყვა — „გამიშვი“ დასცდებოდა ხოლმე. შუშანი ტიროდა და ვიღაცას წყევლიდა, სახელს კი არ ახსენებდა. საბრალო ქალი რამდენიმეჯერ მივიდა ქალიშვილთან. მისი ლამაზი თავი გულში ჩაიხუტა და უთხრა: „ბარბარეჯან, რატომ იკლავდი თავს... შენ რა დააშავე... დაე, ის უნამუსო დასაჯოს ღმერთმა“.

ვარდანი და მისი ამხანაგები მიხვდნენ, რომ აქ რაღაც საიდუმლო იმალებოდა. მაგრამ რა, ვერ გაიგეს, შუშანი არაფერს ამბობდა, მის გარდა კი სახლში ორი ბავშვის მეტი არავინ იყო. ჰაირაპეტი კარგად იცნობდა შუშანის ქმარს. ოსტატი პეტროსი ხშირად დადიოდა ხაჩოს სახლში და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს ურემონტებდა. მის ცოლს კი პირველად ხედავდა. ახლო ნაცნობიც რომ ყოფილიყო, სულ ერთია გლეხი ქალი უცხო კაცს თამამად მაინც ვერ დაელაპარაკებოდა. შუშანმა მხოლოდ დალოცა, მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის და სთხოვა, ეს ამბავი ჩემს ქმარს შეატყობინეთო.

— სად არის თქვენი ქმარი? — ჰკითხა ჰაირაპეტმა.

— მეზობელ სოფელშია წასული სამუშაოდ, — უპასუხა შუშანმა.

ის იყო ვარდანმა და მისმა ამხანაგებმა წასვლა დააპირეს. რომ ბარბარემ თვალი გააცილა და წყალი მოითხოვა. შუშანმა მაშინვე მიუტანა. ქალიშვილმა ხარბად დალია. სახე გალურჯებული აღარ ჰქონდა, მაგრამ ძალიან ფერმკრთალი იყო. თავი ისევ ბალიშზე მიდო და სახეზე საბანი წაიხურა. საბნის ქვეშიდან ყრუ ქვითინი გაისმა. გულსაკლავი იყო ეს ტირილი. მაგრამ ვარდანმა და მისმა ამხანაგებმა მაინც გაიხარეს, დარწმუნდნენ, რომ ქალიშვილი უკვე გადარჩენილი იყო.

ქუჩაში ერთი ბიჭი ნახეს, შავი ფული აჩუქეს და ოსტატ პეტროსის დასაძახებლად გაგზავნეს.

მეზობელი ოჰო ისევ თავისი სახლის წინ იდგა. მან ვარდანი და მისი ამხანაგები ისევ შეიპატიჟა:

— მამაცხონებულებო, ამ ბნელ ღამეში სად მიდიხართ? ეჰ, რომ იცოდეთ წუხელ რა ქეიფი გვქონდა, — დაუმატა ოჰომ. — ამაღამაც მოვახერხებთ რამეს.

— რა ქეიფი გქონდათ? — დაინტერესდა ჰაირაპეტი.

ოჰომ დიდის აღტაცებით უამბო, რომ გუშინ თომას-ეფენდი სტუმრად იყო პეტროსის სახლში, ოჰოც დაპატიჟეს. მთელ საღამოს მუსიკოსები უკრავდნენ, გოგოები ცეკვავდნენ, ბევრი ჭამეს და დალიეს, ბევრიც იმხიარულეს.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ძალიან კარგი კაცია თომას-ეფენდი, იმდენი არაყი მოატანინა, რომ კაცი შიგ იბანავებდა, — დაამატა ოჰომ.

— თან ყველა გამოგათროთ, არა? — ჰკითხა ვარდანმა.

— მამაცხონებულო, ვინ არ დათვრებოდა იმდენი სმით, — სიცილით უპასუხა ოჰომ. — რა ქეიფია, თუ არ დათვრები.

— სახლის პატრონი შინ იყო?

— მე ვცვლიდი.

— შენ რომ დათვერი, მერე ეფენდიმ შეგცვალა, არა?

— მე აღარაფერი გამეგებოდა, წამოკიდებული მივუტანივარ შინ.

მეგობრები ოჰოს გამოემშვიდობნენ და გზას გაუდგნენ.

— ახლა კი მესმის, რატომ იკლავდა თავს საბრალო ქალიშვილი, — უთხრა ვარდანმა ჰაირაპეტს.

— მე ვიცი, ვინც დააბეზღებდა სალმანს. — თქვა ჰაირაპეტმა.

— ეჭვი არ არის, რომ თომას-ეფენდის დაბეზღებულია. — უპასუხა ვარდანმა. — ეგ ისეთი გაქნილი კაცია, რომ შეუძლებელია არ მიხვედრილიყო სალმანის ზრახვებს და თურქეთის მთავრობას ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ერთგულება. ღამით ამ სოფელში ყოფილა, ადვილი მისახვედრია, რომ სალმანს ეგ დააჭერინებდა. რაკი ვიცით, რა გულის პატრონიც არის ეფენდი, საეჭვო აღარაფერია.

მეგობრები მდუმარედ მიჰყვებოდნენ გზას, თვითეული მათგანი მხოლოდ იმას ფიქრობდა, როგორ გადაერჩინათ ჭაბუკი.

— რასაც ამბობ, ვარდან, ყველაფერი მართალია. — დაარღვია სიჩუმე ჰაირაპეტმა, — მაგრამ შენ ისა თქვი, ახლა რა ვიღონოთ?

— მე საკმაოდ კარგად ვიცნობ თურქ მოხელეებს, ვიცი, რა უგულო, უსამართლო და დაუდევარი არიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, — უპასუხა ვარდანმა. — ამიტომ, ვფიქრობ, არ გამიძნელდება სალმანის განთავისუფლება. ჩემი ორი მსახურის მამაცობა კარგად მოგეხსენებათ. ცხენები მზად გვყავს, აბალამვე შევასხდებით და დავედევნებით. სადაც არ უნდა ჰყავდეთ. სულ ერთია. მივაგნებთ და თუ სხვა ვერაფერი ვიღონეთ, ძალას ვიხმართ, კარგა ხანია ვიცი, რა მხდალებიც არიან თურქი მცველები.

— ჩვენც გამოგყვებით, — უთხრეს ჰაირაპეტმა და აპომ. — მარტო ვერ გაგიშვებთ.

— თქვენი წამოსვლა არც საჭიროა და საშიშიც არის, — უპასუხა ვარდანმა.

ვარდანს ჩარჩის სიტყვები გაახსენდა, გადაწყვიტა ცოტა ხანს დალოდებოდა და ამხანაგებს უთხრა:

— მოდით, დავსხდეთ, მოვითათბიროთ, სიარულში ძნელია რაიმეს გადაწყვეტა.

ვარდანი თითქოს დაღლილი იყო, სევდას მოეთენთა, მაგრამ გულში ბოღმა უტრიალებდა და, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ხელდებოდა.

გზას გადაუხვიეს და ერთი ბაღჩის ახლოს ფარდულში დასხდნენ. ბაღჩას არავინ დარაჯობდა. ნაყოფი ჯერ არ იყო შემოსული. მებოსტნის ფარდული დაღლილი მგზავრებისათვის პირდაპირ მის-

ნრეპაა. წვიმაში თუ სიცხეში თავს შეაფარებს, დაისვენებს, ამ მხარეში კი წვიმაც ხშირად იცის და ხვატიც.

უმთავარი, მაგრამ ნათელი ღამე იყო, შორს სოფელ ო...ს ქოხებში სანათლე ციატებდა და დროდადრო ყრუდ ისმოდა ძაღლების ყეფა.

ვარდანმა შეწყვეტილი საუბარი განაგრძო. ისევ გაუმეორა მეგობრებს, ყოველგვარი საშუალება უნდა გამოვიყენოთ სალმანის გასათავისუფლებლად, თორემ სიკვდილით დასჯა არ ასცდებაო. მაგრამ ამ საქმეში ჰაირაპეტისა და აპოს მონაწილეობა საშიშად მიაჩნდა, უმთავრესად იმიტომ, რომ ასეთი ცდა ან კეთილად დამთავრდებოდა ან ჩაიფუშებოდა და ორივე შემთხვევაში ჰაირაპეტი და აპო თურქების შურისძიებას ვერ გადაურჩებოდნენ.

— ეს საქმე შესაძლოა უსისხლოდ და უბრძოლველად არ დამთავრდეს. შეიძლება მას მსხვერპლიც მოყვეს, — თქვა ვარდანმა,— და თუ თქვენ მონაწილეობას მიიღებთ, როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებს, დაუსჯელს არ დაგტოვებენ. ამასთან დაგსჯიან არა მარტო თქვენ, დასჯიან თქვენს ნათესავებსა და ხაჩოს მთელ ოჯახს. მე კი ასეთი საშიშროება არ მომელის. მე, როგორც სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომი, როგორც უცხოელი, რასაც მინდა ვიზამ. ვერე კი დავკრავ ფეხს და გავიქცევი. ველარავინ მიპოვის, მით უმეტეს ომიანობის ამ არეულ დროს.

ათას ქარცეცხლში გამოვლილი ვარდანის მოსაზრებანი რომ მოისმინეს, ჰაირაპეტმა და აპომ უპასუხეს:

— ტანსაცმელს გამოვიცვლით და ჩვენც ვერავინ გვიცნობს.

— სულ ერთია, მაინც არაფერი დაიმალება. ადგილობრივ სომეხთა შორის ცოტა როდია თომას-ეფენდის მსგავსი ხალხი, დაგაბეზღებენ, რომ თურქების გული მოიგონ. საამისოდ ისინი არაფერს დაიშურებენ, ნათესავსაც კი გასწირავენ. სომეხი სომეხს ხშირად მტრობს.

უკანასკნელ სიტყვებს გული ამოაყოლა. იმ დღეს მომხდარმა ამბებმა ვარდანი სულ მოშალა. საშინლად აღაშფოთა ერთი მხრივ, საყვარელი ჰაბუკის დაპატიმრებამ და ხალხის გულგრილობამ. მეორე მხრივ, საბრალო ბარბარეს უბედურებამ და თომას-ეფენდის სიძაგლემ. მაგრამ მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რა შემზარავი ამბები დაატრიალა ამ არამზადამ მოხუცი ხაჩოს სახლში.

ვარდანი ისე იყო აღშფოთებული და აღელვებული, რომ თითქმის დაავიწყდა ლალა — ეს ნაზი არსება, რომელსაც მის გულში უპირველესი ადგილი ეჭირა. უცებ თვალწინ წარმოედგა ქალიშვილის დაღვრემილი და მუდარით აღსავსე თვალები. თითქოს ეუბნებოდა: სად მიდიხარ, რატომ მტოვებ? საყვარელი ამხანაგის გასათავისუფლებლად მიდიხარ? მაგრამ მეც ხომ შენი სიყვარული ვარ? შენ ხომ დამპირდი, წაგიყვან, აქაურობას მოგაცილებო? მე აქ ვერ გავძლებ, ძალიან მეშინია, ქურთებისა მეშინიაო...

ვარდანის გულში გრძნობათა სასტიკი ჭიდილი იყო. თვალწინ ედგა საყვარელი ქალიშვილისა და გულითადი ამხანაგის სახე. ორივეს უნდა დახმარებოდა, ორივეს სიცოცხლე განსაცდელში იყო...

ვარდანმა ჯერჯერობით დანამდვილებით არ იცოდა, რა უბედურებაა უმზადებდა ლალას ფათაჰ-ბეგი, სამაგიეროდ კარგად იცოდა, რა ვერაგულ მახეს უგებდა მას თომას-ეფენდი. ვარდანს სწამდა, რომ ბოროტი განზრახვის შესასრულებლად ეფენდი არაფერს დაიშურებდა.

ჩალით გადახურულ პატარა ფარდულში ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ჰაირაპეტიც ლალაზე ფიქრობდა. მან იცოდა ლალას და ვარდანის სიყვარულის ამბავი და გუნებაში ამ ჭაბუკს დაუკავშირა დის ბედი. ახლა კი ვარდანი ამხანაგის გასათავისუფლებლად მიდიოდა. ან შეაკვდებოდა თურქებს ან ამხანაგს იხსნიდა. ორივე შემთხვევაში ლალას დაკარგავდა. შეიძლება მის დაბრუნებამდე ფათაჰ-ბეგმა ლალა კიდევაც მოიტაცოს? ვარდანმა, ალბათ, ეს არ იცის და არც შეუძლია იცოდეს, მისთვის ჯერ არავის უთქვამს ფათაჰ-ბეგის განზრახვა. იქნებ სჯობს ახლა მაინც უთხრას? მაგრამ როგორ უთხრას? ვარდანს ხაჩოს ოჯახის არც ერთი წევრისათვის დღემდე არ უთქვამს, რომ ლალა უყვარდა და მისი ცოლად შერთვა უნდოდა. ეს საიდუმლოება სარამ შემთხვევით გაიგო.

ერთი მეორის მიყოლებით მომხდარმა ამბებმა, როგორც ჩანს, ვარდანს გულისნადების გამჟღავნების საშუალება არ მისცა. ახლა კი მისმა ამ ახალმა სახიფათო განზრახვამ შეიძლება მთლად დააშოროს ლალას. იფუშებოდა ჰაირაპეტის იმედები, რომ ვარდანი იხსნიდა ლალას და წაიყვანდა სულ სხვა, უცხო ქვეყანაში, იქ, სადაც სიხსნისმსმელ ფათაჰ-ბეგს ხელი ვეღარ მიუწვდებოდა.

სალმანის დაკარგვა არანაკლებ უკლავდა გულს ჰაირაპეტს. ვარ-დანზე უფრო მეტად შეუყვარდა მას ეს თავგანწირული ჭაბუკი. ნამ-დვილი უკეულობა იქნებოდა, რომ ახლა თურქებისათვის შეეტოვები-ნა ხელში ციხეში ჩაალპობდნენ, აწამებდნენ და სიცოცხლეს გამოა-სალმებდნენ. მაგრამ ჰაირაპეტმა რომ ახლა ვარდანს უთხრას, რა საშიშროება მოელის ლალას, შესაძლოა ხელი აიღოს კეთილ განზრა-ხვაზე, უარი თქვას სალმანის გადარჩენაზე, მაშინ ხომ ჰაირაპეტის მიზეზით ჩაიშლება მეგობრის გათავისუფლების საქმე!

ორივე ამბანაგი ღრმა ფიქრებს მისცემოდა, ამ რთული და აწე-წილ-დაწეწილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდნენ. ლალასაც და დაპატიმრებულ ჭაბუკსაც სასწრაფოდ უნდა დახმარებოდნენ, მაგრამ ძნელი გადასაწყვეტი იყო, რომელს მიშველებოდნენ პირ-ველ რიგში.

რას ფიქრობდა ამ დროს აპო, ეს გულღია და გულადი სოფლე-ლი ყმაწვილი? მართალი გითხრათ, არაფერს არ ფიქრობდა. იგი ისე-თი ბუნიათის კაცი იყო, რომ თუ ეტყოდი ყველგან გამოგყვებოდა, ოღონდ ცუდი საქმე არ უნდა დაგეკალებინა. მამაცსა და მოხერხე-ბულ აპოს გასაჭირში ბადალი არ ჰყავდა.

საქმეს ნათელი ისევ ვარდანმა მოჰფინა. ძმებს ყველაფერი უამბო, გულწრფელად აღიარა ლალა მიყვარს, იმასაც ვუყვარვარ და გადაწყვეტილი მაქვს მოვიტაცო, რადგან მეეჭვება რომ ხაჩო ქალს მომცემს. როგორც ვატყობ, იმას თვალი თომას-ეფენდიზე უჭი-რავს და სიძედაც ის უნდაო.

— ეფენდიზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, — განაგრძო მან, — ორივენი კარგად იცნობთ, დღეს კი უკეთ გაიცანით. თომას-ეფენ-დის რომ ქალიშვილი მიათხოვოთ, ეს იმას ნიშნავს, მგელს ან ძაღლს მიუგდოთ. მაგრამ მე ერთი ამბავი მაწუხებს: როგორც უკვე გითხა-რით, სალმანის გადასარჩენად უნდა წავიდე, ამ განზრახვაზე ხელს ვერ ავიღებ, მეგობრის გათავისუფლება მძიმე ვალად მაწევს. გარდა ამისა, განსაცდელში რომ ჩავარდა ნაწილობრივ ჩემი ბრალიც არის ვამხნევებდი, ვაქებებდი და უფრო ვუღვივებდი გულში გაჩაღებულ ცეცხლს. ამით მისი დაღუპვა დავაჩქარე. ახლა ვალდებული ვარ გა-დავარჩინო. მეორე მხრივ, — განაგრძო მან, — ბედის ანაბარად ვერც ლალას მივატოვებ. ვინ იცის, იქნებ ეფენდიმ დღეს თუ ხვალ

ისე გაჩარხოს საქმე, რომ ლალა მაგ საზიზღარი კაცის ცოლი გახდეს. მაშინ რა ბედი ეწევა საბრალოს?

ჰაირაპეტმა ვარდანს უთხრა, ლალა ყველაფერში გამოუტყდა ჩემ ცოლს სარას, სარამ კი მე მიამბო თქვენი სიყვარულის ამბავიო. თუ მალე მოიტაცებ ლალას, მე და ჩემი ძმები მოხარული ვიქნებითო.

— აქ საქმეში მარტო ეფენდი როდია გარეული, — დაუმატა ჰაირაპეტმა. — სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც გვაქვს, რომ ლალა რაც შეიძლება მალე მოვაცილოთ აქაურობას.

— სხვა რა მიზეზია? — აღელვებით იკითხა ვარდანმა და თვალები აენთო.

ჰაირაპეტმა დაწვრილებით უამბო, რას იზრახავდა ქურთი ბეგი, ისიც უთხრა, ბეგს ქალბატონი ხურშიდი უშლის ხელს, ქმრის განზრახვა სარას შეატყობინა და ურჩია რაც შეიძლება მალე წაიყვანეთ ლალა უცხო მხარეშიო. მოკლედ, ჰაირაპეტმა ვარდანს არაფერი დაუმალა.

ვარდანი ღრმად დამწუხრებული უსმენდა ჰაირაპეტს. მისი ყოველი სიტყვა საბრალო ჰაბუკის გულს შხამიანი ისარივით ხვდებოდა.

— ყოველივე ეს იცოდით და მალავდით? — გაბრაზებით წამოიძახა მან, — უცდიდით, როდის მობრძანდებოდა ბეგი და დღისით-მზისით მშობლიურ სახლიდან გაიტაცებდა თქვენს დას! თქვენ კი თვალებდაჭყეტილები შეაცქერდებოდით, როგორ ახდიდნენ ნამუსს ლალას!

მხოლოდ ახლა მიხვდა ვარდანი, რატომ ლაპარაკობდა ლალა ისე სევდიანად და სასოწარკვეთილებით იმ ბნელ ღამეს, როცა პირველად შეხვდა ბაღში, რატომ არ ეკითხა, სიყვარულსა და ბედნიერებაზე საუბრის ნაცვლად მშვენიერი თვალებიდან ცრემლს აფრქვევდა და მღელვარებით იმეორებდა: „მე სონასთან არ წავალ... მე სამარისა მეშინია... ქურთების მეშინია... გადამარჩინე. წამიყვანე უცხო ქვეყანაში“. როგორც ჩანს, იცოდა რა მწარე ბედიც ელოდა და ამიტომ უამბო უსაზღვრო მწუხარებით თავისი ამხანაგის ნარგიზის ამბავი, თუ როგორ მოიტაცეს ის ქურთებმა და რა ბულმოკლული და უბედური იყო ნარგიზი.

ზოგჯერ, დიდი უბედურება ადამიანს ერთბაშად სიმამაცეს მატებს. ასე მოხდა ახლაც. ვარდანი უკვე აღარ ყოყმანობდა, მტკიცედ გადაწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. მეგობრისადმი ერთგულების გრძნობამ დაჩრდილა ლალას სიყვარული. მეგობრის დაღუპვასთან ერთად იღუპებოდა გაძვალტყავებული და ჩაგრული გლეხობის განთავისუფლების იდეა, რომლის განხორციელება თავისუფლებას მოუტანდა არა მარტო ლალას, არამედ ათასობით ქალს. „განა უფლება ჰაქვს საერთო ინტერესები პირადულს შევწირო?“ — ფიქრობდა ჭაბუკი.

— მაინც, ის უნდა გაგიმეოროთ, რაც ამ რამდენიმე წუთის წინ გითხარით, — თქვა ვარდანმა, — სალმანს ვერ შეველევი, ბედის ანაბარად ვერ მივატოვებ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, გავათავისუფლებ. ცხადია, ლალაზეც ვიზრუნებ. ამიტომ აი რას გირჩევთ.

— არავითარი რჩევა საჭირო არ არის, — თქვა ვიღაცამ და მათ წინ კოჭლი ჩარჩი აღიმართა.

მისი დანახვა ვარდანს ძალიან გაუხარდა, ჰაირაპეტსა და ასოს კი არ ეპიამოვნათ, იფიქრეს ეს უცხო კაცი ფარულად ყურს გვიგდებდაო. მათ არაფერი იცოდნენ ამ კაცის შესახებ, მაგრამ როცა დაინახეს, რომ ვარდანმა მეგობრულად მოჰკიდა ხელი და გვერდით მოისვა, ცოტა არ იყოს, დამშვიდდნენ.

ვარდანმა ჩარჩი ძმებს გააცნო და უთხრა:

— შეგიძლიათ ეჭვი არ შეგეპაროთ, ჩვენი კაცია.

მელიქ-მანსურს ახლა ტანთ ლაზების ეროვნული ტანსაცმელი ეცვა და თავით ფეხამდე შეიარაღებული იყო.

— დიდხანს ვერ დავრჩები, — თქვა მელიქ-მანსურმა, — ხომ იცით, რომ ჩვენი „მედუდუკე“ მახეში გაება. უნდა გავათავისუფლოთ.

— ახლა სწორედ მაგაზე ვლაპარაკობდით, — უთხრა ვარდანმა.

— დარდი ნუ გაქვთ: ხვალ ან ზეგ თავისუფალი იქნება. — თქვა მელიქ-მანსურმა და ფეხზე წამოდგა. — თქვენ მხოლოდ ჩვენი საერთო საქმე განაგრძეთ. ახლა კი ღამე მშვიდობისა.

— მარტო მიდიხართ?

— არა, იქ ამხანაგები მიცდიან, — უთხრა მელიქ-მანსურმა და

გზისკენ მიუთითა, ღამის სიბნელეში ცხენოსანთა რაზმი ილანდებოდა.

— ვინ არიან, — ჰკითხა ვარდანმა.

— ახალგაზრდა მთიულები, აბა, მე წავედი.

ვარდანს კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხა, მაგრამ მელიქ-მანუერი უკვე შორს იყო. ჰაირაპეტი და აპო გაშტერებული დარჩნენ. მათ ჯერ არ იცოდნენ, ვინ იყო ეს საიდუმლოებით მოცული კაცი, მაგრამ ვარდანმა, რაც გაეგონა ყველაფერი უამბო ძმებს და იანიც დარწმუნდნენ, რომ ეს მოხერხებული კაცი გაათავისუფლებდა სალმანს.

ვარდანმა და მისმა ამხანაგებმა სახლს მიაშურეს.

საქო და ეღო, ხაჩომ ვარდანის გასაფრთხილებლად რომ გამოგზავნა, მთელი დღე დაეძებდნენ პატრონს, მაგრამ ვერსად იპოვეს.

— ეღო, — უთხრა საქომ, — ცუდად არის საქმე, ფრთხილად უნდა ვიყოთ, არ დაგვიჭირონ, თორემ ჩვენს აღას უბედურება რომ შეემთხვეს, ვიღა გადაარჩენს.

— მეც ასე ვფიქრობ, — მიუგო ეღომ.

ამხანაგებმა ვადაწყვიტეს ხაჩოს სახლს გარიდებოდნენ.

## თავი ოცდამეათე

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა ვარდანი, ჰაირაპეტი და აპო შინ დაბრუნდნენ. ეზოში შევიდნენ, თუ არა, ორმა ჯარისკაცმა ჭიშკარი ჩაკეტა. ოფიცერი თავისი რაზმით ოდაში იყო. რამდენიმე უგვანო ჩაფარი კი მაძებარი ძაღლივით ეზოში დაძრწოდა საშოვარზე.

ხაჩოს რძლები მეზობლებთან და მშობლებთან გახიზნულიყვნენ. ყოველთვის, როცა რომელიმე ოჯახს რაიმე ბრალს სდებენ და სამეთვალყურეოდ ჯარისკაცებს ჩაუყენებენ, ქალებს სადმე გზავნიან ხოლმე.

ვარდანი და მისი ამხანაგები ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ იყვნენ სახლში ჩაფრები. ამ მხარეში მამასახლისისა და ყო-

ველი სომეხი გლეხის ოჯახში ჯარისკაცთა რაზმების დაბანაკება ჩვეულებრივი ამბავი იყო და უცბად გონს ვერ მოვიდნენ.

ჰაირაპეტს ერთ-ერთმა ძმამ მოჰკრა თვალი და შესძახა:

— ხედავ, იმ „პამპულამ" რა ოინი მოგვიწყო?.. მოდი ახლა და მთავრობას პასუხი გაეცი.. იმ ლაწირაკს პირველ დღესვე პანლურს ამოვკრავდი და სახლიდან გავაგდებდი, მაგრამ სატანასავით გადაეფოფრე და არ დამანებე... წადი ახლა და აგე პასუხი!

ჰაირაპეტმა ხმა არ გასცა, მიხვდა, რომ ძმა სალმანს ლანძღავდა, მიხვდა, შინ ცუდი ამბავი დატრიალებულიყო.

— ეჰ, ჩემო ძმობილო, ჩვენც გავებით მახეში, — სიცილით უთხრა მას ვარდანმა. — ესღა გვაკლდა!

სამივეს ჩაფრები მისცვივდნენ, ხელი სტაცეს და ოდაში, ოფიცერთან შეიყვანეს.

თომას-ეფენდი იქ არ იყო, საჭირო განკარგულებები გაეცა და სოფლის მღვდელთან წასულიყო სტუმრად. ოდაში ხაჩოსა და ოფიცრის გარდა არავინ იყო, რამდენიმე ჯარისკაცი კართან იდგა.

ვარდანი ოდაში შევიდა თუ არა, ხაჩოს გვერდით ჩამოჯდა, ისე, რომ თურქი მოხელის ნებართვისათვის არ დაუცდია.

ჰაირაპეტი და აპო ფეხზე იდგნენ.

— სადაური ხართ, სომეხო?

სიტყვა „სომეხი" ოფიცერმა ზიზღით წარმოთქვა.

— რუსეთიდანა ვარ, — ძლივს შეიკავა თავი ვარდანმა.

— რა საქმეზე ხართ აქ მოსული?

— სავაჭროდ.

— პასპორტი გაქვთ?

— მქონდა, მაგრამ დამეკარგა.

— მაგის შემოწმება ადვილია, თქვენ მხოლოდ ეს მითხარით, რომელ საბაჟოზე გამოიარეთ, თქვენს გვარსა და პასპორტის ნომერს იქ ჩაიწერდნენ.

— მე კონტრაბანდისტი ვარ, ჩემი ხელობის კაცი საბაჟოს ახლოს არ ეკარება. იმასაც გეტყვი, რომ პასპორტი საერთოდ არა მქონია.

— შეიძლება გვეპატიებია. მხოლოდ კონტრაბანდისტი რომ ყოფილიყავით, მაგრამ ბრალად სხვა დანაშაულიც გედებათ.

— რა დანაშაული?

— ჯაშუშობა.

— მართალია... ალბათ, თომას-ეფენდიმ მოგახსენათ... ის ხომ ტყუილს არასოდეს იტყვის! — დაცინვით მიუგო ვარდანმა.

— ეგ სულ ერთია, ვინ მითხრა, — უპასუხა ოფიცერმა პროფესიული გულცივობით, — საეჭვო პირებს, განსაკუთრებით ამ ომიანობის დროს, ჩვენი ქვეყნიდან ეაძევებთ. ამაღამ აქ დაგამწყვდევთ, ხვალ დილით კი სამხედრო პროკურორთან წაგიყვანენ. თქვენს ბედს ის გადაწყვეტს.

— მაშ, რაღა საჭირო იყო ეს დაკითხვა, თუ ამის რწმუნება არ გქონდათ. შეგეძლოთ დაგეპატიმრებინეთ და მეტი არაფერი. მაგრამ აქ ასეთი წესი გაქვთ: უკანასკნელი ჩაფარიც კი თავის ჭკუაზე ჭრის სამართალს.

ოფიცერმა, მართალია, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. მაგრამ არაფერი უპასუხა. ოთხ ჩაფარს დაუძახა და უბრძანა ვარდანი წაეყვანათ და დაემწყვდიათ. ვარდანს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ვარდანი რომ წაიყვანეს, ოფიცერმა ჯარისკაცებს ჰაირაპეტსა და აპოზე მიუთითა:

— ამათ დაკითხვა არ უნდა, მათი დანაშაული ისედაც ცნობილია. წაიყვანეთ და დაამწყვდიეთ!

მოხუცი ხაჩო ღრმა ბურანში იყო. თითქოს ყოველივე ამას სიზმარში ხედავდა. რატომ მოატყუა ეფენდიმ? ან როგორც ეფენდი არწმუნებდა, შეიძლება ყველაფერი მოსაჩვენებლად კეთდება?

ვარდანი, ჰაირაპეტი და აპო წაიყვანეს და ბეღელში დაამწყვდიეს. ბეღელს ქვის იატაკი ჰქონდა. კედლებიც ქვით ნაგები და კირით შელესილი იყო, რომ თაგვი არ შეპარულიყო და ხორბალი არ გაეფუჭებინა. კედლებში დატანებულ ვიწრო ფანჯრებზე წვრილად დაბერეტილი რკინა იყო ფაფარებული, რომ ჩიტი ვერ შეფრენილიყო. ერთი სიტყვით, ბეღელს ყველაფერი ჰქონდა იმისათვის, რომ ამ ღამეს საპატიმროს მაგიერობა გაეწია. ერთ კუთხეში ზეთის ჭრაქი ბჭუტავდა.

ჰაირაპეტი და აპო ხმას არ იღებდნენ, სახეზე ღრმა სასოწარკვეთილება აღბეჭდოდათ. კარგად იცოდნენ თურქი მოხელეების სიმკაცრე, სულ მცირე მიზეზის გამო უცოდველს დამნაშავედ მო-

ნათლავდნენ. დასაღუპავად გაწირავდნენ, მით უმეტეს, თუ ის სომეხი იყო, თანაც შეძლებული. ახლა კი საკმაო მიზეზები მოეპოვებოდათ, რომ სამართალში მიეცათ. მაგრამ ვინ დააბეზღა ისინი? ამას ვერ ხვდებოდნენ.

ვარდანი თითქოს დამშვიდებულიყო. მისი სიმშვიდე საშინელი ღელვის შემდეგ დაწყნარებული ზღვის სიმშვიდეს მოგაგონებდათ.

— ყველაფერს ერთი იგავით აგიხსნით, — უთხრა მან თავის ამხანაგებს. — ტყეში ხეებმა თავიანთ მეფეს ამბავი მიუტანეს: ერთი იარაღი გამოჩნდა, რომელიც უმოწყალოდ გვანადგურებსო. რა ჰქვია იმ იარაღსო? — იკითხა მეფემ. — ცულიო, — მიუგეს ხეებმა. — რისაა ის იარაღიო? — კვლავ იკითხა მეფემ. — „თავი რკინისა აქვს, ტარი კი ხისაო“, — თუ ეგრეა, ძალიან საშიში მტერი ყოფილაო, — თქვა მეფემ.

— ტარი ჩვენი ჯიშისაა, — გაიმეორა ვარდანმა. — ჩვენი მძარცველი, მტანჯველი, ჩვენი დამმონებელი, ჩვენი გამანადგურებელი, ჩვენი სახლის დამქცევი იარაღის ტარი ჩვენივე სომეხია. თომას-ეფენდიები, სოფლის მულთეზიმით დაწყებული და უმაღლესი პორტას სომეხი ბობოლებით დამთავრებული, სულ ასეთი ტარები არიან. ეს ტარები ჩვენ მტრებს უკავიათ ხელში. ამგვარი წყეული და მავნებელი ტარები მუდამ თან სდევდა სომხეთის ისტორიას. ყოველთვის, როცა ჩვენი სამშობლო და ერი მტერს ჩაუვარდებოდა ხელთ — იქ სომხის ხელი ერია. როცა სომხების მეფეს ტახტიდან ჩამოაგდებდნენ და მის კვერთხს უცხოელს ჩააბარებდნენ, იქაც სომხის ხელი ერია. როცა სომხების მეფეს გააძევებდნენ და მისი სატახტო ქალაქის კარს მტერს გაუღებდნენ, იქ მუდამ სომხის ხელი ერია. როცა მშობლიური მიწა-წყალი სომხების სისხლით მოურწყავთ, ადგილ-საცხოვრებელი ცეცხლს გაუნადგურებია და მოსახლეობა ტყვედ გაურეკავთ, იცოდეთ, იქ სომხის ხელი ერია. როცა რელიგიას, ერსა და წმინდა ეკლესიას ღალატობდნენ, იქ სომხის ხელი იყო ჩარეული. ერთი სიტყვით, ყოველ ჩვენს უბედურებაში, ყოველ ძალადობაში და ჩვენი მტრების ძალმომრეობასა და მტარვალობაში მუდამ მოქმედებდა სომხის ცული. სომეხი თვითონ უთხრიდა ძირს თავისი ერის ფუძეს, თავისი ხელით ანადგურებდა მის წმინდა და სანუკვარ დაწესებულებებს. სხვებს რაღას ვადანაშაულებთ?

ჰაირაპეტი და აპო ღრმად დამწუხრებული უგდებდნენ ყურს. ბოლოს ჰაირაპეტმა ჰკითხა:

— მაშ, იმედები მთლად ჩაგვეფუშა?.. გამოდის, რომ ჩვენი ნაკები შენობა საძირკველშივე დაინგრა და მიწის პირს ვერც კი ასცდა?

— მე თითქოს წინასწარმეტყველივით იმთავითვე ვგრძნობდი, რომ საქმე ამით დამთავრდებოდა და სხვა რაიმე შედეგის მოლოდინი სისულელე იქნებოდა, — უპასუხა ვარდანმა. — სალმანიც კი ეჭყუმანობდა, თითქოს არ სწამდა თავისი წამოწყებული საქმისა. კარგად მახსოვს ის უიმედო სიტყვები, ერთხელ ამ ენერგიით აღსავსე ახალგაზრდამ რომ მითხრა: — როდესაც რომელიმე სახალხო მოძრაობის იდეა მხოლოდ რამდენიმე პიროვნების ოცნებაა და არ განზოგადებულა, ხალხის ერთ ნაწილში მაინც არ გავრცელებულა, მეთაურებს მოსპობენ და ყველაფერი ერთი დარტყმით გაცამტვერდება. მაგრამ სულ სხვაა უმრავლესობა, ხალხი. ხალხის იდეების ჩახშობა შეუძლებელიაო. ჩვენ, — ამბობდა სალმანი, — ახლა უნდა ვასრულებდეთ მთესველთა და არა მკელთა მოვალეობას. სამკალი მომავალ თაობას უნდა დავუტოვოთო. ამიტომ იყო, რომ მან უკანასკნელ ხანს ხელი მოჰკიდა უფრო საფუძვლიანი და მიზნის შესაფერი დაწესებულებების — სკოლების აგებას. სალმანი მიზნად არ ისახავდა აჯანყებას. მის მოღვაწეობას უფრო მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, რამაც შემდეგ მთლიანად მოსამზადებელი იერი მიიღო. ერთხელ მან რაღაც განსაკუთრებული ღიმილით მომმართა. ასეთი ღიმილი ადრე არასოდეს შემინიშნავს მის მუდამ მოღუშულ სახეზე: ვარდან, ჩვენ ხალხის განათლება ვითავეთ, თვითონ კი ჯერ-ჯერობით გაუნათლებელი ვართ. ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ თვით ხალხისაგან. ხალხი დიდი მასწავლებელია. მის ერთ პაწაწინა იგავშიც კი უსაზღვრო სიბრძნეა ჩაქსოვილი. აბა მომისმინე, — მითხრა მან, — როგორ ახასიათებს ხალხი თავის დამოკიდებულებას თურქებთან: „ძაღლთან იმეგობრე, ჯოხს კი ხელიდან ნუ გააგდებო“. მართლაც, ამ ანდაზაში ბრძნული რჩევაა ჩაქსოვილი. მტრის ბასრ კბილებს რომ გადავურჩეთ, ჯოხი მუდამ მომარჯვებული უნდა გვქონდეს. ამიტომაც თქვა სალმანი, რომ საჭიროა გლეხების შეიარაღება და თავდაცვისათვის მათი მომზადება.

ჰაირაპეტი და აპო სულგანაბული უსმენდნენ. მათ თითქოს დავიწყებოდათ საკუთარი მწუხარება, დავიწყებოდათ მოსალოდნელი საშინელი ხვედრი და ახლა მშობელი ერის ბედზე ფიქრობდნენ. ასეთი აზრები მათ ხშირად სმენიათ სალმანისაგან, მაგრამ მხოლოდ დღეს გახდა ბევრი რამ მათთვის ნათელი.

საპყრობილეს თითქოს აღეფრთოვანებინა ვარდანი. განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. ვარდანი ბევრჯერ მჯდარა ციხეში. საპყრობილე მუდამ მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა მასზე. ახლა კი თითქოს რაღაც კმაყოფილებას გრძნობდა. ის იმ მსჯავრდადებულს ჰგავდა, რომელიც სიკვდილის წინ ზიზღით შეჰყურებს უსამართლო სამყაროს, დასცინის თავისი მტრების წინდაუხედაობას და თავისთვის ამბობს: აი, მთელი თქვენი ძალა! ამაზე მეტი რა შეგიძლიათ?!.. თქვენ სპობთ ჩემს სხეულს, მაგრამ ვერ მოსპობთ ჩემ მიერ ხალხში დათესილ აზრებს!

— კარგად არის ნათქვამი: „ძაღლთან იმეგობრე, ჯოხს კი ხელიდან ნუ გააგდებო“... — განაგრძო ვარდანმა. — ცხოვრების ამგვარი პირობები ჩემისთანა ალქაჯებს ბადებს ხოლმე... თქვენ, ჩემო მეგობრებო, ალბათ, ჯერ კიდევ კარგად არ მიცნობთ. მაგრამ ვინაიდან შესაძლოა, ეს უკანასკნელი ღამე იყოს, როცა ჩვენ ერთად ვსაუბრობთ, ამიტომ მომისმინეთ. მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომლებმაც ძალიან ადრე ისწავლეს ბოროტებაზე ბოროტებითვე პასუხის გაცემა. ჩემი ხელები მრავალჯერ შეღებილა სისხლით, მაგრამ უდანაშაულოთა სისხლით კი არასოდეს. ერთ დროს მე სასულიერო პირი ვიყავი, მაგრამ ბიბლიიდან მხოლოდ „თვალი თვალისა წილ“ ვისწავლე. როცა წავიკითხე, რომ იეღოვას წინასწარმეტყველმა მოსემ თავისი ხალხის სიყვარულით მოკლა ეგვიპტელი, რომელიც ებრაელს აწამებდა, და ნილოსის ქვიშნარში ჩაფლო, გულუსაზღვრო ზიზღით აღმევსო იმ ერებისადმი, ასევე რომ აწამებდნენ სომხებს. როცა ამოვიკითხე, რომ იეღოვას წინასწარმეტყველმა მოსემ მთელი ტომები გაანადგურა, რათა აღთქმული ქვეყანა უცხოელთაგან გაეთავისუფლებინა და მათ ადგილას ისრაელის შვილები დაესახლებინა, გავიფიქრე, რომ ჩვენც ასევე უნდა მოვექცეთ თურქებს, ქურთებსა და ჩერქეზებს, რომლებიც გაბატონებული არიან ჩვენს მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით ნაბოძებ მიწა-წყალზე

ეს ბუნების იგივე კანონია, რასაც სალმანი მცენარეთა მაგალითებით გვიხსნიდა. მცენარეთა ერთი სახეობა ჩაგრავს, სულს უხუთავს და სპობს მეორე სახეობას და მის ადგილს იკავებს.

თუ არ გვსურს გავნადგურდეთ, წინააღმდეგობის გაწევის ძალა და უნარი უნდა შევიძინოთ. ამ თვისებას თავდაცვა ეწოდება. სალმანის მთავარი მიზანიც ის იყო, რომ ხალხში ეს თვისება განევითარებინა. ეს თვისება მე ადრევე შევიძინე. შესაძლოა მორალის მქადაგებელმა უზნეო, სისხლისმღვრელი, მხეცი მიწოდოს, შესაძლოა მღვდელმა ცოდვილად ჩამთვალოს, მაგრამ არაფერია, მე მაინც ისე უნდა მოვიქცე, როგორც ცხოვრება მიკარნახებს. ხოლო როცა აღარ იქნებიან ბოროტი ადამიანები, როცა ქვეყნად მშვიდობა და ქრისტიანული კაცთმოყვარეობა დამკვიდრდება, მაშინ მზად ვიქნები ყველაფერი დავივიწყო, ყველაზე გულკეთილი გავხდე და ჩემი მტრები გადავკოცნო.

დიდხანს საუბრობდნენ ასე. სანამ ჭრაქში ზეთი არ გამოილია, არ აშიშხინდა და არ დაიწვა.

## თავი ოცდამეთერთმეტე

იმავე ღამეს, როცა ვარდანი, ჰაირაპეტი და აპო საპყრობილეში ფილოსოფოსობდნენ, თავიანთი ბედკრული სამშობლოს ბედკრულ ხალხზე წუხდნენ, თომას-ეფენდი სოფლის მღვდლის ტერ-მარუქის სახლში იყო. ვახშმის შემდეგ გამხიარულებული, გაუთავებლად ლაქლაქებდა და ოხუნჯობდა.

ეს ის მღვდელი იყო, რომელმაც ბევრი უსიამოვნება მიაყენა სალმანს, ახლა კი, როცა მისი დაპატიმრების ამბავი გაიგო, წუხდა. თუმცა იმიტომ კი არ წუხდა, რომ სალმანის სახით საზოგადოებამ გამოჩენილი მოღვაწე დაკარგა, არამედ სომეხი კაცის დალუპვა, საერთოდ, სამწუხარო ამბად მიაჩნდა. ტერ-მარუქი ბოროტი კაცი არ იყო და თუ ის წინააღმდეგობას უწევდა და ცდილობდა ხელი შეეშალა სალმანის წამოწყებისათვის, ეს მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ სწავლა-განათლება მავნე საქმედ მიაჩნდა.

ერთ დროს ტერ-მარუქი უბრალო გლეხი იყო, წერა-კითხვა

ცოტად თუ ბევრად ბავშვობაში წმ. იოანეს მონასტერში ისწავლა. სოფლის მეურნეობაში წარმატებას ვერ მიაღწია, გაღატაკდა და ბედის საძიებლად უცხო ქვეყანას მიაშურა. იქაც უმტყუნა ბედმა. ერთ ხანს ქალაქ ვანში ყავახანა ჰქონდა, საქმეები ცუდად წაუვიდა. იზარალა და ხელცარიელი სამშობლოში დაბრუნდა. აქ სხვა საარსებო საშუალება რომ ვერ გამონახა, მღვდლად ეკურთხა.

ამ საღამოს მღვდლის სახლში დაპატიჟებული იყო მისი სიძეც — სოფლის მასწავლებელი, საკმაოდ ცნობილი სიმონა დიაკვანი. სიმონა დიაკვანს თავი დიდ მცოდნედ მიაჩნდა (გლეხებიც ასე ფიქრობდნენ), მაგრამ განსაკუთრებით იმით ამაყობდა, რომ მღვდლის სიძე იყო.

საუბრის საგანი იმ დღეს მოხუცი ხაჩოს სახლში მომხდარი ამბები იყო, რამაც მთელ სოფელს თავზარი დასცა, განსაკუთრებით კი ტერ-მარუქი შეაძრწუნა.

— „ვირი ბჭობს, ცხენი კი შეექცევა", მამაო, — შეწუხებული სიტყვა გააგრძელა ეფენდიმ. — ამქვეყნად მუდამ ასე ყოფილა და ასევე იქნება. რაც ღმერთს დაუდგენია, იმას ადამიანი ვერ შეცვლის, ღმერთს ერთი ბატონად გაუჩენია, მეორე კი — მშრომელად. ერთი შრომობს მეორე კი — ჭამს. სომეხი შრომას არის მიჩვეული. ქურთი და თურქი კი — ჭამას. მშრომელი რომ არ იყოს, ბჭამელი ვერ იცხოვრებს. თურქები თავიანთი მახვილით გვიცავენ, ჩვენ კი ისინი შრომით უნდა ვარჩინოთ. ღმერთს თურქისათვის მახვილი ჩაუბარებია, სომხისათვის კი — ბარი. ამიტომაც ერთი მეორეს ვერ შეცვლის.

— მართალს ბრძანებ, — კვერი დაუკრა მღვდელმა და პირჯვარი გადაიწერა, — უფალი ჩვენი იესო ქრისტეც წმინდა სახარებაში სწორედ მაგას ბრძანებს; თუ ღმერთმა არ ინება, ხიდან ფოთოლიც არ ჩამოვარდება, თუ ღვთის ნება არ იქნა, კაცს ერთი ღერი თმაც არ გაუთეთრდება... ყველაფერი ღვთის ნება-სურვილზეა.

— მართალია, სრული ჭეშმარიტებაა, — დაუდასტურა დიაკვანმა და მანაც პირჯვარი გადაიწერა.

შემდეგ ლაპარაკი ომიანობის შედეგად გლეხების ძარცვა-გლეჯის გაძლიერებაზე ჩამოვარდა. მღვდელი ამ ძარცვა-გლეჯაზე

რომ ლაპარაკობდა, ჩიოდა, მთავრობის გადასახადები იმ ზომამდე გაიზარდა, რომ გლეხის მოსავალს მთლიანად ნთქავს და თუ რამე რჩება ისიც ქურთებს მიაქვთო. ამიტომ მეც მცირე შემოსავალი მაქვს, ხშირად ქორწინების, ნათლობისა და დამარხვის წესს ისე ვასრულებ, გასამრჯელოდ კაპიკსაც არ ვიღებ. გლეხები მპირდებიან, შემდეგ გადაგიხდითო, მაგრამ ვერ ახერხებენ გადახდას. ამ-ტომ ახლა სოფელში ბევრი მოვალე მყავს, გადავწყვიტე ამას იქით არც არავის მოვნათლავ, არც ჯვარს დავწერ და არც დავმარხავ, სანამ ფულს წინასწარ არ მომცემენ, მეც ხომ ადამიანი ვარ და ცხოვრება მინდაო.

— მამაო, — უპასუხა ეფენდიმ საქმიანი კილოთი, — გლეხს თქვენ ისე არ იცნობთ, როგორც მე. „ღმერთს გლეხისათვის ერთი სული მიუცია და იმასაც უკან ველარ ართმევს", მაგრამ როცა სულთამხუთავი ცელით თავს დაადგება, მაშინ კი მისცემს ხოლმე. ჩვენც ეს მაგალითი უნდა გამოვიყენოთ. გლეხი სანამ იმ „კურთხეულ ჯოხს" არ იგემებს, ფულს არ მოგცემს. თქვენი მოვალეების სია მომიმზადეთ და გადმომეცით, მე ჩემს ერთ-ერთ ჩაფარს გადავცემ და ის შეგიგროვებთ.

— კურთხეული ყოფილიყოთ, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ. — უპასუხა მღვდელმა. — სია უკვე მზად მაქვს.

მღვდელმა ჯიბიდან ამოიღო ჭუჭყიანი და გაქონილი, ჯიბეში ქედებისაგან მთლად გაყვითლებული და მიფხრეწილ-მოფხრეწილი ფარატინა ქაღალდი. ეს მისი ანგარიშების „დავთარი" იყო. ქაღალდის ფურცლის ოთხივე გვერდზე მსხვილი ასოებით, მრუდე სტრიქონებად იყო ჩაწერილი მოვალეთა გვარები. მღვდელმა ქაღალდი თვალებთან მიიტანა, ამოკითხვა სცადა, მაგრამ რაკი ვერ მოახერხა, დიაკვანს გადასცა:

— გამომართვი, სიმონა დიაკვანო, შენ წაიკითხე, თვალთ აღარ ხიჭრის.

სიმონა დიაკვანმა „დავთარი" გამოართვა, რამდენიმეჯერ ჩაახველა, კისერი მოიფხანა, წელში გაიმართა, ქაღალდის ფურცელი თვალებთან მიიტანა და ისეთი მშვენიერმეტყველური კილოთი დაუწყო კითხვა, გეგონებოდათ, ფსალმუნს კითხულობსო.

„კოჭლ მკოს გოგო მოვუნათლე, მას 5 ყურუში[1] დაედო ვალად, გოგო ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა, დავმარხე, ახლა ვალი 7 ყურუშს უდრის. ხლოს ვაეს ჯვარი დავწერე, რისთვისაც ათი ყურუში მერგება; მისგან მივიღე 30 კონა ბალახი, რაც ფულად 3 ყურუშს უდრის. ფანოს ცოლი ავად იყო, მივედი მოსარჩენად, სახარებიდან სამი თავი წავუკითხე, მისგან 3 ყურუში მერგება. საგოს ბიჭს წყლიდან ჯვარი ამოვაღებინე. ბარსო 30 ყურუშს მაძლევდა, მე ამომაღებინეო, მე საგოს ხათრი გავუწიე და 20 ყურუშად მოვურიგდი, მასზე 20 ყურუში დარჩა, დამპირდა კალოობის დროს ხორბალს მოგცემო, მივედი და ვთხოვე, მაგრამ არ მომცა, „ზირიც მოწმეა...“

და ასე, ერთი მეორის მიყოლებით, ჩამოეწერა მღვდელს ანგარიში. ეს ფურცელი ტერ-მარუქის რამდენიმე წლის მოღვაწეობის ამსახველი ქრონიკა უფრო იყო, ვიდრე ნისიების სია. ფურცელი უთავბოლოდ ჩაწერილი ამბებით იყო სავსე, მაგრამ სოფლის მღვდლის საქმიანობის მთელ რიგ ფაქტებს ზუსტად ასახავდა.

— სამაგალითო ანგარიშია, — სიტყვა შეაწყვეტინა დიაკვანს ეფენდიმ, მოთმინება აღარ ეყო ბოლომდე მოესმინა დიაკვნის „კითხვა“. — ეგ ფურცელი მომეცით, მამაო, მე მთლიანად ავაკრეფინებ თქვენს ვალებს. სოფელ ნ...შენის „ბლეხებსაც თავის დროზე არ შეჰქონდათ მონასტრის გადასახადი, ვარდაპეტმა წერილი მომწერა, მეც ერთ დღეში შევაგროვებინე ვალები და მონასტრიდან ლოცვა-კურთხევის ბარათი მივიღე.

ვალების ასეთი წესით შეგროვება მღვდელს იმდენად კანონიერად მიაჩნდა, რომ არათუ უარყო ეფენდის წინადადება, არამედ კვლავ მადლობა მოახსენა და მისი ძვირფასი სიცოცხლე ლოცვა-კურთხევით შეამკო.

მაინც რატომ იკისრა ეფენდიმ ტერ-მარუქისათვის ასეთი სამსახური? ეფენდი ისეთი კაცი იყო, რომ უმიზნოდ, პირადი გამორჩენის გარეშე, არავის კარგ საქმეს არ გაუკეთებდა. რამ აიძულა ახლა გულკეთილობა გამოეჩინა და შეპირებოდა, შეგროვილი თანხიდან მეათედს არ გამოგართმევო. ჩვეულებრივად, როცა რაიმე თან-

---

[1] ყურუში — წვრილი თურქული ფული.

ხას მთავრობის მოხელის ბრძანებით აგროვებდნენ, მეათედი ამ მოხელეს ეკუთვნოდა.

— მამა აბრამის ლოცვა-კურთხევა არ მოგაკლდეთ, ღმერთმა ძალა მოგცეთ, — უთხრა მღვდელმა ამ დაპირების პასუხად.

მოვალეთა ასეთივე სია სიმონა დიაკვანსაც ედო უბეში, მასაც ერგებოდა ფული თავისი მოწაფეებისაგან და ფიქრობდა, მოვალეთა სია მასაც ეფენდისათვის გადაეცა. მაგრამ მღვდელმა წასჩურჩულა: მოიცა, ჯერ ჩემი შეაგროვოს, შენი შემდეგ იყოსო.

ტერ-მარუქს პატარა ოჯახი ჰქონდა. ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავდა და ისიც გარდაეცვალა. ქმრის სიკვდილის შემდეგ რძალი აღარ გათხოვდა, ორი პატარა ბავშვით მღვდლის ოჯახში დარჩა და თავის სიცოცხლეს ბავშვების აღზრდას სწირავდა. თვითონ მღვდელი დიდი ხნის დაქვრივებული იყო და განმარტოებულ ცხოვრებას ეწეოდა.

როცა სტუმრებს ვახშამი მიართვა, რძალი თავისი ავადმყოფი ბავშვის საწოლს მიუჯდა. საბრალო ქალი ავადმყოფს მწუხარედ დაცქეროდა, მალ-მალე გახურებულ ხელებს უსინჯავდა და შეშფოთებული უსმენდა მის მძიმე სუნთქვას. უცქეროდა ბავშვს და თვალწინ ესახებოდა უდროოდ დაკარგული საყვარელი არსება. ქმრის სიკვდილის შემდეგ უბედური დედა თავს ბავშვებით ინუგეშებდა.

ბავშვის ავადმყოფობით ისე იყო შეწუხებული, რომ არც ესმოდა და არც ყურადღებას აქცევდა, რას ლაპარაკობდა სტუმარ-მასპინძელი.

ეფენდის დაპირებებით გახარებულმა მღვდელმა მოინდომა მხიარულებაში უფრო მეტი სიხალისე შეეტანა და რძალს უბრძანა, გამოცლილი ბოთლი არაყით აევსო, თან „მაზა"[1] მოემზადებინა. მართალია, ვახშამი დამთავრებული იყო, მაგრამ ადგილობრივი ჩვეულების მიხედვით საპატიო სტუმრისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას იმით გამოხატავდნენ, რომ სმას ვახშმის შემდეგაც განაგრძობდნენ.

რძალი ისე დაიბნა, რომ მღვდელმა ორჯერ გაუმეორა, ვიდრე გააგებინებდა, რა სურდა. არაყის შოვნა არ გასჭირვებია, მღვდლის

---

[1] „მაზა" ხმელი ხილისაგან დამზადებული დესერტია (ავტორის შენიშვნა).

ოჯახში არაყი მუდამ გამოულეველი იყო და რძალმაც უმალ გაავსო ბოთლი. მაგრამ რით მოემზადებინა „მაზა“, როცა შინ ტკბილეული არ ჰქონდათ? თანაც ამის გამხელა, სხვა არა ეყოს, სირცხვილი იქნებოდა. სომხის სახლში სტუმრისათვის ყველაფერი უნდა მოიძებნებოდეს. რძალმა გადაწყვიტა, შაქრის სასესხებლად მეზობელთან წასულიყო.

გარეთ ბნელოდა. კოკისპირულად წვიმდა. საბრალო ქალი ეზოში გავიდა. ტალახში გატოპა, ბანზე ავიდა, რომ იქიდან მეზობლის სახლში ჩასულიყო. ამ დროს შემოესმა, მეზობლის კარზე აბრახუნებდნენ. თან გარედან თურქულად ემუქრებოდნენ. უბრძანებდნენ, კარი გააღეთო. შიგნიდან კი ეფიცებოდნენ, ვისაც თქვენ ეძებთ, აქ არ იმალებიანო. მაგრამ ვის ეძებდნენ? ვინ იყვნენ ის თურქები. რომლებიც შუაღამისას სომხის სახლში შეჭრას ლამობდნენ?

მღვდლის რძალი ზულო ქუჩაში ატეხილმა აურ-ზაურმა ისე შეაშინა, რომ ვეღარც მეზობლის სახლში გადასვლას ბედავდა, ვეღარც შინ დაბრუნებას, დაბნეული და გაშეშებული ბანზე იდგა. ამ დროს რაღაც ჩურჩული მოესმა, ეიღაცეები მეზობლის სახლის კიბეებზე ადიოდნენ.

— ნელა, სტეფანიკ!..

— საით წავიდე, სარა...

ზულომ იცნო ისინი. როცა მიხვდა, რომ ის საბრალონი შველას საჭიროებდნენ, შიში სულ მთლად გადაავიწყდა. მან უკვე იცოდა, რაც მოხდა იმ დღით მოხუცი ხაჩოს სახლში, ისიც გაგონილი ჰქონდა, რომ ხაჩოს რძლები თავს მეზობლებთან აფარებდნენ. ახლა კი. როგორც ჩანს, ამათ დაეძებდნენ, ხოლო რა მიზნით, — ამასაც მიხვდა ზულო. მაშასადამე, ქუჩაში მყოფი თურქები, რომლებიც მეზობლის სახლში შეჭრას ლამობდნენ, ის ჯარისკაცები იყვნენ, მოხუცი ხაჩოს ვაჟიშვილები რომ დააპატიმრეს.

სარა და სტეფანიკი ახლა მღვდლის სახლის სახურავზე იყვნენ და ყოველი მხრიდან მონადირეებით გარშემორტყმულ ირმებს ჰგავდნენ, დაბნეულებმა არ იცოდნენ, რომელ მხარეს გაქცეულიყვნენ. გადაუღებლად წვიმდა. გლეხებს სახლის კარები ჩაეკეტათ და ძილს მისცემოდნენ. შუაღამე კარგა ხანია გადასული იყო.

გაიელვა და საზარლად დაიქუხა. ელვის შუქზე სახურავზე

მდგარი ზულოს გამოსახულება გამოიკვეთა. სტეფანიკმა რომ დაი.. ნახა, იფიქრა, თურქი უკვე სახურავზე ამოსულაო და შიშისაგან ლონემიხდილი სარას მიეყრდნო. ზულო მივიდა მათთან და უთხრა:

— მე ვარ, ნუ გეშინიათ!

— ოჰ, ზულო, შენა ხარ? — უთხრა აცახცახებულმა სარამ,— თუ ღმერთი გწამს, სადმე დაგვმალე, თორემ დაგვიჭერენ და წაგვიყვანენ.

ზულო დაიბნა, სად წაეყვანა, სად დაემალა ისინი? სახლში ხაეჭვო სტუმრები ჰყავდა. თანაც მღვდელი ძნელად თუ შეიფარებდა ლტოლვილებს. ზულომ იცოდა, რა შერცხვენა მოელოდათ საბრალოებს, თუ თურქებს ჩაუვარდებოდნენ ხელში. მაგრამ ისიც იცოდა, რომ „დამნაშავეთა“ გადამალვისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა და ხიფათში იგდებდა თავს. ყოველივე ეს ესმოდა ზულოს, მაგრამ მაინც გადაწყვიტა როგორმე დახმარებოდა მათ სიბრალულის გრძნობამ მასში შიშსა და ყოყმანს სძლია, ხოლო მოსალოდნელი განსაცდელის შეგრძნებამ მათი გადარჩენის საშუალება უკარნახა.

— წავიდეთ, — ხელი მოჰკიდა მან სტეფანიკს, შემდეგ სარაც მიეხმარა და ორივემ ერთად ხელში აიყვანეს საბრალო ქალიშვილი.

სახურავიდან ძირს რომ დაეშვნენ, შემოესმათ საშინელი ხმაური, — თურქმა ჯარისკაცებმა მეზობლის სახლის კარი შეამტვრიეს.

მღვდლის სახლზე საბძელი იყო მიდგმული. საბძელს ეზოს მხრიდან პატარა შესასვლელი ჰქონდა. ზულომ ლტოლვილები იქ შეიყვანა. სარა და სტეფანიკი თივაში დაიმალნენ.

— აქ იყავით, კიდეე დაგხედავთ, — უთხრა ზულომ, საბძლის კარი ჩაკეტა და წავიდა.

წვიმის ხმაურში ვერც მღვდელმა, ვერც მისმა სტუმრებმა ვერ გაიგეს, რა მოხდა გარეთ. შინ დაბრუნებულ ზულოს არაფერი უთქვამს. ეს იყო მხოლოდ, მღვდელთან მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა, მეზობელთან ყველას სძინავს და „მაზას“ მოსამზადებლად ვერაფერი ვიშოვეო.

— მე თვითონ ვიპოვი რამეს, — თქვა მღვდელმა და კარადისაკენ წავიდა.

ეფენდიმ მაშინვე ისარგებლა შემთხვევით და ზულოს ხმადაბლა უთხრა:

— შენ თვითონ „მაზა“ ხარ... სხვა მაზა რაღად მინდა.

სიმონა დიაკვანი ისე იყო მთვრალი, რომ ვერაფერი გაიგო.

— უსირცხვილო! — შესძახა ეფენდის უზნეობით აღშფოთებულმა ზულომ.

სომეხი ქალი ყოველგვარ გაჭირვებას იტანს, ყოველგვარ უსამართლობას ითმენს, მაგრამ როცა მის პატიოსნებას შეეხებიან, მაშინ იგი მოთმინებას კარგავს. გაწიწმატებულმა ზულომ ეფენდი მიატოვა და ავადმყოფ ბავშვს გვერდით მიუჯდა. ბავშვს გაღვიძებოდა და წყნარად იყო, დედა დაინახა თუ არა, მაშინვე შესჩივლა:

— დედიკო, უთხარი თოროსს, კოჭებს მართმევს!

თოროსი ზულოს უფროსი ვაჟი იყო. პატარას ალბათ დაესიზმრა, რომ ძმა კოჭებს ართმევდა. დედამ ბავშვი დაამშვიდა:

— აი, ჩემო თვალის სინათლევ, თოროსმა კოჭები დაგიბრუნა, შეხედე, აი, აქ არის!

დედამ ბალიში აწია, ბავშვის სათამაშოები გამოიღო და მისცა. ბავშვმა დასუსტებული ხელებით დაუწყო მათ თამაში. დედა სიხარულით შეჰყურებდა ბავშვს. დაავიწყდა ეფენდისაგან მიყენებული შეურაცხყოფა, ყველაფერი დაავიწყდა, რადგან მისი პირმშო ახლა უკეთ გრძნობდა თავს. მაგრამ საბრალო დედა კვლავ დაამწუხრა ახალმა უსიამოვნებამ: მღვდელმა დიდხანს ჩხრიკა კარადა, მაგრამ როცა ვერაფერი იპოვა, ზულოს ჰკითხა, რა იქნა იქ რომ ნატეხი შაქარი მქონდა შენახულიო. რძალმა უპასუხა, რამდენიმე დღის წინათ ავადმყოფ ბავშვს დიდი სიცხე ჰქონდა და იმ შაქრით გამაგრილებელი შარბათი მოვუმზადეო.

— სჯობდა შხამი და ნაღველი მიგეცა! — იყვირა გაბრაზებულმა მღვდელმა. — არ იცოდი, რომ შაქარს სტუმრისათვის ვინახავდი, ახლა რაღა ვქნა?

ზულოს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ცრემლი წასკდა.

ტერ-მარუქი, მართალი გითხრათ, ბოროტი არ იყო, მაგრამ უვიცს ხშირად გულკეთილობა უნებურად გააბოროტებს ხოლმე. ესეც არ იყოს, თანამდებობასაც ცოტა გაეგულქვავებინა ეს კაცი. მღვდლებს ხშირად აქვთ საქმე მიცვალებულებთან და სხვის სიცოცხლეს ნაკლე-

ბად უფრთხილდებიან. ამიტომ იყო, რომ ტერ-მარუქი შვილიშვილის ავადმყოფობაზე კი არ ფიქრობდა, უფრო ეფენდის გულის მოგება უნდოდა, ეფენდი ხომ შეპირდა, შენს ვალებს ავკრეფო.

— რატომ ტირი, დედიკო? — ჰკითხა ავადმყოფმა და სიყვარულით შეხედა დედას. — ნუ ტირი, მე უკვე კარგად ვარ.

ამ სიტყვებზე დედას გულის დარდი გადაეყარა და თვალებიდან ცრემლი მოიწმინდა. მშობლისათვის იმაზე მეტი მანუგეშებელი არაფერია, ვიდრე საყვარელი პირმშოს ტკბილი სიტყვა. მისი უმანკო ტიკტიკი. ზულო ახლა სარასა და სტეფანიკზე ფიქრობდა. „რა ეშველებათ საბრალოებს, თურქები რომ შემოცვივდნენ და ლტოლვილებს მიაგნონ“, შიშით გაიფიქრა მან.

აუტანელი სტუმრების ლოთობას კი ბოლო არ უჩანდა. ზულო უცდიდა, როდის აიშლებოდნენ სუფრიდან და დაიძინებდნენ, რომ თვითონ სარასა და სტეფანიკთან წასულიყო, ის მაინც ხომ უნდა გაეგო რით დამთავრდა მეზობლის სახლში ატეხილი აურზაური. ზულო ველარ ითმენდა, ფიქრი მოსვენებას აღარ აძლევდა.

ბოლოს რაღაც მოიმიზეზა, წამოდგა და პატარა საკუჭნაო ოთახში შევიდა, ამ ოთახის კედელში პატარა ხვრელი იყო დატანებული, იგი პირდაპირ მეზობლის სახლში გადიოდა. ასეთი ხვრელები თითქმის ყველა სახლს ჰქონდა და საშიშროების შემთხვევაში ძალიან გამოსადეგი იყო, რომელიმე ოჯახს უბედურება რომ მოსვლოდა, მეზობელს ხმას ადვილად მიაწვდენდა. ახლო მეგობრებისა და ნათესავების სახლებს შორის ასეთი ხვრელები იმდენად განიერი იყო, რომ ერთმანეთისათვის სხვადასხვა ნივთების გადაცემაც კი შეეძლოთ. ხშირად, როცა მეზობელს ასანთი არ ჰქონდა, ამ ხვრელებით ერთმანეთს ანთებულ ჭრაქებს აწვდიდნენ ხოლმე.

ზულო ხვრელთან იდგა, მეზობლის სახლის ერთ ნაწილს კარგად ხედავდა და ლაპარაკიც ესმოდა:

— ამოგხოცავთ, თუ არ გამოგვიჩენთ... სად წავიდნენ... ჩვენ გვითხრეს, რომ ისინი აქ არიან... სად დამალეთ... გვითხარით ჩქარა... თორემ თქვენ ქალებს წავიყვანთ!.. — ემუქრებოდნენ თურქები.

მეზობელი ზაქო ფეხქვეშ ჩავარდნოდა თურქებს და ხვეწნა-მუდარით ეუბნებოდა:

— ღმერთი, ცა და დედამიწა მოწამეა, რომ აქ არ არიან... ნუ მომკლავთ, აი, ჩემი სახლი თქვენს ხელთაა... რაც გენებოთ, ვაკეთეთ...

ეს სანახაობა იმას ჰგავდა, ძველად ქალაქ სოდომში რომ მოხდა, როცა ქალაქის მაწანწალები ლოტიას სახლში მივიდნენ და მოსთხოვეს, თქვენი სტუმრები დაგვანებეთო. გულკეთილი მამამთავარი იხვეწებოდა, სტუმრებს ხელს ნუ ახლებთ, მათ ნაცვლად ჩემი ქალიშვილები წაიყვანეთო... ისრაელის იეროვა გულზვიადი და შურისმაძიებელიყო და დასაჯა ადამიანები მათი ცოდვებისათვის: ის უზნეო ქალაქი ცეცხლში გაახვია. მაგრამ სომხების ღმერთი სოდომში მომხდარზე ფარეს პოროტებას ხედავდა და ბოროტმოქმედთ არ სჯიდა...

მთლად აცახცახებული ზულო ხვრელთან იდგა. უცებ რაღაც ხმაური მოესმა და დაინახა, რომ მეზობელი ზაქო იატაკზე გაგორდა... ჭრაქი ჩააქრეს... ახლა უკვე აღარაფერი ჩანდა, ზულოს მხოლოდ საოწარკვეთილი შეძახილები ესმოდა: „ვაიმე!.. გამიშვი!.. ნუ მომკლავ!.. მოკვდები!.. სად მივყავარ?..

ეს მეზობელი ზაქოს ოჯახის ქალები და ქალიშვილები მოთქვამდნენ.

— ხმა ჩაიკმინდე, შე არამზადავ! — გაისმოდა ამ ოხვრა-ვედრების პასუხად.

## თავი ოცდამეთორმეტე

ზულო შინ რომ დაბრუნდა, სტუმრები ისევ სვამდნენ და მხიარულობდნენ. მღვდელი მღეროდა, სიმონა დიაკვანი ბანს აძლევდა, ეფენდი კი ცხვირში ღიღინებდა რაღაცას. მათს მხიარულებას ბოლო არ უჩანდა. რაში ენაღვლებოდათ მეზობლის სახლში დატრიალებული უბედურება. ზულომ გადაწყვიტა ყველაფერი ეთქვა მათთვის, იქნებ რაიმე დახმარება გაეწიათ. მღვდელთან მივიდა და ყურში უთხრა. რაც ნახა. ის კი დაუმალა, რომ სარა და სტეფანიკი მათ საბძელს აფარებდნენ თავს. ზულოს სომხური წესის მიხედვით სტუმრებთან ლაპარაკი არ შეეძლო, ამიტომ მღვდელს ყველაფერი ისე ჩუმად უამბო, რომ სტუმრებმა ვერაფერი გაიგონეს. მაგრამ როცა მღვდლის ალეწილ სახეს შეხედეს და შეატყვეს, რარიგ ააღელვა რძლის ნათქვამმა, მოუთმენლად ჰკითხეს:

— რა მოხდა?

— მხეცები, ნამდვილი მხეცები!.. — წამოიძახა მღვდელმა და ხელები მაღლა აღაპყრო. — თორმეტი მოციქულისა და სამას სამოცდაექვსი პატრიარქის რისხვა დაგატყდეთ თავს, წყეულთა ნაშიერნო!

— რა მოხდა? — გაიმეორა ეფენდიმ.

მღვდელმა ეფენდის უამბო ზულოს ნათქვამი და სთხოვა საბრალოებს დახმარებოდა.

არიან ადამიანები, რომლებიც განსაცდელის დროს უბედურების ბიზეზების გამოძიებას იწყებენ და საკუთარი სინდისის წინაშე ვალმოხდილად თვლიან თავს თუ მთელ დანაშაულს დაზარალებულს გადააბრალებენ. ეფენდიმ არა თუ უსამართლოდ და უპატიოსნოდ ჩათვალა თურქი ჯარისკაცების მოქმედება, არამედ გამართლებაც კი დაუწყო მათ.

— ერთი მითხარით, მამაო, ნუთუ ჭკუათმყოფელი კაცი გააკეთებდა იმას, რაც მაბასახლისმა ხაჩომ ჩაიდინა, როცა სახლში ისეთ საეჭვო პირებს ინახავდა, რომლებიც სხვადასხვა სისულელეებს უქადაგებდნენ და გონებას უბნევდნენ გლეხებს.

— სისულელეა, დიდი სისულელე. — მიუგო მღვდელმა, — მაგრამ რა დააშავეს საბრალო გლეხებმა, რომ რამდენიმე ხენთის გაპო თურქები ყველას ცეცხლსა და განსაცდელში აგდებენ? ჩვენი მეზობელი ზაქო ძალიან საწყალი კაცია, ისეთი მხდალია, რომ თავისი ჩრდილისაც კი ეშინია. მას რაღაზე აწამებენ? ოჯახს რატომ უწიოკებენ? ეს რა უსამართლობაა?!

— „ხმელ ფიჩხთან ერთად ცეცხლი ნედლსაც რომ წაუკიდო, დაიწვება“... ქვეყნის წესი ასეთია, მამაო! ნედლი და ხმელი ვის გაურჩევია? — უპასუხა ეფენდიმ და ამ ბრძნულმა სიტყვებმა თვითონაც გააოცა. — როცა ღმერთი ცოდვებისათვის ადამიანებს სჯის, უმანკო ბავშვს ცოდვილ მოხუცთან ერთად სამარეს უთხრის, კეთილი და ბოროტი ერთმანეთში ირევა... ასეთივეა სახელმწიფოს მართლმსაჯულებაც. გლეხებს პასუხს მოთხოვენ, დამიჯერეთ, მამაო, ყველას პასუხს აგებინებენ...

მღვდელმა ვერაფერი უპასუხა. „განა ხოლერისა და შავი ჭირის დროს, როცა ადამიანები თავიანთი ცოდვებისათვის ისჯებიან, უცოდველსა და ცოდვილს განასხვავებენ, განა ხმელიც ნედლთან ერთად არ

იწვიხ?" — გაიფიქრა მან. ეფენდის სიტყვებმა მეზობელი დაავიწყა და ის გაახსენა, რაც ყველაზე მეტად აწუხებდა.

მღვდელმა იკითხა:

— თუ ყველა გლეხს ისე გაუჩანაგებენ სახლს, როგორც დღეა მოხუც ხაჩოს დაურბიეს ოჯახი, მაშინ ხომ ჩემი ფულებიც დამეკარგება?

— მაგის დარდი ნუ გექნება, მამაო, — უპასუხა ეფენდიმ, — ხვალვე ავაკრეფინებ მთლიანად. თქვენ მხოლოდ ის მითხარით, მამაო, განა თვითონ ხაჩოს ბრალი არ არის, რომ ასე ისჯება?

ხაჩოს ოჯახში მომხდარმა უბედურებამ მთელი სოფელი შეაშფოთა. მართალია, საქმის ვითარება დაწვრილებით არავინ იცოდა, მაგრამ რატომღაც ყველანი მოხუცს ამტყუნებდნენ. „სომეხს იარაღი რად უნდა, — ამბობდნენ ისინი, — ბავშვს რომ ცეცხლი მისცე ხელში, მაშინვე თითებს დაიწვავს..." მღვდელიც ამ აზრისა იყო. მან ეფენდის უპასუხა:

— მე ერთი რამ ვიცი, შვილო ჩემო, როცა ებრაელები ჩვენი უფლის იესო ქრისტეს დასაჭერად მივიდნენ, პეტრე მოციქულმა მახვილი იძრო და მღვდელმთავრის მონას მაღგოსს ყური წააცალა. მაშინ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ პეტრე დატუქსა, უბრძანა, მახვილი ქარქაშში ჩაეგო და უთხრა, „ვინც მახვილს აღმართავს, მახვილივითვე წარწყდესო". ეს დარიგება არ უნდა დავივიწყოთ, თუ ქრისტიანული სარწმუნოების ღალატი არ გვინდა.

— ყოჩაღ, მამაო, ჩინებულად გაგიგია, — უთხრა ეფენდიმ. — თქვენ ეს მითხარით, ის წიგნაკები თუ წაიკითხეთ?

— წავიკითხე, როგორ არა, ერთი ცალი სიმონა დიაკვანს ჩავარდნოდა ხელში, ჩემთან მოიტანა, ერთად ვკითხულობთ, ვკითხულობთ, მაგრამ არაფერი გვესმის. ვამბობ, მამაცხონებულებო, თუ წერთ, ხეირიანად დაწერეთ, რომ სულსაც არგოს და ხორცსაც. კაცმა წაიკითხოს და ცოდვები მოინანიოს. ამისთანა ფუქსავატი რამეები რა სარგებლობას მოგვიტანს. მართალი არა ვარ, სიმონა დიაკვანო, შენც ხომ წაიკითხე?

— მე არ მომეწონა, — მიუგო სოფლის მასწავლებელმა, რომელსაც თავისი განსწავლულობის გამოჩენის საბაბი მიეცა, — სულ რაღაც ეშმაკური რამეები ეწერა. წმინდანთა ცხოვრებაზე რომ დაეწე-

რით ან „დაბადებიდან“ გადმოებეჭდათ, კიდევ არა უჭირდა, ხალხი წაიკითხავდა, ჭკუას ისწავლიდა. ძალიან ?ოხარული ვარ, რომ ვარდანი დაისაჯა, მეტისმეტად ამაყი ვაჟბატონი ბრძანდებოდა. ერთხელ ჩემ სკოლაში შემოვიდა და მითხრა, რა თქვენი საქმეა განათლება, ბავშვებს აფუჭებთ, წადით ვირები აძოვეთო. განა ასეთი სიტყვები სათქმელია? თითქოს ის ჩემზე ნასწავლი იყოს!

— „ვირის წიხლი უფრო გეტკინება, ვიდრე ცხენისაო“, — თქვა ეფენდიმ. — მაგ ვარდანმა მეც ბევრჯერ მაწყენინა.

ასე უზიარებდნენ ერთმანეთს მღვდელი, დიაკვან-მასწავლებელი და სახელმწიფო მოხელე თავიანთ აზრს სამწუხარო შემთხვევის გამო, არც ერთი არ შეწუხებულა იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იყო იმ ღამეს მამასახლისის ხაჩოს ოჯახი; კაცი, რომლის სიკეთით დავალებული იყო ყველა გლეხი, ახლა ყველას გასაკიცხი გახდა, რადგან მისი საქციელი, გლეხების აზრით, საძრახისი იყო. ყველას თავზარი დასცა საშინელების მოლოდინმა, მხოლოდ ყველა ბოროტებათა მოთავე თომას-ეფენდი მხიარულობდა და განსაკუთრებულ სიამოვნებასა და კმაყოფილებას განიცდიდა, როცა ხედავდა, რომ მის მიერ ჩაგდებული თესლი სასურველ ნაყოფს იძლეოდა.

— ვიმეორებ, — განაცხადა მან საქმიანი კაცის კილოთი, — გლეხებს პასუხს აგებინებენ. ცუდი დრო დადგა, ყველგან ომისათვის ემზადებიან, ასეთ არეულ პირობებში მთავრობა სასტიკად დასჯის მეაბბოხეებს.

ომის გაგონებაზე მღვდელი შეწუხდა, იმიტომ კი არა, რომ ომი უბედურებას უქადის გლეხებს, არამედ იმიტომ, რომ ნისიები გაახსენდა და დანაღვლიანდა.

— თუ ომი დაიწყო, თურქები იმდენ გადასახადს შეაწერენ გლეხებს, რომ ჩემს ვალებს ვეღარც ავკრეფ.

— თქვენ ნუ იდარდებთ, მამაო, — უპასუხა ეფენდიმ, — ყველა ზომას ვიხმარ, რომ ომის დაწყებამდე ვალები აუკრეფავი არ დაგრჩეთ.

სიმონა დიაკვანი მღვდელთან მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა, მოწაფეებისაგან თავადაც რომ ჰქონდა ფულები ასაკრეფი, მაგრამ მღვდელმა ისევ გაუმეორა, მოითმინეო.

ნათქვამია, „ვისაც რა სტკივა, სულ ის აგონდებაო“. მღვდელსა და დიაკვანს ახლა მხოლოდ თავიანთი მოვალეები აინტერესებდათ.

— „თვითონ ვირი არაფრად ღირს, მისი ბალანი კი ხავერდს წმენდსო“[1], თქვენ, ალბათ, გაგონილი გაქვთ ეს ანდაზა, მამაო, — უთხრა მღვდელს ეფენდიმ, — გლეხიც ასევეა. მართალია, მას დაგლეჯილი ტანისამოსი აცვია, ფეხშიშველი დადის, მაგრამ მდიდრების ხავერდის ქურქები მისი ოფლის ფასით არის შეძენილი. მართალია, თვითონ მშიერია, ხშირად ნატეხი პურიც კი ენატრება, მაგრამ უხვი საჭმელი, მდიდრების სუფრას რომ ამშვენებს, მისი შრომით არის მოპოვებული. თქვენ კი, მამაო, როგორც გეტყობათ, არ გცოდნიათ გლეხებისაგან ფულის გამოწურვა. ეს რომ გცოდნოდათ, არც ამდენი მოვალე გეყოლებოდათ და ამაღამ არაყსაც „უმაზოდ“ არ დაგვალევინებდი.

უკანასკნელმა სიტყვებმა მღვდელს გული ატკინა და სინანულით უპასუხა:

— აბა, რა გითხრა, ეფენდი, ჩვენ, მღვდლებს, ხელები შეკრული გვაქვს, თქვენსავით ჯოხი არ გვიჭირავს, რომ ვცემოთ და დავაშინოთ გლეხები. ჩვენი იარაღი გაცილებით სუსტია... რა ვქნა, რა ვიღონო? სიმართლე გითხრა, ხშირად გული მომდის, ველარ ვითმენ და ვწყევლი მათ... მაგრამ გლეხები ახლა ისეთი ურწმუნონი გახდნენ, რომ წყევლისაც აღარ ეშინიათ, სხვა იარაღი კი არა მაქვს. მაგრამ არც ისინი არიან დამნაშავენი, ქურთებმა აღარაფერი შეარჩინეს. ღმერთმა დასწყევლოს მათი სახსენებელი. ქურთები რომ არ ყოფილიყვნენ, მე ამდენი მოვალე არ მეყოლებოდა. ახლა თუ ომი დაიწყო, ქურთები მთლად გამხეცდებიან.

— „ვირი ხომ ვირიაო, ჯორი უფრო ფლიდიაო“, — უპასუხა ეფენდიმ. ეგ მეტისი ქურთებიც ჯორებივით ბოროტები არიან.

ეფენდი იზიარებდა სომხების აზრს, ქურთები ავი ხასიათისა იმიტომ არიან, რომ შერეული სისხლი აქვთო. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ უეჭველია, ქურთებმა, სომხებს რომ შეერივნენ, მართალია.

---

[1] ეს ანდაზა თურქულია, აღმოსავლეთში მაჰმადიანები ღორის ბალანს უწმიხღურად თვლიან, ამიტომ ტანსაცმლის ან სხვა საგნების გასაწმენდად ჯაგრისს ვირის ბალნიდან ამზადებენ (ავტორის შენიშვნა).

თავიანთი დამახასიათებელი ეროვნული თავისებურებანი დაკარგეს. მაგრამ კეთილშობილ ტომად იქცნენ. საუკუნეთა მანძილზე ულამაზესი სომეხი ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოტაცებით უფრო ჯიშიანები გახდნენ. სომხებმა კი, პირიქით, დაკარგეს რჩეული შვილები, ერის ყველაზე ჯანსაღი ნაწილი, თანდათან გამოიფიტნენ და ძველებური სილამაზე აღარ მოსდგამთ. ვისაც კარგად აქვს შესწავლილი თურქეთის სომხეთში მოსახლე ქურთებისა და სომხების ფიზიკური ტიპი, ის მათ შორის დიდ მსგავსებას ამჩნევს, რადგან ქურთები (რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ) — შერეული სომხურ-მუსულმანური ტომია.

• • •

შუალამე კარგა ხანია გადასული იყო. თავგაბეზრებული ზულო ისევ ბავშვთან იჯდა და უხალისოდ უსმენდა სტუმრების გაუთავებელ საუბარს. მოუთმენლად ელოდა, როდის დაიძინებდნენ, რომ სარა და სტეფანიკი ენახა, გაეგო, რა დღეში იყვნენ.

ეფენდი კი ძილზე არ ფიქრობდა, კიდევ ბევრი სალაპარაკო ჰქონდა მღვდელთან, მაგრამ სიმონა დიაკვანი უშლიდა ხელს. ამიტომ ძილი მოიმიზეზა, ხვალ დილით ადრე უნდა ავდგე, საჭირო საქმეები მაქვსო. დიაკვანმა ძილინებისა უსურვა და წავიდა. დიაკვანი რომ გავიდა, მღვდელმა თქვა:

— საბრალოს შვიდ ვარდაპეტზე მეტი ცოდნა აქვს, დასანანია, ჰხოლოდ, რომ ღვინო უყვარს, ნახეთ, როგორ ჩააბულბულა ჩემი მოკალეების სია?

— სიმონა დიაკვანზე ამბობ? — შეეკითხა ეფენდი. — დიახ, ჭშვენივრად წაიკითხა.

მაგრამ ეფენდის არც სიმონა დიაკვანი აინტერესებდა და არც მისი განსწავლულობა, ის საბაბს ეძებდა, რომ სიტყვა იმაზე ჩამოეგდო, რისთვისაც საგანგებოდ იყო ამ ღამით მღვდელთან მოსული. ღვინისაგან შეხურებულმა მღვდელმა გაცრეცილი ანაფორის გახდა მოისურვა, მაგრამ გაუფრთხილებლობით სახელო გაეხა. ეს რომ დაინახა, ეფენდიმ უთხრა:

— მამაო, ანაფორა ძალიან დაგძენძიათ, რატომ ახალს არ შეაკერინებთ?

— დალოცვილო, რითი შევაკერინო, ხომ ნახე, რამდენი მოვალე მყავს? ეს ანაფორაც სულმნათ კარაპეტ-ეფენდისა იყო. ის რომ მოკვდა, მისმა ჭირისუფლებმა მომცეს, შვიდი წელია მაცვია, მისი სიკვდილის შემდეგ, ჩემდა საუბედუროდ, არც-ერთი მდიდარი კაცი აღარ მომკვდარა, რომ ანაფორა გამომეცვალა...

— მე თქვენთვის ერთი კარგი ანაფორა უნდა შევაკერინო, კარგი მღვდელი ხართ, — უთხრა ეფენდიმ, — ჩაიცვით და დამლოცეთ.

— სამას სამოცდაექვსი პატრიარქის კურთხევა ნუ მოგიშალოს ღმერთმა, შვილო, — მიუგო მღვდელმა და ლოცვა დაუწყო. — ერთი სხვა სათხოვარიც მაქვს, ეფენდი, — დაუმატა მან ,— თქვენ ხომ ჩვენი სახელი და დიდება ხართ, ეს გვიხარია და ცისმარე დღეს ღმერთს მადლობას ვწირავთ, რომ სომეხთა შორის არის თქვენისთანა ბატონი, მაზრის უფროსთან და ფაშასთან თავისუფლად დადიხართ და ტოლივით ელაპარაკებით. ჩვენი ერის სახელით, ჩვენი წმიდა სარწმუნოების სახელით გევედრებით, მამასახლის ხაჩოს და მის ოჯახს ურჯულოებს ნუ ჩაუგდებთ ხელში, თქვენ რომ მოისურვოთ, შეგიძლიათ გადაარჩინოთ, ცოდვაა, სომეხი ქრისტიანები არიან, დაეხმარეთ. რა დანაშაულიც არ უნდა მიუძღოდეთ, ვალდებული ვართ დავეხმაროთ, რადგან ჩვენი სისხლი და ხორცნი არიან. არც მე მომწონს მათი საქციელი, მაგრამ „ვინ არს უცოდველი?“

მართალია, ამ სიტყვებმა ეფენდიზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა, მაგრამ ხვაშიადის გამომჭლავნების საბაბი კი მისცა, ამიტომ მღვდელს მაშინვე უპასუხა: მზადა ვარ და კიდევაც შემიძლია მამასახლისის ოჯახი უბედურებას გადავარჩინო, არ დავუშვებ რომ ვინმემ თითი დააკაროს, მაგრამ მამასახლისმა თავის მხრივ ერთი თხოვნა უნდა შემისრულოსო. მერე გაახსენა, ერთი წლის წინათ ლილას საიდუმლოება რომ გამიმხილე, იმ დღიდან ის ქალიშვილი შემიყვარდა და მისი ცოლად შერთვა მინდაო. თუ მამასახლისი ამ სურვილს შემისრულებს, დავეხმარები, თუ არა და, თითსაც არ გავანძრევ და მთავრობა მოხუც ხაჩოს კანონისა და სამართლის მიხედვით მოექცევა, ცხადია, მამასახლისის ოჯახს მიწასთან გაასწორებს და ქონებას სულ ჩამოართმევსო.

ეფენდიმ მღვდელს გაახსენა მისი მამობრივი მოვალეობა ხალხის წინაშე და სთხოვა, ჯერ გვიან არ არის და შეიძლება მოსალოდნე-

ლი უბედურების თავიდან აცილება, ხაჩოსთან მიდი და ამ საკითხზე მოელაპარაკეო.

— ვფიცავ ჩემ საღმრთო წოდებას, ეფენდი, — მიუგო უზომოდ გახარებულმა მღვდელმა, — ხვალ დილითვე წავალ მამასახლისთან და ყველაფერს, როგორც გნებავთ, მოვაგვარებ. ხაჩომ ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს და ობლებს საღმრთო დაუკლას, თქვენისთანა კაცმა მისი სიძეობა რომ ისურვა.

ეფენდიმ ეშმაკურად ჩაიხითხითა და უთხრა:

— თუ თხოვნას შემისრულებთ ახალი ანაფორა ჩემზე იყოს.

— ჩემს მოვალეებს რა ეშველებათ?

— ნურც მაგას იდარდებთ...

## თავი ოცდამეცამეტე

მწუხარე და საზარელმა ღამემ გაიარა. დილით მოხუცი ხაჩოს სახლს ისეთი სამგლოვიარო იერი ჰქონდა, იფიქრებდით, იქიდან რავ-დენიმე მიცვალებული ერთად უნდა გამოასვენონო.

სახლიდან ჯერ ვარდანი გამოიყვანეს. სახეზე სრული სიმშვიდე აღბეჭდოდა, ვითომც აქ არაფერიაო. ტუჩებზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს ამბობდა: საინტერესოა, რას მიპირებენ ეს სულელებიო?

ხუთი ჯარისკაცი მზად იყო ფაშა-ეფენდისთან ვარდანის წასაყვა-ნად. როცა ცხენზე შესვეს და ფეხებში ბორკილების გაყრა დაუპი-რეს, წინააღმდეგობა არ გაუწევია, თუმცა ცხენზე უძრავად ჯდომა ადვილი არ იყო.

— ტყუილად ირჯებით, — შენიშნა ვარდანმა, — გაქცევას თუ მოვინდომებ, თქვენი ბორკილები ვერ დამაბრკოლებს.

ჯარისკაცებმა მის ნათქვამს ყურადღება არ მიაქციეს, ფეხებზე ბორკილები რომ დაადეს, მერე მკლავები ზურგს უკან გაუკრეს, თო-კის ბოლოები კი ორ ჯარისკაცს გადასცეს. მათ სამი მცველი ამოუდგა აქეთ-იქიდან.

ასეთი შემთხვევები სოფელში, ჩვეულებრივად, მრავალ ცნობის-მოყვარეს იზიდავს ხოლმე, მაგრამ ამჯერად არც ერთი გლეხი არ გა-

ფოსტალა იმის სანახავად, თუ როგორ მიჰყავდათ ვარდანი, კაცი, რომელსაც ბევრი შრომა და ღვაწლი მიუძღოდა მათ წინაშე. მოხუცის სახლს ყველა ისე გაურბოდა, თითქოს იქ შავ ჭირს დაესადგურებინოს.

სახლში აღარც ერთი ქალი არ იყო, ყველას თავი სადღაც გაერიდებინა და დამალულიყო. ჰაირაპეტი და აპო დაპატიჭრებული იყვნენ. ვარდანის შემდეგ მათაც გაგზავნდნენ. არც ხაჩოს დანარჩენი ვაჟიშვილები გამოჩენილან. ვარდანის გასაცილებლად მხოლოდ მოხუცი ხაჩო გამოვიდა.

უკანასკნელ უბედურებათა შემდეგ საწყალი კაცი პირდაპირ ცოცხალმკვდარი იყო. ვარდანთან მივიდა და მდუმარედ გადაეხვია. უზომო მღელვარების გამო ერთი სიტყვაც ვერ უთხრა. მაგრამ მისმა რამდენიმე წვეთმა ცრემლმა უფრო მეტი თქვა, ვიდრე ენას შეეძლო.

— გული გაიმაგრე, მამავ, — დაუყვავა ვარდანმა,—„ვინც წყალში ფეხს შესდგამს, დასველებისა არ უნდა ეშინოდეს...“ მშვიდობით ყოფილ ვარ.

ჯარისკაცები ვერაფერს მიხვდნენ, ვარდანის ცხენი წინ გაიგდეს და გზას გაუდგნენ. მოხუცი დიდხანს იდგა, ვიდრე პატიმარი თვალს არ მიეფარა, გზას გაჰყურებდა.

ღრმად დაფიქრებული ხაჩო სახლში შებრუნდა.

„რატომ წაიყვანეს მარტო ვარდანი? ჰაირაპეტი და აპო რატომ დატოვეს? მე რატომ არ მაპატიმრებენ, რა ხდება?“ — მოხუცს ეს კითხვები მოსვენებას არ აძლევდა. მან არ იცოდა, რა ვერაგული ბლართები ჰქონდა გაბმული თომას-ეფენდის. საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ საბრალო მოხუცის ოჯახს შურისძიების მთელი საშინელება მხოლოდ მაშინ დაატყდებოდა თავს, როცა თომას-ეფენდის ლალას მითხოვებაზე უარს ეტყოდნენ. თომას-ეფენდიმ ვარდანი გადაამალებინა და სალმანი დაბეზღა იმიტომ, რომ ისინი სათაყვანებელი თურქეთის მთავრობის საშიშ მტრებად მიაჩნდა. მოხუცი და მისი ვაჟიშვილები კი ამ საქმეში მხოლოდ იმიტომ გაიბა, რომ შემდეგ მსხნელად მოვლინებოდა და გასამრჯელოდ ლალა მოეთხოვა. აი, რა ვაჭრული ანგარიში ჰქონდა თომას-ეფენდის, მან დიდი ბოროტება ჩაიდინა, მაგრამ ამ ბოროტების სამწუხარო შედეგი ვერ გაითვალისწინა

მოხუცს უნდოდა თომას-ეფენდი ენახა და გაეგო რით დამთავ-

რდებოდა ყველაფერი. ჯერ კიდევ სჯეროდა თომას-ეფენდის დაპირებისა, ახსოვდა მისი სიტყვები: „მამასახლისო ხაჩო, ნებას არ მივცემ, რომ შენ ვინმემ თითი დაგაკაროს“. მაგრამ თომას-ეფენდი ამ დილით არ გამოჩენილა.

ეფენდის ნაცვლად ტერ-მარუქი გამოცხადდა. მართალია, უბედურების ჟამს მღვდელი კაცს ნუგეშსა ჰგვრის, მაგრამ ტერ-მარუქის დანახვა მოხუცს არ ესიამოვნა. ხაჩო მეტად ცრუმორწმუნე იყო და მღვდლის სტუმრობა ცუდის მომასწავებლად მიიჩნია.

მაგრამ რაკი მღვდელმა გვერდზე გაიხმო და უთხრა, საჭირო საქმე მაქვსო, მოხუცი ცოტა არ იყოს დამშვიდდა. ორივენი ბაღის ერთ მყუდრო, ჩრდილოვან კუთხეში დასხდნენ.

მღვდელმა შორიდან დაიწყო. ჯერ ანუგეშა და დაარიგა, სახარების მაგალითები დაიმოწმა, ნეტარი იობის წამება გაიხსენა და უთხრა ღმერთი ხშირად თავის მსახურთ გამოსაცდელად სხვადასხვა განსაცდელში აგდებსო. კაცმა მოთმინება, იმედი არ უნდა დაკარგოს, ბოლოს უფალი მორწმუნეს საუკუნე დიდებას მიანიჭებსო.

ქადაგებას რომ მორჩა, ვიდრე იმ საქმეს შეეხებოდა, რისთვისაც მოვიდა, მღვდელმა ერთი იგავი უამბო ხაჩოს.

— ერთი ხელმწიფის ვაჟი, — დაიწყო მღვდელმა მაჭანკალიკით, — სანადიროდ წავიდა. ნადირობაში შემოალამდა, შინ ვეღარ დაბრუნდა და ღამე ტყეში, ერთი მწყემსის ქოხში გაათია. მეფისწულმა მწყემსის სტუმართმოყვარეობით ძალიან კმაყოფილი დარჩა, მაგრამ უფრო მეტად მწყემსის ლამაზმა ქალიშვილმა მოხიბლა. მეორე დღეს სასახლეში რომ დაბრუნდა, მამას უთხრა, მწყემსის ქალიშვილი მოეწონა და მინდა ცოლად შევირთოო. მამამ სულელად ჩათვალა და დატუქსა. მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, შვილს განზრახვაზე ხელს ვერ ავაღებინებო, და ერთ-ერთი ვეზირი მწყემსთან შუამავლად გაგზავნა. ვეზირი უკან დაბრუნდა და ამბავი მოიტანა, მწყემსი უარზეა, ხელმწიფის შვილს ქალს არ მივათხოვებო. ხელმწიფეს გაუკვირდა და მეორედ უფრო მაღალი წოდების ვეზირი გაგზავნა. მაგრამ იმანაც იგივე პასუხი მოუტანა. შემდეგ თავისი პირველი ვეზირი გაგზავნა. ისიც უარით გამოისტუმრეს. ბოლოს, მეტი გზა აღარ იყო, ადგა და თვითონ წავიდა, მაგრამ სხვებივით ხელცარიელი დაბრუნდა, მწყემსმა მა-

ცაც უარი უთხრა. ხელმწიფე გაოცდა, თავისი დიდებულები მოიწვია და მოეთათბირა. ყველაზე გამოცდილმა და ჭკვიანმა დიდებულმა ურჩია მწყემსთან მწყემსი გაგზავნე, მწყემსის ენა მწყემსმა იცის და ადვილად დაითანხმებსო. ხელმწიფის მწყემსებში ერთი ამოარჩიეს და გაგზავნეს. ეს მწყემსი არც მომზადებულა, არც მორთულ-მოკაზმულა, აიღო თავისი განუყრელი კომბალი და ლამაზი ქალიშვილის მამის ქოხისაკენ ფეხით გაუდგა გზას. ქალის მამამ მეფის მწყემსი დიდი სიყვარულით მიიღო, ერთად ჭამეს, სვეს და იმხიარულეს. ბოლოს მწყემსმა ხელმწიფის თხოვნა გადასცა და ჰკითხა: რატომ არ გინდა შენი ქალი ხელმწიფის შვილს მისცეო? მამამ უპასუხა: მამაცხონებულო, მეც კაცი ვარ, მეც თავმოყვარეობა მაქვს, ხელმწიფემ შენისთანა პატიოსანი კაცი როდის გამომიგზავნა, რომ ჩემი ქალი მისი შვილისათვის მიმეთხოვებინაო?"

როცა იგავი მოათავა, მღვდელმა დასძინა:

— მეც მწყემსი ვარ, მამასახლისო, და შენც, ჩვენ ორივეს სამწყსო გვყავს. მე სოფლის მღვდელი ვარ, შენ კი სოფლის მამასახლისი. ამიტომაც მოვედი შენთან ისეთივე წინადადებით, როგორითაც მწყემსი მწყემსთან იყო მისული.

— რა წინადადებით? — უსიამოვნოდ ჰკითხა მოხუცმა.

მღვდელმა უპასუხა, თვით ღმერთმა ინება ამ გაჭირვების დროს განუგეშო და გადაგარჩინოო. თომას-ეფენდი გთხოვს, ლალა მომათხოვე და პირობას გაძლევ, შენს ოჯახს უბედურებიდან ვიხსნიო.

— ღმერთს მადლობა უნდა შესწირო, რომ თომას-ეფენდისთანა კაცი მეგობრობისა და დახმარების ხელს გიწვდის, — დაუმატა მღვდელმა.

მიუხედავად იმისა, რომ მღვდელი ძალიან ოქროპირობდა, მიზანს მაინც ვერ მიაღწია.

შესაძლოა, სხვა დროს, სხვა პირობებში მისი მაჭანკლობა უფრო იღბლიანი ყოფილიყო, ადრე მოხუცი ხაჩოც ფიქრობდა, ჩემს ქალს ეფენდის მივათხოვებო, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა: ხაჩოს ორი ვაჟიშვილი დაპატიმრებული ჰყავდა, თვითონ მოხუცის საქმესაც იძიებდნენ, მისი რძლები და შვილიშვილები უცხო ხალხთან იმალებოდნენ, ორი ახლო მეგობარი — ვარდანი და სალმანი მთავრობას ჩაუ-

ვარდა ხელში, თვალწინ ოჯახს უნადგურებდნენ, ამ ბოროტებათა ჩამდენი კი ახლა შუამავალს უგზავნიდა და ქალს სთხოვდა.

მოხუცს ერთბაშად აეხილა თვალები და თომას-ეფენდის ვერაგული ხელით გათხრილი უფსკრული დაინახა. გაახსენდა ვარდანის სიტყვები, ეფენდის სხვადასხვა ადგილას მოტყუებით რამდენიმეჯერ შეურთავს ცოლი და შემდეგ მიუტოვებიაო. ნუთუ ლალასაც მახეს უგებსო. ხაჩომ გაიხსენა ეფენდის საქციელი და მიხვდა, რომ მისი მზაკვრული ფანდების მიზანი ლალას ხელში ჩაგდება იყო. პირველად ეფენდიმ აცნობა სალმანის დაპატიმრება. საიდან გაიგო? სალმანი ხომ შუაღამისას დააპატიმრეს და მთელ მაზრაში არავინ ამის შესახებ არაფერი იცოდა? პირველად ეფენდიმ აცნობა, სახლი უნდა გაგიჩხრიკონო, თავი მეგობრად და მახლობლად მოაჩვენა, მოატყუა და სალმანის ქაღალდების ხელში ჩაგდება მოახერხა. მერე ქაღალდები სახლის საიდუმლო სარდაფში დაამალინა და გასაღები გამოსტყუა. რა მიზანი ჰქონდა? თან რატომ არ წაიღო და არ მოსპო ქაღალდები? სარდაფში ალბათ იმიტომ შეანახვინა, რომ საჭიროების შემთხვევაში პოლიციელებს გადასცეს და უთხრას: „აი, იმ ადამიანების შეთქმულების დამამტკიცებელი საბუთები“. თვალწინ წარმოუდგა მთელი წარსული და მიხვდა, რომ მოტყუებული იყო. ამიტომ მღვდელს ღვარძლიანი კილოთი უპასუხა:

— მამაო, ეგ იგავი სრულიად შეუფერებელია იმ შუამავლობასთან, რაც თქვენ გიკისრიათ, ხოლო იმ ძაღლს, თომას-ეფენდის, ნამდვილი ხელმწიფეც რომ იყოს, ჩემს ქალს არ მივათხოვებ. რაც მოსახდენია, დაე, მოხდეს. მირჩევნია სახლი დამექცეს და მთელი ოჯახი დამეღუპოს, იმ ბოროტმოქმედის შველა არ მჭირდება, ყველა უბედურება იმან დაგვატეხა თავს. მე მესმის... ყველაფერი მესმის... ეფენდიმ მომატყუა, მაგრამ დღეის შემდეგ ვეღარ მომატყუებს.

მღვდელმა საქმის ნამდვილი ვითარება არ იცოდა და ვერ მიხვდა რატომ გაჯავრდა მოხუცი, მისი უცნაური ლაპარაკიც ვერ გაიგო. მამასახლისმა კი გარკვეულად არაფერი უთხრა, რადგან გაიფიქრა: სტეფანიკი ტერ-მარუქის მონათლულია, მის ამბავს მღვდლის გარდა ეფენდის არავინ ეტყოდა.

მღვდელი მოხუცის სახლიდან უკმაყოფილო წავიდა, გზაში ფიქ-

რობდა: „ღმერთი კაცს ჯერ ჭკუას წაართმევს, შემდეგ კი — სიმდიდრეს“.

ეფენდი მღვდლის სახლში იყო და მოუთმენლად ელოდა, ტერჭერუქი დაბრუნდა თუ არა, მაშინვე ჰკითხა:

— რა ამბავი მომიტანე?

— არ ვიცი, რა გითხრა, — უპასუხა მღვდელმა დაბნეულად, — კაცი ჭკუაზე აღარ არისl

— უარი თქვა?

— დიახ.

— მე მაგას მოველოდი.

თითქოს ცა ჩამოინგრა და ქვეშ მოიყოლაო, ეფენდის თვალთ დაუბნელდა, კანკალი დააწყებინა და იატაკზე დაეცა. დიდხანს ეგდო ასე, თავში ხელს იცემდა, თმას იგლეჯდა და კვნესოდა: რაღა ვქნა, ოჰ, რაღა ვქნაო?

ამქვეყნად არაფერი ისე არ ატყვევებს ადამიანს, როგორც სიყვარული. სპშინელი მტარვალებსაც კი, ქვეყნები რომ გაუნადგურებიათ, ბარი სისხლით მოურწყავთ და ხალხისათვის შიშის ზარი დაუცია, საყვარელი ქალის წინაშე მუხლი მოუდრეკიათ და მისთვის თაყვანი უციათ. მხოლოდ ქალთან უჩენია თავი მათ ადამიანურ გრძნობებსა და სისუსტეს.

თომას-ეფენდის ლალა უყვარდა, უყვარდა გულწრფელად და ბნურვალედ. ამ სიყვარულმა მთლად დაადნო და დაალბო მისი ვეფხაგი გული. დევი რომ შეიყვარებს, ისიც კი ანგელოზად იქცევა. ეფენდისაც სიყვარულმა სინანულის გრძნობა აღუძრა.

თომას-ეფენდის არასოდეს გამოეცადა ნამდვილი სიყვარული. ალბათ ამიტომ იყო სულბნელი და არ სჯეროდა, რომ ამქვეყნად შეიძლებოდა რამე წმინდა გრძნობა ყოფილიყო. რა გამჭრიახობასა და გაქნილობასაც საქმეში იჩენდა, იმდენად გულქვა კაციც იყო. ლალას სიყვარულმა ბნელი სული გაუნათა, თავისი ნამოქმედარი გაახსენა და შეაწუხა.

— ეს რა ვქენი? — გმინავდა ეფენდი და თმას იგლეჯდა.

ადრე ვერ გრძნობდა, რა საშინელება ჩაიდინა, სჯეროდა მიზნის მისაღწევად ყოველგვარი საშუალება კარგიაო. ახლა კი იგრძნო როგორ გააუბედურა მოხუცი ხაჩო. თავდაპირველად თავის საქ-

ციელს ბავშვურ ცელქობად თვლიდა, ფიქრობდა პატარა ნაკვერჩ-ხალს ავიღებ ხელში და მოხუცს ცეცხლით შევაშინებო, დამფრთხალი საწადელს შემისრულებსო. მაგრამ პატარა ნაკვერჩხლიდან უცებ საშინელი ხანძარი გაჩაღდა და ახლა ამ ცეცხლს თვითონაც ველარ ჩააქრობდა.

— ოჰ, ეს რა ვქენი! — კვლავ წამოიძახა ეფენდიმ.

მღვდელი შეშინებული უყურებდა ეფენდის წამებას, ეგონა, ეულს ებრძვისო. ეფენდი იატაკზე ეგდო, დროდადრო ცახცახებდა, ტუჩები მოღრეცოდა. დიდხანს იტანჯებოდა ასე, მერე თვალები გაჭრილა და მღვდელს უთხრა:

— რაც მოხუცმა ხაჩომ გითხრა, ყველაფერი მართალია, მამაო. ეე მისი ქალის ღირსი არა ვარ. აბა, რა ხელი აქვს ჩემისთანა ბოროტ-მოქმედს იმ ანგელოზთან? ჩამქოლე, დამწყევლე, მამაო, მე მეტის ღირსი არა ვარ!

ეფენდის კვლავ შეუღონდა გული. მღვდელს ეგონა მოკვდა და დაიბღავლა:

— ვაიმე, ჩემო ნისიებო, დაიკარგა ჩემი ფულები!

## თავი ოცდამეთოთხმეტე

ახლა კი დავუბრუნდეთ ჩვენი რომანის დასაწყისს.

მკითხველმა, ვფიქრობ, უკვე იცის, ვინ იყო ის ახალგაზრდა, რომელმაც ბაიაზეთის ციხე-სიმაგრის საშინელი ალყის დროს კომენდანტ შტოკვიჩისაგან წერილი ჩაიბარა, ყველას თავი ხენთად მოაჩვენა, ქურთების ბანაკში შეიპარა, იქიდან უვნებლად გამოვიდა და რამდენიმე დღის შემდეგ წერილი გენერალ ტერ-ღუკასოვს გადასცა. მკითხველს ისიც ახსოვს, რომ ახალგაზრდამ გენერალთან დარჩენა არ ინდომა, დატოვა რუსეთის ჯარის ბანაკი და ერთი არსების გადასარჩენად გაეშურა.

ის ახალგაზრდა ვარდანი გახლდათ. მოდით, გავყვეთ მის კვალს ხევში მოკლული ქურთის ცხენით ვარდანი პირდაპირ ალაშკერტის მაზრისაკენ გაეშურა. იქ ეგულებოდა ყველა, ვინც ახლობელ ადამიანად მიაჩნდა. იქ იყო მოხუცი ხაჩოს ოჯახი, სადაც ბევრი

ბედნიერი დღე ჰქონდა გატარებული, იქ იყო მშვენიერი ლალა, რომლისთვისაც სიცოცხლეს არ დაიშურებდა, იქ იყვნენ მისი საყვარელი მეგობრები, რომლებთანაც შეფიცული იყო თავი შეეწირა წმიდა საქმისათვის, ერთი სიტყვით, იქ იყო ყველა, ვინც მას გულით უყვარდა და ვისაც ეთაყვანებოდა.

მაგრამ რა დღეში დატოვა ვარდანმა ისინი, როცა თვითონ ბორკილებგაყრილი თურქეთის სამხედრო პროკურორთან წაიყვანეს? მოხუცი ხაჩო და მისი ვაჟები დაპატიმრებული იყვნენ. ოჯახის რძლები თავიანთი ბავშვებით სხვადასხვა ადგილას იმალებოდნენ. ლალას ბედი დამოკიდებული იყო ორი მონადირის — თომას-ეფენდისა და ქურთი ბეგის გამხეცებულ ორთაბრძოლაზე. სალმანი დაპატიმრებული იყო. მელიქ-მანსური თავისი რაზმით მის გასათავისუფლებლად გაეშურა, თუმცა ვარდანმა არ იცოდა, მოახერხა თუ არა მან ეს. ყველანი უბედურ და სავალალო მდგომარეობაში დატოვა. მას შემდეგ ორთვენახევარმა გაიარა და ახალი არაფერი იცოდა.

ამ ორთვენახევრის მანძილზე ბევრი ცვლილება მოხდა, დიდი ამბავი დატრიალდა. რუსეთმა თურქეთს ომი გამოუცხადა. გენერალ ტერ-ღუკასოვის ძლევამოსილმა ჯარებმა ბაიაზეთისა და ალაშკერტის მაზრები დაიპყრეს და არზრუმს მიადგნენ. დაჩაგრულმა, გაძარცულმა სომეხმა ხალხმა, რუსების მფარველობით თავისუფლად ამოისუნთქა. მაგრამ უცაბედად ომის ბედ-იღბალი შეტრიალდა. გენერალი ტერ-ღუკასოვი იძულებული გახდა დაპყრობილი მაზრები დაეტოვებინა და თავისი ჯარებით რუსეთის საზღვრისაკენ გაბრუნებულიყო. თვრამეტ აპრილს დაპყრობილი ბაიაზეთი ოცდაშვიდ ივნისს კვლავ თურქებმა ჩაიგდეს ხელში.

უკანასკნელად მომხდარ ამბებზე ვარდანმა არაფერი იცოდა. არ იცოდა, რა მოხდა გენერალ ტერ-ღუკასოვის ჯარების უკანდახევის დროს. არ იცოდა, რომ საბრალო ალაშკერტელებმა სახლ-კარი მიატოვეს და გაიქცნენ, მისთვის არც ამ გაქცევის მიზეზები იყო ცნობილი.

სულ მოკლე დროში ვითარება საოცრად შეიცვალა.

ორთვენახევრის წინათ ბორკილებგაყრილი ვარდანი, თურქი ჯარისკაცებით გარშემორტყმული, მოხუცი ხაჩოს სახლიდან თურქ

სამხედრო პროკურორთან წაიყვანეს, გზად მისი ერთგული მსახურები საქო და ეღო წამოეწივნენ და ცხარე ბრძოლის შემდეგ თავიანთი ბატონი გაათავისუფლეს. ამ ბრძოლაში ვარდანი დაიჭრა და მსახურებმა ხელში აყვანილი მიიყვანეს რუსეთის საზღვრამდე, სურმალუს მაზრის ერთ სომხურ სოფელში. როგორც კი ცოტათი გამოჯანმრთელდა, ვარდანი მოხალისედ შევიდა სომხურ მილიციაში. ორივე მსახურმა — საქომაც და ეღომაც მას მიბაძა. მაგრამ ბაიაზეთის ციხე-სიმაგრის ალყის დროს ორივენი ბრძოლის ველზე დაეცნენ. ხოლო რა საშუალებით გამოაღწია ვარდანმა ციხე-სიმაგრიდან, ეს ჩვენ უკვე ვიცით.

ახლა კი დამწუხრებული მარტოდმარტო მიდიოდა ველზე, სადაც სოფელი ო... მდებარეობდა. მშვენიერი სანახავი იყო ეს ველი ამ რამდენიმე კვირის წინ! რარიგ ლამაზი იყო იქაური მინდვრები, ხეობები და მწვანით მოსილი მთების კალთები! დამწიფებული პურეულით დაფარული ველის მთელი სივრცე ოქროსფერ ზღვასავით ღელავდა. მთების კალთებზე შეფენილი საქონელი უზრუნველად ძოვდა ბალახს. უდარდელი მწყემსის სალამური ტკბილ ჰანგებს ჰფენდა არემარეს. მდიდარი ბუნება და შრომისმოყვარე ადამიანები ხელიხელჩაკიდებულნი საოცრებას ახდენდნენ. ახლა? ახლა ყველაფერი შეცვლილიყო. ველის მთელი სივრცე ძაძებით მოსილ უდაბნოს ჰგავდა. ყანები ცეცხლს შთაენთქა, წაელეკა და ყველგან ფერფლის ზვინები დაეტოვებინა. ვისმა მარჯვენამ ჩაიდინა ეს ბოროტება? ვინ გაანადგურა მშრომელი კაცის ოფლითა და შრომით მოპოვებული ნაყოფი?

ვარდანს უჭირდა ამის გაგება. ის შეჰყურებდა ფერფლად ქცეულ ოდესღაც ლამაზ და ხალხმრავალ სოფლებს. ცეცხლსა და მახვილს თავისი გამანადგურებელი კვალი დაეტოვებინა. ყველგან ჩამკვდარიყო სიცოცხლე, მინდვრებიდან აღარ ისმოდა გლეხის მხიარული სიმღერა, საძოვრებზე აღარ ჩანდა პირუტყვი, ირგვლივ ყველაფერი სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა, თითქოს ამ საბრალო ქვეყანაზე ბოროტ ჯადოქარს გაევლო და ყოველივე, რაც კი ადამიანის გამრჯე მარჯვენას შეუქმნია, გაენადგურებინა.

რა მოხდა?

ივლისის მზე საშინლად სწვავდა იქაურობას. შუადღე გადასუ-

ლი იყო, როცა ვარდანი სოფელ ო...ში შევიდა. სოფელი იმ ლეგენ-დარულ დასახლებას წააგავდა. რომელიც ჯადოქრის წყეველა-კრულ-ვას ერთბაშად მიწასთან გაესწორებინა. სახლები, სადაც ერთ დროს ციცოცხლე ჩქეფდა, სადაც ხალხი ბინადრობდა, ახლა სამარეებად ჯადაქცეულიყო. ყველაფერი ნანგრევებს დაეფარა. ვარდანი შეშ-ლილივით დადიოდა ნაცნობ ქუჩებში. ადგილ-ადგილ ადამიანის სხეულის ნაგლეჯებს წააწყდებოდა ხოლმე. ეჭვი არ იყო, რომ აქ რაღაც საშინელი კატასტროფა, რაღაც საზარელი ამბავი მომხდა-რიყო. ვარდანმა ეკლესიას ჩაუარა, არც ღვთის ტაძარი განსხვავდე-ბოდა მის გარშემო მდებარე ნანგრევებისაგან.

ვარდანი მოხუცი ხაჩოს ყოფილ ციხე-დარბაზს მიუახლოვდა ჭისგან მარტო გალავანილა დარჩენილიყო და ისიც ადგილ-ადგილ ნანგრეული იყო. ეზოში რომ შევიდა, თვალწინ საზარელი სანახაო-ბა წარმოუდგა. სახლის ბაღი მთლად გაპარტახებულიყო, აღარსად ჩანდა ის ლამაზი ტოტებგაშლილი ხეები, რომელთა ჩრდილში მრა-ვალი ტკბილი საათი ჰქონდა გატარებული მშვენიერ ლალასთან. სად არის ახლა ის? მისთვის მოვიდა აქ ვარდანი... მას დაეძებდა ამ ნანგ-რევებში... ნუთუ ქურთმა ბეგმა გაიტაცა? ან იქნებ თურქ ჯარისკაცს წაუვარდა ხელში? ვარდანს ერუანტელმა დაუარა, როცა უცაბედად თვალწინ წარმოუდგა საზარელი სინამდვილე. ეს რკინასავით მაგა-რი კაცი, თითქოს ერთბაშად დაამსხვრია მძიმე დარტყმამ, სისხლი თავში აუვარდა, თვალთ დაუბნელდა. ვერაფერს ხედავდა, ვეღარა-ფერს გრძნობდა. შეუცნობლად ჩამოჯდა ბორცვზე, სახეზე ხელე-ბი აიფარა და დიდხანს იჯდა გაშტერებული.

უცებ თვალწინ წარმოუდგა ნაზი სახე, ისეთივე ნაღვლიანი; ისეთივე უიმედო და თვალცრემლიანი, იმ უკანასკნელ ღამეს რომ ეხილა მყუდრო ბაღში. მაშინ ქალმა საყვარელ ყმაწვილს კისერზე ხელები შემოხვია და შეეკედრა: „წამიყვანე, მომაცილე აქაურო-ბას, ქურთების მეშინია“... რატომ არ წაიყვანა, რატომ მიატოვა ვარდანმა? ახლა ვარდანს აზრი ვეღარ მოეკრიბა, — გაოგნებულ კაცს გონება უჩლუნგდება და ვეღარ აზროვნებს.

რამდენი მწარე მოგონება გაუღვიძა ვარდანს ამ საზარელმა ნანგრევებმა! სულ ცოტა ხნის წინათ აქ მკვიდრად იდგა ეს სახლი, მშვიდად ცხოვრობდა დიდი ოჯახი. რა დაემართა, სად არის ახლა ის

ოჯახი? ვარდანმა თვალი შეავლო ქალების ოთახს, მხოლოდ ოთხი დანახშირებული კედელიღა დარჩენილიყო. აქ ოდესღაც, მთელ დღეს ხალისიანად ფუსფუსებდნენ ხაჩოს რძლები, უხრუნველად ცელქობდნენ მისი შვილიშვილები. ახლა აღარც ბავშვების ჟივილ-ხივილი ისმოდა და აღარც მზრუნველი დედების ლაპარაკი.

ვარდანმა ახლა მოხუცის ოდისაკენ გაიხედა, ოდა მთლად მიწასთან იყო გასწორებული. ვარდანს გაახსენდა ის მხიარული საღამოები, როცა თვითონ, სალმანი, მამასახლისი და მისი ვაჟები ამ ოდაში თავმოყრილნი დიდი აღფრთოვანებით ბჭობდნენ, მსჯელობდნენ და ათასნაირ გეგმებს აწყობდნენ საბრალო ხალხის გაჭირვებიდან გამოსაყვანად, მისთვის ბედნიერი ცხოვრების შესაქმნელად. ახლა კი ყველაფერს მიწასთან გასწორებულს, განადგურებულს ხედავდა.

აგერ, ერთ მხარეს ადამიანები გამოჩნდნენ. მანამდე მთელ მაზრაში ერთი ცოცხალი არსებაც კი არ შეხვედრია. გაუხარდა და ჭათთან მივიდა. რამდენიმე საცოდავი ქურთი წერაქვით ხელში საჭლის ნანგრევებს თხრიდა. ვარდანმა იცნო ისინი, მოხუცი ხაჩოს მწყემსები იყვნენ თავიანთი ცოლ-შვილით. მამაკაცები მიწას თხრიდნენ, ქალები კი ნანგრევებიდან ნახანძრალ ნივთებს იღებდნენ.

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე, — მიმართა მათ ვარდანმა, როგორც მუშებს მიესალმებიან ხოლმე.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — უპასუხეს მათ.

— რას დაეძებთ?

— თქვენი კეთილი თვალითაც ხედავთ, რასაც დავეძებთ, — უპასუხეს ქურთებმა და საქმე განაგრძეს.

ვარდანი ერთს შეეკითხა:

— მე მიცნობ, ხლო?

— როგორ არ გიცნობ, ბატონო! შენ ჩვენი ბატონის, მამასახლის ხაჩოს მეგობარი იყავი, ამ სახლში ხშირად მოგქონდა გასაყიდი საქონელი და არასოდეს არ გავიწყდებოდა ხლოს ბავშვებისათვის საჩუქრების მოტანა. შეხედე, აი, ესეც შენი ნაჩუქარია, — მან ცოლის წითელზოლებიან ჩითის კაბაზე მიუთითა.

ვარდანმა მწყემსს გამოკითხვა დაუწყო, რატომ დაიწვა ეს სახლი, რამ ააოხრა ასე სოფელი, მისი მცხოვრებნი სად არიანო. მწყემს-

მა წერაქვი დადო, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და დაჯდა, თითქოს ამბის მოსაყოლად დიდი დასვენება სჭირდებოდა.

— ჩვენს მტრებს არ ვუსურვებ, იმას, რაც ამ სახლს დაემართა, — თქვა მან ნაღვლიანად, — მართალი გითხრათ, ჩვენ ყველაფერი არ ვიცით, აქ არ ვიყავით. ცხვარი გვყავდა მთაში. როცა დაბინდდა, ცხვრის ფარა სოფლისკენ გამოვრეკეთ (წინა ღამით ჩემმა ცოლმა ცუდი სიზმარი ნახა, სულ რაღაც საშინელებას მოველოდი). ჯერ სოფლამდე არც კი ვიყავით მოსული, რომ ქურთების ერთი რაზმი დაგვეცა და ცხვრის წართმევა დაგვიპირა. მე და ჩემმა ამხანაგებმა დახმარებისათვის სოფელს მოვაშურეთ, მაგრამ სოფელი ყოველი მხრიდან ცეცხლში იყო გახვეული. ყველგან ქურთები ნავარდობდნენ. ამ სახლისაკენ გამოვიქეცით, მაგრამ ესეც ცეცხლში იყო გახვეული და შიგ შესვლა უკვე აღარ შეიძლებოდა.

— ხაჩოს ოჯახს რაღა დაემართა?

— ღმერთი იყოს მათი მფარველი! მამასახლისი ხაჩო, ჰაირაპეტი და აპო სახლში არ იყვნენ. ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე მოსამართლესთან წაეყვანათ. ამბობენ, ციხეში სხედანო. არც ქალებიდან დარჩენილიყო სახლში ვინმე. შინ მხოლოდ მოხუცის დანარჩენი ვაჟები იყვნენ, ხოლო რა დაემართათ მათ, არ ვიცი, როგორც გითხარით, ჩვენ რომ მოვედით, სახლი უკვე ცეცხლის ალში იყო გახვეული.

— ჩვენი ბატონი, მოხუცი ხაჩო კეთილი კაცი იყო, —განაგრძო მწყემსმა, — მას ღმერთისა ისე ეშინოდა, რომ ჭიანჭველასაც კი ფეხს არ დაადგამდა. ამ სახლში ყველანი კეთილები იყვნენ, ბუზსაც კი არაფერს უშავებდნენ. ჩვენც შვილებივით თავს დაგვტრიალებდნენ. წყეულიმც იყვნენ ეშირათები[1], აქაურობა ააოხრეს და მიწასთან გაასწორეს, ყველაფერი გაანადგურეს.

— გლეხებს რაღა დაემართათ?

— გლეხების დიდი ნაწილი გაქცეულიყო, ერთი ნაწილი ტყეში წაიყვანეს, ზოგმა კი გაქცევით უშველა თავს.

---

[1]) ეშირათს ქურთების მომთაბარე ტომს უწოდებდნენ. ისინი ბინადარ ქურთებს ისევე ბარბაროსულად ექცევიან, როგორც უცხო ტომებს (ავტორის შენიშვნა).

„წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“. მწყემსის ნაამბობი საეჭვოხარო და საშინელი იყო, მაგრამ ვარდანს გულში იმედის სხივი მაინც ჩაუსახა. „ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის“... გაიფიქრა მან.

ვარდანმა იცოდა, რომ მოხუცი ხაჩო, ჰაირაპეტი და აპო დაპატიმრებული იყვნენ. ციხეს შეეძლო ქურთების ხელყოფისაგან გადაერჩინა ისინი, თუ, რასაკვირველია, მაშინვე არ დახოცეს ციხეში. მან ისიც იცოდა, რომ, როცა ხაჩოს სახლს საფრთხე დაემუქრა, მამასახლისმა ქალები იქაურობას მოაშორა. ისინი, ცხადია, მეგობრებსა და ნათესავებთან იმალებოდნენ და, რაღა თქმა უნდა, ლალაც თან ეყოლებოდათ წაყვანილი. ქალები ალბათ გადარჩნენ, თუ იმ სახლებსაც, სადაც ისინი თავს აფარებდნენ, ისეთივე უბედურება არ დაატყდა თავს, რაც მოხუცის ოჯახში დატრიალდა.

მწყემსის ნაამბობიდან კიდევ ერთი რამ იყო სანუგეშო: სოფლის მცხოვრებთაგან ზოგიერთმა გაქცევით უშველაო თავს. იქნებ ხაჩოს ოჯახიც იმ გაქცეულთა შორისაა, — ფიქრობდა ვარდანი, — და ლალაც მათთან არის? მაგრამ სად გაიქცნენ, სად შეაფარეს თავი? — ეს კითხვები მოსვენებას არ აძლევდა ვარდანს.

მწყემსებმა სხვა ვერაფერი უთხრეს. უბედურება ღამით უეცრად მომხდარიყო, მაგრამ გარკვევით არავინ არაფერი იცოდა. ვარდანმა მთელი ალაშკერტის მაზრა გამოიარა და არსად ერთი სომეხი არ შეხვედრია. შეუძლებელი იყო, რომ ქურთებს ყველა გაეყლიტათ ან ტყვედ წაეყვანათ. ეტყობა, მოსახლეობამ გაქცევით უშველა თავს. მაგრამ სად გაიხიზნენ?

## თავი ოცდამეთხუთმეტე

მოხუცი ხაჩოს სახლის ნანგრევებს რომ გაშორდა, ვარდანმა ღლარ იცოდა, სად წასულიყო. მწყემსების ნაამბობი იმდენად გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო, რომ რაიმე გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდა.

უკვე საღამო იყო, მზე დასავლეთისაკენ იხრებოდა. ვარდანი გასცქეროდა გაპარტახებულ, დაცარიელებულ სოფლებს და უპატ-

ონოდ დაგდებულ, დაუმუშავებელ ყანებს. „ნუთუ მთელ მაზრაში ერთი სომეხიც კი აღარ არის დარჩენილი?“ — ფიქრობდა ვარდანი. უცებ უკაცრიელ უდაბნოში ადამიანი გამოჩნდა: მძიმედ მიაბიჯებდა მთის ფერდობზე, დროდადრო შედგებოდა, აქეთ-იქით გაიხედავდა, ზოგჯერ ქვებს მოეჭიდებოდა, რომ არ ჩამოგორებულიყო. ასე წვალებით მიაღწია პიტალო კლდის მწვერვალს, რომელიც სიშინელ უფსკრულს გადმოყურებდა.

ჩამავალი მზის მკრთალი სხივები ანათებდნენ მის მომცრო ტანსაცმელს. იგი უძრავად იდგა და მწვერვალიდან ქანდაკებასავით გასცქეროდა ფართო ველს, სადაც რამდენიმე დღის მანძილზე აურაცხელი ბოროტმოქმედება მომხდარიყო. დიდხანს იდგა ასე, გეგონებოდათ, რაღაც ძნელად გადასაწყვეტ ამოცანაზე ფიქრობს და ვერ გადაუწყვეტიაო.

იმ კაცმა ვარდანს თვალი მოსტაცა. იგრძნო, რომ რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი უნდა მომხდარიყო. ცხენი შეაყენა და მწვერვალს მიაცქერდა. კაცმა რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა. ერთხელ კიდევ გადახედა თვალუწვდენელ ველზე მოფენილ ნანგრევებს, თვალებზე ხელები აიფარა და უფსკრულში გადაეშვა. ბურთივით მოგორავდა, ქვებს ეჯახებოდა და სწრაფად ეშვებოდა ქვემოთ. ვარდანმა ცხენი გააჭენა და ერთ წუთში კლდის ძირში გაჩნდა. კაცი კვლავ მოგორავდა, მაგრამ უფსკრულამდე ვერ ჩააღწია, კლდის ნაპრალებში ამოსულ ჯაგებს წამოედო. ვარდანს მისი გადარჩენის იმედი მიეცა. კაცი ორმოცდაათიოდე ნაბიჯის სიმაღლეზე იყო ჯაგებში უძრავად გაჩხირული, მაგრამ როგორ ჩამოეყვანა, არ იცოდა. ვარდანი ცხენიდან ჩამოხტა და ციხე-სიმაგრის კედელივით ამართულ კლდეს დაუწყო თვალიერება, რომ ჯაგებთან მისადგომი გზა ეპოვა. გზა არ ჩანდა. კაცი ისევ უძრავად ეკიდა ჯაგებში და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

ნეტა რამ აიძულა ის საწყალი, რომ თავი მოიკლა?

სხვა გზა არ იყო, ვარდანს რისკი უნდა გაეწია საბრალო კაცის გადასარჩენად, ვინ იცის, იქნებ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. სიბრალულის გრძნობამ საშიშროება დაავიწყა და გაბედული გადაწყვეტილება მიიღებინა. შეამჩნია, რომ თუ ჯაგებს ან კლდის გამოშვერილ ქვებს ჩაეჭიდებოდა, ზევით ასვლას შეძლებდა. ვარდანი გველივით

გამჭრიახი და კატასავით მოქნილი იყო. ხელი წაავლო გამოშვერილ ქვას, დაეჭიდა და აბობღდა. ის იყო მიწიდან სულ რაღაც რამდენიმე არშინს ასცდა, რომ ქვა მოსწყდა და ვარდანი ჩამოგორდა. „აქედან ვერ მივუდგები“, — გაიფიქრა მან, არაფრად ჩაუგდია, რომ ხელები დაეკაწრა და სისხლი სდიოდა.

ვარდანი ისეთი ხასიათის კაცი იყო, რომ სიძნელეები უფრო უღვივებდა ენერგიას. ჩქარობდა. მზე უკვე ჩადიოდა. რამდენიმე წუთში დაბნელდებოდა და ვეღარაფერს გახდებოდა. ერთბაშად ახალმა აზრმა გაუელვა. უნაგირიდან მოხსნა ქამანდი, რომელსაც ბოლოზე კვერცხისოდენა ტყვია ჰქონდა დამაგრებული. ტყვია მაღლა აისროლა და ქამანდის ბოლო მჭიდროდ მოედო ერთი ხის ტოტს, რომელიც მომაკვდავთან ახლოს იყო. ქამანდის მეორე ბოლოს ხელი მოჰკიდა, ობობასავით სწრაფად აცოცდა და რამდენიმე წუთში უძრავ სხეულთან გაჩნდა, ხელი მოხვია... მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რარიგ განცვიფრდა, როცა ნახა, რომ ხელი თომას-ეფენდისათვის ჰქონდა მოხვეული.

ერთ ხანს სიბრაზის, ზიზღის და სიძულვილის საშინელი გრძნობა დაეუფლა. მზად იყო საძაგელი გვამი ისევ უფსკრულში გადაეგდო, რომ გადარჩენილი ძვლებიც ჩალეწოდა და მხეცების და ყვავ-ყორნების კერძი გამხდარიყო.

მაგრამ ვარდანი კეთილი გულისა იყო: არ შეეძლო დამარცხებულ მტერს ასე გულქვად მოქცეოდა. ეფენდის უსულო სხეული ქამანდით ფრთხილად ძირს ჩამოუშვა და თვითონაც ჩამოვიდა.

უწინარეს ყოვლისა, ვარდანმა შეამოწმა ცოცხალი იყო თუ არა თომას-ეფენდი. ძვლები რამდენიმე ადგილას ჩამტვრეოდა, ქვებზე თავი და პირისახე ჩამოჰკაწროდა, მთლად დასახიჩრებოდა და სისხლით მოსვრილიყო, მაგრამ მაინც სუნთქავდა, როგორც ჩანდა, გულწასული იყო. ამ ბოროტმოქმედის მეოხებით ათასობით ოჯახი დაიღუპა და მთელი მაზრა აოხრდა, ამ კაცმა მრავალი უსიამოვნება მიაყენა ვარდანს, მაგრამ ახლა ისეთი საბრალო იყო, რომ ჭაბუკს გული აუჩუყდა. ეფენდი სხვა ვითარებაში რომ ჩავარდნოდა ხელში ვარდანს, არ დაინდობდა, მაგრამ ახლა ვარდანის წინ უმწეო სხეული იდო, რომელიც შებრალებასა და დახმარებას მოითხოვდა.

ვარდანს ხშირად უნახავს დაჭრილი კაცი, თვითონაც ბევრჯერ

დაჭრილა. ამიტომ მალამოსა და სახვევებს მუდამ თან ატარებდა. პირველ რიგში, ეფენდის სისხლისდენა შეუწყვიტა, თავი და სახე შეუბვია.

ამასობაში ღამე ჩამოწვა, ცა შავი ღრუბლებით დაიფარა. ამოვარდა ქარი და დაიქექა, საცა იყო კოკისპირული წვიმა წამოვიდოდა.

ვარდანმა გადაწყვიტა თავშესაფარი მოეძებნა. დასახიჩრებული ეფენდი ცხენზე დააკრა და გზას გაუდგა, მაგრამ არ იცოდა, რომელ მხარეს წასულიყო. მახლობელ სომხურ სოფლებში ერთი სომეხიც აღარ ჰაჰანებდა. გაახსენდა, იქვე აბლოს ქურთების ერთი სოფელი უნდა ყოფილიყო, და იმ სოფლისაკენ გაემართა.

რამ აიძულა ეფენდი თავი მოეკლა, — ფიქრობდა გზად მიმავალი ჭაბუკი. — ნუთუ ადამიანური გრძნობები გაუჩნდა და შეწუხდა, რომ აუარებელი სისხლის, ცრემლისა და ოხრების მიზეზი გახდა?

ვარდანს ალღომ არ უმტყუნა... მალე შუქი გამოჩნდა. მაგრამ სოფლამდე ჯერ კიდევ დიდი გზა იყო. წვიმამ უფრო იმატა. ვარდანმა პალტო გაიხადა და ეფენდის გადააფარა. შუაღამე გადასული იყო, როცა სოფელს მიაღწია.

ქურთების სოფლებში სახლები მიწურ ქოხებს ჰგავს. ვარდანი პირველსავე ქოხს მიადგა და კარს მიაწვა, კარი დაკეტილი არ იყო. „აი ბედნიერი ხალხი, ქურდებისა არ ეშინიათ", — გაიფიქრა ჭაბუკმა. ქოხში ბნელოდა, ვარდანმა კარზე დააკაკუნა. რამდენიმე წუთის შემდეგ შიგნიდან ქალის ხმა მოისმა:

— ვინა ხარ?

— ღვთის სტუმარი.

სიტყვა „სტუმრის" გაგონება საკმარისი აღმოჩნდა, რომ სახლში შეეშვათ. ქალმა მაშინვე ჭრაქი აანთო. ეტყობოდა ეძინა, ტანთ მხოლოდ წითელი პერანგი ეცვა, რომელიც კოჭებამდე ძლივს სწვდებოდა.

ქალი დაეხმარა ვარდანს, ეფენდი სახლში შეიტანეს და საწოლზე დააწვინეს.

— ავად არის?

— არა, დაჭრილია.

ახალგაზრდა ქალმა მაშინვე მოიტანა პატარა ყუთი, რომელ-

შიც ახვადასხვა მალამო და რამდენიმე მარტივი ქირურგიული ხელსაწყო იდო.

— მე ჩვენი ოჯახის ექიმი ვარ, — თქვა ქალმა და ყუთი გააღო. — როცა ჩემი მეუღლე ბრძოლაში დაიჭრება, მე ვწამლობ ხოლმე. წინათ დედამთილი წამლობდა, ახლა დაბერდა. მე მისგან ვისწავლე.

ვარდანმა იცოდა, რომ ქურთები კარგი მკურნალები იყვნენ. მადლობა გადაუხადა ახალგაზრდა ქალს და უთხრა, ცოტა რამ მეც გამეგება მკურნალობისა და საჭირო ზომები უკვე მივიღეო.

ახალგაზრდა ქალს თავის გამოჩენა უნდოდა და ეს სიტყვები გულზე მოხვდა, მაგრამ ავადმყოფის შეხვეულ ჭრილობებს რომ დახედა, აღარაფერი უთქვამს.

— ახლა კი თქვენს ცხენსაც უნდა მიხედვა, საბრალო გარეთ დარჩა, — უთხრა ქალმა.

— თქვენ ნუ შეწუხდებით, — უპასუხა ვარდანმა, — მხოლოდ მიჩვენეთ, სად დავაბა.

ახალგაზრდა ქალმა ჭრაქს მოკიდა ხელი, წინ გაუძღვა და ეზოში ცხენის დასაბმელი ადგილი უჩვენა. ვარდანმა თვალი შეავლო იქაურობას, ეზოს დაბალი ღობე ჰქონდა შემოვლებული.

— აქ საშიში არ არის? — იკითხა მან.

— შიში რას მიქვია? — უპასუხა ქალმა სიცილით, — ქურდი ქურდს არაფერს მოპარავს.

„ნეტავი თქვენ!“ — გაიფიქრა ვარდანმა.

სახლში რომ შებრუნდნენ, ვარდანმა მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ იატაკზე ბავშვებს ეძინათ, კუთხეში კი მოხუცი ქალი იწვა. ფეხის ხმამ მოხუცი გამოაღვიძა, წამოიწია, ლოგინზე წამოჯდა და იკითხა:

— სარო, შენა ხარ? მოხვედი, შვილო?

— არა, სარო არ არის, — უპასუხა ახალგაზრდა ქალმა, — სტუმარია.

მოხუცმა ისევ ბალიშზე მიდო თავი და მაშინვე დაიძინა.

— თვალთ აღარ უჭრის, ეგონა ჩემი ქმარი დაბრუნდა.

— სად არის თქვენი ქმარი? — ჰკითხა ვარდანმა ცნობისმოყვარეობით.

— ბაიაზეთში. საომრად არის წასული, სოფელში ერთ მამა-

კაცს ვეღარ ნახავთ, ახლა ყველა იქ არის. მეც ორი დღეა დავბრუნდი, ნადავლზე ვიყავი წასული.

— ბევრი მოიტანეთ?

— არა უჭირს, ცოტაა თუ ბევრი, ღმერთის ნაბოძებით კმაყოფილი ვართ.

„თავისუფალი ხალხის თავისუფალო ასულო, — გაიფიქრა ვარდანმა. — რამდენი სიცოცხლე, რამდენი უშუალობაა შენში. განა შენი ბრალია, რომ შეგაჩვიეს ნადავლს ისე უყურებდე, როგორც ალალ ნაშრომს? შენ რომ ცხოვრების სხვა პირობებში აღზრდილიყავი, მაგ ძვირფასი ხელებით კაცობრიობას განაცვიფრებდი“.

ვარდანმა დაჭრილ ეფენდის მიხედა, ახლა უკეთ სუნთქავდა, დროდადრო ოხრავდა კიდეც. ქურთის ქალმა ვარდანს ავადმყოფის გასინჯვის ნება სთხოვა. ვარდანმა უარი აღარ უთხრა.

— საშიში არაფერია, — თქვა ქალმა, როცა ავადმყოფი გასინჯა, — ჭრილობები უმნიშვნელოა, მხოლოდ ძვლები აქვს ჩამტვრეული, ეტყობა საიდანღაც ჩამოვარდა.

ვარდანმა არაფერი უპასუხა.

— რამე საჭმელს მოგიმზადებთ.

მხოლოდ ახლა იგრძნო ჭაბუკმა, რომ მშიერი იყო, მთელი დღის განმავლობაში არაფერი ეჭამა. მაგრამ არის ისეთი წუთები, როცა ადამიანი შიმშილს გრძნობს, ჭამის მადა კი არა აქვს. დარდითა და გულისტკივილით გამძღარი, ახლა ვარდანიც ასე იყო...

— არაფრის მომზადება არ არის საჭირო, — უთხრა ვარდანმა, — მხოლოდ ერთი ნატეხი პური და ყველი მომეცით.

სტუმართმოყვარე ქურთის ქალმა იწყინა:

— ნუ უარობთ, — უთხრა მან ღიმილით, — წინათ რომ ვიყავით, ისეთი ღარიბები კი აღარა ვართ...

— დიახ, ბაიაზეთმა გაგამდიდრათ.

— ბაიაზეთს რომ თავი გავანებოთ, აქაც კარგი მოსავალი მოვიმკეთ. შარშან ჭირმა მთლიანად გაგვიწყვიტა საქონელი და ულუმაპუროდ დავრჩით, წელს კი ღმერთმა სამაგიერო მოგვიზღო: როცა აქაური სომხები გაიქცნენ, მათი ქონება ჩვენ დაგვრჩა.

— სად გაიქცნენ?

— არ ვიცი, მაგრამ ისე სწრაფად და მოულოდნელად გადაიხ-

ვეწნენ, რომ თითქმის ვერაფრის წაღება ვერ მოასწრეს, მარტო იმას ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე გაქცეულიყვნენ, რომ თურქებს არ დაეხოცათ.

— მერე გადარჩნენ?

— ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, ყველა ამოჟლიტეს.

ვარდანმა თვალნათლივ წარმოიდგინა მომხდარი საშინელება. აღარ ეშვობდა, რომ სომხები მთლიანად გადაიხვეწნენ მაზრიდან, მაგრამ ქურთმა ქალმა გარკვევით ვერ უთხრა, სად გაიქცნენ ისინი.

ვარდანი მწარე ფიქრებმა შეიპყრო. შიმშილი სულ გადაავიწყდა, ველარც ლამაზ ქურთის ქალს ამჩნევდა.

ამასობაში ქალს ცეცხლი გაეჩაღებინა და ერბო-კვერცხს წვავდა.

სხვა დროს ვერც ერთი ახალგაზრდა ასეთ ლამაზ ქალს თვალს ვერ აარიდებდა. უბრალო, სადა პერანგი ეცვა, მაგრამ მაინც მშვენიერი სანახავი იყო. ლოგინიდან ახლად ამდგარს, თავზე არაფერი ეხურა, მსხვილი და ქერა დალალები ლამაზ შუბლზე გვირგვინივით პქონდა დაწნული. მოელვარე თვალებით მთის ნახევრადშიშველ ალს ჰგავდა, რომელიც თავის სილამაზეს მხოლოდ ანკარა წყაროში ხედავს ხოლმე.

## თავი ოცდამეთექვსმეტე

შუაღამე გადასული იყო. ქურთის პატარა ქოხში კვლავ ენთო ჭრაქი. უბრალო, პატრიარქალურ ოჯახს ეძინა, ყველას ერთ ჭერქვეშ, ყველას ერთსადაიმავე ოთხ კედელშუა. ერთ მხარეს მოხუცი დედამთილი თავის საწოლში ხვრინავდა, მის გვერდით იწვნენ ბავშვები, დღის ცელქობით გადაქანცულნი ბუნდოვან სიზმრებს ხედავდნენ, დროდადრო რაღაცას ტიკტიკებდნენ და იღიმებოდნენ. მეორე მხარეს მათი ახალგაზრდა დედა იწვა. ქოხში ისე ცხელოდა, რომ საბანი გადაეხადა და მშვენიერ მკერდს მხოლოდ მსხვილი ნაწნავი უფარავდა. მას მშვიდად ეძინა.

„ახლა კი მესმის, რატომ დადიოდა მთლად შიშველი კაცობრიობის პირველი წყვილი, — ფიქრობდა ვარდანი, — სირცხვილის გრძნობა მხოლოდ მაშინ შეიგრძნეს მათ, როცა პირველი ცოდვა

ჩაიდინეს. ამ ხალხმა ჯერ კიდევ არ იცის, რა არის ცოდვა, ამიტომაც მისთვის უცნობია სირცხვილი, ნამუსი და მოკრძალება. თავისი პირვანდელი სისადავით ეს ლამაზი ხალხი ცივილიზაციას რომ აზიარო, შეიძლება რაღაც საოცრება შექმნა მისგან. როცა ველურ ნერგს კულტურულ მცენარეზე ამყნობენ, ჩინებულ ნაყოფს იღებენ. ვინ იცის, რა იქნებოდა ეს ჯანსაღი და სიცოცხლით აღსავსე ტომი სომხობას რომ შერეოდა...“

ყველას ეძინა. მარტო ვარდანი ფხიზლობდა. დიდხანს იჯდა მწარე ფიქრებში წასული. თვალწინ ესახებოდა ალაშკერტელების ტრაგიკული გადახვეწის საშინელი სურათი. „ხე, რომელსაც ღრმად არ გაუდგამს ფესვები მიწაში, უეჭველად გახმება“. ჩვენი ერი მრავალი საუკუნის მანძილზე კნინდებოდა და იფიტებოდა, სომხები უაზროდ ტოვებდნენ დასახლებულ ადგილებს და აქეთ-იქით დაეხეტებოდნენ. მაგრამ მათ ჭკუა ვერაფერმა ასწავლა. აი, ახლაც კვლავ გადაიხვეწნენ. ბუნებრივია, ხე, რომელსაც მშობლიურ მიწაში ღრმად და მტკიცედ ვერ გაუდგამს ფესვები, ვერ უძლებს ქარტეხილის შემოტევას — თუ ქარმა დაუბერა და ქარიშხალი ამოვარდა, მას ფესვიანად მოგლეჯს და დაღუპავს.

ხანდახან კი ვარდანს თვალწინ წარმოუდგებოდა სალმანის ენერგიული სახე, თითქოს ახლაც ესმოდა აღფრთოვანებული ახალგაზრდის მგზნებარე სიტყვები, სალმანი შეუჩერებლივ, ტკბილად ლაპარაკობდა, მართალია, ზოგჯერ არასწორ აზრებსაც გამოთქვამდა, მაგრამ ყველა სიტყვას შეუდრეკელი რწმენითა და ალალი გულით ამბობდა. მას ახსენდებოდა მელიქ-მანსური, თავგადასავლების დაუდგრომელი მოტრფიალე, რომელსაც უყვარდა მშფოთვარე ცხოვრება და განსაცდელს მუდამ ვაჟკაცურად ეგებებოდა. გაახსენდა მამასახლისი ხაჩო, სათნოებით და სიკეთით დაჯილდოებული მოხუცი, რომელიც მუდამ მზად იყო ბედკრულთათვის ცრემლის შესაშრობად ყველაფერი გაეწირა. გაიხსენა მისი შვილებიც, ზოგიერთი მათგანი ისე შეეგუა მონობას, რომ მთლად დაკარგა ღირსება და თავისუფლების სიყვარული, მაგრამ სხვებში ბობოქრობდა პროტესტისა და ბრძოლისათვის მზადყოფნის სულისკვეთება. ვარდანის ფიქრები მოგონებათა ლაბირინთში დაფარფატებდნენ და ისევ და ისევ ლალას უბრუნდებოდნენ.

მერე მისი ყურადღება ეფენდიმ მიიპყრო. ავადმყოფს თანდათან გაუჭირდა სუნთქვა, ხელები აუცახცახდა და მოკუმული ტუჩებიდან, ყრუ ობვრასთან ერთად რაღაც გაურკვეველი სიტყვები დასცდა. სიცხით გათანგული ეფენდი ბოდავდა. ვარდანი ყურს უგდებდა, მაგრამ სიტყვები ვერ გაერჩია. როგორც ჩანს, ეფენდის საზარელი სულიერი ტკივილი ტანჯავდა. ასეთმა მდგომარეობამ რამდენიმე წუთს გასტანა. შემდეგ ცოტა დამშვიდდა, თავი წამოსწია, გასწორდა, ლოგინში წამოჯდა, თვალები გააბილა, იქაურობა რაღაც უცნაურად მოათვალიერა, თავი კვლავ ბალიშზე დადო და თვალები დახუჭა.

— ოჰ, ნეტა აქ ერთი სომეხი მაინც იყოს, — გაისმა მისი მილეული ხმა.

— აქ ვარ, — უპასუხა ვარდანმა და ახლოს მივიდა.

— მაშ, ხელი გამომიწოდე.

ვარდანმა ზიზღით უკან დაიხია.

— სად ვარ ახლა?.. აქ ვინ მომიყვანა?.. ჯოჯოხეთიდან ასე მალე ვინ მიხსნა? იქ სჯობდა, იქ საუცხოოდ ვგრძნობდი თავს. ცეცხლის ტალღებში, როგორც მღელვარე ოკეანეში ისე ვიბრწყოდი. ათასთავიანი ვეშაპები ცივ გულში მიხუტებდნენ და მახრჩობდნენ... ახლაც ვხედავ მათ, აგერ იქ შორს, ცეცხლის ალში იკლაკნებიან... — მან კვლავ გააბილა ამღვრეული თვალები, ვარდანს შეხედა, მაგრამ ვერ იცნო და განაგრძო: — მე წილად მხვდა, ჩემო მეგობარო, ჯოჯოხეთის უსაშინელეს ნაწილში ყოფნა და ვამაყობ კიდევაც ამით. ამქვეყნად დიდ ადგილს ვერ ვეღირსე, იქ კი ამას მოვესწარი და ბევრიც დავჯაბნე. იქ შევხვდი ვასაკს, მერუჟანს[1], ვესტ-სარგისს[2], კაენს და ბევრ სხვა მათ მსგავს ბოროტმოქმედს, მათ ყველას შურდა ჩემი დიდება... ოჰ, რა დიდი სიამოვნებაა ცურავდე გავარვარებული ცეცხლის ტალღებში, გრძნობდე მათს თავზარდამცემ სიმხურვალეს, დაიწვა, დაიბრაკო, მაგრამ ფერფლად კი ვერ იქცე... რა კარ-

---

[1] ვასაკი, მერუჟანი — V საუკუნის სომხეთის გაელენიანი ფეოდალები, რომლებმაც სპარსელებთან ომში საშობლოს უღალატეს.

[2] ვესტ-სარგისი — სომეხი დიდებული. მისმა გამცემლობამ ხელი შეუწყო ბიზანტიელებს ანის სამეფოს დაპყრობაში.

გია, რომ ყოველივე ამას დასასრული არ უჩანს, უსასრულობაში ყველაფერი კარგია...

ვარდანს კარგად ესმოდა, რატომ ბოდავდა ეფენდი, ეს სიტყვები მისი აღსარება იყო. ვარდანს გადააავიწყდა სიძულვილი ამ საცოდავი კაცისადმი, ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— დამშვიდდით, ეფენდი, მალე მომჯობინდებით, თქვენი ჭრილობები მაინცდამაინც საშიში არ არის.

— ნაცნობი ხმა მესმის.

— ეს მე ვარ, ვარდანი...

ეფენდი მთლად აკანკალდა, ვარდანის ხელი მოიცილა და წამოიყვირა:

— მომაცილეთ თქვენი ხელი, მე შემიძლია წაგბილწოთ, გამეცალეთ, მე შემიძლია მოგწამლოთ... ვარდან, მე კარგად გიცნობთ. თქვენ კეთილი კაცი ხართ, მკაცრი გული გაქვთ. მოიხმარეთ მთელი თქვენი ვაჟკაცობა და ამ წუთშივე სიცოცხლეს გამომასალმეთ, ამით თქვენ დიდ სიკეთეს მიზამთ... ჩემი გვამი დააგდეთ ალაშკერტის ველზე, რომელიც ავაოხრე და უდაბნოდ ვაქციე, დაე, მხეცების ლუკმა გავხდე, ან თუ ესოდენ გულკეთილობას გამოიჩენთ, ერთ ღრმა ორმოში ჩამაგდეთ და მიწა წამაყარეთ. იქიდან გზას გავიკვლევ ჯოჯოხეთის უფსკრულისაკენ, გაუნელებელი ცეცხლისა და ტანჯვის საუკუნო სადგურისაკენ... მაგრამ არა, არა! მე სომხეთის მიწის ღირსი არა ვარ, ჩემი საზიზღარი გვამი შებილწავს მის სიწმინდეს...

— დამშვიდდით, ეფენდი, — გაუმეორა ვარდანმა, — თქვენ არ მოკვდებით, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ცოცხალი დარჩეთ.

— მე ვფიქრობდი მოვმკვდარიყავი, თვალები სამუდამოდ დამეხუჭა, რათა აღარ მეხილა ჩემი ბოროტმოქმედებანი, მაგრამ, არა! განგებამ შემიწყალა, არ მომკლა, რომ დიდხანს ვუცქირო იმ ადგილებს, რომელთა აოხრებას ხელს ვუწყობდი, რომ კიდევ დიდხანს ვუცქირო უბედური გლეხების ქოხებს, რომლებიც გავაჩანაგე და გავძარცვე. იმაზე საშინელი რა იქნება, უცქერდე ყოველივე ამას და სინდისის მწარე ქენჯნით იტანჯებოდე... მე მთელი მხარის აოხრებას შევუწყვე ხელი, მაგრამ თვითმკვლელობა კი ვერ შევძელი...

უკანასკნელი სიტყვები საშინელი სიმწრით წარმოთქვა. სი-

ცოცხლე იმდენად მობეზრებოდა, რომ სულის სიმშვიდე სამარის მყუდროებაში სურდა ეპოვა.

ამ დროს დიასახლისს გამოელვიძა.

— თქვენს ავადმყოფს მოუსვენრობა ეტყობა, ხომ არაფერი გნებავთ? — იკითხა მან.

— არაფერი არ არის საჭირო, ბოდავს, დიდი სიცხე აქვს.

ქურთის ქალი ავადმყოფს მიუახლოვდა, ყურადღებით დააკვირდა და იკითხა:

— ეს კაცი მეცნობა, თომას-ეფენდი არ არის?

— ის არის.

— საწყალი, რამდენიმე დღის წინათ ვნახე, ფეხშიშველი, უქუდოდ და დაგლეჯილი ტანსაცმლით ჩვენს მიდამოებში დაეხეტებოდა, როცა ადამიანი მიეკარებოდა, შეჰკივლებდა, საშინელ ღრიალს მორთავდა და გარბოდა. ამბობდნენ, შეშლილიაო.

ვარდანს გაახსენდა, მანაც ეფენდი შეშლილს მიამგვანა, როცა კლდეზე დაინახა.

„მაგრამ რამ გააგიჟა? ნუთუ ეფენდისთანა ზნედაცემული ადამიანისათვის სულიერ ტანჯვას შეეძლო ასეთი ტრამვის მიყენება?“ — გაიფიქრა ვარდანმა.

— ამბობენ, ეფენდის ერთი ქალიშვილი უყვარდაო, ის ქალი ალაშკერტელთა გაქცევის დროს უგზოუკვლოდ დაკარგულა; ხმები დადიოდა, ვიღაც უცნობებმა მოიტაცესო...

— ვინ უცნობებმა?.. რა ერქვა ქალიშვილს? — წამოიძახა შეშინებულმა ვარდანმა და სახე საზარლად მოექცა.

— ეგ არ ვიცი, ასე ამბობდნენ.

ვარდანის შეკითხვა სრულიად ზედმეტი იყო, ეს მხოლოდ უნებლიე ცნობისმოყვარეობით მოუვიდა. მან კარგად იცოდა, ვინც იყო ეფენდის ბოდვის საგანი... მაშ, ლალა მოიტაცეს. ვარდანს იმედის ნაპერწკალი გაუქრა, მხოლოდ მოგონებათა ფერფლი დარჩა.

ღამე შეუმჩნეველად გაიპარა, თენდებოდა, გარედან ფრინველების მხიარული ჭიკჭიკი ისმოდა, ქარიშხლიანი და წვიმიანი ღამე ზაფხულის წითლად მოელვარე დილამ შეცვალა.

უცებ ქოხში სიხარულით შეიჭრა ერთი ქალიშვილი. ეტყობო-

და. შორი გზა გამოეელო, რადგან თავით ფეხამდე გაწუწული იყო და გრძელი კაბის კალთებიც ტალახში ჰქონდა ამოსვრილი.

— ჯავო? — წამოიძახა დიასახლისმა და გულში ჩაიკრა.

— ჩემო დაო... — შესძახა ქალიშვილმა და გაწითლებული ლოყები საკოცნელად მიუშვირა.

დების გულმხურვალე შეხვედრამ ვარდანს დროებით გადააციწყა თავისი მწუხარება.

ახალმოსული ტანმაღალი და ლამაზი იყო. დასავით შავი, მოელვარე თვალები ჰქონდა, სახეც ეცნო ვარდანს მისი და სახელიც, მაგრამ ვერ გაიხსენა, სად ან როდის ენახა.

— იცი, რა გითხრა, — დაიწყო ლამაზმა ქალიშვილმა, — ამის შემდეგ ჯავო შენთან დარჩება, დიდხანს იქნება შენთან, ჯავო ქალბატონმა დაითხოვა.

მართალია, უფროს დას ძალიანაც ესიამოვნა უმცროსის დანახვა, მაგრამ მაინც გაუკვირდა, რომ ქალბატონს ჯავო სახლში გამოეშვა. წინათ, როცა ჯავო დის სანახავად წასვლას მოისურვებდა ხოლმე, ქალბატონი მუდამ უხალისოდ უშვებდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა უფროსმა დამ.

— ნუ გეშინია, ცუდი არაფერი, — უპასუხა ჯავომ, — ქალბატონმა დროებით დამითხოვა, სანამ ხელახლა დაგიბარებდე, დასთან იცხოვრეო. ქალბატონმა ჯავოს ფული მისცა, კაბები და ბევრი სხვა რამ აჩუქა. ყველაფერი ეს ჯავომ თან მოიტანა.

— აი, შეხედე, ყველაფერს გიჩვენებ.

მან გახსნა ბოხჩა, რომ თავისი საჩუქრები ეჩვენებინა, მაგრამ უფროს დას მაინც ეჭვი ეპარებოდა და კვლავ შეეკითხა:

— მაინც რა მოხდა, რატომ გამოგიშვა?

— ჯავო შემდეგ გიამბობს, ძალიან გრძელი ამბავია, ისეთი გრძელი, როგორიც ლეილასა და მეჯნუნის ზღაპარი.

ჯავომ თქვა, რომ ძალიან დავიღალე, მთელი ღამე გზაში ვიყავი და წყეულმა წვიმამ საშინლად დამტანჯაო. ძალიან მშიერი იყო და სთხოვა დას რძე დამალევინეო. დამ უმალ ჭურჭელს ხელი დაავლო და თბილი რძის მოსატანად გაიქცა. ჯავომ მხოლოდ ახლა შენიშნა სტუმარი და მისი მოელვარე თვალები ვარდანის ცნობისმოყვარეობით სავსე თვალებს შეეჩეხა.

— მშვენიერო ჯავო, შენ ბომ ხურშიდის მოაბლე ხარ?

— მართალს ბრძანებ.

— ფათაჰ-ბეგის მეუღლისა, არა?

— სწორედ მისი.

ვარდანმა ახლა კი მიაგნო აწეწილი ძაფის წვერს და განგებ ჰკითხა:

— ბეგს ხომ მეორე ცოლიც ჰყავს, ახალგაზრდა სომეხი ქალი?

— ეყოლებოდა, ჯავოს რომ არ მოეტაცნა ეშმაკურად.

— ის სომხის ქალი?

— დიახ, სომხის ქალი — ლალა, სტეფანიკი, — მას ორი სახელი აქვს.

ვარდანს სიხარულით გული აუთრთოლდა.

— სად წაიყვანა ჯავომ ის მოტაცებული ქალი?

— ჯავომ ის თავის ქალბატონს მიჰგვარა, იმან კი ფარულად რუსეთში გაგზავნა.

აუწერელი სიხარულისაგან ვარდანს სახე გაუბრწყინდა და თავდავიწყებულმა ჯავო გულში ჩაიკრა.

— აკოცე ჯავოს, ჯავომ ის გადაარჩინა.

— ჯავო ჩემი დაა, — უთხრა ვარდანმა და ძმურად გადაკოცნა.

უფროსი და რძით სავსე ჭურჭლით დაბრუნდა: ჯავომ ჭურჭელი გამოართვა, მოიყუდა და ერთი მოსმით ნახევრამდე დაცალა. თბილმა რძემ ჯანზე მოიყვანა და შიმშილი მოუკლა.

— აბა, ახლა მიამბე, — უთხრა უფროსმა დამ.

ჯავომ უამბო, რომ მისი ქალბატონის ქმარს, ფათაჰ-ბეგს დიდი ხანია უყვარდა ერთი სომხის ქალიშვილი, სოფელ ო...ს მამასახლისის ასული (მამასახლისს ყველა მეზობელი ქურთი იცნობდა). ქალბატონს არ სურდა, რომ სომხის ქალი ბეგის ცოლი გამხდარიყო, რადგან ძალიან ლამაზი იყო და შეეძლო ერთბაშად დაეპყრო ბეგის გული. შურითა და ეჭვიანობით შეპყრობილი ქალბატონი ყოველნაირად ცდილობდა ბეგის განზრახვის ჩაფუშვას, მაგრამ ბეგი საშინელ წინააღმდეგობას უწევდა. ბაიაზეთის ბრძოლებიდან რომ დაბრუნდა, ბეგმა განიზრახა სომეხი ქალიშვილის მოტაცება. მაგრამ ქალბატონმა დაასწრო, ჯავო და თავისი ორი ერთგული მსახური წინასწარ სოფელ ო...ში გაგზავნა, რათა ბეგის მისვლამდე ლალა

(ასე ერქვა ქალიშვილს) მოეტაცნათ და სხვა ქვეყანაში წაეყვანათ. ჯავომ ლალა იპოვა სოფლის მღვდლის ოჯახში, სადაც ის თავის რძალთან სარასთან ერთად იმალებოდა. სარას ადრევე ჰქონდა გაგონილი ბეგის განზრახვა და როგორც კი ჯავომ ხურშიდის გეგმა გააცნო, სიხარულით დათანხმდა იმავე ღამით ლალასთან ერთად სოფლიდან გაქცეულიყვნენ. ქალბატონის მსახურებმა ლალა და სარა რუსეთის საზღვარზე წაიყვანეს და ბეგი პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს. ქალბატონი ფარულად გულში იცინოდა და ხარობდა, რომ მშვენიერი ლალა ბეგს ხელიდან გამოაცალა.

რამდენიმე დღის შემდეგ უკან დაბრუნებულმა მსახურებმა ამბავი მოიტანეს, ქალიშვილი მშვიდობიანად მივიყვანეთ დათქმულ ადგილზეო. ჯავოს კი ქალბატონმა უთხრა, წადი დროებით დასთან იყავი [illegible]ინამ ბეგს სიბრაზე გადაუვლისო.

ჯავოს ნაამბობმა ისე გაიტაცა მისი უფროსი და, განსაკუთრებით კი ვარდანი, რომ ვერც ერთმა ვერ შეამჩნია, როგორ ყურადღებით უსმენდა ქალიშვილს ავადმყოფი. როცა ჯავომ ამბავი მოათავა, მისი ხმა გაისმა.

— ახლა კი დამშვიდებით შემიძლია მოვკვდე, ლალა გადარჩენილია!.. — ავადმყოფი ბალიშზე დაემხო და აძაგძაგდა, ვარდანი მიუახლოვდა. — „მშიერმა ვირმა ქერის სუნი იგრძნო, მაგრამ ვიდრე მიუტანდნენ, ფეხები გაფშიკა...“ — თქვა უკანასკნელად ეფეხდიმ. ქურთი ქალი და მისი დაც ავადმყოფთან მივიდნენ.

— მოკვდა, — თქვა ვარდანმა.

— საწყალი! — წამოიძახა ორივე დამ.

## თავი ოცდამეჩვიდმეტე

ივლისის გაუსაძლისი სიცხე იდგა. მზით გავარვარებული ჰაერი ლაპლაპებდა და ნემსებივით იჩხვლიტებოდა. ქანცგამოლეული ფრინველები დაბურულ ხეებში შეყუჟულიყვნენ, ყველაფერი გარინდებულიყო, ფოთოლიც კი არ იძროდა. მხოლოდ ბუზები, ოღოები და უჩინარი მწერები უშიშრად დანავარდობდნენ, მომაბეზრებელი ბზუილით ცხვირ-პირსა და ყურებში უძვრებოდნენ ადა-

მიანს და შხამიანი ნესტრით მზის მცხუნვარე სხივებზე უარესად სუსხავდნენ.

არაჩვეულებრივი სანახავი იყო ამ დროს უძველესი ვაღარშაპატი. სადაც არ უნდა გაგეხედათ, ყველგან აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. შეყრილიყვნენ ღატაკი და ნახევრადშიშველი ქალები და ქალიშვილები, მოხუცები და ბავშვები...

ქუჩები სავსე იყო მათხოვრებით. ეჩმიაძინის ტაძრის ეზოში და გალავანთან ნერსესის ტბის ირგვლივ ალმართული ხეების ჩრდილში, წმინდა გაიანეს ტაძართან კათალიკოსის მიერ გაშენებულ ტყეში, ყველგან, სადაც პაწაწინა ჩრდილი მაინც იყო, თავი შეეფარებინათ საბრალო ალაშკერტელ ლტოლვილებს.

სამი ათას ოჯახს, თურქების ცეცხლისა და მახვილისათვის თავი რომ დაეღწიათ, მიეტოვებინა სამშობლო, სახლ-კარი, სარჩო-საბადებელი და აქეთ გადმოხვეწილიყო, აქ ეპოვა თავშესაფარი. ვაღარშაპატში ერთ სახლს ვერ ნახავდით, რომ ლტოლვილთა ათი-ოცი ოჯახი არ ყოფილიყო შეხიზნული. პირუტყვის სადგომები, თაღლები თუ ფარდულები ლტოლვილებს დაეკავებინათ. საჭირო იყო არა მარტო ამ აუარებელი ხალხის დაპურება, არამედ მათთვის საექიმო დახმარების აღმოჩენაც. ივლისის ჯოჯობეთურ სიცხეებში ალაშკერტის მთიანი ადგილებიდან ერთბაშად არარატის ველზე გადმოხვეწილ უბედურ ხალხს ათასგვარი ავადმყოფობა შეეყარა.

შუადღე იყო, ის დრო, როცა გლეხი მინდვრად მუშაობას თავს ანებებს, ადამიანები და პირუტყვი დასასვენებლად ჩრდილნარს მიაშურებენ, ხოლო შეძლებული ხალხი მაძღარი სამხრის შემდეგ გრილ ოთახებში ისვენებს.

დღის ამ საათებში ბევრი ლტოლვილი კარდაკარ დადიოდა და მათხოვრობდა. მათ შორის ყურადღებას იქცევდა ერთი გოგონა, იგი 16 წლის იქნებოდა, გამხდარი, გაცრეცილ სახეზე ყვითელი ფერი გადაჰკრავდა და დამჭკნარ ვარდს მიაგავდა. შავ თვალებში ღრმა სევდა ესახებოდა, ფერდაკარგული ტუჩები კი მეტყველებდნენ, რომ მძიმე სენი გადაეტანა და ჯერ კიდევ მთლად არ გამოჯანსაღებულიყო. ეს ნაღვლიანი სახე, ერთ დროს თავისი სილამაზით რომ ხიბლავდა ყველას, მიუხედავად სიგამხდრისა, ახლაც მეტად მიმზიდველი და მომაჯადოებელი იყო.

ბედს თითქოს ამ ნაზი არსების დაცინვა ეწადაო, ძონძებში გაეხვია, რომ მისი მშვენიერება და სათნოება მიწასთან გაესწორებინა. მაგრამ უფრო მეტ თანაგრძნობას იმსახურებდა.

დაგლეჯილი კაბა ძლივს უფარავდა სხეულს. ნელი ნაბიჯით მიიკვლევდა გზას, გახურებულ მიწაზე ფეხშიშველა სიარული უჭირდა, მიწა გავარვარებულ რკინასავით უდაღაედა ფეხისგულებს. გოგონას ორი პატარა ბავშვი ახლდა. დიდხანს დადიოდა თავჩაქინდრული, მდუმარედ შეჩერდებოდა რომელიმე სახლის წინ, მაგრამ შესვლას ვერ ბედავდა და საათობით უცდიდა, ვიდრე ვინმე ყურადღებას მიაქცევდა და ერთ ნატეხ პურს გამოუტანდა. ამაყ გოგონას მათხოვრობისა რცხვენოდა. ეტყობოდა ადრე კარგ ცხოვრებას იყო მიჩვეული და მხოლდ ბედის უკეთმართობას გაეღატაკებინა. ზნეობრივი წამება: შებღალული თავმოყვარეობა, პირადი ღირსების დამცირება უფრო ტანჯავდა, ვიდრე ავადმყოფობა, რომელიც სხეულს ულრღნიდა.

ერთი სახლიდან მეორისაკენ გადადიოდა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა. ბოლოს როგორც იქნა, სძლია სირცხვილის გრძნობას, ერთი სახლის კარი შეაღო და დიასახლისს მოკრძალებით სთხოვა:

— ერთი ნატეხი პური მომეცით...

— გაწყდა თქვენი სახსენებელი, რომელ ერთს მოგცეთ! უკმეხად უპასუხა დიასახლისმა.

ქალიშვილმა ირგვლივ მიმოიხედა, იქ ბევრი იყო მისთანა მათხოვარი. წასვლა დააპირა, მაგრამ ამ ორ პატარა ბავშვზე, მათს ავადმყოფ დედაზე ფიქრმა შეაჩერა. ცრემლი მოიწმინდა და ის იყო, თხოვნის გამეორებას აპირებდა, რომ სახლიდან პატარა ფინია გამოვარდა და ბასრი კბილებით საბრალო ქალიშვილის კაბის კალთას სწვდა. თავზარდაცემული ქალიშვილი გარეთ გავარდა და ტანსაცმლის ნაფლეთი ძაღლს დაუტოვა. ბავშვები გულსაკლავად ატირდნენ.

უბედურმა ქალიშვილმა შეისწორა დაგლეჯილი კაბა და ტაძრისაკენ გაემართა, გზაში ბავშვებმა საზამთროს ქერქი იპოვეს, ისე გაიხარეს, რომ მაშინვე გადაავიწყდათ შიში და ტირილი შეწყვიტეს. ერთმა მათგანმა ქერქს ხელი დაავლო, ხალათის კალთებით

ჭუჭყი მოაცილა და ჭამა დაუწყო. მეორეც წაეტანა ქერქს და აყვირდა: „მეც მომეცი, მეც მშია“. პატარებს ჩხუბი მოუვიდათ, ძაგრამ ქალიშვილმა ქერქი შუაზე გაუყო და ბავშვები დააშოშმინა.

ამ დროს ქუჩაში ჩქარი ნაბიჯით მიმავალი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. ქალი და პატარა ბავშვები რომ დაინახა, იცნო და მათთან მივიდა.

— ჯერ მთლად არ გამოკეთებულხარ, — უთხრა ქალიშვილს, — გარეთ გამოსვლა აგიკრძალე. შენ კი მაინც დადიხარ.

ქალიშვილი დაიბნა, არ იცოდა, რა ეპასუხა. მართლაც ავად იყო, სისუსტისაგან ფეხზე ძლივს იდგა. ახალგაზრდამ რომ ბავშვებს ხელში საზამთროს ქერქი დაუნახა, წაართვა და შორს ისროლა.

— ამის ჭამა როგორ შეიძლება?

ბავშვები დაბნეულ ქალიშვილზე უფრო გამბედავნი აღმოჩნდნენ და ცრემლმორეულებმა უპასუხეს:

— გვშია.

— ნუთუ ტაძარში საჭმელს არ გაძლევენ, — მიმართა ახალგაზრდამ ქალიშვილს.

ქალიშვილმა მშვენიერი თვალები დაბლა დახარა და წამოილუღლუღა:

— თუ შეიძლება, ტაძრიდან სხვა ადგილას გადაგვიყვანეთ.

— ჩანს, ის საძაგელი არქიმანდრიტი თქვენზე არ ზრუნავს?

ქალიშვილმა არაფერი უპასუხა, ისევ თავჩაქინდრული იდგა, თითქოს ეშინოდა. ცნობისმოყვარე ახალგაზრდამ თვალებში არ ამოიკითხა, რისი თქმაც არ შეიძლიაო.

— გასაგებია, — უპასუხა აღშფოთებულმა ახალგაზრდამ. — ახლა წადი, ამ სიცხეში შენი სიარული არ შეიძლება, ავად ხარ და უფრო დასუსტდები. ერთი საათის შემდეგ თქვენთან მოვალ და საჭირო მითითებებს მივცემ. შენი რძალი როგორ არის?

— ისევ ისე, წუხელ ძალიან მოუსვენრად იყო. — ნაღვლიანად უპასუხა ქალიშვილმა. მერე დარცხვენით შეხედა ახალგაზრდას და ჰკითხა:

— მონასტერში აღარ დაგვტოვებთ, არა, ბატონო?

— კარგი, სხვაგან გადაგიყვანთ, — დაპირდა ახალგაზრდა, სწრა-

ეად გაშორდა და გაიფიქრა: „საბრალო არსებავ! რა მალე მოგბეზრებია მონასტერი?“

ეს ახალგაზრდა კაცი ექიმი იყო, ერთი ვაღარშაპატელი მდიდარი მემამულის შვილი. მას ახალდამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტი და ახლად შეწირვული რაინდივით თავისი პროფესიის შესაფერ საგმირო საქმეებზე ოცნებობდა.

ალაშკერტელმა ლტოლვილებმა მრავალრიცხოვანი ავადმყოფებით მოქმედების ფართო ასპარეზი გადაუშალეს. ამ ენერგიულ, სიცოცხლით აღსავსე, კეთილი სურვილებით გამსჭვალულ ახალგაზრდას დიდ კმაყოფილებას ჰგვრიდა და ენერგიას მატებდა, რომ საბრალო ლტოლვილებს ეხმარებოდა. ის არა მარტო უსასყიდლოდ მკურნალობდა ავადმყოფებს, არამედ წამლებსაც უფასოდ ურიგებდა, მათ დაბინავებასა და წესიერ კვებაზე ზრუნავდა. ამიტომაც სთხოვა ქალიშვილმა, სხვა ბინა გამოგვინახეო.

ექიმი რომ წავიდა, ქალიშვილმა ბოხასტრისაკენ განაგრძო გზა. უჭირდა სიარული, ფეხებს ძლივს მიათრევდა. რამდენიმეჯერ შეჩერდა, ჩამოჯდა, რომ სული მოეთქვა. მონასტრის მახლობელი სამიკიტნოებიდან ეძახდნენ: შემოდი, ფულს მოგცემთო. „ესენი ქურთებზე უარესნი არიან“, — გაიფიქრა ქალიშვილმა და გზა განაგრძო.

ქალიშვილმა ბაღი გაიარა, გასცდა მონასტრის მთავარ შესასვლელს, დასავლეთის მხრიდან შემოუარა გალავანს და იმ კარს მიადგა, საიდანაც გზა ტბისა და ტყისაკენ მიემართებოდა. ამ კარით ის ყაზარაპატში შევიდა. მონასტრის ამ ნაწილს დღესასწაულებში ურიცხვ მლოცველთა სასტუმროდ ხმარობდნენ, ახლა კი ალაშკერტელი ავადმყოფებით იყო სავსე.

ქალიშვილი ქვედა სართულის ერთ-ერთ სენაკში შევიდა. ნოტიო, უჰაერო და უსინათლო ოთახში, აგურით ნაგებ იატაკზე დაფენილ ჭილობზე იწვა ერთი ქალი, ზევიდან ფალასი ეხურა. ბავშვები ავადმყოფ დედას მისცვივდნენ, მოეხვივნენ და მის გამხმარ ხელებს კოცნა დაუწყეს. მაგრამ დედამ საყვარელი ბავშვების ალერსს ვერ უპასუხა, ეძინა, უფრო სწორად, გრძნობადაკარგული იყო.

ქალიშვილმა ბავშვებს სთხოვა, დედას ნუ აწუხებთ, გადით გარეთ ითამაშეთო. ბავშვებმა დაუჯერეს და გავიდნენ, სენაკის კარის წინ დასხდნენ. მიწით, კენჭებით და ნაფოტებით პატარა სახლების

აშენება დაიწყეს და გამხიარულდნენ. ქალიშვილი კი ფილაქანზე წამოწვა, ლამაზი თავი ბალიშის ნაცვლად ნიდაყეზე დაიდო და ცრემლმორეული თვალებით ავადმყოფს მიაცქერდა. საბრალო ისე იყო დაღლილი, დასუსტებული და სულიერად დატანჯული, რომ უნდოდა დაეძინა, ცოტა მაინც დაესვენა, მაგრამ ყელში მობჯენილი ცრემლები სულს უხუთავდა, ნაღვლიანი თვალები ვერ დაეხუჭა. რა სიამოვნებით დახუჭავდა თვალებს სამუდამოდ, რათა აღარ ეხილა მზიური სამყარო, რომელიც მისთვის უკვე უკუნეთად გადაქცეულიყო. ვინ მოსთვლის, რამდენი უბედურება არ გადაიტანა, რამდენი ტანჯვა-წამება არ იგემა! დაკარგა მამა, ძმები, მდიდარი ოჯახი, ახლობლები — ყველაფერი, რაც კი ძვირფასი და საყვარელი იყო მისთვის. ახლა კი უცხო ქვეყანაში, უპატრონოდ, უმწეოდ დარჩენილი, საზარელი ბედის ანაბარად მიტოვებული, კარდაკარ დაეხეტებოდა და მოწყალებას ითხოვდა. მისი ერთადერთი ნუგეში და მფარველი, რომლის იმედითღა სულდგმულობდა, ახლა ეს ავადმყოფი ქალი იყო. ვინ იცის, იქნებ დღეს ან ხვალ ისიც გამოეცალოს ხელიდან, მაშინ რა ბედი მოელის? ვინღა უპატრონებს დაობლებულ საბრალო ბავშვებს? თვითონ მაინც იყოს ჯანმრთელი, მუშაობა შეეძლოს, მაშინ ყოველგვარ მძიმე სამუშაოს აიტანდა და პატარა ობლებს პატრონობას არ მოაკლებდა. მაგრამ რა ჰქნას, რომ თვითონაც ღონემიხდილი და დასუსტებული დღითიდღე ილევა, იცრიცება და სასურველი აღსასრულის მოლოდინშია. აღსასრული კი რატომღაც იგვიანებს...

ამ მწარე ფიქრებში იყო წასული საბრალო ქალიშვილი და ფერმკრთალ სახეზე ცრემლი სდიოდა, როცა გარეთ რაღაც ხმაური ატყდა, ვიღაცის ბოხი ხმა უსიამოდ ჩაესმა.

ბავშვებს, რომლებიც სენაკის შესასვლელთან პატარა სახლებს აშენებდნენ, ერთმა ღიპიანმა ბერმა ჩაუარა, თავზე შავი ქუდი ეხურა, შავი ფარაჯა ეცვა და სახეც შავი ჰქონდა. ბავშვები რომ დაინახა, გაბრაზებით დაუყვირა:

— შინ შეეთრიეთ, თქვე ძაღლის ლეკვებო, მიწას ნუ ჩიჩქნით!

ბერი მივარდა ბავშვებს და ის იყო კარგად გათელავდა, რომ ორივე წივილ-კივილით სენაკში არ შევარდნილიყო. ბავშვების ყვირილმა გონებაწართმეული დედა გამოაფხიზლა, ორივენი გულში

ჩაიკრა და დამშვიდება დაუწყო, თუმცა მათი ტირილის მიზეზი არ იცოდა.

ამ დროს სენაკის კარებში საზიზღარი ბერი გამოჩნდა.

— ახლავე აქედან გაეთრიეთ, — დაიღრიალა მან, — რამდენჯერ გითხარით, სხვა ადგილი მონახეთ და აქედან დაიკარგეთ-მეთქი, თქვენ კი ისევ აქ ხართ!

ნეტა ვის ეუბნებოდა? ავადმყოფ დედას არაფერი გაეგებოდა, გულში ისე ჩაეხუტებინა ბავშვები, თითქოს პირველად ხედავსო. მთელი ორი დღე ბურანში იყო და ახლა ბავშვების ტირილმა გამოაფხიზლა. ვის ელაპარაკებოდა ბერი? ამ სენაკში მისი ნათქვამის მოსმენისა და გაგების უნარი არავის ჰქონდა. ქალიშვილს მისი ხმის გაგონებაზე თავზარი დაეცა და მთლად დაიბნა, შეშინებული ბავშვები კი უბედურ დედას ეხუტებოდნენ და ცახცახებდნენ.

უცებ ბერს ვიღაცა გამოეხმაურა:

— რამ გაგაბრაზა, წმინდა მამაო!

— ეამარჯობა, ბატონო ექიმო, როგორ ბრძანდები, ხომ კარგ გუნებაზე ხარ? — მიმართა ღიმილით ბერმა და დამშვიდდა.

— ჩემზე ნუ სწუხხარ,—უპასუხა ექიმმა და პირდაპირ თვალებში შეხედა, — შენ ეს მითხარი, მამაო, ეგ რა ახალი ფანდებია, რატომ აწუხებ ამ საბრალოებს?

— შენ თავს ვფიცავ, არაფერი მიკადრებია, იმას ვეუბნებოდი, სხვა ადგილი მონახეთ, აქაურობას გაეცალეთ-მეთქი, ხომ იცი, ნაბრძანები გვაქვს ლტოლვილები ორ დღეზე მეტ ხანს არ გავაჩეროთ მონასტერში. ყოველდღე ახლები მოდიან, ძველები უნდა წავიდნენ, რომ მათი ადგილი ახლებმა დაიკავონ.

— სად უნდა წავიდნენ? ხომ ხედავ, იხოცებიან?

— მე რაღა ვქნა, როცა ასე მაქვს ნაბრძანები.

ეს ბერი მონასტრის სტუმართმოუცველობას ასრულებდა. ყბედი და მასხარა იყო, ყველა თავისუფლად ელაზღანდარებოდა, განსაკუთრებით კი ექიმი, რომელსაც სასულიერო პირების გაკილვა ისედაც უყვარდა.

— მაგ ლაპარაკებით ვერ მომატყუებ, — უთხრა ექიმმა, — მართალი მითხარი მამაო, რა მუცლის ტკივილი გაწუხებს? რაო, ლამაზი თვალები აქვს ქალიშვილს, არა?

— ეჰ, თავი დამანებე, გეთაყვა, ეგ რა თქვი.

— გასაწყვეტები ხართ ყველანი, გასაწყვეტები, — უთხრა ექიმმა და სენაკში შევიდა.

ექიმის გამოჩენამ დიდად ანუგეშა საბრალო ოჯახი. ექიმმა წამლები მოიტანა და თქვა, განკარგულება გავეცი, ცალკე ბინაზე გადაგიყვანენ, იქ კარგად მოგივლიან და გაჭმევენო.

— მხოლოდ, თუ შეიძლება, ცოტა დააჩქარონ,—სთხოვა ავადმყოფმა დედამ მადლიერებით აღსავსე ხმით.

— ნუ დარდობთ, რამდენიმე წუთის შემდეგ წაგიყვანენ, — უპასუხა ექიმმა და გავიდა, მონასტერში სხვა ავადმყოფიც უნდა ენახა.

— ლალა, ხედავ, შვილო! — მიუბრუნდა ავადმყოფი ქალიშვილს, რომელიც თვალებზე ხელებაფარებული ქვითინებდა, — ღმერთი უბედურების ყველაზე მძიმე წუთებშიც კი არ ივიწყებს საბრალოებს და სანუგეშებლად თავის ანგელოზს უგზავნის. ნუ ტირი, შვილო. ქარიშხლიანსა და პირქუშ ღამეს სხივმოსილი დილა მოჰყვება, დადგება დღე, როცა შენ ისევ ბედნიერი იქნები...

— ყოველივე ამის შემდეგ, საყვარელო სარა, სიკვდილის მეტი აღარაფერი დამრჩენია, — ტირილით მიუგო ლალამ.

სენაკში ორი მამაკაცი შევიდა. ისინი ექიმის მსახურები იყვნეს, ლალას, სარას და ბავშვებს საჭმელი და ბოხჩით ტანსაცმელი მიუტანეს.

სარა და ლალა საჭმელს არ გაეკარნენ, ბავშვები კი მისცვივდნენ და ხარბად დაუწყეს ჭამა. სანამ ქალები ტანსაცმელს იცვლიდნენ, მსახურები გარეთ იცდიდნენ. ლალამ ტანთ ჩაიცვა, ნახევრადშიშველი ბავშვებიც შემოსა, სარასაც გამოუცვალა ძონძები. დატოვეს მონასტრის დახუთული სენაკი და ექიმის მიერ მომზადებული ბინისაკენ გაუდგნენ გზას.

## თავი ოცდამეთვრამეტე

„წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ქარმა“ დაბერა და დღის ჯოჯოხეთურმა სიცხემ საღამოს სიგრილეს დაუთმო ადგილი. ეს მადლიანი ქარი, ზაფხულის ყოველ საღამოს რომ უბერავს, სიცოცხლეს ანიჭებს არა მარტო ვაღარშაპატს, არამედ არარატის მთელ მაზრას.

ხალხური გადმოცემა ამ ქარს მიაწერს წმიდა გრიგოლ განმანათლებელს, რომელიც ადამიანებს სნეულებისაგან იფარავს.

ნასადილევს, უშფოთველი ძილის მერე, ბერები სენაკებიდან გამოსულიყვნენ და ნერსესის ტბის გარშემო დაბურული ხეებით დაჩრდილულ ლამაზ ხეივანში დასეირნობდნენ. უნებლიეთ თვალში გეცემოდათ, რომ სულიერი მამები წყვილ-წყვილად ან მარტოდმარტო დასეირნობდნენ, თითქოს ერთმანეთს გაურბიანო. ეჭვიანობას, უთანხმოებასა და უნდობლობას გაეთიშა მონასტრის ძმობა.

ტბა ერთ მაღლობ ადგილზე იყო, მისი ფსკერი მთლიანად თლილი ქვით იყო მოფენილი. მაღლობის ძირიდან წმიდა გაიანეს მონასტრამდე გადაჭიმულიყო ძველი სასაფლაო. რამდენიმე ადგილას საფლავს თხრიდნენ, ზოგან კი მიცვალებულს მარხავდნენ.

მღვდელი ლოცვებს ლუღლუღებდა და ერთი საფლავიდან მეორისაკენ გარბოდა მიცვალებულის წესის ასაგებად. სასაფლაოზე დუმილი ჩამოწოლილიყო. არც მეგობრის ტირილი, არც ნათესავების ცრემლი არ მიაცილებდა გარდაცვლილთ საუკუნო სამყოფელამდე, თითქოს ცოცხლებს უხაროდათ, რომ საბრალო ადამიანებს ტანჯული ცხოვრებისათვის თავი დაეღწიათ და სამარადისო განსვენება ეპოვათ. ალაშკერტელ ლტოლვილებს მარხავდნენ.

— ბუზებივით არ იხოცებიან?! — უთხრა ერთმა ბერმა თავის ამხანაგს.

— სულ ერთია, — მიუგო მან ცივად, — იქ ქურთები და თურქები გაჟლეტდნენ, აქ კი თავისით იხოცებიან... მაგრამ ჩვენ გადავუხვიეთ საუბრის საგანს, — განაგრძო მან, — გიმეორებ, რომ სანდო კაცი არ არის. დაგვიახლოვდა, მეგობრად მოაქვს თავი, ისე გვექცევა, თითქოს თანაგვიგრძნობდეს, ტყავში ძვრება, ოინბაზობს, რომ ჩვენი საიდუმლოებანი გაიგოს და შემდეგ სადაც საჭიროა, იქ აცნობოს. ჯაშუშია, ნამდვილი ჯაშუში. ამიტომ არის იგი დიდად მიღებული „მაღალსა იერუსალიმსა შინა“. ადვილი შესაძლებელია, იმედები გაუმართლდეს. მალე ეპისკოპოსი გახდეს და მდიდარი ეპარქიაც ჩაიგდოს ხელში.

— ყველაფერი, რაც მითხარი, მართალია უკანასკნელის გარდა: ვერც ეპისკოპოსი გახდება და ვერც ეპარქიის წინამძღვარი. „მეოთხე“ დაპირებას ძალიან ხელგაშლილად იძლევა, შესრულებით კი ძუნ-

წად ასრულებს. ვიდრე სჭირდებათ, ყველაფერს დააფქვევინებენ მაგ ყეყეჩს, შემდეგ კუდს წააჭრიან და პანლურს ამოკრავენ, მის თანამდებობას კი უფრო შესაფერ პირს უბოძებენ. — შეხედე, კიდევ ორი ახალი მიცვალებული მოიტანეს.

— თუ ღმერთი გწამს, თავი გაანებე მიცვალებულებს!.. მაგ მელაკუდას ადვილად ვერ მოატყუებენ.

— „ჭკვიანი მელაც კი ორივე ფეხებით გაებმება ხოლმე ხაფანგშიო“...

— ჩუმად, გაიარონ...

მათკენ ორი ბერი მოდიოდა. ერთმანეთს რომ მიუახლოვდნენ, იმ ორმაც შეწყვიტა საუბარი. ისინი სინოდის წევრები იყვნენ. როცა ჩყვილები ერთმანეთს გასცდნენ, საუბარი განახლდა.

— საჯარო ვაჭრობა ახლავე უნდა დავანიშნინოთ, ამჟამად ყველაზე ხელსაყრელი დროა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მონასტრის მამულების მოიჯარადრენი ბატონები ნ..., მ... და ხ... ამჟამად აქ არ არიან. ერთი პირად საქმეებზე ალექსანდროპოლშია წასული, მეორე — იგდირში, მესამე კი ეშმაკმა უწყის, სად გადაიკარგა. უნდა ვისარგებლოთ მათი აქ არ ყოფნით. თუ საჯარო ვაჭრობას ახლა დავანიშნინებთ, მაშინ იჯარა სათაელიანს დარჩება, მამულს თავის სახელზე გააფორმებს, ჩვენთან კი, რასაკვირველია, საიდუმლოდ იქნება შეამხანაგებული.

— მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ბატონ სათაელიანს იმდენი ნაღდი ფული არა აქვს, რომ გირაო შეიტანოს.

— ეგ მეც ვიცი, მაგრამ მაგით საქმე არ წახდება, გირაოს ჩვენ მივცემთ, ის მხოლოდ თავისი სახელით შეიტანს.

— შენ ნაღდი ფული გაქვს?

— პროცენტიანი ფასიანი ქაღალდები მაქვს.

— სულ ერთია. მაშ, ხვალ კრებაზე საჯარო ვაჭრობის საკითხი აღებულ-ათ. მაგრამ მეშინია, საქმე „ზევიდან“ არ ჩაგვიშალონ.

— ვერ გაბედავენ, განა ეგ „ჰოსოსები“[1] თვითონაც იმას არ

---

1 „ჰოსოსები“ — კონსტანტინოპოლელი სომხების დამცინავი მეტსახელი.

აკეთებენ, რასაც ჩვენ ვფიქრობთ? თუ „ეშმაკის ფეხი“ საქმეში ჩაერევა, ყურში რაღაცას ვეტყვი და მაშინვე გაჩუმდება.

ამგვარად, ზოგი „ძმობაში“ ატეხილ ინტრიგებზე საუბრობდა, ზოგი ფარულ სპეკულაციაზე ბჭობდა, ბაგრამ არავის არ აინტერესებდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ, არავინ ფიქრობდა იმაზე, რომ შშობლიურ მიწას მოწყვეტილი, უპატრონოდ და უმწეოდ დარჩენილი ალაშკერტელები ბუზებივით იხოცებოდნენ. არავის აინტერესებდა, რა იყო ამ უბედურთა ლტოლვის მიზეზი, ან რა ბედი მოელოდათ მათ უცხო ქვეყანაში.

რამდენიმე ბერს ერთად მოეყარა თავი და, როგორც საღამოობით სჩვეოდათ, ტყეში ლამაზ სპარსულ ხალიჩებზე დამსხდარიყვნენ და ჩაის მიირთმევდნენ.

ცოტა მოშორებით მოჯამაგირე ბიჭები სიცილ-ხარხარითა და ლაზღანდარობით ჩაის ამზადებდნენ. სუფრაზე უხვად იყო ნაღები, კარაქი, თეთრი პური, რომი და სხვა ბევრი რამ. საღამოს სიგრილეს და ტყის სუფთა ჰაერს სულიერი მამების მადა გაეღვიძებინა. სვამდნენ, ჭამდნენ, მხიარულობდნენ და სულაც არ ფიქრობდნენ, რომ იმავე ტყეში ნესტიან მიწაზე ასობით დამშეული ლტოლვილი ეყარა.

— ეს რა, საუცხოო რომია, სად იშოვე, მამაო, — ჰკითხა ერთმა ბერმა მეორეს და რომით შეზავებული ჩაი სიამოვნებით მოსვა.

— სად ვიშოვე? — გაიმეორა წმინდა მამამ, — არ იცი, რომ ჩემი სენაკი ისეთი სალოცავი ადგილია, სადაც შესაწირავი თავისი ფეხით ჩოდის[1].

— ვიცი, კარგია ვისაც მაგისთანა მიზიდულობის ძალა აქვს.

მზე ჩავიდა. ტყეს თანდათან ბინდი შეეპარა, თუმცა ოქროსფერი ღრუბლები მზის უკანასკნელ სხივებზე ჯერ კიდევ ბრწყინავდნენ. „განმანათლებლის ქარი“ მიწყნარებულიყო, ხეებზე ფოთლები ოდნავღა ირხეოდა და რაღაც ყრუდ, ჯადოსნურად სისინებდა. ტყეში გამეფებულ იდუმალ სიჩუმეს დროდადრო მხოლოდ უბედურ ლტოლ-

---

[1] უკაცრიელ და ხალხისაგან მივიწყებულ ადგილებში მდებარე ეკლესიებისა და სამლოცველოების შესახებ გავრცელებულია თქმულება, რომ დღესასწაულზე მხეცები თავისით მიდიან იქ, ხოლო მწყემსები იქერენ და მსხვერპლად სწირავენ (ავ-ტორის შენიშვნა).

ვილთა ოხვრა-გმინვა არღვევდა. ღამდებოდა, წყვდიადი კი უფრო ადვილად უღვიძებდა ადამიანს მწარე მოგონებებს.

ღია ცისქვეშ მიწაზე გართხმულმა შიშველმა და მშიერმა ალაშკერტელმა თითქოს ახლა გაელვიძაო, განსაკუთრებული სიმწრით იგრძნო ბედის უკუღმართობა. იმაზე ფიქრობდა, რომ ოდესღაც მდიდარი იყო, ახლა კი იძულებულია მათხოვრობით ირჩინოს თავი, სახლ-კარი და თავშესაფარი ჰქონდა, ახლა კი ღია ცისქვეშ არის დარჩენილი. აგონდებოდა დაკარგული საყვარელი შვილები. სად გაქრნენ. ვინ წაიყვანა, რა დაემართათ — არაფერი იცოდა. ყველაფერი მოულოდნელმა კატასტროფამ შთანთქა და წალეკა: დედას შვილი აღარ აგონდებოდა, ძმას საკუთარი და, ქმარს — ცოლი, თურქების მახვილით დევნილი თვითეული ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობდა... თვითეულის გული უკურნებლად იყო დაკოდილი, რადგან ყოველ მათგანს დაეკარგა ის, რაც ამქვეყნად ყველაფერს ერჩია.

ამიტომ იყო, რომ მთელს ვაღარშაპატში ამ ღამეს ლტოლვილთა ოხვრა-გოდება გაისმოდა, ყველა საერთო გლოვას მოეცვა, ხუგეში კი არსაიდან ჩანდა.

ამ დროს ტყეში ერთი წარმოსადეგი ახალგაზრდა გამოჩნდა, ლტოლვილებს გაფაციცებით აკვირდებოდა, მივიდოდა ხოლმე მათთან, გამოესაუბრებოდა და ისევ თავის გზას განაგრძობდა. ყურადღებას იპყრობდა მისი დაღვრემილი სახე, ვაჟკაცური გამომეტყველება და თავისუფალი მიხვრა-მოხვრა. ტყიდან გამოვიდა, წმიდა გაიანეს მონასტერი გაიარა და სასაფლაოსთან შეჩერდა. მესაფლავეებს მუშაობა ჯერ არ დაემთავრებინათ, მიცვალებულებს ბარხავდნენ.

უცებ სიმღერა მოესმა. მღეროდნენ ხალხურ სიმღერას: „ბულბულმა წაღები ჩაიცვა და საყვარელი ვარდის საძებრად წავიდა“.

„აი, გაწყდით თქვენ!“ — გაიფიქრა უცნობმა ახალგაზრდამ და გზა განაგრძო.

სიმღერის ხმა ტყის სიღრმიდან მოისმოდა, სადაც რომით შეზარხოშებული ბერები ღრეობდნენ.

უცნობი ტბასთან მივიდა. რამდენიმე ბერი შავი ლანდივით და-

სეირნობდა. იქვე განმარტოებით იჯდა რომელიღაც ბერი. მისი შზით გარუჯული, დაღვრემილი სახე და გაცვეთილი ტანსაცმელი მეტყველებდა, რომ მას მოხეტიალე კაცის ყველა გასაჭირი გადაეტანა. არც ერთი კოხტად და სუფთად ჩაცმული ბერი ახლოს არ ეკარებოდა, თითქოს შიშობდნენ, მის გაცვეთილ-გახუნებულ ტანსაცმელს რომ შევეხოთ, დავისვრებითო, თუმცა იმ უბრალო მწყემსურ სამოსში პატიოსანი და კეთილშობილი გული ძგერდა.

ახალგაზრდამ სალამოს ბინდბუნდში უცნობი ბერი რომ დაინახა, მასთან მივიდა.

— ოჰ, მამა ოვანეს, თქვენა ბრძანდებით!

— ვარდან! — წამოიძახა ბერმა და გადაეხვია.

ეს ბერი წმიდა იოანეს მონასტრის წინამძღვარი და ალაშკერტის ეპარქიის მეთაური იყო, თავისი ხალხი არ მიეტოვებინა და ლტოლვილებს რუსეთის მიწა-წყალზე გამოჰყოლოდა.

არქიმანდრიტი და ვარდანი იქვე ტბის ახლოს ქვაზე ჩამოსხდნენ.

— როდის მოხვედი? — ჰკითხა არქიმანდრიტმა.

— დღეს, სწორედ ახლა, — უპასუხა ვარდანმა და გაიხედ-გამოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო.

— ჯერ არავინ გინახავს?

— არავინ. ამ არეულობაში ვის ნახავს კაცი? ძალიან მინდა შელიქ-მანსურის ნახვა, ამბობენ ისიც ლტოლვილებთან არისო.

— ორი დღის წინათ ვნახე, — უთხრა არქიმანდრიტმა, — ახლა ერევანში იქნება, შგონი, იმ ხალხს უნდა შეხვდეს, ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის დაარსებას რომ აპირებენ.

— თბილისში უკვე დაარსდა ასეთი კომიტეტი.

— ერევანში, ალბათ, მისი ერთ-ერთი განყოფილება იქნება.

— აქ როგორ არის საქმე?

— ძალიან ცუდად, — ნაღვლიანად მიუგო არქიმანდრიტმა, — მთელი ერთი კვირაა აქ ვაგდივარ. ყაზარაპატში ერთი კუთხე მომიჩინეს, კაცი ყურადღებას არ მაქცევს, არც არავინ მეკითხება, რაქ გვაიძულა აქ გადმოვხვეწილიყავით. დამპირდნენ, კათალიკოსთან წაგიყვანთ და იქ ყველაფერს გამოგკითხავთო. მაგრამ დღეები გადის და თავს არავინ იწუხებს. წერილი გავუგზავნე, ავწერე უბედური

ხალხის გადმოხვეწის მთელი ისტორია, იმედი მქონდა ამის შემდეგ მაინც დამიბარებდნენ და მომისმენდნენ. მაგრამ ამ ცდამაც უქმად ჩამიარა. განა შეიძლება ასეთი გულგრილობა და შეუბრალებლობა? ხელთა მაქვს სია, რომლის მიხედვითაც 3.000 ოჯახიდან დღემდე 1.500 სული მოკვდა, ზოგი ავადმყოფობით, ზოგი კი შიმშილით, დანარჩენებიც, ეჭვი არ მეპარება, ასევე დაიხოცებიან, თუ მათი მდგომარეობა არ გამოსწორდა.

ამ სამწუხარო ცნობებმა ვარდანზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოახდინა. ყველაფერი ბუნებრივად ეჩვენა, წინასწარ იცოდა, რა დამღუპველი შედეგიც მოჰყვებოდა ლტოლვილთა გადმოსახლებას.

— ყველა ლტოლვილი ვაღარშაპატშია? — ჰკითხა ვარდანმა.

— არა, აქ იგდირიდან მოვიდნენ, აქედან კი სხვადასხვა მხარეს მიდიან, ლტოლვილები გაფანტული არიან სურმალუს მაზრიდან დაწყებული ახალ ბაიაზეთამდე, ძველ ნახჭევანამდე, ყველგან, ყოველ სოფელში შეხვდები გადმოხვეწილებს.

— ხალხი როგორ ეპყრობა თავიანთ გადმოხვეწილ ძმებს?

— დიდ თანაგრძნობასა და კაცთმოყვარეობას იჩენს, ლტოლვილებს თავშესაფარს, საჭმელ-სასმელს, ტანსაცმელს აძლევს, არაფერს იშურებს და რითაც კი შეუძლია ეხმარება. უნდა ითქვას, რომ აქაური ხალხი თვითონ ძალიან გაჭირვებულია, ომის გამო ყველაფერი გაძვირდა. მაგრამ ლტოლვილებს ახლა პურზე უფრო მეტად მკურნალობა ესაჭიროებათ, ათასგვარი ავადმყოფობა უმოწყალოდ ავლებს მუსრს.

მონასტრის მიდამოები ღამის წყვდიადმა მოიცვა. ბერები სენაკებში წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ ტყიდან კვლავ ისმოდა იდუმალი სიმღერა.

— ახლა სად აპირებ წასვლას? — ჰკითხა არქიმანდრიტმა და ფეხზე წამოდგა.

— თვითონაც არ ვიცი.

— ჩემთან წამოდი.

— არ მინდა, რომ აქ ვინმემ მნახოს.

— მონასტერში ვერავინ გიცნობს.

# თავი ოცდამეცხრამეტე

მამა ოვანესს ყაზარაპატის ზედა სართულზე ერთ-ერთი ოთახი ეკავა. ფეხი შედგა.თუ არა მონასტერში, ვარდანს მთელ ტანში რაღაც ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. ათმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მან აქაურობა მიატოვა. ახლა სამწუხარო გარემოებამ კვლავ აქ მოიყვანა. ამ სავანემ, სადაც ამქვეყნიურ ცხოვრებას მოწყვეტილი და ლოცვა-მარხვას თავშეწირული ადამიანები ცხოვრობდნენ, უბედურ ახალგაზრდაზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. აქ გატარებული ბავშვობა გააცხენდა, თვალწინ დაუდგა შავბნელი წარსული, რომელიც უბრალო გახსენებაც კი ზიზღსა და შიშს ჰგვრიდა.

როცა მამა ოვანესმა შეატყო, რომ ვარდანი დაღონდა, თანაგრძნობით ჰკითხა:

— რა დაგემართა, ბმას რატომ არ იღებ?

— არაფერი, ხანდახან ასე მემართება. უადგილოდ სევდა შეპიპყრობს ხოლმე.

პატარა ოთახის მთელი მოწყობილობა ერთი საწოლი და უბრალო ხის მაგიდა იყო. წმიდა მამა და მისი სტუმარი საწოლზე ჩამოსხდნენ. მაგიდაზე სანთელი ენთო, მის გვერდით კი პატარა სამოვარი თუხთუხებდა. მღვდელმა ორი ჭიქა ჩაი დაასხა და მდუმარედ შეექცნენ. ცხელმა ჩაიმ ვარდანი, ცოტა არ იყოს, დაამშვიდა. საუბარს მაინც ვერ მოაბეს თავი, ვიდრე სიტყვა იმაზე არ ჩამოვარდა, რაც ორივეს ერთნაირად აღელვებდა.

— როგორ უყურებენ აქ „საქმეს“? — დაინტერესდა ვარდანი.

— ერთ მოკლე ამბავს გიამბობ და ყველაფერს მიხვდები, — უპასუხა მამა ოვანესმა. — აქ თურქეთიდან ერთი არქიმანდრიტი ჩამოვიდა, ეპისკოპოსად უნდა ეკურთხებინათ. ახლაც აქ არის. იქნებ შეხვდე კიდეც. პირველ ხანებში თურქეთის სომეხთა მდგომარეობას საშინელ ფერებში ხატავდა, გვიამბობდა ქურთების მტარვალობაზე. თურქების მიერ სომეხთა ძარცვა-გლეჯაზე და საშინელ ძალმომრეობაზე და უსამართლობის ათასი მაგალითი მოყავდა. შეუძლებელი იყო არ დაგეჯერებინა, რასაც ამბობდა, ყველაფერს უტყუარი ფაქტებით ადასტურებდა. მაგრამ როგორც კი „ჰოსოსებს“ შეხვდა, არქიმანდრიტმა სულ სხვანაირად დაიწყო ჭიკჭიკი: აქებდა და ადიდებდა თურ-

ქების კაცთმოყვარეობას, სამართლიანობას, აღტაცებას გამოთქვამდა მათი კეთილშობილებისა და დიდსულოვნობის გამო. საბრალოს მეტი გზა არ ჰქონდა, თუ თავისი რწმენისა და სინდისის წინააღმდეგ არ შეაქებდა ყოველივე იმას, რაც სძულდა და ეზიზღებოდა, ცხადია, ნანატრ ეპისკოპოსობას ვერც ეღირსებოდა. აი, კიდევ ერთი მაგალითი. ერთი სხვა არქიმანდრიტი, რომლის მონასტერიც ქურთებს გაეძარცვა, აქ დახმარებისათვის ჩამოვიდა. ის უფრო მუქი ფერებით აღწერდა, როგორ ავიწროებდნენ მის ხალხს ქურთების ბეგები და თურქების ხელისუფალნი. როცა მისმა ჩივილმა „ჰოსოსების" ყურამდე მიაღწია, არა თუ მოუსმინეს, მონასტრიდან მისი გაძევების განკარგულებაც გასცეს. ეს საბრალოც იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის სიტყვებზე, ამიტომ ახლა დიდი პატივისცემით სარგებლობს. დაივიწყა თავისი მონასტერი, დაივიწყა თავისი ხალხი და კრინტსაც აღარ სძრავს ქურთების უწესობაზე. უფრო მეტს გეტყვი, ამ არქიმანდრიტმა, „ჰოსოსების" გული რომ მოეგო, ერთ სადღესასწაულო სადილზე სულთანის სადღეგრძელოც კი დალია, სწორედ მაშინ, როცა ბაიაზეთში და ალაშკერტში თურქები მუსრს ავლებდნენ სომხებს. ყოველივე ამის შემდეგ, მე მგონია, შენთვის ნათელია, რა თვალითაც უყურებენ „საქმეს".

ვარდანი ყურებს არ უჯერებდა, ეგონა, სიზმარში ვარო, ასეთი უსულგულობა ხომ ღალატს უდრიდა. ამ ტრაგიკულ მომენტში, როცა მთელი ერი უფსკრულის წინაშე აღმოჩნდა, როცა მისი ფიზიკური არსებობა და მთელი მისი მომავალი ბეწვზე ეკიდა, როცა საშინელ წუთებში მთელ ერს თვალი თავის მხსნელ არარატისაკენ ეჭირა, ის თავისი სულიერი მამების გულგრილობას წააწყდა, სამღვდელოებას მტრისა და მკვლელის წინაშე მუხლი მოეყარა.

— ნუთუ მთელი სამღვდელოება ასეა განწყობილი? — ჰკითხა აღელვებულმა ვარდანმა.

— არა, მხოლოდ „ჰოსოსები". მათ მიაჩნიათ, რომ თურქეთის მთავრობა კანონიერად და სამართლიანად იქცევა, ხოლო ვინც წუწუნებს და უკმაყოფილებას გამოთქვამს, ის ცილისმწამებელია.

— ყველაფერი გასაგებია, ეგენიც თავისებური თომას-ეფენდიები არიან, თომას-ეფენდისთანებს კი ხელს აძლევს თურქების ბატონობა. მაგრამ რატომ არ მიბაძავენ ისინი ნერსეს პატრიარქს, ხრი-

მიანსა და ნარ-ბეის, რომელთა ღირსეული სახელები სომხეთის ისტორიაში საპატიო ადგილს დაიჭერს.

— შენ ძალიან გულუბრყვილოდ მსჯელობ, მეგობარო, — უპასუხა არქიმანდრიტმა, — დამერწმუნე, ძალა რომ შესწევდეთ, დღესვე გააცამტვერებდნენ ნერსესის ყველა ნამოღვაწარს, თუმცა ცდილობენ კიდეც ამას. უნდათ ყველა დაარწმუნონ, რომ როგორც ნერსესი[1], ისე მისი თანამოაზრენი თაღლითები არიან, ატყუებენ ერს, სომხისათვის არ ზრუნავენ (არც ღირს ზრუნვაო), ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ემსახურებიან და მათი პოლიტიკური ინტერესებისათვის იღვწიან, რათა საბრალო თურქეთს უფრო მეტი ცოდვები მოახვიონ თავზეო. აქ დასცინიან იმ სომხებს, რომლებსაც გულუბრყვილოდ სჯეროდათ ნერსესის „წამოწყება“ რაღაც კარგს მოგვიტანსო. „ჰოსოსებს“ მიაჩნიათ, სომხების მხრივ თურქებისადმი რაიმე მოთხოვნილების წაყენება აშკარა თავხედობა იქნებოდა, თურქებმა სომხებს ყველაფერი მისცეს, რაც მათ სჭირდებოდათ და მეტის ღირსნი არც არიანო. და თუ რაიმე დააკლეს, — ამბობენ ისინი, — თურქები იმდენად დიდსულოვნები არიან, რომ თვითონვე უბოძებენ. მაშასადამე. რაღა საჭიროა თურქეთის მოწყალე მთავრობის შეწუხებაო?

— ნუთუ ბერების მთელი ძმობა ასეა განწყობილი? — წამოიძახა გაბრაზებულმა ჭაბუკმა

არქიმანდრიტმა მაშინვე არ უპასუხა, ოთახიდან გავიდა, გაიხედგამოიხედა, შემდეგ უკან შებრუნდა, თავის ადგილზე ღაჯდა და ხმადაბლა უთხრა:

— ჩვენ სულ არ ვიჩენთ სიფრთხილეს, აქ კედლებსაც კი ყურები აქვთ, მონასტრის სტუმართხუცესი მეზობელ ოთახში ცხოვრობს, ეშმაკის ყნოსვა აქვს. თუ რამეს ყური მოჰკრა, მაშინვე დაგვაბეზღებს...

ვარდანმა არქიმანდრიტის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და გაუმეორა:

---

[1] კონსტანტინოპოლის პატრიარქი, რომელმაც ეპისკოპოსები ხრიმიანი და ნარ-ბეი სომეხთა უფლებების დასაცავად ბერლინის 1878 წ. კონგრესზე მიავლინა (ავტორის შენიშვნა).

— მე ძმობის განწყობილებაზე შეგეკითხეთ.

— „ჰოსოსები“ გამონაკლისია, მთელი ძმობა თურქების მოტრფიალე როდია. ძმობაში არიან კეთილი სურვილებით გამსჭვალული პატიოსანი ადამიანები, ისინი არავითარ მსხვერპლს არ დაერიდებიან, რომ თურქეთის სომხებს მდგომარეობა შეუმსუბუქონ, თუ...

— თუ „ჰოსოსები“ ნებას დართავენ!

— ნამდვილად! აბა რა ქნან საბრალოებმა, ისე შეუბოჭეს ხელფეხი, რომ ხმის ამოღების უფლებაც არა აქვთ. აქ არის ერთი „ჰოსოსი“, მანკუნი, ნამდვილი ქაჯია, თავისი მდგომარეობით სარგებლობს და ყველას ჯაბნის.

— მე მაინც ვერ გამიგია ამ ადამიანების ჯოჯოხეთური პოლიტიკა: ხედავენ, რომ მთელი ერი თურქეთის უღელქვეშ გმინავს და განადგურების კარამდეა მისული და მაინც თურქ ჯალათებს ემორჩილებიან?!

— ეგ ჩემთვისაც გამოცანაა, მეც არაფერი გამეგება, — უპასუხა არქიმანდრიტმა.

— მაინც რით ხსნიან ალაშკერტელთა გადმოხვეწას, ბაიაზეთის სომხების განადგურებას, ვანის გადაბუგვას?

— თურქების გასამართლებლად გაზეპირებული სიტყვები აქვთ მომარჯვებული. სომხებს ადანაშაულებენ. ამბობენ სომხები მოუსვენარი, შეუგნებელი და უმადური ხალხიაო. „მგელი რა შუაშია, როცა ბატკანი აჯავრებსო“. ალაშკერტელების გადმოხვეწის მიზეზად თურქებისა და ქურთების მახვილს კი არ თვლიან, მთელ ხალხს საძშობლო რომ მიატოვებინა, არამედ რაღაც ფარულ და მძლავრ ძალას ეძებენ, საბრალო სომხები სამშობლოს იმ ძალამ მოსწყვიტაო. ეს განმარტება რომ არასწორია, ვფიქრობ, ამის მტკიცება არ გვჭირდება. შენ ხომ იმთავითვე ამ „საქმეში“ იყავი ჩაბმული.

— ყოველივე ამის შემდეგ, ვეღარ გამიგია, რა იმედით რჩები აქ: ერთი მითხარი, წმიდაო მამაო, რა მფარველობას და დახმარებას მოელი?

— არავითარს. თვითონაც დარწმუნებული ვარ, არაფრის იმედი არ შეიძლება ვიქონიო, მაგრამ მეტი რა გზა მაქვს? ვის მივმართო, გზა-კვალი ისე ამებნა, რომ არ ვიცი, სად წავიდე.

— სომეხ საზოგადოებრიობას მიმართე.

არქიმანდრიტმა არაფერი უპასუხა, ერთ ხანს დუმდა, მერე კი თითქოს თავის თავს ეუბნებაო, თქვა:

— ამჟამად ძნელია ყველაფრის გარკვევა, მაგრამ დადგება ის დღეც, როცა ამ საზიზღარ სინამდვილეს ფარდა აეხდება.

უბედურმა ბერმა ამ სიტყვებს თითქოს სისხლიც ამოაყოლა გულიდანო. იმდენად იმედგაცრუებული და სასოწარკვეთილი იყო, თავს ველარ იკავებდა. ანდა რად უნდა დაემალა რამე ვარდანისათვის, რომელთანაც მას მჭიდროდ აკავშირებდა საერთო საქმე.

ლაპარაკი კვლავ ლტოლვილებზე ჩამოვარდა. ალაშკერტელთა წინამძღვარი თავისი ხალხის უბედურებას მოსთქვამდა, მის გაჭირვებაზე ლაპარაკობდა და ეძებდა გზას, რომ ხალხი სრული განადგურებისაგან ეხსნა.

— მე ის მაოცებს, რომ ლტოლვილთა შორის ძალიან ბევრია ავადმყოფი, — სიტყვა შეაწყვეტინა ვარდანმა, — ნახევარზე მეტი დასნეულებულია, რით არის ეს გამოწვეული?

— დაწვრილებით რომ იცოდე მათი საშინელი თავგადასავალი, გაგიკვირდება, სული როგორ უდგათო. პირდაპირ საოცრებაა, ნამდვილი საკვაული. მაგრამ მე არც იმდენი მეხსიერება შემრჩენია და არც იმდენი ლაპარაკის თავი მაქვს, რომ ყველაფერი გიამბო, მხოლოდ რამდენიმე მაგალითს გეტყვი.

— მას შემდეგ, რაც ბაიაზეთს ალყა შემოარტყეს, ეს ამბები შენ კარგად იცი, გენერალი ტერ-ღუკასოვი იძულებული გახდა თავისი ჯარებით უკან დაეხია. მაშინ მან ორი გმირობა ჩაიდინა. თავისი მცირერიცხოვანი რაზმებით თურქების არმიასაც შეებრძოლა (რასაკვირველია, ეს თავდაცვითი ბრძოლა იყო) და ალაშკერტისა და ბაიაზეთის მაზრების სომეხი მოსახლეობის გადარჩენაც სცადა. ამ სტრატეგიულ ოპერაციაში გენერალმა დიდი ნიჭი გამოიჩინა: იმდენ ხანს შეძლო თურქების მოზღვავებული ჯარის შეჩერება, რომ სომხებმა გადმოხვეწა მოასწრეს. მაგრამ დრო ძალიან მცირე იყო და ხალხი მოუმზადებელი აღმოჩნდა. ორივე მაზრას ელვის სისწრაფით მოედო ცნობა, რუსეთის ჯარი უკან იხევს თავს უშველეთ, თორემ თურქები გაგიჟლეტენო. ხალხი შიშის ზარმა აიტანა. მტერი კარზე იყო მომდგარი, დაყოვნება ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა, საყვარელი სამშობლო უნდა მიეტოვებინათ. ვერ აგიწერ იმ საშინელ ღამეს, როცა

ხალხი თავის სახლ-კარს ეთხოვებოდა. პირუტყვი თითქმის მთლიანად ველად დარჩა, მათ მოსარეკად ვის ეცალა. მამა სხვაგან წასულ შვილს აღარ უცდიდა, ძმას ძმა დაავიწყდა, საოჯახო ნივთები ან მიატოვეს ან ცეცხლს მისცეს, დედებმა ხელში აიყვანეს პატარა ბავშვები, ბარგწამოკიდებულმა მამებმა კი უფრო მოზრდილ ბავშვებს ჩასჭიდეს ხელი და გზას გაუდგნენ..ურმები ძალიან ცოტას ჰქონდა, სამხედრო სურსათ-სანოვაგის გადასაზიდად ადრევე ჩამოართვეს. მტერი წინ მიიწევდა, ლტოლვილებს ფეხდაფეხ მოსდევდა. ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, მტარვალებმა გაჟლიტეს. ვინც გამოასწრო, ფიქრობდა გადავრჩიო, მაგრამ ქურთებსა და თურქებზე შეუბრალებელი უბედურება — შიმშილი და ავადმყოფობა დაატყდათ თავს. — ხალხი დასნეულდა, — განაგრძო არქიმანდრიტმა, — რადგან რამდენიმე კვირის სავალი შეუსვენებლად და შეუჩერებლად გაიარა რამდენიმე დღეში. დედაკაცები, ქალიშვილები, მოხუცები, ბავშვები ფეხით მოდიოდნენ, ბევრი დაიღალა, დასუსტდა და გზაზე დარჩა. ნათესავს, მეგობარს, საყვარელ შვილსაც კი აღარავინ აქცევდა ყურადღებას. ყველა შიშს აეტანა, აღარც გული შერჩენოდათ და აღარც ადამიანური გრძნობა. ყოველივე ამას დაუმატეთ შიმშილი, წყურვილი, უცხო ქვეყნის ჰავა და მაშინ ავადმყოფობის მიზეზებს იოლად მიხვდებით. მტერს რომ არ გადავწყდომოდით, მთის დაწყეველილი ბილიკებით გვატარეს. ქალებსა და ბავშვებს ძალიან გაუჭირდათ, ლტოლვილთა თითქმის ერთი მეოთხედი გზებზე დარჩა და დაიხოცა. რაღა გავაგრძელო. ჩვენი ეს მატიანენი საშინელი ფერებით გვიხატავენ, როგორ წაასხა შაჰ-აბასმა სომხები ტყვედ ისპაჰანში, მაგრამ ეს აიპავი იმასთან შედარებით, რაც ჩვენ გადაგვხვდა თავს, არაფერია.

არქიმანდრიტი ამ სამწუხარო ამბებს უყვებოდა, მაგრამ ვარდანი თითქმის არ უსმენდა, მისი გონება სხვაგან ქროდა. ჭაბუკი თავის სათაყვანებელ ლალაზე ფიქრობდა. ისიც ხომ ამ ლტოლვილთა შორის უნდა ყოფილიყო, მასაც ხომ არ ასცდებოდა ტანჯვა-ვაება? მართალია, ჯავომ უამბო, ქურთი ბეგის მეუღლის ხურშიდის განკარგულებით ლალა რუსეთში წაიყვანესო, მაგრამ მისი მხლებლები ხომ ქურთები იყვნენ და ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ქურთებისათვის რუსეთის საზღვრის გადალახვის საშუალება მიეცათ. უფრო მოსალოდნელი იყო, რომ ლალა და მისი რძალი სარა ლტოლვილთა

რომელიმე ჯგუფს მიკედლებოდა. მაგრამ როგორ იპოვოს ისინი? ან ვინ იცის, ცოცხლები არიან? — აი, რა აწუხებდა უბედურ ჭაბუკს.

— მამაო, ხომ არაფერი იცი მოხუცი ხაჩოს ოჯახის შესახებ, — ჰკითხა მან, — მე მგონია, ისინიც ლტოლვილთა შორის უნდა იყვნენ, სად შეიძლება მათი მოძებნა?

— გაკიძნელდება ძათი მიგნება, ლტოლვილები გაფანტული არიან. მაგრამ ლტოლვილებს რომ დავხმარებოდი, მათ თანმხლებ სოფლის მღვდლებსა და მამასახლისებს დავავალე ხალხის სახელობითი სიები შემიდგინონ, აღწერონ, სად რამდენი კაცი ბინადრობს, ამ სიების მიხედვით ადვილად გავიგებთ რომელ ჯგუფშია მოხუცი ხაჩოს ოჯახი.

— სიებს როდის მოგიტანენ?

— შეიძლება ხვალ ან ზეგ მომიტანონ, დანამდვილებით ვერ გეტყვი. საბრალო ვარდანისათვის ეს „ხვალ" ან „ზეგ" ძთელი საუკუნე იყო. მთელი ღამე აუტანელ ტანჯვაში გაატარა.

## თავი მეორმოცე

მონასტრის ზარების მწყობრმა და ნაზმა ხმამ ხალხს გათენება აუწყა. ზოგიერთი ბედნიერი ბერი ჯერ ისევ რბილ საწოლში ნებივრობდა, უბედონი კი საყდარში მიეშურებოდნენ სალოცავად.

ამ დილით მამა ოვანესს ადრე გამოეღვიძა, მძინარე ვარდანი მიატოვა და გარეთ გავიდა. დილის წირვაზე არ დადიოდა, ამ დროს ვაღარშაპატში მცხოვრებ ლტოლვილებს ჩამოუვლიდა ხოლმე, რომ გაეგო, ვის რა უჭირდა. გადმოხვეწილთა საცოდაობამ გული მოუკლა, ყველა ვეღარ მოინახულა. საშინელ დღეში იყვნენ ლტოლვილები: დაავადებულთა ოჯახები უპატრონოდ ეყარნენ ბინძურ ბოსლებში, მათ შორის ერთიც არ იყო ჯანმრთელი, რომ დანარჩენებს დახმარებოდა.

დაღვრემილი და სასოწარკვეთილი ბრუნდებოდა მამა ოვანესი მონასტრისაკენ და ფიქრობდა, დღესვე, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, საკათალიკოზოში შესულიყო და სასიკვდილოდ განწირული ხალხისათვის გადაუდებელი დახმარება ეთხოვა.

ამ დროს მის ახლოს ეტლმა ჩაიარა, მგზავრმა ბერი რომ დაინახა, ეტლი გააჩერებინა.

— სასიხარულო ამბავი მოგიტანეთ, — უთხრა მან ბერს, — ერევნის გუბერნატორმა დაამტკიცა ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის შემადგენლობა. კომიტეტის წევრებად სანდო პირები არიან შერჩეული. თბილისიდანაც სასიხარულო ამბები მოვიდა, იქაური კომიტეტი ენერგიულად მოქმედებს, გვპირდებიან, მალე ფულსა და წამლებს გამოგიგზავნითო.

— სასიხარულოა, — უპასუხა ბერმა. — აქაც პირებენ, შეწირულების შესაგროვებლად სასულიერო უწყებებს მიწერილობებს დავუგზავნითო.

— ეგ ვისი ბრძანებაა?

ბერმა ხელით მონასტრისაკენ მიუთითა. მგზავრს სიცილი აუტყდა.

— ფუჭი საქმეა, — უპასუხა მან, — სულ ერთია, ის შეწირულებანი ალაშკერტელებამდე ვერ მიაღწევს...

მგზავრი მელიქ-მანსური იყო.

— რაკი ახალი ამბით გამახარე, — უთხრა ბერმა, — მეც გაგახარებ.

— რით?

— ვარდანი აქ არის, ახლა ჩემს ოთახშია.

— ნუთუ მართლა? საიდან გაჩნდა ეგ ეშმაკი? არ მეგონა, თუ საიქიოდანაც ბრუნდებიან! წავიდეთ.

ორივენი მონასტრისაკენ წავიდნენ. გზაში მელიქ-მანსურმა ბერს ჰკითხა:

— ვარდანს კარგად იცნობ?

— ხუთ წელზე მეტია ვიცნობ. ჩვენ მხარეში უშიშარი კონტრაბანდისტის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ კარგა ხანს ვერავინ ვერ მიხვდა, რა კაცი იყო. იარაღი მოჰქონდა და უფასოდ ურიგებდა გლეხებს. ვაჭრობას კი თვალის ასახვევად მისდევდა. კეთილშობილური მიზანი ჰქონდა, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო, სამწუხაროდ, ყველაფერმა უქმად ჩაიარა...

— ბე რამდენჯერმე შევხვედრივარ, — მიუგო მელიქ-მანსურმა, — მაგრამ დღემდე მაგ ენერგიულ ახალგაზრდასაკით არავინ

მომწონებია. დავრწმუნდი, რა მამაცი და დაუნდობელია სისხლის-ღვრის დროს და რაოდენ პატიოსანი, კეთილი და ერთგულია მეგობრობაში.

ამის გარდა, ვარდანი ძალიან ჭკვიანია, ბევრი ისეთი რამ გაუკეთებია, რასაც რომელიმე გამოჩენილი მოღვაწე მთელ თავის სიცოცხლეში ვერ გააკეთებდა. მაგრამ ის მეტად თავმდაბალი კაცია, თავის გამოჩენა არ უყვარს.

ვარდანს გამოეღვიძა, ბერის ოთახში მარტო იყო. სენაკის ვიწრო სარკმლებიდან შემოჭრილი მზის სხივები იქაურობას ნათელ შუქს ჰფენდა, საშინლად ცხელოდა. ვარდანმა ფანჯარა გამოაღო. გარედან შემოჭრილმა გრილმა სიომ სახე გაუგრილა, მაგრამ გულს მაინც რაღაც უმძიმებდა და უხუთავდა. მასპინძელი იგვიანებდა. ვარდანმა ველარ მოითმინა, ადგა და გარეთ გავიდა, რომ თავისუფლად ამოესუნთქა. არ უნდოდა მონასტერში ვისმეს შეხვედროდა, უკანა კარიდან გავიდა და პირდაპირ ტბისაკენ გასწია. იქ ერთი მოხუცი ბერი ნახა, მაშინვე იცნო.

— გამარჯობათ, პაპა!

მთელი მონასტერი ამ ბერს „პაპას“ ეძახდა, პაპა მცხუნვარე მზეზე გაციებულ ძვლებს ითბობდა. იმ ინდოელ დერვიშს მოგაგონებდათ, რომლებიც არც პირს იბანენ, არც თმას ივარცხნიან, არც ფრჩხილებს იქნიან და არც ხეირიანად იცვამენ, რადგან ყოველივე ეს ცოდვად მიაჩნიათ. ჭაბუკის ხმა რომ გაიგონა, თვალები ხელით მოიჩრდილა, თავი ასწია და უთხრა:

— შენი ხმა მეცნობა. შვილო, მაგრამ თვალი აღარ მიჭრის, რომელი ხარ?

— ვარდანი ვარ.

— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, შვილო! მოდი, გაკოცო, როგორ დავაჟკაცებულხარ, — მოხუცი ვარდანს გადაეხვია. — დაჯექი, შვილო, აი აქ, ჩემს გვერდით. რა კარგი ბიჭი გამხდარხარ. გახსოვს კატასავით რომ შემოძვრებოდი ჩემ სენაკში და ხილს მპარავდი. მაშინ პატარა, ძალიან პატარა იყავი.

— მახსოვს, პაპა, — ამოიოხრა ვარდანმა, — ქურდობა აქ ვისწავლე...

— ახლა ვინ აღარ იპარავს? ყველა ქურდობს. ახლა პატიოსნე-

ბა ჩიტის რძესავით ძნელი საშოვნელია. ორი დღე არც იქნება გასუ-ლი, რაც წყეულებმა სენაკიდან რამდენიმე ასეული მანეთი მომპა-რეს. შავი დღისათვის მქონდა გადანახული. როგორ მიაგნეს, ვერ გა-მიგია, ეშმაკიც ვერ იპოვიდა, ჭერში მქონდა დამალული. დირეს უკან. ოჰ, ის შეჩვენებულები!

პაპას გაქურდვა ჩვეულებრივი ამბავი იყო და ვარდანს არც გაკვირვებია. ამ ას წლამდე მიღწეულ პაპას მთელი სიცოცხლის მან-ძილზე არც ერთი კაპიკი არ დაუხარჯავს, რაც კი ხელში ჩაუვარდე-ბოდა ყველაფერს ინახავდა. როცა მისი განძი ას ან ათას მანეთს მია-ღწევდა უცებ ვიღაც უხილავი გააქრობდა. მაგრამ ხშირმა ქურდო-ბამ პაპაც საკმაოდ დაახელოვნა. ოთახში ასობით ხვრელი ჰქონდა და თვითეულში ფულს ნაწილ-ნაწილ ინახავდა. ამიტომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ფული მთლიანად წაეღოთ, თუმცა თვითონ ჩვეუ-ლებრივ ყველას არწმუნებდა, რაც მქონდა სულ მომპარესო.

პაპა დიდი ძუნწი ვინმე იყო. ვარდანმა ეს პატარაობიდანვე იცოდა, — მის ძუნწობაზე მონასტერში ზღაპრებს ჰყვებოდნენ. პა-პა ერთ-ერთ მდიდარ ბერად ითვლებოდა, მხოლოდ იმ განსხვავე-ბით, რომ სხვები თავიანთ სიმდიდრეს ბნელი გზით შოულობდნენ, პაპა კი უმაგალითო მომჭირნეობით.

— ძალიან გიყვარს ფული, პაპა, მითხარი, მაგდენი რად გინდა?

— ეჰ შვილო, „მელიამ მგელს მიაძახა: ჰაი, შე უმი ხორციჭა-მიაო". ახლა ვის არ უყვარს ფული? ახლა ფულს დიდი გასავალი აქვს, ყველა ფულისთვის შრომობს.

პაპამ აკანკალებული ხელით უბიდან ბურნუთის კოლოფი ამო-იღო და ხუფი ახადა. კოლოფი ცარიელი იყო. დღეს ერთი ასჯერ მა-ინც გახსნა კოლოფი, მაგრამ თვალებს მაინც არ უჯერებდა, იქნებ რაიმე სასწაულით გაივსოო.

— ღმერთმა დასწყეველოს სიმონა მასწავლებელი, — ხომ იც-ნობ სიმონას? ერთი აბაზი მივეცი, კოლოფი გავატანე და ვთხოვე ქალაქიდან ბურნუთი ჩამოეტანა, ფულიც შემიჭამა და კოლოფიც შეიტყაპუნა. ვარდან, ბურნუთი არა გვაქვს?

— არა, პაპა, მე ბურნუთს არ ვხმარობ.

საბუდნიეროდ შორიახლოს პაპიროსის ნამწვი ეგდო. დაინახა თუ არა ბერმა, მივიდა და აიღო. შემდეგ ქაღალდი შემოახია, გაშა-

ვებული თუთუნი ხელისგულზე დაიყარა, აკანკალებული თითებით დაფშვნა და ცხვირის ნესტოებში ჩაიყარა.

— ასე ღარიბად გინახავენ, პაპა, რომ ბურნუთის ფულსაც არ გაძლევენ?

— ეჰ, შვილო, ქვეყანა შეიცვალა! სადღაა ნეტარხსენებული ნერსესის დრო? მაშინ სიყვარულიც იყო, ერთობაც, მოხუცებსაც პატივისცემით ეპყრობოდნენ, ახლა ყველაფერი თავდაყირაა. ვიხც გაქნილი ცრუპენტელაა, ვინც ხალხს მარჯვედ ატყუებს, პატივითა და დიდებითაც ის სარგებლობს. ჩვენისთანა ობმოკიდებულები ვის რაღად უნდა. ახლა ახალი ქათმები გამოჩნდნენ, რკინის კვერცხებს დებენ.

პაპა ნერსესის თავგამოდებული თაყვანისმცემელი გახლდათ, ამ დაუეიწყარი კათალიკოსის სახელი მისთვის წმიდათაწმიდა იყო. როცა კი რაიმე ბოროტებას წააწყდებოდა, შეწუხდებოდა, მაშინვე ნერსესის დროს გაიხსენებდა, რომელიც ეჩმიაძინის[1] ისტორიაში ოქროს ხანად მიაჩნდა.

ახლაც განსაკუთრებული აღფრთოვანებით გაიხსენა პაპამ ის ოქროს ხანა. ვარდანს მშვენიერ ტბაზე მიუთითა და აუხსნა რა მიხნით დააგება ის იმ დიდბუნებოვანმა ადამიანმა. მერე ტბის მახლობლად დარჩენილი ნანგრევები უჩვენა და უამბო, აქ ქაღალდის ფაბრიკა უნდა აეშენებინათ, რომ მონასტერს საკუთარი ქაღალდი ჰქონოდა, ახლა კი ამ ადგილას გლეხები ვირებს აბამენო. გაღმა სხვა ნანგრევები დაანახა, იქ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა უნდა აეგოთ, ამიტომ კათალიკოსმა თუთის უამრავი ნერგი ჩაყარაო. ტყის გახსენებაზე ცრემლი ვეღარ შეიკავა და ვარდანს უთხრა, ნერსესს თავისი დარგული ხეები ღვიძლი შვილებივით უყვარდაო.

— ტყეში რომ მიდიოდა, — უთხრა მან, — ბაღის პატარა მაკრატელი მიჰქონდა და ხეებს თვითონ სხლავდა. ყოველ ხეს ცნობდა და ხარობდა, როცა ხედავდა, რა სწრაფად იზრდებოდა ტყე.

ვარდანმა შეატყო, რომ ბერი ამბავს თავს ვეღარ მოაბამდა, წამოდგა და წასვლა დააპირა.

---

1 ეჩმიაძინი (ვაღარშაპატი) — სომეხთა კათალიკოსის რეზიდენცია.

— ჩემკენ დაიხარე, ვარდან, ყურში რაღაც უნდა გითხრა, — სთხოვა პაპამ.

ვარდანი დაიხარა და პაპამ ყურში ჩასჩურჩულა:

— აქაურობას გაეცალე, შვილო, ავი თვალით გიყურებენ.

— აქ მე ჯერ არავის ვუნახივარ, პაპა.

— საკმარისია, ერთმაც თუ დაგინახა. შენზე ცუდ ამბებს მოვკარი ყური.

— თქვენ ხომ ცუდად გესმით, პაპა, როგორ გაიგონეთ.

— პაპას მაშინ ესმის ცუდად, როცა ნათქვამი მისთვის ხელსაყრელი არ არის, რაც საჭიროა კარგად ესმის...

ვარდანმა გაიცინა და წავიდა, პაპამ კი მიაძახა:

— გესმის, ვარდან, თუ ქალაქში იქნები, არ დაგაეიწყდეს, ცოტა ბურნუთი გამომიგზავნე. ხომ ნახე, ჩემი კოლოფი ცარიელია.

ამ დროს მელიქ-მანსური და მამა ოვანესიც გამოჩნდნენ.

— რას ელაპარაკებოდი ბერს! — ჰკითხა მამა ოვანესმა.

— აქ ერთადერთი პატიოსანი კაცი ეგ არის, — უპასუხა ვარდანმა და მელიქ-მანსურს მიუბრუნდა:

— თქვენთან ცალკე სალაპარაკო მაქვს, მხოლოდ აქ არა, ქალაქში ნაცნობები ხომ არ გყავთ?

— როგორ არა!

ვარდანს ისედაც უნდოდა მონასტერს გასცლოდა. ახლა კი პაპამაც გააფრთხილა. გარდა ამისა, ლალას ბედი აწუხებდა, როგორმე უნდა ეპოვა, მისი ამბავი გაეგო, ამიტომაც სთხოვა მამა ოვანესს, მღვდლები ლტოლვილთა სიებს რომ მოგიტანენ, მაშინვე ხმა მომაწვდინეო.

— მაცნობეს, რომ სიებს დღეს სადილობამდე მოიტანენ, — უთხრა მამა ოვანესმა, — მაშინვე შეგატყობინებ.

— იცით, ჩვენ სად ვიქნებით? — ჰკითხა მელიქ-მანსურმა.

— ვიცი.

— მაშ, წავიდეთ, ვარდან.

ამ დროს მოედანზე საბგლოვიარო პროცესია გამოჩნდა. რამდენიმე ალაშკერტელს კუბო მიჰქონდა. ცხედარს მღვდელი არ მიჰყვებოდა, სასაფლაოზე იყო, იცოდა. წუთი წუთზე ახალ მიცვალებულს მიასვენებდნენ. კუბოს მდუმარედ შიჰყვებოდა ერთი ქალი,

იგი ხელჩაკიდებული მიჰყავდათ. მწუხარებით ისე იყო გულმოკლული, რომ ტირილის თავი აღარ ჰქონდა. გვერდით კაბის კალთებში ხელჩაკიდებული მწარედ მოქვითინე ორი პატარა ბავშვი მისდევდა. ვაღარშაპატის მცხოვრებთაგან კუბოს მხოლოდ ჩვენთვის ნაცნობი ექიმი მიჰყვებოდა, რომელიც ამკარად გამოირჩეოდა საცოდავი, ძონძებში გახვეული ადამიანების ამ პატარა ჯგუფიდან.

ვარდანმა და მელიქ-მანსურმა შორიდან დაინახეს სამგლოვიარო პროცესია, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს. ყოველდღე, ყოველ წუთს იყვნენ მსგავსი სანახაობის მოწმენი, მათთვის ეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

## თავი ორმოცდამეერთე

მელიქ-მანსურს რომ შეხვდა, ვარდანს თითქოს გულს მოეფონა. მამა ოვანესის შეპირებამაც დაამშვიდა: გადმოხვეწილ მღვდლებსა და მამასახლისებს ხაჩოს ოჯახის ამბავს გამოვკითხავო. წარმოიდგინა, ლალას მივაგნებ და სიყვარულით ტანჯვა-ვაებას დავავიწყებო.

მელიქ-მანსურმა ვარდანი ვაღარშაპატის ერთ-ერთ ძველ ქუჩაზე წაიყვანა. მართალია, ამ ქუჩაზე პატარა შენობები იდგა, მაგრამ, ისევე როგორც მთელ ვაღარშაპატში, სახლებს აქაც ხეხილით სავსე ეზოები ეკრა.

— მაინცდამაინც არ გესიამოვნება, როცა გაიგებ, სად მიმყავხარ, — უთხრა გზაში მელიქ-მანსურმა.

— ჩემთვის სულ ერთია, — უხალისოდ უპასუხა ვარდანმა. — მე სალმანის ამბავი მაინტერესებს. იქ ხელს ხომ არავინ შეგვიშლის?

— არავინ.

სახლთან რომ მივიდნენ, კარზე დააკაკუნეს. კარი მოხუცმა ქალმა გააღო.

— აი, დედი, ახალი სტუმარი მოგიყვანე, — უთხრა მელიქ-მანსურმა.

მოხუცმა ქალმა ეშმაკურად აათვალიერ-ჩაათვალიერა ვარდანი და უპასუხა:

— შემოდით.

— აბა, ჩქარა, დედი, ერთი ბოთლი ღვინო მოგვიტანე, თორემ ყელი გაგვიშრა, — უთხრა მელიქ-მანსურმა. მერე ახლოს ძივიდა და დაუმატა: — სულს ამოგხდი, თუ აქ უცხო კაცს შემოუშვებ.

დედაბერმა მრავლისმეტყველად დაუქნია თავი და გავიდა.

ახალგაზრდები ერთ პატარა, მაგრამ საკმაოდ სუფთა ოთახში შევიდნენ და პატარა მაგიდას მიუსხდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში ახალგაზრდა ქალი შევიდა, მაგიდაზე ერთი ბოთლი ღვინო და ორი ჭიქა დადგა და ხმის ამოუღებლად გაბრუნდა. სახე მთლად დაფარული ჰქონდა თავზე შემოხვეული სომხური მანდილით. მხოლოდ მაყვალივით შავი თვალები და გადაკალმული წარბები მოუჩანდა, მაგრამ ამითაც მიხვდებოდით, რომ ძალიან ლამაზი იყო.

მელიქ-მანსურმა ჭიქები შეავსო, ერთი თვითონ აიღო, მეორე ვარდანს მიაწოდა და უთხრა:

— რა კარგია, რომ ჩვენი ტაძრები მეტწილად დასახლებული ადგილების მოშორებით—მთებსა და ხეობებშია აგებული. არსად ამდენი გარყვნილი და ზნედაცემული ახალგაზრდა არ არის, რამდენიც ვალარშაპატში. არსად არ არის იმდენი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი რამდენიც აქ. აი, ეს ლამაზი ქალი, ასე მორცხვად რომ შემოვიდა და უმალ უკან გაბრუნდა, ერთი ბერის საყვარელია. მონასტერი ღვთისმოსაობის დასაყრდენი მეგონა, მაგრამ ადამიანებს აქ არაფერი არ წამთ. ბერები ისე იქცევიან, რომ ხალხში ურწმუნოებას თესავენ, უზნეობას ნერგავენ. აქ უკვე ფეხს იკიდებს პროტესტანტობა. ქუჩაში რომ მოდიოდი, ალბათ, დაინახავდი კარგ სახლებს, მაგრამ ვინ არის მათი პატრონი? ბერების ნათესავ-მოკეთეები. ეგ ხალხი ადრე ღარიბები იყვნენ, მაგრამ მონასტრის წყალობით გამდიდრდნენ. მართალი გითხრა. გულისწყრომას ვერ ვმალავ, როცა ვხედავ, რომ აქ ფუჭად იხარჯება ასიათასები, მაშინ როცა თვითეულ კაპიკს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ათასი რამ გვაკლია, ყველაფერს ფული სჭირდება. კონსტანტინოპოლის საერო სალარო ცარიელია, პატრიარქს თავისი აუცილებელი ხარჯების დასაფარავად გროში არ გააჩნია. მას კი ახლა ისეთი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი, რომ დაყოვნებით ჩვენს ერს დიდ ზიანს მიაყენებს, მიუხედავად ამისა კონსტანტინოპოლის პატრიარქსა და ეჩმიაძინს შორის სოლიდარობის

ნიშანწყალსაც კი ვერ ვხედავ. მანკუნიმ კონსტანტინოპოლში ოცდახუთი ათასი ჩაღუპა საბირჟო ოპერაციებში. როგორც გავიგე, ამ დღეებში ოცდაათი ათასი კიდევ გაუგზავნიათ, ეშმაკმა იცის, რისთვის, სომხების პატრიარქს კი, ჩვენს ამ ერთადერთ საქმიან მოღვაწეს, გროში არ გააჩნია...

— ეს ღვინო მოპვანგული უნდა იყოს, — სიტყვა შეაწყვეტინა ვარდანმა.

— შენ რა, ყურს არ მიგდებდი? — ჰკითხა ნაწყენმა მელიქ-მანსურმა.

— როგორ არა, პატრიარქს გროში არ გააჩნიაო...

— ასე არ შეიძლება ლაპარაკი...

— რაღა ვილაპარაკო, მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი: ერი, რომელიც იმედს სამღვდელოებაზე ამყარებს, დასაღუპავად არის განწირული.

ახალგაზრდა ქალი ისევ ფეხაკრეფით შეეიდა ოთახში და საუზმით სავსე სინი მაგიდაზე დადო. ამჯერად მანდილი ისე მოეხვია, რომ არა მარტო თვალ-წარბი, ვარდისფერი ტუჩებიც მოუჩანდა.

— კიდევ ერთი ბოთლი ღვინო მოგვიტანე, მხოლოდ ცოტა უკეთესი იყოს, — სთხოვა მელიქ-მანსურმა.

ქალი კვლავ ფრთხილად და ხმის ამოუღებლად გაბრუნდა.

— მიკვირს, რამ მოგანახვინა ასეთი ბინა? — ჰკითხა ვარდანმა.

— თუ გინდა ბერი კარგად გაიცნო, მის საყვარელს უნდა დაუმეგობრდე, — სიცილით უპასუხა მელიქ-მანსურმა. — გარდა ამისა, აქ ყოველ საღამოს თავს იყრის მთელი საზოგადოება და საკმაოდ საინტერესო ამბებს ვგებულობ.

— ცხადია, უმთავრესად მონასტრის შესახებ, — ხუმრობით შენიშნა ვარდანმა. — მაგრამ მოდი, დროებით თავი დავანებოთ მონასტერს და ჩვენ საქმეებზე ვილაპარაკოთ. მე მაინტერესებს რა ბედი ეწია სალმანს, მინდა გავიგო ყველაფერი, რაც ჩემი აქ არ ყოფნის დროს მოხდა. მე ხომ ჯერ არაფერი ვიცი. მართალია, მამა ოვანესმა ზოგი რამ მიამბო, მაგრამ რაც მაინტერესებს, იმის შესახებ არაფერი იცის.

მელიქ-მანსურის მხიარულ სახეს თითქოს შავი ღრუბელი გადაეფარაო, წარსული სამწუხარო ამბები გაახსენდა, ტუჩები გაუ-

ლურჯდა და აუკანკალდა. ხელი დაავლო სავსე ჭიქას და ერთბაშად გადაჰკრა.

— კარგი, გიამბობ, — დაიწყო აღელვებულმა მელიქ-მანსურმა, — შენ ყველაფერი უნდა იცოდე, ყველაფერი. თუმცა სასიბარულოს ვერაფერს გეტყვი. სალმანი ღამით დააპატიმრეს. დამსმენს საქმე ისე გაეჩარხა, რომ ეს ამბავი არავის გაუგია, იმ სახლის პატრონსაც კი, სადაც სალმანმა ღამე გაათია. მე მეორე დღეს მითხრა ერთმა კაცმა, შემთხვევით ვნახე, დაპატიმრებული სალმანი მიჰყავდათო. უწინარეს ყოვლისა, რამდენიმე ცხენოსანს, ჩემს ახლობელ ხალხს, მოვუყარე თავი, რომ ჯარისკაცებს თავს დავსხმოდნ და სალმანი გადაგვერჩინა. შესაძლოა ეს საქმე მოგვეხერხებინა კიდეც, მაგრამ გზაზე ავცდით, ის სხვა გზით წაეყვანათ, რაც ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვიანგარიშია. ოცზე მეტი თავზეხელაღებული მხედარი მახლდა, ბევრი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, მის კვალს მივაგენით, იმ სოფელში მივედით, სადაც იმჟამად ფაშა იმყოფებოდა, მაგრამ გვიანღა იყო, უბედური ახალგაზრდა მიეყვანათ თუ არა მაშინვე დაეხრჩოთ. მისი გვამიც ვეღარ ვიპოვე. ამ საზიზღარმა ბოროტმოქმედებამ შურისძიებით ამივსო გული და ერთმანეთს შევფიცეთ უდანაშაულო მსხვერპლის სისხლი აგვეღო.

სალმანის შემდეგ, როგორც შენთვის ცნობილია, დაპატიმრეს მოხუცი ხაჩო და მისი ვაჟიშვილები — ჰაირაპეტი და აპო. ისინი მაშინვე არ დაუხოციათ, საპატიმროში ჩაყარეს და სასტიკი ზედამხედველობა დაუწესეს. როგორც ჩანს, ჯერ მდიდარი მამასახლისის ოქროების ხელში ჩაგდება უნდოდათ, მერე კი ბოლოს მოუღებდნენ. მაგრამ საბრალოებმა დიდხანს ვეღარ გაუძლეს აუტანელ ტანჯვა-წამებას და სამივემ საპატიმროში დალია სული.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადი იყო რა მოელოდა სოფელ ო... ს. მე ისმაილ-ფაშასთან გავემგზავრე, ფაშა ბაიაზეთის მხარის ჯარებს სარდლობდა. ის საკმაოდ ჭკვიანი კაცია და იმედი მქონდა, რამეს შევაგნებინებდი, გულახდილად ვუამბე იმ მოსამზადებელ მუშაობაზე, რასაც მე და ჩემი ამხანაგები ვეწეოდით და ისიც ვუთხარი, რომ ხალხს დიდძალი იარაღი დავურიგეთ. მაგრამ, — დავძინე მე, — ჩვენ აჯანყებისათვის კი არ ვემზადებოდით, როგორც ეს თქვენთვის უცნობებიათ, არამედ—თავდაცვისათვის. მაჰმადიან-

თან რელიგიურმა ფანატიზმმა, ისლამის მსახურებმა რომ ჩაუნერგეს ხალხს, ისეთი საშიში სახე მიიღო, რომ შეუძლია მთლიანად იმ-სხვერპლოს ქრისტიანობა, თუ მას იარაღით თავდაცვის საშუალება არ მიეცა. ამას თვითონ მთავრობა უნდა ჩაფიქრებოდა, რომ ბულ-გარეთის სამწუხარო ამბები აღარ გამეორებულიყო. მსგავს შემთხ-ვევაში პასუხისმგებლობა ხომ თურქეთს ეკისრება. მაშასადამე, მთავრობა დიდად კმაყოფილი უნდა იყოს, რომ საზრუნავი შევუმ-სუბუქეთ, გავაკეთეთ ის, რაც მას ევალებოდა. ჩვენ ქრისტიანებს იარაღი დავურიგეთ. რომ თავი დაიცვან და მაჰმადიანთა ფანატიზმს არ ემსხვერპლონ.

გაიძვერა ფაშა დიდი თანაგრძნობით მომეკიდა და დამპირდა, ყველა ღონეს ვიხმარ, რომ სომხებს არაფერი დაუშავდეთ, დაუ-ყოვნებლივ მივიღებ საჭირო ზომებს სომხების სიცოცხლისა და ქო-ნების დასაცავად. ამ დროს დაიწყო რუსეთის ჯარების უკანდახე-ვა და ხმა დაირხა, სომხებიც მათ მისდევენო. ფაშამ დამავალა, სო-ფები მოსახლეობა დაარწმუნე რომ ადგილიდან ფეხი არ მოიცვა-ლონო. მე სიხარულით მივიღე ეს დავალება, მაგრამ როგორც კი ვამომისტუმრა, ფაშამ ფათაჰ-ბეგს ბრძანება გაუგზავნა, სოფელი ო... გადაწვიო. ფათაჰ-ბეგმაც თავზეხელაღებული ავაზაკები სო-ფელს შეუსია. გადაბუგა და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მუს-რი გაავლო. ამ ამბავმა მთელ მაზრას თავზარი დასცა, დღითიდღე მატულობდა ლტოლვილთა რიცხვი. ჩემმა და ჩემი თანამოაზრეების ფეცადინეობამ სულ უქმად ჩაიარა, შიშით თავზარდაცემული ხალხი საკუთარ მიწა-წყალს ტოვებდა. ან რა გასამტყუნარი იყო, როცა სო-ფელ ო...ს მაგალითი თვალწინ ედგა. ამის შემდეგ ანგელოზსაც რომ ეთქვა, მაინც არ დაიჯერებდნენ, რომ მათაც სოფელ ო...ს მცხოვრებთა ბედი არ ეწეოდათ. ფაშას ვერაგობამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ თურქეთის ხელისუფალთ სომხების ამოჟლეტა უნდათ და იმისათვის იღვწიან, რომ სომხეთში არც ერთი სომეხი აღარ დარჩეს.

მე და ჩემმა თანამოაზრეებმა სომხების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დავითანხმეთ. მაშინ ისმაილ-ფაშამ ნება დართო ქურთებს რუსეთის ჯარებთან ერთად წასული სომხების ჯავრი დარჩენილ მო-სახლეობაზე ამოეყარათ. ქურთებმაც მთელი სისასტიკით მიჰყვეს

ხელი საშინელ ხოცვა-ჟლეტას. მე ახლაც მჯერა, ხალხი ადგილიდან რომ არ დაძრულიყო, თავის დაცვას შეძლებდა. თურქეთის რეგულარული ჯარები, ცხადია, არ დაარბევდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ადგილობრივი ხელისუფალნი აშკარა ბარბაროსობას ვერ გაბედავდნენ, მით უმეტეს, რომ იმ ხანებში ალაშკერტისა და ბაიაზეთის მაზრები სავსე იყო ინგლისის აგენტებითა და უცხოელი კორესპონდენტებით. ადგილობრივი ხელისუფლება ისე იქცეოდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქურთებს სომხების წინააღმდეგ ამხედრებდა. თვითონ კი თვალს ხუჭავდა, ბოროტმოქმედებას ვერ ამჩნევდა. მაგრამ ქურთების დამარცხება ძნელი არ იყო. ჩემი ვარაუდი სწორი რომ არის, ამას ერთი პატარა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ამბავი ამტკიცებს. მეც მოკლედ გიამბობ ამ ამბავს:

— როცა რუსეთის ჯარებმა ბაიაზეთისა და ალაშკერტის მაზრები დატოვეს, ესე იგი, როცა ხსენებული მაზრები კვლავ თურქებს ჩაუვარდათ ხელში, მაშინ, როგორც გითხარი, ქურთებმა ხელი მიჰყვეს დარჩენილი სომხების ძარცვა-გლეჯასა და დარბევას. ამის საპასუხოდ ასეულმა სომხის ოჯახმა თავისი სახლ-კარი დატოვა და მთებში გაიხიზნა. წარმოიდგინე, ქურთთა ათასიანი რაზმები რამდენიმე კვირას ებრძოდა იმ ერთ მუჭა სომეხ გმირებს, ისინი დანებებას არ ფიქრობდნენ, პირიქით რამდენიმეჯერ მარჯვედ შეუტიეს მტერს და დიდძალი ნადავლი და სამხედრო საჭურველი ჩაიგდეს ხელში.

მე სიამაყის გრძნობით ვიხსენებ იმ დაუვიწყარ დღეებს. იბრძოდნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ მოხუცებიც და ქალებიც. ახლა მწამს, რომ მონობას არ შეუძლია ჩაახშოს წინაპართაგან გამოყოლილი ერის გმირული სული. მონობას შეუძლია დროებით დათრგუნოს იგი, სამუდამოდ კი ვერ მოსპობს. დადგება ჟამი, როცა ეს გმირული სული კვლავ ღორძინდება და უფრო მძლავრად იფეთქებს. მე თვალნათლივ დავრწმუნდი ამაში და ეს არის ერთადერთი, რაც მანუგეშებს.

ვარდანს დაღვრემილი სახე გაუბრწყინდა და ნაღვლიანი თვალები ზეცას მიაპყრო, თითქოს ლოცულობს. განგებას მადლობას სწირავსო.

— ბოლოს რით დამთავრდა ყველაფერი? — იკითხა მან.

— მიუდგომელ მთებში თავდაცვა ძნელი იყო, მაგრამ მარტო

ქურთებთან რომ გვქონოდა საქმე მაინც გავძლებდით. მალე ალყა შემოგვარტყეს თურქეთის რეგულარულმა ჯარებმაც. მაინც ვუმკლავდებოდით მტერს, ჩვენს მხარეზე იყო დიდი ძალა, აჯანყებულთა საიმედო დამცველი — სომხეთის მთები. მაგრამ მალე საჭურველი და სურსათი გამოგველია, ვერაგ მტერს ხელცარიელი შევრჩით. ხანდახან, ღამღამობით, ჩვენი ბიჭები მთებიდან დაეშვებოდნენ, ქურთების მახლობელ სოფლებს აწიოკებდნენ და სურსათს შოულობდნენ. მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა, სოფლები დაცარიელებული იყო, მოსახლეობას პირუტყვი შორეულ საძოვრებზე გაერეკა. ცხადია, დიდხანს ვეღარ გავძლებდით, ახლომახლო ერთი სომხური სოფელიც აღარ იყო, რომ სურსათი მოგვემარაგებინა. მტერი კი თანდათან გვიახლოვდებოდა. ამ დროს მთებში გახიზნულებმა საოცარი გმირობა ჩაიდინეს. ერთ ღამეს ალყა გაარღვიეს და ჭრიცხვ მტერს თავი დააღწიეს. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ მათ შორის იყვნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიცა და ბავშვებიც.

— მერე სად წავიდნენ, — მოუთმენლად იკითხა ვარდანმა.

— თურქეთის საზღვარი გადალახეს და სპარსეთს მიაშურეს. მაგრამ გზაშიც არანაკლები ხიფათი მოელოდათ.

— მაშ, შენ აქ სპარსეთიდან მოხვედი?

— დიახ, სპარსეთიდან.

— ახლა რას აპირებ? — დაინტერესდა ვარდანი.

— ერთ რამეს ვფიქრობ და, მე მგონია, შენც დამეთანხმები,— მიუგო მელიქ-მანსურმა სერიოზულად, — ლტოლვილებს უნდა დაეხმაროთ, რამე ვიღონოთ, რომ შიმშილმა და ავადმყოფობამ სულ არ ამოწყვიტოს გადმოხვეწილი ხალხი. დარწმუნებული ვარ, რუსები ძალას მოიკრებენ და ისევ დაიბრუნებენ თურქების მიერ მიტაცებულ მიწებს. მაშინ იქ მშვიდობა დამყარდება და ჩვენც უნდა ვიზრუნოთ, რომ ალაშკერტისა და ბაიაზეთის მოსახლეობა თავის სამშობლოში დაბრუნდეს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სომხეთის მომავლისათვის, დაუშვებელია, რომ ეს ორი მოსაზღვრე მაზრა გაუკაცრიელდეს.

— შენ გგონია, რომ ეს მაზრები სამუდამოდ რუსეთს დარჩება?

— შესაძლოა საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ეს მაზრები ისევ თურქეთს დაუბრუნონ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვითარება შეიცვლება და მსგავსი თვითნებობა აღარ განმეორდება, დამარცხებული თურქეთი გონს მოვა... მე ერთი სხვა იმედიც მაქვს...

ოთახში დედაბერმა შეიხედა და მოახსენა, რომელიღაც მღვდელს თქვენი ნახვა სურსო. ვარდანმა გაიფიქრა, არქიმანდრიტს გამოგზავნილი მღვდელი იქნებაო და უბრძანა შეეშვათ...

ოთახში სოფელ ო...ს მღვდელი ტერ-მაოუქი შევიდა.

## თავი ორმოცდამეორე

მღვდელი რომ გამოცხადდა, საუზმე უკვე დამთავრებული ჰქონდათ და რამდენიმე ბოთლი ღვინოც დაეცალათ. ვარდანს უმძიმდა იმ კაცის ნახვა, რომელმაც ამდენი უსიამოვნება მიაყენა მას და სალმანს. მაგრამ ახლა იძულებული იყო ძველ მტერს შერიგებოდა.

შესაბრალის მდგომარეობაში ჩავარდნილი, ტანისამოსშემოფლეთილი ტერ-მარუქი მათხოვარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ღვთის მსახურს. ამის შემხედვარე ვარდანს ძველი ჯავრი უნებლიეთ გადაავიწყდა. გარდა ამისა, იმედი ჰქონდა, ხაჩოს ოჯახზე მეტყვის რაჩესო.

— მამა ოვანესმა გამოგაგზავნათ?—ჰკითხა ვარდანმა და სთხოვა დამჯდარიყო.

— დიახ, მამა ოვანესმა, — უპასუხა მღვდელმა და მაგიდას მიუჯდა, მაგიდაზე კიდევ იდგა ერთი ბოთლი ღვინო.

ვარდანმა ჭიქა შეავსო და მიაწოდა, მღვდელმა დაილოცა და უმალ დალია. სასმელმა მღვდელზე ისე იმოქმედა, გეგონებოდათ, სიცხისაგან დამჭკნარ მცენარეს მაცოცხლებელი ნამი დაეცაო, მელიქ-მანსურმა შეამჩნია, რომ მღვდელს გაქვავებული სახე გუხალისდა და ჰკითხა:

— საქმელს ხომ არ ინებებდით?

— გუშინდელს აქეთ არაფერი მიჭამია, — საცოდავად უპასუხა მღვდელმა.

მელიქ-მანსურმა დედაბერს გასძახა, საუზმე მოიტანეო.

ვარდანს გაუჭირდა, მღვდელს ვერაფერი ჰკითხა. იმ გაქურდულ კაცს დაემსგავსა, რომელიც უკანასკნელი იმედით სულდგმულობს, იქნებ ქურდებმა ჩემ განძეულს ვერ მიაგნესო. ასეთი კაცი სამალავთან გულისფანცქალით ძიდის, მაგრამ ვერ აღებს, ეშინია. ეაითუ ცარიელი დამხვდეს და რაღა მეშველება მაშინ ხომ საბოლოოდ უნდა გამოვეთხოვო უკანასკნელ იმედსო. ვარდანსაც ჯერ არ დაეკარგა ლალას პოვნის იმედი, და ახლა, აი, ამ მღვდლის ერთ სიტყვაზე იყო დამოკიდებული მისი ბედნიერება ან საუკუნო უბედურება. მღვდელს სამწუხარო ამბავი რომ ეთქვა, ეყოფოდა ძალა და სიმტკიცე, გაუძლებდა ელდას? რაღაც თავზარდამცემ წინათგრძნობას შეეპყრო და ძალა აღარ ჰყოფნიდა, რაიმე ეკითხა ტერმარუქისათვის, თუმცა ამის სურვილი ახრჩობდა.

მელიქ-მანსურმა არაფერი იცოდა ვარდანისა და ლალას ურთიერთობის შესახებ. მოხუცი ხაჩოს ოჯახს არც კი იცნობდა, მაგრამ რაღაც მოუსვენრობა რომ შეატყო ვარდანს, ჰკითხა:

— მღვდელთან, მგონი რაღაც სალაპარაკო გაქვს, იქნებ მე...

— არა, შენგან დასამალი არაფერი მაქვს, — სიტყვა შეაწყვეტინა ვარდანმა და მღვდელს მიმართა:

— მამაო, თქვენი მრევლის სია თუ გადაეცით მამა ოვანესს? მაინტერესებს ლტოლვილთა შორის სოფელ ო...-დან თუ არის ვინმე და სად ცხოვრობენ?

— შე დალოცვილო, ჩემი მრევლიდან ვიღა დარჩა, რომ სია შემედგინა? — ისე უპასუხა მღვდელმა თითქოს ქათმებზე ლაპარაკობდა. — თითებზე ჩამოგითვლი ყველას, ვინც კი სიკვდილს გადაურჩა.

ვარდანი აკანკალდა.

— ნუთუ ყველა ამოწყვიტეს, — ჰკითხა ფერწასულმა ჭაბუკმა.

— შესაძლოა, ყველა არა, ყოველ შემთხვევაში, სოფელ ო...ში კაცი არ დარჩენილა, რა დაემართათ, მე თვითონაც არ ვიცი. არც ერთ ქრისტიანს არ ვუსურვებ ისეთ უბედურებას, რაც სოფელ ო...ს თავს დაატყდა. ყველაფერი ჩვენი ცოდვების ბრალია, თითქოს სო-

დოძი და გომორი ყოფილიყო, ციდან ცეცხლი წამოვიდა და ყველაფერი წალეკა. ვინც ცეცხლს გადურჩა, ქურთებმა ან ტყვედ წაიყვანეს ან გაჟლიტეს. ერთ ღამეში მთელი სოფელი ფერფლად იქცა. დაიკარგა ჩემი ფული, ერთი კაპიკის მიღების იმედი აღარა მაქვს! თომას-ეფენდი, ღმერთმა სული გაუნათლოს, შემპირდა, შენს ნისიებს შევაგროვებო, მაგრამ მანაც თქვენი ჭირი წაიღო... აი, მეც ასე ღარიბ-ღატაკად და უსახლკაროდ დავრჩი, ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ? — უთხრა ტერ-მარუქმ და თავის დაძენძილ სამოსელზე მიუთითა.

მღვდელმა ცრემლი ველარ შეიკავა და მწარედ აქვითინდა, ვიი იცის, იქნებ მას თავისი რძალი ზულო და მისი მშვენიერი ბავშვები გაახსენდა, არც ისინი აღმოჩნდნენ ლტოლვილთა შორის. იქნებ სიძე სიმონა დიაკვანი და ქალიშვილი გაახსენდა, ისინიც უგზო უკვლოდ დაიკარგნენ. იქნებ თავისი საწყმსოს მწარე ხვედრი აწუხებდა, რომლის დალუპვის ამბავსაც ერთობ გულგრილად ყვებოდა? ალბათ, მღვდლის ცრემლების მიზეზი ყოველივე ეს როდი იყო. ის მოვალეთაგან მისაღებ ფულს დასტიროდა. მრევლი აღარ არსებობდა და, ცხადია, ფულსაც ველარავის გადაახდევინებდა.

მღვდელმა ფულზე რომ დაიწყო ლაპარაკი, ვარდანს ყურადღებაც არ მიუქცევია, მისი ვალების შესახებ არაფერი იცოდა. იგი ვერ ბედავდა კიდევ ეკითხა რამე და თითქოს უხაროდა კიდეც, რომ მღვდელი სულ ფულზე ლაპარაკობდა და შეკითხვებზე პასუხს არ აძლევდა. დარდი რომ გაექარვებინა ვარდანმა ღვინით სავსე ჭიქა აიღო და გადაჰკრა. მაგრამ ღვინომ უფრო ააფორიაქა. ისე იმოქმედა, როგორც ცეცხლზე დასხმულმა ნავთმა.

ისევ მელიქ-მანსურმა უშველა. მას გაგონილი ჰქონდა ხაჩოსა და მისი ორი ვაჟიშვილის სამწუხარო სიკვდილი, მაგრამ ამ ოჯახის დანარჩენი წევრების შესახებ არაფერი იცოდა.

— მოხუცი ხაჩო ოჯახიდან ვინმე თუ გადარჩა? — ჰკითხა მღვდელს.

— არავინ, — ცივად მიუგო მღვდელმა. — მამასახლისი და მისი ორი ვაჟიშვილი საპატიმროში მოკვდნენ, დანარჩენი ვაჟიშვილები დახოცეს, რძლები და მათი ქალიშვილები კი ტყვედ წაიყვანეს.

— ყველანი? — წამოიძახა თავზარდაცემულმა ვარდანმა.

მღვდელმა ჭაბუკის საშინელი სახე რომ დაინახა, მიხვდა, რა დაუფიქრებლად უპასუხა.

— სარა აქ არის, — უთხრა მან, — თავისი ორი ბავშვითა და ლალათი.

ვარდანი სიხარულით ცას ეწია. ახლა იმ კაცს ჰგავდა, რომელიც გემის დაღუპვის შემდეგ აბობოქრებულ ზღვაში ულმობელ ტალღებს ებრძვის და გრძნობს, რომ ძალ-ღონე ელევა, მაგრამ მოულოდნელად ხმელეთზე დაადგამს ფეხს.

— ლალა აქ არის!.. სარა აქ არის!.. მაშ, ვნახავ მათ? დიდება შენდა უფალო! — წამოიძახა ვარდანმა და წამოხტა. — წავიდეთ. მამაო, შენ ხომ იცი, სად ცხოვრობენ! წამოდი, მეგობარო, — ხელი მოჰკიდა მან მელიქ-მანსურს.

მეგობრები მღვდელთან ერთად ქუჩაში გავიდნენ. მაგრამ ვარდანის სიხარული ხანმოკლე გამოდგა. მღვდელმა ჯერ არ იცოდა იმ უკანასკნელი უბედურების ამბავი, რაც ამ ლტოლვილებს დაემართათ.

დილით, როცა მონასტრიდან გამოდიოდა, ვარდანს რომ ყურადღება მიექცია სასაფლაოსაკენ მიმავალი სამგლოვიარო პროცესიისათვის, მაშინ ბევრ რამეს შეიტყობდა, ჩანს, ბედისწერამ მისი სასტიკად დასჯა მოინდომა, საყვარელი ქალიშვილის ნახვა არ ეწერა.

დაავადმყოფებული სარა და ლალა მონასტრიდან კეთილი ექიმის მიერ მომზადებულ ბინაში გადაიყვანეს. გულკეთილი დიასახლისი ზრუნვას არ აკლებდა სნეულებს. როცა შეიტყო, რომ მდიდარი ოჯახიდან იყვნენ, განსაკუთრებული თანაგრძნობით ექცეოდა.

ზნეობრივად დატანჯულ, ფიზიკურად დასუსტებულ და მთლად ღონემიხდილ ლალას პირველ ღამესვე საშინელი სიცხე მისცა. დიასახლისმა მაშინვე ექიმს დაუძახა. ექიმმა ავადმყოფი გასინჯა, მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. „გადარჩენის იმედი არ არის," — უთხრა მან დიასახლისს. ექიმმა თითქმის მთელი ღამე ავადმყოფთან გაატარა, ცდილობდა როგორმე გადაერჩინა. ნაშუაღამევს ლალას უკეთ იგრძნო თავი. ექიმიც წავიდა. ლალა საწოლთან მჯდარ დიასახლისსაც კი დაელაპარაკა, მაგრამ მეორე დილით, როცა ექიმი ავადმყოფის სანახავად მოვიდა, ლალა უკვე მკვდარი იყო. სარა იმავე ოთახში იწვა, მაგრამ არაფერი იცოდა. ჩაქუჩის კაკუნი რომ

გაიგონა და კუბო დაინახა, ყველაფერს მიხვდა. საბრალო ქალ ტირილის ძალაც აღარ ჰქონდა.

სარას თითქოს გაუხარდა კიდეც, რომ ლალას წამებას ბოლო მოელო, მოისვენა, სამუდამოდ მოშორდა ამ წუთისოფელს, სადაც კარგი აღარაფერი ელოდა.

როცა კუბო გაჰქონდათ, სარამ ითხოვა, დაკრძალვას დამასწარითო. ექიმი წინააღმდეგი იყო, მაგრამ მან მაინც თავისი გაიტანა. ამ დაჟინებულმა სურვილმა თითქოს კვლავ დაუბრუნა სიმხნევე და ცნობიერება.

— ჩემო მშვენიერო ლალა, ნეტა მეც შენთან ერთად მოვმკვდარიყავი! — შესძახა სარამ, როცა კუბო სამარეში ჩაუშვეს.

მაგრამ თავის ორ ბავშვს მოჰკრა თვალი და ხმა ჩაუწყდა.

სასაფლაოდან სარა გულწასული მოიყვანეს შინ. სწორედ მაშინ, როცა ექიმი მის მოსულიერებას ცდილობდა, კარზე დააკაკუნეს. მსახურმა კარი გააღო და ორი ახალგაზრდა კაცი და მღვდელი დაინახა.

— ვინ გნებავთ? — ჰკითხა მან.

— ჩვენ გვითხრეს, რომ აქ ცხოვრობს ორი ალაშკერტელი ქალი — ერთი შუახნისა, მეორე კი ახალგაზრდა, — მიუგო ვარდანმა.

— დიახ, მაგრამ ახალგაზრდა...

— რა დაეშართა?

— გარდაიცვალა...

ვარდანი მეხდაკრულ ხესავით დაეცა მელიქ-მანსურს ხელებზე.

## თავი ორმოცდამესამე

ბნელი, უკუნეთი ღამე იყო. ზაფხულის ცხელი ჰაერი ადამიანს უსიამოვნოდ უმძიმებდა გულს. ღამის წყვდიადში ჩამიჩუმი არ ისმოდა. თითქოს ყველაფერი ჩამკვდარიყო, მხოლოდ წმიდა გაიანეს მონასტრის სასაფლაოს ერთი მივარდნილი კუთხიდან მოისმოდა ყრუ ოხვრა-გმინვა. ახალ საფლავზე გართხმული ახალგაზრდა მწარედ ქვითინებდა. მწუხარე თვალთაგან ღვარივით მოსდიოდა ცრემ-

ლი და მშრალ მიწას ასველებდა. პატარა საფლავს დროდადრო ჩა-ეკონებოდა ხოლმე, კოცნიდა და იმეორებდა: „ლალა... უბედური ლალა“...

ეს ახალგაზრდა კაცი ვარდანი იყო.

ბევრი ხეტიალის შემდეგ ბოლოს საყვარელი ლალას საფლავს მიაგნო მხოლოდ. მეტი აღარაფერი დარჩენოდა ამქვეყნად!

ცხოვრებასთან ჭიდილში, ათასგვარ დაბრკოლებასთან ბრძოლაში გზას მხოლოდ ერთადერთი მბრწყინავი ვარსკვლავი უნათებდა შუქურასავით, ის მიუძღოდა ხსნის საკანისაკენ. ახლა კი ეს ვარსკვლავიც ჩაქრა და დარჩა მხოლოდ გაბზარული და დაკოდილი გული, რომლის ჭრილობებსაც მაცოცხლებელი ბალზამიც ვერ მოაშუშებდა. დანაკარგი აუნაზღაურებელი იყო.

ამ გონიერ, სულითა და ხორცით ძლიერ ახალგაზრდას ადრე არასოდეს ჰყვარებია. ლალამ კი ეს პირქუში კაცი წმინდა სანთელივით დაადნო, სიყვარულმა სულ მოაჯადოვა. მაგრამ სად არის ახლა მანუგეშებელი ანგელოზი? — ამ სამარეში, ასე რომ ჩაჰკონებია და ცრემლით ნამავს. ამ სამარემ ჩაიმარხა უბედური ჭაბუკის გულიც.

დიდხანს იწვა საფლავზე უნუგეშო მწუხარებით გათანგული. მერე ბურანში გაეხვია, თავი საფლავზე დაუვარდა, თვალები დაეხუჭა და ქაოსურ ზმანებებში ჩაიძირა. ხან ჯოჯოხეთის საშინელებანი ელანდებოდა და შიშის ზარს სცემდა, ხან კი თვალწინ უმშვენიერესი სურათები წარმოუდგებოდა და გულს სიამით უვსებდა. ელანდებოდა, რომ უკვე რამდენიმე საუკუნეს გაევლო და ახლა ნანგრევებიდან აღმდგარ განახლებულ სომხეთს ხედავდა. ეს რა საოცრებაა! ნუთუ ოდესღაც დაკარგული სამოთხე ამქვეყნად ხელახლა დაბრუნდა! ნუთუ კვლავ ის ოქროს ხანა დადგა, როცა ბოროტებასა და უსამართლობას ჯერ არ წაერყვნა უმანკო ქვეყანა... მაგრამ არა! ეს ის სამოთხე როდი იყო, იეღოვამ სომხეთში ოთხი მდინარის შესართავთან რომ შექმნა, იქ ხომ ადამიანთა უმანკო და უმეცარი პირველი წყვილი ცხოვრობდა, ბიბლიურ სამოთხეში ადამიანი არ ირჯებოდა, არ შრომობდა, არაფერს ქმნიდა, მაგრამ საოცარი ბუნება უფლის უხვ სუფრად გადაშლილიყო და ადამიანი უზრუნველად იკვებებოდა და ცხოვრობდა. არა, ეს სულ სხვა სამოთხე იყო — ადამია-

ნის შრომით შექმნილი სამოთხე. აქ გულუბრყვილობაზე გონიერებას გაემარჯვა, ხოლო უდარდელი, მარტივი მამამთავრული ცხოვრება ცივილიზაციით შეცვლილიყო.

თითქოს გაცხადებულიყო პირველქმნილ ადამიანთა მიმართ ნათქვამი სიტყვა უფლისა: „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი“. ახლა ადამიანი არა მარტო შრომობდა, არამედ გაეადვილებინა კიდეც თავისი შრომა და ოფლს აღარ ღვრიდა, თავის საკეთილდღეოდ მუშაობდა და მისი გარჯის ნაყოფს მტარვალი აღარ ითვისებდა.

აი, ვარდანი სოფელს ხედავს. ნუთუ ეს სოფელი ო... არ არის? ეცნობა ეს მთები, მდინარე, აბიბინებული მწვანე ველ-მინდვრები. საუკუნეთა მსვლელობას აქ არაფერი გაუნადგურებია, მხოლოდ იერი შეუცვლია ყველაფერს. სადღაა ის საცოდავი მიწური ქოხები, ადამიანის საცხოვრებელს კი არა, მხეცის ბუნაგებს რომ ჰგავდა. ახლა ლამაზ წალკოტებში ქვით ნაგები თეთრი სახლები აღმართულა. მარად მწვანე ხეებით დაჩრდილული ფართო და სწორი ქუჩების გასწვრივ ანკარა ნაკადულები მოჩუხჩუხებენ.

დილა იყო. სახლებიდან ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ ჯან-ღონით სავსე, მხიარული, სუფთად ჩაცმული ბავშვები. ზურგზე ჩანთაგადაკიდებული გოგონები და ბიჭები სკოლისაკენ მიიჩქაროდნენ. შესცქეროდა ვარდანი მათ და გული სიამით ევსებოდა. რა კარგი, რა მხიარული იყვნენ ეს სანდომიანი ბავშვები, ალბათ სკოლისა და მასწავლებლისა აღარ ეშინოდათ. ნუთუ ეს ის ნახევრადშიშველი და სნეული ბავშვები იყვნენ, რომლებიც ვარდანს უნახავს?

ვარდანი ქუჩაში იდგა, გაოცებით იხედებოდა აქეთ-იქით და აღ იცოდა, სად წასულიყო. უცებ ეკლესიის ზარის მელოდიური წკრიალი ჩამოესმა, როგორც ჩანდა, დილის წირვა ჯერ არ დამთავრებულიყო. მას შემდეგ, რაც მონასტერი მიატოვა, პირველად მოეჩვენა ესოდენ ტკბილად ღვთის ტაძრის მომწოდებელი ხმა. გაქვავებული გული აუთრთოლდა და ეკლესიისაკენ გაეშურა, სადაც ათ წელზე მეტი იქნებოდა, ფეხი არ შეედგა.

ტაძარში რომ შევიდა, ვარდანი გაოცდა. ეს რა სადა, უბრალოდ მორთული ეკლესია იყო. არ ჩანდა არც საკურთხეველი, არც მაგი-

და, არც ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ხატები, არც ვერცხლის ჯვრები, არც ძვირფასი სამკაული. აქ ვერ ნახავდით სომხური ეკლესიის მდიდრულ მორთულობას. არც მთავარდიაკვანი, დიაკვანი და მედავითნე ჩანდნენ. ვარდანმა კედლებზე მხოლოდ ორ, უბრალო შავ ჩარჩოებში ჩასმულ ხატს მოჰკრა თვალი — ერთი იესო ქრისტესი იყო, მეორე — გრიგოლ განმანათლებლისა.

გრძელ სკამებზე ქალები და მამაკაცები ისხდნენ, ხელში პატარა საგალობლები ეჭირათ. მღვდელი კათედრაზე გადმომდგარიყო, წინ წმინდა სახარება დაედო და ქადაგებდა. ჩაცმულობით მღვდელი მრევლისაგან არაფრით განსხვავდებოდა. ქადაგებდა ისე უბრალოდ და გასაგებად, რომ ვარდანს ყველაფერი ესმოდა. ღვთის სიტყვა მღვდლის ბაგეთაგან ანკარა წყაროდან მოჩუხჩუხე ნაკადულივით მოსჩქეფდა. ხალხს უხსნიდა საღმრთო წერილის სიტყვებს: „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი". ვარდანი გაოცებული იყო მღვდლის განმარტებით: დღემდე მას ეგონა, რომ ამ სიტყვებით უფალმა საუკუნოდ დაწყევლა ადამიანთა მოდგმა. ახლა კი მიხვდა, რომ ეს იყო მცნება, რომელიც ადამიანს სიზარმაცეს უკრძალავდა და შრომისმოყვარეობას ავალებდა.

მღვდელმა ქადაგება დაამთავრა. ხალხს ერთი უბრალო გლეხი გამოეყო და ქადაგების აზრის შესაფერი ლოცვა დაიწყო. უფალს ევედრებოდა ჯანმრთელობა, ჭკუა და ძალა გვიბოძე, რომ შენს მიერ შექმნილი სიკეთით სავსე მიწაზე ნაყოფიერად ვიშრომოთო. „ეს რა ლოცვაა?" — ფიქრობდა ვარდანი. — რატომ სულის გადარჩენისათვის არ ლოცულობენ? ნუთუ საიქიოზე არ ფიქრობენ და მხოლოდ იმას ითხოვენ, რაც სხეულს, ამქვეყნიურ ცხოვრებას სჭირდება?"

ლოცვის შემდეგ ყველამ, ქალმა თუ კაცმა, მოხუცმა თუ ბავშვმა, ერთხმად წამოიწყო საგალობელი სოლომონის ფსალმუნიდან: „ბევრნი იტყოდნენ, ვინ არს, რომ გვიჩვენოს სიკეთე უფლისა? შენი სახის სინათლე მოგვეფინა და გულთა ჩვენთა სიამე მოეღინა, ხორბლისა, ღვინისა და ზეთისხილის სიუხვით აღვივსენით ჩვენ".

„ისევ მიწიერი საზრუნავი აწუხებთ, — ფიქრობდა ვარდანი.— სულისათვის მაინც არაფერს ითხოვენ. მშრომელი უმღერის ქვეყნის სიუხვეს, რაც ღვთის მიერ ბოძებული მარჯვენით შეუქმნია გასაკ-

ვირია, როგორ უხამებს ეს ხალხი რელიგიურ დოგმებს თავისი ცხოვრების სასიცოცხლო მოთხოვნილებებს...".

მაგრამ რარიგ საუცხოოდ ქღერს ორღანი, რა ხმაშეწყობილია გალობა, რარიგ ტკბილად, რარიგ საოცარ ჰანგებად იღვრება იგი ასობით ადამიანის ბაგეთაგან. ვარდანს ეჩვენებოდა, თითქოს ამ ადამიანების ხმა ურიცხვ ქერუბიმთა გალობას უერთდებოდა და უფლის საუკუნო საბრძანებელისაკენ მიემართებოდა. მას თავის სიცოცხლეში პირველად ესმოდა ასეთი საუცხოო მუსიკა.

გალობა დამთავრდა და ხალხი ეკლესიიდან გარეთ გავიდა. ახლა იმ კათედრაზე, საიდანაც მღვდელი ქადაგებდა, მასწავლებელი ავიდა, ხოლო სკამებზე, მანამდე უფროსები რომ ისხდნენ, ბავშვები ჩამწკრივდნენ.

გოგონები და ბიჭები ერთად ისხდნენ და გაკვეთილს უსმენდნენ. — „ნუთუ ეს სკოლაა? — ფიქრობდა ვარდანი, — ნუთუ ეკლესია სკოლად გარდაუქმნიათ? რა მომჭირნე ხალხი ყოფილა, რომ სკოლისათვის ცალკე შენობა არც კი აუგიათ". ვარდანს მასწავლებლის სახე ეცნო. ნუთუ ეს ტერ-მარუქია? სახის ნაკვთები, მოყვანილობა და ხმაც კი მისი აქვს. დიახ, ეს ტერ-მარუქი იყო, მხოლოდ უანაფოროდ, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი.

ვარდანი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. ნუთუ ეს ის კაცია, რომელიც სკოლების დიდი მოწინააღმდეგე იყო და ბევრი უსიამოვნება მიაყენა მას და სალმანს? ნუთუ ეს ის მღვდელი იყო, რომელთანაც ფულით შეგეძლო ცოდვების მონანიება და რომელიც მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ მრევლისათვის რაც შეიძლება მეტი ფული გამოეძალა. ვარდანმა ცნობისმოყვარეობას ვეღარ სძლია, მღვდელთან მივიდა და ჰკითხა:

— მამაო, მოვალეებისაგან ფულების შეგროვება თუ მოახერხეთ?

მღვდელს უცნობი ახალგაზრდა სულელი ეგონა, მკაცრად შეხედა და პასუხი არ გასცა. მხოლოდ აგრძნობინა, ხელს მიშლიო. მღვდელი ბუნებისმეტყველების გაკვეთილს ატარებდა, რამაც ვარდანი არანაკლებ გააოცა. წარმოიდგინეთ, ღვთისმეტყველი და ამავე დროს ბუნებისმეტყველი მღვდელი. მართლაც რომ საოცრებაა!

ვარდანმა გაკვეთილის დამთავრებას აღარ დაუცადა და ეკლე-

სიიდან გავიდა. ის ეკლესიის ეზომაც გააოცა. ვერც ერთი საფლავი ვერ ნახა, ჩვეულებრივ სომხური ეკლესიის ეზოები სავსეა საფლავებით. სამაგიეროდ, ეზოს ყვავილები და იშვიათი მცენარეები ამშვენებდა. ვარდანი დიდხანს იდგა და ამ სანახაობით ტკბებოდა. მერე ერთ-ერთი გლეხი მიხვდა, რომ იგი უცხოელი იყო და შინ, საუზმეზე მიიპატიჟა.

გლეხი წალკოტში ჩადგმულ ერთ-ერთ პატარა მყუდრო სახლში ცხოვრობდა. სახლი რამდენიმე ოთახისაგან შედგებოდა, ყველა ოთახი სადა და მოხერხებული ავეჯით იყო გაწყობილი და ყველგან მისაბაძი წესრიგი სუფევდა.

მასპინძლის ქალიშვილი მხიარულად მიეგება მამას. ის ისე ტკბილად ღიღინებდა რომელიღაც სიმღერას, რომ გეგონებოდათ, ამ მშვენიერი არსებისათვის უცნობი იყო მწუხარება, ცხოვრების უკუღმართობა. იგი არც უცხო სტუმრის გამოჩენამ შეაკრთო, არ დაემალა მას, როგორც ჩვეულებრივად სომეხი ქალები იქცეოდნენ. პირიქით, თამამად დაუწყო საუბარი ვარდანს, ისე უცინოდა, გეგონებოდათ, მისი ძველი მეგობარი ყოფილიყოს. რა საოცრად ჰგავდა ლალას! ამ მსგავსებამ ვარდანს ისე აუთრთოლა გული, რომ უნდოდა მოხვეოდა და ეთქვა: როგორც იქნა გიპოვეო.

საუზმე უკვე გაწყობილი იყო. დიასახლისმა დიდი ფინჯნები ყავით გაავსო, სქელი ნაღებიც დაუმატა და სტუმარსა და ქმარს მიართვა.

ქალიშვილმა მამას დილის გაზეთი გაუწოდა და კმაყოფილი ღიმილით ერთი სტატია უჩვენა.

მამამ სათვალე გაისწორა, გაზეთი თვალებთან ახლოს მიიტანა და წამოიძახა:

— ოჰო, შენი სტატია უკვე დაუბეჭდავთ, ლალა.

— ლალა?! — თავშეუკავებლად წამოიძახა ვარდანმა.

— ეს სახელი ჩვენს გვარეულობაში ხშირია, — უთხრა მასპინძელმა. ვარდანი დამშვიდდა, მაგრამ იმ აზრს მაინც ვერ შეეგუა, რომ ეს ქალიშვილი მისი ლალა არ იყო. ყოველ შემთხვევაში, თუ ის ლალა არ იყო, უდაოდ მისი აჩრდილი მაინც უნდა ყოფილიყო.

ვარდანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო ლამაზმა

ქალიშვილმა, ,ერამედ მთელმა ოჯახმა. პირველად ეგონა, რომ ეს ხალხი დილიდან საღამომდე თავაუღებლად შრომობსო. ახლა კი ხედავდა, რომ მათაც ჰქონდათ დასვენებისა და გართობის საათები, სადად, უბრალოდ, მაგრამ შეძლებულად ცხოვრობდნენ.

—გლეხის ბედნიერება, — თქვა მასპინძელმა, — იმდენად მძიმე და ხანგრძლივ შრომაზე არ არის დამოკიდებული, რამდენადაც საქმის ცოდნასა და შრომის გაიოლების საშუალებებზე, ბუნება ბევრ ძალას მალავს, ღმერთს ის ძალა დასახმარებლად უბოძებია. საჭიროა მხოლოდ ვისწავლოთ მისი გამოყენება.

— ეგ მართალია, — მიუგო ვარდანმა, — მაგრამ ქურთები გლეხს ნაშრომ-ნაღვაწს რომ არ ართმევდნენ, ვფიქრობ, გლეხი მუდამ ბედნიერი იქნებოდა.

— რომელი ქურთები? — გაკვირვებით იკითხა მასპინძელმა.

— აი, ის ქურთები. ყოველდღე რომ გარბევენ და გძარცვავენ.

— ჰოო, ქურთები! — ისე უპასუხა მასპინძელმა, თითქოს დიდი ხნის წინათ დავიწყებული სიტყვის გახსენება უჭირდა. — დიახ, ჩვენი ისტორიიდან ზოგი რამ წამიკითხავს ქურთების შესახებ, ისინი მართლაც ძარცვავდნენ და ყლეტდნენ ჩვენს მამა-პაპებს. მაგრამ ეს შორეულ წარსულში იყო. ეს ტომი თანდათანობით ცივილიზაციას ეზიარა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ქურთებმა ჩვენი სარწმუნოება მიიღეს. მათმა ბავშვებმა ჩვენს სკოლებში დაიწყეს სწავლა და თანდათანობით სომხებში გაითქვიფნენ.

ვარდანი უსმენდა და ყურებს არ უჯერებდა: ყველაფერი სიზმარი ეგონა და, მართლაც, ყველაფერს სიზმარში ხედავდა.

მასპინძელმა განაგრძო:

— ჩვენს ისტორიაში ქურთებმა ბევრი სისხლიანი ფურცელი ჩაწერეს. ჩვენს წინაპარს, რომლისგანაც ჩვენი გვარეულობა წარმოიშვა, ხაჩო ერქვა. ის ამ სოფლის მამასახლისი იყო. ქურთებმა თითქმის მთელი მისი ოჯახი ამოწყვიტეს, ხაჩო და მისი ორი ვაჟიშვილი ციხეში დაიხოცნენ. მისი ოჯახიდან ცოცხალი გადარჩა მხოლოდ ხაჩოს შვილიშვილი — ჰაირაპეტის ვაჟიშვილი.

— ის ბიჭი, სარასთან ერთად რომ გაიქცა ვაღარშაპატში? — სიტყვა შეაწყვეტინა ვარდანმა.

— დიახ, იმ ბიჭისაგან წარმოსდგა ჩვენი გვარეულობა.

— მას ოვაკიმი ერქვა, ერთი და ჰყავდა, სახელად ნაზლუ, რომელიც დედასთან ერთად გარდაიცვალა. დაობლებული ოვაკიმი კი ერთმა ექიმმა იშვილა და აღზარდა.

— ეგ ყველაფერი სად ამოიკითხე? — დაინტერესდა მასპინძელი, რომელიც გაკვირვებული იყო, რომ სტუმარმა დაწვრილებით იცოდა მისი გვარეულობის ისტორია.

— კი არ წამიკითხავს, ჩემი თვალით მინახავს, — უპასუხა ვარდანმა. — ეს მაშინ მოხდა, როცა ქურთებმა მიწასთან გაასწორეს ეს სოფელი და მთელი ალაშკერტის მაზრა.

— ეს ხომ ორასი წლის წინათ მოხდა. თქვენ კი საკმაოდ ახალგაზრდა ბრძანდებით, მათუსალა ხომ არა ხართ? — მიუგო მასპინძელმა გულკეთილი ღიმილით.

ვარდანმა ვერაფერი უპასუხა, მასაც სწამდა, რომ მას შემდეგ საუკუნეები გაეიდა.

იმ ოთახის ფანჯრებიდან, სადაც ისხდნენ, მწვანით მოსილი ველი მოჩანდა. ველი ხშირი ტყით დაფარულ მთებს ებჯინებოდა. უზარმაზარი ხეები ლურჯად მოკამკამე ცის ფონზე საუცხოო სურათს ქმნიდნენ. დილის მზის ოქროსფერ სხივებზე ვერცხლის გველებივით მიიკლაკნებოდნენ და ველის სივრცეებს სერავდნენ მდინარეები. ვარდანი თვალს ვერ აშორებდა მშვენიერ სანახაობას. ადამიანის შრომისმოყვარე მარჯვენას ისეთი ოსტატობით გარდაექმნა და გაემშვენიერებინა ბუნება, როგორითაც მხატვარი თავის ტილოს ჰქმნის.

— თქვენ ქურთებისა და თურქების დროინდელ სამწუხარო ამბებზე მელაპარაკებოდით, — განაგრძო მასპინძელმა, — მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. შეხედეთ იმ მშვენიერ მთებს! საუკუნე-ნახევრის წინათ იმ მთებზე ერთ ჩირგვსაც ვერ ნახავდით. მაშინ მტარვალის შეუბრალებელი ხელი ტყეებსაც ისევე სპობდა, როგორც ადამიანებს. შენობებისათვის ხე-ტყე არ იშოვებოდა და ხალხი იძულებული იყო მიწურებში ეცხოვრა. მაგრამ დამყარდა მშვიდობიანობა, აოხრებული სოფლები ხალხით აივსო, მთები გლეხების შრომისმოყვარე მარჯვენამ ტყეებით შემოსა. შეხედეთ იმ ამწვანებულ ველს, ძველად ის გადახრუკული უდაბნო იყო, მხოლოდ ერთი პატარა მდინარე მოედინებოდა, იმასაც ზაფხულო-

ბით სიცხე აშრობდა. მას შემდეგ კი, რაც მთები ტყეებით შეიმოსა, ველმა უხვად მიიღო წყალი. ახლა ეს ველი ჩვენს მაზრაში ყველაზე უხვმოსავლიანია... დიახ, ბევრი რამ შეიცვალა... წინათ აქ უბრალო გზებიც არ იყო, ახლა კი ყველგან ნახავთ სარკესავით გაკრიალებულ გზატკეცილებს, რომლებიც ერთმანეთს უკავშირებენ ჩვენ ქალაქებს. ამ გზებზე ახლა ეტლები დაჰქრიან, იმათ ცხენები კი არ უბია, ორთქლი ამოძრავებს. ჩვენი ქვეყნის ნაწარმი გასაყიდად შორეულ ქვეყნებში გაგვაქვს და სანაცვლოდ საჭირო საქონელს ვიღებთ.

ვარდანი გაოცებული უსმენდა, მერე ლამაზ ლალას მოჰკრა თვალი და უნებლიეთ იკითხა, განათლება სად მიიღო.

— ერთი კვირაც არ იქნება, რაც ახალი ვაღარშაპატის გიმნაზია დაამთავრა. ახლა კი უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადება, მედიცინის შესწავლა გადაწყვიტა. ცოტა ჯანმრთელობით მოისუსტებს, მინდა რამდენიმე თვე სოფელში გაატაროს, მაგრამ არ მთანხმდება.

— რამდენი შვილი გყავთ?

— ჩვენი გვარეულობა მუდამ მრავალშვილიანი იყო, ჩვენი წინაპრის ხაჩოს ოჯახი ორმოცდაათი სულისაგან შედგებოდა, მე კი მხოლოდ ხუთი შვილი მყავს. ლალა ჩემი ერთადერთი ქალიშვილია, დანარჩენები ვაჟები არიან.

—რას აკეთებენ თქვენი. ვაჟები?

— ერთი მეტყევეა, აი. იმ ტყეში მუშაობს, თქვენ რომ ხედავთ, მეორე კარინის უნივერსიტეტის პროფესორია, მესამე პოლკოვნიკია, მეოთხე კი ახალი ბაგრევანდის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში სწავლობს.

ვარდანს ქალაქის სახელწოდება ეუცხოვა და უთხრა:

— მე რაღაც არ მახსოვს ეგეთი ქალაქი.

— ეგ ყოფილი ბაიაზეთია, ახლა ასე ეწოდება. ბევრ ჩვენ ქალაქს, მაზრას და სოფელს სახელები შეუცვალეს.

მასპინძელმა კვლავ აიღო გაზეთი და ერთი წერილის კითხვა დაიწყო. რაღაცამ ააღელვა, ვარდანი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და ჰკითხა:

— რას წერენ გაზეთში?

— განსაკუთრებულს არაფერს... ხვალ ქალაქში დეპუტატთა საზოგადო კრება უნდა გაიმართოს. ზოგიერთი სადაო საკითხი აქვთ გადასაწყვეტი. არ ვიცი, რას გადაწყვეტენ... პარტიები ძალიან შეშფოთებული არიან...

— თქვენც იქ იქნებით?

— არ შეიძლება რომ არ დავესწრო.

საუბრიდან გამოირკვა, რომ ვარდანის მასპინძელი ამ მიდამოების გლეხთა დეპუტატი იყო.

საუზმე მოათავეს. ვარდანი წამოდგა, მადლობა მოახსენა და წასვლა დააპირა.

— თუ ჩვენი სოფლის დაწესებულებების დათვალიერებას მოისურვებდით, — უთხრა მასპინძელმა, — სიამოვნებით გიჩვენებთ.

— მადლობას მოგახსენებთ, ჩემო ბატონო, — მიუგო ვარდანმა.

— თუ სხვა დროსაც გამოგვივლით, ჩვენი სახლის კარი თქვენთვის მუდამ ღია იქნება, — უთხრა დიასახლისმა.

— გმადლობთ, ქალბატონო, — მიუგო ვარდანმა.

— ჩვენ სახლში არ მოიწყენთ, — დაუმატა გულწრფელი ღიმილით მასპინძლის მშვენიერმა ასულმა.

— გმადლობთ, ქალბატონო, — უპასუხა ვარდანმა და უფრო დაბლა დახარა თავი.

სახლიდან გარეთ რომ გავიდა, მხოლოდ მაშინ იგრძნო, რა უხერხულად იყო გლეხის ოჯახში. თავი იმ ველურად მიაჩნდა. განათლებულ საზოგადოებაში რომ მოხვდება და წუხს, რატომ დავრჩი გაუთლელი და გაუნათლებელი, რატომ არ შემიძლია ისევე ვიმსჯელო, თავისუფლად მეჭიროს თავი, როგორც ამ საზოგადოების წევრებსო. განა საოცრება არ იყო, რომ ხაჩოს შთამომავლობა. საუკუნეთა მანძილზე გამოიბრძმედა და მის წინ ასე სახეშეცვლილი და გაფაქიზებული წარსდგა?

ვარდანი და მისი მასპინძელი სოფლის ქუჩებს მიჰყვებოდნენ.

გზაში სუფთად, სადად ჩაცმულ ქალებსა და მამაკაცებს ხვდებოდნენ. ვარდანს უკვირდა, როგორ შეცვლილა სოფლის ცხოვრება, რა სასიამოვნო გამხდარაო. წინანდელ უკმეხობას ვეღარ შეხვდებოდით, ყველგან განათლების ცხოველმყოფელი სული ტრიალებ-

და. მხოლოდ ერთი რამ არ შეცვლილიყო—სომხური სიტყვა, სომხური ენა. მაგრამ რა ახლებურად, რა ლამაზად და ტკბილად ჟღერდა ის სომეხი კაცის ბაგეთაგან.

ვარდანი და მისი მასპინძელი უკვე სოფელს გაშორებოდნენ. საითაც კი გაიხედავდა ვარდანი, ყველგან მდიდარი ფერმები, მშვენიერი ბაღ-ვენახები, ჩინებულად დამუშავებული მინდვრები და მდიდარი საძოვრები მოჩანდა.

მათ ჩაუარეს სახერხ ქარხანას, რომელიც ორთქლით მუშაობდა. ქარხანა ყველა მახლობელ სოფელსა და ქალაქს საშენი მასალით ამარაგებდა.

— ვისია ეს ქარხანა? — ჰკითხა ვარდანმა.

— ჩვენში კერძო საკუთრება არ არსებობს, — უპასუხა მასპინძელმა, — ყველა აქაური საწარმო თემს ეკუთვნის, თვითეულ გლეხს თავისი წილი აქვს მასში. მორებს მახლობელი ტყეებიდან ეზიდებიან, ტყეც სოფლის თემს ეკუთვნის.

ისინი სახერხ ქარხანას გასცდნენ.

— აი ეს დიდი საწარმო, — მიუთითა ვარდანს მასპინძელმა,— ყველის ქარხანაა, აქ მთელ მაზრაში ყველაზე საუკეთესო ყველი მზადდება. ესეც სოფლის თემს ეკუთვნის. თვითეული გლეხი ქარხანას აბარებს რძეს და საერთო შემოსავლის გაყოფის დროს თავის წილს — ყველს ან ფულს იღებს.

ისინი მინდვრად გავიდნენ, პურს ჭრიდნენ, მაგრამ ნამგლითა და ცელით კი არ მკიდნენ, აქაც მანქანა მუშაობდა, იგი ასობით ადამიანის სამუშაოს ასრულებდა. ახლა კი მიხვდა ვარდანი, რას ნიშნავდა გლეხის შრომის გაადვილება. მერე წისქვილს ჩაუარეს, ისიც ორთქლით მუშაობდა, აქ ფქვავდნენ ყველა გარშემო მდებარე სოფლების ხორბალს. წმინდა, თოვლივით თეთრი ფქვილი უცხო ქვეყნებში იგზავნებოდა. წისქვილიც სოფლის თემს ეკუთვნოდა.

მაგრამ ყველაზე მეტად ვარდანს ის აკვირვებდა, რომ სოფლის ყველა მშრომელი, სადაც არ უნდა შეხვედროდა მას, გამბედაობით, თავდაჯერებულობითა და ვაჟკაცური შემართებით გამოირჩეოდა. თითქოს ისინი ისე აღზრდილიყვნენ, რომ არ ეგემათ მონობა, არ გამოეცადათ თურქებისა და ქურთების შიში. ვარდანი ხედავდა შრომისმოყვარე ხალხს, რომელსაც ძალუძს საჭიროების შემთხვე-

ვაში ბარი და გუთანი მიატოვოს, იარაღი აიხსას და მტერს უშიშრად შეერკინოს.

— ომის დროს ეს ადამიანები ჯარისკაცებად იქცევიან ხოლმე, — უთხრა ვარდანს მასპინძელმა, — მაშინ მუშაობა მეტწილად წყდება და ამიტომ ომი ჩვენ ქვეყანას ყოველთვის დიდ ზარალს აყენებს, თუმცა იგი ზოგჯერ გარდუვალია.

მინდვრები რომ შემოიარეს, ისევ სოფელს დაუბრუნდნენ და ერთ ახალ შენობას მიადგნენ, გარედან იგი სანიმუშო ფერმას მოგაგონებდათ.

— ეს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელია, — აუხსნა მასპინძელმა, — დილით რომ ნახეთ, ის დაწყებითი სკოლა იყო.

თუმცა ვარდანი ერთ დროს მასწავლებლობდა, მაგრამ ასეთ სკოლას პირველად ხედავდა. ის აღჭურვილი იყო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების შესწავლისათვის საჭირო ყველა მოწყობილობით. სკოლის წინ ფართო მინდორი რამდენიმე უბნად იყო დაყოფილი, სადაც მოსწავლეები მუშაობდნენ. აქ ყოველნაირი მცენარის და ყვავილის ნიმუშებს ნახავდით, მოსწავლეები უმთავრესად ბუნების საოცარი წიგნით სწავლობდნენ. გარკვეულ საათებში ისინი ტანვარჯიშში მეცადინეობდნენ და იარაღის ხმარებას ეუფლებოდნენ.

„სწორედ ასეთი სასწავლებელი მოამზადებს ნამდვილ მეურნესა და ჩინებულ ჯარისკაცს“ — გაიფიქრა ვარდანმა.

ვარდანმა მადლობა გადაუხადა სტუმართმოყვარე მასპინძელს და დაემშვიდობა. მაგრამ თვითონაც არ იცოდა, ახლა სად წასულიყო. ამ დროს თვალი მოჰკრა რაღაც უცნაურ ეკიპაჟს, შიგ ორივე მხარეს ხალხი იჯდა, როცა გაიგო, რომ ეკიპაჟი რკინიგზის სადგურისაკენ მიდიოდა, თვითონაც შიგ ჩაჯდა.

რკინიგზის სადგურზე მატარებლის მოლოდინში აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. უცებ ნაცნობი ხმა მოესმა:

— ვარდან!

ვარდანმა უკან მიიხედა, მის წინ სალმანი იდგა. ძველი მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— მაშ, ასე, ჩემო მეგობარო, — მიმართა სალმანმა, რომელსაც ძაგრად ჩაებღუჯა მისი მარჯვენა, — ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმა-

ნეთს ზუსტად ორასი წლის შემდეგ! საკმაოდ დიდი დროა გასული... შენ ისევ ისეთი ხარ, ვარდან, სულ არ გამოცვლილხარ... ჩვენს ქვეყანაში კი ამ ორი საუკუნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა... გახსოვს, ვარდან, ერთხელ გითხარი, ისტორიის განთიადზე სომხეთი კაცობრიობის აკვანი იყო-მეთქი. მე ისიც ვიწინასწარმეტყველე, რომ გაივლიდა დრო, სომხეთი აღსდგებოდა, დავაკაცდებოდა და სამოთხის დღეები დაუდგებოდა. ახლა ყოველივე ეს ახდა. ახლა სომეხ კაცს საშიშროება აღარ მოელის, ხალისიანად და მშვიდობიანად შრომობს საკუთარ მიწა-წყალზე. მაგრამ რომ იცოდე, რამდენი ძალა და ენერგია დავხარჯეთ, რომ ამას მოვსწრებოდით! ძალიან ბევრი შრომა გავწიეთ... ამ ორასი წლის მანძილზე ათასი სიძნელე გადავლახეთ... აურაცხელი სისხლი დაღვარეთ, ვიდრე თავისუფლებას მოვიპოვებდით.

— ახლა სად მიდიხარ? — ჰკითხა ვარდანმა.

— ქალაქში, დეპუტატთა კრებაზე, მე ჩვენი მაზრის წარმომადგენელი ვარ... ერთად წავიდეთ, ვარდან, მე სიტყვა უნდა წარმოვთქვა, იქნებ ჩვენმა პაექრობამ დაგაინტერესოს?

მატარებელმა დაიკივლა. ისინი ვაგონში ავიდნენ. ქალაქში გათენებისას ჩავიდნენ. მშვენიერ ქალაქს ჯერ ისევ ეძინა. ქუჩებში მხოლოდ მუშები მოჩანდნენ, ისინი სამუშაოდ მიიჩქაროდნენ.

— სასტუმრო „ნოეს მტრედში" წაგვიყვანე, — უბრძანა მეეტლეს სალმანმა.

ეტლი ლარივით გაქიმული ქუჩებში მიჰქროდა. ქუჩების ორივე მხარეს სხვადასხვაფრად შეღებილი უზარმაზარი შენობები იყო აღმართული. ვარდანს ეგონა სასახლეებს შორის მივქრიოვართო. სალმანი საუცხოო შენობებზე მიუთითებდა და უხსნიდა:

— ეს უნივერსიტეტია. ეს მეცნიერებათა აკადემიაა. ეს მეფის ყოფილი სასახლეა, ახლა აქ მუზეუმია მოთავსებული. ეს ქალაქის ერთ-ერთი შესანიშნავი თეატრია. ეს საავადმყოფოა. ეს იმ გმირთა ძეგლია, რომლებმაც უკანასკნელ რევოლუციაში გაითქვეს სახელი. ეს გაზეთის რედაქციაა, ჩვენი გაზეთი ყოველდღიურად 150 ათასიანი ტირაჟით გამოდის. ეს...

— ყაზარმები სადღაა? — სიტყვა შეაწყვეტინა ვარდანმა.

— ქალაქში ყაზარმები არ არის. აქ თვითეული მოქალაქე ამავე დროს ჯარისკაცია.

— რა მშვენიერი ქალაქია... რა საოცარია... — აღტაცებით წამოიძახა ვარდანმა.

ეტლი სასტუმრო „ნოეს მტრედის" წინ გაჩერდა. სალმანი და ვარდანი დიდი დარბაზის გვერდით ერთ პატარა ოთახში შევიდნენ. აქ გაცხარებული კამათობდნენ თომას-ეფენდი და მელიქ-მანსური.

— ეგ სწორედ ვირის სიბრძნეს ჰგავს, — ეუბნებოდა თომას-ეფენდი.

— აგერ სალმანიც, მოდი, მისი აზრიც გავიგოთ, — წამოიძახეს ორთ და კამათი შეწყვიტეს.

ძალიან გაუკვირდათ, როცა ვარდანი დაინახეს, რომელიც თითქოს მიწიდან ამოძვრაო.

— აქ საიდან გაჩნდი, — ღიმილით ჰკითხა თომას-ეფენდიმ.

— ეგ შენთვის მინდოდა მეკითხა, — უპასუხა ვარდანმა და ხელი ჩამოართვა. — მე შენი დასახიჩრებული გვამი ალაშკერტის მთების ძირში ვიპოვე, შემდეგ ქურთების სასაფლაოზე დაგმარხე. ახლა კი...

— ახლა კვლავ აღვსდექი, — სიცილით უპასუხა თომას-ეფენდიმ, — შენ ალბათ არ გწამს სულთა გარდაქმნის მოძღვრება. ჩემ-საცოდავი სული დროდადრო უწმინდური ცხოველების სხეულებში ისადგურებდა. რამდენიმე ათეულ წელიწადს მგელი ვიყავი და ნადირობით ვირჩენდი თავს. რამდენიმე ათეული წელი ძაღლი ვიყავი და იმათ ვემსახურებოდი, ვინც ერთ ლუკმა პურს გადმომიგდებდა. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე გველი ვიყავი, ვსისინებდი და ვიკბინებოდი. დიდხანს ვირი ვიყავი და იმდენჯერ ამახიეს ყურები, რომ თავში ტვინი აღარ შემარჩინეს. ბოლოს ჩემი საცოდავი სული ლომის სხეულში დაბინავდა, სადაც დაიწმინდა და გაფაქიზდა. ამას ჩემი სული ორას წელიწადს მოუნდა. ეგვიპტის მუმიები საუკუნეების მანძილზე პირამიდის ქვეშ არიან და მოუთმენლად ელიან სულის დაბრუნებას, ჩემმა სულმა კი ეს გზა გაცილებით მალე გაიარა.

— და მე პატივი მაქვს ვიხილო გარდაქმნილი თომას-ეფენდი, — სიტყვა შეაწყვეტინა ვარდანმა.

— დიახ, წინანდელი თომას-ეფენდი თავისი საუკუნის ღვიძლი შვილი იყო, მაგრამ დროებამ იგი შეცვალა. ახლა ის თანამედროვე თაობის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო წარმომადგენელია. თანამედროვე თაობამ კი, ძვირფასო ვარდან, დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. გახსოვს, ერთ დროს მელიქ-მანსური ალაშკერტის მაზრის სოფლებში რომ დადიოდა და — „კარგი ნემსებიო“ — გაიძახოდა, ახლა ის ერთ-ერთი დივიზიის გენერალია.

ვარდანი მელიქ-მანსურს მიუბრუნდა და მოწიწებით ჩამოართვა ხელი.

— გვაგვიანდება, ბატონებო, სხდომა მალე დაიწყება, — აჩქარდა სალმანი.

— ეს თავისუფალ მოაზროვნეთა პარტიის მეთაურია, — ყურში წასჩურჩულა თომას-ეფენდიმ ვარდანს და სალმანზე მიუთითა. დღევანდელი კრებისათვის შესანიშნავი სიტყვა აქვს მომზადებული. რომ იცოდე, რა ჩინებული ორატორია!

— მეც წამიყვანეთ, ბატონებო, მეც მინდა მოგისმინოთ, — წამოიძახა სიხარულით ვარდანმა.

— წავიდეთ! — მოესმა ვარდანს უცხო ხმა. მან თვალები გაახილა და მიხვდა, რომ ყოველივე სიზმარი იყო.

ირგვლივ კვლავ წყვდიადი მეფობდა. ვარდანი საბრალო ლალას საფლავზე იყო დამხობილი. მაგრამ ვისმა ხმამ გამოაღვიძა. ვინ უთხრა: „წავიდეთო“?..

უცებ ოთხმა მძლავრმა მკლავმა შებოჭა ვარდანი და ყველაფერი წყვდიადმა შთანთქა...

---

**Раффи**

**ХЕНТ**

(На грузинском языке)

Детгиздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1966

რედაქტორი ელ. უბილავა
მხატვარი კ. ხუციშვილი
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექრედაქტორი ბ. ასათიანი
კორექტორი თ. შინდაგორიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VIII-66 წ. ქაღალდის ზომა 60×84 1/16
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,02. სასტამბო თაბახი 18.

ტირაჟი 15.000 ფასი 45 კაპ. შეკვ. № 1374

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили 5
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი,
თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.